საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

სავლე ფერეთელი

დასაგუთეგის საფყისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1963

1
1+16
§ 395

ნაშრომში განხილული და თავისებურად გადაწყვეტილია ლოგიკის უძველესი და დღეისათვის უაქტუალესი პრობლემა დასაბუთების საწყისისა; ამასთან დაკავშირებით განხილულია დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, ბუნება. ნაჩვენებია, რომ დასაბუთების საწყისის დღემდე დაუძლეველი პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკაში შრომაში, აგრეთვე, მოცემულია სათანადო ფორმალისტური თვალსაზრისების კრიტიკა.

ნაშრომი ემსახურება დიალექტიკური ლოგიკის, როგორც „უმაღლესი ლოგიკის", სისტემის შექმნის საქმეს.

წინასიტყვაობა

დასაბუთების საწყისის პრობლემა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ორი ათასი წლის წინათ; შეიძლება ითქვას მეტიც, ეს პრობლემა არასოდეს ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც დღეს, როცა ბურჟუაზიული დასავლეთის მრავალი სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი, თანამედროვე პოზიტივიზმი, განსაკუთრებით, კონვენციონალიზმი ცოდნის ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს და მეცნიერებას კრიზისისაკენ უბიძგებს. დასაბუთების პრობლემის დიდ აქტუალობას მოწმობს ის, რომ ამ პრობლემის გარჩევისათვის ქ. ვარშავაში 1961 წ. მოეწყო საერთაშორისო კოლოქვიუმი.

მიუხედავად ამ პრობლემის ასეთი აქტუალობისა, მის შესახებ, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი დაწერილა საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ფილოსოფიის ამ და ასეთი აქტუალური პრობლემების შემოქმედებით დამუშავებას ჩვენში ათეული წლების მანძილზე ხელს უშლიდა პიროვნების კულტის ბატონობა. სკკპ ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ „პიროვნების კულტი იწვევს პარტიისა და ხალხის მასების როლის დაკნინებას, ბოჭავს პარტიის იდეური ცხოვრების განვითარებას და მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას"[1]. სკკპ მე-20, 21-ე და 22-ე ყრილობებმა და 1962 წ. ნოემბრის პლენუმმა შექმნეს პირობები შემოქმედებითი მუშაობისათვის ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში, კერძოდ, ფილოსოფიაშიც. სწორედ ამ პირობებში გახდა შესაძლებელი დამეწერა მონოგრაფიული ნაშრომი ისეთი აქტუალური პრობლემის შესახებ, როგორიცაა დასაბუთების საწყისის საკითხი.

სკკპ 22-ე ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცნიერება უფრო და უფრო ხდება მწარმოებელი ძალა. ამიტომ ცხადია, თუ რა დიდი

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 152.

მნიშვნელობა აქვს მეცნიერების, როგორც ასეთის, და მეცნიერული კვლევა-ძიების, მეცნიერული აღმოჩენის თუ დასაბუთების ლოგიკის საკითხთა დამუშავებას. ამ საკითხთაგან ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, სახელდობრ, დასაბუთებისა და მისი საწყისის საკითხი წინამდებარე შრომის საგანს წარმოადგენს.

ამ შრომაში მოცემულია ცდა იმის ნათელყოფისა, რომ დასაბუთების საწყისის პრობლემა შესაძლებელია გადაწყდეს მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან. ეს პრობლემა მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. და მისი გარჩევა ჩვენ მიერ, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს დიალექტიკური ლოგიკის აქტუალური პრობლემების დამუშავებას, რაც ჩვენს პირობებში წარმატებით მიმდინარეობს. დასაბუთების საწყისის პრობლემის გარჩევასთან დაკავშირებით, ნაშრომში განხილულია დასაბუთების მრავალი სპეციალური საკითხი, წარმოებულია კრიტიკა მცდარი თვალსაზრისებისა, მოცემულია ცდა პრობლემის დადებითი გადაწყვეტისა.

წინამდებარე ნაშრომი არის გაშლილი სახით წარმოდგენა მოხსენებისა „დასაბუთების საწყისის შესახებ", რომელიც გაიგზავნა ქ. ვარშავაში 1961 წლის სექტემბერში მოწყობილ „მეცნიერებათა მეთოდოლოგიის საერთაშორისო კოლოქვიუმზე" და რომელიც დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში", 1961 წ. ტ. 27, № 3, გვ. 257-261.

ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. აზრი ყოველთვის განისაზღვრება საგნით, რომელიც აზრისაგან დამოუკიდებელია. საგანი წინ უსწრებს აზრს; აზრი საგნის თავისებური გამოთქმაა. აზრს საგანი განსაზღვრავს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ყოველი აზრი ჭეშმარიტია, არა, აზრი შეიძლება ადექვატურად გამოთქვამდეს საგანს. ასეთ შემთხვევაში ის ჭეშმარიტი იქნება; მაგრამ აზრი შეიძლება დაშახინჯებულად გამოთქვამდეს, ასახავდეს საგანს, ე. ი. აზრი შეიძლება იყოს მცდარი. აზრი, სულერთია იგი ჭეშმარიტია თუ მცდარი, საგნით განისაზღვრება. აზრი არის აზრი საგნის შესახებ, საგნის გარეშე შეუძლებელია აზრის არსებობა. ლოგიკურად, საგანი არის უკელაფერი, რაზედაც აზრი გამოითქმის. აზრი საგნის გამოთქმაა, და ამიტომ ყოველ აზრს აქვს საგანი. აზრი, როგორც საგნის გამოთქმა, საგნით კიდეც იწყებს და კიდეც ამთავრებს. ამიტომ აზრი ყოველთვის მეორადი ხასიათისაა, საგანი კი პირველადია მის მიმართ.

მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ აზრის საგანი შეიძლება იყოს თვითონ აზრი. ამ შემთხვევაშიც, აზრი, როგორც საგანი, წინ უსწრებს მის შესახებ აზრს. მაგრამ, საბოლოოდ, აზრს ის საგანი განსაზღვრავს, რომელიც დამოუკიდებელია ყოველი აზრისაგან. კოპერნიკმა თავისი აზრის საგნად გაიხადა პტოლომეს აზრი, როცა ის ამ უკანასკნელს აკრიტიკებდა და უარყოფდა, მაგრამ ორივე აზრს განმსაზღვრელ საგნად დედამიწისა (პლანეტების) და ძალის დამოკიდებულება ჰქონდა.

აზრი, როგორც საგნის სწორი ასახვა, თავისებური გამოთქმა სხვა არაფერია, თუ არა ცოდნა. ყოველი ცოდნა არის რაიმეს ცოდნა, საგნის ცოდნა. ცოდნა საგანს გულისხმობს წინასწარ. ცოდნისათვის პირველი არის საგანი. მეცნიერული დებულება, მაგ., აინ-

შტაინის ფორმულა, რომ ენერგია არის მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატის ნამრავლის ტოლი ($E=mc^2$), სწორედ გარკვეული საგნის გამოთქმაა. ასეთივეა გამოთქმები: 1) კაპიტალი ფულის გარკვეული წრებრუნვაა, 2) პროპორციული განვითარების კანონი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი კანონია. გამოთქმა (აზრობრივი გამოთქმა) გამოსათქმელს წინასწარ გულისხმობს.

ასე ითქმის საერთოდ ცოდნის შესახებაც. საერთოდ მეცნიერული ცოდნა, საერთოდ მეცნიერება სინამდვილის გარკვეული გამოთქმაა, აზრობრივი ასახვაა და სწორედ სინამდვილით, როგორც საგნით, განისაზღვრება. საგანი პირველია ცოდნის მიმართ, ცოდნა კი მეორადია.

შეუძლებელია უარყო საგანი და აღიარო აზრი ან ცოდნა შეუძლებელია საგნის თავიდან აცილება. თუ აღიარებული იქნება აზრი, ცოდნა უსაგნოდ, მაშინ იძულებული ვიქნებით საგნად აღიღოთ თვითონ აზრი, ცოდნა; მაგრამ ცოდნა რაიმეს, როგორც საგნის, ცოდნაა: ამიტომ მივიღებთ ლოგიკურად გამოუვალ — ყალბ მდგომარეობას.

მაშასადამე, აზრის თუ ცოდნის საწყისი არის საგანი.

ფილოსოფიის ისტორია ნათლად აჩვენებს იმას, რომ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულება დამოკიდებულია და განისაზღვრება იმით, თუ ვის როგორ ესმის ცოდნის საგანი, როგორც ცოდნის საწყისი, ცოდნისათვის პირველი. მატერიალისტური ფილოსოფიისათვის ცოდნის საგანი აზრისაგან, საერთოდ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული საგანია; ცნობიერება, აზრი იწყებს იქიდან, რაც მისგან სრულიად დამოუკიდებელია, ობიექტურია. ობიექტური საგნიდან იწყებს ობიექტური იდეალიზმიც, მაგალითად, მაშინ, როცა ის პირველ საწყისად ღვთაებრივ აზრს აღიარებს; მაგრამ ამ შემთხვევაში, ასეთი საწყისი, როგორც არა მარტო ჩვენი აზრის, არამედ როგორც მთელი სინამდვილის საწყისიც, მაინც აზრია და არა აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული, მატერიალური საგანი, ობიექტური სინამდვილე. მეცნიერული ცოდნა ყოველთვის მატერიალური, ყოველგვარი აზრისაგან დამოუკიდებელი საგნიდან იწყებდა და იწყებს.

სრულიად სხვა მდგომარეობა გვექნება მაშინ, როცა ცოდნის საგანი გაგებულია, როგორც ცოდნისათვის, აზრისათვის იმანენტური, ე. ი. როცა აზრის საგნად მხოლოდ აზრია აღიარებული. საერ-

თოდ შემეცნების გაიგივება თვითშემეცნებასთან, საერთოდ ცოდნის გაიგივება მხოლოდ ცოდნის ცოდნასთან იდეალისტური გაგებაა ცოდნის საგნისა, როგორც მისი საწყისისა. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, იძულებული არიან ცოდნის საგანი რაღაც ობიექტური მნიშვნელობით აიღონ, იძულებული ხდებიან ეძიონ ცოდნის საგნის ობიექტურობა. ცოდნის საგნის ობიექტურობა აუცილებელია, სულ ერთია ეს საგანი გაგებული იქნება როგორც აზრის, შეგრძნების, თუ ნიშნის ბუნების მქონე რაიმედ. ცოდნა იწყებს იქიდან, რაც არ არის ცოდნა; სხვანაირად შეუძლებელია გამართლებულ იქნეს საკითხის გადაწყვეტის ლოგიკური მდგომარეობა — საკითხის გადაწყვეტის არა მარტო ლოგიკური, არამედ ფაქტიური ვითარებაც. საგანი, ყოველი აზრით, წინ უსწრებს ცოდნას.

ერთი სიტყვით, როგორადაც არ უნდა ესმოდეთ საგანი, ის მაინც არის პირველი, ცოდნის, მეცნიერების საწყისი. ცოდნა მისგან განსხვავებული საგნით იწყებს, ცოდნის საწყისი მისი საგანია. თუ დავუშვებთ, რომ ცოდნა იწყებს არა მისგან განსხვავებული საგნიდან, არამედ თავისი თავიდან, მაშინაც იძულებული ვიქნებით განვასხვაოთ ცოდნა, როგორც საგანი, ამ საგნის შესახებ ცოდნისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემეცნების თეორიის, ცოდნის შესახებ მეცნიერების შეუძლებლობას მივიღებდით. შემეცნების თეორია კი, როგორც ცნობილია, სრულიად გარკვეულ ფილოსოფიურ მეცნიერებას წარმოადგენს. საგნის, როგორც საწყისის, პრობლემა არსებითი ხასიათისაა შემეცნების თეორიისათვის. ცოდნის საგნის პრობლემა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემას წარმოადგენს. მას ბევრი სქელტანიანი შრომა მიუძღვნია და ამიერიდანაც უნდა მიეძღვნას. ცოდნის საგნის პრობლემა დღესაც აქტუალურია; მაგრამ ჩვენთვის აქ მხოლოდ იმის აღნიშვნაა საკმარისი, რომ ცოდნის საწყისს ცოდნის საგანი წარმოადგენს; — რომ ცოდნის საწყისის პრობლემა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ცოდნის საგნის პრობლემა.

როგორც ითქვა, ცოდნა შესაძლებელია მაშინ, თუ არსებობს მისი საგანი, რადგან ცოდნა სწორედ საგნის ცოდნას წარმოადგენს. მაგრამ თუ ცოდნას მისგან დამოუკიდებლად არსებული საგნის გარეშე ავიღებთ, როგორც ამას ადგილი აქვს ბევრ მცდარ თვალსაზრისში, მაშინ ცოდნის შესაძლებლობის აუცილებელ პირობად სისტემობა უნდა მივიჩნიოთ. ცოდნას, როგორც სიმრავლეს, უპი-

რისპირებენ ცოდნას როგორც სისტემას. ბევრი დიდი მოაზროვნე ფიქრობდა, რომ ცოდნა, როგორც სიმრავლე, აღებული სისტემის გარეშე, არცოდნა უფროა, ვიდრე ცოდნა; — რომ ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, თუ ის სისტემას წარმოადგენს. ცოდნა სისტემაა. სისტემაა ყოველი აზრი, მაგ., ყოველი მსჯელობა, რადგან იგი განსხვავებულთა გარკვეულ ერთიანობას (ამ აზრით, სისტემას) წარმოადგენს. უსისტემობა აზრის ბუნებას ეწინააღმდეგება, ის ახლოა უაზრობასთან, მიდის უაზრობამდე.

თუ ცოდნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის სისტემას წარმოადგენს, მაშინ ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ჰქმნის ცოდნის სისტემობას, როგორ არის სისტემა შესაძლებელი. ეს საკითხი ყოველთვის — ფილოსოფიის ჩასახვიდან დღემდე — აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა და წარმოადგენს. ზოგიერთის აზრით, ცოდნის სისტემობა მხოლოდ ლოგიკურობაში, ლოგიკურ წესებში მდგომარეობს, მას არ აქვს საქმე სინამდვილესთან, აზრისაგან დამოუკიდებელ საგანთან. ზოგიერთი კი ამტკიცებდა და ამტკიცებს, და სრულიად სამართლიანადაც, რომ ცოდნის სისტემობას საგნის, სინამდვილის გარკვეულობა-სისტემობა უდევს პირობად. ყოველ შემთხვევაში, ყველასათვის ნათელი იყო და არის ის, რომ სისტემა, სახელდობრ, ცოდნის სისტემა შეუძლებელია, თუ მას არ აქვს საწყისი. ცოდნას საწყისი აუცილებლად აქვს. შეუძლებელია ადამიანურ ცოდნას დროის, საგნის თუ სხვა მხრივ საწყისი არ ჰქონდეს. ღვთაებრივი ცოდნის ამღიარებელიც იძულებულია დაუშვას ცოდნის საწყისი, სახელდობრ, ღვთაებრივი ცოდნის მარადიულობა, როგორც თავისთავადი რამ. თავისი თავიდან დაწყებაც გარკვეული საწყისის დაშვებაა. თვითონ გარკვეულობა ცოდნის თავისებურ საწყისს წარმოადგენს. თავისა და ბოლოს არ მქონე „სისტემა“ გარკვეული მიმართულების მქონე მაინც იქნება, სწორედ ეს გარკვეულობა იქნება მისი საწყისი. ყოველგვარი გარკვეულობის გარეშე სისტემა შეუძლებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა ქაოსს. ის, რასაც არავითარი საწყისი არ აქვს, არის ქაოსი. ამ ქაოსს აზროვნებაში უაზრობა შეესიტყვება. ერთგვარი საწყისის გარეშე ქაოსისა და უაზრობის შესახებ ლაპარაკიც კი შეუძლებელია, რადგან ქაოსი და უაზრობა თვითონ განისაზღვრება იმით, რაც ქაოსსა და უაზრობას არ წარმოადგენს;

მხოლოდ გარკვეულობისა და აზრიანობის საფუძველზე გვესმის ის, თუ რა არის ქაოსი და რა არის უაზრობა, როგორც ასეთი.

როცა ლაპარაკობენ ცოდნის საწყისის შესახებ, მხედველობაში აქვთ ან 1) ის, რომ ცოდნის საწყისი სინამდვილის გარკვეულ საწყისს ემყარება, ან 2) ის, რომ ცოდნას თვითონ აქვს თავისი, საკუთარი საწყისი, სრულიად დამოუკიდებელი სინამდვილის საწყისისაგან, ან, ბოლოს, 3) მხედველობაში აქვთ ამ ორი გარემოების ერთგვარი ერთიანობა, რომელსაც სხვადასხვანაირად წარმოადგენენ: ა) სინამდვილისა და ცოდნისთვის არსებობს რაღაც პირველი, ორივესათვის საერთო ძირი საწყისი („პირველი ფილოსოფიის" საგანი), და ბ) ცოდნის საწყისი, მართლაც. მისი საკუთარი საწყისია, მაგრამ გამართლებულია სინამდვილის საწყისით, რეალური საფუძვლით; ცოდნისათვის პირველს აქვს რეალური საფუძველი.

მართებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ცოდნის, როგორც სისტემის, აუცილებელი პირობა, ეს არის თვითონ სინამდვილის, არსის სისტემობა; ცოდნა არის სისტემა, რომელიც შესაძლებელია ობიექტურ საფუძველზე, ე. ი. მაშინ, თუ ცოდნის სისტემაში გამოხატულია მისი რეალური საფუძველი — სინამდვილე როგორც სისტემა, როგორც გარკვეული, კანონზომიერი მთლიანობა. სინამდვილის სისტემის გამოკვლევით ცდილობენ, და სრულიად სამართლიანადაც, გაამართლონ და დააფუძნონ ცოდნის სისტემობა, სინამდვილის საწყისის პრობლემით დააფუძნონ ცოდნის საწყისი პრობლემა, და ამგვარად გადაწყვიტონ ეს პრობლემები. ვისაც ელემენტარული წარმოდგენა მაინც აქვს ფილოსოფიის ისტორიაზე, მისთვის ცნობილია, რომ ხშირად ცოდნის სისტემობის პრობლემის გადაწყვეტას შეგნებულად ან შეუგნებლად აფუძნებდნენ სწორედ სინამდვილის საწყისის, როგორც მისი რეალური საფუძვლის, პრობლემის გადაწყვეტაზე.

დიალექტიკურ მატერიალიზმში დასაბუთებულია, რომ ცოდნა, მისი სისტემობა ემყარება და გამოხატავს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებას. ქვეყნის მთლიანობა მის მატერიალობაშია მდგომარეობს. ცოდნა მისი საგნით, სინამდვილით, სინამდვილის გარკვეულობით განისაზღვრება. სინამდვილის გარკვეულობა ის კანონზომიერებაა, რომელიც მოძრავ მატერიას ახასიათებს. არსებობს

ერთი სინამდვილის ზოგადი კანონზომიერება, მაგრამ არსებობენ სპეციფიკური კანონზომიერებანიც, რადგან არსებობს მოძრაობის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერების საგანს შეადგენს. ამიტომ ცოდნისა და მისი სისტემობის საფუძველი, საწყისი არის ობიექტური სინამდვილე, მისი კანონზომიერება.

მაგრამ ეს კანონზომიერება უშუალოდ არ გადმოდის ცოდნაში, ცოდნა მისი ასახვაა; ეს ასახვა სოციალური პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდება. ადამიანი პრაქტიკულ-რევოლუციური საქმიანობით ახერხებს სინამდვილის, მისი მხარეების აზროვნებით ასახვას, ამიტომ ვამბობთ, რომ ცოდნის უშუალო რეალურ საწყისს პრაქტიკა წარმოადგენს. სწორედ პრაქტიკული მოღვაწეობა განსაზღვრავს ცოდნას, მისი განვითარების დონეს. პრაქტიკის საშუალებით სინამდვილე აზროვნებაში აისახება, ყალიბდება მეცნიერული ცოდნის სახით. სინამდვილე, მისი გარკვეულობა-კანონზომიერება და სოციალური პრაქტიკა ცოდნის, მისი სისტემობის რეალურ საფუძვლებს, საწყისებს წარმოადგენენ.

2. ცნობილია, რომ ისტორიულად ცოდნის საწყისის ძიებას წინ უსწრებდა **არსის საწყისის** ძიება. არსისა და მისი საწყისის პრობლემას წარმოადგენდა, მაგალითად, „არხეს" პრობლემა ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში. თალესის წყალი, ანაქსიმანდრეს აპეირონი, ანაქსიმენის ჰაერი, ჰერაკლიტეს ცეცხლი თუ დემოკრიტეს ატომები, ეს იყო ერთი ძირი, რეალური საფუძველი, განმსაზღვრელი და ამხსნელი ბუნების მრავალფეროვანი მოვლენებისა. არსის საწყისი, როგორც მოვლენათა ამხსნელი, ცოდნის გარკვეულ საფუძველსაც წარმოადგენდა. არსის საწყისი, როგორც ცოდნის საწყისი, ცოდნის სისტემობასაც ჰქმნიდა, რადგან არსის საწყისი მოვლენათა ამხსნელ პრინციპად იყო გაგებული. ცოდნა, რომელიც ერთ პრინციპს ემყარება, სისტემას წარმოადგენს. ერთი გარკვეული საწყისი, როგორც ერთიანი ბუნების არსებობის შესაძლებლობის პირობა, ცოდნის ერთიანი სისტემის შესაძლებლობის პირობად იქნა წარმოდგენილი. ერთიანი ბუნება ერთიანი ცოდნის აუცილებელ რეალურ საფუძველს წარმოადგენს. ყოველი ერთიანობისათვის აუცილებელია ერთი ძირი, საფუძველი თუ საწყისი. იონელების ერთი საწყისი წარმოადგენდა მრავალფეროვან მოვლენათა შინაგან საფუძველს; ეს იყო ამხსნელი ყველაფრის არსებობისა, ამასთანავე — ერთიანი ცოდნის გარკვეული აუცილებელი პირობაც; ფიზიკა, როგორც ერთიანი მეცნიერება, სწორედ ერთიან ბუნებას ემ-

ყარებოდა და ემყარება. პლატონის სიკეთის იდეა, არისტოტელეს ფორმის ფორმა, შუასაუკუნეების ღმერთი, სპინოზის ბუნება და სხვ. წარმოადგენდნენ ერთიანი არსებობის და ამიტომ ერთიანი ცოდნის ერთ გარკვეულ საწყისს. როგორც მატერიალისტები, ისე იდეალისტები ძირითად პრობლემად სწორედ პირველი საწყისის პრობლემას თვლიდნენ.

საწყისის მქონე გაგებული იყო, როგორც სასრული. რასაც საწყისი აქვს, ის არის სასრული, ფიქრობდა ბევრი დიდი მოაზროვნე. საწყისის მქონე სასრულია მაშინაც, იგი საწყისის შემდეგ უსასრულოდაც რომ იშლებოდეს, ვითარდებოდეს თუ არსებობდეს. მაგრამ, ამასთანავე ნათელი ხდება ისიც, რომ თუ საწყისის მქონე სასრულია, მაშინ აუცილებელია დაშვებულ იქნეს უსასრულოც, რადგან სასრულის აღიარების დროს აღიარებულ უნდა იქნეს სასრულთა უსასრულო რიცხვი; სასრულები უსასრულოა[1]. მეორე მხრივ, თვითონ უსასრულოს მიიჩნევდნენ უსასრულოდ მრავალ სასრულის საწყისად; მაგალითად, ანაქსიმანდრეს აპეიროონი-განუსაზღვრელი ძირია განუსაზღვრელად მრავალი მოვლენისა. შუა საუკუნეების ღმერთი, სპინოზას ბუნება — სუბსტანცია უსასრულოს წარმოადგენდა; ეს უსასრულო კი სასრულოთა უსასრულო სიმრავლის განმსაზღვრელად, რეალურ საფუძვლად, საწყისად იყო აღიარებული. ამდენად ნათელი ხდებოდა ის, რომ საწყისის მქონე ყოველთვის არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მხოლოდ სასრული; უსასრულობის მოგულისხმე სასრული არ არის წმინდა სასრული, მხოლოდ და მხოლოდ სასრული. ამდენად, საწყისის პრობლემა, სასრულისა და უსასრულოს ერთიანობის პრობლემას უკავშირდებოდა.

ზოგიერთი მოაზროვნის მიერ საწყისი გაგებული იყო, როგორც ყველაფრის შემცველი. საიდანაც ანალიზურად გამოდიოდა ყველაფერი (მაგ., ანაქსიმანდრეს აპეიროონი, ნეოპლატონიკოსების ერთი—სიკეთე, სპინოზას სუბსტანცია და სხვ.), ზოგიერთის აზრით კი საწყისიდან გამომდინარეობა, ეს არის სინთეზური პროცესი (მაგ., ჰეგელთან). მაგრამ ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სიძნელეებს: 1) თუ საწყისი ყველაფერს შეიცავს, მაშინ ის არ არის საწყისი, არამედ ყველაფერია; 2) თუ საწყისი „თითქმის" არაფერია და იქიდან გამოდის ყველაფერი, მთელი უსასრულობა, მაშინ

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 241.

როგორ შეიძლება ასეთი რამ მისგან გამოვიდეს? ანდა როგორ შეიძლება უსასრულობას საწყისი ჰქონდეს? ღმერთი, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ქვეყნისათვის ტრანსცენდენტური, ამ ქვეყნით ზღვარდებული გამოდიოდა, თვითონ ხდებოდა საზღვრის — საწყისის მქონე, ე. ი. უარიყოფოდა. მეორე მხრივ, საწყისის მქონე უსასრულო თავის თავს აუქმებდა, საწყისიდან უსასრულოს სინთეზური გამოყვანა შეუძლებელი ხდებოდა.

თუ ყველაფრიდან ყველაფრის გამოყვანა ზედმეტია, მაშინ არაფრიდან ყველაფრის მიღება შეუძლებელია.

უსასრულო სინამდვილეს არ შეიძლება ჰქონდეს გარეგანი საწყისი, მას არ შეიძლება ჰქონდეს საზღვარი, საწყისი, მაგალითად, დროსა და სივრცეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უსასრულო არ იქნებოდა დაუბოლოებელი სინამდვილის საწყისი შეიძლება იყოს თვითონ იგი — დაუბოლოებელი სინამდვილე, რადგან იგი თავის თავს ეყრდობა, არსებობს თავისთავად და თავისი თავით როგორც გარკვეული რამ, თვითონ მისი გარკვეულობა იქნება მისი თვისობრივი და არსებითი ხასიათის საწყისი; დაუბოლოებელი სინამდვილის საწყისი იქნება მისი არსება, სახელდობრ, ის, რასაც ის წარმოადგენს. დაუბოლოებელი სინამდვილის საწყისი — საფუძველი თვითონ ეს სინამდვილეა, ამიტომ ამ საწყისის, როგორც გარკვეული შინაგანი საფუძვლის, შედეგი იგივე სინამდვილეა. დაუბოლოებელი სინამდვილე არის თვითსაფუძველი და თვითშედეგი, ის არის, როგორც ამას სპინოზა იტყოდა, causa sui. ის არ არის სასრული, არამედ უსასრულოა, მაგრამ სასრულია გარკვეული აზრით, სახელდობრ, სასრულის აზრით. სინამდვილე სრულია; ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ არის უსასრულო; სინამდვილე თავის უსასრულო განვითარებაში არის თავისი თავის სრული საფუძველიც და შედეგიც; მას სხვა არაფერი სჭირდება. უსასრულოს, სწორედ აქ გარკვეული აზრით, შეიძლება ჰქონდეს საწყისი. დაუბოლოებელში საწყისი, საფუძველი და შედეგი ერთიმეორეს ემთხვევა. მისი გარკვეულობა ამ საფუძველ-შედეგის ერთიანობაშია და პირიქით.

საწყისი რაიმეს საწყისს ჰქვია. თუ საწყისი აღებულ იქნა იმისგან დამოუკიდებლად, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, მაშინ ის არ შეიძლება საწყისი იყოს. საწყისი უნდა განისაზღვრებოდეს იმით, რისი საწყისიც ის არის; რაიმეს საწყისი ამ რაიმეთია აზრდებული, განსაზღვრული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის (საწყისი) შეუძლებელია. მაგრამ ყოველივე, რაც განსაზღვრულია სხვით, არ შეიძლება

იყოს საწყისი. საწყისი განმსაზღვრელია და არა განსაზღვრელი. მაშასადამე, გამოდის, რომ საწყისი უნდა განისაზღვრებოდეს სხვით და არც უნდა განისაზღვრებოდეს. ეს კი უსათუოდ სიძნელეს წარმოადგენს.

ასეთი სიძნელის მქონეა, მაგალითად, ჰეგელის „ლოგიკის" „საწყისი". ჰეგელის „ლოგიკის" საწყისი არის „არსი" (და არა თვითონ საწყისის ცნება, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს და ამის გამო ჰეგელთან საწყისის საწყისის სიძნელეზე მიუთითებს), რომელიც აბსტრაქტულია, გარეშეა ყოველივე შინაარსისა, რომლითაც იგი შემდეგ შეივსება; მაგრამ არსის, როგორც საწყისის, აბსტრაქცია შინაარსიდან უკვე გულისხმობს ამ შინაარსს, როგორც გარკვეულად განმსაზღვრელს იმისა, რისი აბსტრაქციაც მოხდა.

ასევე ითქმის საწყისზე, როგორც საფუძველზე. საფუძველი აღარაა საფუძველი, თუ ის შედეგით არაა განსაზღვრული, რადგან საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველს ჰქვია და მას აუცილებლობით გულისხმობს, მაგრამ რამდენადაც საფუძველი განსაზღვრული გამოდის, ამდენად ის შედეგია და არა საფუძველი, რადგან საფუძველი სწორედ განმსაზღვრელს (და დამქვემდებარებელს) ჰქვია. მაშასადამე, გამოდის, რომ საწყისი — საფუძველი შეუძლებელია, თუ იგი არაა განსაზღვრული, მაგრამ ასეთი საწყისი არ არის შესაძლებელი. ეს სიძნელე გვაიძულებს საწყისის პრობლემა თავისებურად დაისვას და გადაწყდეს.

აღნიშნული სიძნელეები საწყისი ცნების სიყალბეს კი არ აჩვენებენ, არამედ მოითხოვენ გადაწყვეტას სწორედ საწყისის ცნების დასადგენად. საწყისი არც მხოლოდ განსაზღვრულია, არც მხოლოდ განმსაზღვრელი, არც მხოლოდ საფუძველი და, მით უმეტეს, არც მხოლოდ შედეგი. საწყისი არ შეიძლება იყოს (როგორც ვნახეთ) ამ დაპირისპირებულთაგან მხოლოდ რომელიმე; საწყისი უნდა იყოს მათი ძირი, მათი გარკვეული ერთიანობა. სხვანაირად: რაიმეს საწყისი არაა ამ რაიმეს გარეთ, არამედ მხოლოდ მასშია. ასე რომ, საწყისი უნდა იყოს შინაგანი. ეს არის causa sui.

თავისი თავის საწყისის, თვითსაწყისის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს აქ ადგილი ჰქონდეს თავის თავზე წინ წასწრებას, რაიმეს არსებობამდე არსებობას. ასეთი უაზრობა მაშინ გვექნება, თუ რაიმეს, როგორც სხვისგან განსხვავებულს, ან სხვასთან დაპირისპირებულს (მაგალითად, შედეგთან დაპირისპირებულ სა-

ფუძველს) ცალკე ავიღებთ და მას საწყისად მივიჩნევთ. სასრული, როგორც სხვისგან განსხვავებული თუ სხვასთან დაპირისპირებული, არ შეიძლება იყოს საწყისი. საწყისი უნდა იყოს დაპირისპირებულთა ერთიანობა და არა მისი რომელიმე მხარე, ის დაპირისპირებულთა შინაგანი ძირია, ეს არის თვითსაფუძველი, თვითსაწყისი.

საწყისის პრობლემის ამგვარი გარჩევა, ეს არის მისი განხილვა კატეგორიალურ სფეროში. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საწყისის ამგვარი გაგება ეხება არა მხოლოდ არსს, არამედ აზრსაც, შემეცნებასაც და, მით უმეტეს, ლოგიკურს.

3. მართალია, არსის, სინამდვილის გარკვეულობა აუცილებელი პირობა და შესაძლებლობაა ცოდნისა, მაგრამ **ცოდნის** უშუალო, საკუთარი **საწყისი**, ცხადია, უნდა იყოს რაღაც სხვა. ეს განსხვავება ნათელი იყო ჯერ კიდევ არისტოტელესათვის, როცა ის ბუნებისათვის პირველს ჩვენთვის პირველისაგან განასხვავებდა. არისტოტელე ამ ორ პირველს ერთიმეორეს ასე უპირისპირებდა: ის, რაც ბუნებისათვის პირველია, ჩვენთვის უკანასკნელია და პირიქით[1]. ჩვენთვის პირველის, ჩვენი ცოდნის საწყისის პრობლემა შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემაა.

საწყისის პრობლემა თავისებურად ისმის შემეცნების პროცესის თვალსაზრისით, სახელდობრ იმ პროცესისა, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ზოგიერთის აზრით, შემეცნების საწყისი არის შემმეცნებელი სუბიექტი, რადგან შემეცნებას სწორედ სუბიექტი აწარმოებს, ის ჰქმნის ცოდნას; მის გარეშე შემეცნება შეუძლებელია, მაშინ როცა მისი დაშვებით შემეცნების შესაძლებლობა ნათელი ხდება. ზოგიერთის აზრით კი ასეთ საწყისს წარმოადგენს ობიექტი, რადგან შემეცნება რაიმეს შემეცნებას ნიშნავს, ობიექტის გარეშე შემეცნება, ცოდნა განუხორციელებელია.

ძველი ბერძენი სოფისტებიდან დაწყებული სუბიექტური იდეალისტები შემეცნების საწყისად ემპირიულ სუბიექტს მიიჩნევდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ობიექტური ხასიათის მქონე ცოდნის მიღწევა შეუძლებელი ხდებოდა. ცოდნა კი მხოლოდ ისეთი შეიძლება იყოს, რომელსაც ობიექტური ხასიათი აქვს. არაობიექტური

---

[1] იხ. არისტოტელეს „ფიზიკა", I, 1; „მეორე ანალიტიკა", 1, 2,

ცოდნა არ არის ცოდნა. საკმეს არ უშველა არც ტრანსცენდენტალური (ზოგადადამიანური) სუბიექტის შემეცნებაში შემოყვანამ, რადგან ობიექტურობა ვერც ასეთმა სუბიექტმა უზრუნველყო. ტრანსცენდენტალური სუბიექტი ადამიანური სუბიექტია, მაინც სუბიექტია, რომელიც ობიექტურობას ვერ უზრუნველყოფს.

შემეცნების საწყისად სუბიექტის აღება, სახელდობრ, მისი ისეთ საწყისად მიჩნევა, საიდანაც მთელი ობიექტურობა უნდა იქნეს გამოყვანილი, ვერ ამართლებს თავის თავს, რადგან, ერთი მხრივ, სუბიექტი, საიდანაც ობიექტურობა უნდა გამოდიოდეს მაგრამ ვერ გამოდის, რჩება ობიექტურობის გარეშე და, ამიტომ, მას, როგორც საწყისს, აზრი ეკარგება; მეორე მხრივ კი, სუბიექტს, დარჩენილს ობიექტურობის გარეშე, მთელი ობიექტურობის როლის შესრულება ევალება, ამით იგი ხდება აბსოლუტად, ე. ი. იქმნება გამოუვალი წინააღმდეგობა: ის, რაც მხოლოდ სუბიექტი უნდა ყოფილიყო, გახდა ყველაფერი — ობიექტიც, ამით მან დაკარგა სუბიექტის ხასიათი. სუბიექტის საწყისად აღიარება მოითხოვს მასში ობიექტურობის შეყვანას, ე. ი სუბიექტის აბსოლუტად გადაქცევას; ასეთ შემთხვევაში ნამდვილი ობიექტი მაინც მიუღწეველი რჩება. ამის საუკეთესო მაგალითს ფიხტე-შელინგი-ჰეგელის თკალსაზრისთა განვითარება წარმოადგენს. მაგრამ ჰეგელის აბსოლუტი მხოლოდ საწყისი კი არაა, არამედ ბოლოც. იგი სუბიექტ-ობიექტია, ის ყველაფერია, სადაც საწყისიც და ბოლოც ერთიმეორეს ემთხვევა, მაგრამ ისეთი „ყველაფერია", რომელიც არ შეიცავს ნამდვილ ობიექტს — მატერიალურ სინამდვილეს; ეს უკანასკნელი მის გარეთ რჩება. ჰეგელის სუბიექტით არ შეიძლება ნამდვილი ობიექტურობის გამართლება. ასეთ „გამართლებას" სწორედ სუბიექტი საჭიროებს და უნდა შესრულდეს არა სუბიექტის, არამედ სწორედ ობიექტის საფუძველზე.

გამართლებას მოითხოვს სუბიექტის მიერ შექმნილი აზრთა წყობა, რომელიც ცოდნას უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. ობიექტური უნდა იყოს, ობიექტით უნდა განისაზღვრებოდეს. რადგან საწყისად სუბიექტის აღიარება აუცილებლობით მოითხოვს სუბიექტის გამართლებას ობიექტით, ამიტომ ნათელი ხდება ჭეშმარიტება იმ თვალსაზრისისა, რომლისთვისაც შემეცნების საწყისი არის ობიექტი, სუბიექტი კი მასზეა დაქვემდებარებული.

რადგან აბსოლუტის, ღმერთის საწყისად აღება ნამდვილ ობიექტს მაინც ჰკარგავს. ამიტომ სუბიექტის განმსაზღვრელი ობიექტი, როგორც შემეცნების-ცოდნის ერთადერთი მართებული გამოსავალი, საწყისი არის მატერიალური სინამდვილე როგორც ობიექტი. მატერიალისტური თვალსაზრისი ერთადერთი მეცნიერული თვალსაზრისია. ეს თვალსაზრისი, ცხადია, არ აიგივებს სინამდვილესა და ობიექტს. სინამდვილე მხოლოდ მაშინ არის ობიექტი, თუ ის სუბიექტის ობიექტია. თვითონ სინამდვილე გულგრილია სუბიექტისადმი. სინამდვილე აუცილებლობით არ მოითხოვს სუბიექტს ობიექტი კი არ შეიძლება ობიექტი იყოს, თუ არ არსებობს შემმეცნებელი სუბიექტი. ამიტომ შემეცნების საწყისი არც მხოლოდ სუბიექტია და არც მხოლოდ ობიექტი. ასეთი საწყისი უნდა იყოს ისეთი, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის ძირს წარმოადგენს. დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულების ერთიანი ძირი არის პრაქტიკა, როგორც გარკვეული რეალური საფუძველი აღნიშნული დამოკიდებულებისა. ამიტომ საწყისი შემეცნებისა, როგორც სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულებისა, არის სინამდვილე და პრაქტიკა.

რადგან შემეცნებისათვის საკმარისი არ არის ობიექტი, არამედ აუცილებელია აგრეთვე სუბიექტიც, ამიტომ ზოგიერთმა დიდმა მოაზროვნემ დაიწყო ძიება ისეთი საწყისისა, რომელიც იქნებოდა საწყისი როგორც სუბიექტისათვის, ისე ობიექტისათვის, სწორედ შემეცნების თეორიის თვალსაზრისით. ეს არის ძიება სუბიექტ-ობიექტის საწყისისა, მათთვის პირველი — მეტაფიზიკური საწყისისა, რომელიც შესაძლებელს ხდის სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულებას, ცოდნას როგორც ასეთს.

თუ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისათვის სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულებისა და ცოდნის უშუალო რეალურ საფუძველს ადამიანის პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედება წარმოადგენს, ზოგიერთი იდეალისტის აზრით, ცოდნის, სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების საწყისად მიჩნეულია ისეთი რამ, რაც აზრისა (ცოდნის) და არსის იგივეობრივი სათავეა, რაშიც ლოგიკური გამართლება და ცოდნის ობიექტურობა ერთი და იგივეა, სადაც ჭეშმარიტება თავისთავად და არსის გარკვეულობა ერთიმეორეს უდრის. ცოდნის ასეთი საწყისი მის ბოლოსაც შეადგენს. ამით კი

ცოდნის პროცესის ერთგვარი წრიული ხასიათია აღიარებული. ეს თვალსაზრისი ობიექტურ იდეალისტური, თანაც მისტიკური თვალსაზრისია, რადგან აზრისა და არსის საერთო სათავის ბუნება ბუნდოვანი და საიდუმლოებით მოცულია; ის არც აზრია და არც არსი და ამავე დროს, ერთიც არის და მეორეც; ის არის ორივეზე მაღლა მდგომი, რაღაც ზე-არსი და ზე-აზრი.

ეს გაურკვევლობა შემეცნების საწყისის გაურკვევლობაა, თუმცა იგი იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია რაღაც საერთო რეალური საფუძველი აზრისა და არსის შემეცნებითი დამოკიდებულებისათვის. ეს სიძნელე, როგორც აღინიშნა, მეცნიერულად გადაწყვიტა მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ შემეცნების თეორიაში პრაქტიკის შემოტანით.

ცოდნა არის სინამდვილის ასახვა სუბიექტის მიერ. შემმეცნებელ სუბიექტს აქვს უნარი, როგორც გარკვეული საშუალება, რომლითაც ის სინამდვილის ასახვას ახერხებს. ეს საშუალებებია გრძნობადი აღქმა და გონება. არსებობს მიმართულებები, რომლებიც ცოდნის ასეთ საწყისს ეძებენ, სახელდობრ, ეძებენ ან ემპირიულ საწყისს, ან რაციონალურს, ანდა ცდილობენ მონახონ ის, რაც ამ ორ საწყისს გააერთიანებს.

როგორც ცნობილია, რაციონალისტების აზრით, ცოდნა რაციონალური ბუნებისაა; სინამდვილე მხოლოდ გონებით შეიმეცნება; შეგრძნება-აღქმები ხელს უშლიან ნამდვილ შემეცნებას. ზოგიერთი რაციონალისტის აზრით, შეგრძნება-აღქმები სრულიად ზედმეტია, ისინი ან არ იძლევიან დადებით ცოდნას (ბრმის ჯოხის როლს ასრულებენ), ან საერთოდ არავითარ ცოდნას არ იძლევიან; ზოგიერთი რაციონალისტის აზრით კი, აღქმებში მოცემული ცოდნა ბუნდოვანი ხასიათისაა. ერთი სიტყვით, ცოდნის როგორც საწყისი, ისე ბოლო და მისი მთელი ბუნება მხოლოდ რაციონალურია.

ემპირიზმისათვის, სენსუალიზმისათვის შემეცნების საწყისი შეგრძნება-აღქმაში მდგომარეობს. ამას აღიარებენ როგორც იდეალისტი ემპირისტები, ისე მატერიალისტებიც. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ იდეალისტებს შეგრძნება-აღქმები მოწყვეტილი აქვთ ობიექტური სინამდვილესაგან. მატერიალისტები კი, პირიქით, იმას ამტკიცებენ, და სრულიად სამართლიანად, რომ შეგრძნება-აღქმებით სინამდვილეს ვუკავშირდებით, მას ავსახავთ.

გრძნობადის რაციონალურთან კავშირის გაგებაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა; მაგრამ ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს.

რაციონალისტები ცდებიან, რადგან რაციონალურიდან ემპირულის გამოყვანა შეუძლებლად მიაჩნიათ, მაშინ როცა კერძო საგნებს ჩვენ შეგრძნება-აღქმებით ვუკავშირდებით. წმინდა გრძნობადი საგანი, როგორც წმინდა ერთეული, არისტოტელესაც შეუმეცნებლად მიაჩნდა. ერთეულის, როგორც ერთადერთის, ცნების საკითხიც გადაუწყვეტელ პრობლემად იყო მიჩნეული. ზოგადიდან, როგორც გვარიდან. სახის სპეციფიკურობის გამოყვანის შესაძლებლობა უარყოფილია. ასე რომ, რაციონალისტების საწყისი არ არის საწყისი. შემეცნება კერძო საგნებისა არ მართლდება. მთელი შემეცნების გამართლება უზოგადესი პრინციპებიდან თვითონ მოითხოვს უზოგადესი პრინციპების გამართლებას, მათ გამოყვანას ცდისეული მასალიდან. ამიტომ მხოლოდ, წმინდა რაციონალურის საწყისად მიჩნევა, მთელი ცოდნის წმინდა გონებაზე დაყვანა დაუძლეველ სიძნელეებს წააწყდა. ამ გზით ცოდნის გამართლება შეუძლებელი გახდა.

მაგრამ არც საწინააღმდეგო გზა არის უნაკლო, სიძნელეებისაგან თავისუფალი. თუ მცდარი აღმოჩნდა ცოდნის რაციონალურზე მთლიანად დაყვანა. ასევე მცდარი აღმოჩნდა მთელი ცოდნის ემპირიულზე დაყვანა. უკიდურესი სენსუალისტები შემეცნების საწყისად შეგრძნება-აღქმას მიიჩნევენ, მაგრამ ასეთი საწყისი საწყისად აღარ გამოდგება, რამდენადაც მათ მთელი შემეცნება შეგრძნება-აღქმებზე დაჰყავთ. იდეალისტ-სენსუალისტებმა ვერ შესძლეს ემპირიულიდან რაციონალურის მიღება, ერთეულიდან ზოგადის გამოყვანა, მათი კავშირი განუხორციელებელი დარჩა.

შეგრძნება-აღქმა არ გამოდგა შემეცნების ისეთ საწყისად, რომელზედაც დაყვანა გაამართლებდა მეცნიერებას, რადგან შეგრძნება-აღქმის უტყუარობა (ეპიკურე, ახალი დროის სენსუალიზმი), ისე როგორც ატომარული ფაქტების უტყუარობა (თანამედროვე პოზიტივიზმი) არ გამართლდა. უკვე ის ფაქტი, რომ შეგრძნება-აღქმა შეიძლება იყოს მცდარი, ნათელყოფს იმას, რომ იგი არ შეიძლება საწყისად იქნეს მიჩნეული. უზოგადესი პოსტულატებიც არ გამოდგებიან უტყუარ საწყისად, რადგან მათი მცდარობის შესაძლებლობა კიდევ უფრო ძლიერია. ნათელი გახდა აუცილებლობა მესამე გზისა, ემპირიულისა და რაციონალურის სინთეზის გზისა,

რომელსაც კანტი გაჰყვა, მაგრამ მისი ცდაც უშედეგოდ დამთავრდა; მან ვერ მოახერხა დაესაბუთებინა აღნიშნული სინთეზი, რადგან იგი მეტაფიზიკის საფუძველზე იდგა. აღნიშნული სიძნელე მეცნიერულად მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა გადაწყვიტა, რადგან დაასაბუთა ემპირიულისა და რაციონალურის დიალექტიკური ერთიანობა ერთეულისა და ზოგადის დიალექტიკის საფუძველზე.

გრძნობადი აღქმის შემეცნების საწყისად მიჩნევა, ლოგიკურ, სახელდობრ, კატეგორიების ენაზე, ეს ნიშნავს ერთეულის საწყისად მიჩნევას. საწინააღმდეგო გზა, რომელსაც რაციონალიზმი მისდევდა, ეს იყო ზოგადიდან გამოსვლა. ერთ შემთხვევაში მოხმარებულია ლოგიკური მეთოდი ინდუქციისა, მეორე შემთხვევაში კი დედუქციისა. ინდუქციისა და დედუქციის საწყისებზე ლაპარაკი უფრო სრულად ქვემოთ გვექნება. ახლა კი აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ სიძნელეს დიალექტიკა, სახელდობრ, ერთეულისა და ზოგადის, ინდუქციისა და დედუქციის დიალექტიკური ერთიანობა, ამ ერთიანობის მეცნიერული ვაგება წყვეტს.

მაშასადამე, ცოდნის საწყისის პრობლემა ლოგიკური საწყისის პრობლემას უკავშირდება. უკანასკნელის გადაწყვეტა პირველს გადაწყვეტს. ცოდნის დაყვანა შეგრძნება-აღქმებზე ფსიქოლოგიზმია. კიდევ უარესია ცოდნის დაყვანა ინტელექტუალურ ინტუიციაზე. ესეც თავისებური ფსიქოლოგიზმია. ფილოსოფიის ისტორია გვასწავლის, რომ ფსიქოლოგიზმს ყოველთვის სკეპტიციზმი და აგნოსტიციზმი მოსდევდა. ეს კი ცოდნის პრობლემას კი არ წყვეტდა, არამედ აუქმებდა.

4. საერთოდ საწყისი შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად: 1) საწყისი დროში. დროში საწყისის მქონე წარმოშობადია, რომელსაც საზღვარი აქვს წარსულში; ის განსაზღვრულია, სასრულია, მიუხედავად იმისა, მომავალში აქვს საზღვარი თუ არა. დროში საწყისი გარკვეული რაოდენობრივი საზღვარია. 2) სივრცეში საწყისიც არის საზღვარი რაოდენობრივი ხასიათისა. სივრცეში საზღვრის მქონეც სასრულია, შემოფარგლულია. 3) საერთოდ რაოდენობის საწყისი არის ერთი. ერთი არის ყოველი სიმრავლის საწყისი, სულერთია ის ერთზე მეტია თუ ნაკლები. ეს ერთი არითმეტიკული ერთია. 4) მეტაფიზიკური ერთი განსხვავდება არითმეტიკული ერთისაგან. მეტაფიზიკური ერთი არის ერთიანობა. ეაბუ-

ყოფლობა, სიმარტივე, თავისთავთან იგივეობრივობა. 5) თვისობ-რივი საწყისი, ეს იგივე თვისობრივი საზღვარია, სახელდობრ, ის, რა-თაც რაიმე არსებობს ასე და არა სხვანაირად. 6) სუბსტანციალური საწყისი არის ის, რაც არსებობს სრულიად დამოუკიდებლად. ასეთი საწყისი, მაგალითად, მატერიაა მატერიალისტებისათვის, იდეა — იდეალისტებისათვის. 7) შემეცნების საწყისი, საწყისი შემეცნებისათვის; ასეთია, მაგალითად, შეგრძნება-აღქმა ემპირისტებისათვის, სენსუალისტებისათვის, გონება კი— რაციონალისტებისათვის. 8) ინდუქციის საწყისი არის ერთეული, სახელდობრ, კრძნობადი ერთეული. შემეცნების თვალსაზრისით, ეს არის, არისტოტელეს სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩვენთვის პირველი", ლოგიკურ, სახელდობრ, კატეგორიების ენაზე იგი არის ერთეული. 9) დედუქციის საზრისი უზოგადესია, რომელიც, არისტოტელეს აზრით, ემთხვევა არსის საწყისს, „ბუნებისათვის პირველს". 10) გარეგანი საწყისი; რაიმესათვის გარეგანი საწყისი არის მისთვის აუცილებელი პირობა, გარეგანი მიზეზი; 11) შინაგანი საწყისი, ეს არის შინაგანი მიზეზი, შინაგანი საფუძველი, არსება, გარკვეულობა, სახელდობრ ის, თუ რას წარმოადგენს რაიმე. 12) საწყისის ქვეშ ხშირად ესმით განმსაზღვრელი თუ გამმართლებელი რაიმესი, მაგ., პრაქტიკა შემეცნებისათვის, წარმოების წესი საზოგადოებისათვის, ლოგიკური საფუძველი რაიმე დებულებისათვის. 13) ლოგიკური საწყისის ქვეშ ესმით: ა) რომელიმე დებულების ლოგიკური წანაძძღვარი, ბ) დასაბუთების საწყისი, უწანამძღვრო დებულება, რომელსაც ეკრდნობა დასაბუთება. 14) გარკვეულობა როგორც საწყისი. გარკვეულობა საგნისა საწყისია მისთვის; გარკვეულობა დასაბუთებისა მის გარკვეულ საწყისს წარმოადგენს. 15) უნივერსალური, აბსოლუტური საწყისი, ეს არის რაღაც უპირობო, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არსშიც და აზრშიც, მაგრამ თვითონ არის პირველი; ამგვარი საწყისი მეტაფიზიკის საგნად იყო მიჩნეული.

ერთი სიტყვით, ერთიმეორისაგან არჩევენ: 1) არსის საწყისს, 2) ცოდნის საწყისს, 3) აბსოლუტურ საწყისს და 4) ლოგიკურ საწყისს.

ლოგიკური საწყისი შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად: 1) ლოგიკური წანამძღვარი რაიმე დებულებისა ამ უკანასკნელის ლოგიკური საწყისია; 2) ის პირველი, საიდანაც იწყება აზრთა ლოგიკური დალაგება. ეს იქნება ლოგიკური დალაგების პირ-

ველი წევრი. 3) დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, პრინციპი.

ჩვენი შრომის საგანს სწორედ დასაბუთების საწყისი შეადგენს. დასაბუთების პრობლემა საუკუნეების განმავლობაში პრობლემად დარჩა. დასაბუთების საწყისის პრობლემა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ორი ათასი წლის წინათ. დასაბუთების ლოგიკურის ობიექტურობა, ამ ობიექტურობის გამართლება მოითხოვს იმას, რომ დასაბუთების პრობლემა, საერთოდ, კერძოდ კი დასაბუთების საწყისის პრობლემა დაუკავშირდეს არსის, შეცნების და მათი საწყისის პრობლემას და საერთოდ ონტოლოგიურის პრობლემას, მაგრამ რადგან რაიმეს არსებობის გამართლება, ცოდნის ჭეშმარიტობის გამართლება და ლოგიკური დასაბუთება, როგორც გამართლება, ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ამიტომ დასაბუთების საწყისის პრობლემა სპეციალურ პრობლემას წარმოადგენდა ყოველთვის და დღესაც ასეთივე ხასიათისაა.

ჩვენ ჯერ შევეცდებით ვაჩვენოთ ის, თუ რაში მდგომარეობს დასაბუთების საწყისის პრობლემა,რას წარმოადგენს ის სიძნელე, რომელიც დასაბუთების საწყისის, როგორც ლოგიკურის გარკვეული საწყისის პრობლემას წარმოადგენს. გარჩეულ უნდა იქნეს ის ნიშნები, რომლებიც დასაბუთების საწყისის ბუნებას ახასიათებენ ბოლოს კი. სწორედ სიძნელეთა დაძლევის წარმოების გზით, ვცდილობ პრობლემის დადებით გადაწყვეტას. ეს იქნება მხოლოდ ცდა; მას ცხადია, არ ექნება პრეტენზია პრობლემის სრული გადაწყვეტის. თუმცა ეს ცდა, ვფიქრობთ, სანახევროდ მაინც გადაწყვეტს მას, ან გარკვეულად ხელს შეუწყობს მის გადაწყვეტას.

დასაბუთების საწყისის პრობლემა

ლოგიკურის ანუ დასაბუთების საწყისის პრობლემა დასაბუთების, ცოდნის როგორც სისტემის, არა რეალური, არამედ სწორედ ლოგიკური საფუძვლის პრობლემაა. დასაბუთების, ცოდნის სისტემის რეალური საფუძველი, როგორც ითქვა, ეს არის: 1) სინამდვილე, მისი გარკვეულობა-კანონზომიერება და 2) პრაქტიკა, როგორც ცოდნის გარკვეული საფუძველი. სხვაა დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკურის ლოგიკური საწყისი. დასაბუთების ლოგიკური საწყისი, როგორც გარკვეული საფუძველი, მართალია, არ არის იგივე, რასაც რეალური საფუძველი წარმოადგენს, მაგრამ იგი სრულიად ობიექტური ხასიათის უნდა იყოს; უნდა ამართლებდეს დასაბუთების ობიექტურობას, დასკვნებს, რომელთაგან დასაბუთება შედგება. მათ უნდა აძლევდეს ობიექტურ ხასიათს. დასაბუთების საწყისის პრობლემა იგივეა, რაც ლოგიკურის. როგორც ასეთის, ლოგიკური საწყისის პრობლემა.

აქ უკვე ჩანს პრობლემის სიძნელე, რომელიც შემდგომ უფრო ნათლად გაირკვევა. ეს სიძნელე ისაა, რომ თუ დასაბუთების საწყისი დასაბუთების გამმართლებელი ლოგიკური საფუძველია, მაშინ ხომ არ არის საშიშროება რეგრესისა უსასრულობაში, რადგან: 1) აქ „გამართლება" დასაბუთებას ნიშნავს, და 2) ასეთი ლოგიკური საფუძვლის მონახვა უკვე დასაბუთებაა და არა მისი საწყისის მონახვა; ანუ უკეთ, ეს მონახვა საწყისისა ხომ დასაბუთებაა? ხომ არ არის აქ საწყისის ძიების სიძნელე? ანუ როგორც ეს შემდეგ უფრო გარკვევით წარმოსდგება, ხომ არ არის აქ დასაბუთების დასაბუთების ლოგიკური შეცდომა, რომელსაც არისტოტელემ გარკვევით მიუთითა? ხომ არ არის შეუძლებელი დასაბუთების ლოგიკური საფუძველი, ამ აზრით — მისი საწყისი?

თუ რეალურ საგნებს რაღაც შედარებითი დამოუკიდებლობა არ აქვთ, გარედან მიღებული არსებობა არ იქნება მათი არსებობა და ისინი მოჩვენებითი ხასიათის მქონედ წარმოდგებიან (როგორც ეს კარგად იცის ფილოსოფიის ისტორიამ), ასევე უნდა ითქვას ლოგიკურის შესახებაც: თუ მსჯელობებს, დასკვნებს თვითონ არ გააჩნიათ ობიექტური ხასიათი, ისე გარეგანი ობიექტურობა არ იქნება მათი ობიექტურობა, სხვანაირად — თუ მათთვის, გარეგანი ობიექტურობა როგორღაც არ გარდაიქმნა მათ შინაგან ობიექტურობად, ისე ისინი თავისთავად სრულიად მოჩვენებითი ხასიათის იქნებიან, არ იარსებებს ლოგიკური როგორც ასეთი და მისი საკუთარი საწყისის შესახებ ლაპარაკიც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს; რაც თავის თავს როგორღაც არ ამართლებს, ის ვერ გამართლდება სხვით, რადგან გასამართლებელი ნამდვილად არც იარსებებს. ეს აზრი ეხება საგანთა არსებობასაც, ცოდნასაც და თვითონ ლოგიკურსაც. ამიტომ ზემოთ დასახელებული სიძნელე ახლა შეიძლება ფორმულირებულ იქნეს ასე: თუ დასაბუთების საწყისი არ არის ლოგიკური, ე. ი. თუ დასაბუთება როგორღაც თავის თავს არ ამართლებს, ისე დასაბუთების ლოგიკური საწყისი შეუძლებელია. რჩება მხოლოდ რეალური საწყისის აღიარება: თუკი დასაბუთების საწყისი დასაბუთების ლოგიკური საწყისია, მის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს, მაშინ საკითხი გადაინაცვლებს ამ საწყისის საწყისზე და ჩავარდებით ლოგიკურად ყალბ მდგომარეობაში. როგორ არის შესაძლებელი ამ სიძნელის გადაწყვეტა? პასუხი ამ შრომის გარკვეულ ქვეთავში იქნება წარმოდგენილი.

ჩვენი პრობლემის აქ აღნიშნული სიძნელე შეიძლება გამოითქვას შემდეგნაირად. მეცნიერული ცოდნა, მეცნიერება, როგორც ცნობილია, სისტემას უნდა წარმოადგენდეს. ისიც ცნობილია და მართებული აზრია, რომ სისტემა მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, ე. ი. სისტემას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ ის აგებულია ერთ პრინციპზე, ერთ საწყისზე. ყოველი დებულება, რომელიც ამ სისტემის ელემენტია, სულ ერთია ის საწყისი დებულება იქნება თუ არა, დასაბუთებადი და დასაბუთებული უნდა იყოს. დაუსაბუთებელი დებულება შეიძლება თავისთავად ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ არ შეიძლება მეცნიერულ დებულებად ჩაითვალოს. მეცნიერული დებულება მხოლოდ დასაბუთებული დებულებაა; თვითონ მეცნიერება დასაბუთებას უნდა წარმოადგენდეს. თუ საწყისი დაუსაბუთებელი,

არამეცნიერული დებულება იქნება, მაშინ ამ საწყისით მეცნიერების გამართლება არ ეხერხდება, არამეცნიერულ მეცნიერებას ვერ გაამართლებს; თუკი საწყისი დასაბუთებული, მეცნიერული დებულება იქნება, მაშინ გასამართლებული თვითონ ეს დებულება გახდება, რადგან საწყისის სახით იმას ეძებენ, რაც ამართლებს, დასაბუთებადს, მეცნიერულს. აქაც, ერთი შეხედვით, გაჩოუვალი მდგომარეობა ჩანს.

როგორც ცნობილია, დასაბუთების საწყისის პრობლემა პირველად არისტოტელემ დასვა. არისტოტელეს შესაბამის აზრთა წყობას შემდეგ უფრო დაწვრილებით გავარჩევთ, აქ აღვნიშნოთ მისი მხოლოდ რამდენიმე დებულება, რომ ნათელი გახდეს ის, თუ რას წარმოადგენს დასაბუთების საწყისის პრობლემის სიძნელე.

არისტოტელე სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ დასაბუთება არ შეიძლება მიდიოდეს უსასრულობაში, ოომ დასაბუთებისათვის აუცილებელია საწყისი, პირველი. რაიმე დებულების დასაბუთება ნიშნავს იმას, რომ ამ დებულებას მოვუნახოთ წანამძღვრები — საფუძველი, რომელსაც ის ლოგიკურად ექვემდებარება, ე. ი. რომლითაც ის საბუთდება. დასაბუთებული დებულების საფუძველი სრულიად საკმაო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ყოველი საფუძველი, წანამძღვარი თვითონ არის გარკვეული დებულება თუ დებულებები, რომელსაც თავის მხრივ ესაჭიროება დასაბუთება, ე. ი. მისთვის აუცილებელია საფუძველი, საფუძვლის მონახვა, და ასე შემდეგ. მაგრამ საფუძვლის ხაზით მიმავალი გზა დასაბუთებისა არ შეიძლება გრძელდებოდეს უსასრულოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთი დებულება არ იქნებოდა დასაბუთებული. დასაბუთება და მეცნიერება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა[1]. ამიტომ საფუძვლისკენ მიმავალ გზას უნდა ჰქონდეს საზღვარი, დასაბუთება შეიძლება იყოს მხოლოდ სასრული ხასიათის, დასაბუთება შეუძლებელია უთავბოლო იყოს. მას თავიც უნდა ჰქონდეს და ბოლოც; უნდა ჰქონდეს საწყისი.

აქ ორი სიძნელე იჩენს თავს: 1) დასაბუთების გზა საფუძვლისკენ მიმავალი გზაა, მაგრამ საფუძვლისკენ წასვლა, შედეგიდან საფუძვლის დადებითი მიღება შეუძლებელია, ფიქრობდა არისტოტელე, და მის შემდეგ მთელი ფორმალური ლოგიკაც ამ აზრს იცავს.

---

[1] იხ. არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წიგნი I, თავი მე-3.

2) თუ საფუძველი ახალ საფუძველს საჭიროებს, მაშინ მოქმედების მოთხოვნა, რომ დაუსაბუთებელი არ უნდა ავიღოთ საფუძვლად: ეს მაშინ, როცა, როგორც ეს შემდეგ გახდება ნათელი, არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საფუძველი, როგორც მისი საწყისი, შეუძლებელია არ იყოს დაუსაბუთებელი დებულება

თუ დასაბუთების საწყისი დასაბუთებული იქნება, მაშინ იგი არ შეიძლება იყოს საწყისი, პირველი, რადგან დასაბუთებისათვის პირველი, საწყისი, ეს იქნება წანამძღვარი — საფუძველი იმისა, რაც საბუთდება და არა თვითონ ის, რაც საბუთდება. არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საწყისი არ შეიძლება თვითონ იყოს დასაბუთებული, ის აუცილებლად დაუსაბუთებელ დებულებას უნდა წარმოადგენდეს.

დასაბუთების დაუსაბუთებელი საწყისი უნდა იყოს არა რეალური, არამედ სწორედ ლოგიკური საწყისი; ის უნდა იყოს გარკვეული აზრი, რომელიც ლოგიკურად პირველია დასაბუთებისათვის. მაგრამ დასაბუთების ლოგიკური საფუძვლის მონახვა, ეს ხომ დასაბუთების დასაბუთების ცდას წარმოადგენს? დასაბუთების დასაბუთება კი შეუძლებელია, ფიქრობს არისტოტელე. დასაბუთება დებულებათა ლოგიკური გამართლებაა; ამ გამართლებას, ცხადია, ლოგიკური ხასიათი აქვს, ასეთი გამართლების გამართლება, დასაბუთების დასაბუთება შეუძლებელია, რადგან დასაბუთება, რომელიც დასაბუთებას დაასაბუთებს — გაამართლებს, თვითონაც ხომ დასაბუთება იქნება? (აქ, ცხადია, ლაპარაკია არა რომელიმე დასაბუთების, არამედ საერთოდ დასაბუთების, როგორც ასეთის შესახებ). ამიტომ დასაბუთების დასაბუთების ცდა, ეს იქნება დასასაბუთებელისათვის ბოლოდ ადგილის შეცვლა, რომელიც უსასრულობაში გაგრძელდება. ამის გამო, ფიქრობს არისტოტელე, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დაუსაბუთებელი დებულება (დებულებები), მაგრამ ისეთი, რომელიც დასაბუთებას არ საჭიროებს და დასაბუთებას ამართლებს, — შესაძლებელს ხდის დასაბუთებას, ცოდნას როგორც სისტემას.

ამრიგად, პრობლემის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ: თუ უარყოფილი იქნება დასაბუთების დასაბუთების მცდარობა, მაშინ საწყისად დაუსაბუთებელი უნდა იქნეს აღებული, მაგრამ დაუსაბუთებელი როგორ შეიძლება დასაბუთების გამმართლებელი იყოს?

ანტიკური დროის სკეპტიკოსებმა აღნიშნეს არისტოტელეს ახლახან გარჩეული აზრის მრავალი შეუძლებლობა, მიუთითეს სიძნელეებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა არისტოტელეს თეორიაში და რომლებიც მათ გამოიყენეს საერთოდ დასაბუთების უარსაყოფად.

ძველი სკეპტიკოსები („ახალი ტროპები") აღნიშნავდნენ, რომ: 1) ყოველი დებულება განსაზღვრული შინაარსის დებულებაა, ამიტომ მისი დასაბუთება შესაძლებელიცაა და აუცილებლად საჭიროც, მაგრამ მისი დამსაბუთებელი დებულება (დებულებები) — საფუძველი სხვა საფუძველს საჭიროებს და ასე შემდეგ უსასრულოდ. ამ ხაზით არ არსებობს მყარი დასაყრდენი, ე. ი. ისეთი დებულება, რომელიც საფუძველს (დამსაბუთებელ წანამძღვარს) არ საჭიროებდეს. ამდენად, უსასრულობაში რეგრესის შეჩერება არ შეიძლება; უსასრულობაში რეგრესი კი, როგორც ამას არისტოტელეც აღნიშნავდა, დაუსაბუთებლობას, დასაბუთების არარსებობას, შეუძლებლობას ნიშნავს. მაშასადამე, დასაბუთება შეუძლებელია. 2) უსასრულობაში რეგრესის შეჩერებას დოგმატიკოსები (მაგალითად, არისტოტელე, სტოელები) ცდილობენ აქსიომით, დასაბუთების სათავეში სვამენ აქსიომას. მაგრამ ყოველი აქსიომა არის რაიმე — განსაზღვრული შინაარსის მქონე დებულება, რომლის საწინააღმდეგოც ყოველთვის შესაძლებელია. თუ შესაძლებელია რაიმე დებულების აქსიომად მიღება, მაშინ, ამავე უფლებით (თუ უუფლებობით) შეიძლება აქსიომად აღებულ იქნეს საწინააღმდეგო დებულებაც. ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებებს ერთნაირი უფლებით შეუძლიათ შეასრულონ აქსიომის როლი. ამიტომ დასასაბუთებელი ხდება ის, თუ აქსიომად რომელი დებულება უნდა იქნეს აღებული. ეს გარემოება კი შეუძლებელს ხდის აქსიომას როგორც ასეთს. 3) შეიძლება თუ არა აცილებულ იქნეს: ა) დაუსაბუთებელი დებულების გამოსავალ დებულებად მიღება და ბ) უსასრულო რეგრესი დასაბუთებაში? ამის შესრულებას დოგმატიკოსები ცდილობენ ურთიერთდასაბუთებით, წრიული დასაბუთებით, სახელდობრ, საფუძვლად აღებული დებულების იმ დებულების საშუალებით დასაბუთებით, რომელიც ამ საფუძვლით უნდა დასაბუთებულიყო, მაგრამ ეს უკვე გამოუვალი წრეა და არა დასაბუთება. მაშასადამე, დასაბუთება საერთოდ შეუძლებელია, ასკვნიდნენ სკეპტიკოსები.

აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ძველი დოგმატიკოსებისა და სკეპტიკოსების დავამ დასაბუთების საწყისის პრობლემის სიძნელე თითქმის მთელი სისრულით გამოააშკარავა და რომ პრობლემა პრობლემად დარჩა ახალი დროისათვის.

ზემოთ აღნიშნული სიძნელე დედუქციური დასაბუთების საწყისს სიძნელეს წარმოადგენს, ე. ი. აღნიშნული სიძნელე ძალაშია, თუ დასაბუთებას დედუქციურ დასაბუთებას გავუიგივებთ და დედუქციის საწყისებს დასაბუთების ერთადერთ საწყისებად ჩავთვლით. დედუქციური დასაბუთების სიძნელე შეიძლება აუქმებდეს დედუქციურ დასაბუთებას,, მაგრამ არა საერთოდ დასაბუთებას. ახალ დროში სწორედ ინდუქციური ლოგიკა, ინდუქციური ლოგიკის მიმდევრები (მაგ., ბეკონი, მილი) ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ინდუქციური მეთოდის ერთადერთობა და უარეყოთ დედუქციური მეთოდი ან მისი აბსოლუტურობა.—სწორედ იმ სიძნელის ჩვენებით, რომელიც, მათი აზრით, დედუქციას შიგნიდან ანგრევდა.ეს არის სიძნელე petitio principii, ან გამოუვალი წრე, რომელიც დედუქციისათვის არის დამახასიათებელი. თუ ყველა ადამიანი მოკვდავია და სოკრატე ადამიანია, მაშინ სოკრატეც მოკვდავი იქნება, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ყველა ადამიანი და ყველა ადამიანის მოკვდაობა სოკრატესაც და მის მოკვდაობასაც გულისხმობს, ე. ი. დანასკვი უკვე წანამძღვარშია ნაგულისხმევი, ამიტომ ის ზედმეტი ხდება, რადგან ის წინასწარვეა ნაგულისხმევი საფუძველში, რომლითაც დანასკვი უნდა დასაბუთდეს: დასაბუთებული დამსაბუთებელშია ნაგულისხმევი, ამიტომ აქ არაფერი არ საბუთდება. ზოგადიდან უნდა გამოვიდეს კერძო, მაგრამ ეს კერძო უკვე წინასწარვეა ზოგადში ნაგულისხმევი. ამიტომ დედუქციური დასკვნის საწყისი არ უნდა იყოს საწყისი, რადგან ის იმას გულისხმობს წინასწარ, რის საწყისიც ის უნდა იყოს. ყველა ადამიანი წინასწარ გულისხმობს სწორედ ყველას, ე. ი. რაც ამ ყველას ვიერ იგულისხმება — ყველა ერთეულს.

დედუქციის ამ სიძნელიდან ასკვნიდნენ ინდუქციის, ინდუქციური დასაბუთების ერთადეროობაზე; დედუქცია ინდუქციას ემყარება, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ინდუქციური დასაბუთების საწყისი.

სანამ ინდუქციური დასაბუთების საწყისს შევეხებოდეთ, მანამ აღვნიშნოთ კიდევ ორი ნაკლი, რომლებიც დედუქციური მე-

თოდისათვისაა დამახასიათებელი. უფრო ზუსტად — აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც იწვევს დედუქციური მეთოდის დასაბუთების ერთადერთ მეთოდად აღიარება.

დედუქციური დასაბუთების საწყისად მიიჩნევენ ინტუიციურ დებულებას. ინტუიციურობა უშუალო სიცხადეა, რომელსაც აქსიომა ემყარება. მაგრამ ყოველგვარი ინტუიცია სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა; ლოგიკური დასაბუთებიდან უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ფსიქოლოგიური, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკურს საერთოდ აღარ ექნება აღგილი. ლოგიკურს ობიექტურობა უნდა ახასიათებდეს, ფსიქოლოგიურობა კი წმინდა სუბიექტურობაა, რასაც, ცხადია, ლოგიკურ დასაბუთებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ფსიქოლოგიზმის ყველაზე დიდი მტრები ჩვეულებრივ თვითონ ვარდებიან ფსიქოლოგიზმში (მაგ., ჰუსერლი), როცა პირველადობას ინტუიციას აკუთვნებენ. არავითარი ინტუიცია არ შეიძლება იყოს თავდები ჭეშმარიტებისა თუ დასაბუთებისათვის, რადგან ინტუიცია მხოლოდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას წარმოადგენს. ამ აზრით, ინტუიციას არავითარი ლოგიკური ღირებულება არ აქვს.

თუ ინტუიციას გავიგებთ ისე, რომ რაიმეს უშუალო სიცხადე ამ რაიმეს უარყოფის შეუძლებლობას ნიშნავს, მაშინ ჩვეულებრივი დედუქციის ფარგლებს გარეთ გავდივართ და თავისებურ დასაბუთებას ვაღიარებთ (ამაზე ქვემოთ).

დედუქციური დასაბუთების საწყისის პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას ცდილობს კონვენციონალიზმი. დასაბუთება შეუძლებელია გამოსავალი, საწყისი დებულების (დებულებების) გარეშე. ყოველი დებულება, მათ შორის დასაბუთების საწყისი დებულებაც, საჭიროებს საფუძველს, მაგრამ ეს საფუძველი როგორც გამოსავალი დებულების გამმართლებელი, უკვე ხსნის მას, რადგან თვითონ ხდება გამოსავალი, საწყისი. დასაბუთების საწყის დებულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაიმე გარკვეული დებულებაც და მისი საწინააღმდეგოც, მაგალითად, დებულებანი პარალელობის შესახებ ევკლიდთან და ლობაჩევსკისთან: ამიტომ არ არსებობს ობიექტური საფუძველი აქსიომების არჩევისა. ერთადერთი შესაძლებლობა ასეთი არჩევისა შეიძლება იყოს მხოლოდ შეთანხმება, რომელსაც თვითნებური ხასიათი აქვს.

დასაბუთების საწყისის პრობლემის კონვენციონალისტური „გადაწყვეტა“ პრობლემას ნამდვილად კი არ წყვეტს, არამედ კიდევ უფრო ართულებს. თუ პრობლემას ფილოსოფიის, სახელდობრ, კატეგორიალურობის სიბრტყეზე განვიხილავთ, მაშინ დასაბუთების საწყისის პრობლემა კონვენციონალიზმის ხელში ასეთ საკითხებს ბადებს: 1) თუ აქსიომის (აქსიომების) არჩევას ვახდენთ შეთანხმების საფუძველზე, მაშინ გამოდის, რომ აქსიომებს და მათ არჩევას რაღაც საფუძველი აქვს; შეთანხმება აქსიომების გამმართლებელის როლში გამოდის. თუ შეთანხმებით ავირჩევთ ამ და არა სხვა დებულებებს, როგორც აქსიომებს, მაშინ სწორედ შეთანხმება იქნება მათი განმსაზღვრელი საფუძველი. თუ აქსიომას რაიმე ლოგიკური საფუძველი აქვს, მაშინ, ცხადია, იგი, როგორც აქსიომა, მოხსნილია, გაუქმებულია. რასაც რაიმე საფუძველი სჭირდება, ის არ შეიძლება იყოს პირველი, საწყისი. აქსიომის ასეთი, საფუძველი ლოგიკურია, თუმცა არა წანამძღვარი ფორმალურ-ლოგიკური კაგებით. შეთანხმება, როგორც რაღაც საფუძველი აქსიომისა, „რაიმეს“ როგორც კატეგორიის, გარკვეული ცნების სფეროში ძევს — თუ აქსიომის საფუძველს შეთანხმება წარმოადგენს, მაშინ 2) თვითონ შეთანხმებას სჭირდება რაღაც სხვა საფუძველი. რომ შესრულდეს შეთანხმება, ამისათვის საჭიროა ის, რის გამოც უნდა შევთანხმდეთ; უნდა არსებობდეს რაღაც, რომელიც შეთანხმების პირობად გამოდგება; შეთანხმება აუცილებლობით მოითხოვს ობიექტურ საფუძველს. რაც ობიექტურ საფუძველს მოითხოვს და საჭიროებს, ის, ცხადია, არ შეიძლება იყოს პირველი. შეთანხმების ასეთი საფუძველი, ცხადია, არ შეიძლება იყოს კიდევ შეთანხმება. ეს ლოგიკურად გამოუვალ მდგომარეობას შექმნიდა. 3) თუ შეთანხმების საფუძვლად აღებული იქნება თვითნებობა, მაშინ სრულიად ავცდებით ლოგიკის სფეროს და წმინდა სუბიექტივიზმში გადავეარდებით (დინგლერის დეცერნიზმი, კარნაპის „შემწყნარებლობის პრინციპი“ და სხვ.), მივალთ ლოგიკის უარყოფამდე. 4) აღსანიშნავია ისიც, რომ შეთანხმება აუცილებლობით მოითხოვს შესათანხმებელს, იმას, რისთვისაც ვახდენთ შეთანხმებას. სწორედ ამიტომ სხვადასხვა სისტემა სხვადასხვა აქსიომას მოითხოვს. შეთანხმება მოითხოვს შესათანხმებლებს, როგორც საფუძველი შედეგს, მაგრამ ისე, რომ შედეგი საფუძვლის გამმართლებლის როლში გამოდის, მაშინ როცა პირიქით უნდა მოხდეს. მაშასადამე, კონვენციო-

ნალიზმი დასაბუთების პრობლემას არა თუ ვერ წყვეტს, არამედ სრულიად აბნევს.

ყოველგვარი პოზიტივიზმი მეცნიერული ცოდნის საწყისად თვლის შეგრძნება-აღქმებს (თუ ატომარულ ფაქტებს). აქაც მრავალი გადაუწყვეტელი სიძნელე იჩენს თავს. შეგრძნება-აღქმებში შეცდომების არსებობა უკვე აუქმებს მათზე დამყარებულ დებულებათა იმ თვისებას, რომლის გამოც ისინი მეცნიერებისა და დასაბუთების უტყუარ საყრდენად უნდა გამოდგნენ.

მაგრამ თუ ამ გარემოებას მხედველობაში არ მივიღებთ და აღქმებიდან გამოსული მივმართავთ ინდუქციის მეთოდს (შეგრძნება-აღქმების საწყისად აღება, ლოგიკურად, ერთეულის საწყისად აღებას ნიშნავს), მაშინ თვითონ ინდუქცია, რომელიც დედუქციის ზემოთ წარმოებული კრიტიკის საფუძველზე, დასაბუთების ერთადერთ მეთოდად ჩანს, წანამძღვართა ორმაგობას—ორმაგ წანამძღვრებს უნდა დაემყაროს, ისე რომ ეს წანამძღვრები ერთიმეორეს მოითხოვენ გამმართლებელ საფუძვლად. ამით ჰქმნიან ლოგიკურ წრეს. ინდუქციური დასკვნების წანამძღვრები ერთეულობას წარმოადგენს, ე. ი. საწყისი, გამოსავალი არის ერთეული; გადასვლა ხდება ერთეულიდან ზოგადზე, ე. ი. იმაზე, რაც ერთეულის საფუძვლად მდებარეობს, რაც გაგებულია როგორც ერთეულისათვის გამოსავალი საფუძველი. ინდუქციაში ზოგადი გაგებულია, როგორც ერთეულის საფუძველი (ისე როგორც დედუქციაში). ამიტომ ერთეულიდან ზოგადზე გადასვლას, როგორც დასკვნას, რედუქციული ხასიათი აქვს (ჯერ კიდევ ზიგვარტს მიაჩნდა ინდუქცია რედუქციის სახეობად).

მაშასადამე, ინდუქციისათვის დამახასიათებელია ერთგვარი წრიულობა: გამოსავალი საფუძველი არის ერთეული, რომელიც ზოგადს უნდა ამართლებდეს, ზოგადი კი გაგებულია როგორც ერთეულობის გამმართლებელი საფუძველი. ამ წრიულობას, როგორც ცნობილია, ინდუქციის მცდარობად მიიჩნევენ.

რადგან ინდუქციაში ზოგადი გაგებულია როგორც ერთეულის გამმართლებელი საფუძველი, ერთეულიდან ნამდვილ ზოგადზე გადასვლა არ არის სრული ლოგიკური აუცილებლობის მქონე, ამიტომ ინდუქციას ალბათურ დასკვნად, არასრულფასოვან დასკვნად თვლიან.

ამ გარემოებათა გამო ინდუქციას, როგორც დასაბუთების მეთოდს, უარყოფენ. ლოგიკური წრიულობა შეცდომაა და ამიტომ ინ-

დუქციას, როგორც სწორედ წრიულობის შემცველს, ცვლიან დედუქციით; ამ უკანასკნელ მეთოდს მიიჩნევენ დასაბუთების ერთადერთ სწორ მეთოდად. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დედუქციასაც მცდარად თვლიან, სწორედ მასში არსებული ლოგიკური წრიულობის გამო.

დედუქციის მცდარობის საფუძველზე ინდუქციას ამართლებენ და პირიქით, ინდუქციის მცდარობით დედუქციის გამართლებას ცდილობენ. უარყოფენ დედუქციის საწყისს, როგორც დასაბუთების ერთადერთ საწყისს. ადგილი აქვს ინდუქციის საწყისის უარყოფასაც. ამავე დროს, ერთიც აღიარებულია და მეორეც. დასაბუთების საწყისის პრობლემა, მართლაც, რთულ პრობლემად არის წარმოდგენილი.

დედუქციისა და ინდუქციის ნაკლოვანებათა თუ შეზღუდულობათა გამო მიმართავენ რედუქციის მეთოდს, რედუქციულ დასაბუთებას, რედუქციას ხან ინდუქციის გვარად თვლიან, ხან რედუქციულობას დედუქციაშიც პოულობენ, ხან კი დამოუკიდებელ მეთოდად, სახელდობრ ფილოსოფოსობის მეთოდად წარმოადგენენ (ინდუქცია-დედუქციას კი — სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდებად). რედუქციული დასაბუთება საწყისზე მისვლაა. უკან საფუძველზე მიყვანაა, შედეგის საფუძველში გამართლებას წარმოადგენს. რედუქციული გზა — გზა საწყისისაკენ წინასწარ გულისხმობს საწყისს და მისგან გამოსვლას, გზას, რომელიც რედუქციის შებრუნებული გზაა. ამიტომ აქ ადგილი აქვს ლოგიკურ გაურკვევლობას. აქ მეორდება დედუქცია-ინდუქციის შეცდომებიც და კიდევ ახალი შეცდომაც ემატება. სახელდობრ, ის, რომ საფუძველზე მისვლა საფუძვლიდან გამოსვლას წინასწარ უშვებს და მას იმყარება. ამასთანავე, საწყისამდე მიყვანა გულისხმობს მეორე საწყისსაც, სახელდობრ, იმას, საიდანაც წარმოებს მიყვანა. ეს კიდევ ახალი გაურკვევლობაა რედუქციის მეთოდისა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რედუქციის თეორიებმა ვერ მოახერხეს რედუქციულობის წარმოდგენა დასკვნის სახით, ვერ აღმოაჩინეს რედუქციული დასკვნები, სადაც დასაბუთების რედუქციული მეთოდი ჰპოვებდა გამართლებას.

რედუქციულობა ახასიათებს აქსიომატურ მეთოდს, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში, კერძოდ, მათემატიკასა და მათემატიკურ ლოგიკაში ფართოდ არის გამოყენებული. რომელიმე მეცნიერების ფორმალიზაცია სწორედ აქსიომატური მეთოდის გამოყენე-

ბას ნიშნავს. აქსიომატური მეთოდის გამოყენებისას ამა თუ იმ ცოდნის შინაარსი დაჰყავთ აქსიომებზე, საიდანაც ანალიზურად გამოდის ყველაფერი. ყველაფერს წინასწარ აქსიომებში გულისხმობენ და ასეთი საწყისიდან ყველაფრის გამართლებას ცდილობენ. აქსიომატური მეთოდის გამოყენების ნიმუშს იძლევა გეომეტრია, მაგრამ გეომეტრიის აქსიომები ლოგიკურ აქსიომებს სრულიადაც არ წარმოადგენენ. მათემატიკის, როგორც მთლიანი მეცნიერების, აქსიომატიზაცია ვერ მოხერხდა. არითმეტიკაც ვერ იქნა ფორმალიზებული. მათემატიკის ფორმალიზაციამ მოითხოვა მეტა-მათემატიკა და მეტამეტამათემატიკა, რამაც ლოგიკური სიქნელეები კიდევ უფრო გაამრავლა. ლოგიკაში აქსიომატური მეთოდის გამოყენება შესაძლებელი გახდა ლოგიკის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილისადმი, მაგრამ მთელი ლოგიკის ფორმალიზება ვერ მოხერხდა. საჭირო გახდა მეტა- და მეტამეტალოგიკა. ლოგიკის ფორმალიზაციის ცდამ მას დაუკარგა ფილოსოფიური ხასიათი; ფორმალიზებული ლოგიკა მათემატიკურ მეცნიერებად გადაიქცა, ე. ი. ლოგიკა როგორც ზოგადფილოსოფიური დარგი უარყოფილი გამოცდა, რაც ლოგიკის მეცნიერების კრიზისის მომასწავებელია.

თუ რომელიმე კერძო მეცნიერების აქსიომატური აგება შესაძლებელია, შეუძლებელი უნდა იყოს ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, აქსიომატიზაცია-ფორმალიზაცია. კერძო მეცნიერება ფაქტურად დამყარებულია დაუსაბუთებელ წანამძღვრებზე; ყოველი კერძო მეცნიერება ეშყარება მასში დაუსაბუთებლად აღებულ ფილოსოფიურ კატეგორიებს, მაგრამ ფილოსოფიისა და ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, საწყისი დებულებები არ შეიძლება დაუსაბუთებლად იქნენ აღებულნი. ისინი აუცილებლად უნდა დასაბუთდნენ, მაგრამ არა სხვა მეცნიერებაში, რადგან ფილოსოფიაზე უფრო ზოგადი მეცნიერება არ არსებობს. ფილოსოფიის, კერძოდ, ლოგიკის საწყისი დებულებანი დასაბუთება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში ყველაფერი დაუსაბუთებელი დარჩება. ერთი სიტყვით, ლოგიკის საწყისი დებულებები უნდა დასაბუთდეს თვითონ ლოგიკაშივე. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისი დებულების დასაბუთება უნდა მოხერხდეს ისე, რომ უსასრულობაში რეგრესი იქნეს თავიდან

აცილებული. ეს არის ერთგვარი სიძნელე. რომლის გადაწყვეტა შეუძლებლად იყო მიჩნეული ლოგიკის ისტორიის მთელ მანძილზე.

ხომ არ არის შესაძლებელი დასაბუთების, როგორც სისტემის, საწყისი დასაბუთდეს მთელი სისტემის შედეგად, ე. ი. ხომ არ შეიძლება დასაბუთებას მიეცეს წრიული ხასიათი, სადაც დასაწყისი, როგორც გამოსავალი, დასაბუთდება ბოლოს, მთელი სისტემის შედეგად. მაგრამ ისე, რომ ლოგიკური წრის შეცდომაც იქნება თავიდან აცილებული? ხომ არ შეიძლება დასაბუთების, როგორც სისტემის, თავი და ბოლო ერთი და იგივე იყოს, — დასაბუთების პროცესი, როგორც წინსვლა, ამავე დროს, იყოს უკანდაბრუნებაც პირველი საწყისისაკენ? სწორედ ასეთი გზა აირჩია გერმანულმა იდეალიზმმა (ფიხტე, ჰეგელი). ფიხტეს Tathandlung -ი, რომელიც სისტემის საწყისია, ყოველი დებულების საფუძველსაც წარმოადგენს; ეს საფუძველი უნდა განხორციელდეს სისტემაში, მაგრამ ფიხტემ სისტემის ბოლოს იდეა მოათავსა, ე. ი ბოლო ვერ დაამთხვია საწყისს. ამიტომ ჰეგელმა, უარყო რა კანტისა და ფიხტეს იდეა რეალურად მიუღწეველი, იდეაში ცნება და რეალობა ერთიმეორეს გაუიგივა. ამით დასაწყისი და ბოლო — არსი და იდეა ერთი და იგივე გამოუვიდა; მაგრამ მან თავიდან ვერ მოიშორა დასაბუთების წრიულობის ის ნაკლი, რომელიც ჯერ კიდევ ფიხტემ აღნიშნა, სახელდობრ, ის, რომ დასაწყისის და ბოლოს დამთხვევა მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ სისტემა შეიძლება იყოს სწორი, მაგრამ არა იმას, რომ იგი აუცილებლად სწორია; დასაწყისის და ბოლოს დამთხვევა, ე. ი. სისტემის ასეთი ერთიანობა სისტემის სისწორის უარყოფელი დასაბუთებაა და არა დადებითი, თვითონ ეს ერთიანობა შეიძლება იყოს შემთხვევითი ხასიათისა, რომელიც შედეგია არასწორი ინტუიციებისა.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფიხტეს და ჰეგელს ცდა დასაბუთების საწყისის აღმოჩენისა. ეს იყო ცდა ასეთი საწყისის აღმოჩენისა, რაც მთელი დასაბუთების მთლიანობას უდრიდა ისე, როგორც მთელი სინამდვილეა თავისი თავის მიზეზი. ასევე დასაბუთება, როგორც სისტემა, თავის თავს ემყარება, არის causa sui. ეს გარემოება ფიხტესთან ძლიერი, მაგრამ განუხორციელებელი ტენდენციის ხასიათის იყო. ჰეგელთან კი იგი თავისებურად განხორციელდება, რაც გაადვილა აზრისა და არსის გაიგივებამ, ე. ი. ეს განხორციელება შესრულდა შეცდომის საფუძველზე. ჰეგელმა ეს-

ტაფიზიკა, შემეცნების თეორია და ლოგიკა ერთიმეორეს დაუპირისპირა სწორედ არსისა და აზრის გაიგივების საფუძველზე და ამით სისტემა გაუიგივა აბსოლუტს, მისთვის აბსოლუტია საწყისიც, განვითარების ყოველი საფეხურიც, ბოლოც და მთელი სისტემაც.

ერთი სიტყვით, დასაბუთების საწყისის პრობლემა ისევ პრობლემად დარჩა, თუმცა იდეალისტური დიალექტიკა ამ პრობლემის გადაწყვეტასთან ახლოს მივიდა; ხელისშემშლელ გარემოებას იდეალიზმი წარმოადგენდა. ნათელი გახდა ის, რომ იდეალიზმის უარყოფა და მატერიალისტური დიალექტიკის ჩამოყალიბება, მეცნიერული დიალექტიკის თეორია შესძლებდა ამ რთული, საუკუნეების მანძილზე სადავო პრობლემის გადაწყვეტას. იდეალისტური .დიალექტიკის მატერიალისტური დიალექტიკით შეცვლა, მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბება აღნიშნული პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას უზრუნველყოფს. დასკვნისა და დასაბუთების ბუნების დიალექტიკური გაგება, — დასკვნისა და დასაბუთების დიალექტიკური ბუნების აღმოჩენა უშუალოდ მიუთითებს გზას აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნათელყოფილი.

სანამ დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტას შევუდგებოდეთ, მანამ შეეცადოთ დავახასიათოთ ის ნიშნები, რომლებიც დასაბუთების საწყისს უნდა ახასიათებდეს. მასალად გამოვიყენოთ არისტოტელეს დებულებები, რადგან: 1) არისტოტელეს აზრი, რომ დასაბუთების საწყისი არის დაუსაბუთებელი დებულება— აქსიომა გაბატონებული აზრია ლოგიკის ისტორიის მთელ მანძილზე, მით უმეტეს — თანამედროვე ლოგიკურ თეორიებში; 2) ამით ისიც იქნება ნაჩვენები, რომ ძველი ლოგიკის განვითარების ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, ეს არის დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბების გზა.

დასაბუთების საწყისის ზოგიერთი ნიშნის შესახებ

დასაბუთების საწყისის ბუნებას თვითონ დასაბუთების ბუნება განსაზღვრავს. როგორც ესმოდათ დასაბუთების ბუნება, ისე ჰქონდათ გაგებული თვითონ საწყისი დასაბუთებისა. დასაბუთების საწყისის ნიშნები უშუალოდ გამომდინარეობენ დასაბუთების ბუნებიდან.

1. დასაბუთების საწყისის აუცილებლობა და მისი თანისდაყოლება

თუ დასაბუთებას არ აქვს საწყისი, მაშინ ის შეუძლებელია. უსაწყისო დასაბუთების უსასრულობა, ამავე დროს, არის უსრულობაც, გაურკვევლობაც. მაშინ როცა დასაბუთება სრულ გარკვეულობას უნდა წარმოადგენდეს. გაურკვეველი დასაბუთების ცნება თავის თავს აუქმებს.

არისტოტელეს აზრით, დასაბუთება განსაზღვრულია, მისთვის აუცილებელია საწყისი. დასაბუთების შესახებ ლაპარაკის დროს აუცილებლად უნდა გვქონდეს მხედველობაში სამი რამ: 1) საგნის პირველი არსება, 2) კატეგორიები და 3) დასაბუთება. დასაბუთება მოთავსებულია საგნის პირველ არსებასა და კატეგორიებს შუა, ამიტომ იგი სწორედ ამ ორი რაიმეთი არის განსაზღვრული[1]. კატეგორიები და პირველი არსება დასაბუთების საზღვრებს წარმოადგენენ, ამიტომ დასაბუთება სრულიად განსაზღვრული და გარკვეულია. დასაბუთება დასრულებულია პირველი არსებით და კატეგორიებით. დასაბუთება სრულიად სასრული ხასიათისაა.

---

[1] იხ. არისტოტელეს „კატეგორიები", a 5; „პირველი ანალიტიკა", წიგნი I, თავები 27-30.

არისტოტელე სვამს სამ კითხვას: 1) „თუ დავიწყებთ იქიდან, რაც თვითონ სხვას არაფერს არ ეკუთვნის, მაგრამ სხვა მას ეკუთვნის, — შეიძლება თუ არა წავიდეთ შემდეგ ზემოთ უსასრულოდ?". 2) „თუ დავიწყებთ იქიდან, რაც თვითონ სხვას მიეწერება, მაგრამ მას არაფერი არ მიეწერება, — შეიძლება თუ არა წავიდეთ შემდეგ უსასრულოდ ქვემოთ?". 3) „შეიძლება თუ არა საშუალო ტერმინები იყოს უსასრულო, მაშინ როცა კიდურები განსაზღვრულია?"[1].

პირველი კითხვა, სხვანაირად, ასე შეიძლება გამოითქვას: არსებობს თუ არა ზემოთ (ზოგადის მხრივ) პირველი? პასუხი ასეთი იქნება: არსებობს პირველი, უზოგადესი; ეს არის კატეგორიები. არისტოტელე „პირველს" ასე განსაზღვრავს: „პირველი მე მესმის როგორც ის, რაც თვითონ მიეწერება სხვას, მაგრამ თვითონ მას არაფერი არ მიეწერება". მეორე კითხვა ღებულობს ასეთ სახეს: არსებობს თუ არა უკანასკნელი ქვემოთ (ერთეულობის მხრივ)? პასუხი ასეთია: არსებობს უკანასკნელი; ეს არის საგნის პირველი არსება. არისტოტელე ამბობს, რომ „უკანასკნელი მე მესმის როგორც ის, რაც თვითონ არ ეკუთვნის არაფერს სხვას, მაგრამ თვითონ იმას სხვა ეკუთვნის"[2].

მაშასადამე, არსებობს საზღვარი როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან; ზემოდან ასეთი საზღვარი არის უზოგადესი, ქვემოდან კი — ერთეული. არსებობს პირველი და უკანასკნელი, რომელთა შორისაც მოთავსებულია დასაბუთება, ამდენად ის განსაზღვრულია. საშუალო ტერმინებიც არ არის უსასრულო, რადგან „არც ერთი საშუალო ტერმინი არ გადის კიდურთა საზღვრებს გარეთ"[3].

საშუალო ცნებები განსაზღვრულია იმ მხრივაც, რომ განსაზღვრება, რომელიც საშუალო ცნებას ადგენს, არ შეიძლება ეხებოდეს უსასრულობას. განსაზღვრება გამოთქვამს საგნის არსებას, უსასრულო კი არ განისაზღვრება, ფიქრობდა არისტოტელე. „ის, რაც შედის საგანთა არსებაში, არაა უსასრულო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა მათი განსაზღვრება"[4]. „...არსება, რომელსაც მივაწერთ უსასრულოს, შეუძლებელი იქნებოდა

---

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წიგნი I. თ. 19, 81 b 22—82 a 7.
[2] იხ. იქვე, 82 a 26 — 82b 6.
[3] იქვე, თავი 22, 84 b 35 — 85 a 15.
[4] იხ. იქვე, 84 a 7 — 84 a 30.

განგვესაზღვრა"[1]. „თუ შეიძლება განსაზღვრება, ანუ თუ შეიძლება შევიმეცნოთ საგნის არსის არსება (ეიდოსი), უსასრულობა კი შეუძლებელია გავლილ იქნეს, მაშინ აუცილებელია, რომ ისაზღვრებოდეს შემასმენელი, რომელიც ეხება იმას, რაც არის სახელდობი მოცემული საგანი"[2].

მაშასადამე, არისტოტელეს აზრით, დასაბუთებისათვის აუცილებელია სამი რამ: 1) რაც მიიღება როგორც არსებული, 2) აქსიომები, და 3) საგანთა თვისებები, რომლებიც მათ მიეწერებიან ან არ მიეწერებიან[3]. დასაბუთებისათვის აუცილებელია საგანი, საწყისები და თვითონ დასაბუთება. ყოველი დასაბუთება გამოდის რაიმედან, მიმართულია რაიმესადმი და ამხსნელია რაიმესი[4]. დასაბუთებისათვის აუცილებელია „ის, რასაც დასაბუთება ეხება, რაც საბუთდება და რის საფუძველზეც საბუთდება"[5], თვითონ „დასაბუთება არის რაღაც აუცილებელი"; „...თუ დასაბუთება მოცემულია, მაშინ შეუძლებელია, რომ საქმე სხვანაირად იყოს"[6].

აუცილებლობა უპირისპირდება შესაძლებლობას. აუცილებელი არის ის, რაც არ შეიძლება იყოს სხვანაირად[7]. შესაძლებელი კი არის ის, რაც შეიძლება იყოს სხვანაირად[8].

თუ რაიმეს დასაბუთების აუცილებლობა სხვის შეუძლებლობას უდრის, მაშინ დასაბუთების არსებას უნდა წარმოადგენდეს წანამძღვრებიდან დანასკვის გამოყვანის, საფუძვლის შედეგთან კავშირის აუცილებლობა. როგორია ეს აუცილებლობა? ანალიზურია იგი; თუ სინთეზური? არისტოტელე, როგორც ამას შემდეგაც გავარკვევთ, წინააღმდეგია დასკვნის ტავტოლოგიურობისა, ის მომხრეა დასკვნისა და დასაბუთების სინთეზურობისა. დასაბუთება იმას ნიშნავს, რომ: „თუ არის ერთი, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს

---

1 არისტოტელე, მეორე ანალიტიკა 83 a 37 — 83 b 23.
2 იქვე, 82 b 32 — 83 a 14.
3 იქვე, თ. 10.
4 არისტოტელე „მეტაფიზიკა" III, 2, 997 a 8-9.
5 „მეორე ანალიტიკა", წ. I თ. 10.
6 იქვე, თავი 6.
7 „მეტაფიზიკა", V, 5, 1015 b 7-8.
8 „პერი ჰერმენეიას", 12 b 24-26.

აგრეთვე სხვა"[1]. ასეთია ხომ დასკვნის ბუნებაც? „..სილოგიზმი კი არის გამოთქმა, რაშიც რაიმეს დადგენისას მისგან აუცილებლობით, გამომდინარეობს რაღაც განსხვავებული დადგენილისაგან და სწორედ იმის გამო, რომ ეს (პირველად დადგენილი. ს. წ.) არის"[2]. დასკვნა (სილოგიზმი) არის გამოთქმა (ლოგოსი), რაშიც, თუ მოცემულია გარკვეული დებულებები, მაშინ რაღაც სხვა, ვიდრე ეს დებულებები, მათგან გამომდინარეობს აუცილებლობით, ნათქვამია „ტოპიკაში"[3].

მაშასადამე, გამოდის ერთგვარი შეუსაბამობა: ერთი მხრივ, აუცილებელია ის, რაც სხვანაირად შეუძლებელია და მეორე მხრივ, კი აუცილებელია ის, რაც სწორედ სხვის მიღებაში მდგომარეობს. ეს, როგორც ცნობილია, არის სინთეზურ-ლოგიკურის სიძნელე, რომელიც არათუ არისტოტელეს არ გადაუწყვეტია (არც კი გაურჩევია), არამედ დღესაც ელის გადაწყვეტას.

ამრიგად, დასაბუთებაში რაიმედან აუცილებლობით გამოდის მისგან განსხვავებული, ისე, რომ რაიმე სხვა რაიმეს შესახებ მტკიცდება ან უარიყოფა (მსჯელობა). აქ განხორციელებული აუცილებლობა უნდა იყოს სხვანაირი, ვიდრე დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობა, თუმცა ამ უკანასკნელსაც ლოგიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს; დასაბუთების საწყისის პრობლემა დასაბუთების არა რეალური, არამედ სწორედ ლოგიკური საწყისის პრობლემაა.

ამდენად, არისტოტელესთან ერთიმეორისაგან გარჩეულია ორნაირი ლოგიკური აუცილებლობა: 1) მტკიცება-უარყოფის აუცილებლობა, როგორც დასაბუთების, დასკვნის აუცილებლობა, — დასაბუთებაში სხვის მიღების — სინთეზური აუცილებლობა; 2) საწყისის, როგორც სხვის, დასაბუთებისათვის სხვის აუცილებლობა. ორივე ეს აუცილებლობა ლოგიკურია და ამავე დროს სინთეზური.

ადვილი გასაგებია ის, თუ დასკვნასა და დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობა რატომ უნდა იყოს სხვის მიღების, სინთეზური აუცილებლობა, რადგან დანასკვის (შედეგის) წანამძღვრებიდან (საფუძვლიდან) გამოყვანა, ეს უნდა იყოს ახლის მიღება, როგორც ამას დასაბუთებისა და დასკვნის ბუნება (მათი გან-

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თ. 3.

[2] იხ. „პირველი ანალიტიკა", წ. I, თ. 1.

[3] „ტოპიკა", I, 1, 100 a 25-27 და შემდეგ.

საზღვრებები) მოითხოვს არისტოტელესთან. დასკვნითი გამოყვანა არ არის განმეორება. ეს არის ახლის აუცილებელი მიღება, სხვადასხვას გარკვეული კავშირი.

უფრო ძნელია იმის გაგება, თუ რატომ უნდა იყოს საწყისის აუცილებლობა დასაბუთებისათვის სხვის აუცილებლობა. დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური რამ, თავისი ბუნებით რატომ და რით უნდა განსხვავდებოდეს დასაბუთების ბუნებისაგან? არისტოტელეს აზრით, დასკვნა და დასაბუთება თავისი ბუნებით არის რთული, რთულის საწყისი კი მარტივი უნდა იყოს. როგორი ხასიათისაა დასაბუთების ბუნების სირთულე? ეს სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დასაბუთება სრულდება მტკიცება-უარყოფით (მსჯელობით), მაშინ როცა საწყისში მხოლოდ დადებითობას უნდა ჰქონდეს ადგილი, სახელდობრ, ისეთ დადებითობას, რომელიც უარყოფას არ უპირისპირდება, არამედ ასეთ დაპირისპირებას წინ უსწრებს და მის შესაძლებლობას, სწორედ მის საწყისს წარმოადგენს. „აუცილებელია, ამბობს არისტოტელე, მივიღოთ საწყისთა არსებობა, სხვა უნდა დასაბუთდეს". საწყისი პირველადია და აუცილებლად უნდა მივიღოთ. საწყისი აუცილებელია დასაბუთებისათვის, მაგრამ ეს აუცილებლობა არ არის გამოყვანის, დასკვნის აუცილებლობა, რომელიც მტკიცება-უარყოფაში ხორციელდება. საწყისი, თავისი ბუნებით, განსხვავდება იმისაგან, რაც დასაბუთებაშია მოქცეული, ფიქრობს არისტოტელე. მისი აზრით, საწყისი არის ის, რომლის შესახებაც არ შეიძლება დამტკიცდეს, რაც ის არის[1]. „საწყისი არის რაღაც მარტივი"[2].

ამრიგად, საწყისი არ უნდა იყოს დასაბუთების ბუნების, ე. ი. ის არ უნდა იყოს რაიმეს სხვა რაიმეზე მტკიცება-უარყოფა, არა, ის სწორედ ასეთი მტკიცება-უარყოფისათვის პირველი, საწყისი უნდა იყოს. დასაბუთების, როგორც რთულის, საწყისი უნდა იყოს მარტივი. თუ არის რთული, უნდა იყოს და არის (აუცილებლად) მარტივი. ეს არის შედეგიდან საფუძვლის მიღების აუცილებლობა, მაშინ როცა სილოგისტური დასკვნის აუცილებლობა საფუძვლიდან შედეგის მიღების აუცილებლობაა. ამ განსხვავებას ვერ გამოთქვამს ფორმა „თუ — მაშინ". დღემდე გაურკვეველი დარჩა რეგრესულ-დადებითი მოდუსი პირობით დასკვნებში.

[1] იხ. არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I. თავი 10; 76 a 22—76. a 42.

[2] იქვე, 84 b 35—85 a 15.

ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, თითქოს დასაბუთების საწყისის აუცილებლობა, რომელიც განსხვავდება არისტოტელეს სილოგისტური დასკვნის აუცილებლობისაგან, არ იყოს ლოგიკური ხასიათის. ეს არის თავისებური ლოგიკური აუცილებლობა, რომელსაც გამოკვლევა და გაფორმება სჭირდება.

დასაბუთებას მისი საწყისი აძლევს აზრს, რადგან საწყისის გარეშე დასაბუთება შეუძლებელია. მაგრამ საწყისის როლი დასაბუთების მიმართ ამით არ ამოიწურება; საწყისი დასაბუთებისათვის აზრის მიმცემია არა მარტო იმ გაგებით, რომ უსაწყისო დასაბუთება თავის თავს აუქმებს, არამედ იმ აზრითაც, რომ საწყისში მოცემულია ცოდნა (არსებობს ცოდნა დეფინიციაში და ლოგიკური კანონების ცოდნა. ამათ შესახებ შემდგომ გვექნება ლაპარაკი). რომელიც დასაბუთებაში სისტემის სახით წარმოსდგება, სისტემაში გაფორმდება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ საწყისი დასაბუთებას აძლევს შინაგან აზრს. დასაბუთება, სილოგიზმი ეხება არა გარეგან გამოხატულებას, არამედ სწორედ შინაგან აზრს; არისტოტელეს სიტყვებით: „დასაბუთება ეხება არა გარეგან გამოხატულებას, არამედ შინაგან აზრს, რადგან სილოგიზმი არ ეხება გარედან გამოხატულებას"[1].

საწყისის აუცილებლობა დასაბუთების შინაგანი აზრის აუცილებლობაა. საწყისი არის ცოდნის ის ელემენტი, რომელზედაც დაიყვანება დასაბუთება. არისტოტელეს „ანალიტიკების" აზრი ისაა, რომ არისტოტელესათვის ანალიზი არის დაყვანა რთულისა მარტივზე, პირველ ელემენტებზე და პრინციპებზე — საწყისებზე. საწყისი, პირველი ელემენტი დასაბუთებას შინაგან აზრს უნდა აძლევდეს, ამ მხრივ ამართლებდეს.

მაშასადამე, საწყისი უნდა იყოს ის, რასაც დასაბუთების შინაგანი აზრი წარმოადგენს, ან ის, რაც ასეთი არ არის, მაგრამ დასაბუთებისათვის შინაგანი აზრის მიმცემია, მაგრამ თვითონ არ არის დასაბუთების ბუნების. ამ ალტერნატივას გადაწყვეტა სჭირდება, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; აქ კი რამდენიმე დებულება უნდა წამოვაყენოთ, რათა პრობლემა გამახვილდეს და მისი გადაწყვეტის ზოგიერთი ნიშანი გამოჩნდეს.

ზემოთ მოვიყვანეთ არისტოტელეს აზრი იმის შესახებ, რომ დასაბუთებას საზღვარი აქვს როგორც „ზემოდან", ისე „ქვემოდან"; ზემოდან საზღვარი კატეგორიებია, ქვემოდან კი — საგნის

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ I, თ. 10.

არსების გამომთქმელი განსაზღვრება, რომელიც სწორედ საგნის არსების ცნებას ადგენს. ეს ორი საწყისი დასაბუთებისათვის აუცილებელია, რადგან; 1) მისთვის აუცილებელია უზოგადესი. რომელზედაც სხვა არაფერი გამოითქმება და 2) ის ერთეული, რომელზეც სხვა გამოითქმება, მაგრამ თვითონ სხვაზე არაფერზე არ გამოითქმება. ეს არის „პირველი სუბიექტი". სხვაგვარად, ამ უკანასკნელის აუცილებლობა დასაბუთებისათვის იმაში ჩანს. რომ დასაბუთებისათვის აუცილებელია საგანი. მტკიცება-უარყოფით შესრულებული დასაბუთება წინასწარ გულისხმობს იმას, თუ რა არის საგანი: A არის B და A არ არისB, ცხადია, წინასწარ გულისხმობს A-ს. უნდა ვიცოდეთ რაიმე, რომ მის შესახებ ვამტკიცოთ ან უარვყოთ.

ერთგვარი ვაურკვევლობაა არისტოტელეს დებულებაში, რომ დასაბუთებას აქვს საზღვარი: 1) ზემოდან — კატეგორიები, 2) ქვემოდან კი — არსება, რადგან მასთან არსებაც კატეგორიაა (ისიც— პირველი კატეგორია). ვფიქრობთ, ეს გაურკვევლობა მოიხსნება, თუ ვიტყვით, რომ არსებაზე (უსია) ყველა დანარჩენი კატეგორია გამოითქმება, მაგრამ ისიც „კატეგორიაა, როგორც ყველას გამწვდომი თვითგამომთქმელი"[1].

რატომ არ შეიძლება ითქვას, რომ კატეგორიები, როგორც ცნებები, და მათი კავშირები ლოგიკური ბუნების არიან? ლოგიკური რატომ არ უნდა უდრიდეს დასაბუთებითს? ლოგიკური ხომ იგივე ლოგიკური აუცილებლობაა? დიალექტიკის თეორიაში დასაბუთების ეს საწყისი-კატეგორიები და მათი კავშირები სწორედ ასე ვაიგებიან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების საწყისი „ზემოდან" ლოგიკური, ე. ი. დასაბუთების ხასიათისაა, მაგრამ ეს საწყისი და დასაბუთებისათვის მისი აუცილებლობა განსხვავდება სილოგისტური აუცილებლობისაგან.

მეორე მხრივ, რატომ არ შეიძლება საგნის არსების გამომთქმელი განსაზღვრება იყოს მსჯელობის ხასიათის? განსაზღვრება რატომ არ შეიძლება იყოს მსჯელობა? შეიძლება კი მსჯელობის გარეშე რაიმეს ლოგიკური გამოთქმა? თუ განსაზღვრებას მსჯელობის ხასიათი აქვს, ე. ი. თუ ის ისეთივე მტკიცებაა, როგორც ეს დადებით მსჯელობაშია მოცემული, მაშინ ასეთი განსაზღვრება და-

---

[1] იხ. ჩემი შრომა „არისტოტელეს და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კატეგორიების შესახებ". თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. მე-3, 1936, გვ. 7.

საბუთების ბუნების იქნება. მაგრამ არისტოტელე არ აიგივებს განსაზღვრებას მსჯელობასთან (ამ მომენტს გავარჩევთ უფრო დაწვრილებით მაშინ, როცა შევეხებით განსაზღვრებას, როგორც საწყისს დასაბუთებაში). თუ განსაზღვრება მსჯელობაა, მაშინ დასაბუთების საწყისებს უნდა ჰქონდეს დასაბუთების ხასიათი. მაგრამ რჩება სიძნელე: თუ საწყისი დასაბუთებისა ისეთივეა, როგორიც დასაბუთებაა, მაშინ ხომ არ რჩება უსასრულობაში რეგრესის საშიშროება. ეს საკითხი აუცილებლად მოითხოვს პასუხს, რომელიც შემდეგ იქნება მოცემული.

დასაბუთების საწყისი, ე. ი. იმის საწყისი, რაც მტკიცება-უარყოფით ხორციელდება, უნდა იქვემდებარებდეს, ხსნიდეს, აზრს აძლევდეს მტკიცება-უარყოფას და თავისი ბუნებიდან არ უნდა გამორიცხავდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საწყისი დასაბუთების საწყისი არ იქნებოდა.

საწყისი აუცილებელია დასაბუთებისათვის. ეს საწყისი უნდა იყოს გარკვეული საფუძველი და გარკვეული საშუალება დასაბუთებისა, ე. ი. ის, რომლის გარეშე დასაბუთება არ განხორციელდება, შეუძლებელია.

დასაბუთებისათვის საწყისის აუცილებლობა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ საწყისის უარყოფა შეუძლებელია. რის უარყოფა შესაძლებელია, ის არ არის აუცილებელი. საწყისის უარყოფის ცდა თვითონ უნდა ემყარებოდეს საწყისს; ის, ცხადია, ამ უარყოფის საწყისიც უნდა იყოს, რადგან უარყოფა დასაბუთების ერთ-ერთი ელემენტია.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ დასაბუთების საწყისის აუცილებლობა მდგომარეობს საწყისის უარყოფის შეუძლებლობაში. თუ დასაბუთების აუცილებლობა არის აუცილებლობა, რომელიც მტკიცება-უარყოფით და მასში ხორციელდება, მაშინ დასაბუთების საწყისის აუცილებლობა უნდა იყოს აუცილებლობა, რომელიც რაღაცის უარყოფის შეუძლებლობაში მდგომარეობს. დასაბუთების საწყისის აუცილებლობა უნდა იყოს იმის აუცილებლობა, რის უარყოფაც შეუძლებელია.

არისტოტელემ გაარკვია საფუძვლიდან შედეგის გამოყვანის სილოგისტური აუცილებლობა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არ გაურკვევია და მხოლოდ მიუთითა დასაბუთების საწყისის აუცილებლობაზე. მან ვიწროდ წარმოიდგინა დასაბუთების აზრი, დაიყვანა

რა იგი კატეგორიულ სილოგიზმზე. საწყისის, როგორც გარკვეული საფუძვლის აუცილებლობა, უნდა იყოს, ცხადია, ლოგიკური — დასაბუთების ხასიათის, მაგრამ სრულიად თავისებური, განსხვავებული სილოგისტური აუცილებლობისაგან.

დასაბუთების საწყისის აუცილებლობის ჩვენება უნდა იყოს თავისებური დასაბუთება, საწყისის, როგორც ასეთის, დადგენა, რომელსაც, ცხადია, ლოგიკური ხასიათი ექნება.

ჩვენ შემდეგ — დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის დროს იმის ჩვენებასაც შევეცდებით, რომ რაიმეს უარყოფის შეუძლებლობა, ამავე დროს, ამ რაიმეს დადგენაც იქნება. ამ გზით შევეცდებით გადაწყდეს დასაბუთების საწყისის სადავო პრობლემა. მაგრამ ამისათვის საჭიროა გაირკვეს კიდევ რამდენიმე ნიშანი დასაბუთების საწყისისა და ზოგიერთი კერძო სიძნელე, რომელიც ამ პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული

2. საწყისთა სიმრავლე და უზოგადესი საწყისი

დასაბუთებისა და მისი საწყისის ბუნება განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი საწყისი უნდა არსებობდეს და რომელი საწყისია უზოგადესი. დასაბუთებისათვის საწყისთა რიცხვი განისაზღვრება იმით, თუ როგორ გვესმის დასაბუთების და მისი საწყისის ბუნება.

არისტოტელეს აზრით, ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან დასკვნა, ამავე დროს, არის დასაბუთება. თუ საგნის არსებობის გამომსახველი განსაზღვრებით დადგენილი ცნება არის საშუალო ცნება, მაშინ დასკვნა დასაბუთებას წარმოადგენს. ასეთი დასკვნები მრავალია, ამიტომ დასაბუთებაც ბევრია და არსებობს დასაბუთების მრავალი საწყისი.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ისიც, რომ თითოეულ მეცნიერებასაც თავისი საწყისი აქვს, რადგან ყოველი მეცნიერება გარკვეული გვარის სფეროშია შესაძლებელი, არსებობს მრავალი მეცნიერება. ამიტომ საწყისებიც ბევრია.

მაგრამ არ შეიძლება არ არსებობდეს უზოგადესი საწყისი. ამას მოითხოვს საწყისის ცნება, რომელიც, ცხადია, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. უნდა არსებობდეს საერთოდ ცოდნის ერთი მთავარი საწყისი.

საერთოდ ცოდნისათვის, ყველა მეცნიერებისათვის საწყისები რამდენიმეა და არა მხოლოდ ერთი, ფიქრობს არისტოტელე. ასე-

თია, მაგალითად, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, გამორიცხული მესამის დებულება და სხვ. „ყველასათვის საერთოს, ამბობს არისტოტელე, მე ვუწოდებ ისეთ საწყისებს, როგორიცაა, მაგალითად, დებულება, რომ ყველაფერი შეიძლება ვამტკიცოთ და უარვყოთ“[1]; ანდა კიდევ: „დასაბუთების საწყისებს მე ვუწოდებ საერთოდ მიღებულ დებულებებს, რომლებიდანაც ყველა გამოდის დასაბუთების დროს; მაგალითად, დებულება, რომ ყველაფერი აუცილებელია ან ვამტკიცოთ ან უარვყოთ, და რომ შეუძლებელია ერთდროულად ყოფნა და არყოფნა, აგრეთვე სხვა ამგვარი დებულებები“[2], მაშასადამე, არსებობს სიმრავლე საერთო საწყისებისაც.

მაგრამ საკითხავია, ეს საწყისები ერთნაირად უცილობელია ცოდნისათვის, თუ არსებობს მათ შორის მთავარი, და თუ არსებობს, რომელია ასეთი საწყისი? ამ კითხვაზე არისტოტელეს შემდეგი პასუხი აქვს: „შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ერთად იყოს და არც იყოს კუთვნილი ერთსა და იმავესადმი-ერთსა და იმავე მიმართებაში“[3], და იქვე დასძენს, რომ ეს არის „ყველა საწყისებიდან ყველაზე უცილობელი“ საწყისი.

მაშასადამე, არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საწყისები ბევრია, მაგრამ ყველაზე უცილობელი, მთავარი არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება.

მაგრამ სიძნელე გამოაშკარავდება, როგორც კი დავსვამთ საკითხს საერთოდ, ლოგიკური აზრით, აღებული დასაბუთების, სწორედ როგორც დასაბუთებისა და მისი საწყისის სიმრავლის შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის შესახებ. დასაბუთების ცნების მიხედვით, დასაბუთება, ცხადია, ერთია და მისი საწყისიც ერთი შეიძლება იყოს, ანდა სხვანაირად: ერთი ფილოსოფიური სისტემა, როგორც დასაბუთების სისტემა, ჰეშმარიტების და ლოგიკური სისწორის თვალსაზრისით, ერთი შეიძლება იყოს და მას საწყისიც ერთი უნდა ჰქონდეს (სწორედ ასეთ საწყისს ეძებდა, მაგალითად, დეკარტი, ფიხტე, ჰეგელი, კოჰენი, ჰუსერლი და სხვ.).

თუ დასაბუთების სისტემა იქნება სისტემა ისეთი დასკვნებისა, რომელთა საშუალო ცნებები საგნის არსების გამომთქმელი გან-

---

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I, თავი, 32.

[2] „მეტაფიზიკა“, III, 2, 996 b 27-31.

[3] იქვე IV, 3, 1005 b 19 — 23.

საზღვრებებით იქნებიან დადგენილი, მაშინ თავს იჩენს ახალი სიძ-ნელე. საქმე იმაშია, რომ, არისტოტელეს აზრით, დეფინიციაში მოცემულია მარტივი დადებითობა, რომელიც წინ უსწრებს დასაბუთებას, ის არის საწყისი დასაბუთების და არა დასაბუთება. დეფინიცია არ არის დასაბუთება. დეფინიციამ უნდა გამოთქვას საგნის არსება, მაგრამ როცა ისეთი დეფინიცია გვაქვს, როცა გამოთქმულია ერთეული საგნის არსება — უსია, მაშინ დეფინიციაში მოცემული სიმარტივე არ არის ლოგიკური ბუნების, ის რაღაც მისტიკურია. უსია არის საგნის სული, ის მეტაფიზიკური არსებაა. სწორედ ამ მისტიკურობის გამო შეუძლებელი გახდა უსიას გადატანა ცნებაში. ამიტომ (ჩვენ აქ ეს გვაინტერესებს) ისეთი დასაბუთების სისტემა, რომელიც შედგენილია ერთეული საგნის არსების (უსია, სუბსტანცია) გამომთქმელი დეფინიციების მიერ დადგენილი საშუალო ცნების მქონე დასკვნებისაგან, შეუძლებელი უნდა იყოს, რადგან შეუძლებელია ლოგიკურად დაკავშირება იმ არალოგიკურებისა — არადასაბუთებითი დადებითობებისა, რომლებიც დეფინიციებშია მოცემული. ამასთანავე, სწორედ თქმულის გამო, კაურკეველი რჩება ასეთი სისტემის პირველი საწყისის ბუნებაც.

თუ დეფინიციაში გამოთქმული საგნის არსება აღებული იქნება ზოგადობის მხრივ (არისტოტელეს მიხედვით, ზოგადობა, როგორც მეორე სუბსტანცია, პირველი სუბსტანციის — ერთეულის, არსებას გამოთქვამს), უფრო ზუსტად, თუ მას ავიღებთ როგორც კატეგორიას, მაშინაც შეუძლებელი ხდება არისტოტელესათვის ახლახან აღნიშნული სისტემის შექმნა, რადგან მას არ გაურკვევია კატეგორიების ლოგიკური კავშირის ბუნება. რომ ეს კავშირი არისტოტელესათვის გასაგები ყოფილიყო, მაშინ დასაბუთების საწყისის პრობლემის გარჩევა მიიღებდა თავისებურ მიმართულებას, სახელდობრ, ისეთს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ახალ დროში (მაგალითად, დეკარტთან, ფიხტესთან, ჰეგელთან).

არისტოტელემ ვერ დასძლია საწყისთა სიმრავლე ჭარბი ემპირიზმის გამო. ასეთივე მდგომარეობაა დღესაც აქსიომატური სისტემების ავტორებთან. მრავალი აქსიომატური სისტემის და თითოეული სისტემისათვის მრავალი აქსიომის აღიარება სწორედ პოზიტივისტური საფუძვლის გამო ხდება. ერთიანი სისტემის და მისი ერთი საწყისის პრობლემა ხშირად, სრულიად უმართებულოდ და ლოგიკისადმი ღალატით, მეტაფიზიკურ პრობლემად არის გამოცხადებული.

მრავალგვარი დასკვნა-დასაბუთების (ისეთი დასკვნის, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს) საწყისთა სიმრავლის აღიარება ბუნებრივია, მაგრამ აქ გაჩერება პრობლემის გარჩევის ბოლომდე არ მიყვანაა; თუ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, მაშინ ეს იქნება აღნიშნული სიმრავლის გაერთიანება ერთ სისტემაში და მისთვის ერთი ლოგიკური საწყისის მონახვა.

არისტოტელემ დასაბუთების საწყისთა სიმრავლე აღიარა, მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ „ნაკლები წანამძღვრებიდან გამოსული მეცნიერება უფრო ზუსტი და მაღალია...“[1], რომ „ის დასაბუთება უნდა იყოს უკეთესი, რომელიც გამოდის ნაკლები პოსტულატებიდან, ან წინდაშვებებიდან, ან წანამძღვრებიდან“[2]. აქედან არისტოტელეს უნდა გაეკეთებინა დასკვნა, რომ ყველაზე უკეთესი, ზუსტი და მაღალი დასაბუთება, ეს არის ერთი ფილოსოფიური სისტემა ერთი საწყისით, და გაერკვია ასეთი საწყისის ბუნება, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით არისტოტელესთან.

როგორც აღინიშნა, არისტოტელესათვის დასაბუთების საწყისები მრავალია, მაგრამ მათ შორის ერთია უფრო ძირითადი, უმთავრესი. არისტოტელეს არ გაურკვევია, მაგრამ უნდა გაერკვია საწყისთა სიმრავლის სისტემობა, კავშირი (სწორედ ლოგიკური კავშირი) მათ შორის, და არც ის, თუ რატომ არის მაინც და მაინც წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება უმთავრესი და ყველაზე უცილობელი საწყისი. ეს პრობლემა დღემდე პრობლემად დარჩა კაცობრიობის აზროვნებას.

თუ „ყველა საწყისიდან ყველაზე უცილობელი“ საწყისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაა, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ საწყისის სფერო წინააღმდეგობის კატეგორიის სფეროა. წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება წინასწარ გულისხმობს წინააღმდეგობის კატეგორიას, რომელიც საფუძვლად არის გამოყენებული წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების საწყისად გამოყენებისას. თუ წინააღმდეგობას შეცდომად ჩავთვლით, ასე არ შეიძლება გავიგოთ წინააღმდეგობის კატეგორია. წინააღმდეგობა,

---

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა“, წ. 1, თავი 25; 87 a 21 — 87 a 36.
[2] იხ. იქვე, 86 a 33—86 b 17.

როგორც კატეგორია, გამოიყენება საფუძვლად რაიმე წინააღმდეგობის როგორც შეცდომის აღიარებისას.

თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობა საფუძვლად წინააღმდეგობის კატეგორიას გულისხმობს, მაშინ ეს კატეგორია ყოფილა საწყისი და პირველადი თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამავე საბუთით არისტოტელეს შეეძლო და კიდეც უნდა მიეღო საწყისად ბევრი სხვა კატეგორია და მათი გამომთქმელი დებულებები, მით უმეტეს, რომ, მისი აზრით, კატეგორიები წარმოადგენენ დასაბუთების საზღვარს ზემოდან.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც „უზოგადესი საწყისი", წინასწარ არაფერს არ უნდა გულისხმობდეს, მაშინ როცა იგი ნამდვილად გულისხმობს კატეგორიებს: იგივეობას (წინააღმდეგობის შეუძლებლობა იგივეობის შებრუნებული — უარყოფითი ფორმაა), უარყოფას და თვითონ წინააღმდეგობას, რომელთა ბუნება, როგორც წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების საფუძვლად მდებარე რაიმე, არისტოტელეს არ გაურკვევია; ამიტომ უნდა ითქვას, რომ არისტოტელემ ვერ მონახა, მას არ ჰქონია დასაბუთებისათვის პირველი, მისი ნამდვილი საწყისი.

არისტოტელეს უნდა გაერკვია იგივეობის, განსხვავების, უარყოფისა და წინააღმდეგობის, საერთოდ, დადებითობისა და უარყოფითობის, როგორც ლოგიკური ფორმების, კავშირი, რის საფუძველზედაც ის შეძლებდა მის მიერ აღიარებულ საწყისთა კავშირისა და უზოგადესი საწყისის ბუნების გარკვევას, კატეგორიების კავშირის გარკვევა აიძულებდა არისტოტელეს დავსვა და გადაეწყვიტა ერთი ლოგიკური საწყისის პრობლემა.

არც თანამედროვე აქსიომატური სისტემები ლოგიკაში არკვევენ კატეგორიების ბუნებას, პირიქით, ფილოსოფიურ კატეგორიებს საერთოდ გამორიცხავენ და ამით დასაბუთების საწყისის პრობლემა ჩიხში შეჰყავთ. ემპირიზმის სიჭარბემ დააბნია არისტოტელე, ეს მით უმეტეს ითქმის თანამედროვე აქსიომატურ სისტემებზე, რომლებიც პოზიტივიზმის უკიდურესობას ემყარებიან.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, ალბათ, იმიტომ იყო მთავარი საწყისი დასაბუთებისა არისტოტელეს ლოგიკაში, რომ ეს დებულება უშუალოდ გამოთქვამს ლოგიკური აუცილებლობის არისტოტელესეულ გაგებას, სახელდობრ, იმას, რომ აუცილებელი არის ის, რაც სხვანაირად შეუძლებელია, რის საწინააღმდეგოც შე-

უძლებელია. მაგრამ არისტოტელესათვის, რომელიც იმას ამტკიცებდა, რომ უარყოფითს წინ უსწრებს დადებითი, ისიც უნდა ყოფილიყო ნათელი, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება უარყოფითი ხასიათისაა და მას დადებითი, სახელდობრ, პირველ რიგში, წინააღმდეგობის დადებითი კატეგორია უნდა უსწრებდეს წინ, მით უმეტეს, რომ არისტოტელე უარყოფდა ტავტოლოგიურობას დასაბუთებაში და აღიარებდა სინთეზურობის აუცილებლობას, გამოთქვამდა რა დასაბუთების ძირითად აზრს დებულებით: თუ არის ერთი, მაშინ უნდა იყოს აუცილებლად აგრეთვე სხვაც. ერთი სიტყვით, არისტოტელე თავის საკუთარ აზრს ბოლომდე რომ გაჰყოლოდა, იტყოდა, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არ არის ყველა საწყისზე უფრო აუცილებელი საწყისი და რომ ასეთი საწყისი კატეგორიების სფეროში უნდა ვეძიოთ.

არისტოტელეს აზრით, როგორც ამას ქვემოთაც გავარკვევთ, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დაუსაბუთებელი და დაუსაბუთებადი. თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არ არის დაუსაბუთებელი, მაშინ ის არისტოტელესათვის არ გამოდგება დასაბუთების საწყისად. მისთვის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება დაუსაბუთებელია, დასაბუთების დაუსაბუთებელი საწყისია, ალბათ, იმიტომ და ისიც იმ აზრით, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დასაბუთების ცდის დროს წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმთავითვე უნდა გამოვიყენოთ, როგორც საყრდენი საფუძველ-საშუალება (აქ უკვე ჩანს, როგორც ამას ქვევით ნათელვყოფთ, თვითდაფუძნების აუცილებლობა), და რომ ის არასოდეს არ იქნება მიღებული როგორც. შედეგი — დასაბუთებული; მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, წინააღმდეგობის კატეგორია კიდევ უფრო ადრე უნდა იქნეს გამოყენებული; სწორედ წინააღმდეგობის ცნების საფუძველზეა შესაძლებელი წინააღმდეგობის შეუძლებლობის ცნება. ამდენად, წინააღმდეგობის შეუძლებლობა თავისებურად დასაბუთდება წინააღმდეგობის კატეგორიის საფუძველზე, მისი საშუალებით. მაგრამ თვითონ წინააღმდეგობის კატეგორიაც მოითხოვს სხვა კატეგორიებს, რომლებიც, სწორედ როგორც კატეგორიები, მსგავსად წინააღმდეგობის კატეგორიისა, იმ ბუნების იქნებიან, რომ მათი დასაბუთების ცდის დროს მათივე დაუსაბუთებლად გამოყენება მოხდება (მაგალითად, იგივეობის დასაბუთებისას იგივეობა იმთავი-

თვე უნდა გამოვიყენოთ). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების საწყისი უნდა ვეძიოთ კატეგორიების სფეროში, კატეგორიების კავშირში, რომელსაც ერთი გარკვეული ფორმა ექნება და იქნება, მართლაც, ლოგიკური საწყისი, რომელიც დაემყარება სხვას, როგორც რეალურს, მაგრამ არ დაემყარება სხვა ლოგიკურ საწყისს.

მაშასადამე, დასაბუთების ერთ — უზოგადეს საწყისს უნდა ჰქონდეს კატეგორიალობის ნიშანი.

3 დასაბუთების საწყისი როგორც უპირობო

ჯერ კიდევ არისტოტელესათვის იყო სრულიად ნათელი ის, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ისეთი ცოდნა, რომელსაც უპირობობის ნიშანი აქვს, ე. ი. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს უპირობო. არაუპირობო ცოდნა კი არის ისეთი ცოდნა, რომელიც მიიღწევა დასაბუთების საშუალებით. დასაბუთებას წინ უსწრებს (და უნდა უსწრებდეს) უპირობო ცოდნა.

რას ნიშნავს უპირობო ცოდნა არისტოტელესათვის? უპირობო ცოდნა ისეთი ცოდნაა, ფიქრობს არისტოტელე, რომელსაც წინ არ უსწრებს სხვა ცოდნა. უპირობო ცოდნა არის გაუშუალებელი ცოდნა. ასეთია დასაბუთების საწყისი. ის არავითარი ცოდნით არ არის გაშუალებული. დასაბუთების საწყისი არის გაუშუალებელი წანამძღვარი; გაუშუალებელი კი არის ის, ამბობს არისტოტელე, რომელსაც არაფერი სხვა (ცოდნა. ს. წ.) არ უსწრებს წინ[1]. დასაბუთების ის წანამძღვარი, რომელიც გაუშუალებელია, ე. ი. რომელიც არ შეიძლება დასაბუთებულ იქნეს, არის აქსიომა — დასაბუთების საწყისი. გაუშუალებელი და, ამ აზრით, უპირობოა ყოველი აქსიომა და განსაზღვრება, რომელთაც ათავსებენ დასაბუთების სათავეში, დაწყებული არისტოტელედან და თანამედროვე აქსიომატური სისტემებით დამთავრებული.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისი არის გაუშუალებელი, დაუსაბუთებელი, უპირობო. ასეთია აქსიომები და განსაზღვრებები, რომლებიც წინ უსწრებენ დასაბუთებას, რადგან რომ დაასაბუთო, ამბობს არისტოტელე, უნდა იცოდე, რომ საგანი არის და რა არის იგი; მისი აზრით, რაიმეს უპირობო ცოდნა არის ცოდნა მიზეზისა,

---

[1] არისტოტელე. მეორე ანალიტიკა, წ. I, თ. 2,72 a 7.

რომლის გამოც ეს რაიმე არის და რომ სხვანაირად შეუძლებელია. ამიტომ ასეთი ცოდნა წინ უსწრებს დასაბუთებას.

მართებულად უნდა ჩაითვალოს არისტოტელეს დებულება იმ-ის შესახებ, რომ დასაბუთების საწყისი არის გაუშუალებელი ცოდნა, გაუშუალებელი იმ აზრით, რომ მას სხვა წანამძღვარი არ აქვს, წინაალმდეგ შემთხვევაში, საწყისი ეს სხვა იქნებოდა, და, ამავე დროს, უსასრულობაში რეგრესსაც ვერ ავიცილებდით. მაგრამ ამით არ არის გამორიცხული ის, რომ სხვით გაუშუალებელი შეიძლება გაუშუალებული იყოს თავის თავში, ე. ი. არ არის გამორიცხული თავისი თავით გაშუალება ამიტომ — მისი ამგვარი დასაბუთებაც. სხვა რამით გაუშუალებელი არ არის გაუშუალებელი საერთოდ; სხვა რამით გაუშუალებელი არ ნიშნავს იმას, რომ ის არ შეიძლება იყოს თავის თავში გაშუალებული; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თავისი თავით გაშუალება თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს. დასაბუთება საერთოდ რატომ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ სხვით გაშუალებაზე? ხომ შეიძლება შინაგანი შუალობითობის მქონე თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენდეს?

არისტოტელეს აზრით, როგორც ითქვა, უპირობო ცოდნა არ საბუთდება, მაგრამ იგი იქვე ამბობს, რომ ასეთი ცოდნა, რომელიც პირველია, უფრო აუცილებელია, ვიდრე დასაბუთებითი ცოდნა; „...აუცილებელია უფრო უცილობლად მივიჩნიოთ საწყისები —ან ყველა ან ზოგიერთი, ვიდრე მოვან გამოყვანილი დასკვნა“[1]. პირველადი უფრო აუცილებელია, ვიდრე დასკვნა, რადგან სწორედ პირველადის საშუალებით ვიცით აუცილებლად, აგრეთვე, მომდევნოც. ის, რის საშუალებითაც ჩვენ გვაქვს დასაბუთებითი ცოდნა, უფრო აუცილებელია, ვიდრე თვითონ დასაბუთებითი ცოდნა[2].

მაგრამ ეს აუცილებლობა საწყისებისა ხომ არის აუცილებლობა დასაბუთებისათვის? იმ პირველის აუცილებლობა, რომლის საშუალებითაც დასაბუთება სრულდება, ლოგიკური ხასიათისაა და სრულად გამომჟღავნდება მაშინ, როცა მის უარყოფას შევეცდებით, რადგან ასეთი უარყოფა დასაბუთება იქნება, სადაც პირველი, საწყისი გამოიყენება როგორც საშუალება. ასეთი პირველის აუცილებლობა თავისებური დასაბუთების აუცილებლობა იქნება. ეს არ იქნება, ცხადია, სილოგისტური გამოყვანა, თუმცა დასაბუ-

---

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I, თ. 2,72 a 32 და შემდეგ.

[2] იქვე.

თება მაინც იქნება. რომელიმე დებულების აუცილებლობის ჩვენება ხომ დასაბუთებაა? ამიტომ დასაბუთებას უნდა წარმოადგენდეს დასაბუთებისათვის საწყისი დებულების აუცილებლობის ჩვენებაც, მისი დადგენა.

ამრიგად, არისტოტელესთან ჩვენ ვხვდებით დასაბუთების საწყისის რაღაც დასაბუთების აუცილებლობაზე შეუგნებელ მითითებას. ეს არის თავისებური დასაბუთება იმ უპირობოსი, რომელიც დასაბუთებისათვის პირველს, საწყისს წარმოადგენს. უპირობო აუცილებელია დასაბუთებისათვის. უპირობოს აუცილებლობის ჩვენება კი თავისებურ დასაბუთებას უნდა წარმოადგენდეს; ამას მოითხოვს არისტოტელეს შესაბამის აზრთა წყობა.

მაგრამ არისტოტელესეული უპირობო, ეს არის არა ლოგიკური უპირობო, ე. ი. დასკვნითი ბუნების უპირობო, არამედ არადასკვნითი და მხოლოდ ცოდნის თვალსაზრისით უპირობო, უპირობო ცოდნა, ის, რაც არის „ბუნებით პირველი" ცოდნისათვის, დაუსაბუთებელი—გაუშუალებელი ცოდნა, მაგრამ მასში, როგორც აღვნიშნეთ, ჩანს ლოგიკური უპირობოს მოთხოვნაც. თუ რას უნდა წარმოადგენდეს ეს ლოგიკური უპირობო, ამის პასუხი შემდეგ იქნება მოცემული.

არისტოტელესთან დასაბუთების საწყისში, როგორც უპირობოში, მონაწილეობს კატეგორიები: ა) წინააღმდეგობის კატეგორია: წინააღმდეგობის შეუძლებლობის აქსიომაში და ბ) არსების კატეგორია, რამდენადაც განსაზღვრება, როგორც დასაბუთების საწყისი, არსების ლოგიკური გამოთქმაა (თუმცა დასაბუთებას არ წარმოადგენს), მაგრამ აქ არ ჩანს დასკვნის კატეგორიულობა, როგორც უპირობობა.

არისტოტელესთან დასაბუთების სფერო, ეს არის „თუ—მაშინ"-ის, როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების სფერო; მისთვის დასაბუთება ნიშნავს შემდეგს: „თუ არის ერთი (რაიმე), მაშინ აუცილებლად უნდა იყოს აგრეთვე რაღაც სხვა"[1].

ლოგიკურად უპირობო არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებელი და არადასაბუთებადი. თუ ეს უპირობო, როგორც დასაბუთების საწყისი, დაუსაბუთებელი და დაუსაბუთებადია, მაშინ დასაბუთების დაყვანა საწყისზე, როგორც დასაბუთების გამართლება, იქნებოდა არა დასაბუთების გამართლება, არამედ დასაბუთების აზრის და-

---

[1] „ბეერე ანალიტიკა", წ. II, თ. 7.

კარგვა: დასაბუთება უქმდება, რადგან ის არადასაბუთებაზე, დაუსაბუთებელზე და დაუსაბუთებადზე იქნება დაყვანილი. ამიტომ აზრი ეკარგება დასაბუთებისათვის დაუსაბუთებელის აუცილებლობასაც.

ლოგიკურად უპირობო უფრო ძლიერია, არისტოტელეს თქმით — „უფრო ცნობილია", ვიდრე დასაბუთება. ის მაღლა დგას სილოგისტურ დასაბუთებაზე — „თუ — მაშინ"-ზე. რას ნიშნავს ეს მაღლა დგომა? დაუსაბუთებლობას? მაგრამ როგორ შეიძლება დაუსაბუთებელი დასაბუთებულზე მაღლა იდგეს? ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მაღლა მდგომი უფრო სრული დასაბუთების ბუნებისაა, ვიდრე სილოგისტური დასაბუთება?

დასაბუთების საწყისი უნდა იყოს უპირობო, მაგრამ არა არისტოტელესებური უპირობო — დაუსაბუთებელი და დაუსაბუთებადი ცოდნა, არამედ ლოგიკური უპირობო, ე. ი. დასაბუთებული და დასაბუთებული აზრი. როგორ არის შესაძლებელი ასეთი უპირობო? როგორ შეიძლება დასაბუთების საწყისი დასაბუთდეს და არ შეიქმნას უსასრულობაში რეგრესის საშიშროება?

როგორც აღინიშნა, დასაბუთების საწყისის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფაც მას მოითხოვს, როგორც საფუძველს, საშუალებას. ამაშია მისი აუცილებლობა. ეს აუცილებლობა ლოგიკური უნდა იყოს და მისი ჩვენება დასაბუთებას უნდა წარმოადგენდეს. ეს დასაბუთება არ იქნება საწყისის გამართლება ჩვეულებრივი — სილოგისტური დასაბუთებით, რადგან ეს უკანასკნელი მართლდება საწყისით და არა პირიქით; ეს თავისებური დასაბუთება არ იქნება საწყისის, როგორც საფუძვლის, გამართლება შედეგით, თუ ეს შედეგი სილოგისტურად არის გაგებული, თუმცა საწყისს სწორედ დასაბუთება მოითხოვს აუცილებლობით; დასაბუთებისათვის ხომ აუცილებელია საწყისი?

ხომ არ შეიძლება დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური უპირობო, წარმოდგენილ იქნეს როგორც დასაბუთება რაიმესი თავისი თავით? ხომ არ შეიძლება აქ ჩვენ გვქონდეს ლოგიკური causa sui? თუ ასეთი რამ შესაძლებელია, მაშინ დასაბუთების საწყისის, როგორც დასაბუთების გარკვეული საშუალების, თავისებური დასაბუთება გამოჩნდება ასეთი საწყისის უარყოფის შეუძლებლობაში, იმაში, რომ საწყისის უარყოფა მასვე დაემყარე-

ბა. მოითხოვს აუცილებლობით, ე. ი. მასვე ადგენს, როგორც გარკვეულ საფუძველ-საშუალებას. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ საწყისი სწორედ ასეთი შინაგანი გაშუალების ბუნების უნდა იყოს. ამით ის იქნება უპირობო, თავისი თავით დასაბუთებული და არა დაუსაბუთებელი რამ, თუმცა მას არ ექნება გარეგანი წანამძღვარი. ამით კი მოხსნილი იქნება უსასრულო რეგრესის საშიშროება. ამრიგად, დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური უპირობო, სხვით არაფრით არ იქნება გაშუალებული, ამ აზრით იქნება უშუალო, მაგრამ გაშუალებული იქნება თავისი თავით. მას ექნება უშუალობის და შუალობის ერთიანობის ბუნება. დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური უპირობო, არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო, არც, ცხადია, მხოლოდ გაშუალებული. შუალობისა და უშუალობის გათიშვა შეცდომას მოგვცემს დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის დროსაც. ასეთი შეცდომის მაგალითს წარმოადგენს არისტოტელეს მიერ დასაბუთების საწყისად მხოლოდ უშუალოს აღიარება. მაშასადამე, დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს შუალობის და უშუალობის დიალექტიკური ერთიანობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში დასაბუთების საწყისი იქნება თავისებური causa sui. შესაძლებელია კი ასეთი რამ?

4. დასაბუთების საწყისი როგორც თვითსაფუძველი

დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ლოგიკური causa sui, „თვითსაფუძველი". ასეთია ის დასკვნა, რომელიც ახლახან მივიღეთ.

ის, რომ დასაბუთებისა და საერთოდ მეცნიერებისათვის აუცილებელია რაღაც თავისთავადის, როგორც თვითდაფუძნებულის თუ თავისი თავის საშუალებით აუცილებელის, დაშვება, ამას აღიარებს არისტოტელეც და ზოგიერთი თანამედროვე ლოგიკოსიც. მაგალითად, არისტოტელე ამბობდა, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც ჭეშმარიტი და პირველყოფილი, არის „ის, რაც აუცილებელია არა სხვის საშუალებით, არამედ თავისი თავის საშუალებით, ვინაიდან ცოდნის საწყისების შესახებ არ შეიძლება დაისვას კითხვა „რატომ", ყოველი საწყისი აუცილებელია თავისთავად[1].

---

[1] არისტოტელე, ტოპიკა, I. 1. 100 a 30 — b 21.

თანამედროვე ფილოსოფოსი და ლოგიკოსი, ე. წ. დეცერნიზმის მიმდევარი ჰ. დინგლერი წერს, რომ: „Soll eine absolut sichere Logik überhaupt möglich sein, so muss es ein Kriterium geben, das sich sesblt begründet"[1]. რა არის ის, რაც თავის თავს აფუძნებს? ეს არის ნებისყოფა, პასუხობს დინგლერი. აქ, ცხადია გაქცევაა ლოგიკის სფეროდან. როგორ შეიძლება ლოგიკა დაფუძნებულ იქნეს ნებისყოფაზე; ეს ხომ წმინდა წყლის ფსიქოლოგიზმია, რომელიც შეიძლება მივიდეს არა ლოგიკის დაფუძნებამდე, არამედ სწორედ ლოგიკის სრულ უარყოფამდე. ლოგიკა შეიძლება დაფუძნდეს: 1) რეალურად—სინამდვილეზე, როგორც causa sui-ზე. 2) ლოგიკურად causa sui-ზე. დასაბუთების საწყისის პრობლემა ამ უკანასკნელის პრობლემაა და არა რეალური საწყისის პრობლემა.

თუ დინგლერი ლოგიკის დასაფუძნებლად ლოგიკიდან და, საერთოდ, ცოდნის სფეროდან გარბის, არისტოტელე, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი დებულება პირდაპირ მიუთითებს, ცდილობს დასაბუთების საწყისად აიღოს ცოდნა და არა სხვა რამ. მისთვის დასაბუთების საწყისი, რომელიც აუცილებელია თავისი თავის საშუალებით, არის ცოდნა, რომელიც დასაბუთების გარეშეა და მას (დასაბუთებას) წინ უსწრებს. ცხადია, რომ დინგლერთან და მის მსგავსებთან შედარებით არისტოტელეს გაცილებით უფრო მართებული პოზიცია უჭირავს დასაბუთების საწყისის პრობლემის გარკვევაში. არისტოტელეს დასაბუთების საწყისად მიაჩნია უშუალო ცოდნა და არა ნებისყოფა თუ სხვა ამის მსგავსი რამ. დინგლერის აზრი სამაგალითოა იმისა, რომ არალოგიკური არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლოგიკურის ლოგიკურ საწყისად.

არისტოტელესათვის დასაბუთების საწყისი სამი სახისაა: 1) თეზისი: ა) ჰიპოთეზა, ბ) განსაზღვრება; 2) აქსიომა, 3) პოსტულატი. ჩვენ აქ ვმსჯელობთ აქსიომის შესახებ (განსაზღვრებას, როგორც დასაბუთების საწყისს, შემდეგ შევეხებით; პოსტულატი ახლოსაა აქსიომასთან, ჰიპოთეზა კი, ჩვეულებრივი გაგებით, არ ნიშნავს დასაბუთების საწყისს, რომელსაც უპირობო ხასიათი აქვს), რადგან

[1] H. Dingler, Philosophie der Logik und Arithmetik, München, 1931, S. 22.

აქ ნაგულისხმევია სწორედ, ის, რაც აუცილებელია თავისი თავის საშუალებით.

თანამედროვე აქსიომატური სისტემების აქსიომებიც ისეთი დებულებებია, რომლებიც, ცხადია, სხვაზე არ არიან დაფუძნებულნი, სხვის საშუალებით არ არიან აუცილებელნი; ისინი როგორღაც აუცილებელნი არიან თავისი თავის საშუალებით. ამ მომენტს ფსიქოლოგიის ენაზე ხშირად ასე გამოთქვამენ: „თავისთავად ცხადი". აქსიომა სწორედ ისეთ დებულებას ჰქვია, რომელიც სისტემაში არ საბუთდება, თვითონ აქსიომით საბუთდება სხვა დებულებები სისტემისა. აქსიომა სისტემისათვის არ საბუთდება სისტემაში, თუმცა პირველია სისტემის დებულებებისათვის, პირველ „ადგილზეა" სისტემის დებულებების მიმართ.

არისტოტელეს აზრი, რომ აქსიომები სრულიად გარკვეული დებულებებია, რომლებიც აუცილებელნი არიან დასაბუთებისათვის, უარყოფილ იქნა ანტიკური სკეპტიკოსების მიერ („ახალი ტროპები") იმ საბუთით, რომ შესაძლებელია რომელიმე აქსიომის საწინააღმდეგო დებულებაც აქსიომად მივიჩნიოთ; ეს იმას ნიშნავს, რომ არ ჩანს აქსიომის, როგორც რომელიმე დებულების აუცილებლობა. არისტოტელეს მიერ მითითებული აუცილებლობა, აქსიომისა უნდა ნიშნავდეს იმასაც, რომ აუცილებელია საერთოდ საწყისი დასაბუთებისათვის, და იმასაც, რომ რომელიმე დებულება (დებულებები) აქსიომად (აქსიომებად) უნდა იქნეს აუცილებლად აღებული, რაც ლოგიკურ შეუსაბამობას ჰქმნის. რადგან ასეთი აუცილებლობის ჩვენება, ეს უკვე არის აქსიომების დასაბუთება, ამით — მათი, როგორც უშუალო დებულებების, გაუქმება.

ეს რომ მართლაც ასეა, რომ სკეპტიკოსებმა სწორად მიუთითეს აქსიომების შესახებ არისტოტელეს მოძღვრების სისუსტეზე, ამას ააშკარავებს თანამედროვე აქსიომატური თეორიები, სადაც სხვადასხვა სისტემისათვის სხვადასხვა და ერთიმეორის საწინააღმდეგო აქსიომებია არჩეული. ამით კი საერთოდ ცოდნის, საერთოდ (ლოგიკური აზრით) დასაბუთების აქსიომატიზაციის მეცნიერული გამართლება დასასაბუთებელ—დასამართლებელ გარემოებად იქცევა.

აქსიომები, როგორც პირველი და გარკვეული საფუძველი დასაბუთებისა, საჭიროებენ ახალ აქსიომას, რადგან აქსიომების სიმრავლე, მით უმეტეს, თუ საწინააღმდეგო დებულებებია აქსიომებად

მიჩნეული, არჩევისა და სხვადასხვა სისტემის ეამართლებისათვის აუცილებელს ხდის გარკვეულ საფუძველს, გარკვეულ პირველს, რათა აქსიომებად დადგინდნენ სწორედ ეს და არა სხვა დებულებები. ეს კი პირველად აღებული აქსიომების გაუქმება იქნება, რადგან მათ მიმართ სხვა პირველის აუცილებლობა მათ დასასაბუთებელ დებულებებად გადააქცევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთებისათვის აუცილებელია საწყისი, რომელიც სხვა დებულებებს არ უნდა ემყარებოდეს. მას სხვა ლოგიკური საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ამავე დროს, დაუსაბუთებელიც არ უნდა იყოს. იმის ჩვენება, რომ საწყისი აუცილებლად დაუსაბუთებელი უნდა იყოს, უკვე თავისებური დასაბუთებაა, ან მოთხოვნაა დასაბუთებისა, რომ საწყისი აუცილებლად დაუსაბუთებელია, ე. ი. რომ აუცილებელია დაუსაბუთებელი საწყისი. ეს უკვე გარკვეული საწყისის დასაბუთების ცდაა: მაგრამ ეს არის ცდა არა რომელიმე აქსიომის, როგორც დაუსაბუთებელი დებულების, დასაბუთებისა, არამედ საერთოდ საწყისის დასაბუთებისა, იმის დასაბუთებისა, რომ საწყისი სწორედ ასეთი უნდა იყოს და არა სხვანაირი. თუ ვაჩვენებთ, რომ აუცილებელია დაუსაბუთებელი დებულება, უკეთ. — ასეთი დებულების აუცილებლობა, მაშინ უკვე შევასრულეთ თავისებური დასაბუთება, მოვხსენით დაუსაბუთებლობა, ყოველ შემთხვევაში, ვაჩვენეთ ის, რომ საწყისის დასაბუთება საჭირო და აუცილებელია.

არისტოტელეს აზრი, რომ საწყისი არის „ის, რაც აუცილებელია არა სხვის საშუალებით, არამედ თავისი თავის საშუალებით", როგორც ვნახეთ. გაურკვევლად ტოვებს იმას, თუ სად ჩანს ეს აუცილებლობა და რა ბუნებისაა იგი. აქსიომატური დებულების სიცხადე, ის, რომ აქსიომა არის თავისთავად ცხადი დებულება, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ეს დებულება ცხადია ფსიქოლოგიურად, არამედ უნდა ნიშნავდეს სწორედ იმას, რაზედაც არისტოტელე მიუთითებს, სახელდობრ — თავისი თავის საშუალებით აუცილებლობას. ეს უკვე ლოგიკური „სიცხადე" უნდა იყოს. ლოგიკური სიცხადე მხოლოდ დასაბუთების გარკვეულობა შეიძლება იყოს. ერთი სიტყვით, საწყისი როგორმე უნდა დასაბუთდეს, რომ იგი სწორედ ლოგიკურად იყოს ცხადი.

დასაბუთებისათვის რომელიმე დებულების აუცილებლობასულ ერთია ეს დებულება საწყისი იქნება თუ არა, მხოლოდ ლო-

გიკური აუცილებლობა შეიძლება იყოს. თავისი თავის საშუალებით აუცილებელიც ასეთია და ამიტომ არისტოტელესთან საწყისის დასაბუთების მოთხოვნაც გვაქვს. თუმცა ეს გარემოება ეწინააღმდეგება მისსავე აზრს საწყისის დაუსაბუთებლობის შესახებ.

რაიმე დებულების აუცილებლობა არა სხვის, არამედ თავისი თავის საშუალებით, ეს იქნება ან ტავტოლოგიის აუცილებლობა, ან სინთეზური დებულების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა საქმე ეხება დასაბუთების საწყისს, თავისი თავის საშუალებით აუცილებლობა არ უნდა ნიშნავდეს ტავტოლოგიის აუცილებლობას, რადგან ტავტოლოგიის აუცილებლობა დამახასიათებელია ყოველი დებულებისათვის, სულ ერთია ეს საწყისი იქნება თუ არა. ყოველი დებულება არის თავის თავთან იგივე. დასაბუთების საწყისის აუცილებლობა, როგორც თავისი თავის საშუალებით აუცილებლობა, უნდა იყოს სინთეზურის აუცილებლობა.

მართალია, ჩვენი აზრით, სინთეზურობაც ახასიათებს ყოველ დებულებას, სულ ერთია ის საწყისი იქნება თუ არა, მაგრამ ჩვენ აქ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ საწყისი დებულება არ შეიძლება იყოს წმინდა ტავტოლოგიური დებულება, ე. ი. მართალია ის იქნება თავისთავთან იგივეობრივი, მაგრამ განსხვავების შემცველიც იქნება. ის, რაც აუცილებელია თავისი თავის საშუალებით. გარკვეულ განსხვავებას უნდა შეიცავდეს თავის თავში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ აუცილებლობას ადგილი არ ექნებოდა. თავის თავში განსხვავების მქონე ამავე დროს უარყოფის შემცველია. რადგან განსხვავება არ არსებობს შინაგანი უარყოფის გარეშე (როგორც ეს ჩვენ სხვა შრომაში გვაქვს დამტკიცებული და ქვემოთაც ნათელვყოფთ). მაშასადამე, საწყისი დებულება უნდა იყოს სინთეზური, შინაგანი უარყოფის მქონე და იგი თავისი თავის საშუალებით უნდა იყოს აუცილებელი. ის როგორმე თავისი თავის საშუალებით უნდა დასაბუთდეს. ე. ი. იგი თვითსაფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება განხორციელდება იმით, რომ შესრულდება რაიმეს დაფუძნება მისივე უარყოფის საშუალებით? საწყისის უარყოფა ხომ შეუძლებელია? ამ უარყოფით ხომ დგინდება საწყისი, როგორც ამ უარყოფის საშუალება — გარკვეული საფუძველი? ამიტომ საწყისი რაღაც თვითსაფუძველს უნდა წარმოადგენდეს. საწყისში თვითდაფუძნება უნდა განხორციელდეს, საწყისის თვითდაფუძნება თვითდასაბუთება

უნდა იყოს. როგორ არის ასეთი რამ შესაძლებელი? ამ კითხვას შემდგომ ვუპასუხებთ.

ერთი სიტყვით, არისტოტელეს აზრთა წყობა მოითხოვს დიალექტიკას, თუმცა ის დიალექტიკის განხორციელებამდე ვერ მიდის. სწორედ ამას აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, როცა ის ამბობდა, რომ «Логика Аристотеля есть запрос, искание, подход к логике Гегеля, — а из нее, из логики Аристотеля (который всюду, на каждом шагу ставит вопрос именно о диалектике), сделали мертвую схоластику...»[1].

ვ. ი. ლენინის ეს აზრი ნათლად აჩვენებს იმას, რომ არისტოტელეს ლოგიკის მეცნიერული და ისტორიულად სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკის თეორიის, სახელდობრ, მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან. გზა არისტოტელეს ლოგიკიდან მატერიალისტური დიალექტიკისაკენ გადის ჰეგელის დიალექტიკაზე. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს გზა დიალექტიკის განვითარების გზაა და არა ლოგიკის განვითარებისა, არა, აქ სწორედ დიალექტიკური ლოგიკის ისტორიაზეა ლაპარაკი. არისტოტელეს ლოგიკა დიალექტიკურ ლოგიკამდე მიდის, არისტოტელეს ლოგიკის განვითარებას საქმე დიალექტიკურ ლოგიკამდე მიჰყავს. ძველი ლოგიკის განვითარების ერთადერთი ჭეშმარიტი გზა მიდის დიალექტიკური ლოგიკისაკენ. ეს გარემოება ნათლად ჩანს არისტოტელეს იმ დებულებებიდანაც, რომელთა ნაწილიც ხემოთ განვიხილეთ, ნაწილს კი შემდგომ შევეხებით. სწორედ არისტოტელეს დებულებების განხილვა დაგვარწმუნებს იმაში, რომ მცდარია ლოგიკის დაყვანა აღრიცხვაზე[2], რომ არისტოტელეს ლოგიკა არ არის დასაწყისი მათემატიკური ლოგიკისა[3]. მათემატიკური ლოგიკის ისტორიის დაწყება არისტოტელეს ლოგიკიდან მაშინ შეიძლება, თუ ჩვენ მას დავამახინჯებთ. მაგალითად, ავიღებთ სილოგისტიკის ზოგიერთ ფორმალურს, ისიც სინტაქსურად ფორმალურ მხარეს და გამოვრიცხავთ „ორგანონის“ აზრს, კერძოდ — „მეორე ანალიტიკას“, რომელიც წარმოადგენს აპოდიქტური ცოდნის თეორიას.

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, 1947, გვ. 304.

[2] იხ. ი. ლუკასევიჩი, არისტოტელეს სილოგისტიკა, ინგლისური გამოცემა, 1957 წ., რუსული გამოცემა, 1959 წ.

[3] იხ. J. M. Bochenski, Logik.

დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს. ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ თავისი თავის საშუალებით აუცილებელი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მასში ადგილი აქვს შინაგან უარყოფას, ე. ი. როცა იგი დიალექტიკური ბუნებისაა. ამრიგად, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ის, რაც თავისი თავის საშუალებით აუცილებლობით დგინდება, როცა მოქმედებს შინაგანი უარყოფა. ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ რაიმეს დადგენა უნდა ხდებოდეს მისივე (რაიმეს) უარყოფით. აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ოვითსაფუძველს და თვითდაფუძნებას.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყველაფერი, ყოველი აზრი დასაბუთებადია; უარყოფილ უნდა იქნეს აგნოსტიციზმი დასაბუთებაში; არ უნდა იყოს სწორი არისტოტელეს დებულება: „არ შეიძლება არსებობდეს დასაბუთება ყველაფრისათვის[1]. და რომ საწყისი არის დაუსაბუთებელი ცოდნა, სწორია არისტოტელე, როცა ის უარყოფს შეხედულებას, თითქოს არ არსებობდეს დასაბუთება — მეცნიერება, რადგან პირველი საწყისი შეუძლებელია (შეუძლებელია იმიტომ, რომ საჭიროდ არის მიჩნეული საწყისის დასაბუთება, რაც იწვევს რეგრესს უსასრულობაში), მაგრამ არ არის სწორი, როცა უარყოფს შეხედულებას, რომელიც ყველაფრის დასაბუთებას მოითხოვს (თუმცა ეს შეხედულება წრიულ დასაბუთებას აღიარებს ისე, რომ წრიულობიდან გამოსავალს ვერ უჩვენებს). არ არის სწორი არისტოტელე, როცა საწყისის პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ სამ შესაძლებლობას ამჩნევს (ორ შეხედულებას აკრიტიკებს და მესამეს იცავს[2]) და მეოთხეს — პრობლემის დიალექტიკურ გადაწყვეტას ვერ ხედავს.

მართალია, საწყისი უნდა იყოს ის, რაც აუცილებელია თავისი თავის საშუალებით, მაგრამ ეს ხომ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საწყისი თავისი თავის საფუძველია, თვითსაფუძველია, გარკვეული causa sui-ა, და რომ ამის აღიარება იქნებოდა წრიული დასაბუთების დაშვება, რომელსაც არისტოტელე უარყოფს. სახელდობრ, შემდეგი არგუმენტებით: 1) „...შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ერთისა და იმავესათვის იყოს ერთდროულად წინამავალიც და მომდევნოც..", 2) „მათ (წრიული დასაბუთების მომხრეებს, ს. წ.)

---

[1] არისტოტელე. მეტაფიზიკა. III. 2. 997 a 7-8.
[2] იხ. მეორე „ანალიტიკა", წ. I, თ. 3.

აგრეთვე არ შეუძლიათ თქვან სხვა რაიმე, თუ არა მართლაც ის, რომ თუ ეს არის, მაშინ ეს არის"[1].

აქედან გამოდის, რომ არისტოტელე საწყისის, როგორც თვითსაფუძვლის, ტავტოლოგიურობის, წმინდა იგივეობის წინააღმდეგია, ე. ი. მოითხოვს მის სინთეზურობას; არისტოტელე წმინდა იგივეობას დასაბუთებაშიც ამ უკანასკნელის შეუძლებლობად თვლის; მისი აზრით, დასაბუთებაში თუ არის რაიმე, მაშინ აუცილებლად არის რაღაც სხვა, როგორც ეს ზემოთაც იქნა აღნიშნული; დასკვნაც ხომ განსაზღვრული აქვს როგორც სინთეზური[2]. მაგრამ ჩვენ აქ დასაბუთების საწყისის სინთეზურობის პრობლემა გვაინტერესებს.

ის, რაც თავისი თავის საშუალებით არის აუცილებელი, არ უნდა დაიყვანებოდეს დებულებაზე: „თუ ეს არის, მაშინ ეს არის", ეს შეცდომა იქნებოდა. დასაბუთების საწყის დებულებას არ უნდა ახასიათებდეს ტავტოლოგიურობის წრიულობა, მაგრამ მასში რაღაც წრიულობას მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან საწყისი თავის თავს ეფუძნება, როგორც თავისი თავით აუცილებელი. არისტოტელეს აზრით, წრიულობა მაშინ არის შესაძლებელი, თუ დებულება არის შებრუნებადი[3]. დებულების შებრუნებას ადგილი აქვს განსაზღვრების დროს; განსაზღვრების პირდაპირი შებრუნება შეიძლება; განსაზღვრება, როგორც ამას შემდეგ გავარჩევთ, არ არის დასაბუთება. მოკლედ რომ ვთქვათ, წრიულობა შეცდომაა: 1) ტავტოლოგიაა, 2) დასაბუთებაში — დასასაბუთებელი დამსაბუთებელიც გამოდის და პირიქით. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ საწყისი, დებულება უნდა იყოს წრიული, მასში ადგილი უნდა ჰქონდეს ერთგვარ შებრუნებადობას, ამიტომ — გარკვეულ ურთიერთგანსაზღვრასაც, მაგრამ ყველაფერი ეს, ამავე დროს, შეუძლებელიც უნდა იყოს. სად არის გამოსავალი? ამ კითხვას არისტოტელემ პასუხი ვერ გასცა, თუმცა სიძნელე აშკარად იგრძნო.

ჩვენი აზრით, სიძნელიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია, ეს არის დასაბუთების საწყისის დიალექტიკურობის აღიარება. პრობლემა მხოლოდ დიალექტიკის თეორიაში წყდება.

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 3. 72 b 12—72 b 34.

[2] იხ. „პირველი ანალიტიკა", წ. I, თ. 1; „ტოპიკა", I, 1. 100 a 25—27 და შემდეგ.

[3] იხ. „პირველი ანალიტიკა", წ. II, თ. 5 და სხვ.

შებრუნებადობა და ურთიერთგანსაზღვრა მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როგორც გარკვეული სისწორე, როცა საქმე გვაქვს სინთეზურობასთან. ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რადგან ის, რაც განსხვავებას არ შეიცავს, რასაც სხვადასხვა მხარე არა აქვს, ის არც შებრუნდება და „ურთიერთს"-აც აზრი დაეკარგება.

თუ შებრუნებადობა და ურთიერთგანსაზღვრა აღებული იქნება თავისთავად, იზოლირებულად, მაშინ ის შეუძლებელია, როგორც წრე — შეცდომა, მაგრამ შებრუნებადობა და ურთიერთგანსაზღვრა არ არის შეცდომა, თუმცა ერთგვარ წრიულობას წარმოადგენს. თუ ის განხილული იქნება როგორც მეორადი, მის ამხსნელზე დაქვემდებარებული, წრიულობა მაშინ არის შეცდომა, თუ მასში არ არის უარყოფის მომენტი. წრიულობა არ არის შეცდომა, თუ მასში არის უარყოფის მომენტი, და თუ წრიულობა თვითონ არის გარკვეული მთელის მომენტი, სახელდობრ, იმ მთელისა, რომელიც წრიულობის მიმართ პირველადია და მის ამხსნელს წარმოადგენს. მართალია, „იმ ტერმინებში, რომლებიც ერთიმეორეს მიეწერებიან, არ არის ისეთი, რომელსაც რაიმე მიეწერებოდეს როგორც პირველს ან როგორც უკანასკნელს"[1]. მაგრამ ასეთი რეფლექსურობის დროს ეს „ტერმინები" იმ ერთი მთელის მხარეებს შეიძლება წარმოადგენდნენ, რომელსაც ერთი გარკვეული აზრი აქვს და პირველსაც სწორედ ის წარმოადგენს. ასეთია ხომ ურთიერთგანსაზღვრება კატეგორიებისა მატერიალისტურ დიალექტიკაში. ჩვეულებრივი დასკვნების ქვეშაც ხომ კატეგორიების (ერთეული — ზოგადი) ურთიერთგანსაზღვრება ძევს. ჰეგელთანაც დასკვნებში „ტერმინთა" ურთერთგანსაზღვრებას. გარკვეულ წრიულობას აქვს ადგილი, თუმცა ჰეგელმა უარყოფის მომენტი დასკვნად თანამიმდევრულად ვერ გამოიყენა, ამიტომაც დასკვნებში კატეგორიათა ურთიერთობის დასრულებისას მიიღო მათემატიკური დასკვნა (A—A—A), რომელიც, ტავტოლოგიურობის გამო, დასკვნის აზრს ჰკარგავს. ამ აზრდაკარგულობის გამოყენება უარყოფის მომენტის როლში მეტად ხელოვნური გამოდგა ჰეგელის ხელში და ამიტომაც მან ვერ მოახერხა დიალექტიკური დასკვნის დადგენა[2].

---

[1] „მეორე ანალიტიკა". წ. I. თ. 19: 82 a 7 — 82 a 26

[2] იხ. ჰეგელის „ლოგიკაში" დასკვნის ფიგურების განხილვა და ჩემი შრომა — „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში". თბილისი, 1959.

ერთი სიტყვით, როგორც ითქვა, დასაბუთების პირველთან მაშინ გვაქვს საქმე, თუ რაიმე საბუთდება მისივე უარყოფის საშუალებით. აქ უნდა გვქონდეს ნამდვილი აუცილებლობა თავისი თავის საშუალებით რაიმეს დადგენისა, რომელზედაც არისტოტელეს ყურად მიუთითა. თუ როგორ არის შესაძლებელი შესრულდეს რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით, ამის შესახებ ვილაპარაკებთ მაშინ, როცა შევეცდებით, გადაეწყვიტოთ ჩვენი პრობლემა.

დასაბუთება რომ წინასწარ გულისხმობს საგანს და საშუალებას, ეს სრულიადაც არ ნიშნავს დაუსაბუთებელის პირველადად მიღებას (როგორც ეს არისტოტელეს ეგონა). დასაბუთების მიერ საგნის და დასაბუთების საშუალების წინასწარგულისხმობა--დაშვების აუცილებლობის მიღება უკვე არის თავისებური დასაბუთება. აქ აუცილებლობა იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია არ მიიღო საგანი და საშუალება დასაბუთებისა. საგნის და საშუალების უარყოფა დასაბუთებაში შეუძლებელია, რადგან ამ უარყოფის შემთხვევაშიც ისინი აუცილებლობით იქნებიან მოხმარებულნი. მაშასადამე, აქ ადგილი აქვს რაიმეს უარყოფის საშუალებით მისსავე არდაფუძნების შეუძლებლობას, ამ აზრით — ამ რაიმეს დასაბუთებას.

ერთი სიტყვით, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს გარკვეული თვითდადგენა, რომლის შინაარსს, ცხადია, გარკვევა სჭირდება.

5. დასაბუთების დასაბუთების ლოგიკური სიძნელე

ლოგიკური თვითდადგენა, გარკვეული აზრით, დასაბუთების დასაბუთების მომენტის შემცველი უნდა იყოს. თუ რაიმეს დადგენა დასაბუთებაა, მაშინ თვითდადგენა წარმოადგენს დასაბუთების დასაბუთებას, რომელიც, არისტოტელეს აზრით (და არა მარტო არისტოტელეს აზრით) ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს.

დასაბუთების ლოგიკური სიძნელე არისტოტელეს, ჩვენი აზრით, გამოთქმული აქვს შემდეგ დებულებაში: 1) „დასაბუთების საწყისი არ არის დასაბუთება, ამიტომ მეცნიერება არ არის საწყისი მეცნიერებისა"[1]; 2) „თუ შეუძლებელია უსასრულობის გავლა, მაშინ ისიც, რისი დასაბუთებაც არსებობს, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ დასაბუთების საშუალებით"[2].

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თ. 13.

[2] „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 22.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არისტოტელეს ორივე ეს დებულება უარყოფითი ხასიათისაა, მაგრამ გარკვეულ დადებითსაც გულისხმობენ. დასაბუთების საწყისი არ არის დასაბუთება, ეს იმას ნიშნავს, რომ გამორიცხულია დადებითად გაგებული დასაბუთების დასაბუთება. დასაბუთების საწყისად დასაბუთების აღება შეუძლებლად არის მიჩნეული. მეორე მხრივ, რადგან დასაბუთების დასაბუთება უსასრულო რეგრესში მიდის, ამიტომ ის, რისი დასაბუთება არსებობს, არ მიიღწევა დასაბუთების საშუალებით. დასაბუთების საშუალება აღარაა თვითონ დასაბუთება, ამიტომ დასაბუთების დასაბუთება ლოგიკურ სიძნელეს ჰქმნის. არისტოტელეს აზრით, დასაბუთების დასაბუთება ლოგიკურ სიძნელეზე მეტია, ის ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს.

მართლაც, თუ რაიმეს დასაბუთება არის ამ დასაბუთებისათვის სხვის, როგორც საფუძვლის, მონახვა, მაშინ, ცხადია, არ შეიძლება დასაბუთებას საფუძვლად დასაბუთება ჰქონდეს. შეუძლებელი უნდა იყოს დასაბუთების დასაბუთება, რადგან ამის აღიარება უსასრულობაში რეგრესს იწვევს: თუ დასაბუთებას სჭირდება დასაბუთება, მაშინ ამ უკანასკნელსაც დასჭირდება დასაბუთება და ა. შ უსასრულოდ.

თუ დასაბუთებას და მეცნიერებას გავაიგივებთ, მაშინ ის, რაც აქ ითქვა დასაბუთების შესახებ, უნდა განმეორდეს მეცნიერების შესახებაც: არ შეიძლება მეცნიერებას საფუძვლად ჰქონდეს მეცნიერება, შეუძლებელი უნდა იყოს მეცნიერების მეცნიერება, როგორც ეს გამოთქმული აქვს არისტოტელეს ზემოთ მოყვანილ დებულებაში. მაგრამ არისტოტელე სხვაგან ისეთ დებულებებს გამოთქვამს, რომელთა მიხედვითაც ისიც უნდა მივიღოთ, რომ დასაბუთება და მეცნიერება არ არის ერთი და იგივე. აქ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ გარკვეული აზრით დასაბუთება და მეცნიერება ერთი და იგივეა, რადგან მეცნიერება დასაბუთების სისტემაა და პირიქით, ამიტომ არისტოტელეს ზემოთ მოყვანილი აზრი სრულიად გასაგებია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ არისტოტელე ერთიმეორისაგან ასხვავებს უშუალო და შუალობით ცოდნას, ორივე მეცნიერული ცოდნაა, მაგრამ უშუალო ცოდნა, როგორც საწყისი შუალობითი, დასაბუთებითი ცოდნისა, თვითონ დასაბუთებას არ წარმოადგენს, ის არის საწყისი დასაბუთებისა და არა დასაბუთება. ამიტომ არისტოტელეს ორივე ეს აზრი სრულიად გარკვეული და გასაგებია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ დასაბუთების დასაბუთება შეუძლებელია, ასე არ შეიძლება ითქვას მეცნიერების მეცნიერების შესახებ, რადგან სრულიად შესაძლებელია და არსებობს შემეცნების, ცოდნის (სწორედ მეცნიერული ცოდნის) თეორია — მეცნიერება. თუ მეცნიერების მეცნიერება შეუძლებელია, მაშინ შემეცნების თეორია — გნოსეოლოგია თუ ეპისტემოლოგია — შეუძლებელი უნდნა იყოს, რაც (ასეთი აზრი), ცხადია, უარყოფილ უნდა იქნეს, თუ დასაბუთების დასაბუთება უსასრულობაში რეგრესს იწვევს. ასე არ შეიძლება ითქვას მეცნიერების მეცნიერების შესახებ, რადგან იმის მეცნიერული ცოდნა, თუ რას ნიშნავს მეცნიერული ცოდნა, არ იწვევს ამ საკითხის განმეორების აუცილებლობას, რადგან იმის გაგება, თუ რა არის მეცნიერება, თვითონ არის მეცნიერება და იხსნება იმავე კითხვის განმეორების საჭიროება.

ფილოსოფიის მეცნიერებათა მეცნიერებად მიჩნევა მცდარია არა იმ აზრით, რომ თითქოს შეუძლებელი იყოს შემეცნების თეორია, არამედ იმ აზრით, რომ, როგორც ცნობილია, ფილოსოფია, თუმცა თავისებური, მაგრამ მაინც მეცნიერებაა და არა მასზე მაღლა მგდომი.

მაშასადამე, შემეცნების თეორიის აზრით არსებობს და შესაძლებელია მეცნიერების მეცნიერება, იმის გაგება, თუ რა არის მეცნიერება, რომელიც სრულიად გარკვეულ რაიმეს წარმოადგენს. მაგრამ როცა დასაბუთების დასაბუთების შესახებ კლაპარაკობთ, მაშინ საქმე გვაქვს განსხვავებულ მდგომარეობასთან. საქმე იმაშია, რომ დასაბუთების დასაბუთების საჭიროების აღიარება იმას ნიშნავს, რომ დასაბუთება დასაბუთებას არ წარმოადგენს სრული სახით და საჭიროდ მიიჩნევს მის დასაბუთებას. დასაბუთების დასაბუთება შეუძლებელია, რადგან დასაბუთებას მაშინ აქვს აღგილი, როცა ის არის სრული. დასაბუთების თვალსაზრისით, დასაბუთებას არაფერი არ უნდა აკლდეს იმისათვის, რომ იყოს სწორედ დასაბუთება. თუ დასაბუთებას სჭირდება დასაბუთება, მაშინ, ამ თავისებური ნაწილობრიობის გამო, იგი აღარ იქნება დასაბუთება. დასაბუთების აზრით, დასაბუთება, როგორც ასეთი, ყველაფერია; ამიტომ, დასაბუთების დასაბუთება, ეს იქნება დასაბუთების გატანა დასაბუთების გარეშე და ა. შ.

დასაბუთების საშუალება, ე. ი. ის, რის გამოყენება-მოსმარებითაც სრულდება დასაბუთება, ამ უკანასკნელს კი არ ექვემდებარება, არამედ, პირიქით, იგი მას იქვემდებარებს; დასაბუთების საშუალება დასაბუთებას იქვემდებარებს.

რადგან უსასრულობის გავლა შეუძლებელია, ამიტომ, არისტოტელეს აზრით, დასაბუთება, გაშუალება უნდა იწყებოდეს დაუსაბუთებლით და დაუსაბუთებადით, გაუშუალებელით — უშუალოთი. საწყისი არ უნდა სჭირდებოდეს ახალ საწყისს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საწყისიც არ იქნებოდა; ეს ასეა, რამდენადაც საქმე შეეხება პირველ საწყისს. პირველი საწყისი უნდა იქნეს აღებული აბსოლუტური აზრით.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუ დასაბუთებას სხვა რამ სჭირდება იმისათვის, რომ იგი, როგორც დასაბუთება, გამართლდეს, მაშინ ის, აღებული თავისთავად, გამართლებული არ ყოფილა, არ ყოფილა სწორედ დასაბუთება. დასაბუთებას, მართალია, არ უნდა სჭირდებოდეს დასაბუთება. მაგრამ მას არც სხვა რამ უნდა ესაჭიროებოდეს, რომ ის იყოს დასაბუთება. დასაბუთებისათვის სხვა საწყისის — არადასაბუთებითი საწყისის საჭიროება იმას ნიშნავს, მას სჭირდება გამართლება, რომ ეს სხვა საწყისი მას ლოგიკურად ამართლებს, ე. ი. ასაბუთებს (ლოგიკური გამართლება არის დასაბუთება); მაგრამ ეს ხომ დასაბუთების დასაბუთების სიძნელე იქნებოდა?

თუ დასაბუთებას სხვა — არადასაბუთებითი, მაგრამ ლოგიკური, საწყისი სჭირდება, მაშინ დასაბუთება ყოფილა ნაწილობრივი დასაბუთება; ნაწილობრივი დასაბუთება არადასაბუთებაცაა. უფრო ზუსტად, ის არც არის დასაბუთება; დასაბუთებას თუ რაიმე აკლია, მაშინ ის არ არის შესრულებული. ლოგიკურში არადასაბუთების მიერ დასაბუთების გამართლება დასაბუთების გაუქმებაა. არადასაბუთებითით დასაბუთების გამართლება უკანასკნელის პირველზე დაყვანაა (დასაბუთება არის დასასაბუთებელის მის საფუძველზე გამართლება — დაყვანა), ე. ი. მის გაუქმებას წარმოადგენს. დასაბუთება არ შეიძლება დაუსაბუთებელში გამართლდეს.

თუ დასაბუთების საშუალება, ე. ი. ის, რითაც დასაბუთება სრულდება, გარკვეული წანამძღვრის აზრით, დასაბუთებას იქვემდებარებს, მაშინ ეს დაქვემდებარება თვითონ იქნება დასაბუთე-

ბა და ამით დასაბუთება დასაბუთების გარეთ გავა და საჭირო გახდება ახალი საშუალება-წანამძღვარი და ა. შ. უსასრულოდ; ეს იქნება სწორედ დასაბუთების დასაბუთების სიძნელის განმეორება. ამიტომ დასაბუთების საშუალება წარმოდგენილ უნდა იქნეს არა როგორც დასაბუთების წანამძღვარი, არამედ როგორც დასაბუთების არსება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაბუთების ცნება დაირღვევა, დასაბუთება შეუძლებელი გახდება. დასაბუთების საწყისი გაგებული უნდა იქნეს როგორც დასაბუთებისათვის არსებითი და არა როგორც დამწყები წანამძღვარი რაიმე რიგისა. მაგალითად, თუ დასაბუთების საწყისად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ჩავთვლით, მაშინ ეს საწყისი დასაბუთების არსებად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. დასაბუთება გავიგოთ როგორც საწინააღმდეგოს გამორიცხვა. თუ დასაბუთების ამ საწყისის დასაბუთებას შევეცდებით, მაშინ: 1) მივიღებთ შეცდომას, რადგან საწყისი გადაინაცვლებს, ამ საწყისის დასაბუთების საწყისიც ხომ იგივე იქნება? დასასაბუთებელი გამოყენებული იქნება დასაბუთების დაუსაბუთებელ საშუალებად; 2) არ მივიღებთ შეცდომას. თუკი საკითხს კატეგორიალურ სფეროში დავსვამთ, რის შესაძლებლობასაც თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც არაპირველადი, იძლევა; აქ არ გვექნება შეცდომა, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობის გამართლებისათვის წინააღმდეგობის კატეგორიის გამოყენება და ამ კატეგორიის სხვა კატეგორიებით განსაზღვრა, ეს იქნება თავისებური დასაბუთება.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრი საწინააღმდეგოს უარყოფით რაიმეს დადგენაში მდგომარეობს, ამიტომ აქ დასაბუთება გვაქვს და არა დაუსაბუთებლობა, მაშინ როცა არისტოტელეს ეს კანონი დასაბუთების დაუსაბუთებელ დებულებად — აქსიომად მიაჩნდა. იმის მტკიცება, რომ „შეუძლებელია (რაიმე) ერთად ვამტკიცოთ და უარვყოთ“[1], თვითონ არის დასაბუთება, რომელიც დასაბუთების არსებად იყო გაგებული საუკუნეების განმავლობაში. თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრის ამ დასაბუთებითობას დაუსაბუთებლობად მივიჩნევთ, რადგან დასაბუთებას მხოლოდ გარეგანი საფუძვლის მონახვის სახით წარმოვიდგენთ, მაშინ, ცხადია, შეცდომაში ჩავარდებით, კერძოდ, ამ შემთხვევაში, ეს იქნება იმის დაშვება, რომ წინააღმდეგობის შეუძლებ-

---

[1] „მეორე ანალიტიკა“, წ. I, თ. 11; 77 a 10.

ლობის დებულებას არალოგიკური — არადასაბუთებითი ბუნების მქონედ წარმოვიდგენთ, მაშინ როცა ის ლოგიკურის, დასაბუთების არსებად და სწორედ დასაბუთების ბუნების მქონე არსებად გვაქვს წარმოდგენილი. დასაბუთების არსება დასაბუთებითობაა. და არა სხვა რამ.

შეიძლება თუ არა უსასრულობის გავლა? არისტოტელეს უსასრულობა ესმის „ცუდი უსასრულობის" აზრით და ამიტომ ამბობს იგი, რომ მისი გავლა შეუძლებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უსასრულობა კი არა, სასრულობა იქნებოდა; ცუდი უსასრულო სწორედ ის არის, რასაც ბოლო არ აქვს, ამიტომ მისი გავლა არ შეიძლება. მაგრამ დიალექტიკის თეორიაში. დამტკიცებულია, რომ ცუდი, უარყოფითი უსასრულობის „გავლა" შესაძლებელია იმით რომ არსებობს დადებითი, „ჭეშმარიტი" უსასრულობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნათელი უნდა იყოს ის, რომ უსასრულობა „გაელილია" მაშინ, როცა გვაქვს უსასრულობის ცნება. ლოგიკურად, ცნების თვალსაზრისით, არ შეიძლება უსასრულობის გაუვლელობა; უსასრულობა დასრულებულად არის წარმოდგენილი მის ცნებაში. ეს დასრულება უსასრულობისა ამ უკანასკნელის უარყოფა კი არ არის, არამედ სწორედ მისი გაგებაა, ამიტომაა, რომ ცუდი, უარყოფითი უსასრულობის აღიარებისას გამოყენებულია, აგრეთვე, დადებითი უსასრულობის ცნებაც. რომ გვესმოდეს „ცუდი" უსასრულობა, უნდა ვიცოდეთ „ჭეშმარიტი" უსასრულობა. უნდა ვიცოდეთ რა არის უსასრულობა მისი სრული აზრით, რომ შეგვეძლოს ლაპარაკი უსასრულობაზე როგორც დაუსრულებელზე.

დადებითი უსასრულობა თავის თავში მომენტებად შეიცავს სასრულს და უარყოფით უსასრულოს. უსასრულობის პრობლემა დიალექტიკის თეორიაში გადაწყვეტილია[1]; ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ არისტოტელეს ცუდი (პოტენციალური, უარყოფითი) უსასრულობის თვალსაზრისი გაუმართლებელია საერთოდ, კერძოდ კი — დასაბუთების მიმართ.

მართალია, გაყალბებულია დასაბუთების ცნება, თუ დასაბუთებას წარმოვიდგენთ როგორც უსასრულო რეგრესულ სელას, მა-

---

[1] იხ. ამის შესახებ ჩემი შრომა „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ", 1956, თავი II.

გრამ საქმე იმაშია, რომ დასაბუთება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მხოლოდ გარეგანი საფუძვლის დადგენა. ხომ შეიძლება, რომ დასკვნა და დასაბუთება წარმოდგენილ იქნეს როგორც გარკვეული შუალობითი კავშირი, სადაც არ მოქმედებს გარეგანი ლოგიკური საფუძველი? ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთების პირველი საწყისი არ არის აბსოლუტური იმ აზრით, თითქოს ის აბსოლუტურად დამოკიდებული იყოს იმისგან, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში საწყისი თავის აზრს დაკარგავდა — საწყისი აღარ იქნებოდა. ის გარემოება კი, რომ საწყისი როგორღაც განსაზღვრულია იმით, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, მოითხოვს აუცილებლობით და პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ საწყისი თავის თავში უნდა შეიცავდეს გარკვეულ სხვას, ე. ი. იგი თვითსაფუძველს უნდა წარმოადგენდეს; ყოველ შემთხვევაში, სრულიად ნათელი უნდა იყოს ის, რომ დასაბუთების პირველი საწყისი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების არსებას უნდა წარმოადგენდეს და თვითონაც ასეთი დამოკიდებულების ბუნების მქონე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასაბუთების არსება ვერ იქნებოდა.

დასაბუთების დასაბუთების შეუძლებლობა თვითსაფუძვლის აუცილებლობაზე მიუთითებს. დასაბუთების დასაბუთება შეუძლებელია, თუ დასაბუთება გარეგანი საფუძვლის მონახვას ნიშნავს. მაგრამ დასაბუთების დასაბუთება შეიძლება გაგებულ იქნეს გარკვეული აზრთ, სახელდობრ, ისე, რომ დასკვნისა და დასაბუთების აზრი წარმოვიდგინოთ როგორც გარკვეული ერთიანობა საფუძველ-შედეგისა, სადაც საფუძვლის და შედეგის შუალობითი კავშირი არ იქნება ჩვეულებრივი, მაგალითად, სილოგისტური გამოყვანა — გამომდინარეობა, სადაც საფუძველი მხოლოდ არ უსწრებს წინ შედეგს, არამედ შედეგიც განსაზღვრავს საფუძველს. ერთი სიტყვით, პრობლემის დასმის აზრით უნდა ითქვას, რომ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ბუნების მქონე საწყისი დასაბუთებისა ვვექნება მაშინ, თუ შესაძლებელი იქნება თვითსაფუძველი და თვიდაფუძნება. ეს კი მაშინ შეიძლება განხორციელდეს, ე. ი. თვითდაფუძნებას მაშინ შეიძლება არ ჰქონდეს „მოჯადოებული წრის“ აზრი, თუ დასკვნაში, როგორც გარკვეულ დადებით შუალობით კავშირში, როგორმე იმოქმედებს შინაგანი უარყოფის მომენტი. ასეთი უარყოფა იმოქმედებს მაშინ, თუ რაიმეს უარყოფა შეუძლებელია

და თუ რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს დადგენა როგორმე შესაძლებელია. სწორედ ასეთ შემთხვევაში დასაბუთების საწყისი მოექცევა დასკვნა-დასაბუთებაში და საწყისი გარკვეული დასკვნის, როგორც შუალობითი კავშირის, ბუნების იქნება. ამით უსასრულობა „გავლილი" იქნება, უსასრულობა მოექცევა დასკვნა-დასაბუთებაში. ეს იქნებოდა დასაბუთების დასაბუთების როგორც შეცდომის დაძლევაც და თვითდაფუძნების გამართლებაც. მაგრამ როგორ არის ასეთი რამ შესაძლებელი? ეს კითხვა პასუხს მოელის. ამ პასუხის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ.

დასაბუთებას არ ესაჭიროება დასაბუთება; დასაბუთების დასაბუთება ლოგიკურად ყალბი მდგომარეობაა; ის საშუალება, რომლითაც დასაბუთება სრულდება, თვითონ დასაბუთების შედეგად არ მიიღება, თუკი საფუძველი გაიგივებულ იქნა გარეგან წანამძღვართან, მაგრამ თუ წანამძღვარი მოუცილებელია შედეგიდან, თუ არსებობს ერთიანი აზრი, რომლის შიგნითაც განხორციელებულია შინაგანი საფუძველი და ასეთივე შედეგი, მაშინ პრობლემა დადებითად გადაწყდება.

6. ინტუიციის როგორც დასაბუთებისა და მეცნიერების საწყისის შესახებ

არისტოტელესათვის, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული და შემდეგ კი უფრო სრულად გაირკვევა, დასკვნა, რომელიც საშუალო ტერმინად საგნის არსების გამომთქმელი განსაზღვრებით დადგენილ ცნებას შეიცავს, ამავე დროს, დასაბუთებას წარმოადგენს. ასეთი დასკვნა-დასაბუთება ეყრდნობა საწყისს, გაუშუალებელს, რომელიც განსაზღვრების სახით არის მოცემული. განსაზღვრებაში მოცემული დადებითობა არის გარკვეული ერთიანი რამ, რომელიც აღნიშნული სილოგიზმის გაუშუალებელ წანამძღვარს წარმოადგენს. არსებობს თუ არა ასეთი ერთიანი, გაუშუალებელი წანამძღვარი დასაბუთებაში, როგორც დასკვნების სისტემაში, და მეცნიერებაში? ამ კითხვას არისტოტელე დადებითად პასუხობს. მისი აზრით, დასაბუთებისა და მეცნიერებისათვის გაუშუალებელი წანამძღვარი, მათთვის რაღაც ერთიანი როგორც საწყისი არის გონება. ეს აზრი მას გამოთქმული აქვს შემდეგ დებულებებში: 1) „სილოგიზმში

ერთიანი არის გაუშუალებელი წანამძღვარი, დასაბუთებაში და მეცნიერებაში კი — გონება"[1]; 2) „მე გონება მესმის მეცნიერების საწყისად"[2].

ამ დებულებებში დასაბუთება და მეცნიერება იგივეობრივად არის აღებული, რადგან დასაბუთებას და მეცნიერებას ერთგვარად უპირისპირდება სილოგიზმი, რომლის გაუშუალებელ წანამძღვარს გარკვეული ერთიანი წარმოადგენს. ასეთი სილოგიზმი დასაბუთებაა, მაგრამ ის არ არის მეცნიერება, დასაბუთება როგორც დასკვნათა სისტემა. ისე როგორც დასკვნა-დასაბუთებაში საწყისს წარმოადგენს გაუშუალებელი წანამძღვარი, ასევე მეცნიერების საწყისი არის გონება, რომელიც, არისტოტელეს აზრით, არაფრით არ არის გაშუალებული; ის გაუშუალებელი საწყისი — წანამძღვარია.

გონება გაუშუალებელია, არაფრით არ არის გაშუალებული, ფიქრობს არისტოტელე. რა აზრით არის გონება გაუშუალებელი? ხომ არ არის აქ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს გონება არც სინამდვილით არ არის გაშუალებული, რომ გონება თავისი თავიდან ჰქმნის მეცნიერებას? რასაკვირველია, არა; არ უნდა იქნეს დავიწყებული არისტოტელეს მოძღვრების მატერიალისტური მხარე. არისტოტელესთან გონება გაუშუალებელია ლოგიკურად, რეალურად კი იგი სინამდვილით არის გაშუალებული. არისტოტელეს აზრით, გონება გამოთქვამს მისგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს და ამით ჰქმნის მეცნიერებას; გონება სინამდვილეს აზრობრივად გამოთქვამს მეცნიერებაში. გონებას აუცილებლად სჭირდება სინამდვილე მეცნიერების შესაქმნელად. როდესაც არისტოტელე ამბობს, რომ გონება მეცნიერების საწყისია, მაშინ მას მხედველობაში აქვს სრულიად სხვა გარემოება, სახელდობრ, ის, რომ მეცნიერება გონების საგანია: უფრო ზუსტად: გონება მეცნიერების საწყისია იმ აზრით, რომ მხოლოდ გონებას შეუძლია მეცნიერება თავის საგნად აქციოს.

გონება გამოთქვამს სინამდვილეს და ამით ჰქმნის მეცნიერებას. სინამდვილე გამოთქმულია მეცნიერებაში გონების მიერ. აქ თითქოს არ არის განსხვავება სინამდვილის მეცნიერებაში გამოთქმასა და გონების მიერ სინამდვილის გამოთქმას შორის, რადგან სინამ-

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. I, თავი 23.

[2] იქვე, თავი 33.

დვილე გონების მიერ სწორედ მეცნიერებაშია გამოთქმული. მაგრამ არისტოტელე ამ ორ რამეს მაინც ასხვავებს: ეს განსხვავება გამოთქმის სიზუსტის ხარისხშია (აქ „გამოთქმა“ სიტყვიერ გამოთქმას კი არ ნიშნავს, არამედ — აზრობრივს). რომელი უფრო ზუსტად გამოთქვამს სინამდვილეს — მეცნიერება თუ გონება? არისტოტელეს აზრით, გონება უფრო ზუსტია მეცნიერებაზე. ჭეშმარიტებას იძლევა მეცნიერება და გონება; მეცნიერებაზე ზუსტი კი არაფერია, გარდა გონებისა, ამბობს არისტოტელე[1]. ეს ასეა, რადგან გონება მეცნიერების საწყისია; საწყისი უფრო „ზუსტია“, ვიდრე ის, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, რადგან საწყისი აძლევს შინაგან აზრს იმას, რაც საწყისს მოსდევს. გონება ჰქმნის მეცნიერებას, სწორედ ამიტომ მას გონება იქვემდებარებს. გონება უფრო ზუსტია მეცნიერებაზე, ისე როგორც, არისტოტელეს თქმით, დასაბუთების საწყისი დასაბუთებაზე „უფრო ცნობილია“.

დასაბუთების სისტემა, აღებული თავისი საწყისებით, არის მეცნიერება, მაგრამ მეცნიერული ცოდნა მეტია დასაბუთებაში მოცემულ ცოდნაზე, რადგან დასაბუთებაში არ შედის საწყისების ცოდნა. დასაბუთება გაშუალებული ცოდნაა; გაუშუალებელი ცოდნა დასაბუთების საწყისია, და, ამავე დროს, მეცნიერული ცოდნაცაა. კიდევ მეტი, როგორც ეს ახლახან აღინიშნა, დასაბუთების საწყისი დასაბუთებაზე „უფრო ცნობილია“. არისტოტელე იმ აზრისაც იყო, რომ ცოდნა განსაზღვრებებშია, როგორც საწყისში, დასაბუთებაში კი იგი სისტემის სახით არის წარმოდგენილი (ეს გარემოება დაედო საფუძვლად ლოგიკის შემდგომ ფორმალიზაციას, რაც, როგორც ამას შემდგომ ვაჩვენებთ, მცდარ გზად გამოდგა ლოგიკის განვითარებისათვის).

მიუხედავად იმისა, რომ საწყისებში მოცემული ცოდნა არის მეცნიერული ცოდნა, საწყისები არ შეადგენენ მეცნიერების საგანს, რადგან მეცნიერება ფუძნდება; ამ დაფუძნებას, ცხადია, თვითონ საწყისები არ დაექვემდებარება, რადგან საწყისები ამ დაფუძნების საწყისებს წარმოადგენენ. მეცნიერებას არ შეიძლება საგნად ჰქონდეს საწყისები, მეცნიერებაზე უფრო ჭეშმარიტი მხოლოდ გონებაა, ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია საწყისები საგნად გაიხადოს.

საწყისები, თავიანთი ბუნებით, უზოგადესნი არიან. მათი მონახვა შეიძლება ინდუქციით და არა დედუქციით, რომელიც დასაბუ-

---

[1] „მეორე ანალიტიკა“, წ. II თავი მე-19.

თების ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს არისტოტელესათვის. მაგრამ მხოლოდ ინდუქცია აუცილებლობით ვერ მიდის საწყისებამდე, რადგან ერთეულები არ წარმოადგენენ საკმაო საფუძველს ზოგადობის მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინდუქციაც დასაბუთების მეთოდი იქნებოდა. ინდუქციაზე დაყრდნობით გონება ნახულობს საწყისებს. ეს ნახვა სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ინტელექტუალური ინტუიცია. გონებისათვის აუცილებელია ინდუქცია, რომელიც არ არის საკმარისი საწყისების მიღებისათვის. გონება ინდუქციაზე დაყრდნობით სწვდება საწყისებს. მიუხედავად იმისა, რომ ინდუქცია დასაყრდენს წარმოადგენს გონებისათვის, გონება მაინც უშუალოდ წვდება უზოგადესს, საწყისებს, სწორედ ინდუქციის არასაკმარისობის გამო. საწყისები გონებით ინტუიციურად დგინდება — მიიწვდომება.

ის გარემოება, რომ საწყისები მხოლოდ გონების საგანია, არისტოტელეს ასე აქვს გამოთქმული: „დასაბუთებათა საწყისები უფრო ცნობილია, ვიდრე თვითონ დასაბუთებები, ყოველი მეცნიერება კი ფუძნდება. ამრიგად მეცნიერებას არ შეიძლება ჰქონდეს თავის საგნად საწყისები. მაგრამ რადგან არ შეიძლება რაიმე, გარდა გონებისა, იყოს უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე მეცნიერება, ამიტომ გონებას შეუძლია თავის საგნად ჰქონდეს საწყისები"[1].

ნათქვამიდან ცხადია, რომ დებულება — საწყისები არ არის მეცნიერების საგანი, არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს საწყისები ჩვენ არ ვიცით, არამედ მხოლოდ იმას გამოთქვამს, რომ საწყისები მეცნიერების, ცოდნის გზით, როგორც დასაბუთებითი გზით, ე. ი. ლოგიკურად არ მიიღება, რადგან ისინი სწორედ ყოველგვარი ცოდნის საწყისებს წარმოადგენენ. საწყისებს სწვდება არა მეცნიერება, არამედ გონება, რომლის საგანსაც (აღნიშნული გაგებით) საწყისები წარმოადგენენ და რომელიც მეცნიერებას ჰქმნის.

მეცნიერების გარდა სხვა ჭეშმარიტი შემეცნება არ არსებობს, ამიტომ მეცნიერების საწყისი თვითონ მეცნიერება ვერ იქნება (წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავარდებოდით უსასრულო რეგრესში), ამიტომ მეცნიერების საწყისი შეიძლება იყოს მხოლოდ გონება.

აქ თავს იჩენს ერთგვარი სიძნელე, სახელდობრ, ის, რომ, ერთი მხრივ, საწყისები გამოცხადებულია გონების საგნად, მეორე მხრივ კი გონებაა საწყისად აღიარებული; გამოდის, რომ საწყისის

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თავი მე-19.

საგანი არის საწყისები. აქ სიძნელე, ფიქრობდა ალბათ არისტოტელე, მხოლოდ ერთი შეხედვითაა, ნამდვილად კი სრულიად შესაძლებელია საწყისები იყოს საწყისის საგანი; შეიძლება საწყისს თავის საგნად საწყისები ჰქონდეს. მეცნიერება გარკვეულ დამოკიდებულებაშია თავის საგანთან; ამგვარივე დამოკიდებულებაში შეიძლება იყოს გონება მეცნიერებასთან; გონება ისეთსავე დამოკიდებულებაშია მეცნიერებასთან, როგორც ეს უკანასკნელი თავის საგანთან. არისტოტელე ამბობს, რომ „ამრიგად, თუ მეცნიერების გარეშე არ გვაქვს არავითარი სხვაგვარი ჭეშმარიტება, მაშინ გონება შეიძლება იყოს მეცნიერების საწყისი და საწყისს შეიძლება ჰქონდეს თავის საგნად საწყისები, ყველა სხვა მეცნიერება სწორედ ასევეა დამოკიდებულებაში თავის საგანთან"[1]. გონება თვით იმეცნებს თავის თავს, ის აზროვნების აზროვნება, ფორმის ფორმაა.

მართალია, მეცნიერების დამოკიდებულება მის საგანთან სხვაა, ვიდრე მეცნიერებასთან დამოკიდებულება. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენ გვქონდეს მეცნიერული ცოდნა მეცნიერების შესახებ? ზემოთ აღინიშნა, რომ, არისტოტელეს აზრით, როგორც შეუძლებელია დასაბუთების დასაბუთება, ასევე შეუძლებელია მეცნიერების მეცნიერება, მაგრამ იგივე არისტოტელე აღიარებს იმას, რომ არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელსაც საგნად მეცნიერება აქვს. ასეთი მეცნიერება არის ლოგიკა, როგორც ცოდნის თეორია[2]. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაც და ლოგიკაც. როგორც მეცნიერების მეცნიერება, რომელიც თავისებური, მაგრამ მაინც მეცნიერებაა, თავის საგანთან სხვაგვარ დამოკიდებულებაშია, ვიდრე გონება მეცნიერებასთან, სადაც ლოგიკაც იგულისხმება. მართალია, შეიძლება მეცნიერება, როგორც ასეთი, იყოს საგანი ისეთი მეცნიერებისა, როგორსაც წარმოადგენს ლოგიკა, როგორც მეცნიერების თეორია — მეცნიერების მეცნიერება, მაგრამ ყველა მეცნიერების საწყისი მაინც გონება იქნება, თანახმად არისტოტელეს ზემოთ მოყვანილი დებულებისა.

ლოგიკის და სხვა მეცნიერებათა ასეთი დამოკიდებულების შესახებ აქ შეიძლება მრავალი საკითხი წამოიჭრას,

---

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა", წ. I. თ. 22; იხ. 83 b 23-84 a 6.

[2] იხ. „მეტაფიზიკა", XI, 1,1059 b 18-19.

მაგრამ ეს საკითხები ჩვენთვის ამჟამად არ არის ყურადღების ცენტრში. ჩვენ ვეხებით მხოლოდ ერთ საკითხს, საკითხს საწყისის ბუნების შესახებ. ამ თვალსაზრისით, ზემოთ თქმულიდან გამოდის, რომ არსებობს საწყისთა საწყისი. მართალია, არისტოტელესათვის, დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს დასაბუთება, რადგან ასეთის დაშვება უსასრულო რეგრესს იწვევს, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს უშუალო, გაუშუალებელი ცოდნა, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის შესაძლებელი ის, რომ უშუალო ცოდნას წინ უსწრებდეს და ესაჭიროებოდეს სხვა უშუალო ცოდნა? ეს გარემოებაც ხომ უსასრულო რეგრესს გამოიწვევს? არისტოტელე რატომღაც აუცილებლად მიიჩნევს ცოდნისათვის სხვა, ამ ცოდნის წინ არსებულ ცოდნას; მეცნიერებაში კი არის საწყისების ცოდნა; საწყისები მხოლოდ გონებამ იცის; მაშასადამე, მეცნიერებას რაღაც ცოდნა უსწრებს წინ, რომელიც უფრო ზუსტია, ვიდრე დანარჩენი ცოდნა. მეცნიერებას წინწასწრებული ცოდნა, ცხადია, არ არის დასაბუთების ხასიათის მქონე ცოდნა, ის არის და შეიძლება იყოს მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიცია.

არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საწყისების დასაბუთება კი არ შეიძლება, არამედ — მონახვა, ნახვა, რაც სრულდება, როგორც ითქვა, ცდის (ინდუქციის) საფუძველზე; მხოლოდ ცდით შეიძლება მოვნახოთ დასაბუთების პირველი საწყისები, მაგრამ დასაბუთების უზოგადესი საწყისები ცდაში არასოდეს არ მოინახებიან, ცდას მხოლოდ ერთეულობასთან აქვს საქმე, ცდა მხოლოდ აჩვენებს იმას, თუ რა არის და არა იმას, თუ რატომ არის ეს ასე და არა სხვანაირად. ამიტომ ცდა ერთგვარი დასაყრდენია, რომელსაც მოიხმარს გონება; ცდა არ არის საკმარისი საწყისების მოსანახავად. საწყისებს ნახულობს გონება, რომელიც უშუალოდ ხედავს მათ. დასაბუთების საწყისების მონახვისათვის აუცილებელია გონების უშუალო ხედვა, ე. ი. ინტელექტუალური ინტუიცია. აი, სწორედ ეს უშუალობა, არისტოტელეს აზრით, არის მეცნიერების საწყისი.

არისტოტელეს ზემოთ აღნიშნულ დებულებებში, მეტი რომ არ ვთქვათ, სამ შეუსაბამობას მაინც აქვს ადგილი: 1) არისტოტელეს აზრით, საწყისები იცის გონებამ და არა მეცნიერებამ, მაგრამ ცოდნა ხომ ერთია? მეცნიერება არის ცოდნა, გონებამ თუ მეტი იცის, მაშინ ესეც ხომ ცოდნა, ამიტომ, მეცნიერება იქნება? როგორ შეიძლება ცოდნას წის უსწრებდეს ცოდნა? თუ ასეთი წინწასწრება

აუცილებელია, მაშინ რატომ აღარაა საჭირო კიდევ ახალი ცოდნა? უსასრულობაში რეგრესი, ამ შემთხვევაში, როგორ ავიცილოთ? 2) გაშუალებულ ცოდნას — დასაბუთებას წინ უსწრებს, როგორც მისი საწყისი, უშუალო ცოდნა, რომელსაც არაფერი არ უსწრებს წინ და სწორედ ამიტომ ითვლება ის საწყისად; მაგრამ თუ უშუალო ცოდნას წინ უსწრებს სხვა უშუალო ცოდნა, საწყისს — სხვა საწყისი, მაშინ: ა) ეს უშუალო ცოდნა არ ყოფილა უშუალო და საწყისი, ის უკვე გაშუალდა სხვა უშუალო ცოდნით, საწყისები გაშუალდა გონების საწყისით, ბ) რატომ აღარაა საჭირო გონების უშუალობისათვის კიდევ სხვა უშუალობა? როგორ ხდება აქ უსასრულო რეგრესის თავიდან აცილება? 3) თუ ერთმა უშუალობამ ვერ შეაჩერა რეგრესი და საჭირო გახდა მეორე უშუალო ცოდნა რეგრესის შესაჩერებლად, მაშინ გაურკვეველი რჩება: ა) ეს უშუალობა რით ახერხებს შეაჩეროს რეგრესი, თუ ყოველი უშუალობა ასეთად არ გამოდგება? თუ გონების უშუალობა არაფრით არ განსხვავდება სხვა უშუალობისაგან, მაშინ ყოველ საფეხურზე დასაბუთებისა შეიძლება გამოვიდეთ უშუალო დაშვებიდან; ასეთ შემთხვევაში დასაბუთების საჭიროება საერთოდ მოიხსნებოდა; ბ) თუკი გონების უშუალობა რაღაცის გამოა თავისებური და ამიტომ ახერხებს იგი იყოს უკანასკნელი საწყისი, მაშინ სწორედ ამ რაღაცის **გამო** გახდება ის გაშუალებული და უშუალობა საერთოდ მოიხსნება.

მცდარად უნდა ჩაითვალოს მეცნიერების და დასაბუთების საწყისად ინტუიციის მიღება. ინტუიცია, როგორც არ უნდა იყოს იგი, სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა და ამიტომ დასაბუთების თუ მეცნიერების საწყისად სრულიადაც არ გამოდგება. საწყისად ინტუიციის მიჩნევა, ეს არის მეცნიერების და დასაბუთების უშუალობაში გამართლება, გაშუალების უშუალობაზე დაყვანა, თუმცა ეს დაყვანა თვითონ არის გაშუალება; მეცნიერების და დასაბუთების დაყვანა ინტუიციაზე, როგორც სუბიექტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ეს არის მეცნიერებისა და დასაბუთების ობიექტურობის მოხსნა, ე. ი. მეცნიერების და დასაბუთების სრული გაუქმება, მაშინ როცა ინტუიციას მეცნიერების და დასაბუთების სწორედ გამართლებისათვის მიმართავენ.

თუ ინტუიცია იმას ნიშნავს, რომ მიღებულია ის, რის უარყოფა შეუძლებელია, და ამიტომაა ინტუიცია პირველი, საწყისი (როგორც ამას ადგილი აქვს ჰუსერლის აბსტრაქციის თეორიაში), მაშინ უნდა ითქვას, რომ: 1) ინტუიცია მაინც რჩება სუბიექტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობად; ამიტომ ჰუსერლის ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიზმით არის დამძიმებული; 2) ინტუიციით მიღებული რაღაც, რომელიც არის ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, იქნება საგანი და არა ლოგიკურის ლოგიკური საწყისი; 3) ის ლოგიკური კი, რის უარყოფაც შეუძლებელია, დგინდება სწორედ უარყოფის საშუალებით. აქ იქნება პირველი ლოგიკური მდგომარეობა, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც, როგორც სრული გაშუალება, რომელიც უარყოფით სრულდება, წმინდა უშუალობას აუქმებს.

ასე რომ გამოუვალი მდგომარეობა იქნებოდა, თუ: 1) ინტუიციას მივიჩნევთ დასაბუთების საწყისად, 2) თუ დასაბუთების ლოგიკურ საწყისად არ მივიღებთ ისეთ რაიმეს, რომელიც თვითონ არის დასაბუთების, დასკვნის ბუნების, ე. ი. თუ საწყისად არ იქნება აღებული თავისებური დასკვნა, რომელსაც დასაბუთებისათვის პირველის ხასიათი ექნება იმ აზრით, რომ ის იქნება დასაბუთების არსების გამომხატველი, დასაბუთების არსების როლის შემსრულებელი. როგორია ეს დასკვნა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა იქნება.

7. დასაბუთების საწყისის შინაგანი უარყოფის შესახებ

არისტოტელე ერთიმეორისგან განასხვავებს ორგვარ დასაბუთებას, დასაბუთების ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს — აპაგოგიურს. არისტოტელეს აზრით, დადებითი წინ უსწრებს უარყოფითს; დადებითის დასაბუთება ლოგიკურად პირველადია („უკეთესია") უარყოფითის დასაბუთებაზე, ამიტომ, სწორედ ამის საფუძველზე, დადებითის დასაბუთება უმჯობესია და პირველადია შეუძლებელზე მიყვანის საშუალებით დასაბუთებასთან შედარებით. ფიქრობს არისტოტელე[1].

პირდაპირ და არაპირდაპირ დასაბუთებას შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: პირდაპირი დასაბუთება გამოდის წინამავალი-

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 26.

დან, ბუნებით უფრო პირველიდან, არაპირდაპირი კი—მომდევნოდან, ბუნებით არაპირველიდან — შემდეგიდან, ნაკლებ ზოგადიდან, დანასკვიდან, ამიტომ უარყოფითის პირდაპირი დასაბუთება ლოგიკურად, უმჯობესია. უფრო სრული და პირველადია, ვიდრე დასაბუთება შეუძლებელზე მიყვანის საშუალებით. თუ, მაგალითად, პირდაპირ საბუთდება, რომ A არ არის B, მაშინ არაპირდაპირ დასაბუთებაში ხდება საწინააღმდეგოს დაშვება, რომ A არის B. როგორც პირდაპირი დასაბუთება, ისე არაპირდაპრი დასაბუთებაც სილოგიზმია, მაგრამ არაპირდაპირში დაშვებულია როგორც ჭეშმარიტი პირდაპირი დასაბუთების დანასკვის საწინააღმდეგო[1]. არაპირდაპირ დასაბუთებაში მიღებულია პირდაპირის მცირე წანამძღვარი და დანასკვის საწინააღმდეგო დებულება, ამით საქმე მიდის სიყალბემდე, რადგან ასეთ შემთხვევაში პირდაპირი დასაბუთების დიდი წანამძღვარი უნდა შეიცვალოს მისი საწინააღმდეგოთი, რაც შეუძლებელია, რადგან პირდაპირის დიდი წანამძღვარი არის ბუნებით პირველი და ამიტომ მისი საწინააღმდეგოს მიღება შეუძლებელია. თუ პირდაპირ დასაბუთებაში დანასკვი არაა ცნობილი — მიღებული, არაპირდაპირში სწორედ ამ დანასკვის მცდარობიდან გამოდიან. რაც პირდაპირ საბუთდება, ის შეიძლება დასაბუთდეს არაპირდაპირ და პირიქით (მაგრამ არა იმავე ფიგურებით)[2].

ამ უკანასკნელი დებულებიდან ჩანს, რომ თუ ის, რაც არაპირდაპირი მეთოდით საბუთდება, შეიძლება დასაბუთდეს პირდაპირი მეთოდითაც და ეს უკანასკნელი „უკეთესია", მაშინ ან საჭირო არ უნდა იყოს და უნდა მოიხსნას ხმარებიდან დასაბუთების არაპირდაპირი მეთოდი, ანდა უნდა არსებობდეს ისეთი რამ, რომლის დასაბუთება პირდაპირი მეთოდით არ ხერხდება და შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი მეთოდით; ამით ნათელი გახდება არაპირდაპირი მეთოდის აუცილებლობა; ნათელი გახდება ისიც, რომ არაპირდაპირი მეთოდი პირდაპირი მეთოდის ნაკლს ავსებს, ე. ი. ორივე შეადგენს ერთ მეთოდს, ერთი მეთოდის მომენტებს წარმოადგენენ; ანდა, ასეთ შემთხვევაში, არაპირდაპირი მეთოდი, როგორც ისეთი მეთოდი, რომელიც ისეთ რამეს ასაბუთებს, რის დასაბუთებაც ვერ ხერხდება პირდაპირი მეთოდით, უმჯობესი იქნებოდა პირდაპირ მეთოდზე; მაგრამ ეს გარემოება გამორიცხულია არისტოტელეს მიერ. ამიტომ რჩება შესა-

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 26.

[2] იხ. „პირველი ანალიტიკა", წ. II, თ. 14.

ძლებლობა ვილაპარაკოთ ორთავე ამ მეთოდის მომენტებად (და არა სახეებად) შემცველი სრული მეთოდის შესახებ.

დასაბუთების არაპირდაპირ მეთოდს ახასიათებს ისეთი რამ, რაც არ აქვს პირდაპირ მეთოდს, სახელდობრ, ის, რომ არაპირდაპირ მეთოდში ადგილი აქვს ერთგვარ უკან დაბრუნებას, რედუქციულობას, რადგან, როგორც ითქვა, ეს მეთოდი გამოდის პირდაპირი დასაბუთების დანასკვის საწინააღმდეგო დებულების დაშვებიდან, ამავე დროს, მიღებულია პირდაპირი დასაბუთების მცირე წანამძღვარი, და ისმის საკითხი დიდი წანამძღვრის აღდგენის შესახებ, ე. ი. „ბუნებით მეორადიდან" მიდის „ბუნებით პირველისაკენ", მაშინ როცა პირდაპირ დასაბუთებას ამის შებრუნებული, ასე ვთქვათ, „ბუნებრივი" გზა აქვს არჩეული.

ხომ არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელშიც აუცილებლად იქნება გაერთიანებული ეს ორი მომენტი? თუ ასეთი მეთოდი არსებობს, მაშინ იგი არ იქნება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მექანიკური ჯამი, ასეთ შემთხვევაში ახალი მეთოდი საერთოდ არ გვექნებოდა, არამედ ეს ახალი მეთოდი იქნებოდა თავისებური ხასიათის, სახელდობრ, შემცველი იქნებოდა იმ მომენტებისაც, რომლებიც, აღებული ცალ-ცალკე, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების სახელით არიან ცნობილი.

თუ დასაბუთების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები აუცილებელია, მაშინ უნდა არსებობდეს ისეთი მეთოდი, რომელშიც ორივე ეს მეთოდი იქნებოდა ნაგულისხმევი, უნდა არსებობდეს ამ მეთოდების რაღაც საერთო — ზოგადი ძირი, როგორც ერთი გარკვეული და უფრო სრული მეთოდი, რასაც თვითონ ლოგიკური მეთოდის ცნება მოითხოვს. მრავალი ლოგიკური მეთოდი გამართლებულ უნდა იქნეს ერთი ლოგიკური მეთოდით — წესით, რომელსაც უნივერსალური ხასიათი ექნება.

ეს ახალი მეთოდი უნდა იყოს ისეთი (როგორც ეს ზემოთ ფქმულიდან გამომდინარეობს), სადაც რაიმეს დადებითი დასაბუთება მოხდება ერთგვარი უკანდაბრუნების საშუალებით, თავისებური უარყოფის საშუალებით; ამიტომ ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი იქნება დიალექტიკურობა, ის დიალექტიკური ბუნების იქნება.

ამ ახალი მეთოდის დიალექტიკური ბუნება ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რასაც დასაბუთების არაპირდაპირი

მეთოდი ემყარება, სახელდობრ, იმას, რომ არაპირდაპირი დასაბუთება სრულდება შეუძლებელზე მიყვანის, ე. ი. უარყოფის საშუალებით; რაიმე დებულების დასასაბუთებლად მოჰმარებულია ამ დებულების საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, ე. ი. დებულების დასაბუთება ხდება საწინააღმდეგო დებულების უარყოფით. მაგრამ ეს შეუძლებლობა არისტოტელესათვის და, საერთოდ, ფორმალური ლოგიკისათვის ნიშნავს აბსურდს, წინააღმდეგობას, სახელდობრ, იმას, რომ პირდაპირი დასაბუთების იმ დიდ წანამძღვარს ეწინააღმდეგება არაპირდაპირი დასაბუთების დიდი წანამძღვარი, რომელიც ჭეშმარიტად არის დაშვებული (თუმცა ეს დაშვება შეიძლება თვითონ მოითხოვდეს დასაბუთებას), ერთი სიტყვით, აღნიშნული შეუძლებლობა, წინააღმდეგობა გაგებულია როგორც აბსურდი, შეცდომა, მაშინ როცა დასაბუთების მეთოდის თვალსაზრისით, უარყოფა აუცილებელია და ჭეშმარიტია, როგორც სწორედ მომენტი მეთოდისა. თუკი რაიმე საბუთდება საწინააღმდეგოს უარყოფით, მაშინ ასეთი უარყოფა თვითონ არის დასაბუთება, ის არსებითი მომენტია დასაბუთების მეთოდისა.

•

დასაბუთების არაპირდაპირი მეთოდი ემყარება საწინააღმდეგოს შეუძლებლობას. რადგან რაიმე დებულება არის მიღებული (დიდი წანამძღვარი), ამიტომ მისგან (და მცირე წანამძღვრიდან, რომელიც ერთი და იგივეა პირდაპირსა და არაპირდაპირში) გამომდინარე დანასკვის საწინააღმდეგო შეუძლებელია; ეს შეუძლებლობა კი უდრის პირდაპირი დასაბუთების დიდი წანამძღვრის საწინააღმდეგოს შეუძლებლობას. რადგან საწინააღმდეგო შეუძლებელია, ამიტომ **რჩება** ის, რის საწინააღმდეგოც შეუძლებელია. აქ დასაბუთება გაგებულია როგორც ეს „დარჩენა" და არა რაიმეს დადებითი დასაბუთება უარყოფის საშუალებით, თუმცა არაპირდაპირი დასაბუთება სწორედ ამგვარ უარყოფას ემყარება და გულისხმობს.

არაპირდაპირ დასაბუთებას „დარჩენის" ხასიათი აქვს. რაიმეს დასაბუთება როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობა ნამდვილად არის საწინააღმდეგოს აბსურდის მტკიცება და „რაიმეს" დარჩენა; ეს „დარჩენა" ამ რაიმეს დაუსაბუთებლობაა და არა მისი დასაბუთება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ შეიძლება საწინააღმდეგოს უარყოფა გამოყენებულ იქნეს „დარჩენილის" დამსაბუთებელ საფუძვლად: ასეთი რამ შესაძლებელი უნდა იყოს, კიდევ მეტი, ის აუცილებლად უნდა მოქმედებდეს, წინააღმდეგ შემ-

თხვევაში, არაპირდაპირი დასაბუთება საერთოდ არ იქნება დასაბუთება.

მაგრამ რაიმეს საწინააღმდეგოს უარყოფის ამ რაიმეს დასაბუთებად წარმოდგენა აღარაა აპაგოგიური დასაბუთება, რადგან ეს უკანასკნელი საწინააღმდეგოს შეუძლებლობაა, პირველში კი საწინააღმდეგოს უარყოფა ამ საწინააღმდეგოს გულისხმობს აუცილებლობით, ე. ი. აქ მოქმედებს საწინააღმდეგოს აუცილებლობა. ასეთ რაიმეს, ცხადია, ადგილი აქვს იქაც სადაც რაიმეს დასაბუთება გაგებულია, როგორც ის, რომ ეს რაიმე არის ეს და არა სხვა სწორედ იმის **გამო**, ე. ი. იმის საფუძველზე, რომ საწინააღმდეგო უარყოფილია. რაიმეს დადგენა საწინააღმდეგოს უარყოფის გამო, საწინააღმდეგოს უარყოფის საფუძველზე, ცნების თვალსაზრისით, ამ საწინააღმდეგოს აუცილებლობით გულისხმობს. რაიმე არის ეს და არა სხვა სწორედ ამ სხვის — საწინააღმდეგოს უარყოფით. რაიმე განისაზღვრება სხვისი „უარყოფით", რაიმე არის არა-სხვა, ე. ი. არა-საწინააღმდეგო. საწინააღმდეგო განსაზღვრავს რაიმეს როგორც ასეთს — არასხვას.

ეს გარემოება სრულად წარმოდგება მაშინ, თუკი არსებობს ისეთი რამ, რომელიც აუცილებელია მისივე უარყოფის დროს, თუკი რაიმეს უარყოფის დროს აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ეს რაიმე, როგორც მისი ამ უარყოფის საშუალება. ასეთი რაიმეს შესაძლებლობაზე შემდგომ გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ რაიმეს დასაბუთება მისივე უარყოფის საშუალებით შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, მაშინ როცა, არისტოტელეს აზრით, ყოველი დებულების დასაბუთება შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდით. ამიტომაც ჩვეულებრივად გაგებული არაპირდაპირი მეთოდი სრულიად სხვაა, ვიდრე უარყოფის საშუალებით რაიმეს დასაბუთება, თუმცა ეს უკანასკნელი პირველის საფუძვლად მოქმედებს.

თუ შესაძლებელია რაიმეს უარყოფისას ამ რაიმეს საშუალებად გამოყენება, მაშინ იარსებებს დასაბუთების ისეთი მეთოდი, რომლის საწყისი — არსება უარყოფის მომენტის შემცველი იქნება. ასეთი მეთოდის აუცილებლობაზე მიუთითებს დასაბუთების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ზემოთ გარჩეული დამოკიდებულება, რომლის განხილვა აჩვენებს ისეთი მეთოდის აუცილებლობას, რომელიც ხსნის და ინახავს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. ასეთი მეთოდი, თავისი ბუნებით, უნდა იყოს დიალექ-

ტიკური მეთოდი, რომლის არსება დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს, რადგან უარყოფის შემცველი დადგენა ორივე ამ მომენტს აერთიანებს; ყოველ შემთხვევაში, აქ არსებობს ისეთი დასაბუთება, რომლის არსება — საწყისი უარყოფის მომენტის შემცველი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, არისტოტელე იცავდა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, როგორც არსისა და აზრის უზოგადეს კანონს, და ებრძოდა ჰერაკლიტეს დიალექტიკას, კერძოდ, წინააღმდეგობისა და უარყოფის ჰერაკლიტესეულ გაგებას; მაგრამ, ჩვენი აზრით, არისტოტელე ამ შემთხვევაში თვითონ ვარდებოდა გამოუვალ წინააღმდეგობაში. აქ დავკმაყოფილდებით შემდეგის აღნიშვნით. არისტოტელე, ერთი მხრივ, იმას ამტკიცებს, რომ ჰერაკლიტეს დებულება, რომ ყველაფერი არის და არც არის, ყველაფერს ჭეშმარიტად ხდის[1], მეორე მხრივ კი იმას ამბობს, რომ ჰერაკლიტესთან საწინააღმდეგო დებულებები არასოდეს არაა სწორი[2]. არისტოტელეს ეს ორი დებულება ჰერაკლიტეს შესახებ ერთიმეორეს გამორიცხავს, ამიტომ არისტოტელე გამოუვალ წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი ჰერაკლიტეს დებულებათა შეფასების დროს.

შეიძლება არისტოტელეს ეს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულება ისე გავიგოთ, რომ არისტოტელემ ამით თვითონ ჰერაკლიტეს შეცდომა აღნიშნა, სახელდობრ, ის, რომ ჰერაკლიტე ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებების მცდარობასაც აღიარებდა და ჭეშმარიტებასაც. თუ ეს ასეა, მაშინ მაინც გაუგებარი რჩება ის, თუ არისტოტელეს რატომ დარჩა გაურკვეველი უარყოფის ისეთი გაგება, რომელიც პლატონმა მოგვცა თავის დიალოგში „სოფისტეს“, სადაც უარყო პარმენიდესეული აბსოლუტური უარყოფის ცნება და გაარკვია შედარებით უარყოფის ბუნება შედარებითი „არარსის“ ცნების დადგენით. პლატონი დიალოგ „პარმენიდე“-შიც ხომ უარყოფს აბსოლუტური არსის მიღებას და შედარებითი არსის ცნებას ღებულობს.

ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ არისტოტელეს ზემოთ მოყვანილი დებულებები, სახელდობრ: 1) ჰერაკლიტესთან ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებები ჭეშმარიტია და 2) ეს დებულებები არაა სწორი, შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ შედარე-

---

[1] „მეტაფიზიკა“, IV, 7, 1012 a 24-26.

[2] „მეტაფიზიკა“, XI, 5, 1062 a 31-32.

ბითი „არა“-ს მეშვეობით, ე. ი. ისე, რომ ჰერაკლიტესათვის ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებები ნაწილობრივ ჭეშმარიტია, ნაწილობრივი არ არის ჭეშმარიტი. ამ შეფარდებითობის დიალექტიკურობა, რომელიც ჰერაკლიტემ აღიარა, მაგრამ მეცნიერულად ვერ დაასაბუთა, არისტოტელესათვის სრულიად გაუგებარი დარჩა; კიდევ მეტი, ის ვერ ამაღლდა ვერც შედარებითი არარსის პლატონისეულ გაგებამდე.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ არისტოტელე, მართალია, „თავს იმტვრევდა“ დიალექტიკის საკითხებზე, მისი დებულებები მიდიოდა დიალექტიკამდე, მაგრამ ის დიალექტიკამდე მაინც ვერ ამაღლდა; კერძოდ, ერთიმეორეს ორგანიულად, აუცილებლობით ვერ დაუკავშირა დადებითი და უარყოფითი, სახელდობრ, ერთიმეორეს ვერ დაუკავშირა ვერც დადებითი და უარყოფითი მსჯელობები და ვერც პირდაპირი და არაპირდაპირი დასაბუთების მეთოდები, რომელთა ერთიანობა სწორედ დადებითის და უარყოფითის ერთიანობით იქნებოდა შესაძლებელი.

არისტოტელე, ცნების მოცულობის თვალსაზრისით გაგებულ ზოგადობაზე დაყრდნობით, ასხვავებდა მსჯელობის ორ — დადებით და უარყოფით სახეს და დასაბუთების პირდაპირ და არაპირდაპირ სახეებს, რაც, ცხადია, გარკვეული აზრით, სრულიად მართებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მან ვერ მოახერხა დადებითობისა და უარყოფითობის დიალექტიკური ერთიანობის გაგება, ვერ გაიგო, მაგალითად, ის, რომ თუ მსჯელობა მტკიცება-უარყოფას წარმოადგენს, მაშინ მსჯელობა ამ ორ მომენტს უნდა შეიცავდეს, უნდა იყოს მათი ერთიანობა, რომელშიც დადებითი და უარყოფითი წარმოდგენილი იქნება მომენტების სახით. სწორედ ამ მომენტების საფუძველზეა შესაძლებელი მსჯელობის ორი სახე — დადებითი და უარყოფითი მსჯელობები. მომენტები იგულისხმება ერთიანობაში, სახეები კი, ცხადია, არ იგულისხმება გვარში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვარი სახეების სპეციფიკური ნიშნების შემცველი იქნებოდა, ე. ი. არ იქნებოდა გვარი.

ასევე გაუგებარი დარჩა არისტოტელეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მომენტებად შემცველი დიალექტიკური მეთოდის ბუნება, კერძოდ, მას გაუგებარი დარჩა აპაგოგია როგორც უარყოფის გამოყენება გარკვეულ შებრუნებით დასაბუთებაში, დასაბუთების გარკვეულ შებრუნებითობაში. ამიტომ მან ვერ მონახა

დასაბუთების საწყისში — არსებაში უარყოფის მომენტი, რომელიც მასში აუცილებლობით იგულისხმება.

ეს მომენტი ნათლად ჩანს მაშინ, როცა საქმე გვაქვს საპირისპირო კატეგორიების ერთიანობასთან, მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ უსასრულოს უარყოფა სასრულია და პირიქით, კერძოს უარყოფა ზოგადია და პირიქით, უკეთ: — როცა უსასრულო გაგებულია როგორც სასრულის უარყოფის შედეგი და პირიქით, ზოგადი კერძოს უარყოფის შედეგადაა მიღებული და სხვა. ზოგადი, მიღებული კერძოს უარყოფით, თვითონ არის კერძო, ასე ითქმის უსასრულოს შესახებაც. ამიტომ დადებითი და უარყოფითი აუცილებლობით არიან ერთიანობაში.

უსასრულო აღარაა უსასრულო, თუ უარყოფილია სასრული, მაგრამ იგი სწორედ სასრულის უარყოფაა. ეს ორი ცნება დაპირისპირებულთა ერთიანობაშია. ასე ითქმის ზოგადისა და კერძოს ერთიანობის შესახებაც. მსჯელობაში მტკიცება-უარყოფის ერთიანობა გვაქვს, დასაბუთების მეთოდში დადებითის და უარყოფითის ერთიანობა პირდაპირი და არაპირდაპირი დასაბუთების ისეთი ერთიანობაა, როცა ეს მეთოდები თავისებურს, ახალ აზრს იძენენ, რადგან დიალექტიკურ ერთიანობაში ბატონობს საწინააღმდეგოს აუცილებლობა, საწინააღმდეგოს შეუძლებლობა კი მხოლოდ მისი ერთი მომენტის სახით შეიძლება არსებობდეს.

აქ აღნიშნული გარემოება ნათლად და მთელი სისრულით წარმოსდგება მაშინ, თუ არსებობს აზრთა ისეთი შუალობითი კავშირი, როცა რაიმეს დასაბუთებისათვის ამ რაიმეს უარყოფაა გამოყენებული, ე. ი. თუ რაიმე მისივე უარყოფით საბუთდება, ეს დასაბუთება იქნება არსება, საწყისი ყოველგვარი დასაბუთებისა. მაგრამ არის კი ასეთი რამ შესაძლებელი? ამ კითხვაზე პასუხი შემდგომ იქნება გაცემული, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ნათელყოფს ასეთი დასაბუთების შესაძლებლობას. მართლაც, ზოგადი მიიღება მისი უარყოფის — კერძოს უარყოფით, ისე რომ, აქ მოხმარებული შედარებითი უარყოფის გამო, ვღებულობთ ზოგადის და კერძოს ერთიანობას, როგორც თავისებურ, არამოცულობით ზოგადობას. ასე ითქმის სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებაც, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზემოთ იმას კი არ ვამტკიცებდით, რომ დასაბუთების საწყისი უარყოფითია, არამედ იმას, რომ ეს საწყისი უარყოფის მომენტს უნდა შეიცავდეს; ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დადებითი, რადგან ის, რაც უარყოფითს შეიცავს თვითონ, ცხადია, უარყოფითი არ იქნება.

არისტოტელე თავისებურად ასაბუთებს იმას, რომ საწყისი უნდა იყოს დადებითი. მისი არგუმენტაცია ასეთია: დადებითი დანასკვი მიიღება მხოლოდ დადებითი წანამძღვრიდან, უარყოფით დანასკვს კი სჭირდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი წანამძღვრები. თუ დადებითი დანასკვისათვის საკმარისია მხოლოდ ერთი, სახელდობრ, დადებითი, უარყოფითს საფუძვლად სჭირდება ორი — დადებითიც და უარყოფითიც. „უარყოფის დასაბუთება მოიცემა მეტი საშუალებით და ამიტომ ნაკლებ კარგია"[1], ამბობს არისტოტელე. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დადებითი ლოგიკურად წინ უსწრებს უარყოფითს, დადებითი წინ უსწრებს უარყოფითს, რადგან „... უარყოფითი დანასკვი საბუთდება დადებითი წანამძღვარით. მაშინ როცა დადებითი არ მტკიცდება უარყოფითი წანამძღვრის საშუალებით..."[2]; „უარყოფითი ცნობილი ხდება დადებითით და დადებითი წინ უსწრებს უარყოფითს, მსგავსად იმისა, როგორც არსი წინ უსწრებს არარსს"; ამასთანავე, „დადებითის დასაბუთება არის და უფრო მსგავსია საწყისისა, ვინაიდან დადებითის დასაბუთების გარეშე არ არსებობს უარყოფითის დასაბუთება."[3]. აქედან ნათელია, რომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს უარყოფითი, ის უნდა იყოს დადებითი.

მაგრამ როგორ შევათავსოთ არისტოტელეს ეს აზრი მისსავე აზრთან, რომ ყველა საწყისიდან ყველაზე მთავარი და აუცილებელი საწყისი არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რომელსაც უარყოფითი ხასიათი აქვს, რადგან ის იმას ამბობს, რაც შეუძლებელია — შეუძლებელია A იყოს, ამავე დროს, არა-A და არა იმას, რაც არის და რაც უნდა იყოს დადებითი აზრით.

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 25, იხ. 86 a 33—86 b 17.
[2] იხ. იქვე, b 18—86 b 39.
[3] იხ. „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 25.

მაშასადამე, სიძნელე იმაშია, რომ საწყისი უნდა იყოს დადებითი, მაგრამ ასეთ საწყისად აღიარებულია უარყოფითი. როგორ უნდა გადაწყდეს ეს სიძნელე, რომელიც არისტოტელეს მიერ ღიად არის დატოვებული. ჩვენი აზრით, ამ სიძნელიდან გამოსვლა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, როგორც უარყოფითი დებულება, არ მივიჩნიოთ უპირველეს საწყისად, რომ მას უნდა უსწრებდეს წინ რაღაც, რომლის საფუძველზეც შეიძლება აზრი ჰქონდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებას, როგორც უარყოფითს. ასეთი საწყისი, ცხადია, დადებითი იქნება. ამით ის დასაბუთდება, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება საერთოდ არ არის საწყისი. მაგრამ თუ მივიღებთ მსედველობაში იმას, რომ არისტოტელესათვის დასაბუთების არსება — საწყისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაა, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ დებულების აზრი როგორმე უნდა მოთავსდეს საწყისში. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საწყისი იქნება დადებითი, მაგრამ ამავე დროს, უარყოფითი მომენტის შემცველი, ე. ი. საწყისი არ არის წმინდა დადებითობა, არა, ის დადებითია, მაგრამ შეიცავს უარყოფითსაც, როგორც გარკვეულ მომენტს. რომ ასეთი რამ შესაძლებელი უნდა იყოს, ამას ისიც მიუთითებს, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, რომ არისტოტელესათვის პირდაპირი დასაბუთება უპირატესია არაპირდაპირთან — შეუძლებელზე მიყვანის საშუალებით დასაბუთებასთან შედარებით; მაგრამ, როგორც ითქვა და როგორც ამას თვითონ დასაბუთების ცნება მოითხოვს, უნდა არსებობდეს ისეთი მეთოდი, რომელიც არაპირდაპირს მომენტად უნდა შეიცავდეს. ეს მეთოდი იქნება პირველი ე. წ. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მიმართ.

არისტოტელეს იმ დებულებიდან, რომ დადებითის დასაბუთებას ნაკლები საფუძველი, სახელდობრ, მხოლოდ ერთი — დადებითი საფუძველი სჭირდება, უარყოფითის დასაბუთებას კი მეტი, სახელდობრ, ორი — დადებითიც და უარყოფითიც; და რომ დადებითი წინ უსწრებს უარყოფითს, გამომდინარეობს და უნდა გამომდინარეობდეს აზრი საწყისის ზოგადობის შესახებ, უნდა გამომდინარეობდეს ის, რომ: 1) უპირატესია ნაკლებ საწყისიანი დასაბუთება, რომ ნაკლებ საწყისებზე დამყარებული მეცნიერება უფრო ზუსტი და მაღალი, 2) ამ დებულებათა საფუძველი არის ზოგადი. ამასთანავე, საწყისთა რიცხვის შემცირებასთან ერთად უნდა „იზრდებოდეს“

ზოგადობაც; საწყისთა რიცხვის შემცირებასა და ზოგადობის ზრდასთან ერთად უნდა „გაიზარდოს“ აუცილებლობაც, რადგან, არისტოტელეს თქმით, „უფრო აუცილებელია ის, რის საშუალებითაც ასაბუთებენ“. ეს კი საწყისის აუცილებლობაა, რაც ზოგადის აუცილებლობასაც უნდა ნიშნავდეს.

თუ საწყისების შემცირებასთან ერთად იზრდება ზოგადობაც და აუცილებლობაც, მაშინ სრული აუცილებლობა და ზოგადობა გვექნება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბუთების ერთს და ისიც დადებით საწყისს.

ამრიგად, დასაბუთების აუცილებლობის სისრულე დაკავშირებულია საწყისთა რიცხვის ერთამდე შემცირებასთან; ეს კი უშუალოდ უკავშირდება ზოგადობის ბუნებას, რადგან ერთი საწყისი ცხადია, უზოგადესი იქნება დასაბუთების სისტემისათვის; მრავალი საწყისი კი გაინაწილებს ამ ზოგადობას და თითოეული არაზოგადი ხასიათის გამოვა, რაც საწყისის ცნებასთან შეუთავსებელი უნდა იყოს.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს არა მარტო დადებითი, არამედ ზოგადიც.

9. დასაბუთების საწყისის ზოგადობის შესახებ

როგორც ითქვა, უარყოფითის დასაბუთებას მეტი საშუალებები სჭირდება, ვიდრე დადებითის დასაბუთებას, დადებითი კი წინ უსწრებს უარყოფითს, ამიტომ, ამის გამო, ისიც უნდა ითქვას, რომ დადებითი, დასაბუთების საშუალებების-საწყისების თვალსაზრისით, უფრო ზოგადია, ვიდრე უარყოფითი, უკეთ, დადებითის დადებითი საწყისი ზოგადია უარყოფითის საწყისებთან შედარებით.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ თუ საწყისი უნდა იყოს დადებითი, რომელიც თავის თავში უარყოფის მომენტს შეიცავს, მაშინ დადებითი იქნება ერთიანობა, რომელიც ზოგადს წარმოადგენს. ე. ი. დასაბუთების საწყისი არის თავისებური ზოგადი.

არისტოტელესათვის, როგორც ცნობილია, „ბუნებისათვის პირველი“ ზოგადია. ასე ითქმის დასაბუთების შესახებაც, დასაბუთებისათვის პირველიც არის ზოგადი. „ბუნებისათვის“ პირველი დასაბუთებისათვისაც პირველია, რადგან არისტოტელეს დასაბუთება გაიგივებული აქვს დედუქციასთან, რომლის საწყისები ზოგადობის ხასიათისაა.

თუ ზოგადი არის პირველი, მაშინ ის არის „მიზეზი“ (საფუძველი); „მიზეზი“, ცხადია, პირველია. არისტოტელეს აზრით, დასაბუთება არის დასკვნა, რომელიც ამტკიცებს მიზეზს და იმას, თუ რატომ არის. თუ ეს ასეა, მაშინ, მეორე მხრივ, ზოგადი უფრო მეტად არის მიზეზი, ვინაიდან ის, რასაც რაიმე ეკუთვნის თავისთავად, არის მიზეზი თავისი თავისა, ზოგადი კი არის პირველადი, მაშასადამე, მიზეზი. დასაბუთების პირველი „მიზეზი“ იქნება დასაბუთებისათვის პირველი, მაშასადამე, ის იქნება უზოგადესი — პირველი საწყისი. არისტოტელეს სიტყვებით: „თუ დასაბუთება არის სილოგიზმი, დამსაბუთებელი მიზეზისა და იმისი, თუ რატომ არის რაიმე, მაშინ ზოგადი, მეორე მხრივ, არის უფრო მეტად მიზეზი, ვინაიდან ის, რასაც რაიმე ეკუთვნის თავისთავად, არის მიზეზი თავისი თავისა, ზოგადი კი არის პირველადი და, მაშასადამე, მიზეზი“[1].

არისტოტელეს აზრით, უმჯობესია ის მეცნიერება, დასაბუთება, რომელიც ნაკლები საწყისებიდან გამოდის. საფუძველი კი დებულებისა, რომ უკეთესია ის დასაბუთება, რომელიც გამოდის ნაკლები წანამძღვრებიდან, არის ზოგადი[2]. მაშასადამე, ერთი სისტემის ერთი საწყისი იქნება უზოგადესი.

არისტოტელეს აზრით, კერძოს ლოგიკურად წინ უსწრებს ზოგადი. ზოგადი არის ის, რის საფუძველზედაც ჩვენ ვიცით ესეც და სხვაც. ეს საფუძველი, ცხადია, უპირველესია იმაზე, რის საფუძველზეც ჩვენ ვიცით მხოლოდ ეს. კერძოა როგორც ეს, ისე სხვა. ზოგადი კი იქნება ორივეს გამაერთიანებელი საფუძველი. ასეთი ერთიანობა არის თავისებური ხასიათის მქონე ზოგადი.

არისტოტელეს მტკიცებით, კერძო უფრო ახლოა უსასრულობასთან — განუსაზღვრელობასთან; რაც ახლოა უსასრულობასთან, ის ვიცით ნაკლებად. ცოდნა შეიძლება იმის, რაც განსაზღვრულია. საზღვარი და მარტივი მიიღწევა ზოგადის დასაბუთებით. ამიტომ თვითონ საზღვარი — საწყისი უნდა იყოს უზოგადესი. იგი უნდა იყოს ისეთი ზოგადი, რომელიც სხვაზე არ იქნება დამოკიდებული. „...და თუ მოცემულ ფიგურას, ამბობს არისტოტელე, აქვს ეს თვისება უკვე არა სხვის გამო, მაშინ ჩვენ ვიცით ყველაფერი უკეთ და მაშინ ჩვენ ვიცით ზოგადი“[3].

---

[1] „მეორე ანალიტიკა“, წ. I. თ. 24, იხ. 85 b 15—85 a 37.

[2] „მეორე ანალიტიკა“, წ. I, თ. 25; იხ. 86 a 33—86 b 17.

[3] „მეორე ანალიტიკა“, წ. I. თ. 24; იხ. 85 b 37—86 a 16.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ზოგადი, მაგრამ თავისებური ხასიათისა, სახელდობრ, ის უნდა იყოს რაღაც ერთიანობა, რომელსაც, როგორც საფუძველს, ემყარება „ეს და სხვა", ე. ი. იქნება „მიზეზი თავის თავისა", — ის, რომელიც სხვაზე არ იქნება დამყარებული. ასეთი ბუნების მქონე საწყისის მოთხოვნა, რომელსაც ადგილი აქვს არისტოტელესთან, როგორმე უნდა გამართლდეს; ამას მოითხოვს დასაბუთების ბუნება. მაგრამ ასეთ გამართლებას არისტოტელესთან არ აქვს ადგილი. დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტამ კი სწორედ ეს გამართლება უნდა აჩვენოს.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არისტოტელეს აზრით, დასაბუთებას საზღვრავს, ერთი მხრივ, ერთეული, მეორე მხრივ კი უზოგადესი — კატეგორიები. დასაბუთების საწყისს წარმოადგენს ზოგადი, ის, რაც „ბუნებისათვის პირველია". ამიტომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს ერთეული, რომელიც არის „ჩვენთვის პირველი". ერთეულიდან იწყებს ინდუქცია. ერთეულები არ გამოდგება საკმაო საფუძვლად ზოგადისათვის, ფიქრობს არისტოტელე. ამრიგად, მისი აზრით, არც ერთეულია საწყისი დასაბუთებისა და, ამიტომ, არც ინდუქცია წარმოადგენს ლოგიკურ მეთოდს; ასეთი მეთოდი მხოლოდ დედუქციაა.

მაგრამ, მეორე მხრივ, ერთეულის არსება გამოითქმება დეფინიციაში, რომელიც, არისტოტელეს აზრით, დასაბუთების ერთ-ერთ საწყისს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ერთეული, ერთი მხრივ, არ გამოდგება საწყისად, მეორე მხრივ კი იგი საწყისს წარმოადგენს. ასევე ითქმის უზოგადესი ცნების შესახებაც. უზოგადესი ცნება (ცნებები — კატეგორიები), ერთი მხრივ, როგორც სწორედ უზოგადესი, გამოსადეგია საწყისად, მაგრამ როგორც შინაარსისაგან ცარიელი მოცულობითი ზოგადი, არ უნდა წარმოადგენდეს აზრის მიმცემს დასაბუთებისათვის, ე. ი. საწყისად არ გამოდგება. დასაბუთებაში კი მტკიცდება რაიმეზე რაიმეს მიწერა, სადაც პრედიკატი ყოველთვის უფრო ზოგადია სუბიექტზე. ამიტომ, საწყისმა უნდა გაამართლოს სწორედ მსჯელობები და მათი კავშირი. ამდენად საწყისი უნდა იყოს ისეთი ზოგადი, რომელიც კერძოსა და ზოგადის კავშირის ძირი იქნება. ასეთი ზოგადი უნდა იყოს არა მოცულობითი, არამედ შინაარსეული ზოგადი.

ამრიგად, დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს არც მხოლოდ ერთეული და არც მხოლოდ ზოგადი — ერთეულის საპირის-

პირო ზოგადი, არამედ—ისეთი ზოგადი, რომელიც ერთეულისა და ზოგადის ერთიანობას წარმოადგენს. ამით მონახული იქნება დედუქციისა და ინდუქციის გამაერთიანებელი დასაბუთების მეთოდის საწყისი, რომელიც არა მარტო დედუქციას, არამედ ინდუქციასაც გაამართლებს, როგორც დასაბუთების ერთ-ერთ მეთოდს, მაგრამ არა როგორც უნივერსალურს, არამედ როგორც მხოლოდ დაქვემდებარებულს. დამქვემდებარებელი კი დიალექტიკური მეთოდი იქნება. მაგრამ ეს საკითხი სპეციალურად უნდა გაირკვეს.

თუ დასაბუთების პირველი — საზღვარი არის გარკვეული სახის ზოგადი (შინაარსეული ზოგადი), მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ: 1) ეს საწყისი არის საწყისი კატეგორიათა ლოგიკური კავშირისა, რომელიც არსტოტელეს არ გამოუკვლევია (არც სხვას ფიხტე-ჰეგელამდე); 2) რადგან დასაბუთების საწყისი არის ზოგადი, ამიტომ ეს საწყისი არ შეიძლება იყოს ინტუიცია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რაც ახლა უფრო ნათელყოფილია. ეს მით უმეტეს ითქმის იმის გამო, რომ დასაბუთების საწყისი არის არა მხოლოდ ისეთი ზოგადი, რომელიც ერთეულს გამორიცხავს, არამედ ისეთი ზოგადი, რომელიც ერთეულისა და ზოგადის ერთიანობას წარმოადგენს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მაინც გასარკვევია ერთი მომენტი, სახელდობრ, შემდეგი: თუ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ზოგადი, მაშინ, როგორც ამას ადგილი აქვს არისტოტელესთან, როგორ შეიძლება დასაბუთების საწყისად მივიღოთ განსაზღვრება, რომელიც ერთეულის არსების გამოთქმაა? ამ კითხვაზე საპასუხოდ უნდა გაირჩეს განსაზღვრების ბუნება დასაბუთების საწყისის თვალსაზრისით.

10. განსაზღვრების, როგორც დასაბუთების საწყისის, შესახებ

დასაბუთების ერთ-ერთ საწყისად განსაზღვრებას მიიჩნევენ. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც ლოგიკის უმრავლეს თეორიაში. არისტოტელემ პირველად სპეციალურად გამოიკვლია ეს საკითხი „მეორე ანალიტიკის" მეორე წიგნში და მოგვცა თავისებური გაგება განსაზღვრებისა (დეფინიცია), როგორც დასაბუთების ლოგიკური საწყისისა.

დასაბუთებას წინ უსწრებს განსაზღვრება და გარკვეული საგნის რეალური განსაზღვრება დასაბუთების საწყისს წარმოადგენს, ფიქრობს არისტოტელე.

არისტოტელეს აზრით (და დღესაც ასე მიიჩნევენ), დასაბუთების პრინციპს წარმოადგენს პირობითი დებულება: „თუ არის ერთი (რაიმე), მაშინ აუცილებლად უნდა იყოს აგრეთვე რაღაც სხვა"[1], ანუ: „თუ B აუცილებლად არის, როცა არის A, მაშინ თუ არ არის B, A-ც აუცილებლად არ იქნება. ამრიგად, თუ A ჭეშმარიტია, მაშინ B-ც უნდა იყოს აუცილებლად ჭეშმარიტი; სხვანაირად რომ იყოს, მაშინ მივიღებდით, რომ ერთი და იგივე ერთდროულად შეიძლებოდა კიდეც ყოფილიყო და არც ყოფილიყო, მაგრამ ეს შეუძლებელია"[2], ანდა კიდევ: „როცა ორი (რამ) ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, რომ თუ არის ერთი, აუცილებლად არის მეორეც, მაშინ თუ მეორე არაა, არ იქნება არც პირველი; თუმცა თუ მეორე არის, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ იყოს პირველიც"[3]. მთელი სილოგიზმი შეიძლება გამოითქვას პირობითი დებულებით: „თუ A გამოითქმება ყოველ B-ზე და B გამოითქმება ყოველ Γ-ზე, მაშინ A აუცილებლობით გამოითქმება Γ-ზე"[4].

მაშასადამე, კატეგორიული სილოგიზმი შეიძლება გამოითქვას პირობითი დებულებით, რადგან დასკვნაში საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება გვაქვს: თუ არის საფუძველი (წანამძღვრები), მაშინ არის შედეგი (დანასკვი), მაგრამ ეს დამოკიდებულება წინასწარ გულისხმობს, მაგალითად, იმას, რომ არის A. რა არის A? ამ კითხვას დასაბუთება კი არ პასუხობს, არამედ განსაზღვრება (დეფინიცია). ამიტომ, არისტოტელეს აზრით, დასაბუთება წინ უშვებს განსაზღვრებას. ამრიგად, განსაზღვრება საწყისია დასაბუთებისა (დასაბუთების საწყისია არა ნომინალური განსაზღვრება, არც ყველ-

---

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. II, მე-7 თავის დასაწყისი.

[2] „პირველი ანალიტიკა", წ. II, თავი 2,53 b 13.

[3] „პირველი ანალიტიკა", წ. II, თ. 4, 57 b 1-3. იხ., აგრეთვე, „ტოპიკა", II, 5,112 a 16—23-პირობითი დებულების შესახებ.

[4] „პირველი ანალიტიკა", წ. I, 4,25 b 37-39.

იხ. ი. ლუკასევიჩის „არისტოტელეს სილოგისტიკა...", სადაც არისტოტელეს სილოგიზმის აზრი დაყვანილია ამ პირობით დებულებაზე, ისე რომ კატეგორიულობა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში მოხსნილია, წინააღმდეგ არისტოტელეს მთელი ლოგიკისა.

ლა რეალური განსაზღვრება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი რეალური განსაზღვრება, სახელდობრ, ისეთი, რომელიც არ საბუთდება, რადგან დასაბუთებაზე წინწასწრებულია, როგორც საგნის არსების გამომთქმელი, რასაც წინასწარ გულისხმობს მტკიცება-უარყოფა). განსაზღვრება არის გამოთქმა არსის (რაც არის) არსებისა („ეიდოსი"), სახელდობრ, იმისა თუ რა არის რაიმე[1]. დასაბუთება კი ამ რაიმეს წინასწარ გულისხმობს და ხორციელდება მტკიცება-უარყოფით, მსჯელობით.

არისტოტელეს აზრით, ცოდნა მხოლოდ დასაბუთების საფუძველზე კი არ მიიღება, არამედ მას განსაზღვრებაც გვაძლევს. მაგრამ თვითონ განსაზღვრება არ საბუთდება. „არაფერი არ უშლის ხელს გვქონდეს განსაზღვრება ისე, რომ არ გვქონდეს ამავე დროს დასაბუთება", ამბობს არისტოტელე. რაც საბუთდება, ის არაა საგნის არსების ცოდნა, ამიტომ ყველაფრის განსაზღვრება არ გვაქვს. საგნის არსების ცოდნა, ე. ი. ის, თუ რა არის საგანი, მოცემულია განსაზღვრებაში. „ან საწყისებია დასაბუთებული და, მაშასადამე, არსებობს საწყისთა საწყისი და ასე შემდეგ უსასრულოდ; ან პირველი საწყისები უნდა იყვნენ დაუსაბუთებელი განსაზღვრებები"[2]. დასაბუთება წინ უშვებს იმას, რაც არის საგანი — განსაზღვრებას. „არ არსებობს დასაბუთება იმისა, რის განსაზღვრებაც არის", „განსაზღვრება აჩვენებს, რაც არის მოცემული საგანი, დასაბუთება კი —რომ ეს ამას მიეწერება ან არ მიეწერება". „ყოველი დასაბუთება ამტკიცებს რაიმეს შესახებ, მაგალითად, რომ რაღაც არსებობს ან არ არსებობს. განსაზღვრებები კი არ მიეწერება ერთიმეორეს. მაგალითად, არც ცოცხალი არსება ორ ფეხიანს, არც ეს უკანასკნელი — ცოცხალ არსებას...". განსაზღვრება არის ზოგადი და დადებითი, სილოგიზმი კი უარყოფითი და არაზოგადი დასკვნებითაც არის[3]. მაშასადამე, განსაზღვრება წინ უსწრებს და საწყისია დასაბუთებისა.

---

[1] განსაზღვრების შესახებ მოძღვრება არისტოტელეს მოცემული აქვს „მეორე ანალიტიკის" მეორე წიგნსა და „მეტაფიზიკაში", VII, წწ. 5. 10—15.

[2] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თ. 3. იხ., აგრეთვე, „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 3.

[3] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თ. 3.

განსაზღვრება არ არის დასაბუთება, რადგან, არისტოტელეს „მეორე ანალიტიკის“ მეორე წიგნის მიხედვით, განსაზღვრება რომ დასაბუთება იყოს, მაშინ დასაბუთებაში მსჯელობები იქნებოდა შებრუნებადი, ტერმინები კი იგივეობრივი და დანასკვი მოცემული იქნებოდა წანამძღვრებში, ამიტომ არაფერი არ დასაბუთდებოდა. თუ დანასკვი განსაზღვრებას წარმოადგენს, მაშინ წანამძღვრებიც შებრუნებადი (ერთნაირი მოცულობის ტერმინების მქონე) იქნებიან, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, უფრო ადრე—დანასკვამდე საშუალო ტერმინში იქნებოდა გამოთქმული საგნის არსება[1], დასაბუთებაში შეერთება-გათიშვები, მტკიცება-უარყოფები გვაქვს, განსაზღვრებაში კი ისეთი დადებითობა, რომელიც მოკლებულია სირთულეს, ისევე როგორც მის მიერ გამოსათქმელი არსება. განსაზღვრება, სწორედ ამ სიმარტივის გამო, წინ უსწრებს და საწყისია დასაბუთებისა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, განსაზღვრება ანალიზურია, დასაბუთება კი სინთეზური უნდა იყოს. თავი რომ დავანებოთ ანალიზურიდან სინთეზურის მიღებისა და თვითონ დასაბუთების სინთეზურობის სიძნელეებს, აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არისტოტელე განსაზღვრების ბუნების განხილვისას ეყრდნობა მეგარელების აზრს დებულებათა ტავტოლოგიურობის, ერთგვარი სიმარტივის შესახებ, დასაბუთებაში კი, პრობლემის გაურკვევლად, მიღებული აქვს მეგარელებისა და ცინიკების აზრთა კავშირის ჭეშმარიტობა.

როგორც ცნობილია, მეგარელები უარყოფდნენ: სიმრავლეს არსში, კავშირს ერთისა სხვასთან, განსხვავებას იგივეობაში, ერთეულს ზოგადის გარეშე, ე. ი. აღიარებდნენ წმინდა არსს, ერთს, იგივეობას. ზოგადს, მაშინ როცა ცინიკები, პირიქით, უარყოფდნენ იგივეობას განსხვავებაში, ზოგადს ერთეულთა გარეშე. ორივე ამ შეხედულებას საქმე მიჰყავდა პრედიკაციის უარყოფამდე. არისტოტელესთვის კი მსჯელობა, ეს არის სინამდვილის ცოდნის ფორმა და იგი შესაძლებელია მაშინ, თუ არსს გავიგებთ როგორც ერთიანობას ერთისა და სხვის, ერთეულისა და ზოგადის, იგივეობრივისა და განსხვავებულის, ე. ი. როგორც სინთეზურს. მაშასადამე, არი-

[1] „მეორე ანალიტიკა“, წ. II, თ. 4.

სტოტელესათვის განსაზღვრების სიმარტივე განასხვავებს მას მსჯელობისაგან, რომელიც რთულია (სინთეზურობის აზრით). დასაბუთება სწორედ მსჯელობის დასაბუთებაა, რომელსაც წინ უსწრებს განსაზღვრებაში მოცემული არადასაბუთებული და არადასაბუთებადი ცოდნა საგნის არსებისა.

თუ მსჯელობას განსაზღვრების ბუნება ექნება, მაშინ: 1) როგორც ვნახეთ, არაფერი არ დასაბუთდება, რადგან დასკვნაში ყველა მსჯელობა შებრუნებადი იქნება და დანასკვი წანამძღვარებში იქნება ნაგულისხმევი; 2) დასაბუთება სიმარტივის ვამო შეუძლებელი იქნება, მოიხსნება მსჯელობა — დასკვნის სინთეზურობა. სინთეზურობის სიძნელის თავიდან აცილებისათვის მსჯელობა-დასკვნის ანალიზურობის მიღება, მაშასადამე, დასაბუთებას მოხსნის და განსაზღვრება, როგორც საწყისი, გაუქმდება, იგი არაფრის საწყისი აღარ იქნება, საწყისიც დაკარგავს თავის აზრს და დასაბუთებაც.

მაგრამ თუ განსაზღვრება იქნება მსჯელობის, სწორედ სინთეზური მსჯელობის ბუნების, მაშინაც აღარ გამოდგება განსაზღვრება საწყისად, რადგან მას, როგორც რთულს, სხვა საწყისი დასჭირდება, თუკი საწყისად, მსგავსად არისტოტელეს აზრისა, მარტივს მივიღებთ, მსჯელობას კი სინთეზურად—მარტივის მოგულისხმედ ჩავთვლით.

თუ განსაზღვრება, როგორც საწყისი, და, საერთოდ, საწყისი მარტივია, ის კი, რის საწყისსაც ეს წარმოადგენს, არის რთული, მაშინ ჩნდება ახალი სიძნელე, სახელდობრ, სიძნელე მარტივის ანუ ანალიზურ-ტავტოლოგიურის რთულთან, სინთეზურთან დაკავშირებისა, იგივეობრივის არაიგივეობრივთან დაკავშირებისა. როგორც ცნობილია, ეს პრობლემა ძირითადი პრობლემა იყო კანტის („Versuch...", „წმინდა გონების კრიტიკა"), ფიხტესა („მეცნიერების თეორია") და ჰეგელის („ლოგიკა") ფილოსოფიისათვის, სადაც გაირკვა, რომ ეს პრობლემა წყდება მხოლოდ დიალექტიკის თეორიაში; ამ გადაწყვეტამ მეცნიერული სახე მატერიალისტურ დიალექტიკაში მიიღო.

თუ განსაზღვრების (დეფინიცია) შესახებ არისტოტელეს ზემოთ გადმოცემულ აზრს მივიღებთ, მაშინ განსაზღვრების ბუნება, ამდენად ცნების ბუნებაც, სრულიად გაურკვეველი დარჩება. საქმე იმაშია, რომ, არისტოტელეს აზრით, საგნის არსება გამოითქმება

განსაზღვრებაში და ამით დგინდება ცნება; განსაზღვრება კი შებრუნებადი დებულებაა, ე. ი. ისეთი დებულებაა, სადაც ადგილებს იცვლიან ისინი, რაც მსჯელობის ენაზე სუბიექტს და პრედიკატს წარმოადგენენ. ამასთანავე, საგნის არსება, რომელიც განსაზღვრებაში უნდა გამოითქვას, არის ის (უსია), რომელიც პირველი სუბიექტია, ე. ი. ისეთია, რომელიც პრედიკატი არ შეიძლება გახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრების შებრუნებადობა შეუძლებელი უნდა იყოს, მაშინ როცა, არისტოტელეს აზრით, განსაზღვრებას შებრუნებადობა ახასიათებს. მეორე მხრივ, თუ შებრუნებადობა შეიძლება, მაშინ განსხვავება უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შებრუნებას აზრი ეკარგება; თუკი განსხვავება არ არის, მაშინ არც შებრუნებადობაა შესაძლებელი. თუ შებრუნება შეიძლება, ე. ი. თუ „სუბიექტი" „პრედიკატად" ხდება და პირიქით, მაშინ განსხვავება იხსნება, განსხვავება არ არსებულა, ამიტომ შეუძლებელი ხდება განსაზღვრება, როგორც საგნის არსების გამოთქმა. არსების გამოთქმა განსაზღვრებაში უშინაარსო და გაურკვეველი გამოდის, ე. ი. დეფინიცია შეუძლებელია, მაშინ როცა განსაზღვრება ცნების სწორედ შინაარსს ადგენს, უნდა ადგენდეს იმას, რასაც რაიმე წარმოადგენს. განსხვავების გარეშე არავითარი შინაარსი არ არსებობს, ამიტომ განსაზღვრება, როგორც შინაარსის დადგენა, შეუძლებელი ხდება. ამდენად, მის მიერ დადგენილი ცნებაც აღარ გვექნება. ამ გზით მიღებული ცნება, სიმარტივის გამო, შინაარსის მქონე არ იქნება, ე. ი. იქნება ცარიელი. ამიტომ სრულიად გაუგებარი ხდება ისიც, თუ როგორ შეიძლება ასეთი სიცარიელის მქონე „ცნება" გამოდგეს საშუალო ცნებად, რომელიც, არისტოტელეს აზრით, „მიზეზია" და საწყისის როლს ასრულებს დასაბუთებაში. როგორ შეიძლება სიცარიელემ დააკავშიროს კიდურა ცნებები დასკვნაში?

ამიტომ საქმე წაგებულად უნდა ჩაითვალოს, თუ განსაზღვრებაში სინთეზურობის და ამდენად გარკვეული უარყოფის მომენტი არ იქნება შეტანილი, თუ ასეთი რამ მასში არ იქნა აღმოჩენილი, ე. ი. თუ განსაზღვრება არ შეიცავს უარყოფის მომენტს, თუ იგი უარყოფის მომენტის შემცველ სინთეზურად არ გავიგებთ.

მაგრამ თუ განსაზღვრებაში არის გარკვეული უარყოფის მომენტი, მაშინ ის მსჯელობის ბუნების იქნება, მასში ადგილი ექნება

მტკიცებას და უარყოფას, წინააღმდეგ არისტოტელეს აზრისა განსაზღვრების მხოლოდ დადებითობის შესახებ. გამოდის, რომ თუ განსაზღვრება არ არის სინთეზური, ამდენად გარკვეული უარყოფის შემცველი, მაშინ ის შეუძლებელია; თუკი ასეთ მომენტს შეიცავს, მაშინ იგი მსჯელობა იქნება და არისტოტელესებურად გაგებული განსაზღვრება გაუქმდება.

თუ დეფინიცია ისეთი სიმარტივე და წმინდა დადებითობაა, რომ არავითარ განსხვავებას არ შეიცავს, მაშინ იგი, როგორც ითქვა, არც დეფინიცია შეიძლება იყოს, მაგრამ თუ ის განსხვავებას, უარყოფას შეიცავს, ე. ი. სინთეზურია, მაშინ ის მსჯელობას წარმოადგენს. როგორ შეიძლება დეფინიცია განსხვავებას არ შეიცავდეს და მსჯელობას არ წარმოადგენდეს, როცა მისი (დეფინიციის) წესი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს უახლოესი გვარი და სპეციფიკური განსხვავავება. თუ ცნების განსაზღვრება იმას ნიშნავს, რომ დგინდება უახლოესი გვარი და სპეციფიკური განსხვავება, სპეციფიკური ნიშანი, მაშინ ნათელია, რომ განსაზღვრება არა მარტო განსხვავებას შეიცავს, არამედ დაპირისპირებასაც; განსაზღვრებისათვის აუცილებელია არა მარტო განსხვავება, არამედ დაპირისპირებაც, სახელდობრ ზოგადისა და კერძოს დაპირისპირება, რომლის ერთიანობასაც განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდეც. უახლოესი გვარი, ეს არის ზოგადი, სპეციფიკური განსხვავების დადგენა, ეს კერძოს დადგენაა; განსაზღვრება კი მათ ერთიანობას წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრება არათუ განსხვავებას არ შეიცავს, არამედ იგი დიალექტიკური — **დაპირისპირებულთა ერთიანობის ბუნებისაა.**

არისტოტელეს მოთხოვნა, რომ განსაზღვრება უნდა იყოს წმინდა დადებითობა, რომელიც განსხვავებას და უარყოფას არ შეიცავს, ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ წესს, განსაზღვრების ძირითად წესს, რომელიც ზოგადისა და ერთიანობას მოითხოვს სწორედ ცნების განსაზღვრებისათვის.

ზოგადი და კერძო ერთიმეორის საპირისპირო ცნებები, კატეგორიებია, რომელთა ერთიანობასაც უნდა წარმოადგენდეს განსაზღვრება, როგორც ცნების დადგენა. ამიტომ ასეთი განსაზღვრების მიერ დადგენილი ცნებაც დაპირისპირებულთა ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს. განსაზღვრება ადგენს ცნებას, როგორც კერძოსა და ზოგადის ერთიანობას. ამას მოითხოვს არა მარტო განსაზღვრე-

ბის წესი, არამედ საგნის არსების ბუნებაც, უსიაც, რომელიც კერძოსა და ზოგადის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს, თანახმად არისტოტელეს „პირველი ფილოსოფიისა". როგორც ცნობილია, არისტოტელეს მიხედვით, უსია არის ერთეული — პირველი სუბიექტი (რომელიც პრედიკატად არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს), მაგრამ მის ბუნებას გამოთქვამს ზოგადი, ზოგადის გარეშე აღებული ერთეული არც არის გასაგები და შემეცნებადი. ამიტომ არსესება ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა უნდა იყოს. ამას მოითხოვს არისტოტელე, რომელიც ამ მოთხოვნას თვითონვე აბათილებს, როცა იგი უსიას სიმარტივეს აღიარებს, იმ სიმარტივეს, რომელიც განსაზღვრებას უნდა ახასიათებდეს. ეს გაურკვევლობა დამახასიათებელია, როგორც ითქვა, განსაზღვრების და მსჯელობის დამოკიდებულებისათვისაც არისტოტელეს მოძღვრებაში.

ზემოთ გადმოცემული იყო არისტოტელეს აზრი, რომ თუ დანასკვი განსაზღვრებაა, მაშინ წანამძღვრებიც შებრუნებადი დებულებებია, საშუალო ცნებაში კი ადრევე იქნება ნაგულისხმევი საგნის არსება, ამიტომ არაფერი არ დასაბუთდება. მაგრამ, როგორც ეს ახლახან აღინიშნა, საგნის არსება სხვადასხვაობას უნდა შეიცავდეს, მას შინაარსი უნდა ჰქონდეს და არ იყოს ცარიელი, ამიტომ შესაძლებელია საგნის არსების განსაზღვრულობათა გამოთქმა განსაზღვრებაში, რომელსაც სინთეზური ხასიათი ექნება და უნდა სრულდებოდეს სხვადასხვა მსჯელობით, რომლებიც ერთი მეორის განმსაზღვრელნი იქნებიან, ამით — ერთგვარი შებრუნებადობისა და წრიულობის განმახორციელებელიც, რათა განსაზღვრება, როგორც არსების გამოთქმა, იქნეს ამოწურული. ამით განხორციელდება ერთგვარი სინთეზური შუალობითი კავშირი, რომელიც, ცხადია, შედარებითი უარყოფის მომენტის შემცველი იქნება. ამდენად, აქ გვექნება ერთგვარი დასკვნა და არა მხოლოდ მსჯელობა, ყოველ შემთხვევაში ამ შუალობით ერთიანობას დასკვნის და დასაბუთების— ლოგიკური აუცილებლობის ხასიათი ექნება; ამით კი დაირღვევა არისტოტელეს აზრი, რომ განსაზღვრება არაა დასაბუთება.

მაშასადამე, ასეთი განსაზღვრება იქნება დასაბუთების საწყისი და მას დასაბუთების ხასიათიც ექნება. ამით დასაბუთების საწყისი გაამართლებს თავის თავს, დასაბუთების საწყისი მართლაც დასაბუთების საწყისი იქნება. თუ დასაბუთების საწყისს არ აქვს დასკვნის და დასაბუთების ხასიათი, მაშინ ის არ შეიძლება იყოს დასაბუთების პირველი, ამ აზრით, საწყისი.

აქ მოხსნილია დასაბუთების სიძნელე, რომელმაც არისტოტელე აიძულა განსაზღვრება დასაბუთების გარეთ გაეტანა; ადგილი არ აქვს უსასრულო რეგრესს, რადგან განსაზღვრება, როგორც უარყოფის შემცველი შუალობითი ერთიანობა, ამ აზრით როგორც გარკვეული დასკვნა არ მოითხოვს გარეგან წანამძღვარს, ის თავის თავშია დასრულებული, როგორც ამას—ამ უწინამძღვრობას ადგილი აქვს თვითონ არისტოტელესთან განსაზღვრებით საგნის არსების გამოთქმისას.

თუ არსების გამომთქმელ განსაზღვრებაში არსებობს შინაგანი უარყოფის მომენტი, მაშინ აქ აღნიშნულ ასპექტში გადაწყდება დასაბუთების საწყისის პრობლემა, რადგან შინაგანი უარყოფის შემცველი ლოგიკური სხვას არაფერს არ უნდა ნიშნავდეს, თუ არა რაიმეს დასაბუთებას მისივე უარყოფით (მაგრამ ამაზე შემდეგ).

არისტოტელეს აზრით, გარკვეული რეალური განსაზღვრებით დადგენილი საშუალო ცნება გამოთქვამს იმას, რაც არის საგანი, გამოთქვამს „მიზეზს". მაგრამ არსებობა და მიზეზი, არისტოტელეს აზრით, არ მტკიცდება, არ საბუთდება. მათი ცოდნა დაუსაბუთებელი ცოდნაა. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით კი რადგან არსებობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა არსებობას თვითონ გულისხმობს აუცილებლობით, ამიტომ ეს აუცილებლობა ხორციელდება არსებობის უარყოფით არსებობისავე დაფუძნებაში; არსებობის უარყოფისას ეს უარყოფა ხომ უნდა არსებობდეს? არსებობის თავიდან აცილების შეუძლებლობა არსებობის დასაბუთებაა. ეს ასეა, თუ საკითხს კატეგორიალურის სიმაღლეზე ავიყვანთ. ასე რომ, არც აქ არის გამოუვალი მდგომარეობა, რომლის მიღებაც არისტოტელეს ზღუდავდა და დაუსაბუთებელს დასაბუთების გამმართლებელ საწყისად მიიჩნევდა, საწყისი დასაბუთების გარეთ გაჰქონდა.

საგნის ცოდნა, საგნის არსების და მისი არსებობის თუ მიზეზის ცოდნა, არისტოტელესათვის, ერთიმეორისაგან განსხვავებულია. „აუცილებელია, რომ იმას, ვინც იცის, რა არის ადამიანი, თუ სხვა რაიმე, იცოდეს, აგრეთვე, რომ ის არის, ვინაიდან იმის შესახებ, რაც არ არის, არავინ იცის, რაც ის არის, არამედ იცის მხოლოდ ის, თუ რას ნიშნავს მოცემული სიტყვა ანუ სახელწოდება..." (მაგ., „თხზირემა"), მაგრამ არსი არ არის არსება; „არსი არც ერთი საგნისა-

თვის არ არის არსება, ვინაიდან არსებული არ არის გვარი"[1]. ამბობს არისტოტელე.

მართალია, საგნის არსებობა არაა მისი არსება, მაგრამ არისტოტელეს ამასთანავე ისიც უნდა ეთქვა, რომ „ფორმის ფორმისათვის" არსებობა და არსება ერთი და იგივეა, ისე როგორც სპინოზასთან სუბსტანცია არის ის, რის არსება არსებობას შეიცავს. ასეთი უნდა იყოს არისტოტელეს „ფორმის ფორმა" („აზროვნების აზროვნება)" როგორც აბსოლუტური საწყისი. „ფორმის ფორმა", როგორც აბსოლუტური საწყისი და პირველი, უნდა იყოს მარტივი, მაგრამ იგი რომ განსხვავებას არ შეიცავდეს, მაშინ არ იქნებოდა „ფორმის ფორმა", არამედ იქნებოდა მხოლოდ ფორმა, ეს სიძნელე არისტოტელეს გადაუწყვეტელი დარჩა.

არისტოტელე არა მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ საგნის არსებობა და არსება განსხვავებულია, არამედ იმასაც, რომ საგნის მიზეზი მისი არსებობის მიზეზია (საფუძველია), ალბათ იმის გამო რომ საგნის არსება როგორც ფორმა, მისი შეხედულებით, შესაძლებელია მხოლოდ „ფორმის ფორმის" საფუძველზე. არისტოტელე ამტკიცებს, რომ „ცოდნა იმისა, რაც არის ეს საგანი, და ცოდნა იმის მიზეზისა რომ ეს არის, — ერთი და იგივეა". „ამის საფუძველი ის არის, რომ არის რაღაც მიზეზი; ეს მიზეზი კი არის ან თვით საგანი, ან რაღაც სხვა, და თუ ის რაღაც სხვაა, მაშინ ან დასაბუთებადია, ან დაუსაბუთებადი". ამრიგად, მხოლოდ ზოგიერთი მიზეზია დაუსაბუთებადი. ასეთი უნდა იყოს საწყისი. „თუ მიზეზი არის რაღაც სხვა და დაუსაბუთებადი, მაშინ აუცილებელია, რომ ის იყოს საშუალო ტერმინი..." „... დასაბუთების გარეშე არ შეიძლება გაგება იმის არსებისა, რომლის მიზეზიც რაღაც სხვაა, და, მეორივე მხრივ, ამისათვის არ არის დასაბუთება..."[2], ამტკიცებს არისტოტელე.

მაშასადამე, ის, რასაც სხვა მიზეზი არ აქვს, არაა გაშუალებული ე. ი. მას სხვა წანამძღვარი არ აქვს, ამ აზრით, იგი, ცხადია, არ საბუთდება. თავისი თავით დასაბუთება, ფიქრობს არისტოტელე, არ არის დასაბუთება, რადგან აქ ადგილი აქვს „მოჯადოებულ წრეს"[3].

---

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა", წ. II, თავი 7.

[2] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თავი მე-8.

[3] იხ. „პირველი ანალიტიკა", წ. II, თავი მე-16.

მაგრამ ეს არ უნდა გამორიცხავდეს იმას, რომ თვითდაფუძნებადასაბუთებაში საერთოდ შესაძლებელი იყოს განსხვავების არსებობა, რაც „მოჯადოებული წრის“ საშიშროებას მოხსნიდა. ამას სწორედ ის მოწმობს, როგორც ახლახან აღინიშნა, რომ არისტოტელეს არ შეეძლო განსხვავება „აზროვნების აზროვნებიდან“ აბსოლუტურად გამოერიცხა.

ამიტომ არ უნდა იყოს სწორი არისტოტელეს აზრი არსების განსაზღვრებაში განსხვავების არარსებობის შესახებ. სპევსიპეს სიძნელე, რომ საგანთა განსხვავებანი არ შეიძლება ვიცოდეთ, თუ არ ვიცით საგნები და პირიქით — არ შეიძლება ვიცოდეთ საგნები, თუ არ ვიცით მათ შორის არსებული განსხვავება, არისტოტელეს არ მიაჩნია სიძნელედ, რადგან, მისი აზრით, საგნები შეიძლება არსებითად იგივეობრივი იყვნენ. „...თუ, წავალთ რა ამრიგად წინ, მივალთ იქამდე, რაშიც უკვე არ არის არავითარი განსხვავება, გვექნება არსების განსაზღვრება“[1].

მცდარია საგნების დაპირისპირება მათი განსხვავებისადმი. განსხვავება სწორედ საგანთა განსხვავებაა და ამიტომ გარკვეული მხრივ ერთი და იგივეა საგნების, როგორც განსხვავებული საგნების, და ამ საგანთა განსხვავების გაგება. ცნების თვალსაზრისით, იგივეობრივი სწორედ განსხვავებულთა იგივეობრივია და ამიტომ იგივეობრივი განსხვავებასაც გულისხმობს. ამიტომ არ არის სწორი არც სპევსიპე და არც არისტოტელე. არ არსებობს აბსოლუტური სიმარტივე არც საგნის არსებაში და ამიტომ არც მის განსაზღვრებაში. განსაზღვრება არის შინაარსის გამოთქმა, შინაარსი კი შეუძლებელია განსხვავების გარეშე. თვითონ განსხვავებაა შინაარსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ არისტოტელე ერთიმეორისაგან ასხვავებს შინაგან და გარეგან მიზეზებს. საგნის შინაგანი მიზეზი ერთია, გარეგანი კი შეიძლება ბევრი იყოს. არისტოტელეს აზრით, დასაბუთებაში, რომელიც ეხება საგნის არსებას, საშუალო ტერმინი პირველი კიდურა ტერმინის განსაზღვრებაა; ყოველ საგანს ერთი განსაზღვრება აქვს, რადგან აქვს ერთი არსება; ამიტომ საშუალო ტერმინი — მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი (თუკი საშუალო ტერმინი არის გარეგანი ნიშანი ანუ შემთხვევითი, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ბევრი მიზეზის შესახებ)[2].

---

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა“, წ. II, თავი მე-13.

[2] იხ. „მეორე ანალიტიკა“, წ. II, თავი მე-17.

ის გარემოება, რომ საგნის არსება ერთია და ამდენივეა მისი განსაზღვრებაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ის არის მარტივი, რომ მასში არ არის განსხვავება, შინაარსი, რომლის გამოთქმის მეტს განსაზღვრება არაფერს არ წარმოადგენს. შეუძლებელია მარტივი შინაარსი. წმინდა სიმარტივე, ეს არის წმინდა სიცარიელე, არარა (სწორედ ლოგიკურად, ცნების თვალსაზრისით).

საგნის არსების გამომხატველი საშუალო ტერმინი — მიზეზი ერთია, მაგრამ ეს ერთი მიზეზი არის რაღაც თავისთავადი, მაგრამ არ შეიძლება ის იყოს თავისუფალი ყოველგვარი განსხვავებისაგან. თვითმიზეზი, „მიზეზი თავის თავისა" არ შეიძლება განსხვავებას არ შეიცავდეს. თვითმიზეზი, რომელიც რაღაც განსხვავებას შეიცავს, შეიძლება განისაზღვროს ისე, რომ განსაზღვრებას ჰქონდეს თვისება მსჯელობისა, მტკიცება-უარყოფისა. ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დასაბუთების საწყისი, ამავე დროს დასკვნა-დასაბუთების ბუნების იქნება.

ეს ასეა, რადგან, როგორც ეს ზემოთ ითქვა, განსხვავების გარეშე არც „ფორმის ფორმა" — „აზროვნების აზროვნება" არსებობს. მიზეზი კი დაკავშირებულია ფორმის ცნებასთან. მიზეზი არის არა ერთეული საგანი, არამედ ზოგადი არსება და არსის არსება („ეიდოსი" — τό τί ἦν εἶναι) შეერთებული ფორმის ცნებაში[1].

პირველ მიზეზს (საფუძველს), ცხადია, არ ექნება სხვა მიზეზი, ის ამ მხრივ იქნება გაუშუალებული, მაგრამ იგი თავისი თავით უნდა იყოს გაშუალებული.ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მასში არის განსხვავების მომენტი. ეს მომენტი არსებობს არისტოტელესთან არსისა და აზრის პირველ საწყისში — მიზეზში. მართლაც, არისტოტელეს აზრით, ფორმა არ შეიძლება არ იყოს რაიმეს ფორმა და აზროვნება არ შეიძლება არ იყოს რაიმეზე აზროვნება. თუკი არსებობს ისეთი ფორმა, რომელსაც არ აქვს არაფერი მისგან — ფორმისგან განსხვავებული, მაშინ ის იქნება ფორმის ფორმა, ასევე, რაც იგივეა, ითქმის აზროვნების შესახებაც. თუკი შესაძლებელია არ-

---

1 იხ. „მეტაფიზიკა", VII, 17,1041 b 4-9.

არისტოტელე ამბობს, რომ „ფორმას მე ეუწოდებ თითოეული საგნის არსის არსებას და პირველ არსებას" („მეტაფიზიკა", VII, 7,1032 b 1-2). არსის არსება (ეიდოსი) აქვს არა მარტო დამოუკიდებლად არსებულს (სუბსტანციას), არამედ თვისებებსაც, რაოდენობას. პრედიკატებს (მაგ., ფერს). იხ. „მეტაფიზიკა", VII, 4,1030 a 18-20 და 31-32.

სებობდეს ისეთი აზროვნება, რომელიც არის აზროვნება არა აზროვნებისაგან განსხვავებულის შესახებ, მაშინ ის იქნება აზროვნების აზროვნება. შეუძლებელია აზროვნება, თუ ის არ არის აზროვნება რაიმეს შესახებ. წმინდა ფორმა, ეს არის მხოლოდ ფორმის ფორმა, წმინდა აზროვნება კი აზროვნების აზროვნებაა; სხვანაირად შეუძლებელია არსებობდეს წმინდა ფორმა და წმინდა აზროვნება.

არისტოტელეს აზრით, დასაბუთებას წარმოადგენს ის სილოგიზმი, რომლის საშუალო ცნება საგნის არსების განსაზღვრებით არის დადგენილი. განსაზღვრებაში მოცემულია „მიზეზი", რომელსაც არ აქვს სხვა მიზეზი[1], საგანს არსების გამო აქვს ეს და არა სხვა ნიშნები. საგანი რომ ესაა და არა სხვა, ეს არის მიზეზი, რომელსაც არ აქვს სხვა მიზეზი, ის არის, როგორც ზემოთაც აღინიშნა, „მიზეზი თავისი თავისა". „ის, რასაც რაიმე ეკუთვნის თავისთავად, არის მიზეზი თავის თავისა"[2]. სწორედ ეს არის საწყისი დასკვნისა, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს.

მაშასადამე, არისტოტელესთვისაც აუცილებელია თვითსაფუძვლის ცნება, როგორც დასაბუთების საწყისის ცნება.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, „თვითმიზეზის" აქ აღნიშნული ცნება უკავშირდება ზოგადობას. საწყისი უნდა იყოს ზოგადი. მაგრამ საწყისი არის თვითმიზეზიც, ერთეული საგნის არსება. როგორ, რა აზრით შეიძლება საგნის არსების განსაზღვრებით დადგენილ საშუალო ცნებას ახასიათებდეს ზოგადობა, როგორც საწყისი დასკვნისა, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს?

არისტოტელეს აზრით, საწყისს მაშინ აქვს აზრი, თუ ის არის ერთი მრავლის მიმართ, ე. ი. თუ ის ზოგადია. ამავე დროს, ზოგადის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საშუალო ცნება, ამიტომ,

---

[1] რადგან დასაბუთება, არისტოტელეს აზრით, ეყრდნობა საგნის არსების, როგორც მიზეზის, ცნებას, ამიტომ არისტოტელეს ლოგიკა „საგნობრივი" ხასიათისაა; ის არის ჭეშმარიტი ცოდნის ფორმათა თეორია. ლოგიკა არის მეცნიერება, „რომელიც განიხილავს დასაბუთებას და მეცნიერებას (როგორც ასეთს)", ნათქვამია „მეტაფიზიკაში" („მეტაფიზიკა", XII, 1059 b 18-19). განსაკუთრებით ეს ითქმის „მეორე ანალიტიკის" შესახებ. ამით მითითებულია ლოგიკის და შემეცნების თეორიის ერთიანობაზე, რომელიც შემდეგ დიალექტიკაში განხორციელდება.

[2] იხ. „მეორე ანალიტიკა". წ. I, თ. 24; 85 b 15—85 b 37.

დასაბუთებაც. „აუცილებელია ჭეშმარიტად ჩაითვალოს, რომ არის ერთი მრავლის მიმართ, ვინაიდან რომ ეს არ იყოს, მაშინ ზოგადიც არ იქნებოდა, მაგრამ ზოგადი რომ არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა საშუალო ტერმინი, მაშასადამე, არავითარი დასაბუთებაც“[1].

დავას არ შეიძლება იწვევდეს ის, რომ საწყისი უნდა იყოს ერთი მრავლის მიმართ, რომ ის ზოგადი უნდა იყოს, მაგრამ გარკვევას მოითხოვს ის, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ საშუალო ტერმინის ზოგადობა, როგორია მისი ბუნება. როგორ არის შესაძლებელი ის, რომ საშუალო ტერმინი არის ერთი მრავლის მიმართ? რა იგულისხმება ამ მრავლის ქვეშ და რას წარმოადგენს ამ მრავლის მიმართ საშუალო ტერმინი როგორც ერთი და ამიტომ ზოგადი?

საშუალო ტერმინის ეს ზოგადობა არ შეიძლება იყოს მოცულობითი ზოგადობა, რადგან: 1) მოცულობით დიდი ტერმინი უფრო ზოგადია (Barbara-ს და Dictum-ის მიხედვით), ვიდრე საშუალო ტერმინი; 2) მოცულობით ზოგადს ყოველი სილოგისტური დასკვნა ემყარება და არა მარტო ის, რომლის საშუალო ტერმინი არსებას გამოთქვამს, რის გამოც ასეთი დასკვნა არის დასაბუთება, რომლის საწყისზედაც ახლა ვლაპარაკობთ.

საშუალო ცნების ზოგადობა არ არის ისეთი ხასიათის, როგორიც წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების, როგორც აქსიომის, ზოგადობაა, რადგან ეს უკანასკნელი უშუალოდ გამოთქვამს ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას, როგორც მტკიცება-უარყოფის ერთდროულ შეუძლებლობას, მაშინ როცა საგნის არსების გამომხატველი განსაზღვრების დადებითობა, არისტოტელეს აზრით, წმინდა დადებითობაა, რომელიც წინ უსწრებს მტკიცება-უარყოფას; ამით იგი თითქოს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების აზრსაც წინ უნდა უსწრებდეს, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობა ემყარება წინააღმდეგობას, როგორც გარკვეულ დადებით კატეგორიას, თვითონ წინააღმდეგობა კი ერთიანობას, როგორც საფუძველს, ემყარება; მაგრამ ამ უკანასკნელის (ერთიანობის) დადებითობა განსხვავდება განსაზღვრებით მიღებული საშუალო ცნების დადებითობისაგან, ვინაიდან ერთიანობა წინააღმდეგობის აზრს მომენტად შეიცავს, მაშინ როცა საშუალო ცნების დადებითობა

---

[1] იხ. „მეორე ანალიტიკა“, წ. I, თავი მე-11.

ასეთ რაიმეს და საერთოდ განსხვავებასაც თითქოს უნდა გამორიცხავდეს.

ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, თითქოს დეფინიციით მიღებული საშუალო ცნების დადებითობა იყოს ინტუიტური ხასიათის (თუმცა იგი, არისტოტელეს მიხედვით, ასეთ რაიმეს უნდა წარმოადგენდეს), რადგან განსაზღვრების დადებითობა, რომელიც უარყოფას და ამასთან დაპირისპირებულ დადებითობას წინ უსწრებს, სხვა არაფერი არ უნდა იყოს, გარდა ინტუიციისა (თუმცა განსაზღვრება ინტუიციას გამორიცხავს), რომელიც სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების, როგორც აქსიომის, ინტუიტურობა, რადგან ეს უკანასკნელი ნიშნავს დებულების უწანამძღვროდ მიღებას, პირველი კი საგნის წინასწარ აუცილებლობით გულისხმობას წარმოადგენს.

თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება მტკიცებაუარყოფის ბუნებისაა, მაშინ ცხადია, რომ მას წინ უნდა უსწრებდეს ის დადებითობა, რომელიც საგნის არსების ბუნების აზრობრივ გამოთქმას წარმოადგენს დეფინიციაში (ამით იხსნება პირველის აქსიომობა). მაგრამ ეს დადებითობა, როგორც ინტუიცია, შეუძლებელი უნდა იყოს, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, რადგან: 1) ის ზოგადობის ბუნებისაა, როგორც ამას თვითონ არისტოტელე ამბობს; ზოგადობა გამორიცხავს ინტუიციას და პირიქით, რადგან: ზოგადი არის ერთი მრავლის მიმართ, მაშინ როცა ინტუიციაში ასეთი განსხვავება არ უნდა იყოს; 2) ეს დადებითობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსხვავებას აუცილებლობით შეიცავს. განსხვავების შემცველი დადებითობა, რომელიც დეფინიციაშია მოცემული, შეუძლებელია წმინდა დადებითობა ან ინტუიცია იყოს.

ამრიგად, საშუალო ტერმინის ზოგადობა, რომელსაც არისტოტელეს აზრით, დასაბუთება ემყარება, უნდა იყოს თავისებური ზოგადი, არამოცულობითი, შინაარსული ზოგადი, ის არსებითი ზოგადი, რომელიც არისტოტელემ „მეტაფიზიკაში" გამოიკვლია. ეს ზოგადი უნდა იყოს განსხვავებულთა ერთიანობა. კიდევ მეტი— დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც საგნის არსების ერთიანობა, რომელიც ერთეულისა და ზოგადის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს არისტოტელეს მოთხოვნით (დეფინიციის ძირითადი წესიც ხომ ამას მიუთითებს), თუმცა, საბოლოოდ, ის არ არის ასეთი, რადგან საგნის არსება — უსია მარტივი სულია საგნისა. ეს კი მი-

სტიკური რამ არის და ლოგიკურში, სახელდობრ, სილოგიზმში ვერ გადაიტანა არისტოტელემ, რომელიც, ამის გამო, იძულებული გახდა სილოგისტური დასკვნების წესები მოცულობითი ზოგადით განესაზღვრა.

მიუხედავად ამისა, „ანალიტიკებში" მაინც დარჩა მოთხოვნა ისეთი ზოგადისა, რომელიც საშუალო ცნების ზოგადობას წარმოადგენს და დასაბუთებას საფუძვლად უძევს. ეს არის შინაარსეული ზოგადი, როგორც ერთიანობა განსხვავებულთა (არსებითად კი— დაპირისპირებულთა. თვითონ არისტოტელეს აზრით, სრული განსხვავება არის დაპირისპირება).

დიდი ცნების ნიშანი საერთოა, ზოგადია საშუალო და მცირე ცნებისათვის. ასეთი ზოგადი, ცხადია, არ არის საშუალო ცნება. ეს უკანასკნელი ზოგადია კიდურებისათვის, როგორც მათი ერთიანობა, რომელიც საფუძვლად უძევს დასკვნა-დასაბუთებას. მაგრამ როგორი ხასიათისაა ეს ერთიანობა? იგი შეიძლება იყოს 1) ან საერთო ნიშანი კიდურებისათვის იმ აზრით, რომ მას დაექვემდებარება მცირე ცნების ნიშანი, თვითონ კი დიდი ცნების ნიშანს დაექვემდებარება, სახელდობრ, იმგვარად, რომ სამივე ეს ნიშანი ერთი და იგივე იქნება, ამ იგივეობრივს კი განსხვავება გამოუთქმელი (თუმცა მისთვის აუცილებლად საჭირო) დარჩება; 2) ან ეს იქნება განსაკუთრებული, რომელიც ზოგადსაც შეიცავს და ერთეულსაც, მაგრამ აქ უკვე კატეგორიათა კავშირის სახით წარმოდგება სილოგისტური დასკვნის ბუნება; 3) ან ეს იქნება ერთიანობა დაპირისპირებულთა. სადაც კატეგორიების კავშირი სისრულით იქნება წარმოდგენილი, სახელდობრ, ისე რომ უსასრულობის ბუნება იქნება გამოხატული ლოგიკურ-შუალობით კავშირში.

პირველ მდგომარეობას ადგილი აქვს ტრადიციული ლოგიკის ჩვეულებრივ სილოგიზმში, სადაც მცირე, საშუალო და დიდი ტერმინი ერთი და იგივე ნიშნის სახით არის წარმოდგენილი, ამიტომ დასკვნა ანალიზური, ემყარება წმინდა — აბსტრაქტულ იგივეობას; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს იგივეობრივი ნიშანი გულისხმობს განსხვავებასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა. სილოგიზმი რომ აუცილებლობით მოითხოვს განსხვავებას, ამას მოწმობს განსხვავებული სამი ტერმინის აღება ორ წანამძღვარში, საიდანაც განსხვავებული დანასკვი უნ-

და იქნეს მიღებული, თანახმად დასკვნის არისტოტელესეული განსაზღვრებისა. დასკვნა უნდა იყოს განსხვავებულთა აუცილებელი შუალობითი კავშირი. მაგრამ ამ გარემოების დასაბუთება, დასკვნის სინთეზურობის პრობლემის სახით, დღესაც გადაუწყვეტლად არის დატოვებული, იგი გადაწყვეტას ისევ მოელის.

არისტოტელეს დებულებები შეუსაბამობას შეიცავენ, როცა იგი, ერთი მხრივ, არსების გამომთქმელი განსაზღვრების სიმარტივეს აღიარებს, მეორე მხრივ კი განსაზღვრებას წარმოადგენს როგორც გვარის და სახის, უკეთ, ზოგადისა და კერძოს გარკვეულ ერთიანობას.

თუ საგნის არსება და მისი გამოთქმა განსაზღვრებაში მარტივია, ამიტომ განსაზღვრება პირდაპირ შებრუნებადი და ანალიზურია; მაშინ განსაზღვრება არ წარმოადგენს დასაბუთებას. განსაზღვრება, როგორც საწყისი და დაუსაბუთებელი, ვერ გაამართლებს დასაბუთებას, რამდენადაც დასაბუთება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შედეგის საფუძველზე დაყვანა. დასაბუთების დაყვანა დაუსაბუთებელზე მისი გამართლება კი არა და გაუქმება იქნებოდა.

დასაბუთების საწყისი მაშინ იქნება მართლაც საწყისი, თუ ის ამართლებს დასაბუთებას, დასაბუთების ბუნებას, არსებას წარმოადგენს. განსაზღვრება, როგორც შებრუნებადი, არ უნდა გამორიცხავდეს განსხვავებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასაბუთების გამმართლებელ საწყისად არ გამოდგება. თუ განსაზღვრება უახლოესი გვარის და სპეციფიკური განსხვავების, ე. ი. ზოგადისა და კერძოს გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს, როგორც ამას განსაზღვრების ძირითადი წესი მოითხოვს, მაშინ განსაზღვრება შეიცავს არა მარტო განსხვავებას, არამედ დაპირისპირებასაც, სახელდობრ, ზოგადისა და კერძოს, როგორც საპირისპირო კატეგორიების დაპირისპირებას, და იგი (განსაზღვრება) მათ ერთიანობას წარმოადგენს.

თუ ამ საპირისპირო კატეგორიების ერთიანობისათვის გამოყენებულ იქნა მესამე კატეგორია, სახელდობრ, თუ ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა შესრულდა განსაკუთრებულის საშუალებით, მაშინ დასკვნის ბუნებას ისე გავიგებთ, როგორც ეს მოცემული ჰქონდა, ერთი მხრივ, ჰეგელს თავის მოძღვრებაში დასკვნის ფიგურების შესახებ, მეორე მხრივ, მარქსს „კაპიტალის" წრებრუნვებში.

მაგრამ რადგან დაპირისპირებულობა, როგორც წინააღმდეგობა, მხოლოდ ორ მხარეს შეიცავს და ასეთივე მესამეს გამორიცხავს, ამიტომ კატეგორიათა კავშირი სრული სახით განხორციელდება დაპირისპირებულთა ერთიანობაში, სადაც ერთიანობა ზოგადობა იქნება, დაპირისპირებულები კი — კერძოები (ამ ზოგადსა და კერძოს შინაარსეული ხასიათი ექნება და არა მოცულობითი).

თუ განსაზღვრება საგნის არსების გამოთქმაა, მაშინ, მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, საგნის არსებას შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს და ამიტომ სწორედ იგი უნდა იქნეს განსაზღვრებაში გამოთქმული. საგნის არსებაში, როგორც შინაგან წინააღმდეგობაში, ადგილი აქვს ურთიერთგანსაზღვრებას, ერთგვარ შებრუნებადობას, მაგრამ იგი სრულდება უარყოფის საშუალებით; აქ ადგილი აქვს ურთიერთგანსაზღვრების ერთიან ძირსაც, ე. ი. განსაზღვრება წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას. ასეთი განსაზღვრება, თავისი ბუნებით, იქნება ერთგვარი დასაბუთება, სადაც საპირისპირო მხარეები ერთიმეორეს აუცილებლობით აფუძნებენ გარკვეულ ერთიანობამდე. აქ განხორციელდება დასაბუთება შინაგანი უარყოფის საშუალებით. დასაბუთების ეს სახე პირველ რიგში დამახასიათებელი იქნება დასაბუთების საწყისისათვის, რომელიც გაამართლებს ყოველგვარ დასაბუთებას, რადგან იგი იქნება არსება დასაბუთებისა. ამდენად, ყველაფერი დასაბუთდება, დასაბუთება არ დაემყარება დაუსაბუთებელს, რომელზე დაყვანაც მას აზრს უკარგავს.

ასეთ შემთხვევაში საგნის არსების გამომთქმელი განსაზღვრება შესრულდება ორი, ერთიმეორისადმი საპირისპირო, მსჯელობის ერთიანობის სახით. ამით გადაწყდება დასაბუთების საწყისის პრობლემა. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ისეთი საწყისი, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობა იქნება?

დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის ცდა

საკითხთა ზემოთ წარმოებული განხილვიდან ნათელია, რომ: 1) არსის, სინამდვილის საწყისი არ შეიძლება იყოს მისი რომელიმე ნაწილი, ასეთ შემთხვევაში არსი სასრული იქნებოდა (რის დაშვებაც შეუძლებელია, რადგან სასრული არის უსასრულოს სასრული, სასრული წინასწარ გულისხმობს უსასრულოს, ყველა სასრული უსასრულოა[1]); არა, მთელი უსასრულო სინამდვილის საწყისი უნდა იყოს თვითონ ეს მთელი სინამდვილე, ანუ უკეთ: სინამდვილის რეალური საფუძველი (სხვანაირი საფუძველი კი მას არ შეიძლება ჰქონდეს) უნდა იყოს თვითონ იგი, ე. ი. აუცილებელია სინამდვილის, როგორც causa sui-ს, აღიარება; 2) დასაბუთების სისტემის საწყისი უნდა იყოს თვითონ ეს სისტემა. მას აქვს რეალური საფუძველი: ა) რეალური სინამდვილის სისტემის-კანონზომიერების და ბ) ადამიანის პრაქტიკული მოქმედების, პრაქტიკის სახით. დასაბუთების სისტემის, როგორც მთელის, ლოგიკური საფუძველი — საწყისი უნდა იყოს მასშივე, დასაბუთებაც თავისებურ causa sui-ს, უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში სინამდვილე დასაბუთების სისტემაში აისახება, გამოიხატება.

უფრო ზუსტად: საწყისი უნდა იყოს თავისი თავის დამდგენი და დამფუძნებელი თუ დამსაბუთებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საწყისს სხვა საფუძველი ექნებოდა, ე. ი. საწყისი არ იქნებოდა.

ასეთი საწყისი იქნებოდა დასაწყისიც და ბოლოც, საფუძველიც და შედეგიც, ამავე დროს, მთელი სისტემაც. ეს, მართლაც, ასეა მთელის (სინამდვილე, დასაბუთების სისტემა) თვალსაზრისით, მთელის ასპექტში. მაგრამ საწყისის ცნება აქ სრულიად გაურკვევე-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 241.

ლი რჩება, რადგან საწყისი მართლაც საწყისი უნდა იყოს და არა სხვა რამ. თუ ის არის ყველაფერი, მაშინ იგი (საწყისი) არაფერი არ ყოფილა.

აქ უსათუოდ არის გარკვეული სიძნელე, რომლის დაძლევა იმას მოითხოვს, რომ, როგორც ამას საწყისის ნიშნების ზემოთ წარმოებულმა განხილვამ ნათელყო, საწყისი უნდა იყოს (3) რომელიმე დებულება, რომელსაც ექნება აღნიშნული თვისება თავის თავზე დაფუძნებულობისა. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ დებულებაზე, რადგან გვაინტერესებს არა ონტოლოგიური საწყისის პრობლემა, არამედ მხოლოდ დასაბუთების ლოგიკური საწყისის პრობლემა. შეიძლება თუ არა რომელიმე დებულებას ჰქონდეს აღნიშნული თვისება? თუ შეიძლება, მაშინ მონახული იქნება გზა დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტისა, თუ არ შეიძლება, მაშინ საკითხი დარჩება ღიად, გადაუწყვეტელ პრობლემად.

თუ არსებობს ისეთი აზრი, რომელიც ლოგიკურად თავის თავს ასაბუთებს, მაშინ ის იქნება დასაბუთების საწყისი, სხვა დებულებები კი არა საწყისი, არამედ საწყისზე დაქვემდებარებული იქნებიან, თუმცა ასეთი დებულებები საწყისს გაამართლებენ, ე. ი. განხორციელდება ის საწყისიც, რომელსაც მთელის მნიშვნელობა აქვს. სისტემის არსება და სისტემის საწყისი ერთიმეორეს დაემთხვევა. დასაბუთების საწყისი, ეს იქნება დასაბუთების არსება, გამოთქმული ერთ დებულებაში, ერთ ვარკვეულ აზრში.

1. ლოგიკის აქსიომატიზაციის წინააღმდეგ

ჩვეულებრივ დედუქციებს არ აქვს საწყისი, ამ სიტყვის ზემოთ აღნიშნული გაგებით, ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია საწყისად ღებულობს აქსიომას, ეს კი სრულიად დაუსაბუთებელი დებულებაა და არა თავისი თავის დამსაბუთებელი დებულება, თუმცა თავისი თავის დამსაბუთებლობის ერთგვარი მოთხოვნა არსებობს აქსიომაში, რამდენადაც აქსიომას თავისთავად ცხად დებულებას უწოდებენ. რამდენადაც აქსიომა ისეთი დებულებაა, რომელიც სხვით არ საბუთდება, გაუშუალებელი, უშუალო დებულებაა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აქსიომა, როგორც გაუშუალებელი დებულება, არ შეიძლება მიღებულ იქნეს დასაბუთების საწყისად. დასაბუთების საწყისად აქსიომის აღიარება მრავალ სიძნელეს ჰქმნის, ეს სიძნელეები შეუძლებელს ხდიან აქსიომის — უშუალო დე-

ბულების—დასაბუთების საწყისად მიღებას. ამ სიძნელეებიდან ჩვენ აქ აღვნიშნოთ ზოგიერთი, სახელდობრ:

1) თუ მეცნიერულ დებულებას დასაბუთებულ დებულებას ვუწოდებთ, მაშინ აქსიომა არამეცნიერული დებულება იქნება, რადგან აქსიომა დაუსაბუთებელი დებულებაა. შეიძლება რაიმე აზრი იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ არ იყოს მეცნიერული, თუ ის დაუსაბუთებლად არის წარმოდგენილი. დასაბუთების გარეშე არ არსებობს მეცნიერება, რადგან ეს უკანასკნელი დასაბუთების სისტემას წარმოადგენს. მხოლოდ ამ სისტემაში მოქცეული დებულება იქნება მეცნიერული ხასიათის. მეცნიერულის გამართლება არამეცნიერულით შეუძლებელი უნდა იყოს, თუ ამ „გამართლების" ქვეშ ლოგიკურ გამართლებას ვიგულისხმებთ. როცა გამართლებაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ხშირად იგი გვესმის როგორც გარკვეული დაყვანა. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მეცნიერული არამეცნიერულით იქნეს გამართლებული, რადგან მეცნიერულის არამეცნიერულზე დაყვანა, ეს იქნებოდა მეცნიერულის გაუქმება.

მეორე მხრივ, მეცნიერულის არამეცნიერულით გამართლება, ეს არის აუცილებელი კავშირი მათ შორის, მათი გარკვეული ერთიანობა. მეცნიერულისა და არამეცნიერულის გაერთიანება, ეს იქნება გარკვეული ხასიათის მქონე წინააღმდეგობა, რომელიც, როგორც წინააღმდეგობა, მხოლოდ წინააღმდეგობა შეცდომას წარმოადგენს. რამდენადაც მხედველობაში გვაქვს არა მეცნიერულის და რეალურის გარკვეული, მაგ., შემეცნებითი ერთიანობა, არამედ ლოგიკური კავშირი საპირისპირო ცნებებისა — მეცნიერული და არამეცნიერული დებულებებისა. თუ ეს კავშირი დასაბუთებული იქნა, ე. ი. თუ წინააღმდეგობას აუცილებელი ერთიანი ძირი — საფუძველი მოენახა, მაშინ აღნიშნული წინააღმდეგობა შეცდომა აღარ იქნება, მაგრამ ის, რაც არამეცნიერულად იყო აღებული, მოექცევა დასაბუთებაში, ამით იგი აღარ იქნება არამეცნიერული, არამედ მეცნიერული გახდება.

ერთი სიტყვით, მეცნიერულისა და არამეცნიერულის წინააღმდეგობა არის შეცდომა. თუ ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა შეიძლება, მაშინ ეს გადაწყვეტა იქნება დასაბუთება, რომელიც აღნიშნულ წინააღმდეგობას მოხსნის, რამდენადაც პირველად აღებულ არამეცნიერულს მეცნიერულად გადააქცევს.

ეს არგუმენტი უფრო ზუსტ აზრს იძენს, თუ მას შემდეგ სახეს მივცემთ.

2) გაუშუალებელი, უშუალო ანუ დაუსაბუთებელი ვერ გაამართლებს დასაბუთებულს თუ დასაბუთებადს, რადგან: ა) დასაბუთებულის დაუსაბუთებელზე დაყვანა დასაბუთებულის გაუქმებაა; დასაბუთების დაყვანა იმაზე, რაც არ არის დასაბუთება — დაუსაბუთებელი და დაუსაბუთებადია, დასაბუთებას აუქმებს. ბ) თვითონ ასეთი დაყვანა, როგორც დასაბუთება, დაუსაბუთებელს თავის ფარგლებში მოაქცევს ასეთი დაკავშირების დროს, ე. ი. გააუქმებს მას. გ) დაუსაბუთებელისა და დასაბუთების კავშირი, ეს იქნება წინააღმდეგობა, შეცდომა, თუკი ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა შეუძლებელია, ე. ი. თუ ეს წინააღმდეგობა წმინდა სახით არის აღებული, თუ ამ წინააღმდეგობას არ აქვს ერთიანი საფუძველი. დ) თუკი მას ასეთი საფუძველი აქვს, მაშინ ეს წინააღმდეგობა გადაწყვეტადია, ამ გადაწყვეტის განხორციელება კი უკვე დასაბუთება იქნება. ეს დასაბუთება კი თავის ფარგლებში მოაქცევს დაუსაბუთებელს, როგორც საწყისს დასაბუთებისა, ამდენად იგი საწყისი აღარ იქნება.

ამრიგად, დაუსაბუთებელი არ შეიძლება დასაბუთების გამმართლებელი იყოს. მათ შორის კავშირის გამართლება თვითონ იქნება დასაბუთება, რაც შეუძლებელს ხდის დასაბუთების საწყისის დაუსაბუთებელ ხასიათს, მის დაუსაბუთებლობას.

3) ყოველი დებულება გარკვეული შინაარსის მქონეა, მასში გამოთქმულია რაიმე, ის, რომ ეს ასეა და არა სხვანაირად. ამიტომ ყოველი დებულება მოითხოვს დასაბუთებას, იმ საფუძვლის მონახვას, რომელიც მას გაამართლებს. მაგრამ ეს საფუძველიც გარკვეული დებულებაა (დებულებებია), რომლებიც ისეთივე ხასიათისაა, როგორც დასასაბუთებელი დებულება, ამიტომ ეს საფუძველიც დასაბუთებას მოითხოვს და ა. შ. უსასრულოდ. საფუძვლის ხაზით უსასრულობაში წასვლა დასაბუთებას აუქმებს, რადგან არც ერთი დებულების დასაბუთება არ ხერხდება, სწორედ ამის გამო ხდება აუცილებელი დასაბუთებისათვის საზღვრის მიცემა; ე. ი. დასაბუთება უნდა იყოს განსაზღვრული, დასრულებული. დასაბუთების ასეთ საზღვრად, დამსრულებლად, საწყისად მიიჩნევენ აქსიომას.

ამრიგად, აქსიომა დასაბუთების საწყისად მიღებულ იქნა დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის თავიდან ასაცილებლად, მის შე-

საჩერებლად. რადგან დასაბუთება მიდის უსასრულობაში, ე. ი. ამით ჰკარგავს თავის აზრს, ამიტომ აუცილებელია დასაბუთების დაწყება, მისი დაწყება დაუსაბუთებელი დებულებით, აქსიომით. დასაბუთების საწყისი არ შეიძლება დაუსაბუთებელი არ იყოს, არ შეიძლება ის არ იყოს უშუალო; არ შეიძლება ის იყოს სხვა რამით გაშუალებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა უსასრულობაში რეგრესს. ამიტომ აქსიომის აუცილებლობას განსაზღვრავს დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის შესაძლებლობა. აქსიომა დასაბუთების საწყისად შემოღებულ, შემოყვანილ იქნა უსასრულო რეგრესის გამო, უსასრულო რეგრესის თავიდან აცილებისათვის. აქსიომა წინასწარ გულისხმობს უსასრულო რეგრესს, რომლის შესაძლებლობამაც მისი (აქსიომის) აუცილებლობა განსაზღვრა.

თუ რაიმე არის სხვა რაიმეთი განსაზღვრული, მაშინ იგი არ შეიძლება საწყისი იყოს. არავითარი სხვით განსაზღვრული არ შეიძლება იყოს საწყისი. საწყისი პირველს, არაფრით განსაზღვრულს, განუსაზღვრულს — სხვა რამით გაუშუალებელს ჰქვია.

ის, რაც სხვა რაიმეთია განსაზღვრული, არ შეიძლება იყოს საწყისი; სხვით განსაზღვრული საწყისი არ შეიძლება საწყისი იყოს, ის თავის თავს აუქმებს. ასეთია აქსიომა, რომელიც დასაბუთებაში უსასრულო რეგრესით არის განსაზღვრული, რამდენადაც ის შემოყვანილია ამ რეგრესის გამო. ამიტომ აქსიომა თავის თავს აუქმებს; აქსიომის მიღება არ არის „ბუნებრივი", ის უსასრულო რეგრესის შესაჩერებლად ხელოვნურად არის შემოყვანილი (ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი). დასაბუთების საწყისის ხელოვნური შემოყვანა საწყისის პრობლემის სიძნელეს კი არ წყვეტს, არამედ ააშკარავებს. ეს სიძნელე სხვა გზით უნდა გადაწყდეს.

აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ არგუმენტს საკითხის განხილვა კატეგორიების სფეროში აჰყავს. ზემოთ მოხმარებული „რაიმე" კატეგორიალური მნიშვნელობისაა. აქსიომის განმსაზღვრელი უსასრულო რეგრესი, ცხადია, არის რაიმე და არა დებულება, რომელსაც წანამძღვრის აზრი აქვს.

4) ყველასათვის მისაღებია, რომ აქსიომად შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი დებულება და არა ნებისმიერი დებულება, ზოგიერთი დებულება გამოდგება აქსიომად, ზოგიერთი კი არა. აქსიომა, აქსიომები ამორჩეულ უნდა იქნენ. დებულებების აქსიომად ამორჩევა იმის ჩვენებას გულისხმობს, თუ რატომ ავირ-

ჩიეთ აქსიომად ესა თუ ის დებულება. აქსიომა ისეთი დებულება უნდა იყოს, რომელიც არ საბუთდება სხვა დებულებებით, მაგრამ ეს დებულებები საბუთდება, გამოიყვანება აქსიომიდან თუ აქსიომებიდან. ამიტომ დებულების აქსიომად ასეთი და საერთოდ ამორჩევა დასაბუთების ხასიათისაა. აქსიომის ამორჩევა არის გარკვეული დასაბუთება. ამდენად აქსიომა ექვემდებარება დასაბუთებას, ექცევა დასაბუთების სფეროში. ეს კი აქსიომის, როგორც დაუსაბუთებელი და დაუსაბუთებადი დებულების, გაუქმებაა.

5) აქსიომის (აქსიომების) ამორჩევა თვითონ მოითხოვს გარკვეულ საფუძველს; ეს ამორჩევა უნდა ემყარებოდეს რაიმეს, რომელიც გვაიძულებს, მივიღოთ აქსიომად ეს და არა სხვა დებულება. ის, რის გამოც დებულება აქსიომად ამოვარჩიეთ, არის გარკვეული საფუძველი. საფუძვლის გამოყენება — მოხმარა სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება. ამიტომ რაიმე დებულების აქსიომად მიღება დასაბუთებას ემყარება და წარმოადგენს. ამის გამო უნდა ითქვას, რომ აქსიომა არ გამოდგება საწყისად, დასაბუთებისათვის პირველ დებულებად. ის არ არის პირველი, მაშასადამე. — აქსიომა.

6) დასაბუთების საწყისად აქსიომის ამორჩევისათვის მიმართავენ შეთანხმებას, კონვენციას (კონვენციონალიზმი.). ამბობენ, რომ დებულების აქსიომად ამორჩევას არ აქვს არავითარი ობიექტური საფუძველი —არც რეალური და არც ლოგიკური, წინააღმდეგ შემთხვევაში აქსიომა დასაბუთებადი დებულება იქნებოდა და იგი მოიხსნებოდა. აქსიომა სწორედ იმიტომ არის აუცილებელი, რომ მისი მიღებისათვის არ არსებობს არავითარი ობიექტური საფუძველი. აქსიომების ამორჩევა ხდება შეთანხმებით. ჩვენს შეთანხმებაზეა დამოკიდებული ის, თუ რა დებულებას ავირჩევთ აქსიომად, როგორც დასაბუთების საწყისად.

მცდარია კონვენციონალიზმი, რადგან:

ა) შეთანხმება საჭიროებს რაღაც საფუძველს; რაღაცის გამო ვაწარმოებთ შეთანხმებას. ამიტომ შეთანხმება წინ უშვებს ამ საფუძველს (აქაც საკითხი კატეგორიულ სფეროშია დასმული), ამიტომ პირველი არის ეს რაღაც და არა შეთანხმება და მით უმეტეს აქსიომა. ამდენად, აქსიომის მიღება შეთანხმების საფუძველზე შეუძლებელი ხდება.

ბ) რის საფუძველზე ვაწარმოებთ შეთანხმებას? თუ შეთანხმებას აბსოლუტური მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ამას ადგილი აქვს კონვენციონალიზმში, მაშინ აუცილებელი ხდება შეთანხმება თვითონ შეთანხმების საფუძვლის შესახებ, შეთანხმების საფუძველიც მოითხოვს რომ შევთანხმდეთ მის შესახებ; საჭირო ხდება შეთანხმება თვითონ შეთანხმების შესახებ; უნდა შევთანხმდეთ, რომ შეთანხმებით ავირჩიოთ აქსიომა. ეს კი ლოგიკურ წრეს და უსასრულობაში რეგრესს მოგვცემს.

გ) თუ შეთანხმების საფუძველზე უნდა მივიღოთ აქსიომა, მაშინ თვითონ შეთანხმება გამოდის პირველი და არა აქსიომა, თვითონ შეთანხმება განსაზღვრავს აქსიომას. რაც აქსიომას ლოგიკურად განსაზღვრავს, ის იქნება პირველი და ამიტომ აქსიომა მოიხსნება (აქაც კატეგორიალურ სფეროში ისმის და წყდება საკითხი). რაც აქსიომას წინ უსწრებს, როგორც მისი ლოგიკური საფუძველი, მასზე ლოგიკურად წინწასწრებული, ამ შემთხვევაში, შეთანხმება, აუქმებს მას, აქსიომას როგორც ასეთს, როგორც უშუალოს. აქსიომა შეთანხმებით ხდება გაშუალებული, რაც არ შეიძლება იყოს აქსიომა.

დ) შეთანხმება გულისხმობს შესათანხმებელს, იმას, რაშიც უნდა შევთანხმდეთ. ის, რაშიც უნდა შევთანხმდეთ, განსაზღვრავს შეთანხმებას, ამიტომ შეთანხმება არ არის თავისუფალი, ე. ი. ის ჰკარგავს თავის აზრს. ამავე დროს, ასეთ შემთხვევაში, შემდეგიო განისაზღვრება ის, რაც მას წინ უნდა უსწრებდეს, მაშინ როცა საქმე პირიქით უნდა იყოს.

ე) თუ აქსიომად მხოლოდ ზოგიერთი დებულება უნდა მივიღოთ და არა ნებისმიერი, მაშინ აქსიომა ყოფილა ისეთი დებულება, რომლის შესახებაც არ შეიძლება არ შევთანხმდეთ, რომელიც არ შეიძლება რომ არ მივიღოთ; მაგრამ ასეთი მიღება უკვე აღარაა შეთანხმება; ეს უკვე შეთანხმების უარყოფა და დასაბუთებისათვის პირველის უპირობო აუცილებლობის აღიარებაა, რაც სრულიად აუქმებს კონვენციონალიზმს.

ვ) თუ ეს ასე არაა, ე. ი. თუ ის, რისი მიღების შესახებაც უნდა შევთანხმდეთ, არ არის აუცილებელი, მაშინ აქსიომად უნდა ჩავთვალოთ ნებისმიერი დებულება; თუკი ამას დავუშვებთ, მაშინ შეთანხმებაც არ არის საჭირო, ამით კი ქაოსს ფართო გზა გაეხსნება და

დასაბუთების აუცილებლობა, დასაბუთება სრულიად შეუძლებელი გახდება.

თუკი იმას ვიტყვით, რომ ლოგიკაში არ არის მორალი (კარნაპის თვალსაზრისი), რომ უნდა დავეყრდნოთ „შემწყნარებლობის პრინციპს", მაშინ არ ვიცით, თუ რას ვამბობთ, რადგან „შემწყნარებლობის პრინციპიც" ხომ პრინციპია? რა უნდა იყოს ლოგიკაში (ანდა საერთოდ) იმაზე უარესი, რომ უპრინციპობა პრინციპად გავიხადოთ.

7) რადგან ყოველი აქსიომა გარკვეული შინაარსის მქონე დებულებაა, ამიტომ აქსიომის საწინააღმდეგო დებულებაც შესაძლებელია. თუ დასაბუთების გარეშე უნდა მივიღოთ აქსიომა (წინააღმდეგ შემთხვევაში აქსიომა არ გვექნებოდა), მაშინ შესაძლებელია აქსიომის საწინააღმდეგო დებულებაც აქსიომად მივიღოთ (როგორც ამას არისტოტელეს წინააღმდეგ ძველი სკეპტიკოსები აღნიშნავდნენ). ამრიგად, ორივეს ამ ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო დებულებებს ერთნაირი უფლება ექნებოდა აქსიომების როლში გამოსვლისა. მაგრამ ამით დასაბუთება შეუძლებელი გახდებოდა, სწორედ გარკვეული, მყარი დასაყრდენის არარსებობის გამო.

ევკლიდეს გეომეტრია ეყრდნობა, სხვა აქსიომებთან ერთად, პარალელობის პოსტულატს. ლობაჩევსკიმ აიღო ამ პარალელობის საწინააღმდეგო აქსიომა და შექმნა სხვა გეომეტრია (თუ ევკლიდესათვის სწორი ხაზის მიმართ მხოლოდ ერთი პარალელური ხაზის გავლება შეიძლებოდა, ლობაჩევსკის გეომეტრიაში შესაძლებელია ერთი ხაზის მიმართ მრავალი პარალელური ხაზის გავლება). ეს ერთიმეორის საწინააღმდეგო აქსიომები შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ისინი გეომეტრიის განსხვავებული სისტემების აქსიომებს წარმოადგენენ. მაგრამ გეომეტრიის ერთი ცნების თვალსაზრისით აქ უსათუოდ არის შეუსაბამობა, რომელიც კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ საკითხს ფილოსოფიური ლოგიკის, კატეგორიალურ სიმაღლეზე ავიყვანთ. ყოველ შემთხვევაში, ევკლიდესა და ლობაჩევსკის გეომეტრიების დამოკიდებულება დასასაბუთებელ მდგომარეობას ჰქმნის, რასაც მოწმობს კლეინის ცდა, როცა მან მოდელების აგების მეთოდით დაამტკიცა ის, რომ ევკლიდეს გეომეტრიის არაწინააღმდეგობრიობიდან გამოდის ჰიპერბოლური გეომეტრიის არაწინააღმდეგობრიობა, და სხვ.

მაშასადამე, თუ აქსიომის საწინააღმდეგო დებულებაც აქსიომად შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ ან 1) შეუძლებელია დასაბუთება, რადგან აქსიომები ერთიმეორეს გამორიცხავენ, აბათილებენ, ან 2) არ არსებობს დასაბუთების ობიექტური ლოგიკის დასაყრდენი, ანდა 3) იქმნება დასასაბუთებელი მდგომარეობა, რომელშიც მოქცეულია თვითონ აქსიომები, ამით კი გაუქმებულია ამ აქსიომების აზრი.

8) დასასაბუთებელ მდგომარეობაში ექცევა აქსიომა, როცა სისტემის საწყისად აღებულია რამდენიმე აქსიომა, რომელთა სხვადასხვაობა გარკვეულ შინაარსს წარმოადგენს. ეს სხვადასხვაობა თვითონ მოითხოვს დასაბუთებას, რადგან მოითხოვს და ემყარება გარკვეულ ერთიანობას თანახმად აქსიომის ცნებისა. თვითონ ის გარემოება, რომ ცდილობენ დაასაბუთონ აქსიომების თავსებადობა — არაწინააღმდეგობრიობა, დამოუკიდებლობა და სისრულე, აქსიომებს აქცევს დასასაბუთებელ მდგომარეობაში, ე. ი. აქსიომებს, როგორც უშუალო დებულებებს, აუქმებს. თუ ასეთი დასაბუთებისათვის კიდევ მიმართავენ აქსიომებს, მაშინ აქსიომა მოექცევა უსასრულო რეგრესში, ე. ი. აქსიომა ვერ შეასრულებს იმ როლს, რისთვისაც ის იყო მოწოდებული — დასაბუთების საწყისის როლს, ამით დასაბუთება, როგორც ასეთი, განუხორციელებელ რაიმედ გადაიქცევა.

9) აქსიომატური მეთოდის სრული გამოყენება, აქსიომატიზაციის აბსოლუტური სისრულის მოთხოვნა, რომელიც მათემატიკურ ლოგიკას ახასიათებს, მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ აქსიომები გამოვიყენოთ დასასაბუთებელი დებულებების მიმართ, როგორც სწორედ საწყისი დასაბუთებისა, არამედ იმასაც ნიშნავს, რომ თვითონ გამოყენება აქსიომებისა გავამართლოთ ახალი აქსიომებით; ეს კი იმას იწვევს, რომ ეს ახალი აქსიომების მოხმარა კიდევ ახალ აქსიომებს დავამყაროთ და ა. შ. უსასრულოდ, რაც, ცხადია, აქსიომატიზაციის შეუძლებლობას მოასწავებს[1].

10) მათემატიკურ ლოგიკაში მიღებულია, რომ ლოგიკის ცნობილი კანონები (წინააღმდეგობის შეუძლებლობის, გამორიცხული მესამის და იგივეობის კანონები) დაასაბუთონ, ეს დასაბუთება კი

---

[1] ეს არგუმენტი პროფ. ლ. გოკიელის არგუმენტია. იხ. პროფ.ლ. გოკიელის არგუმენტაცია ლოგიკის აქსიომატიზაციის წინააღმდეგ შრომაში „О природе логического", 1958.

დაამყარონ აქსიომებს, ე. ი. საწყისად აიღონ აქსიომები, ეს კანონები კი განიხილონ როგორც მათგან გამომდინარე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაშვებულია ლოგიკური შეცდომა, რადგან თვითონ აქსიომები, საიდანაც უნდა იქნენ ლოგიკის კანონები გამოყვანილი, ემყარებიან, მაგალითად, არაწინააღმდეგობრიობას. ამ ლოგიკურ წრეს ვერ გააუქმებს დასაბუთების, ლოგიკური კანონის, წინააღმდეგობის თავისებური გაგება, თუკი ამ ცნებებს ლოგიკური მნიშვნელობა როგორმე მაინც შერჩებათ. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის აუცილებელი იქნება კანონის, წინააღმდეგობის და სხვ. კატეგორიების მოხმარა, კატეგორიების აქსიომატიზაცია კი შეუძლებლად არის მიჩნეული, და მართლაც შეუძლებელია, დასაბუთების კანონების დასაბუთება ხომ იმავე კანონებს უნდა დაემყაროს.

11) ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მათემატიკურ ლოგიკაში აქსიომატური მეთოდი არ არის მიჩნეული ერთადერთ მეცნიერულ მეთოდად; მიღებულია, რომ აქსიომატური მეთოდი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება (შეუძლებელია აქსიომატიზაცია არითმეტიკის, ამიტომ მთელი მათემატიკისა და სხვ.). ეს იმას ნიშნავს, რომ აქსიომატური მეთოდი არ არის ლოგიკის მეთოდი, რამდენადაც ლოგიკურ მეთოდს უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

12) აქსიომატური მეთოდი ლოგიკისათვის გამოუსადეგარი მეთოდია, რადგან იგი ლოგიკას აზრს უკარგავს, რამდენადაც ის იწვევს ლოგიკიდან ლოგიკის გატანას, ლოგიკისათვის აუცილებელს ხდის მეტალოგიკას, ამისათვის მეტამეტალოგიკას და ა. შ.

მაგალითისათვის ავიღოთ წინადადებათა აღრიცხვაში აქსიომატური მეთოდის მოხმარა. წინადადებათა აღრიცხვის (ჰილბერტისა და აკერმანის შრომის[1] მიხედვით) აქსიომებს წარმოადგენენ შემდეგი ყოველთვის ჭეშმარიტი წინადადებები:

1. $X \vee X \rightarrow X$,
2. $X \rightarrow X \vee Y$,
3. $X \vee Y \rightarrow Y \vee X$ და
4. $(X \rightarrow Y) \rightarrow (Z \vee X \rightarrow Z \vee Y)$.

---

[1] დ. ჰილბერტი და ვ. აკერმანი. თეორიული ლოგიკის საფუძვლები, რუს. თარგ., გვ. 49.

პირველი აქსიომა—$X \vee X \rightarrow X$ ანუ $\overline{X} \vee \overline{X} \vee X$ იმას აღნიშნავს, რომ წინადადება (გამოთქმა) ჭეშმარიტია, თუ ამ წინადადების (გამოთქმის) თავისთავთან დისიუნქცია ჭეშმარიტია. მეორე აქსიომა სხვა არაფერია, თუ არა შემდეგი: თუ X ჭეშმარიტია და Y აღნიშნავს ნებისმიერ წინადადებას, მაშინ XY-ც ჭეშმარიტია. მესამე აქსიომა დისიუნქციის კომუტატიურობის პოსტულირებაა. მეოთხე აქსიომა იმას გამოთქვამს, რომ $X \rightarrow Y$ იმპლიკაციის ჭეშმარიტების შემთხვევაში მისი ორივე წევრი შეიძლება დისიუნქტიურად დავაკავშიროთ ნებისმიერ წინადადებას Z.

ეს აქსიომები წინადადებათა აღრიცხვის საწყისებს წარმოადგენენ. მათგან უნდა გამომდინარეობდეს წინადადებათა აღრიცხვის სხვა ფორმულები, როგორც გარკვეული დასკვნები. მაგრამ ეს გამოყვანა საჭიროებს წესებს, სახელდობრ, ჩასმის წესს და დასკვნის სქემას, რომლებსაც ჰილბერტი და აკერმანი თავისი შრომის პირველ გამოცემაში „შინაარსეულ აქსიომებს" უწოდებენ. ეს წესები წარმოადგენენ თავისებურ აქსიომებს, რომლებიც წინადადებათა აღრიცხვაში, როგორც გარკვეულ ლოგიკურ სისტემაში, კი არ შედიან, არამედ მეტალოგიკის სფეროს ეკუთვნიან.

ზემოთ მოყვანილი აქსიომებიდან სხვა ფორმულების გამოყვანას კიდევ სჭირდება სხვა წესები თუ აქსიომები — ჩასმის წესი (წინადადების ცვლადის ადგილზე შეიძლება ყველგან ჩავსვათ წინადადებათა აღრიცხვის ერთი და იგივე ფორმულა) და დასკვნის სქემა (ანუ წაშლის სქემა — ორი ფორმულიდან $\mathfrak{A}$ და $\mathfrak{A} \rightarrow \mathfrak{B}$ ვღებულობთ ახალ ფორმულას $\mathfrak{B}$), რომლებიც წინადადებათა აღრიცხვის ლოგიკას კი არ მიეკუთვნებიან, არამედ მეტალოგიკას, ეს ორი წესი ფორმულებზე მოქმედების წესებია, რომელთა გარეშე აქსიომებიდან რაიმეს გამოყვანა შეუძლებელია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკის გამართლებას სჭირდება ახალი ლოგიკა მეტალოგიკის სახით. თუ ლოგიკისათვის საჭიროა მეტა-და მეტამეტალოგიკები, მაშინ საქმე გვაქვს დაუძლეველ ლოგიკურ სიძნელესთან, რომელსაც ძველთაგან ეწოდება რეგრესი უსასრულობაში.

ლოგიკა გამართლებულ უნდა იქნეს ლოგიკაშივე. ლოგიკა უნდა იყოს მხოლოდ ერთი. ლოგიკა, რომელსაც სხვა ლოგიკა ესაჭი-

როება, არ არის ლოგიკა. ლოგიკა ერთიანია თავისი ფორმით და შინაარსით. მთელი ლოგიკის აქსიომატიზაცია ლოგიკის ცნებას ანგრევს,

13) არათუ მთელი ლოგიკის ფორმალიზაცია, აქსიომატიზაცია არ შეიძლება, არამედ არც მთელი მათემატიკის აქსიომატიზაცია შესაძლებელი. ვერ მოხერხდა არითმეტიკის აქსიომატიზაციაც. გეომეტრიის აქსიომატიზაცია, მისთვის საკმარისი აქსიომები, როგორც ცნობილია, ლოგიკურ აქსიომებს სრულიადაც არ წარმოადგენენ. გეომეტრიის აქსიომები, ცხადია, არ არიან ლოგიკური გამოყვანის აქსიომები. აქსიომებიდან დანარჩენი ფორმულების გამოყვანას ახალი აქსიომები სჭირდება, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. მაგალითად, აქსიომებიდან დანარჩენის გამოყვანას სჭირდება ისეთი წესი, როგორიცაა დასკვნის სქემა — $\frac{\mathfrak{A} \quad \mathfrak{A} \rightarrow \mathfrak{B}}{\mathfrak{B}}$, ე. ი. დასკვნას წინასწარ სჭირდება დასკვნის აზრი, რაც ლოგიკურად ყალბ მდგომარეობას ჰქმნის.

14) დასაბუთების საწყისად გამოყენება, ეს არის დასაბუთების გამართლება აქსიომით. ეს გამართლება შეიძლება იყოს მხოლოდ ლოგიკური გამართლება, ლოგიკური გამართლება კი სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება. ის გარემოება, რომ აქსიომა მოწოდებულია დასაბუთების გამართლებისათვის, რომ აქსიომას აქვს პრეტენზია ლოგიკურად გაამართლოს დასაბუთება, ეს იმას ნიშნავს, რომ აქსიომის გამოყენება დასაბუთების გასამართლებლად ნიშნავს დასაბუთების დასაბუთებას, რაც, არისტოტელეს აზრით, შეცდომას წარმოადგენს, მაშინ როცა აქსიომა პირველად არისტოტელეს მიერ იქნა შემოტანილი სწორედ ამ შეცდომის თუ სიძნელის თავიდან ასაცილებლად.

15) თუ დასაბუთებისათვის აუცილებელია აქსიომა, ე.ი. თუ დასაბუთება აქსიომას აუცილებლობით მოითხოვს, მაშინ ეს აუცილებლობა იქნება ის აუცილებლობა, რომელსაც აქსიომა დაექვემდებარება. რაიმეს აუცილებლობის ჩვენება, ლოგიკურად, ეს არის მისი დასაბუთება. მაშასადამე, აქსიომის აუცილებლობის ჩვენება უკვე მისი დასაბუთება იქნება, ე. ი. მოიხსნება აქსიომა, როგორც

ასეთი, როგორც დაუსაბუთებელი დებულება. ცხადი უნდა იყოს, რომ ეს აუცილებლობა იქნება თავისებური ლოგიკური აუცილებლობა, არა სილოგისტური ხასიათისა.

16) აქსიომის (აქსიომების) ამორჩევა ხდება რაიმე სისტემისათვის; სხვადასხვა გეომეტრიას სხვადასხვა აქსიომა აქვს. არსებობს მრავალი მათემატიკური ლოგიკის სისტემა სხვადასხვა აქსიომებით. სისტემას მისი გამმართლებელი აქსიომები სჭირდება, მაგრამ სისტემათა სხვადასხვაობა სხვადასხვა აქსიომას მოითხოვს და განსაზღვრავს. ამიტომ აქსიომა (აქსიომები) წინასწარ გულისხმობენ დანარჩენს, იმას, რის აქსიომაც ის არის. აქსიომები, მაგალითად, იმით მოწმდება, ჰქმნიან ისინი წინააღმდეგობას სისტემაში თუ არა. ამიტომ აქსიომა განსაზღვრული და დაქვემდებარებულია, ე. ი. როგორღაც დასაბუთებულია იმით, რის აქსიომასაც ის წარმოადგენს. ამით იხსნება აქსიომა, როგორც ასეთი.

მეორე მხრივ, თუ ეს ასეა, მაშინ აქსიომის მიერ ეს წინასწარი ნაგულისხმევი თვითონ საჭიროებს აქსიომას და ა. შ. უსასრულოდ. ეს არის ლოგიკური წრე და რეგრესი უსასრულობაში, რომლებსაც აქსიომა თვითონ აჩენს, თუმცა აქსიომა სწორედ ასეთი შეცდომის თუ სიძნელის გასაუქმებლად, თავიდან ასაცილებლად იყო შემოღებული.

17) ლოგიკის ფორმალიზაცია, აქსიომატიზაცია დასაბუთების მთელ ლოგიკურ შინაარსს აქცევს აქსიომებში. მაგალითად, ლუკასევიჩი არისტოტელეს ლოგიკის აქსიომებად კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის მოდუსებს მიიჩნევს, მაშინ როცა კატეგორიული სილოგიზმის ბუნება სწორედ ამ მოდუსებშია მოცემული. ამიტომაა, რომ ამ ფიგურით მართლდება დანარჩენი ფიგურებიც, რომელთა პირველ ფიგურაზე დაყვანასაც ეს გამართლება წარმოადგენს. Dictum de omni et nullo სწორედ Barbara-ს ბუნებას წარმოადგენს, გამოთქვამს, თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებას დასაბუთების დაუსაბუთებელ საწყისად, აქსიომად ჩავთვლით, როგორც ამას ადგილი აქვს არისტოტელეს ლოგიკაში, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დებულება გამოთქვამს დასაბუთების არსებას, როგორც მტკიცება-უარყოფის ბუნებას, ე. ი. ის, რასაც დასაბუთება წარმოადგენს, წინასწარაა მიღებული როგორც აქსიომა; მთელი დასაბუთება, არსებითად. წინასწარვე აქსიომად არის მიჩნეული; აქსიომად არის მიჩნეული ის, რომ რაი-

მეს დასაბუთება ამ რაიმეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობის ჩვენებაა (ეს გარემოება დიალექტიკაში დასასაბუთებელი რამ არის და იგი თავისებურად კიდეც საბუთდება). ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკის ფორმალიზაცია დასასაბუთებელს წინასწარ — დაუსაბუთებლად ღებულობს, ჯერ გაუმართლებელს და გასამართლებელს გამართლებულად მიიჩნევს.

ამრიგად, აქ ადგილი აქვს დასაბუთებისადმი გვერდის ავლას, მაშინ როცა ფორმალიზაცია და აქსიომატიზაცია წარმოებს დასაბუთების სიმკაცრის, სიზუსტის განსახორციელებლად.

18) თუ აქსიომაში (აქსიომებში) ის მოვაქციეთ, რაც შემდეგ უნდა იყოს, ეს იმის დამატებითი საბუთია, რომ აქსიომა, როგორც დასაბუთების საწყისი, განისაზღვრება იმით, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, მაშინ როცა საწყისი სწორედ განმსაზღვრელი უნდა იყოს და არა განსაზღვრული. რაიმეს განსაზღვრა მის დასაბუთებას ნიშნავს; განსაზღვრული დასასაბუთებელია ან დასაბუთებული. განმსაზღვრელი კი დამსაბუთებელს წარმოადგენს. განსაზღვრება პრედიკაციით ხდება. დასაბუთება პრედიკაციაში, მტკიცება-უარყოფაში ხორციელდება.

მაშასადამე, თუ აქსიომაში მოვაქციეთ ის, რასაც დასაბუთება წარმოადგენს, მაშინ აქსიომა არ იქნება დასაბუთებას წინწასწრებული დაუსაბუთებელი დებულება. ასეთი „აქსიომა", როგორც დებულება, თვითონ იქნება დასაბუთების ბუნების მქონე, რომელსაც აქსიომა დასჭირდება და ა. შ.

19) წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რომელიც არისტოტელესათვის ყველაზე უცილობელ აქსიომას წარმოადგენს, მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს, რამდენადაც ეს დებულება განხილულია როგორც ლოგიკის (და არა მეტაფიზიკის) დებულება. წინააღმდეგობის შეუძლებლობა ლოგიკურად სხვა. არაფერია, თუ არა რაიმეს ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა; ლოგიკურად აუცილებელი სწორედ ის არის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია. ამიტომ ცხადია, რომ ეს აქსიომა წინასწარ გულისხმობს და არის არსებითად ის, რის აქსიომასაც ის უნდა წარმოადგენდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არ არის აქსიომა, ის თვითონ საჭიროებს აქსიომას, თუკი დასაბუთებისათვის აუცილებელია დასაბუთების ბუნების არმქონე დებულება — აქსიომა. წინააღმდეგობის დებულებას წინ უნდა უსწრებდეს რაღაც სხვა; წინააღმდეგობის დებულება,

რომელიც მტკიცება-უარყოფაში ხორციელდება, ლოგიკურად რთულია და ამიტომ რაღაც მარტივს წინასწარ უნდა უშვებდეს, თუკი დასაბუთებისათვის აუცილებელია რაღაც დაუსაბუთებელი, როგორც ეს არისტოტელეს წარმოედგინა.

20) თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის აქსიომა, როგორც ეს არისტოტელეს წარმოედგინა, და თუ, ამავე დროს, წინააღმდეგობის შეუძლებლობა ლოგიკურში მტკიცება-უარყოფის აზრისაა, მაშინ მას, როგორც სწორედ მტკიცება-უარყოფას, თვითონ არისტოტელესავე მოთხოვნით, წინ უნდა უსწრებდეს განსაზღვრების დადებითობა, მარტივი არსების გამომთქმელი წმინდა დადებითობა. რომელიც წინ უსწრებს უარყოფასთან დაპირისპირებულ დადებითობას (სწორედ ამიტომ განსაზღვრება უნდა იყოს დადებითი და არა უარყოფითი, რასაც განსაზღვრების ერთი წესი მოითხოვს). ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ისეთი რამ, რაც წინ უსწრებს წინააღმდეგობის შეუძლებლობას, თვითონ წინააღმდეგობას, როგორც მტკიცება-უარყოფას, ე. ი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არ შეიძლება აქსიომად ჩაითვალოს, ის თვითონ საჭიროებს „აქსიომას“.

21) არისტოტელეს ლოგიკაში დასაბუთების საწყისის ბუნება ისაა, რომ არ შეიძლება მტკიცება-უარყოფამ, დასაბუთებამ არ დაუშვას წინ რაიმე, სახელდობრ, ის, თუ რა არის საგანი, ამ საგნის არსების მარტივი დადებითობა, გამოთქმული განსაზღვრებაში. ეს, გარკვეული აზრით, იმას ნიშნავს, რომ დასაბუთებისათვის აუცილებელია საწყისი, აუცილებელია ის, რაც შეუძლებელია არ დავუშვათ, — რომლის უარყოფა შეუძლებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აუცილებელი არ იქნებოდა; ის, რის უარყოფა შეიძლება, არ არის აუცილებელი. მაგრამ ის, რის უარყოფაც არ შეიძლება, წარმოადგენს იმას, რის უარყოფაც მას თავისებურად დაადგენს. მტკიცება-უარყოფისათვის აუცილებლად წინარსებული დადებითობა არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, რადგან უარყოფა მას ემყარება, ამიტომ მისი უარყოფა მასვე მოიხმარს, როგორც გარკვეულ საშუალებას და საფუძველს; ამიტომ, ამ აზრით, მისი უარყოფა მასვე დაადგენს. სწორედ ასეთი რამ უნდა იყოს დასაბუთების საწყისი. ამას შეუგნებლად მოითხოვს ძველი, ფორმალური ლოგიკა. ესაა მასში რაციონალური მარცვალი დასაბუთების საწყისის თვალსაზრისით.

იმის ჩვენება, რომ აქსიომა აუცილებელია დასაბუთებისათვის, რომ ის უნდა იყოს ასეთი და არა სხვანაირი, მის დასაბუთებას ნიშნავს.

22) თუ მტკიცება-უარყოფის ბუნების მქონე დასაბუთება წინასწარ გულისხმობს იმას, თუ „რა" არის და განსაზღვრება, როგორც საგნის არსების ლოგიკური გამოთქმა, დასაბუთების საწყისია, როგორც ამას არისტოტელე ფიქრობდა, მაშინ ლოგიკურიდან „სუბსტანციალობის" ამოღება მოხსნის დასაბუთების საწყისს — განსაზღვრებას და ისეთ უცილობელ აქსიომას, როგორიცაა წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რომელიც არსის ბუნების, არსებობის შესაძლებლობის გამომთქმელიცააა არისტოტელეს მოძღვრებაში. ამის გამო, შეუძლებელი უნდა იყოს შეხედულება თანამედროვე ნეოპოზიტივისტებისა, რომლებიც აქ აღნიშნულ წინდაშვებას დასაბუთებისათვის და „სუბსტანციალობას" უარყოფენ, მაგრამ დასაბუთების საწყისად კი აღიარებენ აქსიომებს, როგორც საწყისებს, ე. ი. იმას, რაც ამართლებს დასაბუთებას სწორედ ობიექტურობის თვალსაზრისით. დასაბუთების ობიექტურობის უარყოფა კონვენციებით კი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, გამოუვალ მდგომარეობას ჰქმნის, რადგან კონვენცია ობიექტურობის სამაგიეროს როლის შემსრულებელში გამოდის, მაშინ როცა ის წმინდა სუბიექტური აზრის მქონეა, რაც საწყისის აუცილებლობას აუქმებს.

23) აქსიომა სისტემისათვის არის წინდაშვებული დებულება; მისი გამოყენებით საბუთდება სისტემის დებულებები, თვითონ კი ამ სისტემაში არ საბუთდება; აქსიომა არის გარკვეული საშუალება დასაბუთებისათვის. მაგრამ დასაბუთების სისტემის ასეთი საშუალება და საწყისი უნდა შევიდეს სისტემაში სწორედ როგორც საწყისი, როგორც პირველი. თუ რაიმეს დასაბუთება არის მისი ადგილის მონახვა სისტემაში, მაშინ ის, რაც დასაბუთების საწყისს წარმოადგენს, პირველ ადგილზე იქნება სისტემაში. პირველი ადგილის მონახვაც დასაბუთება უნდა იყოს. სისტემაში შედის მისი თავიც და ბოლოც. ამიტომ დასაბუთების საწყისი, როგორც პირველი დასაბუთებაში, არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი დებულება, ის უნდა საბუთდებოდეს. შეიძლება ამ დასაბუთებას თავისებური ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის არარსებობას, არამედ — სწორედ თავისებურებას დასაბუთებისა, რომლის ბუნების გარკვევას აუცილებელს ხდის სწორედ ის, რომ დასაბუთების საწყისი ლოგიკურადაა პირველ ადგილზე დასაბუთებაში.

24) რადგან რაიმე აზრის **დასაბუთება, ეს არის** მისი ადგილის მონახვა სისტემაში, ამიტომ დასაწყისის, როგორც ასეთის, ე. ი. როგორც პირველი ადგილის მქონეს, დასაბუთებაც ხდება სწორედ იმით, რომ ის დგინდება ამ—პირველ ადგილზე. დასაწყისის დადგენა უკვე არის თავისებური დასაბუთება. იმის ჩვენება, რომ საწყისი არის ეს და არა სხვა, მის დასაბუთებას წარმოადგენს. დაწყება უკვე გაშუალებაა, დასაბუთებაა დასაწყისისა. ამრიგად საბუთდება დასაწყისიც და საწყისიც.

25) თუ დასაბუთების საწყისი არის მარტივი, დასაბუთება კი მარტივიდან რთულზე გადასვლაა, მაშინ ასეთი საწყისი არ შეიძლება არ დასაბუთდეს მარტივიდან რთულზე გადასვლით, რადგან ლოგიკურად რთული წარმოადგენს მარტივის საფუძველს. მარტივის საფუძვლად გამოყენებაც მას დასაბუთების სფეროში აქცევს, რადგან საფუძველი არის ერთი მომენტი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებისა.

26) ამბობენ, რომ აქსიომა არის თავისთავად ცხადი დებულება. თუ ეს სიცხადე ფსიქოლოგიურია, მაშინ მას ლოგიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს; თუკი ეს სიცხადე ლოგიკურია, მაშინ აქსიომა იხსნება, რადგან ლოგიკურის სიცხადე დასაბუთებაში მდგომარეობს. აქსიომა მაშინაც იხსნება, თუ ის არ არის ლოგიკურად ცხადი, რადგან ასეთი რამ დასასაბუთებელი იქნება.

27) თუ საწყისი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, განისაზღვრება იმით, რის საწყისიც ის არის, სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან საწყისი დებულება სისტემაში პირველ ადგილზეა, მაშინ უნდა ითქვას, რომ დასაბუთების გამართლება საწყისით და საწყისის გამართლება იმით, რაც დასაბუთებაშია, ერთგვარ წრეს ჰქმნის, ჰქმნის დასაბუთებას როგორც წრეს, რომელიც წარმოადგენს: ან 1) **circulus vitiosus**, რაც ლოგიკური სიყალბეა, ან 2) დასაბუთების სისწორის ეხოლოდ უარყოფით პირობას, როგორც ეს ფიხტეს ჰქონდა წარმოდგენილი (შეიძლება დასაბუთება, როგორც წრე, შესრულდეს შემთხვევით, მცდარი დებულების გამოყენებით, ამიტომ დასაბუთება მხოლოდ უარყოფითად გამართლდება), ან 3) თვითდადგენა-დაფუძნების დადებითად გამართლებას (რომლის ბუნებაც ქვემოთ გაირკვევა). სამივე ამ შემთხვევაში მოიხსნება აქსიომა როგორც ასეთი.

28) როდესაც ამბობენ, რომ დასაბუთების საწყისი აქსიომა — გაუშუალებელი ცოდნაა, რომელიც არ შეიძლება დასაბუთდეს, მაშინ ერთიმეორისაგან სთიშავენ უშუალოს და შუალობითს. შუალობითობა დასაბუთებაშია, რომლის საწყისსაც უშუალო წარმოადგენს. ასეთი გათიშვის გამო ამბობენ, მაგალითად, იმას, რომ: ა) წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება უშუალო დებულებაა, ბ) განსაზღვრების დადებითობა მარტივია, უშუალოა. ეს უშუალობანი ინტუიციას წარმოადგენენ. მაგრამ ეს უშუალობა და ინტუიცია იხსნება იმით, რომ ა) წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობის კატეგორიითაა გაშუალებული, წინააღმდეგობა კი ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი, როგორც ეს მატერიალისტურ დიალექტიკაშია დასაბუთებული. ბ) მატერიალისტურ დიალექტიკაშივეა დასაბუთებული მეცნიერულად ის, რაც წინათ, სპინოზასთან და ჰეგელთან იყო ნათქვამი, სახელდობრ, ის, რომ განსაზღვრება უარყოფის შემცველია, omnis determinatio est negatio უარყოფა კი განსაზღვრების სიმარტივეს ხსნის; უარყოფა აუქმებს ინტუიტურობას, უშუალობას. სწორედ დიალექტიკის თეორიაშია დამტკიცებული, რომ დასაბუთება წარმოებს განსაზღვრებით. კატეგორიალური პრედიკაციით, განსაზღვრება არის კატეგორია-ცნებისათვის ადგილის მონახვა, კატეგორიათა პირველადობა-მეორადობის გამორკვევა, რასაც დასაბუთება წარმოადგენს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ არის უარყოფითი გამოთქმა, და თუ განსაზღვრებაც უარყოფას შეიცავს, მაშინ, ცხადია, უქმდება წინააღმდეგობის შეუძლებლობის უშუალობა და განსაზღვრების დადებითობის სიმარტივე. ამიტომ არ შეიძლება ისინი არ იქნენ გაშუალებული — დასაბუთებული.

თუ უშუალოდ მიჩნეულის ასეთი გაშუალება უარყოფის მომენტის საშუალებით ხდება, როგორც ეს ახლახან აღვნიშნეთ და შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გავარკვევთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ უშუალო საწყისი უარყოფით გაშუალდება-დასაბუთდება. ეს იქნება რაიმეს დასაბუთება მისივე უარყოფის საშუალებით.

ეს უარყოფა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ჩვენი ფსიქოლოგიური საშუალება რაიმეს, როგორც აუცილებელის (ე. ი. იმის, რის უარყოფაც შეუძლებელია), ხედვისა, ინტუიციისა. მართალია, ამ შემთხვევაში, ინტუიცია არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სახელდობრ, ხედვა, ჭვრეტა იმისა, რის უარყოფაც შეუძლებელია, მაგრამ რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა ლოგიკუ-

რი ბუნებისაა, ეს არის თავისებური დასაბუთება. რომლის აუცილებელ მომენტსაც უარყოფა წარმოადგენს. ეს არის შინაგანი უარყოფის მქონე ლოგიკური კავშირი, ლოგიკური აუცილებლობა, საიდანაც ფსიქოლოგიური აბსოლუტურად არის გამორიცხული.

ამიტომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო, ის უნდა იყოს შუალობითისა და უშუალოს ერთიანობა. დიალექტიკის თეორიაში დასაბუთებულია უშუალოსა და შუალობის დიალექტიკა. მართლაც, როგორც ამას ჰეგელი იტყოდა, არაფერი არ არსებობს არც ცაზე, არც დედამიწაზე, არც ჩვენს გარეთ და არც ჩვენში მხოლოდ უშუალო ან მხოლოდ შუალობითი.

დასაბუთების საწყისად მხოლოდ უშუალოს აღიარება, ეს არის შედეგი უშუალობისა და შუალობითის დამოკიდებულების მეტაფიზიკური გაგებისა. ამ დამოკიდებულების მხოლოდ დიალექტიკური გაგება მოგვცემს გასაღებს დასაბუთების საწყისის პრობლემის მეცნიერულად გადაწყვეტისა, რაც ნაჩვენები იქნება ქვემოთ, როცა გაირკვევა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, დასაბუთება,—სხვანაირად, თუ როგორ არის შესაძლებელი ლოგიკური თვითდაფუძნება, ლოგიკური causa sui. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ დასაბუთების საწყისის გადაწყვეტა ვერ განხორციელდება; თუკი შესაძლებელია, მაშინ პრობლემა სრულ გადაწყვეტას ჰპოვებს.

29) ის გარემოება, რომ მხოლოდ უშუალო შეუძლებელია, ნათლად ჩანს იმაში, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც საშუალება დასაბუთებისა, არ შეიძლება გაშუალებული არ იყოს.

მხოლოდ უშუალო აღარ არის უშუალო. უშუალოს აბსტრაჰირება შუალობითიდან არის გაშუალებული ამ აბსტრაჰირებით და იმით, რისგანაც ის აბსტრაჰირებულია, შუალობითით. დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების საშუალება (რომელიც დასაბუთებაზე უფრო ცნობილი და უცილობელიაო. ამბობდა არისტოტელე), არ შეიძლება არ იყოს გაშუალებული იმით, რის საშუალებასაც ის წარმოადგენს. საშუალებას აზრი ეკარგება იმის გარეშე, რის მიმართაც ის გამოყენებულია როგორც საშუალება. დასაბუთების საწყისი გაშუალებულია სწორედ დასაბუთებით. დასაბუთების საწყისი ხომ დასაბუთების საწყისია? დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო.

30) თუ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ზოგადი, როგორც ამას არისტოტელე და სხვები აღიარებენ, მაშინ, თანახმად თვითონ ზოგადის ბუნებისა (ზოგადია ის, რაც ბევრზე გამოითქმის), ის გაშუალებული უნდა იყოს კერძოთი, რადგან ზოგადი მხოლოდ კერძოს ზოგადი შეიძლება იყოს. ცალკე აღებული ზოგადი, თვითონ არის კერძო, ე. ი. თავისი თავის უარმყოფელია, ე. ი. შეუძლებელია რაიმე იყოს მხოლოდ ზოგადი. ასე ითქმის დასაბუთების საწყისის როგორც ზოგადის შესახებაც. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ისეთი რამ, სადაც იქნება ერთიანობა კერძოსი და ზოგადის, მათი შუალობითი ერთიანობა. მაშასადამე, შეუძლებელია დასაბუთების საწყისი იყოს მხოლოდ ზოგადი.

31) ასე ითქმის დასაბუთების საწყისის, როგორც მხოლოდ (წმინდა) დადებითის, მხოლოდ (წმინდა) უპირობოს, შესახებაც. ის, რაც მხოლოდ დადებითია, განსაზღვრულია უარყოფითით, რადგან დადებითი და უარყოფითი ფარდობითი კატეგორიები არიან, ამიტომ ერთიმეორეს გარეშე აზრს კარგავენ. უპირობო, აღებული ცალკე, პირობითიდან მოწყვეტით, თვითონ ხდება პირობითი, პირობითით განსაზღვრული. ერთი სიტყვით, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ისეთი რამ, რომელიც დიალექტიკური ბუნების იქნება, რომელსაც ექნება დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათი. რა უნდა იყოს ასეთი საწყისი? ამის შესახებ ქვემოთ.

32) ზემოთ მოყვანილი არგუმენტები იმას კი არ ასაბუთებენ, რომ დასაბუთება შეუძლებელია, არამედ იმას, რომ დასაბუთების და მისი საწყისის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე და მასშია შესაძლებელი. ძველი სკეპტიკოსები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ის, რომ დასაბუთება შეუძლებელია, აყენებდნენ რა გარკვეულ არგუმენტებს არისტოტელეს შესაბამისი თეორიის წინააღმდეგ. მაგრამ ისინი წინააღმდეგობაში იხლართებოდნენ სწორედ იმით, რომ ცდილობდნენ დაესაბუთებინათ დასაბუთების შეუძლებლობა. შეუძლებელია დასაბუთების უარყოფა.

ძველი სკეპტიკოსები დასაბუთების წინააღმდეგ მოიხმარდნენ დასაბუთებას, როგორც აუცილებელ საშუალებას. ამიტომ ისინი უარყოფდნენ გარკვეული სახის დასაბუთებას, თუმცა ეგონათ, რომ უარყოფდნენ საერთოდ დასაბუთებას. მაგრამ მათ მიერ უარყოფა დასაბუთებისა, ეს თვითონ იყო დასაბუთება. ამიტომ უნდა ითქვას ზოგადი ფორმით, რომ ლოგიკურად დასაბუთების უარყოფა

შეუძლებელია; დასაბუთების უარყოფა თვითონ აჩვენებს დასაბუთების აუცილებლობას, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის გარკვეული დასაბუთება. აქაც გამოსაყალს სწორედ რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება გვიჩვენებს.

ყველა ზემოთ მოყვანილი არგუმენტი აჩვენებს იმას, რომ ნაკლოვანია გარკვეული სახის დასაბუთება და ამ დასაბუთების საწყისი, რომ შეუძლებელია დასაბუთების საწყისი არ იყოს დასაბუთებული, ისე რომ, ამავე დროს, აცილებულ უნდა იქნეს რეგრესი უსასრულობაში. არსებობს დასაბუთება და მისი საწყისი, მათი უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფის დროს კიდევ უფრო აშკარავდება დასაბუთების და მისი საწყისის აუცილებლობა. მათი თავიდან აცილება შეუძლებელია. მაგრამ საკითხავია, როგორი უნდა იყოს და რას უნდა წარმოადგენდეს დასაბუთების საწყისი? ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა იმასაც გადაწყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს დასაბუთების ხასიათი და როგორი უნდა იყოს დასაბუთების მეთოდი. ეს ორი რამ ერთიმეორეს არსებითად უკავშირდება.

2. ზოგადისა და კერძოს ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი

როდესაც დასაბუთების ერთადერთ ლოგიკურ მეთოდად აღიარებულია დედუქციური მეთოდი, მაშინ დასაბუთების საწყისად ვიჩინევენ აქსიომას, ისეთ უზოგადეს დებულებას, რომელიც უშუალოა, არაფრით არ არის გაშუალებული, ლოგიკურად დასაბუთებული. ეს იმასაც ნიშნავს, როგორც ამას ჯერ კიდევ არისტოტელესთან ჰქონდა ადგილი, რომ ინდუქცია დასაბუთების მეთოდად არ არის აღიარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქსიომა, როგორც დასაბუთების დაუსაბუთებელი საწყისი მოიხსნებოდა, რადგან ის ინდუქციის გზით იქნებოდა დასაბუთებული, ინდუქციურად იქნებოდა გამოყვანილი.

დასაბუთების საწყისად აქსიომის მიღების წინააღმდეგ ზემოთ წამოყენებული არგუმენტები, ჩვენი აზრით, იმას ამტკიცებენ, რომ დედუქციას, როგორც დასაბუთებას, არ აქვს საწყისი. თუ დედუქციური დასაბუთება არ დაემყარება ინდუქციას და აქსიომაც, როგორც საწყისი, შეუძლებელია, მაშინ დედუქცია უსაწყისოდ რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ დედუქცია არ ყოფილა დასაბუთება. მაგრამ ამის მიღება შეუძლებელია, რადგან დედუქციური დასაბუთების

თეორიები და თვითონ დედუქცია, როგორც მეცნიერებაში განხორციელებული მეთოდი, ისე ძლიერად არის წარმოდგენილი, ისეთი სიძლიერის მქონეა, რომ დედუქციური დასაბუთების უარყოფა შეუძლებელი ხდება. ამიტომ საჭიროა არა უარყოფა, არამედ სწორედ გამართლება დედუქციისა როგორც დასაბუთების მძლავრი მეთოდისა. აქსიომატიზაციის წინააღმდეგ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები იმას ამტკიცებენ, რომ არ არის სწორი დედუქციის გამართლების მრავალ ცდა, რომ საჭიროა ახალი ცდა მისი გამართლებისა.

ის გარემოება,რომ საჭირო და აუცილებელია დედუქციის საწყისის დასაბუთება, იმას კი არ ამტკიცებს, რომ არ არსებობს დედუქცია და რომ მას თითქოს საწყისი არ აქვს, არამედ იმას, რომ დედუქცია არ არის ერთადერთი მეთოდი დასაბუთებისა და რომ მისი საწყისი, მართლაც, მისი (დედუქციის) საწყისია, და იგი არ არის საერთოდ დასაბუთების საწყისი.

დედუქციური დასაბუთების საწყისი რომ ზოგადი უნდა იყოს, ეს მიღებულია საერთოდ ლოგიკის მეცნიერებაში.თუ დედუქციის ეს საწყისი უნდა დასაბუთდეს, მაშინ დედუქცია უნდა დაექვემდებაროს სხვა მეთოდს, რომელშიაც ის მომენტის სახით იქნება ნაგულისხმევი. ხომ არ არის ასეთი—დედუქციის დამქვემდებარებელი— მეთოდი ინდუქცია, როგორც ამას ინდუქციური ლოგიკის წარმომადგენლები (მაგ., მილი) ფიქრობენ? ეს, მართლაც, ასე იქნება, თუ ინდუქცია წარმოდგენილი იქნება, როგორც დასაბუთების ერთადერთი მეთოდი.

დედუქცია აუცილებლობით საჭიროებს ინდუქციას, რამდენადაც დედუქციის საწყისი — ზოგადი გამართლებას, დასაბუთებას მოითხოვს, რადგან ზოგადი განისაზღვრება კერძოთი. დედუქციის საწყისი — ზოგადი გამართლებული იქნება, თუ ინდუქცია წარმოადგენს ლოგიკურ მეთოდს, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, დაისმება საკითხი ინდუქციური დასაბუთების საწყისის შესახებ. სახელდობრ, თუ რას წარმოადგენს ინდუქციის საწყისი და ხომ არ არის იგი საერთოდ დასაბუთების საწყისი? თუ ინდუქცია ლოგიკური მეთოდია, თუ ინდუქციური დასაბუთება ლოგიკურად უნაკლოა, მაშინ მას, ცხადია, ექნება საკუთარი საწყისი; მაგრამ სხვა იქნება საკითხი ამ საწყისის, როგორც საერთოდ დასაბუთების უნივერსალური საწყისის, შესახებ.

ინდუქციური დასაბუთება კერძოდან ზოგადზე გადასვლაში ხო-

რციელდება. ამიტომ მისი საწყისი არის კერძო, ერთეული. ინდუქციურ დასაბუთებას ალბათურ დასაბუთებად მიიჩნევენ, რადგან ერთი და რამდენიმე ერთეული არ მიაჩნიათ საკმაო საფუძვლად ზოგადისა, იმისა, რაც შეიძლება უსასრულოდ მრავალზე გამოითქვას. რამდენიმედან ყველაზე გადასვლას არ თვლიან ისეთ გადასვლად, რომელსაც აუცილებლობის ნიშანი ჰქონდეს. ზოგადის და კერძოს თავისებური გაგების საფუძველზე ასკვნიან, რომ კერძოდან ზოგადზე გადასვლას მხოლოდ ალბათური ხასიათი აქვს.

თუ ეს ასეა, მაშინ დედუქციის საწყისი — ზოგადი ინდუქციით ვერ დასაბუთდება და ინდუქციის საწყისი საერთოდ დასაბუთების საწყისად ვეღარ გამოდგება, დედუქცია კი უსაწყისოდ ვერ გამართლდება, ინდუქცია და დედუქცია ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი და საერთოდ დასაბუთების პრობლემა ღიად დარჩება.

მართალია, დედუქციის საწყისის, როგორც საერთოდ დასაბუთების საწყისის, ბუნება შეიცავს გადაულახავ სიძნელეებს, მაგრამ ინდუქცია და მისი საწყისი, როგორც საერთოდ დასაბუთების საწყისი, კიდევ მეტი სიძნელეების მქონეა. ინდუქციისათვის საწყისი არის ერთეული, კერძო; ინდუქციური დასკვნა ერთეული მსჯელობებით იწყებს, წანამძღვრებად ერთეული მსჯელობებია აღებული, დანასკვი კი ზოგადი მსჯელობა უნდა იყოს; გადასვლა ხდება კერძოდან, ერთეულიდან ზოგადზე, მაშინ როცა კერძოს საფუძველს ზოგადი წარმოადგენს.

ჩვეულებრივ ინდუქციასა და დედუქციაში ზოგადი და კერძო ერთნაირად არის გაგებული; ამავე დროს, ზოგადი გაგებულია როგორც კერძოს საფუძველი. დედუქციას ზოგადიდან, როგორც საფუძვლიდან, გამოჰყავს კერძო როგორც შედეგი. ინდუქციას კი, პირიქით კერძოდან გამოჰყავს ზოგადი, კერძო აღებულია წანამძღვრად, საფუძვლად, ზოგადი კი შედეგად, დანასკვად. მაგრამ რადგან ზოგადი მაინც კერძოს საფუძველად აღებული, ამიტომ ნამდვილად აქ ხდება შედეგიდან—კერძოდან გადასვლა საფუძველზე — ზოგადზე. გაურკვეველია, თუ რა არის საფუძველი და რას წარმოადგენს შედეგი ინდუქციისათვის. თუ წანამძღვრებად ერთეული, კერძოა აღებული, მაშინ ეს უნდა იყოს საფუძველი და არა ზოგადი, თუკი ზოგადია კერძოს საფუძველი, მაშინ საქმე დედუქციასთან გვექნება და არა ინდუქციასთან; მაგრამ ინდუქცია სწორედ კერძოდან ზოგადზე, როგორც საფუძველზე, გადასვლაა, ე. ი. დასაწყისად კერძოა აღებული, მაგრამ გადასვლა უკან — საფუძვლისაკენ ხდება.

გაურკვევლობა იხსნება თუ გავიხსენებთ, რომ დედუქციისა და ინდუქციის გარდა არსებობს დასაბუთების სხვა მეთოდი, რომელსაც რედუქციის მეთოდი ჰქვია და რომლის სახეობასაც ინდუქცია უნდა წარმოადგენდეს. ინდუქციას კერძოდან ზოგადი კი არ გამოჰყავს (ვერ გამოჰყავს). არამედ კერძო დაჰყავს ზოგადზე, მაგრამ ამ შემთხვევაში იხსნება განსხვავება რედუქციასა და ინდუქციას შორის, ე. ი. ერთი გაურკვევლობის მაგიერ თავს იჩენს მეორე გაურკვევლობა.

საწყისის (ჩვენ აქ მხოლოდ საწყისის ბუნება გვაინტერესებს) ენაზე ეს სიძნელე ასე გამოითქმება: ინდუქციური დასაბუთების საწყისი ერთეულია თუ ზოგადი? ყველასათვის მისაღებია აზრი, რომ ინდუქციის საწყისი არის ერთეული, კერძო, მაგრამ ისიც ნათელია რომ კერძოს საფუძვლად ზოგადია აღებული. უფრო გარკვევით: ინდუქციის საწყისი არის ზოგადი ორი აზრით: 1) ზოგადი გაგებულია კერძოს საფუძვლად, როგორც ეს ახლახან აღინიშნა, 2) ინდუქცია კერძოდან ზოგადზე გადასვლისას ემყარება ზოგადს, მაგ., ბუნების ერთგვაროვნობის კანონს, რომელსაც ის წინასწარ გულისხმობს, რომლის გარეშე შეუძლებელია კერძოდან ზოგადზე გადასვლა. მრავალი ერთეულიდან შესაძლებელია ზოგადის მიღება, თუ წინასწარ დაშვებულია ის, რომ ერთეულებს ერთნაირი ბუნება აქვს. ეს აზრი კი ზოგადია და ინდუქციის საფუძვლად ძევს, მის გარეშე შეუძლებელია ინდუქციური დასკვნა.

მაგრამ აქ თავს იჩენს კიდევ ახალი სიძნელე, სახელდობრ, ის, რომ თუ ერთეულები ერთნაირი ბუნებისაა, მაშინ ჩვეულებრივი ინდუქციის სიძნელე და თვითონ ამგვარი ინდუქციის საჭიროებაც კი იხსნება, რადგან ზედმეტი ხდება ერთეულების აღება, საკმარისია ერთი ერთეულიც, რადგან ესეც ისეთი ბუნებისად არის მიჩნეული, როგორც სხვა ერთეულები. მაგრამ ერთ ერთეულში ზოგადის აღმოჩენის გზა არ იქნება ჩვეულებრივი ინდუქციის გზა, ინდუქციისა, რომელიც ალბათურ დასკვნებში ხორციელდება, სწორედ იმიტომ, რომ ერთეულები ზოგადის საკმაო საფუძვლად არ არიან მიჩნეული.

თუ ინდუქციისათვის მხოლოდ ერთი ერთეულია საკმარისი იმისათვის, რომ მასში ზოგადი არა მარტო აღმოვაჩინოთ, არამედ ლოგიკური აუცილებლობითაც მივიღოთ, ე. ი. განვახორციელოთ გარკვეული დასკვნა, რომელსაც ალბათური ხასიათი კი არ ექნება,

არამედ იქნება სრული ლოგიკური აუცილებლობის ბუნების, მაშინ საქმე გვექნება სხვაგვარ ინდუქციასთან, ვიდრე ეს იცოდა ძველმა ლოგიკამ, ანდა იცის თანამედროვე ფორმალურმა ლოგიკამ, რომელიც ინდუქციაში ალბათობას და სტატისტიკურ კანონზომიერებას ეყრდნობა.

ამ ახალი ინდუქციისათვის (თუკი ის ინდუქციად დარჩა) აღარ იარსებებს ის გადუწყვეტელი სიძნელე, რომელსაც ჩვეულებრივ ინდუქციაში აქვს ადგილი და რომელიც გამოითქმება კითხვით: როგორ არის შესაძლებელი, რომ ერთეული თუ კერძო იყოს საფუძველი დასკვნისა ზოგადზე? როგორ შეიძლება ერთეულიდან მივიღოთ ზოგადი? როგორ არის შესაძლებელი, რომ, მაგალითად, დამტკიცდეს სითბოდან მექანიკური მოძრაობის მიღება ერთი ორთქლის მანქანის საფუძველზე? ეს მართლაც ასე მოხდა, „100 000 ორთქლის მანქანამ ეს იმაზე უფრო დამაჯერებლად როდი დაამტკიცა, ვიდრე ერთმა მანქანამ"[1]. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე სხვა მეთოდთან და არა ჩვეულებრივად გაგებულ ინდუქციასთან (ამის შესახებ შემდეგ).

ინდუქციური დასკვნა, როგორც კერძოდან (როგორც შედეგიდან) ზოგადზე (როგორც საფუძველზე) გადასვლა, არის რედუქცია — შედეგის საფუძველში გამართლება, შედეგის საფუძველზე მიყვანა. ამიტომ იყო, რომ ზიგვარტი ინდუქციას რედუქციის სახედ მიიჩნევდა. ეს რედუქციულობა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, მაშინ, თუ მოხერხდა ერთი ერთეულიდან ზოგადის აუცილებელი მიღება.

მაგრამ ინდუქცია შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დედუქციის სახე: 1) რამდენადაც ინდუქცია ბუნების ერთგვაროობის კანონს ეყრდნობა, იმდენად იგი გამოდის ამ ზოგადიდან, ე. ი. დედუქციის პრინციპს ახორციელებს, ექვემდებარება დედუქციის, დედუქციური დასაბუთების სახეს იღებს. 2) რამდენადაც ინდუქციაში საშუალო ცნება დიდ ცნებას მცირე ცნებით უკავშირდება, ამდენად იგი დედუქციის კერძო შემთხვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული (არისტოტელესთან M-S-P. ჰეგელთან —ზ-ე-გ ან გ-ე-ზ) 3) არა მარტო დედუქცია იწყებს ზოგადიდან, არამედ „ინდუქციური დასკვნა ზ-ე-გ ზოგადითაც კი იწყება"[2]. მართლაც, ჰეგელის მეორე ფიგუ-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ. გვ. 238.
[2]. იქვე, გვ. 236

რა (ზ-ე-გ), რომელიც ინდუქციის ფიგურაცაა. იწყება ზოგადით; მაგრამ ეს არ გამორიცხავს. არამედ შეიცავს იმას, რომ ინდუქცია ერთეულით იწყება. რამდენადაც ამ ფიგურის საშუალო ცნება არის ერთეული, და რამდენადაც საშუალო ცნებას დასაწყისად თვლიან (მაგ., არისტოტელე). 4) ერთეული, რომლითაც ინდუქცია იწყებს, ლოგიკური თვალსაზრისით, არის ერთეულის კატეგორია, რომელიც არ შეიძლება არ იყოს ზოგადი. ყოველი კატეგორია ზოგადია, უკეთ. უზოგადესია, ასეთია ერთეულის კატეგორიაც. უზოგადესიდან დაწყება დედუქციისათვისაა დამახასიათებელი, და თუ ინდუქციის დასაწყისიც ასეთია, მაშინ მასაც დედუქციით ჰქონია აზრი.

მაგრამ კატეგორიათა კავშირის მიმართ არც ჩვეულებრივი ინდუქცია გამოდგება და არც ასეთივე დედუქცია. კატეგორიათა კავშირი ექვემდებარება დიალექტიკას, დიალექტიკური ბუნებისაა (რომელიც კი არ გამორიცხავს დედუქცია-ინდუქციას, არამედ მათ მომომენტებად შეიცავს. ამაზე ქვემოთ).

რომ ინდუქცია დედუქციის სახე იყოს, მაშინ დასაბუთების საწყისი დედუქციის საწყისი იქნებოდა და თუ ზემოთ განხილული სიძნელენი, რომლებიც დედუქციის საწყისთან არიან დაკავშირებული, ძალაში დარჩებოდა, მაშინ დასაბუთების საწყისის პრობლემა შეიძლება ვერც გადაწყვეტილიყო.

ზემოთ წარმოებული მსჯელობიდან თითქოს ის მივიღეთ, რომ შეუძლებელი უნდა იყოს დედუქციაც და ინდუქციაც. მაგრამ ნამდვილად ჩვენი მსჯელობის რეზულტატი არის არა დედუქციისა და ინდუქციის უარმყოფელი, არამედ — მათ ნაკლოვანებაზე მიმთითებელი. ეს ნაკლოვანებანი ამ მეთოდებს კი არ აუქმებენ, არამედ აღნიშნავენ მათ არაუნივერსალობას, იმას, რომ არც ერთი ამ მეთოდთაგანი არ არის დასაბუთების უნივერსალური მეთოდი.

დედუქციისა და ინდუქციის ნაკლოვანებანი დაიყვანება ერთიანობაზე, რომელიც მდგომარეობს ზოგადისა და კერძოს ერთიმეორისაგან მოწყვეტაში, მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაში; დედუქცია და ინდუქცია ზოგადს და კერძოს აბსოლუტური და არა ფარდობითი მნიშვნელობით იღებენ, ამიტომ ვარდებიან გამოუვალ წინააღმდეგობაში, შეუძლებლობაში.

საქმე იმაშია, რომ ზოგადი აუცილებლობით საჭიროებს კერძოს და პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ დედუქცია საჭიროებს ინდუქციას და, პირიქით, ინდუქციისათვის აუცილებელია დედუქცია.. არც

ცალკე აღებულ დედუქციას აქვს ისეთი საწყისი, რომელიც საერთოდ დასაბუთების საწყისად გამოდგება, და არც ინდუქციას: დედუქციაც და ინდუქციაც თავიანთ საწყისს ერთიმეორეში გულისხმობენ. დედუქცია ინდუქციაში ეძებს თავის საწყისს, ინდუქცია კი დედუქციაში. დედუქციის საწყისი საჭიროებს საფუძველს, რომელიც მას გაამართლებს, დაასაბუთებს, ინდუქციის საწყისი კი აუცილებლობით მოითხოვს თავის გამართლებას დედუქციაში, რიგორც ეს ნათლად ჩანს ზემოთ წარმოებული მსჯელობიდან.

ფ. ენგელსი, ეხებოდა რა ინდუქციის პრობლემას, წერდა, რომ: „...განვითარების თეორიის დამტკიცება მარტო ინდუქციის გზით შეუძლებელია, ვინაიდან იგი მთლიანად ანტიდიალექტიკურია. ის ცნებები, რომლებითაც ინდუქცია სარგებლობს: სახეობა, გვარეობა, კლასი, განვითარების თეორიის წყალობით დენადი და, მაშასადამე, **ფარდობითი** გახდნენ; ხოლო ფარდობითი ცნებები ინდუქციას არ ემორჩილებიან"[1].

ჩვენთვის აქ ის არის საინტერესო, რომ ზოგადი და კერძო ფარდობითი ცნებებია და ისინი არც ინდუქციას „ემორჩილებიან" და არც დედუქციას. ამ ცნებათა ფარდობითობა მათ დიალექტიკას ჰქმნის. დიალექტიკა კი არც ინდუქციით ამოიწურება და არც დედუქციით. დიალექტიკა მათ თავის თავში შეიცავს.

საქმე იმაშია, რომ თუ საწყისად ავიღეთ მხოლოდ ზოგადი, მაშინ იგი არ იქნება საწყისი, რადგან ასე აღებული ზოგადი წინასწარ გულისხმობს კერძოს, რომელიც მას განსაზღვრავს. შეუძლებელია ზოგადის ცალკე აღება, მისი გამოცალკევება კერძოსაგან, რადგან ასეთი გამოცალკევებული ზოგადი არის უკვე ცალკეული და არა ზოგადი. ზოგადის გამოცალკევება ზოგადს უკარგავს აზრს. მას ცალკეულად — კერძოდ თუ ერთეულად აქცევს. აქ ჩანს ზოგადისათვის კერძოს აუცილებლობა (და არა, ცხადია, ზოგადის შეუძლებლობა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, როცა ერთეულის სამდვილობის საფუძველზე ზოგადს უარყოფენ, დაჰყავთ რა იგი ერთეულზე). იმიტომ, რომ ზოგადი საჭიროებს კერძოს, როგორც მის განმსაზღვრელს, ამ აზრით, საფუძველს, სწორედ ამიტომ დედუქციის საწყისი საჭიროებს საფუძველს. ამ ასპექტით, კერძოდან ზოგადის მიღების აუცილებლობა წინ უსწრებს ზოგადიდან კერძოს მიღების აუცილებლობას, დედუქციას — ინდუქცია (თუმცა ინდუ-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.

ქციის ეს აუცილებლობა ვერ იქნა მონახული, რადგან ყურადღებას გარეშე დარჩა ზოგადის და კერძოს დიალექტიკა).

დედუქციისათვის ინდუქციის აუცილებლობა ნათლად ჩანს იმ არგუმენტებში, რომლებიც ინდუქციურმა ლოგიკამ (მილი) წამოაყენა დედუქციის წინააღმდეგ. სახელდობრ, იმაში, რომ კატეგორიული სილოგიზმის დიდი წანამძღვარი წინასწარ გულისხმობს დასასკვნს. მაგ., „ყველა ადამიანი არის მოკვდავი" წინასწარ გულისხმობს ერთეული ადამიანის (მაგ., სოკრატეს) მოკვდაობას: „მოკვდავია სოკრატე. პლატონი, ივანე, პეტრე და სხვ., ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანია მოკვდავი; ყოველი ადამიანის მოკვდაობის გამოა ყველა ადამიანი მოკვდავი. ერთი სიტყვით ზოგადი განისაზღვრება კერძოთი როგორც გარკვეული საფუძვლით.

ზოგადი რომ კერძოთი განისაზღვრება, ამის ნათელყოფისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დეკარტეს cogito, თუ ის გაფორმებულ იქნა პირობით — კატეგორიული სილოგიზმის სახით, უკეთ: — თუ ვიტყვით, რომ „ვაზროვნებ. მაშასადამე, ვარსებობ" საჭიროებს დიდ წანამძღვარს— „ვინც აზროვნებს, ის არსებობს", ე. ი. — თუ ვიტყვით ასე: „ვინც აზროვნებს, ის არსებობს, მე ვაზროვნებ. მაშ., ვარსებობ"; ანდა — ამ აზრს წარმოვიდგენთ კატეგორიული სილოგიზმის სახით: „ყოველი მოაზროვნე არსებობს. მე ვარ მოაზროვნე. მაშასადამე, მე ვარსებობ", აქ ნათლად ჩანს, რომ აზრი—„ვინც აზროვნებს, არსებობს" ანუ „ყოველი მოაზროვნე არსებობს" მტკიცდება იმით, რომ „მე ვაზროვნებ. მაშ, ვარსებობ" და არა პირიქით.

ზოგადს კერძო ეთეული სჭირდება გამმართლებელ საფუძვლად. მაგრამ, ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ კერძოს ზოგადით აქვს აზრი, რადგან კერძო არის სწორედ ზოგადის კერძო, ამდენად, ის ზოგადს გულისხმობს წინასწარ და ზოგადით არის განსაზღვრული. და ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ინდუქცია არის ერთადერთი მეთოდი დასაბუთებისა, დედუქცია კი მას ექვემდებარება.

საქმე იმაშია, რომ კერძო, აღებული ზოგადის გარეშე, არის ერთადერთი, აბსოლუტური რამ, ამიტომ ის ზოგადიც არის. კერძო, გამოთიშული ზოგადი გადადის თავის საპირისპიროში, აუქმებს თავის თავს; ამით ნათელი ხდება აუცილებლობა ზოგადისა კერძოსათვის. კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი არა როგორც მხოლოდ

საფუძველი, რომელიც დედუქციის აზრს წარმოადგენს, არამედ, პირიქით, რადგან ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, ამიტომ კერძოდან უნდა მიიღებოდეს აუცილებლობით ზოგადი, რაც ინდუქციას წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს.

სწორედ ის გარემოება, რომ დედუქციის საწყისი—ზოგადი აუცილებლობით მოითხოვს კერძოს, რადგან ზოგადი მას წინასწარ გულისხმობს, რომ ზოგადი სწორედ კერძოს ზოგადია, ნათელყოფს იმას, რომ კერძოდან უნდა მიიღებოდეს ზოგადი აუცილებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ დედუქციის ნაკლის ამოვსება შესაძლებელია ინდუქციით, დედუქციას აუცილებლობით სჭირდება ინდუქცია (არა მხოლოდ იმ აზრით, რომ დედუქციისათვის აღმოჩენა ხდება ინდუქციით), როგორც სწორედ ლოგიკური აუცილებლობის შინაგანი გზა.

ნაშინაც კი, როცა სტატისტიკურ კანონზომიერებას ადგენენ, სიმრავლის საფუძველზე მიღებული კანონი ზოგადობის აზრისაა: ზოგადობის გამორიცხვა ყოველგვარ კანონზომიერებას, ყოველგვარ კანონს უკარგავს აზრს. ალბათობა არ გამორიცხავს აუცილებლობას, პირიქით, აუცილებლობის ცნების საფუძველზე შეიძლება ვიცოდეთ ის, თუ რას წარმოადგენს ალბათური, ისე როგორც მხოლოდ ჭეშმარიტების საფუძველზე გაიგება ალბათურად სარწმუნო (ალბათური არის ჭეშმარიტების მსგავსი და ჭეშმარიტებით განიზომება).

თუ ინდუქციური დასკვნა ალბათური ხასიათისაა, მაშინ ეს ალბათობაც აზრდებულია ლოგიკური აუცილებლობით, რომელიც ჩვეულებრივ ინდუქციაში არ ჩანს, მაგრამ აშკარავდება კერძოს და ზოგადის კატეგორიულ დამოკიდებულებაში; კერძო აუცილებელია ზოგადისათვის და ზოგადი კერძოსათვის. ზოგადის აუცილებლობა კერძოსათვის ინდუქციის საფუძვლად ძევს, კერძოს აუცილებლობა ზოგადისათვის კი დედუქციის საფუძველია. აქ აუცილებლობა ორმხრივია: 1) ზოგადიდან აუცილებლობით გამოდის კერძო და 2) ზოგადი აუცილებლობით წინასწარ გულისხმობს კერძოს, ამიტომ კერძოდან მიიღება ზოგადი.

ის, რაც, ამ შემთხვევაში, გადაუწყვეტელი რჩება ფორმალური ლოგიკისათვის, მას წყვეტს დიალექტიკური ლოგიკა, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელშია კერძო და ზოგადი ფარდობითნი და ამიტომ — ერთიმეორეში აუცილებლობით გარდამავალი, მაშინ როცა ფორმალურ ლოგიკაში ერთიმეორისაგანაა მოწყვეტილი ზოგადი და კერძო, ამის საფუძველზე გათიშულია დედუქცია და ინდუქცია.

ზოგადის ერთეულებზე დაყვანა აზრს უკარგავს არა მარტო ზოგადს, არამედ ერთეულებსაც. ზოგადის უარყოფა და მხოლოდ ერთეულების აღიარება ერთეულის კატეგორიის გამოყენებით შეიძლება, ერთეულის კატეგორია კი ზოგადია თავისი ბუნებით.

ზოგადის აქსიომატური დაშვების უხერხულობის აცილება შეიძლება ერთეულის კატეგორიის გამოყენებით; ზოგადის უარყოფაც ერთეულის კატეგორიის გამოყენებით ბათილდება. მაშასადამე, აუცილებელია ერთეულისათვის ზოგადი და ზოგადისათვის ერთეული, ე. ი. ინდუქციისა და დედუქციის საწყისები ერთიმეორისათვის აუცილებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი არ არის ერთადერთი საწყისი დასაბუთებისა, რომ ასეთი საწყისი სხვაგან უნდა ვეძიოთ. ეს „სხვაგან" არ არის სფერო, რომელიც ერთეულობას და ზოგადობას გამორიცხავს, არა, ეს უნდა იყოს მათი ერთიანობის სფერო.

ის გარემოება, რომ დედუქცია აუცილებლობით მოითხოვს ინდუქციას და ინდუქცია — დედუქციას, იმასაც მოასწავებს, რომ აქ ერთგვარ წრიულობასთან გვაქვს საქმე. საკითხავია, ეს წრიულობა შეცდომას ხომ არ წარმოადგენს, და ამით ხომ არ უარიყოფა ინდუქციაც და დედუქციაც?

წრიულობა, რომელიც ინდუქცია — დედუქციის ურთიერთმოთხოვნაშია განხორციელებული, მეორდება დედუქციაშიც და ინდუქციაშიც. თითოეული ამ მეთოდისათვის არის დამახასიათებელი ის, რომ რაც შემდეგ უნდა იქნეს მიღებული, ის წინასწარ იგულისხმება; მიუხედავად ამისა, ეს მეთოდები აუცილებელი მეთოდები მეცნიერებისათვის. მათი უარყოფა შეუძლებელიცაა.

დედუქციის წრიულობა ინდუქტივისტებმა აღმოაჩინეს და ინდუქციის წრიულ ხასიათზე დედუქტივისტებმა მიუთითეს. სხვანაირად: ინდუქცია დედუქციის ნაკლს აჩენს, დედუქცია კი ინდუქციის ნაკლს; ამ ნაკლოვანებათა აღმოჩენისას ამ მეთოდების დამახასიათებელიც ირკვევა.

დედუქციურ დასკვნაში, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში ერთგვარი წრიულობაა, არა მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ გვაქვს ანალიზური გამომდინარეობა, სადაც შემდეგ მიიღება ის, რაც წანამძღვრებში იყო ნაგულისხმევი, არამედ იმ აზრით, ესაა აწლა ჩვენთვის საინტერესო, რომ ზოგადიდან კერძო გამოიყვანება,

მაგრამ ზოგადი კერძოს წინასწარ გულისხმობს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. თუ ეს წრიულობა შეცდომად მივიჩნიეთ, მაშინ დედუქცია შეუძლებელი გახდება. დედუქცია სწორხაზობრიობის დაცვისას აქსიომებს უნდა დაემყაროს და დასაბუთების ეს მეთოდი, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, დასაბუთებას გვერდს აუვლის იმით, რომ დასასაბუთებელს დაუსაბუთებლად წინასწარ მოცემულად ჩათვლის. ერთი სიტყვით, დედუქცია უნდა იქნეს უარყოფილი მაშინ, თუ მისი წრიულობა უარვყავით; მაგრამ მისი წრიულობა ხომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს? არა, ეს წრიულობა იმით „აიხსნება", რომ დედუქციის საწყისის — ზოგადობისათვის საჭირო და აუცილებელი კერძოობა თვითონ დედუქციაში კი არაა, არამედ სხვაში — ინდუქციაში. აქ ინდუქციის აუცილებლობა გვაქვს. ინდუქცია იწყებს კერძოდან და მიდის დედუქციისათვის აუცილებელ ზოგადამდე. საიდანაც დედუქციური გამოყვანა სრულდება.

წრიულობა ინდუქციის დამახასიათებელიცაა. როგორც აღინიშნა, თუ ინდუქციის საწყისი —კერძო წინასწარ არ გულისხმობს ზოგადს, მაშინ ინდუქციაში ლოგიკური აუცილებლობა არ განხორციელდება. მხოლოდ კერძოებიდან, წმინდა ერთეულებიდან ზოგადი არ მიიღება აუცილებლობით, რადგან ასეთი ერთეულებიდან წინასწარვეა გამორიცხული ზოგადი, და — ამიტომ, ცხადია, ასეთი ერთეულები ზოგადს ვერ მოგვცემს, თუ ამავე დროს იმასაც დავიწყებთ, რომ ერთეულობაც ზოგადობაა, რადგან ის წარმოადგენს გარკვეულ კატეგორიას, რომელიც აუცილებლად მოისმარება ერთეული ფაქტების გამომთქმელ ერთეულ მსჯელობებში. ერთი სიტყვით, ინდუქციის გზით უნდა იქნეს მიღებული ზოგადი, ე. ი. ერთეულიდან უნდა მივიღოთ ზოგადი, მაგრამ ეს მიღება წინასწარ გულისხმობს ზოგადს: 1) ბუნების ერთგვაროვნობის კანონს, 2) ერთეულში ნაგულისხმევ ზოგადს, და სხვ. (იხ. ზემოთ). ინდუქციის ეს წრიულობა „აიხსნება" იმით, რომ ის გულისხმობს სხვას — დედუქციას.

ამრიგად, წრიულობა ახასიათებს ინდუქციას და დედუქციას ცალ-ცალკე, მაგრამ ამ წრიულობის არა გაუქმება (ეს მათ დაანგრევდა), არამედ ახსნა ხდება ერთიმეორის საშუალებით: ინდუქციას აზრს აძლევს დედუქცია, დედუქციას კი —ინდუქცია. მაგრამ, როგორც ითქვა, ეს ურთიერთმოთხოვნა თვითონ ჰქმნის ახალ წრიულობას, ამიტომ უნდა განმეორდეს კითხვა ეს წრიულობა შეცდომაა,

თუ არა, და რა არის მისი ამსსნელი? როგორც ახლახან აღინიშნა, ინდუქციას დედუქცია ამართლებს და პირიქით. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ დედუქცია-ინდუქციის დამოკიდებულებაში შექმნილი წრიულობა ახსნილი იქნება სხვა მეთოდში? რომელია ეს მეთოდი? ხომ არსებობს ინდუქცია-დედუქციის გარდა კიდევ სხვა მეთოდები? მაგალითად, რედუქციის მეთოდი. ხომ არ არის ეს მეთოდი ისეთსავე დამოკიდებულებაში ინდუქცია-დედუქციასთან, როგორც ეს უკანასკნელნი არიან ერთიმეორესთან ზემოთ ნაჩვენებ დამოკიდებულებაში?

უნდა ითქვას, რომ ამ კითხვას უარყოფით პასუხს სცემს თვითონ ის, რასაც რედუქცია წარმოადგენს. რედუქციული მეთოდი ემყარება ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულების მხოლოდ ერთ მომენტს, რომელიც დასაბუთებაში ხორციელდება. დასაბუთებაში ხორციელდება საფუძვლისა და შედეგის დამოკიდებულების ყველა მხარე, მათ შორის, შედეგის საფუძველზე მიყვანის მომენტიც. დასაბუთება შედეგის საფუძვლიდან გამოყვანაა, მაგრამ იგი შედეგის საფუძველში გამართლებაცაა. ამიტომ რედუქციულობა დასაბუთების ერთი მომენტია და არა ყველა სხვა მომენტის მომცველი, სახელდობრ, ის, რომელიც დედუქცია-ინდუქციის მომენტებად შემცველიც იქნებოდა, ასეთი მხოლოდ დიალექტიკური მეთოდია.

თვითონ რედუქციის ბუნება მოითხოვს ისეთსავე ახსნას, რაგორსაც მოითხოვენ დედუქცია და ინდუქცია. საქმე იმაშია, რომ წრიულობა, რომელიც დედუქციას და ინდუქციას ახასიათებს, კიდევ უფრო ნათლად მეღავნდება რედუქციაში. რედუქცია პირდაპირ მიუთითებს წრიულობაზე, რომლის გარეშე რედუქცია არაფერს არ წარმოადგენს. რედუქცია არის შედეგიდან საფუძველზე უკანსვლა, შედეგის საფუძველში გამართლება. მაგრამ აქ უკვე ნაგულისხმევია საფუძველი, როგორც პირველი და აქედან შედეგის გამოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანსვლას, რედუქციას აზრი დაეკარგებოდა, გვექნებოდა ისევ საფუძვლიდან შედეგის მიღება, (შედეგი ხომ საფუძვლად იქნებოდა გამოყენებული, საფუძველი კი შედეგად). რედუქციულობა ნათლად არის გამოვლენილი აქსიომატურ მეთოდში, სადაც ყველაფრის აქსიომებზე დაყვანა — მიყვანა ხდება, მაშინ როცა აქსიომები ყველაფრის მოგულისხმე საფუძვლად არის აღებული (თუმცა აქსიომებს მეტალოგიკურიც ესაჭიროება), როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, როცა ამ მეთოდის კრიტიკას ვაწარმოებდით.

ერთი სიტყვით, რედუქციული მომენტი დასაბუთებაში აუცილებელია, მაგრამ იგი წრიულობას შეიცავს. ამიტომ აუცილებელია არა ამ წრიულობის გაუქმება, არამედ მისი ახსნა, მისი გამართლება. სახელდობრ, მისი გამართლება სხვა მეთოდში, რომელსაც კიდევ სხვა მეთოდში გამართლება არ დასჭირდება, ე. ი. უნივერსალური ხასიათის იქნება.

ზემოთ აღნიშნული წრიულობა, რომელსაც ადგილი აქვს დედუქციაში, ინდუქციაში, რედუქციაში და მათ ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში, თავისი გარკვეული, დადებითი აზრით, გამოსატულია მის საფუძვლად მდებარე კატეგორიაში, რომელსაც დიალექტიკის თეორიაში ურთიერთმოქმედების კატეგორია ეწოდება. ურთიერთმოქმედების კატეგორია არის არა მხოლოდ მიზეზისა და მოქმედების დამოკიდებულების ამხსნელი კატეგორია, არამედ ეს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ქვეშმდებარე კატეგორიაცაა; არც შეიძლება, რომ სხვანაირად იყოს, რადგან საერთოდ კატეგორია უზოგადესი რამ არის, ის უზოგადესია არსსა და აზრში; ორივეშია როგორც მათთვის ზოგადი, ასეა ურთიერთმოქმედების კატეგორიაც.

ზოგადის და კერძოს, როგორც საფუძველ-შედეგის, დამოკიდებულება, როგორც ითქვა, მიდის ურთიერთმოქმედებამდე, რომლის წრიულობა შეცდომას წარმოადგენს, თუ იგი არ იქნა ახსნილ-გამართლებული. ურთიერთმოქმედება, განხორციელებული სინამდვილეში, აიხსნება ამ კატეგორიის საფუძვლად ძდებარე თვითმიზეზობრიობის კატეგორიით. ასევე უნდა იყოს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების შემთხვევაშიც: საფუძველ-შედეგის ურთიერთმოქმედება უნდა აიხსნას თვითსაფუძვლით. რაც, ასე ვთქვათ, მოხსნის და შეინახავს ურთიერთმოქმედებას.

ეს სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ ინდუქციის, დედუქციის, რედუქციისა და მათი დამოკიდებულების ახსნა-გამართლება, ეს უნდა იყოს ამ მეთოდებიდან გარეთ გასვლა და მათი დაფუძნება რაღაც სხვაზე, სხვა მეთოდზე, რომელსაც მათი ნაკლოვანებანი დაძლეული ექნება; ეს იქნება ზემოთ დახასიათებული წრიულობიდან გასვლა, ე. ი. მონახვა სხვა საწყისისა, რომელიც საერთოდ დასაბუთების საწყისი იქნება და არა მისი (დასაბუთების) რომელიმე მომენტის შესაბამისი მეთოდის საწყისი. დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის მეთოდები მათი საწყისებით ერთი-უნივერსალური

მეთოდის მომენტები უნდა იყვნენ. რადგან მათი ურთიერთმოთხოვნა და ურთიერთმოქმედება — ურთიერთგამართლება წინასწარ აუცილებლობით გულისხმობს რაღაც ერთს. ზოგადს, რომელშიც ისინი გამართლებას პოულობენ. დასაბუთების ცალკეული, კერძო მეთოდები თავიანთი ბუნებით მოითხოვენ, აუცილებლობით გულისხმობენ ერთ მეთოდს. ეს არის დიალექტიკური მეთოდი, რადგან დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია, როგორც ვნახეთ, დამყარებული არიან კერძოს და ზოგადის, როგორც დაპირისპირებული კატეგორიების, ერთიანობაზე. დიალექტიკური მეთოდი გაამართლებს კერძო მეთოდებს და თვითონ მას აღარ დასჭირდება გამართლება სხვა მეთოდში, რადგან ახორციელებს თვითდაფუძნებას.

ზოგადიდან კერძოს ან პირიქით, გამოყვანა თუ დაყვანა ზოგადის და კერძოს ერთიანობას, სწორედ ლოგიკურ ერთიანობას, ემყარება. ამ კატეგორიათა ერთიანობა წყვეტს იმ სიძნელეებს, რომელიც ამ ერთიანობის ცალმხრიობებს ახასიათებს, თუკი მათ აბსოლუტიზაციას შევეცდებით, თუკი მათ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგენთ.

ამრიგად, ყოველგვარი დასაბუთების საწყისი არც მხოლოდ ზოგადი იქნება და არც მხოლოდ კერძო, ერთეული, არამედ კერძოს და ზოგადის ერთიანობა; ანუ უკეთ: დასაბუთების საწყისი არის ის ზოგადი, რასაც კერძოსი და მისადმი დაპირისპირებული ზოგადის ერთიანობა წარმოადგენს. ეს იქნება არა მოცულობითი, არამედ შინაარსეული ზოგადობა. კერძოს და ზოგადის ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, თავის თავში შეიცავს დედუქციურ-ლოგიკურს, ინდუქციურ-ლოგიკურს და რედუქციულ-ლოგიკურს. აგრეთვე, ერთეულთა კავშირს, როგორც გარკვეულ შინაარსეულ ზოგადს. ამით იხსნება არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ ზოგადის და კერძოს ერთიანობა ამოწურავს ყოველგვარ ლოგიკურ დამოკიდებულებას. ყოველი მსჯელობა, სადაც ერთეულთა კავშირ-ერთიანობა იქნება გამოთქმული, დაექვემდებარება შინაარსეული ზოგადის და კერძოს ერთიანობას. ე. წ. მიმართების მსჯელობები, თუ ისინი არ იქნებიან წარმოდგენილნი როგორც საგანთა მიმართებანი, არამედ როგორც აზრთა კავშირები, ახსნილი იქნებიან ზოგადის და კერძოს, როგორც დაპირისპირებულთა ლოგიკური ერთიანობით. მაშასადამე, ზოგადის და კერძოს ერთიანობა არის საწყისი ყოველგვარი დასაბუთებისა. ეს საწყისი დასაბუთების

პირველი წანამძღვარი კი არაა, აოამედ წარმოადგენს არსებას ყოველგვარი დასაბუთებისა.

დებულება, რომ დასაბუთების საწყისი არის ზოგადის და კერძოს ლოგიკური ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, გულისხმობს, სხვათა შორის, იმას, რომ ინდუქციაც ისეთივე დასაბუთებაა, როგორიც დედუქცია, ყოველ შემთხვევაში, ინდუქცია უნდა იყოს დასაბუთების მეთოდი, რის შესახებაც ზემოთ გარკვევით არაფერი არ გვითქვამს, გარდა ზოგადი დებულებისა. რომ კერძო აუცილებლობით გულისხმობს ზოგადს და პირიქით. უფრო ზუსტად: ინდუქცია ითვლება აღმოჩენის და არა დასაბუთების მეთოდად, ამიტომ თუ ზოგადის და კერძოს ერთიანობა არის დასაბუთების საწყისი, მაშინ აღმოჩენის მეთოდი უნდა იყოს, ამავე დროს, დასაბუთების მეთოდი, რის დამტკიცებასაც ინდუქციური ლოგიკა, დაწყებული ფ. ბეკონიდან, ყოველთვის ცდილობდა, მაგრამ ინდუქცია მაინც რჩებოდა ალბათური ბუნების მქონე მეთოდად. აღმოჩენის და დასაბუთების მეთოდების გაიგივების პრობლემა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს, ჩვენ კი აქ მხოლოდ ერთ მომენტს შევეხებით და ისიც გაკვრით (შედარებით უფრო სრულად ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ჩვენი აზრით, ინდუქცია, როგორც დასაბუთება, მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას გავიგებთ როგორც შინაარსეული კერძოდან ასეთივე ზოგადზე გადასვლას. ამ გადასვლას ექნება ანალიზის ხასიათი, უკეთ: გადასვლა სრულდება ანალიზის საშუალებით, რომლის შედეგადაც მივიღებთ სინთეზურს — განსხვავებულთა ერთიანობას, როგორც გარკვეულ-შინაარსეულ ზოგადობას.

თუ ჩვეულებრივი ინდუქციის დროს პრედიკატი ერთი და იგივეა, იცვლება მხოლოდ სუბიექტები; მაგალითად, ივანე არის ადამიანი, პეტრე არის ადამიანი და ა. შ. (მაშასადამე, ყველა ასეთი ერთეული ადამიანია), მაშინ, შინაარსეული კერძოს და ზოგადის გამოყენებისას, ანალიზის წარმოების დროს, იცვლება პრედიკატები. სუბიექტი კი იგივე რჩება, ვღებულობთ სხვადასხვა პრედიკატის ერთიანობას სუბიექტში, რომელიც შინაარსეული ზოგადის ბუნებისაა. აქ ანალიზი. სვლა — ლოგიკური გადასვლა სრულდება პრედიკაციით, ერთი და იგივე სუბიექტების პრედიკატების, როგორც სუბიექტის მომენტის დადგენით, საიდანაც, ცხადია, სუბიექტი არ გამორიცხება (წინააღმდეგ იმ თეორიებისა, რომლებსაც მსჯელობა პრედიკატზე დაჰყავს და სუბიექტს გამორიცხავს), არამედ დგი-

ნდება როგორც ერთიანობა, ზოგადობა მომენტებისა, შინაარსეული კერძოებისა. მაგალითად, წარმოება არის განაწილება, გაცვლა, მოხმარება (ისე როგორც პირქვეშ), ამიტომ წარმოება მათი ზოგადობაა[1].

ამ გზით ხორციელდება ლოგიკური „დალაგება", ლოგიკური პროცესი ჰეგელის „ლოგიკასა" და მარქსის „კაპიტალში". ეს პროცესი არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, ამავე დროს, ინდუქციადედუქციის ერთიანობა.

ჩვენ იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ კერძოდან ზოგადის მიღებას აქვს ლოგიკური აუცილებლობის ბუნება, ისე როგორც — ზოგადიდან კერძოს მიღებას. ამიტომ სწორია დებულება, რომ დასაბუთების საწყისი — არსება არის კერძოს და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, გარკვეული ერთიანობა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ინდუქცია, დედუქცია და სხვა მეთოდები მართლდებიან დიალექტიკურ მეთოდში, როგორც დასაბუთების მეთოდში, დიალექტიკური მეთოდი კი არ საჭიროებს სხვა მეთოდს თავისი თავის გამართლებისათვის. ეს იმის თქმაცაა, რომ დიალექტიკური მეთოდი თავის თავს ამართლებს. ეს გარემოება იმას ნიშნავს, რომ კერძო მეთოდების ძირში უნდა იყოს ისეთი ლოგიკური, რომელიც წარმოადგენს თვითსაფუძვლის მქონე ლოგიკურს, უნდა იყოს თვითდასაბუთება, ლოგიკური თვითდადგენა, რომელიც შინაგანი უარყოფის საშუალებით ხორციელდება (ამიტომ აქ თავიდან აცილებულია ტავტოლოგიურობა და მიღწეულია ისეთი ლოგიკური, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას უშუალოდ, პირდაპირ გამოთქვამს). ეს თვითდაფუძნება იქნება გარკვეული დასკვნა, რომელსაც არ აქვს და არც სჭირდება გარეგანი წანამძღვარი. ასეთ თვითდადგენას ჩვენ სხვა შრომაში ვუწოდეთ უსასრულო დასკვნა. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს სწორედ ასეთი დასკვნა, თუკი, ცაადია, ასეთი რამ შესაძლებელია.

სხვანაირად ეს აზრი ასე შეიძლება გამოითქვას: დასაბუთების საწყისი არის ზოგადისა და კერძოს ერთიანობა. მაგრამ თუ ეს ერთიანობა არ იქნა წარმოდგენილი დასკვნის, ლოგიკური ფორმით სახელდობრ, უსასრულო დასკვნის სახით, მაშინ დასაბუთების სა-

---

[1] კ. მარქსი, მაგალითი შრომიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", შესავალი.

წყისის პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი დარჩება, რადგან არ არის გამორიცხული ის, რომ ზოგადის და კერძოს ერთიანობა გაგებულ იქნეს როგორც რაღაც მარტივი, მსგავსად არისტოტელეს უსიისა, რის მისტიკური ხასიათი დასაბუთებას კი არ გაამართლებს, არამედ გააუქმებს.

3. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთების საწყისი

1. ზემოთ გარჩეული გარემოება, რომ საერთოდ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს არც დედუქციის საწყისი და არც ინდუქციის საწყისი, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს ისეთი რამ, ისეთი დებულება, რომელსაც სასრული ხასიათი აქვს. სასრული არის ის, რაც არის ეს და არა სხვა, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა. სასრული აქ გაგებულია როგორც გარკვეულობა და პირიქით — გარკვეულობა როგორც სასრული, როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა და რასაც ფორმალური ლოგიკა დღემდე იმეორებს და ემყარება.

სასრულის თვალსაზრისი ლოგიკაში არის მსჯელობის, უკეთ, მსჯელობის თვისობრიობის თვალსაზრისი. სასრულის კატეგორიას ემყარება ე. წ. „აზროვნების კანონები", მაგალითად, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი: რაიმე არის ეს და არა სხვა — საწინააღმდეგო. ეს რაიმე სასრულია; სასრულის კატეგორიას ემყარება მსჯელობის ბუნება: დადებითი მსჯელობა და უარყოფითი მსჯელობა გამოთქვამს მტკიცებას და უარყოფას, რომლებიც ერთიმეორის უარმყოფელნი არიან, ერთიმეორეს უარყოფით ერთიმეორეს აბოლოებენ. ასეთი მსჯელობებისაგან შედგება და ასეთი სასრულოთია განსაზღვრული ყოველგვარი დასკვნა და დასაბუთება ფორმალურ ლოგიკაში, დაწყებული არისტოტელედან.

თუ საწყისად აღებულ იქნა ის, რაც სხვით დგინდება და (ან) უარიყოფა, მაგალითად, თუ აქსიომად მივიღეთ დებულება, რომლის საწინააღმდეგოც გამოდგება აქსიომად, მაშინ ასეთი რამ — სასრული კი არ იქნება საწყისი, არამედ — მისი უარმყოფელი ან დამდგენი; თუ ესეც სასრულია, მაშინ კიდევ უნდა გადავინაცვლოთ და ა. შ. უსასრულოდ; საწყისი უსასრულობაში გადაკარგული რამ იქნება, ე. ი. არ იქნება საწყისი. უსასრულობაში სვლა, ცუდი — უარყოფითი უსასრულობა საწყისს აუქმებს, საერთოდ ლოგიკურ შეუძლებლობას წარმოადგენს.

თუ რაიმეს სხვით დადგენა ან უარყოფა შეიძლება, მაშინ ასეთი რაიმე საწყისად არ გამოდგება. ის, რაც შეიძლება დადგინდეს სხვით, ის შესაძლებელია, აგრეთვე, უარყოფილ იქნეს სხვა რაიმეთი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ საწყისი შეიძლება მოინახოს უარყოფის გზით. ის, რომლის უარყოფა იქნება შესაძლებელი, საწყისად არ გამოდგება. მაგრამ თუ არსებობს ისეთი რამ, რომლის უარყოფა შეუძლებელია, მაშინ იგი გამოდგება საწყისად, შეიძლება გამოდგეს საწყისად; ანუ უკეთ: ლოგიკურ საწყისად ის რაიმე კი არ გამოდგება, რომლის უარყოფა არ შეიძლება, რადგან ასეთი შეიძლება იყოს საგანი, არსებობა და სხვ., არამედ — ამ რაიმეს მიმართ და მ-ს გამო შექმნილი ლოგიკური მდგომარეობა, როგორც ლოგიკურისათვის პირველი, სახელდობრ, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. აზრი იმის შესახებ, რის უარყოფა შეუძლებელია, იქნება სხვა აზრთა საწყისი.

2. ახალ ფილოსოფიაში პირველად რ. დეკარტმა დასვა პრობლემა ფილოსოფიის აქსიომის — პირველი დებულების შესახებ, ისე რომ ამ პირველის მიღების საშუალებად მოიხმარა უარყოფა. პირველი კი ისეთ რამედ მიიჩნია, რომლის უარყოფა შეუძლებელია. უარყოფის როლს მასთან ასრულებდა ეჭვი, როგორც გარკვეული აზრი. როგორც ცნობილია, დეკარტეს აზრით, შესაძლებელია ყველაფერში შევეჭვდეთ, ყველაფერი უარვყოთ, მაგრამ თვითონ ეჭვის, უარყოფის პროცესი, როგორც აზროვნების პროცესი, არ შეიძლება ლოგიკურად იქნეს უარყოფილი. აზრის მიერ ყველაფრის უარყოფა მიდის იქამდე, რომ აზრის უარყოფა შეუძლებელია. ის, რის უარყოფა შეუძლებელია არის თავისთავად ცხადი. აზრის უარყოფა შეუძლებელია, ის აუცილებლად არსებობს cogito, ergo sum არის ინტუიტური დებულება. ის არ საბუთდება, მაგრამ ყოველი დასაბუთების საყრდენად გამოიყენება.

დეკარტეს cogito ს აზრი თავისებურად გაიმეორა კანტმა; მისი ტრანსცენდენტალური სუბიექტი, „ცნობიერება საზოგადოდ". „მე" საწყისია ყოველი ცოდნის, მას არაფერი უსწრებს წინ, ყოველი აზრი კი მას გულისხმობს აუცილებლობით. ასეთივეა ფიხტეს „მე" („მე ვარ"), ჰეგელის აბსოლუტური სუბიექტი საწყისის თუ დასაწყისის სახით.

მართალია, კანტმა უარყო ინტელექტუალური ინტუიციის არსებობა ადამიანში, მაგრამ მისი ტრანსცენდენტალური „მე", რო-

გორც მარტივი იგივეობა, მარტივი დადებითობა სწორედ ინტუიტური, სწორედ ინტელექტუალურ-ინტუიტური ხასიათისაა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ კანტი იმეორებს დეკარტეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დეკარტისა და კანტის ზემოთ აღნიშნული დებულებები გაიმეორა ჰუსერლმა. როგორც ცნობილია, ჰუსერლმა თავისი აბსტრაქციის თეორიით და ფენომენალური რედუქციით[1] სცადა ისეთი რამის მიღება, რომელიც უარყოფას არ ექვემდებარება, რომლის უარყოფა შეუძლებელია. რასაც მიუდგება უარყოფა, რაც შეიძლება „ფრჩხილებში ჩაისვას" (einklammern) რის გამორიცხვაც (ausschalten) შესაძლებელია, ის არ არის, ზოგადად რომ ვთქვათ, არსება, უფრო ზუსტად: მეცნიერებისათვის, ფილოსოფიისათვის უპირველესი, საწყისი, ფიქრობდა ჰუსერლი. ის, რაც უარიყოფა, მეორადია; ის, რის უარყოფაც აღარ შეიძლება, პირველია, უპირველესია, საწყისია. ეს არის ის, რომელიც აუცილებელი პირველია; ის არ შეიძლება აუცილებელი არ იყოს, იგი პირველი აუცილებლობაა. ჩვენი აზრით, ასეთი საწყისის ლოგიკური გამოთქმა არ შეიძლება; ჰუსერლისთვის, მისი მხოლოდ ხედვა, ჭვრეტა შეიძლება. ინტელექტუალური ჭვრეტა შეესიტყვისება იმას, რის უარყოფა შეუძლებელია, ანუ: პირველი თვითონ ეს ხედვაა, რომელიც უშუალოდ იგივეა, რის ხედვაც ის არის. ჰუსერლის ეს პირველი არის მაინც „მე", წმინდა „მე", წმინდა ცნობიერება.

მაგრამ ეს „მე" რაც არ უნდა წმინდა იყოს, იგი მაინც არის „მე", რომელსაც არ შეიძლება არ ჰქონდეს კორელატი — არა-მე (როგორც ამას ფიხტე იტყოდა), წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იქნებოდა „მე". „სუბიექტ-ობიექტის" ცნებაც ვერ გამოხატავს პირველს, რადგან იგი რაღაც ნაერთის იერის მქონეა. ყოველივე გარესხვაებისგან გაწმენდილი „მე" კი ისეთი რამ არის, რომელიც ცარიელია; ის ისეთი ცარიელი დადებითობაა, რომელიც ნამდვილად არაფერია, არარაა (როგორც ამას ჰეგელი იტყოდა). ამიტომ ის არ შეიძლება პირველი იყოს.

დეკარტის, კანტის, ჰუსერლის ზემოთ მოყვანილი აზრები, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმას მიუთითებენ, რომ ფილოსოფიისათვის აუცილებელია რაღაც თავისთავადი და მისი მეთოდი

---

[1] იხ. Husserl, Logishe Untersuchungen, II, 1. 1913, S. 106—224; Ideen. I, 1950, S. 136—149. Erste Philosophie, II. 1959, S. 26—43.

უნდა იყოს, მართლაც რაღაც Selbstanwendung-ის[1] მსგავსი, მაგრამ, ლოგიკური თვალსაზრისით, გამორიცხულ უნდა იქნეს ყოველგვარი ფსიქოლოგიზმი, სუბიექტურობა. ყოველგვარი „მე“, ყოველგვარი ინტუიცია არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ან ამ მდგომარეობის ანალოგიით შექმნილი რამ და ამიტომ ლოგიკისათვის გამოუსადეგარია, ზედმეტია.

არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ჰუსერლის აზრი იმის შესახებ, რომ პირველი არის ხედვა, ინტუიცია და რომ ის, რაც არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, თითქოს არ საჭიროებდეს იმას, რის ფრჩხილებში ჩასმაც შეიძლება; ეს არ არის მართებული, რადგან: 1) ინტუიცია სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა და ის არ შეიძლება იყოს ლოგიკური პირველი, ლოგიკურის — დასაბუთების პირველი, რომელსაც აუცილებლად ლოგიკური ბუნება უნდა ჰქონდეს, 2) თვითონ ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, თითქოს პარტიზია და აღარ იყოს დაკავშირებული იმასთან, რაც უარყოფილ იქნა, თუმცა იგი სწორედ უარყოფის საშუალებით იქნა მიღებული, თუ აღმოჩენილი; ამით თვითონ უარყოფაც მოიხსნა, უარყოფის გარეშე აღებული მარტივი კი რაღაც მისტიკური შეიძლება იყოს.

ჰუსერლმა გაიმეორა ის, რაც თქვა დეკარტმა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან ვერ გაიგო დეკარტის დებულების ღრმა აზრი, რომელიც, თუმცა თვითონ დეკარტის მიერაც არ იყო იგი საკმაოდ ფორმულირებული. მაგრამ იმაში მდგომარეობდა, რომ რაიმე მისივე უარყოფით დგინდებოდა; აზრი საკუთარი უარყოფის საშუალებით თავის თავს ადგენს, რაც, ლოგიკური მხრივ, სრულიად თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს.

ჰუსერლმა ვერ გაიგო დეკარტი და ამის გამო დაუშვა შეცდომა, პირველის მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რაც არ შეიძლება პირველი ყოფილიყო. უარყოფის საშუალებით მიღებული პირველი, საწყისი არ შეიძლება საწყისი იყოს, თუ მას კავშირი აქვს გაწყვეტილი იმასთან, რაც უარყოფილ იქნა და თუ თვითონ უარყოფაც იქნა თავიდან აცილებული (თუმცა უარყოფის თავიდან აცილება არ შეიძლება, რადგან „თავიდან აცილება“ თვითონ არის უარყოფა); უარყოფილ იქნა კავშირი, რომლის აუცილებელი მომენტიც თვითონ უარყოფა უნდა ყოფილიყო. სჯელდობრ, კავშირი საწყისისა იმა-

---

[1] შდრ. R. Heiss, Logik des Widerspruchs, 1932.

სთან, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, ამით გაუქმდა დიალექტიკის შესაძლებლობა და გზა გაეხსნა მისტიკას.

თუ ის, რის უარყოფა შეუძლებელია, აუცილებლობით იქნება დაკავშირებული იმასთან, რაც უარიყოფა, ეს კი სხვანაირად არ შეიძლება იყოს, რამდენადაც სწორედ უარყოფა აჩვენებს აუცილებლობას როგორც რაიმეს უარყოფის შეუძლებლობას, მაშინ — სწორედ ასეთ შემთხვევაში — იგი გამოდგება საწყისად. ასეთი საწყისი, თვითონ თავისი ბუნებით, იქნება დიალექტიკური ხასიათის, ისე როგორც დიალექტიკური იქნება კავშირი იმ საწყისისა ღანარჩენთან.

3. მართალია, შეიძლება განვასხვავოთ ის, რის უარყოფა შეუძლებელია, იმისგან, რის უარყოფაც მასვე ადგენს, მაგრამ შესაძლებელია და არსებობს ისეთი რამ, რომელშიც ეს ორი რამ ერთსა და იმავეს უდრის.

შეიძლება საწყისად მიიჩნიონ ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ შეცდომაა იგი უარყოფის გარეშე მდგომად, წმინდა დადებითობად წარმოადგინონ, უარყოფა კი გაიგონ მხოლოდ ჩვენს საშუალებად, რომელიც არ შევა იქ, რის უარყოფაც შეუძლებელია; ასეთი საწყისი არ იქნება ლოგიკური საწყისი, ის ან საგნად უნდა მივიღოთ, ან ინტუიციად უნდა ჩავთვალოთ. ერთ შემთხვევაში რეალური საწყისი გვექნება, მეორე შემთხვევაში კი ფსიქოლოგიური საწყისი; ლოგიკური საწყისი შეუმჩნეველი დაგვრჩებოდა.

თუკი ის, რის უარყოფა შეუძლებელია, თვითონ უარყოფის საშუალებად იქნა გამოყენებული, ე. ი. **თუ რაიმეს უარყოფისას ეს** რაიმე იქნა გამოყენებული და ეს რაიმე, **ამავე დროს, არის სწორედ** ის, რის უარყოფაც შეუძლებელია, მაშინ გვექნება ლოგიკური თვითდადგენა, და გაირკვევა საწყისი დასაბუთებისა. ასეთ შემთხვევაში, ის, რის უარყოფა შეუძლებელია, იქნება თვითდამდგენი, რადგან უარყოფის უარყოფა შეუძლებელია (შეუძლებელია უარყოფა რომ უარყო) და უარყოფის უარყოფა წარმოადგენს დადგენას. ის, რაც შეუძლებელია უარყოფილ იქნეს, იქნება თავის თავის დამდგენ-დამსაბუთებელი, რადგან რაიმეს უარყოფისას ეს რაიმე გამოყენებული იქნება, როგორც გარკვეული საშუალება. რაიმეს დადგენა-დაფუძნება-დასაბუთება მისივე უარყოფით იქნება ის ლოგიკური, რომელსაც პირველადი ხასიათი ექნება; ეს იქნება შინა-

განი უარყოფის შემცველი აუცილებელი ერთიანობა. ასეთი რამ არ შეიძლება არ იყოს დიალექტიკური ბუნებისა, ის იქნება დაპირისპირებულთა სრულიად გარკვეული ერთიანობა.

მაშასადამე, შესაძლებელია არსებობდეს რაიმე, რომლის უარყოფა შეუძლებელია და მას არსებობა ჰქონდეს ამ უარყოფით; მაგალითად, შეუძლებელია უარყო არსებობა, რადგან ასეთი უარყოფის შემთხვევაში ეს უარყოფა უნდა არსებობდეს; შეუძლებელია უარყო სინამდვილე და იგი მოჩვენებად მიიღო, რადგან, ასეთ შემთხვევაში, თვითონ მოჩვენება უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ და მასთან უნდა იყო ისეთ დამოკიდებულებაში, როგორც სინამდვილესთან[1]. არ შეიძლება არ მიიღო არსებობა, სინამდვილე და ა. შ. უარყოფა, როგორც შენი საშუალება, კი უნდა გამოიყენო ამის დასამტკიცებლად, მაგრამ დამტკიცების ეს საშუალება, ცხადია, არ უნდა მოათავსო თვითონ არსებობაში, სინამდვილეში.

მაგრამ ის, რის უარყოფა მასვე ადგენს, არის ისეთი რამ, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რაშიც არის ეს უარყოფა. თუ ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, შეიძლება იყოს ამ უარყოფის გარეშე, მაშინ ამ დებულების შებრუნებისას (რაც აუცილებელია, როგორც ეს ახლახან ითქვა) თავისებური მდგომარეობა გვექნება, სახელდობრ, ეს იქნება რაიმეს დადგენა დასაბუთება ამ რაიმეს უარყოფით. ასეთი დადგენა-დასაბუთება იქნება თვითდადგენა შინაგანი უარყოფის საშუალებით.

დასაბუთება, ეს არის აზრში რაიმეს აუცილებლობის ჩვენება. ის, რის უარყოფა შესაძლებელია, არ არის აუცილებელი. ამ აზრით, აუცილებელია ის, რის უარყოფაც შეუძლებელია. მაგრამ თუ ასეთი აუცილებელი დგინდება უარყოფის საშუალებით, მაშინ განხორციელდება სრული აუცილებლობა-დასაბუთება, სადაც ადგილი ექნება დადებითისა და უარყოფითის ერთიანობას, როგორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენას.

ლოგიკურის, კერძოდ, მსჯელობის თვისობრიობის თვალსაზრისით, საწყისი შეიძლება იყოს არა სასრული აზრი, ე. ი. ის, რომელიც სხვით უარიყოფა ან დგინდება, არამედ — უსასრულოს, დაუ-

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч, т. 3, 1955, стр. 127. ძველი ჰეგელიანიზმის შესახებ.

ბოლოებელის გამომთქმელი აზრი, რომელიც თვითონ იქნება დაუ-ბოლოებელის ბუნებისა. დაუბოლოებელი არის დაბოლოებულის საპირისპირო (და, ამავე დროს, საწინააღმდეგო) ცნება. დაუბოლო-ებელის ბუნების მქონე აზრი შეიძლება განისაზღვროს ასე: დაუ-ბოლოებელი არის რაიმეს დადგენა-დასაბუთება ამ რაიმეს უარ-ყოფით. დაუბოლოებელი არის ის, რის უარყოფა მასვე ადგენს; დაუ-ბოლოებელის ბუნების მქონე აზრი არის დასაბუთება რაიმესი ამ რაიმეს უარყოფით; ეს არის გარკვეული შუალობითი ერთიანობა და არა მისი რომელიმე მომენტი (ასეთი მომენტი იქნება ამ აზრში. მაგალითად, რაიმე, რომელიც აქ მოხმარებულია). თუ არსებობს ისეთი აზრი, რომელშიც გამოთქმულია რაიმეს დასაბუთება მისივე (ამ რაიმეს) უარყოფით, მაშინ ჩვენ გვექნება ერთიანობა, რომელ-შიც მომენტებად იქნება შესული ჰოყოფაც და უარყოფაც. ასეთი აზრი იქნება საწყისი დასაბუთებისა; ეს ლოგიკური კავშირი იქნე-ბა აზრის მიმცემი ყოველგვარი სხვა ლოგიკური კავშირისა. ამ სა-წყისს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა წანამძღვარი და სხვა საწყისი. მას საფუძველი (და შედეგიც) თავის თავში ექნება. ის იქნება ლო-გიკური causa sui. ასეთი საწყისი ზედმეტს ხდის აქსიომებს, აზრს უკარგავს მათ.

არის კი შესაძლებელი ასეთი საწყისი? არსებობს ასეთი საწყი-სი! მოვიყვანოთ მაგალითები დაუბოლოებლის ბუნების მქონე ლო-გიკური შუალობითი კავშირებისა, რასაც ჩვენ ჩვენს სხვა შრომებ-ში ვუწოდეთ უსასრულო დასკვნა და რასაც აქ განვიხილავთ მხო-ლოდ დასაბუთების საწყისის თვალსაზრისით.

ცნობილია სოკრატეს ბრძოლა სოფისტების წინააღმდეგ ჭეშმა-რიტების საკითხში. სოფისტები უარყოფდნენ ობიექტურს, ყველა-სათვის სავალდებულო ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება შეიძლება იყოს მხოლოდ ობიექტური და ამიტომ ყველასათვის სავალდებულო. მი-სი უარყოფა არ შეიძლება მიჩნეული იყოს ისევ ჭეშმარიტებად. ჭე-შმარიტების უარყოფა შეცდომას უნდა ნიშნავდეს, წინააღმდეგ შემ-თხვევაში, შეცდომაც ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს. რო-გორც ამას ადგილი ჰქონდა სოფისტებთან, რამდენადაც ისინი ყო-ველ დებულებას ჭეშმარიტად თვლიდნენ, შეცდომას კი უარყოფ-დნენ. სოფისტების მიერ ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტე-ბის უარყოფა თვითონ იყო მიჩნეული ყველასათვის სავალდებუ-

ლოდ; ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტების უარყოფა გამოდიოდა ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტებად. ამით სოკრატე წინააღმდეგობაში იჭერს სოფისტებს. სოკრატეს ამ ბრძოლას საფუძვლად ედო აზრი, რომ ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია. ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ უნდა იქნეს მიჩნეული ჭეშმარიტად, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყოფაც არ იარსებებდა. მაშასადამე ჭეშმარიტების უარყოფა ჭეშმარიტების აუცილებლობას ასაბუთებს.

მართალია, რაიმე დებულების ჭეშმარიტობის უარყოფა ამ დებულების მცდარობის აღიარებაა და ჭეშმარიტების საწინააღმდეგო ცნება არის მცდარობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჭეშმარიტებას აბსოლუტური ხასიათიც არ ჰქონდეს, მაშინ როცა შეცდომას შეიძლება მართლაც არ ჰქონდეს ასეთი ხასიათი. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა (სხვა მხრივ ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს), რომ ჭეშმარიტების აბსოლუტურობა ლოგიკურად იმაში ჩანს, რომ მისი (ჭეშმარიტების) უარყოფა შეუძლებელია და რომ ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ ადგენს ჭეშმარიტებას და მის აუცილებლობას. ჭეშმარიტების უარყოფას არ შეიძლება აზრი არ ჰქონდეს სწორედ ჭეშმარიტებით.

ჭეშმარიტების უარყოფა ასაბუთებს ჭეშმარიტებას არა როგორც შედეგს, არამედ როგორც საკუთარ საფუძველს, საკუთარ საშუალებას. ჭეშმარიტების უარსაყოფად აქ გამოყენებულია ჭეშმარიტება როგორც საშუალება, როგორც კატეგორია. აქ არის საფუძვლის თავისებური დადგენა, მაგრამ თუ ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ ჭეშმარიტების აზრის მქონედ არ იქნა მიჩნეული, ისე შეუძლებელია განხორციელდეს იგი (ამიტომ საფუძველში შედეგიც იგულისხმება). ვერავინ იტყვის, ვერც პროტაგორა იტყოდა, რომ ჭეშმარიტება (ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტება) არ არსებობს, თუკი ის ამ დებულებას ჭეშმარიტად არ ჩათვლიდა. მაშასადამე, ჭეშმარიტების დასაბუთება ჭეშმარიტებისავე უარყოფით არის გარკვეული შუალობითი ერთიანობა, შინაგანი უარყოფის შემცველი ერთიანობა, ამ აზრით, დასკვნა, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა, რომლის საფუძველიც და შედეგიც მასშია, ისე რომ მას არ სჭირდება სხვა, გარეგანი წანამძღვარი. ეს არის თვითდასკვნა, თვითდასაბუთება. მას არ აქვს სხვა ლოგიკური საწყისი, და გამოდგება სხვა დასკვნების საწყისად.

რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება უკეთ ჩანს დეკარტის cogito, ergo sum-ის მაგალითზე[1]. როგორც ცნობილია, დეკარტი ცდილობდა შეექმნა ფილოსოფიური სისტემა გეომეტრიის ანალოგიით, სისტემა შეუძლებელია საწყისი დებულების, აქსიომის გარეშე. დეკარტი ფილოსოფიური სისტემის აქსიომის მიღების ხერხად იყენებს უარყოფას. რის უარყოფაც შესაძლებელია, ის არ გამოდგება აქსიომად, სისტემის გამოსავალ დებულებად. „არქიმედის ღასაყრდენად". დეკარტი შეეცადა ყველაფრის უარყოფას იმ მიზნით, რომ აღმოეჩინა ისეთი რამ, რის უარყოფაც შეუძლებელი იქნებოდა. ლოგიკურად შეიძლება უარყო ყველაფერი: 2×2=4, ჩემს გარეთ არსებობს სინამდვილე (რადგან სიზმარშიც ასე მეჩვენება) და სხვ. შეიძლება შეეჭვდე ყველაფერში, მაგრამ არ შეიძლება შეეჭვდე თვითონ ეჭვის პროცესში, ე. ი. თვითონ აზროვნების არსებობაში; არ შეიძლება იაზრო ის, რომ არ აზროვნებ; რაც უფრო ძლიერად შეეჭვდება თვითონ. ეჭვში, რაც უფრო ძლიერად შეეცდები იაზრო, რომ არ აზროვნებ, ე. ი. რაც უფრო ძლიერად ჩაატარებ აზროვნების უარყოფას, მით უფრო უეჭვო, ნათელი და ცხადი იქნება ის, რომ ეს ეჭვი, აზროვნება არსებობს; ამიტომ: ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ, ასკვნის დეკარტი. ეს დებულება, მისი აზრით, არის ყველაზე უფრო ცხადი დებულება, ის არაფრიდან არ გამოიყვანება, მას არ აქვს საფუძველი, ის დაუსაბუთებელი, უშუალო დებულებაა, თუმცა ყველაფრის საყრდენად გამოდგება. ამიტომ ეს დებულება არის აქსიომა ფილოსოფიური სისტემისათვის; ის არის ფილოსოფიური სისტემის „არქიმედის საყრდენი", ფიქრობდა დეკარტი.

დეკარტისათვის მისი cogito, ergo sum იყო დაუსაბუთებელი დებულება. მისი აზრით, ამ დებულების დასაბუთება არ შეიძლება, რადგან მას არა აქვს სხვა საფუძველი. მიუხედავად ამისა, დეკარტმა ეს დებულება დაასაბუთა სწორედ უარყოფის საშუალებით. cogito არ საბუთდება ძველი ფორმალური ლოგიკური გზით, სილოგისტურად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არ საბუთდება, რომ არ არსებობს ამ დებულების სხვაგვარი დასაბუთება. არაფორმალურ-ლოგიკური დასაბუთება. ასეთი დასაბუთება ამ დებულე-

---

[1] ეს მაგალითი, როგორც „ძირეული დასკვნების" მაგალითი, გარჩეული აქვს პროფ. ლ. გოკიელს შრომაში „О природе логического" 1958.

ბის მიმართ განახორციელა თვითონ დეკარტმა, როცა მან აჩვენა მისი აუცილებლობა უარყოფის საშუალებით. რადგან შეუძლებელია იაზრო, რომ არ აზროვნებ, ამით უკვე ნაჩვენებია აზროვნების არსებობის ლოგიკური აუცილებლობა. აზროვნების ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის აზრი. აზრის უარყოფა თვითონ ასაბუთებს აზრს. აზრი თავის თავს ასაბუთებს თავისი თავის უარყოფით. აზრის უარყოფის საშუალებით საბუთდება აზრი. თავისი თავის უარყოფის საშუალებით აზრი თავის თავს ადგენს, ასაბუთებს არა მხოლოდ უარყოფითად, არამედ დადებითადაც.

ამრიგად, დეკარტმა დაასაბუთა მისი აქსიომა, ამით კი იგი, როგორც აქსიომა, მოიხსნა, მაგრამ ცხადყო, რომ cogito, ergo sum არის პირველი სისტემისათვის, რომ ეს არის დასაბუთებული დებულება, მაგრამ, ამავე დროს, საწყისი ფილოსოფიური სისტემისათვის, დასაბუთების სისტემისათვის[1].

დეკარტის იდეალიზმი მდგომარეობდა იმაში, რომ ის ყველაფრის გამოსავლად აზრს აღიარებდა, მაგრამ არა იმაში, რომ მან დებულებით cogito, ergo sum შეასრულა გარკვეული დასკვნა, და რომ ეს დასკვნა პირველადია სხვაგვარი დასკვნებისათვის — დასაბუთებისათვის. ის არის ლოგიკური საწყისი დასაბუთებისათვის. დასაბუთებას აუცილებლობით სჭირდება, რეალური საწყისის გარდა, ლოგიკური საწყისი. უსაწყისო, ე. ი. უსასრულო რეგრესში წასული დასაბუთება, როგორც ცნობილია, არ არის დასაბუთება. დეკარტი სწორი იყო, როცა ამ აზრს იზიარებდა და ცდილობდა მოენახა ლოგიკური საწყისი დასაბუთებისათვის.

ასეთივე ნათელი მაგალითი იმისა, რომ არსებობს უსასრულო დასკვნა, როგორც საწყისი დასაბუთებისა, არის უარყოფის უარყოფის მაგალითი. რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება და ასეთი ლოგიკურის საწყისად აღების აუცილებლობა ნათლად ჩანს უარყოფის უარყოფის შემთხვევაში (აქ „უარყოფის უარყოფა" აღებულია, ცხადია, სხვა აზრით და არა უარყოფის უარყოფის, რო-

---

[1] იხ. R. Heiss, Logik des Widerspruchs, S. 73. ჰაისი ამბობს, რომ დეკარტმა აწარმოა cogito-ში თავისებური დასაბუთება, განსხვავებული არისტოტელესებური დასაბუთებისგანო. მიუხედავად ამისა, ჰაისი ვერ მივიდა უსასრულო დასკვნის იდეამდე.

გორც დიალექტიკის ცნობილი კანონის, აზრით). შეუძლებელია უარვყოთ თვითონ უარყოფა, რადგან ასეთი უარყოფის მოხდენა სწორედ უარყოფის დადგენა-განხორციელებაა და არა მისი აკრძალვა, გაუქმება. მართლაც, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ უარყოფით თვითონ უარყოფა დგინდება. აქ უარყოფა, ცხადია, აღებულია კატეგორიალური მნიშვნელობით, კატეგორიის აზრით.

უარყოფის უარყოფით თვითონ უარყოფა დგინდება. ეს არის თვითდადგენა, თვითსაფუძვლის მქონე დასკვნა, რომელსაც არ აქვს სხვა წანამძღვარი.

როცა ცდილობენ (მაგალითად, თანამედროვე პოზიტივისტები) უარყონ კატეგორიები, მაშინ იძულებული არიან მოიხმარონ კატეგორია, სახელდობრ, უარყოფის კატეგორია, წინააღმდეგ შემთხვევაში, კატეგორიების უარყოფის ცდას ვერც განახორციელებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია; კატეგორიის უარყოფა თვითონ არის კატეგორიის, როგორც გარკვეული საფუძვლისა და საშუალების, აუცილებელი მოხმარა-გამოყენება და დადგენა-დასაბუთება. აქაც ადგილი აქვს თვითდადგენას, რაიმეს დადგენას მისივე უარყოფის საშუალებით.

ავიღოთ კერძო (ცალკე თუ ერთეული), როგორც ასეთი, და დავსვათ კითხვა მისი უარყოფის შესახებ: შეიძლება თუ არა კერძოს უარყოფა? კერძოს უარყოფა შეიძლება, მაგრამ ამ უარყოფით ისევ კერძო დგინდება. კერძოს უარყოფას მივყევართ მისი საპირისპიროს — ზოგადის დადგენამდე. თუ არ არსებობს კერძო და არსებობს მხოლოდ ზოგადი (პლატონი), მაშინ ეს ზოგადი თვითონ იქნება არა ზოგადი, არამედ კერძო; განცალკევებული ზოგადი არის სწორედ ცალკეული და არა ზოგადი (როგორც ეს არისტოტელემ აჩვენა პლატონის იდეათა თეორიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს). ეს ნიშნავს იმას, რომ კერძოს უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ კერძოს უარყოფა აუცილებლობით ადგენს ისევ კერძოს.

თუკი ზოგადის უარყოფას შევეცდებით, ე. ი. ვიტყვით, რომ არ არსებობს ზოგადი (ძველი და ახალი პოზიტივიზმი), რომ არსებობს მხოლოდ კერძო, ერთეული (ამათ შორის განსხვავება აქ არ არის ჩვენთვის საინტერესო), მაშინ ეს კერძო იქნება აღებული აბსოლუტური აზრით, ე. ი. ის ზოგადი მნიშვნელობით იქნება აღებული, აღიარებული. თვითონ ამ აღიარებასაც ზოგადი მნიშვნელობა ექნება. ასე რომ აქაც ზოგადის უარყოფა ისევ ზოგადს ადგენს („ზო-

გადი“ და „კერძო“ აქ აღებულია, ცხადია, კატეგორიალური მნიშვნელობით).

უფრო ზუსტად: ზოგადის უარყოფა არის კერძო, კერძოს უარყოფა კი ზოგადია. ზოგადი არის მისი უარყოფის — კერძოს უარყოფა; კერძო კი — მისი უარყოფის ანუ ზოგადის უარყოფაა. თითოეული ამათგანი არის უარყოფის უარყოფა. ორმაგი უარყოფის უარყოფა კი ზოგადისა და კერძოს აუცილებელი ერთიანობაა. ეს არის საკუთარი თავის უარყოფით თავისი თავის დადგენა, რაც წარმოადგენს უსასრულო დასკვნის საუკეთესო მაგალითს, რომელიც ჩვეულებრივ დასკვნებს უძევს საფუძვლად.

აღნიშნული მაგალითები საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ არსებობს აზრი, რომელიც თვითდადგენას წარმოადგენს. ასეთი რამ არ საჭიროებს სხვა საფუძველს და გამოდგება დასაბუთების საწყისად.

4. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ აპაგოგიური დასაბუთების ბუნება, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა არისტოტელეს და პრობლემის დასმის აზრით და უარყოფით ასპექტში გამოითქვა ის, რაც ახლა შეიძლება დადებითი მხრივ წარმოსდგეს, ე. ი. რაც შესაბამისი პრობლემის გადაჭრის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. ამის საშუალებას იძლევა ის, რაც ითქვა უსასრულო დასკვნის შესახებ.

უსასრულო დასკვნა არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა-დასაბუთება. იგი, ერთი შეხედვით, აპაგოგიურ დასაბუთებას მოგვაგონებს; ნამდვილად კი უსასრულო დასკვნა არ არის აპაგოგიური დასაბუთების ბუნების მქონე დასკვნა.

უსასრულო დასკვნაში სისრულით არის განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა; მართლაც, შეუძლებელია „მეტი“ აუცილებლობა, ვიდრე აუცილებლობა რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა-დასაბუთებისა. აპაგოგიური დასაბუთება კი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ნაკლოვანი ხასიათისაა, რადგან აქ დებულება პირდაპირ კი არ საბუთდება, არამედ საბუთდება იმით, რომ მტკიცდება მისი საწინააღმდეგოს შეუძლებლობა; აპაგოგიურ დასაბუთებაში რაიმე მტკიცდება როგორც „დარჩენილი“; რაიმე დებულების დასაბუთება გაიგივებულია იმასთან, რომ საწინააღმდეგო დებულების უარყოფის დროს იგი რჩება, ე. ი. საბუთდება საწინააღმდეგოს შეუძლებლობა და არა თვითონ ის, რის დასაბუთება სურთ, უკეთ რის დასაბუთებად მიღებულია საწინააღმდეგოს შეუძლებლობის

დასაბუთება. აპაგოგიური დასაბუთება როგორც „დარჩენა", ამავე დროს, ნაწილობრივ ფაუსაბუთებლად დარჩენასაც ნიშნავს.

არისტოტელესათვის დასაბუთების არსებას წინააღმდეგობის შეუძლებლობა წარმოადგენს, სწორედ ამას გამოთქვამს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. წინააღმდეგობის შეუძლებლობა, ეს არის რაიმე ჭეშმარიტის (თუ არსებულის) საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, რაც აპაგოგიურ დასაბუთებაში ხორციელდება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი აპაგოგიური დასაბუთების კანონია და არა პირდაპირი დასაბუთებისა; იმის თქმა, რომ აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგოც შეუძლებელია, ეს ხომ აპაგოგიური დასაბუთების აუცილებლობის განსაზღვრებაა. ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი არ არის საკმარისი პირდაპირი დასაბუთებისათვის, ამ დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობისათვის. აზრში წინააღმდეგობის არარსებობა არაა მისი დასაბუთება; რომ რაიმე არ შეიცავს წინააღმდეგობას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს სხვანაირად შეუძლებელია, ე. ი. აუცილებელია.

აპაგოგიურ დასაბუთებაში რაიმეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობა გაიგივებულია წინააღმდეგობრივობასთან, რასაც ამ რაიმეს საწინააღმდეგობაში აქვს ადგილი და რასაც მისი საწინააღმდეგოს დაშვება იწვევს. თუ რომელიმე დებულებაში არის მისი საწინააღმდეგო, მაშინ ასეთი დებულება შეუძლებლად, ყალბად არის მიჩნეული. მართალია, წმინდა წინააღმდეგობა, მხოლოდ წინააღმდეგობა თავის თავის გაბათილებას და შეცდომას წარმოადგენს, მაგრამ ყველაფერი, რაშიც არის წინააღმდეგობა, შეცდომა არ არის. თუ წინააღმდეგობა აუცილებელია და მისი საფუძველი არსებობს, თუ ის ერთიანობაშია, მაშინ იგი ჭეშმარიტებაა ლოგიკურადაც. საპირისპიროდ აპაგოგიური დასაბუთებისა, უსასრულო დასკვნაში არა მარტო საწინააღმდეგოს აუცილებლობაა, არამედ ერთიანობაც, ე. ი. აქ საქმე გვაქვს დადებით დიალექტიკასთან, რომლის მომენტსაც უარყოფითი დიალექტიკა წარმოადგენს. (დიალექტიკა შეიცავს სკეპტიციზმის მომენტს. დაპირისპირებულთა ერთიანობა შეიცავს მისი ცალმხრიობის შესაძლებელ მცდარობასაც, რასაც ადგილი აქვს რაიმეს უარყოფით საწინააღმდეგოს მიღებაში).

აპაგოგიური გზით ყოველი დებულების დასაბუთება შეიძლება, რადგან ყოველი დებულების საწინააღმდეგო დებულება არის შე-

საძლებელი. უსასრულო დასკვნა კი ყველაფერს არ მიეყენება. უსასრულო დასკვნაში გამოთქმულია მხოლოდ ის, რის უარყოფაც შეუძლებელია და რის უარყოფაც მასვე ადგენს-ასაბუთებს. როგორც ითქვა, შეუძლებელია უარყოფილ იქნეს ის, რაც ამ უარყოფისას საშუალებად და გარკვეულ საფუძვლად მოიხმარება და სადაც უარსაყოფელი და უარყოფის შედეგად მიღებული არის ერთი და იგივე (თუმცა არსებობს განსხვავებაც ორ რაიმეს როგორც დასადგენს და დადგენილს შორის).

როგორც ცნობილია, მრავალი რაიმეს ლოგიკური უარყოფა შესაძლებელია. დეკარტმა ყველაფერი უარყო ლოგიკურად, გარდა ერთისა, გარდა თვითონ ლოგიკურისა (რადგან ლოგიკურად უარყოფა ლოგიკურისა შეუძლებელია), ამიტომ ფილოსოფიის აქსიომად მხოლოდ ერთი დებულება ჩათვალა. უარყოფა ფორმალურ ლოგიკაში იმ აზრით მოიხმარება, რომ რაიმეს უარყოფა მისი მხოლოდ უარყოფაა და არა, ამავე დროს, რაიმეს დადგენაც; აქ უარყოფას არავითარი დადებითი აზრი არ ახასიათებს; ის არის აბსტრაქტული და აბსოლუტური უარყოფა. ლოგიკურად შეიძლება უარვყოთ ცნებები სკამისა, ცხენისა, ადამიანისა, ღვთისა, ეშმაკისა და სხვ., რომელთა უარყოფა, ცხადია, არაა, ამავე დროს, რაიმეს, მით უმეტეს, მათივე დადგენა. სწორედ ასეთი უარყოფა მოიხმარება ფორმალურ ლოგიკაში საერთოდ, კერძოდ კი აპაგოგიურ დასაბუთებაში.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფრის აბსოლუტური უარყოფა შეიძლება. არსებობს კონკრეტული უარყოფა, ისეთი უარყოფა, რაცა რაიმეს უარყოფა გაგებულია, როგორც სწორედ ამ რაიმეს უარყოფა, ე. ი. ისეთი უარყოფა, რომელიც უარსაყოფელს გულისხმობს. სხვანაირი უარყოფა არც უნდა არსებობდეს, რადგან უარყოფა ყოველთვის რაიმეს უარყოფაა და ამ რაიმეს გულისხმობს აუცილებლობით (არა-A გულისხმობს A-ს; ცხადია, არ შეიძლება დაიწეროს „არა-A“, თუ მასში არ არის A). ამიტომ, გარკვეული აზრით, აბსტრაქტული უარყოფა შეუძლებელიც უნდა იყოს. აბსტრაქტული უარყოფა კონკრეტული უარყოფის გაფართოებაა, რაც შეიძლება გამართლდეს ფსიქოლოგიურად და არა საგნობრივად და ლოგიკურად (ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს).

თუ აქ აღნიშნულ კონკრეტულ უარყოფას გარკვეულად გახვავითარებთ, სრული სახით წარმოვიდგენთ, რის შესაძლებლობასაც

თვითონ ეს უარყოფა იძლევა, მივიღებთ ისეთ უარყოფას, რითაც საბუთდება ის, რაც უარვყავით.

უფრო ზუსტად: მართალია, კონკრეტული უარყოფა გულისხმობს იმას, რაც უარიყოფა, უარსაყოფელს, მაგრამ ის მას გულისხმობს როგორც სწორედ უარსაყოფელს და არა დასადგენს. ასეთი კონკრეტული უარყოფის დროს, რაიმეს უარყოფა, ცხადია, შესაძლებელია. სხვა არის ის უარყოფა, რომელიც აჩვენებს იმას, რომ რაიმეს უარყოფა შეუძლებელია. ასეთი უარყოფა გარკვეული დადებითი მნიშვნელობის მქონეცაა.

უარყოფის დადებითი მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვანაირად არსებობდეს და გამომჟღავნდეს. მაგალითად, არსის უარყოფა არის არარსი. რომ ერთი საგანი არ არის მეორე, ეს განსხვავება აღინიშნება „არა-თი. ერთი არის მეორის არარსი, ერთი არის არა-მეორე. ასეთი არარსი არსებობს. არარსი არსებობს არსთან. მაგალითად, ატომისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით: არსებობს არსი (ატომები) და სიცარიელე, არსი. და არარა (პარმენიდეს „არარსი"), ე. ი. ორი რამ არსებობს — ერთია არსიც და არარსიც; მათემატიკურად აქ — ამ ორ რაიმეს შორის არცაა განსხვავება. შეიძლება ითქვას, რომ არარსი, არარა არის საგანი ლოგიკურად (ლოგიკურად საგანია ყველაფერი, რაზედაც მსჯელობა შეიძლება. არარსი რომ არის საგანი ლოგიკურად, ეს პირველად აღნიშნა პლატონმა დიალოგ „სოფისტეს"-ში).

ზემოთ აღნიშნული კონკრეტული უარყოფისაგან უნდა განვასხვაოთ ისეთი კონკრეტული უარყოფა, რომელიც აფუძნებს უარსაყოფელს, ადგენს — ასაბუთებს მას; ეს არის რაიმეს კონკრეტული უარყოფით მისივე დადგენა. აქ უარსაყოფელი გამოყენებულია როგორც საშუალება. სწორედ ასეთი უარყოფა მოქმედებს უსასრულო დასკვნაში, მაშინ როცა აპაგოგიურ დასაბუთებაში (და საერთოდ ყოველგვარ ფორმალურ-ლოგიკურში) მხოლოდ აბსტრაქტული უარყოფაა გამოყენებული.

როცა ვამბობთ, რომ რაიმეს კონკრეტული უარყოფა შეუძლებელია, ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ უარყოფა არ ხორციელდება, რომ თითქოს შეუძლებელი იყოს მისი განხორციელება: ლოგიკურში სრულდება ასეთი უარყოფა, მაგრამ ისე, რომ იგი უარსაყოფელს ასაბუთებს. რაიმეს უარყოფის შეუძლებლობა, ამ შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ რაიმეს უარყოფა, სწორედ განხორ-

ციელებული უარყოფა, ამ რაიმესვე ადგენს. რომ უარყოფა არ ხორციელდებოდეს, მაშინ აქ აღნიშნული აუცილებელი დადგენაც არ შესრულდებოდა. მაგალითად. კერძოს უარყოფა შეუძლებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ კერძოს უარყოფა, ცხადია, როგორც განხორციელებული უარყოფა, იძლევა ზოგადს, მაგრამ ეს ზოგადი, როგორც კერძოს უარმყოფელი, კერძოსგან გამოცალკევებული, თვირონ არის კერძო. ეს ნიშნავს ამ ორის აუცილებელ ერთიანობას და არა იმას, რომ უარყოფა თითქოს განუხორციელებელია. სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით ხდება დადგენა გარკვეული ერთიანობისა, რომლის შიგნითაც სწორედ ეს უარყოფაა განხორციელებული.

ასეთი შინაგანი უარყოფით დადგენაა უსასრულო დასკვნაში, მაშინ როცა აპაგოგიურ დასაბუთებაში გარეგანი და აბსტრაქტული უარყოფა მოქმედებს. აპაგოგიურ დასაბუთებაში განხორციელებული უარყოფა, ეს არის საწინააღმდეგოს უარყოფა, როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობა. უსასრულო დასკვნა კი საწინააღმდეგოს აუცილებლობას ემყარება, კიდევ მეტი, აქ ხდება საწინააღმდეგოს აუცილებელი დადგენა, უკეთ: თავისი თავის დადგენა შინაგანი უარყოფით, ამ უარყოფის შენახვით. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, განხორციელებული ლოგიკურ სფეროში, ლოგიკური როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა.

ყოველი დასაბუთება არ ემყარება საწინააღმდეგოს შეუძლებლობას. ამ უკანასკნელს ახორციელებს სასრული დასკვნები. მაგრამ თვითონ საწინააღმდეგოს შეუძლებლობა ემყარება საწინააღმდეგოს აუცილებლობას, წინააღმდეგობას, წინააღმდეგობის ერთიანობას, როგორც მის გარკვეულ ძირს. უსასრულო დასკვნა, ამიტომ ძირეული დასკვნაა. სწორედ ამიტომ უწოდა პროფ. ლ. გოკიელმა ძირეული დასკვნები იმ დასკვნებს, რომლებსაც მე უსასრულო დასკვნები ვუწოდე[1]. მან ამ სახელდებაში გამაკრიტიკა[2], მაგრამ მე მგონია, რომ ძირეული დასკვნა სწორედ იმიტომ და იმის გამოა ძირეული, რომ ის უსასრუ-

---

[1] იხ. ჩემი შრომები: „დასკვნის პრობლემისათვის", ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1949, გვ. 130, 131. „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის", 1952, თ. II, „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ", 1956, გვ. 210 და მის წინ, და სხვ.

[2] Л. Гожиелн. О природе логического, 1958 г. стр. 12—13.

ლოს (დაუბოლოებელის) ბუნებისაა. მას ძირეულად ხდის ლოგიკური უსასრულობა: ძირეული დასკვნები რატომ არიან ძირეულნი? რის მიმართ არიან ძირეულნი? ეს დასკვნები ძირეული არიან სწორედ იმიტომ, რომ ლოგიკური დაუბოლოებლობის ბუნების მქონენი არიან; ისინი ძირეული არიან არაძირეული დასკვნების მიმართ, სასრული დასკვნების მიმართ. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის „ძირი" რაიმეს სხვით დადგენის და უარყოფის, ეს უკანასკნელნი პირველში იგულისხმებიან და იქიდან უშუალოდ გამოდიან (სასრული დასკვნა პირობითია, — ემყარება პრინციპს: თუ არის A, მაშინ არის B; უსასრულო დასკვნა კი უპირობოა, არის causa sui).

საწინააღმდეგოს შეუძლებლობა ემყარება და მოიხმარს წინააღმდეგობას, წინააღმდეგობა კი შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე. ის გარემოება, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა (ე. ი. სასრულია), იმას ნიშნავს, რომ პირველის ცნება მეორეს გულისხმობს აუცილებლობით; რაიმე არის ეს იმის გამო, რომ ის არ არის სხვა; რაიმე არის არა-სხვა. რაიმეს მიეწერება არა-სხვა — დადებითს უარყოფითი მიეწერება. ამის საფუძველი კი არის ისეთი რამ, სადაც რაიმე მისივე უარყოფით დგინდება-საბუთდება. ასეთი რაიმე, როგორც ვნახეთ, არსებობს და იგი ამართლებს: 1) წინააღმდეგობის აუცილებლობასაც და 2) წინააღმდეგობის შეუძლებლობასაც, რომლებიც მასში მომენტების სახით იგულისხმება. სწორედ ამიტომაა უსასრულო დასკვნა ლოგიკური საწყისი ყველა სასრული დასკვნის, საერთოდ დასაბუთების, მათ შორის ე. წ. არაპირდაპირი, აპაგოგიური დასაბუთებისაც.

რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა-დასაბუთება შეიცავს ორ მომენტს: 1) რაიმეს უარყოფა, 2) ამ რაიმეს დადგენა. თუ მათ წარმოვიდგენთ ცალ-ცალკე, როგორც აბსოლუტურად შეუთავსებელთ, მაშინ შეიქმნება შესაძლებლობა სასრული დასკვნებისა, კერძოდ, განხორციელდება აპაგოგიური დასაბუთებაც. რადგან აქ რაიმეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობის ჩვენება ჩაითვლება დასაბუთებად დარჩენილისა, სწორედ ამ დარჩენილობით. აპაგოგიური დასაბუთება უსასრულო დასკვნის მხოლოდ ერთ მომენტს ემყარება, რადგან წინააღმდეგობის ერთიანობაში საწინააღმდეგოს შეუძლებლობაც იგულისხმება.

წინააღმდეგობის ერთიანობა წინააღმდეგობას არც ასუსტებს და არც აუქმებს, პირიქით, მას შესაძლებლად ხდის და სასრულით წარმოადგენს. წინააღმდეგობა შეუძლებელია ერთიანობის გარეშე;

წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, უკეთ. ერთიანობაში — ერთიანში. წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობას წინასწარ გულისხმობს, იგი სხვა არაფერია, თუ არა საწინააღმდეგოთა შეუთავსებლობა, სახელდობრ, ის, რომ წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს გამორიცხავს, მასთან შეუთავსებელია. აქ. არის ის მომენტი, რომელსაც ემყარება აპაგოგიური დასაბუთება. ეს მომენტი უსასრულო დასკვნის მომენტიცაა, რადგან უსასრულო დასკვნა წინააღმდეგობის ერთიანობაა, მასში არის სწორედ უარყოფის და წინააღმდეგობის მომენტი, სადაც ერთის გამორიცხვა მეორეს ტოვებს, „არჩენს". მაგრამ ამ მომენტზე უსასრულო დასკვნის დაყვანა, ეს იქნება მისი დაყვანა სასრულზე. ე. ი. მისი გაუქმება. არ შეიძლება უსასრულო დასკვნის დაყვანა მასში არსებულ არაპირდაპირობაზე. რასაც. როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობას, იგი ხსნის და ინახავს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აპაგოგიურ დასაბუთებაში კარგად ჩანს რაიმეს ცნებაში მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა, თუკი ლოგიკური კავშირი კატეგორიებს დაემყარება და მოიხმარს. ამის ნათელსაყოფ მაგალითად, ავიღოთ კანტის „ანტინომიების" შესაბამისი მხარე.

როგორც ცნობილია, კანტმა „ანტინომიებში", ე. ი. იქ. სადაც საქმე უსასრულობას ეხებოდა, გამოიყენა დასაბუთების აპაგოგიური მეთოდი. ეს მეთოდი ჰეგელმა მას ზედმეტად და უადგილოდ ჩაუთვალა[1]. ჩვენი აზრით, ჰეგელის ეს საყვედური მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი, სახელდობრ, იმდენად, რამდენადაც საქმე წინააღმდეგობის აუცილებლობას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, უნდა ვფიქროთ, რომ კანტი როგორღაც გრძნობდა წინააღმდეგობის აუცილებლობის დასაბუთებისათვის ისეთი ხერხის მოხმარის საჭიროებას, სადაც აუცილებელი იქნება აპაგოგიურობის მომენტი. მან ეს ხერხი ვერ გაიგო, იგი დაიყვანა აპაგოგიაზე, ე. ი. პირდაპირი დედუქციის სიძლიერე შეასუსტა, გაიმეორა დასაბუთება, რაშიც წინააღმდეგობის შეუძლებლობა სისრულით არც იყო განხორციელებული, მაშინ როცა წინააღმდეგობის აუცილებლობის დასაბუთება ასეთ რაიმეს ნაწილობრივ კიდეც გამორიცხავდა.

---

[1] იხ. Hegel, Wissenschaft der Logik, I, Lasson, 1923 S. 183 და შემდეგ.

წინააღმდეგობის აუცილებლობის (უარყოფითი დიალექტიკის, გონების წინააღმდეგობის აუცილებლობის) დასაბუთებისათვის საჭირო იყო არა აპაგოგია, როგორც საწინააღმდეგოს მხოლოდ გამორიცხვა, არამედ, პირიქით, ასეთი გამორიცხვა-უარყოფით გამოსარიცხის დადგენა.

თუ კანტს დავუჯერებთ, მან ანტინომიათა ფეზისებიც დაასაბუთა და ანტითეზისებიც, მაგალითად, ისიც დაასაბუთა, რომ არსებობს განუყოფელი და ისიც, რომ არ არსებობს განუყოფელი, ე. ი. — წყვეტადობაც აუცილებელია და განუწყვეტლობაც. თუ კანტს არ დავუჯერებთ და ვიტყვით, რომ მან ვერ დაასაბუთა საწინააღმდეგო დებულებების აუცილებლობა, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ კანტმა ვერ მონახა გზა წინააღმდეგობის აუცილებლობის დადებითი გაგებისა, ვერ მონახა ის, რაც წინააღმდეგობის აუცილებელ ერთიანობას წარმოადგენს; მაგალითად, ვერ გაიგო ის, რომ რაოდენობა არის ერთიანობა წყვეტადობისა და განუწყვეტლობის, იგი ვერ ამაღლდა კატეგორიების დიალექტიკური ბუნების გაგებამდე; მან შეუძლებლად მიიჩნია ის, რაც, ნამდვილად, აუცილებელია, სახელდობრ, ის, რომ აუცილებელია წყვეტადობისა და განუწყვეტლობის ერთიანობა, რომელსაც რაოდენობის კატეგორია წარმოადგენს. რაოდენობა განუწყვეტელიცაა და წყვეტილიც; იგი ერთეულების შინამქონე სიდიდე თუ სიმრავლეა, — სწორედ ერთიანი და ერთი სიდიდე და სიმრავლე. ვინც განუწყვეტლობას უარყოფს და წყვეტადობას აღიარებს, ის სწორედ განუწყვეტელ ერთეულს, ერთეულის განუწყვეტლობას ემყარება. წყვეტადობაში არის განუწყვეტლობა და პირიქით — განუწყვეტლობაში წყვეტადობა.

კანტისათვის გაუგებარი იყო რაოდენობის კატეგორიის ბუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის გასაგები გახდებოდა წინააღმდეგობის არა მხოლოდ აუცილებლობა, არამედ ერთიანობაც; ამასთანავე ეს აუცილებლობა და ერთიანობა არა შეცდომად, არამედ ჭეშმარიტებად იქნებოდა მიჩნეული, როგორც ეს შემდეგ დადებით დიალექტიკაში იქნა განხორციელებული (ჯერ ჰეგელის, თუმცა იდეალისტურ, მაგრამ მაინც, დადებით დიალექტიკაში, შემდეგ კი მარქს-ენგელს-ლენინის მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში).

მაშასადამე, კანტს თავის ანტინომიებში უნდა გამოეყენებინა არა აპაგოგიური მეთოდი, არამედ დიალექტიკური მეთოდი, რომლის გაგებამდე იგი თითქმის მისულიც იყო. დადებითი დიალექტიკის გაგებამდე მისვლას კანტთან აკლდა ერთი, მაგრამ ძირითადი, მომენტი, ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დაფუძნების გაგება. მხოლოდ განუწყვეტლობის აღიარება მისივე უარყოფა — ერთეულების მიღებაა, მაგრამ ეს ერთეულები, როგორც წყვეტილები, თვითონ არიან განუწყვეტელი, მართლაც ერთეულები, ე. ი. ისინი არიან განუწყვეტლობის განსაზღვრების მქონე. ამრიგად, საწინააღმდეგონი სწორედ წინააღმდეგობით ამჟღავნებენ იმას, რომ ერთი თავისი ბუნებით, არის მისი საწინააღმდეგოს განსაზღვრების მქონე. ასე ითქმის არა მხოლოდ წყვეტილობის და განუწყვეტლობის ერთიანობის შესახებ, (კანტის მეორე ანტინომიის ნამდვილი აზრი), არამედ სასრულობისა და უსასრულობის (პირველი ანტინომია), თავისუფლებისა და აუცილებლობის (მესამე ანტინომია) და თავისი თავის მიზეზის (IV ანტინომიის აზრი) შესახებაც.

ჰეგელმა, თუმცა კანტთან ანტინომიებში აპაგოგია ზედმეტად მიიჩნია, მაგრამ მან მაინც სწორად გაიგო კანტის ანტინომიების აზრი, კანტის დამსახურებაც და ნაკლიც, და ჩამოაყალიბა იდეალისტური დადებითი დიალექტიკა, რომლის გადაბრუნება და „მატერიალისტური წაკითხვა" (ლენინი) აუცილებელი იყო მატერიალისტური დიალექტიკის შექმნისა და განვითარებისათვის; ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური წაკითხვა ახლაც აუცილებელია საერთოდ მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ კი დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა დამუშავებისათვის.

ერთი სიტყვით, დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, აპაგოგიური მეთოდის სრული საწინააღმდეგოა, მაგრამ იგი აპაგოგიურობის, როგორც გარკვეული არაპირდაპირობის. მომენტს შეიცავს (რომელზედაც მისი დაყვანა მას სრულიად გააუქმებდა), რადგან წინააღმდეგობის ერთიანობაში, ცხადია, არის მომენტი წინააღმდეგობისა, ურთიერთგამორიცხვისა, საწინააღმდეგოს გამორიცხვით რაიმეს დადგენისა, მაგრამ აქ არის არა მხოლოდ ეს მომენტი, არამედ შემდეგიც (და ესაა სწორედ მთავარი): საწინააღმდეგოს გამორიცხვით დგინდება საწინააღმდეგოს აუცილებლობა, როგორც მისი საფუძველი, რაც, საბოლოოდ, ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი.

5. როგორც ითქვა, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ისეთი ლოგიკური, სადაც ხდება რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით. ისიც აღინიშნა, რომ დასაბუთების საწყისს წარმოადგენს ზოგადისა და კერძოს ერთიანობა და რომ ეს ერთიანობა ერთ-ერთი მაგალითია უსასრულო დასკვნისა; მაგრამ შეიძლება ითქვას მეტიც, სახელდობრ ის, რომ ეს ორი რამ, გარკვეული აზრით, ერთი და იგივეა; რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა იგივეა, რაც ზოგადისა და კერძოს ერთიანობა, თუკი თავისებურად იქნა გაგებული ზოგადი და კერძო, თუ ამ ცნებებს არა მოცულობის, არამედ შინაარსეული აზრით გავიგებთ.

რაიმეს უარყოფით მისივე დაფუძნება დადებითისა და უარყოფითის ერთიანობაა, დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ასეთია ზოგადისა და კერძოს ერთიანობა საერთოდ და კერძოდ მაშინაც. როცა ზოგადი და კერძო გაგებულია როგორც შინაარსეული ზოგადი და კერძო. შინაარსეული ზოგადი არის ერთიანობა, შინაარსეული კერძო კი ამ ერთიანობის ერთმხრიობა, ერთი მხარე თუ მომენტი.

რაიმეს დასაბუთება—დადგენა მისივე უარყოფით, ეს არის ერთიანი აზრი, რომელსაც ორი მხარე აქვს: დადგენა და უარყოფა. ეს მხარეები ანუ მომენტები შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ, მათი ერთიანობა კი შინაარსეული ზოგადობაა. ეს ერთიანობა არის პირველი ერთიანობა, ერთმხრიობები კი პირველი ერთმხრიობებია. ამ ერთმხრიობათა ერთიანობა, როგორც შუალობითი ერთიანობა, წარმოადგენს პირველ ლოგიკურს, პირველ დასკვნას, უსასრულო დასკვნას.

პირველი ლოგიკური მხოლოდ ის კი არაა, რომლის უარყოფაც შეუძლებელია, არამედ — ერთიანი აზრი, რომ რაიმეს უარყოფა მისივე დადგენა-დასაბუთებაა; ესარის რაიმეს დადგენა-დასაბუთება მისივე უარყოფით, რომელიც გარკვეულ აუცილებელ შუალობით კავშირს, ამ აზრით, დასკვნას წარმოადგენს. ამ დასკვნაში მოქმედებს შინაგანი უარყოფა. ეს დასკვნა თავისებურია. მისი წანამძღვრები და დანასკვი არ არის ერთიმეორისაგან დაცილებული, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში, სადაც ჯერ აღებულია ორი წანამძღვარი, რომლებთაგან თითოეულს დამოუკიდებელი აზრი აქვს, ისე როგორც დანასკვს, რომელიც უშუალოდ და ანალიზურად გამომდინარეობს ამ „შუალობისა" დასკვნაში, მაშინ როცა უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს ერთიან აზრს, როგორც შინაგანი უარყოფით შესრულებულ აუცილებელ

შუალობით კავშირს. თუ, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში ადგილი აქვს გამოყვანის, ასე ვთქვათ, სწორხაზობრიობას, უსასრულო დასკვნაში გარკვეული წრებრუნვა ხორციელდება (რის შესახებაც ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი).

უსასრულო დასკვნაში მისი მხარეები — შინაარსეული კერძოები, სახელდობრ, დადგენა და უარყოფა მსჯელობებს წარმოადგენენ. ეს დასკვნა ამ დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობაა. ეს მსჯელობები შეფარდებითი აზრით არიან აღებული, აბსოლუტურობა კი მათ ერთიანობაშია. ამ დასკვნის ზოგადობა, როგორც ერთი რამ, რომელიც მისი (დასკვნის) ერთ, განუყოფელ აზრს წარმოადგენს, არის ცნება, სახელდობრ, ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, ე. ი. რაც აუცილებელია. თვითონ აუცილებლობა კი რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაშია განხორციელებული.

უსასრულო დასკვნა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მხოლოდ დასკვნა, რომელიც დასაბუთებას არ წარმოადგენს. მასში სრულადაა განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა, სწორედ იმით, რომ შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის გამო ამოწურულია სასრულის ბუნება და დადგენილია უსასრულო, როგორც დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობის) აუცილებელი ერთიანობა. ამით მასში განხორციელებულია ობიექტურობა, ის, რის უარყოფა შეუძლებელია. ლოგიკურში სხვაგვარად ვერ წარმოსდგება ობიექტურობა. ამიტომ უსასრულო დასკვნა, ამავე დროს, დასაბუთებაცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დასაბუთების საწყისად არ გამოდგებოდა; უკეთ: სწორედ იმის გამო, რომ ამ დასკვნაში ობიექტურობა წარმოდგენილია სრული ლოგიკური აუცილებლობის სახით, ის არის, ამავე დროს, დასაბუთებაც; ის არის დასკვნა-დასაბუთება, როგორც საწყისი ყოველგვარი დასაბუთების.

უსასრულო დასკვნა ისეთი დასკვნაა, რომელსაც გარეგანი ლოგიკური წანამძღვარები არა აქვს და არც სჭირდება საკუთარი თავის გამართლებისათვის. მასში აზრი თავის თავს ამართლებს ლოგიკურად, სრული ლოგიკური აუცილებლობით. სწორედ ამის გამოა იგი დასაბუთების ნამდვილი ლოგიკური საწყისი. ის არის დასკვნა, რომელიც დასაბუთებაა, და არის დასაბუთება, რომელიც დასკვნას წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნა, როგორც ეს ახლახან აღინიშნა, შეიცავს როგორც ცნებას, ისე მსჯელობისა და დასაბუთების აზრს და თვითონ სწორედ დასკვნას წარმოადგენს; ამიტომ იგი ლოგიკური ფო-

.რმების გარკვეული საწყისია, ის პირველია, რომელიც ამართლებს ამ ფორმებს. ამიტომ უსასრულო დასკვნა ლოგიკურის საწყისია, ლოგიკურის არსებაა.

უსასრულო დასკვნას არ აქვს გარეგანი წანამძღვარი, ამიტომ იგი არის დასაბუთების საზღვარი, მოთავსებული აქსიომის ადგილზე. ის, როგორც საკუთარი თავის დამსაბუთებელი აზრი, არის, აგრეთვე, დამსაბუთებელი დასაბუთებაში შემავალი დებულებებისა. ამრიგად, ისსნება წინააღმდეგობა დასაბუთებულისა და დაუსაბუთებელის, მეცნიერულისა და არამეცნიერულის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასაბუთების სისტემაში და რომელიც გადაუწყვეტელი რჩებოდა დასაბუთების თეორიებში, დაწყებული არისტოტელედან.

შინაგანი უარყოფით თავისი თავის დადგენა არის თვითდადგენა, ერთიანი აზრი, რომელშიც არის თვითსაფუძველი და თვითშედეგი. რადგან ასეთ თვითდადგენაში მოქმედებს შინაგანი უარყოფის მომენტი. ამ ერთიანობისათვის სრულიად აუცილებელი რამ, ამიტომ მასში (ამ ერთიანობაში) ადგილი აქვს აუცილებელ სხვადასხვაობას, გარკვეულ მომენტებს, რომლებიც აუქმებენ თვითდადგენის ტავტოლოგიურობას, სიმარტივეს. უსასრულო დასკვნის ერთიანობა არ არის მარტივი, მხოლოდ მარტივი დადებითობა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა განსაზღვრებში, მაგალითად, არისტოტელესთან (რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი). უსასრულო დასკვნის ერთიანობა არის ის ზოგადობა (შინაარსეული ზოგადობა), რომელიც შინაგან უარყოფას აუცილებლობით შეიცავს და ამიტომ ასევე აუცილებლობით შეიცავს მის მხარეებს—შინაარსეულ კერძოებს. ამიტომ აქ სისრულით არის განხორციელებული ზოგადისა და კერძოს ლოგიკური ერთიანობა, რაც სიმარტივეს არ უდრის, არ წარმოადგენს.

რაიმეს დაფუძნება მისივე უარყოფით არის შემცველი სხვადასხვა მომენტისა, რომლებიც საფუძვლად უძევს დედუქციას, ინდუქციას, რედუქციას და სხვ. რაიმეს დასაბუთება მისივე უარყოფით ისეთი ლოგიკურია, რომელიც არ დაიყვანება არც დედუქციაზე, არც ინდუქციაზე და არც რედუქციაზე, თუმცა მათ საწყისს წარმოადგენს, შეიცავს რა ისეთ მომენტებს, რომლებსაც თავისებური დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის ხასიათი აქვთ. ამიტომ უსასრულო დასკვნა საწყისია იმ დასკვნებისა, რომლებშიც

აღნიშნული მეთოდებია განხორციელებული. ეს მეთოდები ლოგიკურ გამართლებას პოულობენ უსასრულო დასკვნაში, ამიტომ ეს უკანასკნელი მათ ლოგიკურ საწყისს წარმოადგენს.

ეს გარემოება მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უსასრულო დასკვნა არის ზოგადისა და კერძოს გარკვეული ერთიანობა, სადაც ზოგადი და კერძო არა მოცულობითი, არამედ შინაარსეული ბუნებისანი არიან.

რაიმეს დადგენა — დასაბუთება მისივე უარყოფით არის ისეთი ერთიანობა, როგორც შინაარსეული ზოგადობა, რომელსაც აუცილებლობით ექვემდებარება მისივე მომენტები — უარყოფა და დადგენა, როგორც ერთმხრიობები, შინაარსეული კერძოები (დადგენა, როგორც უარყოფასთან დაპირისპირებული, არის შინაარსეული კერძო, ისე როგორც პირიქით). აქ ადგილი აქვს ზოგადობის კერძოებად თავისებურ გაორებას, როგორც ერთიანის აუცილებელ გაორებას (აქ კერძო შეიძლება იყოს მხოლოდ ორი, რადგან ისინი წინააღმდეგობის მხარეებს წარმოადგენენ, წინააღმდეგობას კი მხოლოდ ორი — ურთიერთგამომრიცხავი მხარე აქვს).

რამდენადაც აქ ზოგადი იქვემდებარებს თავის მომენტებს, როგორც კერძოებს, და რამდენადაც ერთიანის ერთგვარი გაორება გვაქვს, ამდენად ადგილი აქვს თავისებურ დედუქციას, დედუქციურ დასკვნას. ეს დედუქციურობა ერთი მხარეა უსასრულო დასკვნა-დასაბუთებისა, ამ მხარეს მთელით აქვს აზრი, ის დაქვემდებარებული მომენტია მთელისა, როგორც გარკვეული დასკვნისა.

მეორე მხრივ, რამდენადაც უსასრულო დასკვნა-დასაბუთებაში ადგილი აქვს უარყოფის საშუალებით იმის დადგენას, რაც უარყოფილ იქნა, ამდენად აქ არის ასეთი მომენტიც: წინააღმდეგობის, ე. ი. უარყოფით და დადგენით ისეთის მიღება, რომელიც მათ ძირს — ერთიანობას წარმოადგენს. რამდენადაც ეს ერთიანობა განიხილება როგორც ზოგადი, დადგენა და უარყოფა კი როგორც ერთმხრიობები — შინაარსეული კერძოები, ამდენად აქ ადგილი აქვს კერძოებიდან (ორი საპირისპირო კერძოდან) ზოგადის, როგორც ერთიანობის — შინაარსეული ზოგადის მიღებას. ეს კი არის თავისებური ინდუქცია, რადგან იგი კერძოებიდან ზოგადის მიღებას წარმოადგენს.

მაგრამ რამდენადაც ეს — შინაარსეული კერძოები შედეგის აზრით განიხილება, შედეგს წარმოადგენენ, ამ შედეგით კი აუცი-

ლებლობით მიიღება ის ერთიანობა, რომელიც მათი საფუძველია. ამდენად, სწორედ ამ აზრით, საქმე გვაქვს შედეგიდან საფუძველზე გადასვლასთან, შედეგიდან საფუძველის მიღებასთან, ერთგვარ უკანდასკვნასთან, თავისებურ რედუქციასთან, რედუქციულ დასკვნასთან.

მაშასადამე, დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია უსასრულო დასკვნა-დასაბუთების მომენტებს წარმოადგენენ. ამ მეთოდების საწყისები უსასრულო დასკვნის მომენტებია. ამიტომ უსასრულო დასკვნა, არის საწყისი საერთოდ დასაბუთებისა, როგორც გარკვეული ლოგიკური სისტემისა, რომელიც, სწორედ ლოგიკურ-კატეგორიული აზრით, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

თქმულიდან ნათელია, რომ დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია, როგორც უსასრულო დასკვნის მომენტები, სრულიად თავისებურნი არიან ჩვეულებრივ — ფორმალურ ლოგიკაში განხილულ დედუქცია-ინდუქცია-რედუქციასთან შედარებით. უკანასკნელნი ემყარებიან მოცულობით ზოგადსა და კერძოს, პირველნი კი შინაარსეულ ზოგადსა და კერძოს, წარმოადგენენ ზოგადისა და კერძოს გარკვეულ დამოკიდებულებას.

უსასრულო დასკვნა-დასაბუთების ერთი — დედუქციური მომენტი შინაარსეული ზოგადიდან ასეთივე კერძოს მიღებაა. ეს არის ერთიანობიდან მისი ერთმხრივობის აუცილებელი მიღება. მაშინ როცა ჩვეულებრივი დედუქცია, მაგალითად, ტრადიციული ლოგიკის კატეგორიული სილოგიზმი, ეს არის მოცულობითი ზოგადიდან („ყველა") კერძოს („ზოგიერთი" თუ ერთი) მიღება. პირველი აზრს აძლევს მეორეს, რადგან სიმრავლეში, რომელსაც ეს სილოგიზმი ემყარება, მეორდება ერთი და იგივე შინაარსეული ზოგადი (მაგალითად „ყველა წარმოებაში" მეორდება ერთი და იგივე წარმოება, როგორც ერთიანობა მისი მომენტებისა).

ასევე ითქმის ინდუქციის შესახებაც. უსასრულო დასკვნა-დასაბუთების ერთი მომენტი, როგორც ითქვა, თავისებური ინდუქციაა, კერძოებიდან ზოგადის მიღებაა, და კერძოები ერთმხრივობებია, მომენტებია მათი ერთიანობის, როგორც ზოგადობის, მაშინ როცა ჩვეულებრივ ინდუქციაში ერთნაირი ერთეულებიდან მიიღება მოცულობითი ზოგადი („ყველა"), ყოველ შემთხვევაში, უნდა მიიღებოდეს.

ჩვეულებრივი ინდუქცია არ არის სრული ლოგიკური აუცილებლობის მქონე დასკვნა, არ არის სრული დასკვნა, რადგან ის ალბათური ხასიათისაა, ე. ი. რამდენიმე კერძო არ გამოდგება ზოგადის საკმაო საფუძვლად, მაშინ როცა შინაარსეული კერძოებიდან შინაარსეული ზოგადის მიღება სრული ლოგიკური აუცილებლობის მქონე დასკვნას წარმოადგენს, რადგან აღებულია მხოლოდ ორი შინაარსეული კერძო და ურთიერთ-გამორიცხვა-დადგენით (რაც სასრულის ბუნებას ამოსწურავს) მიიღება ამ ერთმხრიობათა (ორი ერთმხრიობის, რადგან, ვიმეორებთ, წინააღმდეგობას, რომელიც სასრულის ბუნებას ამოსწურავს, მხოლოდ ორი მხარე აქვს) ერთიანობა, როგორც ზოგადობა, რომელიც მათ აუცილებელ საფუძველს, უკეთ, აუცილებელ და საკმაო საფუძველს წარმოადგენს. აქ ნამდვილად ხორციელდება ინდუქციური დასკვნა, როგორც კერძოდან ზოგადის მიღება, თუმცა იგი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ინდუქციისაგან.

როგორც ცნობილია, რედუქციის თეორიებში, რედუქციულ ლოგიკაში ვერ იქნა მონახული რედუქციული დასკვნა; მეთოდზე ზოგადი მითითებები, ამ მეთოდის დახასიათება ვერ იქნა წარმოდგენილი დასკვნის სახით, უკეთ, ვერ იქნა მონახული დასკვნა როგორც შედეგიდან საფუძველზე გადასვლა, თუმცა რედუქციულ მეთოდს მხოლოდ ასეთი დასკვნით და ასეთ დასკვნებში შეიძლება ჰქონდეს გამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მხოლოდ ზოგად, ისიც გაურკვეველ ხერხად დარჩება.

რედუქციული დასკვნა, როგორც მართლაც დასკვნა, შეიძლება განხორციელდეს საპირისპიროთაგან, როგორც შედეგებიდან, მათი ერთიანობის, როგორც საფუძვლის, მიღებაში, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს შინაგანი უარყოფა, შინაგანი ურთიერთ-უარყოფა, როგორც საფუძვლის აუცილებელი მიღება-დადგენის საშუალება.

რედუქციისა და ინდუქციის ზემოთ გადმოცემული დახასიათება შეიცავს ერთგვარ გაურკვევლობას, სახელდობრ, იმას, რომ ეს ორი მეთოდი თითქოს არ განსხვავდება ერთიმეორისაგან, რადგან ორივეგან კერძოდან ზოგადის მიღება გვაქვს. მართალია, ინდუქციას ერთგვარი რედუქციულობაც ახასიათებს, რადგან კერძოდან ზოგადის მიღება კერძოს საფუძვლის მიღებაა (ამ გარემოებას

ჩვეულებრივ ინდუქციაშიც აქვს ადგილი, როგორც ეს ზიგვარტმა აღნიშნა, როცა ინდუქცია რედუქციის სახედ წარმოიდგინა[1]), და რედუქციასაც ერთგვარი ინდუქციურობაც ახასიათებს, რადგან აქ ადგილი აქვს კერძოდან ზოგადის მიღებას, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. საქმე იმაშია, რომ ინდუქცია (ისე როგორც დედუქცია) საფუძვლიდან შედეგის მიღებაა (ინდუქციაში საფუძვლად კერძოა აღებული, დედუქციაში კი — ზოგადი), მაშინ როცა რედუქცია შედეგიდან საფუძვლის მიღებას წარმოადგენს. რედუქციის გზა დასაბუთების გზაა, რამდენადაც დასაბუთებაში (განსხვავებით დასკვნისაგან) მოცემულია თეზისი და ეძებენ მის გამმართლებელ საფუძველს. რედუქციის გზა დადებით-რეგრესულ გზას წარმოადგენს: თუ არის შედეგი, მაშინ არის საფუძველი, რაც უარყოფილია ფორმალურ-ლოგიკურ მოძღვრებაში პირობით-კატეგორიული დასკვნის შესახებ.

ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის შინაარსეული კერძოობა და ზოგადობა, მათ დამოკიდებულებაზე აგებული დასკვნები, დასაბუთების მეთოდები, რომლებიც მათ ითვალისწინებენ და განახორციელებენ. ვერც ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკაში შეიქმნა დიალექტიკური დასკვნის თეორია (როგორც ეს ჩვენ გარკვეული ვქონდა შრომაში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში"). დიალექტიკურ ლოგიკაში უნდა შეიქმნას მოძღვრება ისეთი დასკვნების შესახებ, რომლებიც შინაარსეული ზოგადისა და ასეთივე კერძოს დამოკიდებულებას განახორციელებენ; უნდა შეიქმნას ისეთი დედუქცია და ინდუქცია, რომლებიც დიალექტიკის უშუალო მომენტებს წარმოადგენენ, სახელდობრ ის მეთოდები, რომლებიც მოკლედ ზემოთ იქნენ დახასიათებულნი, და რომელთა საფუძველზეც გამართლდება ჩვეულებრივი დედუქცია და ინდუქცია.

ერთეულისა და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობის საფუძვლად აღება და ამ ერთიანობიდან მისი მხარეების — 1) ერთეული არის ზოგადი და 2) ერთეული არ არის ზოგადი — გამოყვანა თავისებურ დედუქციას წარმოადგენს, სადაც ერთიანობა ზოგადობაა, მისი მხარეები, მომენტები, ერთმხრიობები კი კერძოებს წარმოადგენენ. მაგრამ თუ გამოსავლად ავიღებთ აქ აღნიშნულ კერძოებს, შედეგად კი მათ ერთიანობას მივიღებთ, მაშინ საქმე გვექნება თავისებურ ინდუქციასთან, რომელიც ახორ-

---

[1] Ch. Sigwart, Logik, II, 1893, S. 289 (§92).

ციელებს შინაარსეულ კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულებას. კერძოდან, მაგალითად, მსჯელობიდან „ერთეული არის ზოგადი" უშუალოდ გამოდის მსჯელობა „ერთეული არ არის ზოგადი", რადგან მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი" უკვე შეიცავს და აუცილებლობით გულისხმობს იმას, რომ ერთეული არ არის ზოგადი. ასეთი გამოყვანა, ეს არის კერძოდან კერძოს უშუალო გამოყვანა, გარკვეული უშუალო დასკვნა, რომელიც ახორციელებს შინაარსეული ზოგადისა და ასეთივე კერძოს დამოკიდებულებას. მაგრამ ამ ორი კერძოს აუცილებელი კავშირ-ერთიანობა, რომელიც ამ კერძოების დაკავშირებით მიიღება, ეს იქნება გარკვეული, თავისებური ინდუქციური დასკვნა, რასაც დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათი ექნება. „ერთეული არის ზოგადი" და „ერთეული არ არის ზოგადი" ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაგრამ ეს საპირისპირონი აუცილებლობით იგულისხმებიან ერთეულისა და ზოგადის ერთიანობაში, რომელიც ამ საპირისპიროებაა ორდება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგადის უარყოფა არის კერძო, რომელიც ზოგადია, თუ ის ცალკე იქნა წარმოდგენილი: ზოგადი არის მისი უარყოფის — კერძოს უარყოფა; პირიქითაც; კერძოს უარყოფის უარყოფა ისევ კერძოა. აქ გვაქვს კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რაც შეესრულებულია უარყოფის უარყოფით—ურთიერთუარყოფით. ე. ი. წინააღმდეგობით. წინააღმდეგობის საშუალებით მიიღება წინააღმდეგობის ერთიანობა; ეს კი არის გარკვეული, შინაარსეული ინდუქცია.

ამ დასკვნების და აქ აღნიშნული დედუქცია-ინდუქცია-რედუქციის და სხვა მეთოდების, ისე როგორც დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, ბუნების გარკვევა ცალკე გამოკვლევას (და გამოკვლევებს) მოითხოვს, ჩვენ კი ამჟამად აქ აღნიშნულით დავკმაყოფილდებით, რადგან ამ შრომის ამოცანას წარმოადგენს არა დასკვნის თუ დასაბუთების თეორიის მოცემა, არამედ — მხოლოდ ერთი საკითხის, სახელდობრ, დასაბუთების ლოგიკური საწყისის ბუნების გამორკვევა.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დასაბუთების ლოგიკურ საწყისს წარმოადგენს ის პირველი ლოგიკური, რომელიც დიალექტიკურია თავისი ბუნებით, ეს არის უსასრულო დასკვნა, როგორც შინაარსეული ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულებათა —

ინდუქციურ და დედუქციურ დამოკიდებულებათა სათავე, დამქვემდებარებელი. დედუქციის, ინდუქციის, რედუქციისა და სხვა მეთოდები წარმოადგენენ დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, მომენტებს. დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, ტიპიური და სრული ფორმით, ხორციელდება უსასრულო დასკვნაში.

6. თუ დასაბუთების საწყისი არის უსასრულო დასკვნა, ე. ი. ისეთი ლოგიკური, რომელიც თვითდაფუძნებას წარმოადგენს, მაშინ გამართლებული იქნება დასაბუთება, მაგრამ ისმის საკითხი: უსასრულო დასკვნა, როგორც თვითდაფუძნება და როგორც დასაბუთების საწყისი, ხომ არ არის „დასაბუთების დასაბუთება", როგორც უაზრობა, რომელსაც არისტოტელე ებრძოდა? ხომ არ გვაქვს აქ საქმე ლოგიკურ სიყალბესთან?

როგორც ეს ზემოთ ითქვა, არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დაუსაბუთებელი, გაუშუალებელი. უშუალო დებულება (აქსიომა), რადგან დასაბუთების დასაბუთება ლოგიკურად ყალბი მდგომარეობაა; თუ დასაბუთებას სჭირდება დასაბუთება, მაშინ კიდევ საჭირო იქნება ახალი დასაბუთება და ა. შ. უსასრულოდ. თუ დასაბუთებას დასაბუთება სჭირდება, მაშინ არ არსებულა არავითარი დასაბუთება.

დასაბუთების დასაბუთების მოთხოვნა ლოგიკურად ყალბ მდგომარეობას წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, თუ დასაბუთება გაგებულია როგორც გარეგანი საფუძვლით დასაბუთება. რაიმე დებულების დასაბუთება თუ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას აქვს გარეგანი საფუძველი, როგორც გარკვეული სხვა დებულება, მაშინ, ცხადია, ამ სხვა დებულების დასაბუთებას დასჭირდება კიდევ სხვა საფუძველი და ა. შ. უსასრულოდ, ე. ი. მივიღებთ შეცდომას. რაიმეს დასაბუთება შეუძლებელი იქნება, თუ იგი იწვევს უსასრულო რეგრესში წასვლას, თუ საბოლოო საფუძველი გადაკარგულია უსასრულობაში, ე. ი. არ არსებობს.

მაგრამ, როგორც გაირკვა, დასაბუთება არ უდრის გარეგანი საფუძველით დაფუძნებას, არსებობს თვითდაფუძნება-დასაბუთება. ამიტომ დასაბუთების დასაბუთება არ არის შეცდომა, თუ არ მოითხოვენ და არ არის საჭირო გარეგანი საფუძველი; საფუძველი შეიძლება იყოს შინაგანი, ამიტომ დასაბუთება თავისი თავით, ეს იქნება თავისებური დასაბუთების დასაბუთება, რომელიც არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ, როგორც ეს ზემოთ იქნა ნათელყო-

ფილი, აუცილებელიცაა, — აუცილებელია სწორედ დასაბუთებისათვის. თუ დასაბუთება მართლდება საწყისით (საწყისი სწორედ ასეთ რამეს ჰქვია), რომელიც თავის თავის გამართლებას — დასაბუთებას წარმოადგენს, მაშინ არავითარი შეუსაბამობა არ არსებობს არც საწყისით დასაბუთების გამართლებაში და არც იმაში, რომ საწყისი დასკვნა თვითონ **არის დასაბუთება, სახელდობრ**, თავისი თავის დასაბუთება, თვითდაფუძნება.

თუ გამოთქმას „დასაბუთების დასაბუთება" მოვერიდებით, მაშინ მის მაგიერ უნდა ავიღოთ „უსასრულო დასკვნა" და ვთქვათ, რომ იგი, როგორც დასაბუთება, არის ამხსნელი და მომხსნელი იმ შეცდომისა, რომელსაც დასაბუთების დასაბუთება წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, დასაბუთებას აღარ სჭირდება სხვა დასაბუთება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც იარსებებს საერთოდ დასაბუთება. ის გარემოება, რომ ასეთ დასაბუთებას არ სჭირდება სხვა დასაბუთება, იმას ნიშნავს, რომ მას არ სჭირდება კიდევ სხვა ლოგიკური გამართლება და არა იმას, რომ საჭირო არ იყოს დასაბუთების რეალური საფუძველი. ყოველგვარ დასაბუთებას, კერძოდ, თვითდაფუძნებას, როგორც დასაბუთებას, ესაჭიროება რეალური საფუძველი, რეალური გამმართლებელი, ეს არის რეალური სინამდვილე, ობიექტური სინამდვილე მისი გარკვეულობა-კანონზომიერებით და ადამიანის პრაქტიკა — მისი რევოლუციურ-გარდამქნელი მოქმედება, რომელიც საერთოდ ჩვენი აზროვნების, მთელი ცნობიერების რეალურ-ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს. აზროვნების რეალური საფუძვლის საკითხი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში საბოლოოდაა გადაწყვეტილი. პრობლემას წარმოადგენს დასაბუთების ლოგიკური საწყისი, რომლის ბუნების გამორკვევა ამ შრომის მიზანია. მაშასადამე, თუ ყოველგვარი დასაბუთებისათვის აუცილებელია რეალური საფუძველი, რომელიც, ცხადია, დასაბუთების გარეთ არის, მისთვის გარეგანი საფუძველია, მაშინ თვითდაფუძნება-დასაბუთებისათვის, რომელიც, ცხადია, რეალური საფუძვლის მქონეა, არ არის საჭირო და არც არის შესაძლებელი გარეგანი ლოგიკური საფუძველი; ამიტომ მოხსნილია დასაბუთების დასაბუთების, **როგორც ლოგიკური შეცდომის, საშიშროება.**

თუ დასაბუთების დასაბუთებას გავიგებთ, როგორც თვიდაფუძნება-დასაბუთებას, მაშინ ასეთი დასაბუთების დასაბუთება იქნება არა შეცდომა, არამედ საწყისი, პირველი ლოგიკური და ლოგიკურის პირველი. როცა ადგილი აქვს თავისი თავით დადგენა-დასაბუ-

თებას, მაშინ დამსაბუთებელიც დგინდება-საბუთდება. ამიტომ აქ ადგილი აქვს დასაბუთების დასაბუთებას, როგორც სრულ ლოგიკურს, სრულ დასკვნას. ეს დასკვნა, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არის, ამავე დროს, დასაბუთებაც, რადგან წანამძღვარი-დამსაბუთებელი საფუძველი არ არის პირობით აღებული, არამედ არის აბსოლუტური ლოგიკური აუცილებლობის, უსასრულო დასკვნაში განხორციელებული აუცილებლობის კომპონენტი. თვითონ უსასრულო დასკვნა, როგორც დასკვნა-დასაბუთება, აღებული მთლიანად, არ საჭიროებს მის გარეთ არსებულ დებულებას, როგორც საფუძველს, არამედ მთლიანად თვითონაა გამართლებული სწორედ თავისი თავით. ასე გამართლებული დასაბუთება არის თავისებური დასაბუთების დასაბუთება, რომელიც აუცილებელია დასაბუთებისთვის, როგორც მისი საწყისი.

დასაბუთება, როგორც თავისი თავის დაფუძნება, არის დასკვნა და პირიქით — უსასრულო დასკვნა არის დასაბუთება; აქ არის დასკვნა-დასაბუთება, ამიტომ ასეთი დასაბუთების დასაბუთება შესაძლებელია. რადგან დასაბუთების საწყისიც დასკვნისა და დასაბუთების, ე. ი. ლოგიკური ხასიათისაა, ამიტომ დასაბუთებაში მოხსნილია დაუსაბუთებელი საწყისი, ყველაფერი დასაბუთებულია; მოხსნილია თავისებური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკური აგნოსტიციზმი.

უსასრულო დასკვნა თავისი თავის საწყისიცაა და ბოლოც, ის დასრულებულია, გარკვეული წრეა; ამიტომ მისი სხვანაირი დასაბუთების საჭიროება მოხსნილია, მისი სხვანაირი დასაბუთება არც შეიძლება, პირიქით, ეს სხვანაირი დასაბუთება სწორედ მას ემყარება, საწყისად სწორედ მას გულისხმობს, წინ უშვებს მას როგორც მისთვის გარკვეულ გამოსავალს, თავისებურ საფუძველს. უსასრულო დასკვნა საერთოდ დასაბუთების საწყისიცაა და ბოლოც, ის არსებაა მთელი დასაბუთების. სწორედ ამიტომაა უსასრულო დასკვნა თვითდადგენა-დასაბუთება. მთელი დასაბუთება ერთ დასკვნაშია განმეორებული, ეს ერთი დასკვნა განხორციელებულია მთელ დასაბუთებაში.

თვითდადგენა არ არის ტავტოლოგია და არც circulus vitiosus. უსასრულო დასკვნა როგორც თვითდადგენა, არ არის: „A არის A“, სადაც არ იგულისხმება განსხვავება, მით უმეტეს-უარყოფა და წინააღმდეგობა. ტავტოლოგიის სიცარიელე და მცდარობა აშ-

კარად ჩანს დასკვნის მაგალითზე. თუ დანასკვი და წანამძღვარი ერთი და იგივეა, მაშინ დანასკვი, როგორც დასასაბუთებელი, წანამძღვარშივეა წინასწარ მოცემული; დანასკვი დასასაბუთებელი დებულებაა, რომელიც წანამძღვარმა (წანამძღვრებმა) უნდა დაასაბუთოს, და თუ წანამძღვარიც იგივეა, რაც დასასაბუთებელი, მაშინ, ასეთი წანამძღვარი დამსაბუთებლად აღარ გამოდგება.ეს ასეა მაშინ, თუ: 1) რაიმეს დასაბუთება გაგებულია, როგორც გარეგანი საფუძვლით დასაბუთება, 2) დასაბუთება ტავტოლოგიურობითაა მოხსნილი, როგორც შინაგანი განსხვავების, შინაგანი უარყოფის არ მქონე.

უსასრულო დასკვნა არ არის ტავტოლოგია და circulus vitiosus, რადგან ასეთი დასკვნა არის სწორედ უსასრულო და არა სასრული დასკვნა. წრე შეცდომას წარმოადგენს სასრულის სფეროში, რადგან აქ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იგივეს განმეორებასთან; უსასრულო დასკვნის დროს კი საქმე გვაქვს სინთეზურობასთან, დასკვნა-დასაბუთება სრულდება შინაგანი უარყოფით. სწორედ ეს სინთეზურობა და მისთვის დამახასიათებელი უარყოფა ხსნის ტავტოლოგიურობას, სასრულ წრიულობას. უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს არა ერთისა და იმავეს განმეორებას, წმინდა იგივეობას, არამედ — იგივეობასთან ერთად განსხვავებასაც, დაპირისპირებასაც; უსასრულო დასკვნა, აღებული მთლიანად, არის დაპირისპირებულთა ერთიანობა; ეს არის დადგენისა და უარყოფის ერთიანობა, უარყოფის საშუალებით თვითდადგენა.

უსასრულო დასკვნა იმით მართლდება, რომ (თუ შეიძლება ასე ითქვას) არ შეიძლება არ გამართლდეს. ამას მოასწავებს ის, რომ უსასრულო დასკვნაში რაიმეს უარყოფა შეუძლებელია, რომ რაიმეს უარყოფით იგივე ფუძნდება. ეს დასკვნა მართლდება უარყოფის გამო; რაიმესთან სხვაა დაკავშირებული, რაიმეს თავის თავში აქვს სხვა, აძდენად სხვაც მართლდება. რაიმე და სხვა ერთშია, თვითონ რაიმეშია; მათი ერთიანობა შინაგანი უარყოფით დგინდება. ის გარემოება, რომ უსასრულო დასკვნის გამართლება ამ გამართლების შეუძლებლობის მოხსნაა, რომ ასეთი დასკვნა შეუძლებელია არ გამართლდეს, იმას ნიშნავს, რასაც, მაგალითად, დეკარტის cogito, ergo sum-ის აზრი,რაც დეკარტეს მიერ ასე გამოითქმება: არ შეიძლება ვიაზრო, რომ არ ვაზროვნებ. აზროვნების უარყოფა თვითონ არის აზროვნება. ეს--ისევე, როგორც კერძოს უარყოფა თვითონ არის კერძო, განკერძოება, და სხვ.

მაშასადამე, უსასრულო დასკვნა, როგორც თვითდადგენა, შესრულებული შინაგანი უარყოფის საშუალებით, არის თვითდასაბუთება, ამ აზრით, დასაბუთების დასაბუთება, რომელსაც, ცხადია, სრულიად სხვა აზრი აქვს, ვიდრე იმ დასაბუთების დასაბუთებას, რომელიც გარეგანი საფუძვლის ცნებას ემყარება და ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს, როგორც ეს არისტოტელემ გარკვეულად აჩვენა. მან დასაბუთების დასაბუთების შეუძლებლობით დაუსაბუთებელი საწყისის აუცილებლობა მიიღო. უსასრულო დასკვნით, როგორც დასაბუთების საწყისით, ყველაფერი საბუთდება, ისე რომ circulus vitiosus-იც იხსნება.

7. არისტოტელედან დაწყებული დღემდე (უფრო აშკარად დღევანდელ აქსიომატურ სისტემებში) დასაბუთების სათავეების, საწყისების შესახებ მსჯელობისას მხედველობაში აქვთ მეცნიერული სისტემა და სისტემები და ეძებენ საწყისს თუ საწყისებს ამ სისტემათა შინაარსის გამართლებისათვის. ლოგიკამ, როგორც ასეთმა, პირველ რიგში უნდა გაამართლოს აზროვნების ფორმათა სისტემა, დასაბუთება უნდა წარმოადგინოს როგორც სხვადასხვა სახის დასკვნების სისტემა, ამასთანავე მსჯელობის, ცნების — საერთოდ ამ ფორმათა და მათი სახეების სისტემა.

ასეთი სისტემის წარმოდგენა-დასაბუთება, მასში განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობის ჩვენება შესაძლებელია უსასრულო დასკვნის საფუძველზე, მაშინ როცა უსასრულო დასკვნა აღებულია როგორც დასაბუთების საწყისი. მეორე მხრივ, თვითონ ლოგიკურ ფორმათა სისტემის შესაძლებლობა აუცილებლობით აჩვენებს იმას, რომ დასაბუთების საწყისს სწორედ უსასრულო დასკვნა უნდა წარმოადგენდეს[1].

უსასრულო დასკვნა არის საწყისი, ზოგადი საწყისი დასაბუთების, დასკვნის, მსჯელობის, ცნების და მათი სახეებისათვის, როგორც აზროვნების ფორმებისათვის, რომელთა სისტემა ლოგიკის სისტემას მოგვცემს. თვითონ ეს სისტემა იქნება თავისებური დასაბუთება, რომლის საწყისი იმავე დროს შეიძლება იყოს დასაწყისიც, როგორც ამას შემდეგში ნათელვყოფთ. ლოგიკა, როგორც ასეთი სისტემა, არის ფილოსოფიური მეცნიერება. ასეთი ლოგიკა შე-

---

[1] ჩვენ ამ საკითხს აქ შევეხებით საკითხის დასმის აზრით, ისე კი ის უნდა გადაწყდეს სისრულით მხოლოდ ლოგიკის სისტემის განხორციელებით.

ქმნა პირველად ჰეგელმა იდეალიზმის საფუძველზე, მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე მისი შექმნა კი გადაუდებელ ამოცანად დგას.

როგორც ითქვა, უსასრულო დასკვნა, ერთი მხრივ, თავის თავში დახურული ლოგიკურია, მეორე მხრივ, კი საწყისია დასაბუთების. ეს გარემოება ჰქმნის ერთგვარ სიძნელეს, რომელიც შეიძლება ასე გამოითქვას: თუ უსასრულო დასკვნა თავის თავში დახურული, ჩაკეტილი და დასრულებულია, მაშინ როგორ შეიძლება ის იყოს საწყისი დასაბუთებისა, საწყისი სხვა დასკვნების სისტემისა? როგორ შეიძლება უსასრულო დასკვნა სხვა დასკვნებს დაუკავშირდეს? როგორ გამომდინარეობენ იქიდან სხვა დასკვნები? სხვანაირად: როგორ არის უსასრულო დასკვნა საწყისი? მაშასადამე, ამით იგივე პრობლემა ისმის, რასაც ჩვენ ზემოთ ვარკვევდით, მაგრამ ისმის თავისებურად. ამ თავისებურებაში ჩვენი პრობლემა სისრულით ჩანს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას ის, რაც ზემოთ აღინიშნა, რომ უსასრულო დასკვნაში სისრულით არის განხორციელებული დიალექტიკის „ბირთვი"—დაპირისპირებულთა ერთიანობა; რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა-დასაბუთება დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ამ უკანასკნელის ლოგიკური გამოთქმაა. თუკი უსასრულო დასკვნის მომენტებს გამოვაცალკევებთ, მაშინ, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, გვექნება თავისებური დასკვნები; უსასრულო დასკვნიდან უშუალოდ გამომდინარეობს შინაარსეული ზოგადსა და ასეთივე კერძოზე დამყარებული დედუქციური, ინდუქციური და რედუქციური დასკვნის ფორმები. რადგან ეს უკანასკნელნი უსასრულო დასკვნის სწორედ მომენტებს წარმოადგენენ. მომენტი სწორედ იმას ჰქვია, რასაც მთელის თვისებაც აქვს, მაგრამ იგი, ცხადია, თავისებურების მქონეცაა.

როგორც ითქვა, რამდენადაც უსასრულო დასკვნაში ერთიანობა აზრს აძლევს და შესაძლებელს ხდის დადგენასაც და უარყოფასაც, როგორც მის გარკვეულ მომენტებს, ამდენად ზოგადიდან გამოიყვანება კერძო, შინაარსეული ზოგადიდან მიიღება შინაარსეული კერძო — შინაარსეული ზოგადის ერთმხრიობა. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დედუქციური დასკვნების ფორმა გამოდის უსასრულო დასკვნის ბუნებიდან; რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთებიდან გამოდის რაიმეს უარყოფაც და რა-

იმეს დადგენაც, ესე იგი უსასრულო დასკვნა დედუქციური დასკვნების საწყისია, ისინი მისგან აუცილებლობით მიიღებიან. ასე ითქმის ინდუქციური დასკვნების შესახებაც. ინდუქციური დასკვნის ფორმა უშუალოდ გამოიყვანება უსასრულო დასკვნიდან, რადგან, როგორც აღინიშნა, დადგენა-უარყოფიდან, როგორც კერძოებიდან — ერთმხრიობებიდან, მიიღება. სწორედ უარყოფის საშუალებით, მათი აუცილებელი კავშირ-ერთიანობა, როგორც გარკვეული, სახელდობრ. შინაარსეული ზოგადობა (ეს ზოგადობა, როგორ ჩანს, არის ზოგადობა, დასკვნის ფორმის თვალსაზრისითაც). ამიტომ ინდუქციის სათავე და გამართლება უსასრულო დასკვნაშია. ამრიგად, უსასრულო დასკვნა არის საწყისი როგორც დედუქციური დასკვნის ფორმის, ისე ინდუქციური დასკვნის ფორმისაც. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ უსასრულო დასკვნაში გვაქვს რედუქციის მომენტიც. ამიტომ რედუქციულ-ლოგიკურის ფორმაც მისგან გამომდინარეობს. როგორც გარკვეული გამმართლებელი საწყისიდან თუ სათავიდან, ლოგიკური პირველიდან, ამავე დროს — ლოგიკურის პირველიდან.

უსასრულო დასკვნის მომენტებზე დამყარებული, მისგან გამომდინარე დასკვნები თვითონ არიან არა უსასრულო, არამედ სასრულო დასკვნები. უსასრულო დასკვნა არის უპირობო დასკვნა. რადგან მას სხვა წანამძღვარი, სხვა ლოგიკური პირობა არ აქვს; უსასრულო დასკვნა უპირობო დასკვნაა, ლოგიკური თვითდაფუძნებაა. პირობითი დასკვნები კი ლოგიკურ ერთგვარ გარეგან საფუძველს ემყარებიან; უსასრულო დასკვნის მომენტები, როგორც გარკვეული დასკვნები და ჩვეულებრივი — ფორმალურ ლოგიკაში განხილული დასკვნები — პირობითი ხასიათისანი არიან და ამიტომ ექვემდებარებიან პრინციპს: „თუ არის A, მაშინ არის B", გაგებული როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, სადაც შედეგს — B წინ უსწრებს A, როგორც მისი საფუძველი, ეს პრინციპი სხვანაირად ასე გამოითქმება: თუ არის წანამძღვრები (საფუძველი), მაშინ არის დანასკვი (შედეგი). უსასრულო დასკვნაში არ არის ასეთი დანაწევრება წანამძღვრებად და დანასკვად, მასში არის აღებული ერთი აზრი, როგორც რაიმე, დადგენილი საკუთარი უარყოფით — A დადგენილია არა-A-თი (სადაც „არა" აღებულია შედარებითი მნიშვნელობით), ეს არის შინაგანი უარყოფის შემცველი A.

უსასრულო დასკვნიდან გამომდინარეობენ სასრული დასკვნები. ეს გამომდინარეობა არის დედუქციური ხასიათის, რადგან უსასრულო დასკვნა შინაარსეული ზოგადია მისი მომენტების — ერთმხრიობების, ამ აზრით, კერძოების მიმართ. შინაარსეული ზოგადი ამართლებს ასეთივე კერძოებს, მის მომენტებს. ასეთი აუცილებელი კავშირია უსასრულო და სასრულო დასკვნებს შორის. მათი ერთიანობა ზოგადისა და კერძოს ერთიანობაა.

ზემოთ ნათქვამი შეიძლება გადმოცემულ იქნეს უფრო ზუსტად შემდეგი სახით: საწყისი არის უსასრულო დასკვნა, რადგან, როგორც ითქვა, მას არ აქვს წანამძღვარი. უსასრულო დასკვნის „წანამძღვარი" და „დანასკვი" მასშივეა; მისი საფუძველ-შედეგი შინაგანია, რადგან ის თვითდაფუძნებაა, რომელშიც მოქმედებს უარყოფის მომენტი: რაიმე დგინდება მისივე უარყოფით, რაც უშუალოდ წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომლის ზოგადი აზრი, აღებული დაპირისპირების გარეშე, მაგრამ მისი გულისხმობით არის ცნება. ამიტომ ეს ცნება არის მომენტი, დაქვემდებარებული უსასრულო დასკვნაზე, როგორც ლოგიკურად სრულზე. მაშასადამე, პირველი (უსასრულო) დასკვნაა, ცნება კი მეორეა მის მიმართ, როგორც ნაკლებ სრული, ასე ვთქვათ. „შემოკლებულად" წარმოდგენილი დასკვნაა.

ცნება, **როგორც უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი**, ამ დასკვნაში განისაზღვრება, რის გარეშეც ის არის ცარიელი სიტყვა. მაგალითად, ჭეშმარიტება, ცარიელი სიტყვაა მისი განსაზღვრების გარეშე, ასევეა, ზოგადი, კერძო, უარყოფა, წინააღმდეგობა, უსასრულო და სხვა. ცნების განსაზღვრების ფორმალური ლოგიკური წესის განვითარება, მისი აზრის საბოლოოდ სისრულით წარმოდგენა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ზოგადისა და კერძოს დადგენას ნიშნავს. ამიტომ უსასრულო დასკვნის შინაარსეული ზოგადობა, წარმოდგენილი ცნების სახით, მისი განსაზღვრების შედეგად იყოფა ორ ცნებად (აქ უკავშირდება ცნების გაყოფა ცნების განსაზღვრებას) — ზოგადად და კერძოდ. მაგალითად, თვითონ ზოგადობა, აღებული აბსოლუტური, უპირობო აზრით, იქნება ერთიანობა ზოგადისა და კერძოსი. ეს ერთიანობა არის ცნება, რომელიც სრული სახით წარმოდგენილია დასკვნაში, უსასრულო დასკვნაში, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა: ზოგადის უარყოფით მიიღება კერძო, კერძოს უარყოფით — ზოგადი. — ეს არის ზოგა-

დის უარყოფის უარყოფა, ზოგადის უარყოფით ზოგადისავე დადგენა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ უპირობოდ აღებული ზოგადი იყოფა ორ ცნებად: პირობითად აღებულ ზოგადად (კერძოს დაპირისპირებული ზოგადი) და კერძოდ.

ასევე ითქმის აზროვნების ცნების შესახებაც. აზრის მიერ თავისი თავის უარყოფა თვითონ არის აზრი. დეკარტის cogito-ში ერთი ცნებაა აზროვნება, რომელიც ერთიანობაა მისი უარყოფისა და მისივე დადგენისა. მაგრამ ეს არის შინაგანი გაორება ორ მხარედ — კერძოსი და ზოგადის დაპირისპირება. ერთი ცნება ორ ცნებად იშლება, ორად იყოფა გარკვეულ დამოკიდებულებაში.

უსასრულო დასკვნის ერთი მომენტის—ზოგადის დამოკიდებულება მის საპირისპირო კერძოსთან, მათი ლოგიკური დაქვემდებარების აზრით, ორმხრივია: ზოგადს ექვემდებარება კერძო და პირიქით — კერძოს ზოგადი, რადგან ზოგადი აუცილებლობით გულისხმობს კერძოს და პირიქით, ისინი ერთიმეორით განისაზღვრებიან. ამიტომ უსასრულო დასკვნიდან, ამ ცნებების დამოკიდებულების საფუძველზე, ვღებულობთ შინაარსეულ დედუქციას, ინდუქციასა და რედუქციას, როგორც ეს ზემოთ იყო გარკვეული.

უსასრულო დასკვნაში ნაგულისხმევი და განხორციელებული მომენტების დამოკიდებულება, რომელსაც ადგილი აქვს შინაარსეულ დედუქცია-ინდუქციაში, ექვემდებარება პრინციპს: თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო და პირიქით; ანდა უფრო ზოგადად; თუ არის A, მაშინ არის B. ამ დამოკიდებულების ფორმალურად სრული წარმოდგენა რვამხრივია, რასაც ფორმალური ლოგიკის პირობითი დასკვნებიც აუცილებლობით გულისხმობენ. ეს რვამხრივი დამოკიდებულება შემდეგია: 1) თუ არის A, მაშინ არის B. 2) თუ არის B, მაშინ არის A, 3) თუ არ არის A, მაშინ არ არის B, 4) თუ არ არის B, მაშინ არ არის A. 5) თუ არის A, მაშინ არ არის B. 6) თუ არის B, მაშინ არ არის A, 7) თუ არ არის A, მაშინ არის B, 8) თუ არ არის B, მაშინ არის A. ამ დამოკიდებულების ფორმალური სისრულე (ეს სისრულე იმასაც გულისხმობს, რომ ამ დამოკიდებულების ის მხარეებიც არსებობს, რომელიც გამოითქმება არა-A-ს და არა-B-ს ცნებების მოხმარით, მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა) შინაარსობლივადაც სრულია, თუკი A და B აღებული იქნება როგორც დაპირისპირებულები, ე. ი. თუ მხე-

დველობაში გვექნება უსასრულო დასკვნის მხარეთა დამოკიდებულება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომლის შინაარსაც სწორედ რვამხრივი დამოკიდებულება ამოწურავს (როგორც ეს ჩვენ გარკვეული გვაქვს შრომაში „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“).

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ უსასრულო დასკვნის მომენტთა დამოკიდებულება რვამხრივია, რომლის თითოეული მხარე არის პრინციპი ჩვეულებრივი — ფორმალურ ლოგიკაში განხილული დასკვნების გარკვეული სახისა. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არისტოტელეს დებულება „თუ არის A, მაშინ არის B“ ესმის, როგორც სილოგიზმის, სილოგისტური დასაბუთების ზოგადი გამოთქმა, როგორც ამ დასაბუთების პრინციპი. ამიტომ ნათელია, რომ აქ აღნიშნული რვამხრივი დამოკიდებულება არის საწყისები ჩვეულებრივი დასკვნებისა, ე. ი. რვამხრივი კავშირის შედეგად ყალიბდება ჩვეულებრივი დასკვნები, რომლებიც ლოგიკის სისტემაში სწორედ ამ ადგილზე უნდა იქნეს წარმოდგენილი.

თუ უსასრულო დასკვნის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე, დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია შინაარსეული ზოგადის და ასეთივე კერძოს დამოკიდებულებებს წარმოადგენენ, რვამხრივი კავშირის თითოეულ მხარეზე დამოკიდებული დასკვნები, რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში განიხილებიან, ძირითადად ექვემდებარებიან ზოგადის, კერძოსა და მათი დამოკიდებულების მოცულობით გაგებას, სულ ერთია ცნების მოცულობა ტრადიციული გაგებით იქნება აღებული, თუ ის წარმოდგენილი იქნება როგორც ერთეულთა გარკვეული სიმრავლე. მაგრამ ისიც ნათელია (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა), რომ ჩვეულებრივი დასკვნები ემყარებიან, გამოდიან იმ დასკვნებიდან, რომლებშიც განხორციელებულია შინაარსეული ზოგადის და ასეთივე კერძოს დამოკიდებულება, რადგან მოცულობითი ზოგადი სხვა არაფერია, თუ არა განმეორებული შინაარსეული ზოგადი (ყველა წარმოება იმეორებს ერთ წარმოებას, როგორც გარკვეულ ერთიანობას მისი მომენტებისა, ყველა ადამიანი — ერთ ადამიანს და სხვ.), მოცულობითი კერძო კი არის შემოფარგლული მოცულობითი ზოგადი, „ზოგიერთი“ არის შემოფარგლული „ყველა“. ამიტომ და აქ აღნიშნული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ მოცულობითი არის შინაარსეულის გარკვეული

მოვლენა. მოვლენა იმას ექვემდებარება, რის მოვლენასაც ის წარმოადგენს.

სხვანაირად: ჩვეულებრივი დასკვნების საფუძვლად მდებარეობს უსასრულო დასკვნის მხარეები, წარმოდგენილი როგორც კერძოები, ერთმხრიობები, რომლებიც შინაარსეული ზოგადის, როგორც ერთიანობის, მომენტებს წარმოადგენენ. ეს არის შინაარსეული მსჯელობა, როგორც კატეგორიათა კავშირი („ერთეული არის ზოგადი", „ერთეული არ არის ზოგადი"). შინაარსეული მსჯელობის აზრი საფუძვლად ძევს ჩვეულებრივი დასკვნისა; მაგალითად, სილოგიზმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერთეული არის ზოგადი (Barbara-ში S არის M და M არის P). ამიტომ შინაარსეული მსჯელობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ჩვეულებრივი დასკვნა და ეს უკანასკნელი დაყვანილ იქნეს მსჯელობის აზრზე.

ჩვეულებრივი დასკვნის ელემენტს, მის მხარეს და შედეგს წარმოადგენს ჩვეულებრივი მსჯელობა S არის (არ არის) P-ს სახით. ამრიგად, ჩვენი დალაგების ბოლოს მივიღეთ მსჯელობა ჩვეულებრივი—ტრადიციული ლოგიკის გაგებით. ეს არის ბოლო საფეხური იმ წყებისა, რომელთა სათავე, დასაწყისი არის უსასრულო დასკვნა.

შეიძლება თქვან, რომ მსჯელობა თვითონ შედგება ცნებებისაგან და ამიტომ მის (მსჯელობის) შემდეგ გვაქვს ახალი საფეხური, ცნების საფეხური, რომელიც ასრულებს იმ დალაგებას, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი. ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ: 1) ასე გაგებული ცნება მოხმარებულია ფორმალურ ლოგიკაში და ამიტომ მსჯელობაზე დაქვემდებარებულ რაიმედ განიხილება. ეს აზრი გარკვეული სიმართლის შემცველია; 2) ამგვარად გაგებული ცნება არის ან წარმოდგენა, რომელიც ლოგიკაში არ შედის, ან ცარიელი სიტყვა, რაც აგრეთვე არ განიხილება ლოგიკის მიერ. ამიტომ მსჯელობა უნდა მივიჩნიოთ ლოგიკურის უმარტივეს ფორმად და ცნება გაგებულ უნდა იქნეს ისე, როგორც ეს ზემოთ იქნა წარმოდგენილი (ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს, ჩვენი ამ შრომის მიზნისათვის აქ თქმულიც საკმარისია).

ამრიგად, მივიღეთ გარკვეული სისტემა, რომელსაც დაღმავალი ხასიათი აქვს და რომელიც შემდეგი სქემით წარმოიდგინება:

1) უსასრულო დასკვნა, 2) ცნება: ა) ცნების განსაზღვრება, ბ) ცნების გაყოფა, 3) ზოგადი და კერძო როგორც ცნებები, 4) სასრული შინაარსეული დასკვნები (შინაარსეული დედუქცია, ინდუქცია, რედუქცია), 5) ლოგიკური კავშირის რვამხრიობა, 6) შინაარსეული მსჯელობა, კატეგორიული ერთმხრიობა, 7) ჩვეულებრივი დასკვნები, 8) ჩვეულებრივი მსჯელობა.

ეს სქემა არის ლოგიკის სისტემის გარკვეული გეგმა, შესრულებული თავისებური დედუქციური და ანალიზური გზით, ზოგადიდან მისი ერთმხრიობების მიღების გზით. უსასრულო დასკვნა არის პირველი და ზოგადი საწყისი მთელი ლოგიკური სისტემისა, როგორც გარკვეული მეცნიერება-დასაბუთებისა. ამ სისტემის საფეხურები თუ წევრები აუცილებლობით არიან დაკავშირებული ერთიმეორესთან. ჩვენ ამ კავშირის ზოგი ელემენტი წარმოვადგინეთ, ე. ი. დავასახელეთ მინიმუმი არგუმენტებისა, რომელიც, თუ ის სისრულით იქნა წამოდგენილი, მოგვცემს მთელი ლოგიკის სისტემას. ამ სისტემაში უსასრულო დასკვნა არის საწყისიც და დასაწყისიც, ყველაფერი მისგან გამოდის და მას ექვემდებარება.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი (დასაწყისიც) და რომ ამ აზრის გამართლება შეიძლება ლოგიკის გარკვეული სისტემის წარმოდგენის საშუალებით.

ლოგიკის ის სისტემა, რომლის ჩონჩხიც აქ სრულიად ზერელედ იქნა წარმოდგენილი, ცხადია, არ არის ერთადერთი სისტემა, რომელიც აჩვენებდა უსასრულო დასკვნის საწყისობას. პირიქით, ეს, ჩვენი აზრით, უფრო ცუდი, უარესი სისტემაა იმ სისტემასთან შედარებით, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც მისი შებრუნებული სახე, შებრუნებული დალაგება ამ სისტემის მომენტებისა.

საქმე იმაშია, რომ ზემოთ მითითებულ სისტემაში ადგილი აქვს დაღმავალ და არა აღმავალ — განვითარებით პროცესს. მისი შებრუნებული სისტემა კი დიალექტიკური განვითარების სისტემა იქნება. ეს სისტემა დაიწყება მსჯელობით და დამთავრდება უსასრულო დასკვნით, როგორც საბოლოო პუნქტით, ლოგიკის სისტემის რეზულტატით, სადაც ლოგიკურის არსება იქნება სრული სახით ნაჩვენები.

ამ—მეორე სისტემის საწყისი იქნება მისი დასაწყისი, წარმოდგენილი ლოგიკურის უმარტივესი ფორმით, ჩვეულებრივი მსჯელობით, რომელიც გაგებული იქნება, როგორც სინთეზური. როგორც S—P. ასეთი მსჯელობა ერთმხრივია, რადგან, თუ ის დადებითია, მაშინ უარყოფითი, რომელიც მას აუცილებლობით აქვს ნაგულისხმევი. მის გარეთ რჩება, თუკი უარყოფითია, მაშინ გარეთ რჩება მისი საპირისპირო მხარე. მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი" გამოთქვამს იმას რომ ცუგას აქვს ძაღლის ნიშანი, მაგრამ მათ შორის განსხვავება უგულებელყოფილია, თუმცა აუცილებლობით არის ნაგულისხმევი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა „ცუგა არი ცუგა" და არა „ცუგა არის ძაღლი".

ასეთი სინთეზური მსჯელობის შესაძლებლობის გამართლება ხდება ჩვეულებრივ დასკვნაში, როცა ასეთი მსჯელობის საფუძველს ეძებენ, მას კი დანასკვად — შედეგად წარმოადგენენ. ტავტოლოგიურ მსჯელობას არ სჭირდება დასაბუთება, რადგან ის არაფერს არ გამოთქვამს, სიცარიელეა. სინთეზური მსჯელობა მოითხოვს გამართლებას, რასაც თითქოს ასრულებს ჩვეულებრივი დასკვნა, მაგრამ ეს მას ვერ ახორციელებს; რადგან: 1) სინთეზური მსჯელობის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ ამოივსოს მისი ნაკლი, სახელდობრ, გაფორმდეს ის, რაც, მაგალითად, ჩვეულებრივ დადებით მსჯელობას აკლია. რა აკლია მას? მას აკლია იმ უარყოფის გაფორმება, რომელიც ყოველ სინთეზში იგულისხმება. S არის P. მაგრამ რომ ეს ასე იყოს, მაშინ საჭიროა იმის გაფორმებაც, რომ S არ არის P, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, S იქნებოდა S და არა P. მაშასადამე, ჩვეულებრივი მსჯელობა მოითხოვს (საკუთარი თავის გამართლებისათვის) საპირისპირო მსჯელობას, მასთან აუცილებელ კავშირს, მაგრამ ასეთ რაიმეს ვერ ასრულებს ჩვეულებრივი დასკვნა; 2) მსჯელობის ტავტოლოგიურობის დაძლევას და მისი სინთეზურობის გამართლებას უნდა წარმოადგენდეს დასკვნა, როგორც დასაბუთება დასკვნითი სინთეზური მსჯელობისა (დანასკვნისა); მაგრამ დასკვნები, რომლებიც აბსტრაქტული იგივეობის კანონს ექვემდებარებიან, ვერ აღწევენ ამ მიზანს და ანალიზური რჩებიან, ეძებენ რა, უკეთეს შემთხვევაში ნიშნის ნიშანს, რომელიც იგივეა, რაც საგნის ნიშანი. ამიტომ ასეთი დასკვნები ისევ ჩვეულებრივი მსჯელობის სფეროში რჩებიან, თუმცა საფუძვლად გულისხმობენ ზოგად ფორმას, რომელიც კატეგორიათა გარკვეული კავშირის ფორმას წარმოადგენს.

ამიტომ მსჯელობის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნასა და ამდენად თვითონ ჩვეულებრივი დასკვნის მოთხოვნას ამართლებს შინაარსეული მსჯელობა, რომელიც კატეგორიათა, სახელდობრ, გარკვეულ დაპირისპირებულ კატეგორიათა თავისებურ კავშირს წარმოადგენს. მაგალითად, ასეთ კავშირს: ერთეული არის ზოგადი და ერთეული არ არის ზოგადი. **აქ გვაქვს დაპირისპირებულთა კავშირი**, სადაც ფორმულირებულია ის უარყოფის მომენტი, რომელიც აუცილებელი იყო ჩვეულებრივი სინთეზური მსჯელობის და ასეთივე დასკვნის გამართლებისათვის.

მაგრამ კატეგორიათა ასეთი კავშირი შეიცავს სიძნელეს, რომელიც დაძლეულ უნდა იქნეს. ამ დაძლევის პირველი ეტაპი ხორციელდება იმის ნათელყოფით, რომ აღნიშნულ კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულების რვანხრიობა დგინდება, სადაც გამოჩნდება აუცილებლობა ერთიანობისა დაპირისპირებულთათვის. ამ რვამხრიობის დამოკიდებულება გაიშლება შინაარსეულ დასკვნაში — შინაარსეულ დედუქცია-ინდუქციაში, რომლებიც აჩვენებენ შინაარსეული ზოგადისა და ასეთივე კერძოს ცნებებს, მათ ნიშნებს მათსავე დაპირისპირებულობაში. ეს დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც ერთი განუწყვეტელი აზრი, იქნება ცნება, რომლის ბუნება სისრულით წარმოსდგება რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში, ე. ი. უსასრულო დასკვნაში, რაშიც საბოლოოდ გამართლდა მსჯელობა, მისი მოთხოვნა.

ამრიგად, ჩვენ მივიღეთ ინდუქციის მსგავსი სინთეზური, უკეთ, დიალექტიკური გზა ლოგიკის სისტემისა, ლოგიკური დალაგების გარკვეული გზა, რომლის დასაწყისი არის მსჯელობა, დასასრული, საბოლოო პუნქტი კი უსასრულო დასკვნაა. ეს არის პირველი სისტემის შებრუნებული სისტემა, რადგან ადგილი აქვს დიალექტიკურ გადასვლებს, განვითარების პროცესს, ლოგიკურ განვითარებას.

ამ ორი სისტემის შედარებისას მრავალი სიძნელე წამოიჭრება, რომელთა გადაჭრა და თვითონ უმჯობესი სისტემის განხორციელება, ეს იქნება ლოგიკის, სახელდობრ, დიალექტიკური ლოგიკის სისტემის ჩამოყალიბება. აქ ჩვენ მხოლოდ დასაბუთების საწყისის პრობლემა გვაინტერესებს და ამიტომ დავსვამთ მხოლოდ ერთ პრობლემას, რომლის გადაწყვეტის ცდასაც შემდეგ ვაჩვენებთ. ეს საკითხია: დასაბუთების საწყისი, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა

სისტემის დასაწყისში უნდა იყოს, თუ ბოლოში? შეიძლება თუ არა დასაბუთების საწყისი იყოს ამავე დროს ლოგიკური, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკური დალაგების დასაწყისიც? ამ კითხვას პასუხი გაეცემა თუ გადავწყვეტთ საკითხს ლოგიკური დალაგების დასაწყისის შესახებ, თუ გავარკვევთ ლოგიკური დალაგების დასაწყისის და დასაბუთების საწყისის დამოკიდებულებას.

მაგრამ სანამ ამ საკითხის გარჩევას შევუდგებოდეთ, მანამ საჭიროა ნათელვყოთ ერთი გაურკვევლობა, რომელსაც ადგილი აქვს ზემოთ წარმოებულ მსჯელობაში დასკვნების დაკავშირების შესახებ.

8. ჩვენ ზემოთ მივუთითეთ იმაზე, თუ როგორ უკავშირდება უსასრულო დასკვნა სასრულ დასკვნებს, მაგრამ არაფერი ვვითქვამს თვითონ უსასრულო დასკვნების კავშირის შესახებ, რის გარკვევაც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს უსასრულო დასკვნის, როგოც დასაბუთების საწყისის, ბუნებას.

როგორც გაირკვა, სასრული დასკვნის ფორმები უსასრულო დასკვნიდან უშუალოდ გამოიყვანება, რადგან პირველნი უკანასკნელის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. მაგრამ უსასრულო დასკვნის ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმას აჩვენებენ, რომ უსასრულო დასკვნა არ არის ერთი, არსებობს მრავალი უსასრულო დასკვნა. ისიც ითქვა, რომ უსასრულო დასკვნა თავის თავშია ჩაკეტილი; თუ უსასრულო დასკვნები ბევრია და თითოეული თავის თავშია ჩაკეტილი, მაშინ როგორღაა შესაძლებელი: 1) კავშირი ასეთ დასკვნებს შორის და 2) როგორ არის შესაძლებელი თვითონ უსასრულო დასკვნების სისტემა, როგორც გარკვეული დასაბუთების სისტემა?

რადგან უსასრულო დასკვნა არის საწყისი საერთოდ დასაბუთებისა, ამიტომ თუ შესაძლებელია უსასრულო დასკვნების სისტემა, როგორც გარკვეული დასაბუთების სისტემა, მაშინ ამ სისტემის საწყისიც უსასრულო დასკვნა უნდა იყოს. უსასრულო დასკვნების საწყისი უნდა იყოს ერთ-ერთი უსასრულო დასკვნათაგანი, მაგრამ იგი ასეთ საწყისად არ გამოდგება, თუ ის ჩაკეტილია თავის თავში, უკეთ, თუ ის სასრულოდ არის თავის თავში ჩაკეტილი, ე. ი. თუ იგი ერთგვარი ტავტოლოგიური განმეორებაა საფუძვლისა შედეგში და პირიქით, თუ ასეთ დასკვნებში კავშირი შეუძლებელი იქნება, თუ ერთს არ დაუკავშირდება სხვა, სახელდობრ, ის, რის და რომელთა საწყისსაც ის უნდა წარმოადგენდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ყველა უსასრულო დასკვნა არის ერთი ფორმის დასკვნა. უსასრულო დასკვნების კავშირი და მათი სისტემის შესაძლებლობა თავისთავად ნათელი უნდა იყოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმის გამოც, რომ ასეთი დასკვნები არიან ერთნაირი, ერთი ბუნების და ერთი ფორმის. ხომ შეიძლება მრავალი დასკვნა შესრულდეს ერთი ფორმით, მაგალითად, Barbara-ს ფორმით. ნუთუ მრავალ დასკვნას შორის არ არის კავშირი, თუ ყველა ერთნაირია, ერთი ფორმითაა შესრულებული? თუ ფორმის თვალსაზრისით, ე. ი. ლოგიკურად მრავალი დასკვნა ერთი და იგივე ფორმის, ერთი და იგივე ბუნების იქნება, მაშინ მათ შორის კავშირი შეუძლებელია? რასაკვირველია, არა; თუ მრავალ დასკვნას ერთი ფორმა აქვს, ისინი, ამ მხრივ, იგივეობრივი იქნებიან. თუ უსასრულო დასკვნები სწორედ ერთი უსასრულო დასკვნის ბუნების არიან, მაშინ ამაზე უფრო მჭიდრო კავშირი შეუძლებელიცაა („ჩაკეტილი" ნიშნავს აზრის დასრულებულობას).

ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ, მატერიალისტური დიალექტიკის და საერთოდ დიალექტიკის თვალსაზრისით, ის, რაც შინაგანი უარყოფის მქონეა, არ შეიძლება არ უკავშირდებოდეს სხვას. ასეთია, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, უსასრულო დასკვნაც. უსასრულო დასკვნები შინაგანი უარყოფის შემცველი გარკვეული ერთიანობები, კავშირები არიან; და თუ ისინი თავის თავში ჩაკეტილნი არიან, ამით ერთიმეორის გარეთ არიან, ერთიმეორეს გამორიცხავენ, მაშინ მათ შორის კავშირიც უარყოფას დაეფუძნება, ე. ი. მათ შორის კავშირიც უარყოფის შემცველი იქნება, ისეთი ბუნების იქნება, როგორიცაა თვითონ ერთი უსასრულო დასკვნა, ამრიგად, სრულიად უზრუნველყოფილი და განხორციელებულია უსასრულო დასკვნათა შორის აუცილებელი კავშირი.

შეიძლება მეტიც ითქვას; დასკვნები მრავალია, მაგრამ დასკვნის ცნება, დასკვნა, როგორც დასკვნა, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. რა არის დასკვნა? ამ კითხვაზე პასუხი არის დასკვნის განსაზღვრება. დასკვნის სწორი განსაზღვრება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, დასკვნის, როგორც ლოგიკური აზროვნების ფორმის, მხოლოდ ერთი განსაზღვრება უნდა არსებობდეს. ეს ერთი აძლევს აზრს ყოველ მის სახეს თუ მის მხარეს, ერთმხრიობას, რომელიც, ცხადია, არა არის მთელი, მაგრამ მთელს ექვემდებარება, მისით განისაზღვრება.

ნათქვამიდან ჩანს, რომ უსასრულო დასკვნებს შორის კავშირი შესაძლებელია გარანტირებულ იქნეს მრავალი გარემოებით, მაგრამ მთავარი მათ შორის არის ის, რომ უსასრულო დასკვნების სფერო, უპირველეს ყოვლისა, არის კატეგორიულის სფერო, კატეგორიებისა და მათი კავშირის სფერო. კატეგორიები კი ერთიმეორეს უკავშირდებიან სწორედ უსასრულო დასკვნის ფორმით, ამით იქმნება სისტემა.

ასეთი სისტემის, როგორც დიალექტიკური სისტემის, მაგალითი, შეიძლება ითქვას, ერთადერთია ფილოსოფიის ისტორიაში: ეს არის ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის, როგორც კატეგორიების ლოგიკის, სისტემა, როგორც ფილოსოფიური კატეგორიების სისტემა. კატეგორიების სისტემის მეორე მაგალითს წარმოადგენს კატეგორიების სისტემა კ. მარქსის „კაპიტალში", მაგრამ ეს სისტემა არ არის ფილოსოფიური კატეგორიების სისტემა, იგი პოლიტიკური ეკონომიის, უფრო ზუსტად, სამრეწველო კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების სისტემას წარმოადგენს, მაგრამ მას დიალექტიკური ხასიათი აქვს და ამიტომ გამოდგება საერთოდ კატეგორიების სისტემის კერძო შემთხვევად. მაგალითად; ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „Диалектика буржуазного общества у Маркса есть лишь частный случай диалектики."[1]

ეს სისტემა მატერიალისტურ-დიალექტიკური ხასიათისაა, მაშინ როცა ჰეგელის სისტემა იდეალისტური, არამეცნიერულია.

როგორც ცნობილია, კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი ცდილობდნენ დაეწერათ მატერიალისტური დიალექტიკის სისტემა, მაგრამ ეს. სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, ვერ განხორციელდა. მაგრამ მათ დაგვიტოვეს პრინციპული დებულებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ასეთ სისტემას, რომლის განხორციელების ამოცანა ჩვენს წინაშე დგას. მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების, როგორც ლოგიკური ცნებების, სისტემის შექმნა იმის სრული ჩვენება იქნება, თუ როგორი უნდა იყოს კავშირი უსასრულო დასკვნებისა, რომელთა სახითაც ეს კატეგორიები ერთიმეორეს დაუკავშირდებიან და უკავშირდებიან. შეცდომას დაუშვებს ის, ვინც იტყვის, რომ ფილოსოფიური კატეგორიების დიალექტიკური სისტემა შესაძლებელია თითქოს მხოლოდ იდეალისტურ დიალექტი-

---

[1] В. И. Ленин. Философские тетради, 1947, стр. 328.

კაში. თუკი იდეალისტურ, არამეცნიერულ და მისტიკურ საფუძველზე ოდნავ მაინც მოხერხდა კატეგორიების დიალექტიკური სისტემის გამართლება, მით უფრო შესაძლებელი იქნება ასეთი სისტემის შექმნა მეცნიერულ, მატერიალისტურ საფუძველზე, რის კერძო ნიმუშსაც კ. მარქსის „კაპიტალში" განხორციელებული სისტემა წარმოადგენს.

ფილოსოფიურ-ლოგიკური კატეგორიები არსებობენ, ისინი არ შეიძლება ერთიმეორეს ლოგიკურად არ უკავშირდებოდნენ (ბოლოს და ბოლოს, კატეგორიის ცნება ხომ სრულიად გარკვეული ერთი ცნებაა?). საჭიროა ამ კავშირ-სისტემის ჩვენება. რაც, ცხადია, მეცნიერულ, მატერიალისტურ საფუძველზე უფრო იქნება შესაძლებელი, ვიდრე იდეალისტურ საფუძველზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჰეგელის „ლოგიკაში", სადაც კატეგორიების ლოგიკური კავშირი, ჩვენი აზრით, ფაქტიურად, სწორედ უსასრულო დასკვნის ფორმით იყო განხორციელებული; თუმცა ეს დასკვნები ჰეგელს თვითონ არ გამოუკვლევია და მხედველობის გარეშე დარჩა[1].

მართალია, ჰეგელის აზრით, დასკვნა ხორციელდება (თუმცა არა უსასრულო დასკვნის ფორმით) ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის დიალექტიკურ კავშირში, მაგრამ ეს კავშირი არასრული სახით მოქმედებს არსებაშიც, სადაც ერთი კატეგორია მისივე უარყოფით დგინდება (და პირიქით); ის მოქმედებს არსშიც — არსის კატეგორიებში, სადაც რაიმეს უარყოფა ადგენს სხვას, მაგრამ ისე, რომ, რაიმე მისი შინაგანი უარყოფის გამოა ის, რაც ის არის. ჰეგელის „ლოგიკიდან" კატეგორიათა პირველი კავშირიც რომ ავიღოთ, იქაც ნათლად ჩანს აქ აღნიშნული გარემოება. ეს პირველი კავშირი ხორციელდება ქმნადობის კატეგორიაში. როგორც ორი კატეგორიის — არსის და არარსის — ერთიანობაში. ქმნადობაში ხდება თავისი თავის უარყოფით თავისივე თავის დადგენა, როგორც გარკვეული ერთიანობის განხორციელება; არსის უარყოფა არარსია, მაგრამ ეს არარსი არსია და პირიქით; ამას ჰქვია ქმნადობა, არა თუ ჰეგელთან, რომელმაც დაწერა დიალექტიკური ლოგიკა, არამედ ყველგან, სადაც ადგილი აქვს აზროვნების დიალექტიკას, არ შეიძლება არ მოქმედებდეს უსასრულო დასკვნა; ყოველგვარი

---

[1] იხ. ამის შესახებ ჩემი წიგნი „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში", 1959.

წინააღმდეგობის ერთიანობა აზროვნებაში ხორციელდება უსასრულო დასკვნის ფორმით. მიუხედავად ამისა, ჰეგელმაც ვერ მოახერხა დიალექტიკური დასკვნის, როგორც უსასრულო დასკვნის, დახასიათება, მისი ბუნების გარკვევა.

ამრიგად, უსასრულო დასკვნათა კავშირი კატეგორიების კავშირში ხორციელდება. ამით იქმნება გარკვეული სისტემა, რომელსაც დასაბუთების ხასიათი აქვს. მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების ლოგიკური სისტემის შექმნა. სრული დადასტურება და განხორციელება იქნება აქ აღნიშნული აზრისა და მისი სისწორისა, ამის იმედს უკვე იდეალისტური დიალექტიკის „რაციონალური მარცვალიც“ იძლევა.

მაშასადამე, უსასრულო დასკვნა სრულად კატეგორიებში, კატეგორიალურ სფეროში ხორციელდება. უსასრულო დასკვნა თვითონ არის უძირითადესი ლოგიკური კატეგორია. უსასრულო დასკვნები კატეგორიების სისტემაში უკავშირდებიან ერთიმეორეს და თვითონ კატეგორიათა კავშირი ამ დასკვნის სახით და საშუალებით სრულდება. უსასრულო დასკვნა არის საწყისი ყველა დასკვნისა, როგორც უსასრულო, ისე სასრულო დასკვნებისა. სასრული დასკვნები, მსჯელობები უსასრულო დასკვნის ერთმხრიობებს წარმოადგენენ და ამიტომ მას ექვემდებარებიან, მისით აიხსნებიან; ამიტომ უნდა ითქვას ისიც, რომ უსასრულო დასკვნა, როგორც დასაბუთების საწყისი, არის დასკვნისა და დასაბუთების ზოგადობა; ის არის არსება, ლოგიკურის ყოველი ფორმისა და სახის არსებითი ზოგადობა. ეს ზოგადობა, ცხადია, შინაარსეული ხასიათისაა. ის არის ზოგადობა ლოგიკურ ფორმათა მთელი სისტემისათვის, როგორც ამ სისტემის არსება. როგორც ასეთი ის (უსასრულო დასკვნა) არის ერთი, ერთი საწყისი დასაბუთებისა.

დასაბუთების ლოგიკური საწყისი და ლოგიკური დალაგების დასაწყისი

1. დასაბუთების საწყისი თუ დასაწყისი?

ზემოთ წარმოებული მსჯელობანი დასაბუთების საწყისის შესახებ გაურკვევლობას შეიცავენ, სახელდობრ, ჯერჯერობით გაურკვევლად არის დატოვებული ის, რომ დასაბუთების საწყისი დასაბუთების არსებაა, თუ დასაბუთების დასაწყისია? ანდა ეს ორი რამ ერთი და იგივე ხომ არ არის?

არისტოტელეს აზრით, როგორც ეს ზემოთ ითქვა, თუ საფუძვლის გზით დასაბუთება უსასრულობაში წავიდა, მაშინ თვითონ დასაბუთება ხდება შეუძლებელი; ამიტომ აუცილებელია საწყისი, საზღვარი, რასაც უშუალო ცოდნა, კერძოდ, აქსიომა წარმოადგენს. ამას ამტკიცებენ თანამედროვე აქსიომატური თეორიებიც. მაგრამ ასეთი საწყისი არის პირველი საფუძველი, პირველი წანამძღვარი, პირველი დებულება დასაბუთების რიგში, უწანამძღვრო წანამძღვარი. დასაბუთების ასეთი საწყისი ნამდვილად არის დასაწყისი.. სათავე დასაბუთების სისტემისა.

ასეთ პირველ დებულებად არისტოტელეს მიაჩნდა განსაზღვრებაც და წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაც, როგორც აქსიომა. დასაბუთების დასაწყისი, ეს უნდა იყოს ისეთი რამ, საიდანაც შეიძლება გამოყვანილ იქნეს დანარჩენი დებულებები. თუ არისტოტელესათვის განსაზღვრება არის პირველი დადებითობის მქონე და ამიტომ ის წინ უსწრებს დასაბუთებას ისე, რომ ჯერ განსაზღვრებაა და შემდეგ დასაბუთება, მაშინ ასეთად არ გამოდგება წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რადგან ეს უკანასკნელი დასაბუთების პირველი წანამძღვარი კი არაა, არამედ მის (და-

საბუთების) არსებას წარმოადგენს. წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება დასაბუთების საწყისია, გაგებული როგორც დასაბუთების არსება. ასე ესმის ეს ფორმალურ ლოგიკას, რადგან ლოგიკური აუცილებლობა, რომელსაც ის აღიარებს, არის წინააღმდეგობის შეუძლებლობა, სახელდობრ, ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა, რაც დასაბუთების დასაწყისი, წანამძღვარი კი არაა, არამედ დასაბუთების არსება, ის, რაც მას გასდევს თავიდან ბოლომდე, როგორც მისი ყოველი დებულებისათვის აზრის მიმცემი.

დასკვნის არსების ცალკე წანამძღვრად წარმოდგენა და დასაბუთების არსების პირველ წანამძღვრად წარმოდგენა ლოგიკურ შეცდომას იწვევს, რადგან ასეთი წანამძღვრის კავშირი იმასთან, რის წანამძღვარსაც ის წარმოადგენს, თვითონ ექვემდებარება იმავე არსებას, უნდა იყოს იმავე არსების ბუნების მქონე, რაც (ეს არსება) ახალ წანამძღვრად უნდა იქნეს გამოყენებული და ასე შემდეგ უსასრულოდ. დასკვნის თუ დასაბუთების არსება სწორედ ეს არის და არა მისი (მათი) ცალკე წანამძღვარი. დასაბუთების არსების მის გარეთ გატანა ანგრევს დასაბუთებას. მაგალითად, Dictum-ი კატეგორიული სილოგიზმის არსებას გამოთქვამს, მისი ცალკე წანამძღვრად აღება აქ აღნიშნულ ლოგიკურ შეუძლებლობას იწვევს.

ამიტომ ისმის საკითხი, რომელიც გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს: დასაბუთების საწყისი დასაბუთების არსებაა თუ დასაბუთების დასაწყისი (დასაბუთების პირველი დებულება, მისი უწანამძღვრო წანამძღვარი)?

თუ დასაბუთების საწყისი გაგებულია როგორც მისი (დასაბუთების) არსება (ე. ი. ის, რასაც დასაბუთება წარმოადგენს), მაგალითად, არისტოტელესთან წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, მაშინ იგი შეიძლება იყოს „რთული“ (მტკიცება-უარყოფის აზრით), მაგრამ თუ დასაბუთების საწყისი გაგებულია, როგორც მისი დასაწყისი, პირველი დებულება დასაბუთების რიგში, მაშინ ის უნდა იყოს „მარტივი“, რადგან რთულით დაწყება არ შეიძლება; რთული ყოველთვის შემდეგია და არა პირველი; რთული მარტივს გულისხმობს წინასწარ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისი უნდა იყოს მარტივი; არისტოტელემ სწორედ ამიტომ აიღო დეფინიცია დასაბუთების დასაწყისად (ამიტომ აიღო დე-

.კარტმა cogito, ergo sum აქსიომად, კანტმა — ტრანსცენდენტალური „მე“ გამოსავლად, ასევე ჰუსერლმა — წმინდა ცნობიერება და სხვ.). აქსიომა, როგორც დასაწყისი, უნდა იყოს „მარტივი“, ყველაზე უფრო აბსტრაქტული, სწორედ დასაწყისი დასაბუთებისა.

არა მარტო დასაწყისი, არამედ ყოველგვარი საწყისიც უნდა იყოს მარტივი, რამდენადაც მას არ შეიძლება რაიმე უსწრებდეს წინ. მაგრამ, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ლოგიკური (და არც არაფერი) არ შეიძლება მარტივი იყოს. ამიტომ გაურკვეველია, თუ როგორი უნდა იყოს დასაწყისი და საწყისი, როგორი უნდა იყოს პირველი: ის უნდა იყოს პირველი დებულება, რომელიც სხვას არაფერს არ გულისხმობს, თუ იგი უნდა იყოს დასაბუთებაში ყველაფრის არსება, რომელიც იმას აუცილებლობით გულისხმობს, რის არსებასაც ის წარმოადგენს?

თუ დასაბუთების საწყისი არის ისეთი რამ (ისეთი აზრი, დებულება), რომელიც საწყისის შემდგომ შინაარსს აუცილებლობით გულისხმობს და ამიტომ ამ შემდგომით განისაზღვრება, მაშინ ასეთი საწყისი დასაწყისი და დასაწყისში კი არ იქნება, არამედ — ბოლო და ბოლოს, რადგან ის, რაც დანარჩენს წინასწარ გულისხმობს, ამ წინასწარ ნაგულისხმევის შემდეგ არის. მაგრამ ასეთი რამ არ შეიძლება იყოს დასაწყისი, არც საწყისი. თუ საწყისი მართლაც საწყისია, მაშინ ის თავში უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, ის შემდეგს გულისხმობს თუ არა; უკეთ, საწყისი საწყისია სწორედ იმიტომ, რომ შემდეგს შემდეგად გულისხმობს. საწყისი სწორედ შემდეგის საწყისია; ასეთი საწყისი შეიძლება დასაწყისიც იყოს. თუ საწყისი ან დასაწყისი შემდეგს არ გულისხმობს, მაშინ იგი არ იქნება საწყისი თუ დასაწყისი, არამედ ის იქნება რაღაც სრულიად ცალკე აღებული დებულება; მაგრამ ცალკედ აღებული სწორედ იმით განისაზღვრება, რისგანაც ის არის გამოცალკევებული. გამოდის, რომ საწყისი დასაბუთების თავშიც უნდა იყოს და ბოლოშიც; კიდევ მეტი: ის თავიდან ბოლომდე უნდა იყოს (თავშიც უნდა იყოს, ბოლოშიც და შუაშიც — მთელ მანძილზე დასაბუთებისა). მაგრამ ასეთი რამ მთელი დასაბუთება იქნება და არა მისი მხოლოდ საწყისი. ეს სიძნელე გადაწყვეტას მოითხოვს.

ჩვენ ზემოთ, ვფიქრობთ, დავამტკიცეთ, რომ დასაბუთების საწყისი არის უსასრულო დასკვნა. თუ ეს ასეა, მაშინ ეს საწყისი არ

იქნება დასაწყისი, სათავე დასაბუთებისა, რადგან იგი არის „რთული“ (როგორც მტკიცება-უარყოფის ერთიანობა); უსასრულო დასკვნა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ურთულესი და უკონკრეტულესია (რთულია როგორც კონკრეტული). ამიტომ უსასრულო დასკვნა დასაწყისში კი არ უნდა იყოს, არამედ ბოლოს, როგორც ეს აზრის ფორმათა სისტემის ერთ ვარიანტში იყო ზემოთ წარმოდგენილი. მაგრამ, მეორე მხრივ, უსასულო დასკვნა, როგორც მართლაც საწყისი დასაბუთებისა, უნდა იყოს თავში, — სათავე დასაბუთებისა, როგორც ეს აზრის ლოგიკური ფორმების სისტემის მეორე ვარიანტში იყო ზემოთ ნაჩვენები.

უსასრულო დასკვნა, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, აზრს აძლევს ყოველნაირ დასკვნას და დასაბუთებას, ამიტომ ის, როგორც საწყისი, არც მხოლოდ თავში უნდა იყოს და არც მხოლოდ ბოლოში, არამედ — თავშიც და ბოლოშიც, კიდევ მეტი: ის უნდა იყოს თავიდან ბოლომდე მთელ დასაბუთებაში, რადგან უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი როგორც დასაბუთების არსება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის დასაწყისი და საწყისი კი არა, არამედ მთელი დასაბუთება იქნება. უსასრულო დასკვნა არის მართლაც, მთელი დასაბუთება, როგორც მისი არსება. ამიტომ ის დასაწყისი ვეღარ იქნება. მაგრამ საწყისი როგორმე დასაწყისიც უნდა იყოს, რადგან საწყისი დასაბუთების სათავეშიც უნდა მოქმედებდეს, ის ხომ დასაბუთების ლოგიკური საწყისი, ლოგიკური ბუნების მქონე საწყისი უნდა იყოს? როგორ შეიძლება საწყისი, ამავე დროს, დასაწყისიც იყოს? ეს საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს.

2. ლოგიკური საწყისის, როგორც ლოგიკურის საზღვრის, შესახებ

ახლახან აღნიშნული გაურკვევლობის თუ სიძნელის გამო შეიძლება დაასკვნან, რომ დასაბუთებას არ შეიძლება ჰქონდეს არც დასაწყისი და არც საწყისი. ამის აღიარება არ ნიშნავს დასაბუთების გაუქმებას მისი უსასრულობაში რეგრესული წასვლის გამო. ხომ შეიძლება დასაბუთებას არ ჰქონდეს დასაწყისი. მაგრამ ის, ამავე დრო, დასრულებული და სრული იყოს? ხომ შეიძლება დასაბუთება წარმოადგენდეს წრეს, რომელსაც არ ექნება ლოგიკური შეცდომის ხასიათი (როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით). ერთი სიტყვით, ზემოთ აღნიშნული სიძნელიდან ის ხომ არ გამომდი-

ნარეობს, რომ დასაბუთების საწყისი თუ დასაწყისი შეუძლებელია? ეს სიძნელე ხომ არ აუქმებს დასაბუთების საწყისის შესაძლებლობას?

მართლაცდა, გარკვეული აზრით, დასაბუთების, როგორც ლოგიკურის, საწყისი, როგორც დასაწყისი, შეუძლებელი უნდა იყოს, რადგან დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, არ შეიძლება იყოს მხოლოდ დასაწყისი, სათავე დასაბუთებისა, ის უნდა იყოს ყველგან, სადაც დასაბუთებას აქვს ადგილი.

არ უნდა არსებობდეს ლოგიკური საწყისი იმ აზრითაც, რომ ლოგიკურს, როგორც ასეთს, დასაბუთებას, როგორც ლოგიკურს, საზღვარი არ უნდა ჰქონდეს. არ უნდა არსებობდეს ისეთი რამ, რომლის დასაბუთება არ შეიძლებოდეს. შეუძლებელი უნდა იყოს ლოგიკური აგნოსტიციზმი.

ლოგიკურს არ უნდა ჰქონდეს დასაწყისი თუ საზღვარი; ის უნდა იყოს უსაზღვრო, რამდენადაც დასაწყისის და საზღვრის ქვეშ ლოგიკური დასაწყისი და საზღვარი გვესმის. ლოგიკური უნდა იყოს უსაზღვრო და უდასაწყისო, უსასრულო, რადგან ლოგიკურის ლოგიკურად განმსაზღვრელი (მასთან ერთად) უკვე მოითხოვს სხვა ლოგიკურს და ა. შ. ლოგიკურის ლოგიკურად განმსაზღვრელი სხვა შეუძლებელია.

სწორედ ამის გამო არ შეიძლება არსებობდეს ერთზე მეტი, ბევრი ლოგიკა. შეუძლებელია ლოგიკური ლოგიკურად ექვემდებარებოდეს სხვა რამეს, ლოგიკურად განისაზღვრებოდეს სხვა რამით; წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება კიდევ სხვა ლოგიკური და ა. შ. საჭირო გახდება მესამე ლოგიკა და მესამე ლოგიკური და ა. შ. მართალია, ლოგიკური განისაზღვრება რეალურით, მაგრამ არა სხვა ლოგიკურით. ლოგიკური შეუძლებელია სხვით იყოს განსაზღვრული ლოგიკურად, ის უსაზღვროა, უსასრულოა.

მაგრამ ლოგიკურის დეფინიცია შეიძლება; წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვეცოდინება, თუ რა არის იგი, რას წარმოადგენს ლოგიკური, მასზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა. ლოგიკური შეიძლება განისაზღვროს და უნდა განისაზღვროს; ის არის განსაზღვრული მხოლოდ იმ აზრით, რომ ის არის გარკვეული, ის გარკვეული ფორმის არის, მას აქვს სრულიად გარკვეული არსება, სახელდობრ, ის, რასაც ის წარმოადგენს. ლოგიკურს აქვს საზღვარი, თუ ამ საზღვრის ქვეშ გვესმის მისი გარკვეულობა, ფორმა თუ

არსება, და არა დასაწყისი, როგორც მისი შემომსაზღვრელი (როგორსაც, მაგ., არისტოტელეს დაუსაბუთებელი ცოდნა — აქსიომა წარმოადგენს).

აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ ლოგიკურს არ აქვს დასაწყისი. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ყოველ გარკვეულს უნდა ჰქონდეს დასაწყისი. ერთი სიტყვით, ლოგიკურს თუ დასაბუთებას გარკვეული აზრით არ აქვს დასაწყისი, გარკვეული აზრით კი აუცილებლად აქვს და უნდა ჰქონდეს დასაწყისი

აზრის ნათესაყოფად მოვიყვანოთ ჰეგელის აზრი ფილოსოფიის დასაწყისის შესახებ. მისი აზრით, ფილოსოფიას არ შეიძლება ჰქონდეს დასაწყისი იმ აზრით, რა აზრითაც სხვა მეცნიერებებს აქვს დასაწყისი. ფილოსოფიის, როგორც ლოგიკის, საგანი არის აზროვნება, ლოგიკის, როგორც ცოდნის, საგანი არის თვითონ ცოდნა და არა სხვა რამ. ცოდნა აქ თავის თავით იწყებს და ამთავრებს კიდეც; რითაც იწყებს სწორედ იმით ამთავრებს. აქ გვაქვს ერთგვარი წრე, რომელსაც არ აქვს დასაწყისი, რამდენადაც მისი დასაწყისი არის ის, რაც ბოლოცაა[1].

ჰეგელის აზრით, ლოგიკას (ფილოსოფიას) წინასწარ არც საგანი აქვს მოცემული და არც მეთოდი, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა მეცნიერებაში[2]. ლოგიკის საგანი არის მისივე მეთოდი. ლოგიკაში აზროვნება თავის თავს სწავლობს. ლოგიკა არის მეცნიერება. ცოდნა თვითონ ცოდნის ფორმების შესახებ. აქ ერთგვარი რეფლექსიაა, ამიტომ მას არ აქვს დასაწყისი. თუმცა ლოგიკამ რაიმეთი უნდა დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც იარსებებს.

ლოგიკაში აზრის საგანი არის თვითონ აზრი, მისი ფორმა, როგორც მისივე მეთოდი, ლოგიკა არ გამოდის დაუსაბუთებლიდან, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა მეცნიერებაში; მან ყველაფერი უნდა დაასაბუთოს, რასთანაც მას აქვს საქმე. ლოგიკა არის პირველი სხვა მეცნიერებების მიმართ. ყოველი სხვა მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა, — არა მხოლოდ ჰეგელის თვალსაზრისით, არამედ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თვალსაზრისითაც; ვ. ი. ლენინი წერს, რომ „Всякая наука есть прикладная логика"[3].

---

[1] Hegel, Enz, § 17, Bolland, S. 19.
[2] იქვე, § 1, S. 1.
[3] В. И. Ленин. Философские тетради, 1947. стр. 174.

ყველა მეცნიერებაში ერთი და იგივე ფორმა აზროვნებისა გამოიყენება. ამ ფორმას ლოგიკა კიდეც სწავლობს, კიდეც იყენებს, როგორც გარკვეულ მეთოდს. ამრიგად, იმ აზრით, რა აზრითაც სხვა მეცნიერებებს აქვს დასაწყისი, ლოგიკას, მასში განხორციელებულ დასაბუთებას, ე. ი. ლოგიკას, როგორც დასაბუთების სისტემას, არ აქვს დასაწყისი.

ამ გაგებით შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკა ის მეცნიერებაა, რომელსაც არ აქვს დაუსაბუთებელი დასაწყისი, სხვა მეცნიერებანი კი ასეთი დასაწყისის მქონე სისტემებს წარმოადგენენ, ე. ი. ლოგიკას, როგორც დასაბუთების სისტემას, გარკვეული აზრით, არ აქვს დასაწყისი, მაშინ როცა სხვა მეცნიერებებს ასეთი დასაწყისი აქვს (ამ აზრით, მათემატიკური ლოგიკა სპეციალური მეცნიერებაა, რადგან მას აქვს დასაწყისი აქსიომების და მეტალოგიკური წესების სახით, ის არ არის ფილოსოფიური მეცნიერება, რომელსაც ლოგიკა უნდა წარმოადგენდეს). სპეციალური მეცნიერებანი გამოიყენებენ ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორც საშუალებას, რომელიც მათ მიერ არ შეისწავლება, ფილოსოფია, ფილოსოფიური ლოგიკა კი ყველა საშუალება-კატეგორიას, რომელიც მისთვის აუცილებელია, თვითონ შეიცავს თავის თავში;. ლოგიკაში აზრი თავის თავს საკუთარი საშუალებებით სწავლობს; საშუალება-კატეგორიები თვითონ არის საგანიც და მეთოდიც. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ რეფლექსიას, თვითდაფუძნებას.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური ლოგიკა (დაწყებული არისტოტელედან დღემდე), რომელიც საწყისებს აქსიომებსა და განსაზღვრებებში ეძებდა და ეძებს, წარმოადგენს დასაბუთების სისტემას, რომელსაც დასაწყისი, საზღვარი აქვს, ის განსაზღვრული, სასრული რამ არის. იგი სასრულია იმ აზრითაც, რომ მისი წესები და კანონები ჭეშმარიტებისა და ლოგიკური აუცილებლობის უარყოფით. აუცილებელ და არასაკმაო საფუძველს წარმოადგენენ. ამ აზრით, დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო, განუსაზღვრელი, ამდენად, საწყისის არმქონე დასაბუთება.

ამრიგად, ლოგიკურს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური საწყისი, დასაწყისი. ის ლოგიკურად იწყებს მხოლოდ თავისი თავიდან. ამდენად ის უსაზღვროა. მისი საზღვარი, როგორც საწყისი თუ დასაწყისი, მისი არსებაა, რომელიც უნდა იყოს, დასაწყისიც, მაგრამ როგორ არის ასეთი დასაწყისი შესაძლებელი?

3. დასაწყისის თუ საწყისის ტავტოლოგიურობის შესახებ

დასაბუთების სისტემის საწყისად თუ დასაწყისად როულის მიღება იწვევს სიძნელეს, რადგან, როგორც ითქვა, რთულს მარტივი უსწრებს წინ. ამიტომ მრავალი დიდი მოაზროვნე დასაბუთების სისტემის საწყისად მარტივს მიიჩნევს. მარტივი ლოგიკურ ენაზე არის ტავტოლოგიური. ასეთი მარტივი იყო, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არისტოტელეს დეფინიციის დადებითობა, რომელიც მას დასაბუთების საწყისად მიაჩნდა მისი სიმარტივის გამო. სწორედ ამ გარემოების გამო მრავალი მოაზროვნე ლოგიკის ძირითად კანონად იგივეობის კანონს თვლიდა. იგივეობის კანონი ფორმალურ ლოგიკაში ემყარება აბსტრაქტულ, წმინდა იგივეობას. რომელსაც ტავტოლოგიური ხასიათი აქვს. ტავტოლოგიურ დებულებას ემყარება თანამედროვე პოზიტივისტური ლოგიკური მოძღვრებები, მათემატიკური ლოგიკა.

დეკარტს თავისი სისტემის აქსიომა cogito, ergo sum ტავტოლოგიურ დებულებად მიაჩნდა იმ აზრით, რომ აქ არსებობა აზროვნების არსებობას უღრიდა. ასე ჰქონდა გაგებული დეკარტის ეს დებულება კანტსაც, რომელმაც თავის ტრანსცენდენტალური სუბიექტიც ტავტოლოგიურად წარმოადგინა. კანტის აზრით, დებულება „მე ვარ მარტივი" აპერცეპციის უშუალო გამოხატულებაა, ისე როგორც დეკარტის მოჩვენებითი დასკვნა cogito, ergo sum ნამდვილად წარმოადგენს ტავტოლოგიას. cogito უშუალოდ გამოთქვამს სინამდვილეს; დებულება „მე ვარ მარტივი" იმას ნიშნავს, რომ „მე" აბსოლუტური ლოგიკური ერთიანობაა და არავითარ მრავალსახიანობას არ შეიცავს[1]. ასეთივე მარტივია ჰუსერლის წმინდა ცნობიერება, „მე ვარ". „მე". დებულება „მე ვარ" ყველა პრინციპთა პრინციპია, იმეორებს დეკარტის დებულებას ჰუსერლი[2].

---

[1] I. Kant, Kritik der reinen Vernunft, B. Erdmann, 1900, S. 306 (A 355 პირველი გამოცემისა):

„Der Satz: Ich bin einfach, muss als ein unmittelbarer Ausdruck der Apperception angesehen werden; so wie der vermeintliche cartesianische Schluss: cogito, ergo sum, in der That tautologisch ist, indem das cogito (sum cogitans) die Wirklichkeit unmittelbar aussagt. Ich bich einfach, bedeutet aber nichts mehr, als dass diese Vorstellung: Ich die mindeste Mannigfaltigkeit ich sich fasse, und dass sie absolute (obzwar bloss logische) Einheit sei.

[2] E. Husserl, Erste Philosophie, II, S. 36—42. 1959.

აქ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი. სახელდობრ, ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია საწყისის ტავტოლოგიურობასთან, სულ ერთია ეს საწყისი იქნება მეტაფიზიკური თუ დასაბუთების საწყისი.

მეტაფიზიკური სისტემის აგების ცდები წმინდა იგივეობრივი საწყისიდან რომ შეუძლებელია, ამას მრავალი მაგალითი გვიჩვენებს ფილოსოფიის ისტორიიდან. თალესის წყალი, როგორც ბუნების მრავალფეროვანი მოვლენების საწყისი, გაგებული იყო თვითონ თალესის მიერ, როგორც მარტივი, ელემენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც უცვლელი საფუძველი ცვალებადი მოვლენებისა. მაგრამ ასეთი მარტივიდან შეუძლებელი გახდა მისგან განსხვავებულის გამოყვანის დასაბუთება. ამიტომ ანაქსიმანდრემ არხედ აიღო აპეირონი, სადაც უკვე ყველაფერი იყო მოთავსებული, მაგრამ ეს უკვე ისეთი საწყისია, რომელიც ყველაფერს შეიცავს, ამიტომ მისგან მოვლენების წარმოშობა ამ წარმოშობის მოჩვენებაა და არა მართლაც წარმოშობა. პარმენიდეს არსიდან არაფრის გამოყვანა არ შეიძლებოდა, რადგან თვითონ ეს არსი დადებითად არაფერს არ წარმოადგენდა; მისგან განსხვავებულის მიღება შეუძლებელია, რადგან განსხვავება შეიცავს არარსს, რაც პარმენიდეს მიერ უარყოფილი იყო. ასევე, დემოკრიტეს მარტივი, განუყოფელი ნაწილაკიდან, ატომიდან არაფრის გამოყვანა არ შეიძლებოდა, სწორედ მისი სიმარტივის გამო. ამიტომ მან ატომის გვერდით დაუშვა სიცარიელე; ატომი და სიცარიელე ერთად აღებული გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა; სწორედ ამ სირთულის გამო მოახერხა დემოკრიტემ გარკვეული სისტემის შექმნა. არისტოტელეს უსია რაღაც მარტივს წარმოადგენდა. ის იყო მისტიკური სული, ძარტივი არსება, რაც სისტემის ამხსნელ საწყისად არ გამოდგა, სწორედ მისი სიმარტივის გამო. რამდენადაც უსია ერთეულისა და ზოგადის ერთიანობის სირთულის შემცველიც უნდა ყოფილიყო, ამდენად ეძლეოდა გარკვეული აზრი არისტოტელეს მეტაფიზიკის სისტემას. სპინოზას სუბსტანციაც რაღაც მარტივი იყო, რადგან მასში არ იგულისხმებოდა არავითარი უარყოფა, არავითარი განსაზღვრულობა. ამიტომ მისგან არაფერი არ გამოიყვანებოდა, მოწყვეტილი რჩებოდა მწარმოებელი ბუნება წარმოებული ბუნებისაგან. ერთი სიტყვით, სისტემის საწყისად მარტივი გამოუსადეგარი გამოდიოდა. ლაიბნიცის მონადაც მარტივი, განუყოფელი იყო. ამიტომ არც მი-

სგან გამოდიოდა რაიმე. ლაიბნიცის მეტაფიზიკური სისტემის აგება მარტივიდან სხვისი გამოყვანით კი არ იქნებოდა, არამედ მარტივების გაერთიანებით, მაგრამ, ისე, რომ, მრავლისაგან მიიღებოდა არა ერთი, არამედ გაურკვეველი ჰარმონიულობა. შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი ასეთი მაგალითი, რომლებიც იმის ნათელმყოფელი იქნებოდა, რომ მარტივი არ შეიძლება იყოს საწყისი.

ასეა დასაბუთების საწყისის შემთხვევაშიც. თუ დეკარტის აქსიომა გაგებული იქნება, როგორც მარტივი, იგივეობრივი, ტავტოლოგიური, მაშინ მისგან არაფერი არ გამოიყვანება. დეკარტს მართლაც ასე ესმოდა მისი cogito, ergo sum. ეს იყო აქსიომა, მაგრამ მისგან არავითარი დებულების ჭეშმარიტების გამოყვანა არ იყო შესაძლებელი, როგორც ამას მისი ავტორი ფიქრობდა. დეკარტის აქსიომა არ გამოდგებოდა ფილოსოფიური სისტემების, როგორც გარკვეული დასაბუთების სისტემის, დასაწყისად. ის იყო მხოლოდ „არქიმედის დასაყრდენი", რომელზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა ისეთი რაიმეს დასაბუთება, საიდანაც ყველაფერი იქნებოდა გამოყვანილი (ეს რაიმე დეკარტთან არის ღმერთი). ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ cogito, ergo sum-ი-დან არაფერი არ გამოიყვანება დეკარტის აზრით. ამიტომ ეს დასაწყისი დასაწყისად არ გამოდგებოდა; ამ აზრით, ის არც დასაწყისია და არც საწყისი.

ასეთივე იყო კანტის ტრანსცენდენტალური „მე", რომელიც წმინდა იგივეობრიობას, ტავტოლოგიურობას წარმოადგენდა. ტრანსცენდენტალური სუბიექტი — „მე ვაზროვნებ" მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყოველ დებულებასთან, ყოველ მსჯელობასთან. მაგრამ ეს კავშირი აუხსნელი რჩებოდა, მისი ლოგიკური ბუნება გაურკვეველი იყო. ეს კავშირი მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ყველა მსჯელობა გაგებულიყო როგორც „ჩემი" მსჯელობა. ეს კავშირი კანტს გამოხატული ჰქონდა სიტყვით „თანსდევს" (თან ახლავს — begleitet)[1], მარტივიდან, წმინდა იგივეობრივიდან, ტავტოლოგიურიდან რაიმეს გამოყვანა შეუძლებელი გახდა.

ამიტომ ფიხტემ აუცილებლად მიიჩნია საწყისი სუბიექტი, „მე ვარ" მიეღო როგორც მოქმედება — საქმექმედება (Tathandlung),

---

[1] Kant, Kr. d. r. V., Erdmann, S. 124: Ich denke muss alle meine Vorstellungen begleiten können.

რომ იქიდან შესაძლებელი ყოფილიყო სხვა რაიმეს მიღება და ამით იგი დასაბუთების სისტემის საწყისად გაეძართლებინა, მაგრამ ფიხტემ ვერ მოახერხა ამ ამოცანის გადაწყვეტა, რადგან დადებითობის ფორმა ვერ დაუკავშირა უარყოფითობის ფორმას და ერთი დასაწყისის მაგიერ ორი და სამი დასაწყისის მიღება მოუხდა. ეს კი სისტემის ვერაგებას ნიშნავდა.

სწორედ ამ გარემოებათა გამო ჰეგელმა თავისებურად ვადაწყვიტა დასაწყისის ბუნების პრობლემა, გაიგო რა იგი დიალექტიკურად, როგორც რაღაც წინააღმდეგობრივი „უჯრედი", საიდანაც ყველაფრის გამოყვანა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ტრადიციული ლოგიკის სისტემის ეს მომენტი შეიცავს რაციონალურ მარცვალს, რომელიც, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, გამოყენებული იქნება მატერიალისტური დიალექტიკის სისტემაში.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მარტივი, წმინდა ერთეობრივი, ტავტოლოგიური არ შეიძლება აღებული იქნეს საწყისად, რადგან მისგან სხვა რამის გამოყვანა შეუძლებელი ხდება. ამიტომ არის აუცილებელი მათემატიკურ ლოგიკაში აქსიომების ერთეული გაორმაგება, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, სახელდობრ, ის, რომ აქსიომებიდან სისტემის მიღებისათვის აუცილებელი ხდება მეტალოგიკური აქსიომები-წესები.

მაგრამ, მეორე მხრივ, არც რთული შეიძლება იყოს აღებული დასაწყისად, რადგან რთული ყოველთვის შემდეგია და არა დასაწყისი. ამრიგად, მივიღეთ სიძნელე: დასაწყისი არც მარტივი შეიძლება იყოს და არც რთული. სად არის გამოსავალი, როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი ეს სიძნელე? ამ კითხვაზე პასუხი გაცემული იქნება შემდეგ.

4. ლოგიკური დალაგება, როგორც დასაბუთება, და მისი დასაწყისი

სიტყვა „დალაგება" ანუ გადმოცემა (изложение, Darstellung) ზუსტად ვერ გადმოსცემს იმ აზრს, რომლის განხილვა ჩვენ აქ გვინდა, მაგრამ ჯერჯერობით, სხვა სიტყვის უქონლობის გამო, ეს გამოთქმა უნდა ვიხმაროთ, მაგრამ საჭიროა იმის აღნიშვნა, თუ რა აზრით უნდა იქნეს ის აქ მოხსენებული. მოკლედ რომ ვთქვათ, ლოგიკური დალაგება გაგებულ უნდა იქნეს ისე, როგორც ეს წარმოდგენილია ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკაში, როგორც ამას ქვე-

მოთ განვიხილავთ, სახელდობრ, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა. ლოგიკური დალაგებისას ჯერ ის უნდა იქნეს ნათქვამი, რაც შემდეგს არ გულისხმობს წინასწარ, რაც უფრო მარტივია, ვიდრე შემდეგი. „მარტივი" და „რთული" შედარებითი ცნებებია. არაფერია აბსოლუტურად მარტივი, ასეთია ლოგიკური დალაგების დასაწყისიც, მაგრამ იგი უფრო მარტივია, ვიდრე შემდეგი, რომელიც უფრო რთულია მის წინ არსებულთან. უკეთ. მის წინამავალთან შედარებით. ლოგიკური დალაგება არის სინთეზური პროცესი, ახალ-ახლის მიღების პროცესი, ერთგვარი გართულების პროცესი. მაგალითად, მარქსის „კაპიტალში" დასაწყისია საქონელი, რომელიც უფრო მარტივი და აბსტრაქტულია, ვიდრე მისი მომდევნო — ფული და ა. შ. ჰეგელთან დასაწყისი მის „ლოგიკაში" არის არსი, რომელიც უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე არარსი და ქმნადობა და ა. შ.

ყოველი დასკვნა და დასაბუთება გარკვეულ ლოგიკურ დალაგებას წარმოადგენს; მაგალითად, დედუქცია ზოგადიდან გამოდის და კერძოზე გადადის, ინდუქცია კი პირიქით. ხშირად ლოგიკურ დალაგებას, როგორც გარკვეულ სისტემას, იწყებენ ცნების განსაზღვრებით და შემდეგ მის საფუძველზე ამტკიცებენ სხვა დებულებებს. ლოგიკური დალაგება არის დებულებათა ლოგიკური სისტემა, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. აქსიომებით დაწყება და შემდეგ თეორემების დამტკიცება ისე, რომ შემდეგი თეორემა წინა თეორემას (და თეორემებს) ეყრდნობა და არა პირიქით, გარკვეულ ლოგიკურ დალაგებას წარმოადგენს. ლოგიკური დალაგებაა ისიც, რომ ცნების სხვადასხვა ნიშნები გადმოვცეთ ისე, რომ ჯერ უფრო მარტივი დავასახელოთ, შემდეგ უფრო რთული და ბოლოს მივიღოთ ცნება, ამ ცნების სრული განსაზღვრება.

ჩვენ აქ გვინდა დასაბუთებად გავიგოთ ისეთი ლოგიკური დალაგება, რომელსაც სინთეზური ხასიათი აქვს, რომელიც იწყებს მარტივით და გადადის რთულზე. მაგრამ სირთულის მიღების ეს პროცესი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს წარმოდგენილი: 1) შეიძლება დედუქცია, სახელდობრ, კატეგორიულ სილოგიზმზე დამყარებული დასაბუთება იქნეს წარმოდგენილი როგორც სინთეზური პროცესი, რამდენადაც აქ ზოგადიდან კერძოზე გადასვლა-გამო-

ყვანა მეტი ნიშნების მქონეს მიღებაა იმასთან შედარებით, რისგანაც მოხდა გამოსვლა. 2) შეიძლება ჩვეულებრივი ინდუქცია გავიგოთ და წარმოვიდგინოთ სინთეზური პროცესის სახით, თუ მხედველობაში გვექნება ის, რომ აქ გადასვლა ხდება ნაკლებ ზოგადიდან უფრო მეტი ზოგადობისაკენ. მაგრამ ისიც შეიძლება ითქვას, რომ პირველ შემთხვევაში, ე. ი. ჩვეულებრივი (სილოგისტური) დედუქციის დროს ანალიზური გამომდინარეობა უფრო გვაქვს, ვიდრე სინთეზური, რადგან სილოგიზმში დანასკვი როგორღაცნაირად წანამძღვარშია ნაგულისხმევი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან აუცილებლობით გამოყვანა ვერ განხორციელდება. ჩვეულებრივი ინდუქციის დროსაც არ ხორციელდება სინთეზურობა, რადგან ზოგადის კერძოდან მიღებას ალბათური ხასიათი აქვს. აქაც ლოგიკური აუცილებლობით ის მიიღება, რაც საფუძველში იყო ნაგულისხმევი.

ერთი სიტყვით, ლოგიკური დალაგების ქვეშ უნდა გვესმოდეს ლოგიკური აუცილებლობის მქონე ისეთი პროცესი, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის სწორედ ლოგიკური აზრით. ეს არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულის მიღების პროცესი, სადაც აბსტრაქტული არის ერთმხრივი — შინაარსეული კერძო, კონკრეტული კი — შინაარსეული ზოგადია, რადგან იგი ერთმხრიობათა აუცილებელ ერთიანობას წარმოადგენს. ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური დალაგება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს.

ლოგიკური დალაგების, როგორც გარკვეული დასაბუთების, პრობლემა ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი საკითხის ასპექტში, ეს არის დასაბუთების საწყისის თუ დასაწყისის ასპექტი ლოგიკური დალაგება, როგორც დასაბუთება, არ შეიძლება დაწყებულ იქნეს ცნებით, ცნების განსაზღვრების ჩამოყალიბებით, რადგან ცნების განსაზღვრება, როგორც ცნების ჩამოყალიბება-დადგენა თვითონ არის პროცესი, რომელიც ლოგიკური დალაგების ხასიათი აქვს. ლოგიკას სწორედ ეს აინტერესებს და არა ჩვენი ფსიქოლოგიური საქმიანობა ცნებამდე მისვლისა. ცნების განსაზღვრების, როგორც ცნების ნიშანთა დალაგების პროცესი, თვითონ უნდა იყოს ლოგიკური ხასიათის. ამ პროცესს დასაწყისად არ შეიძლება ჰქონდეს ცნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პროცესი ზედმეტი იქნებოდა; ეს პროცესი ხომ სწორედ ცნების მიღება-დადგენის პროცესია. ცნება შედეგი უნდა იყოს და არა დასაწყისი. მაგალითად, როგორც ამას ფ. ენგელსი აღნიშნავს, ბუნებისმეტყველება იმ ფაქტებს, რომლებშიც დიალექტიკურობა აღმოჩდა,

ისე იგი „ამ ფაქტების დიალექტიკურ ხასიათს დიალექტიკური აზროვნების კანონების შეგნებას ახვედრებს"; ბუნებისმეტყველებამ არ უნდა დაივიწყოს, „რომ შედეგები, რომელშიც იგი თავისი ცდის მონაცემებს აზოგადებს, ცნებებია; ხოლო ხელოვნება ცნებათა მოხმარებისა არაა თანდაყოლილი, არც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცნობიერებასთან ერთადაა მოცემული, არამედ ნამდვილ აზროვნებას მოითხოვს"[1]. მაშასადამე, ცნებები კვლევა-ძიების შედეგია და არა დასაწყისი, ის მოითხოვს ნამდვილ აზროვნებას. ეს მით უმეტეს ითქმის ცნების განსაზღვრების ლოგიკურ პროცესზე, როგორც ცნების დადგენაზე, რომელიც, ცხადია, არ იწყება ცნებით, არამედ სწორედ მთავრდება. თუ ლოგიკური დალაგების პროცესი დაიწყება ცნებით, მაშინ ეს ცნება იქნება უმარტივესი ცნება, პროცესის ყოველი შედეგი კი უფრო რთული-კონკრეტული უნდა იყოს. ეს პროცესი როგორც დალაგების პროცესი, უნდა წარმოადგენდეს ლოგიკური აუცილებლობის მქონე პროცესს, როგორც გარკვეულ დასაბუთებას, რომლის შედეგები ცნებები, კონკრეტული ცნებები იქნება.

კ. მარქსის „კაპიტალში" კაპიტალის ცნების დადგენა არის წარმოდგენილი **გარკვეული პროცესის სახით, რომლის დასაწყისი** არის, არა კაპიტალის ცნება, არამედ საქონლის ცნება, საიდანაც დაწყებული ლოგიკური, სწორედ რეალურის ამსახველი ლოგიკური პროცესი ფულზე გავლით შედეგად ღებულობს კაპიტალის ცნებას. საქონლის ანალიზის შედეგი, გამოხატული საქონლის ცნებაში, აუცილებლობით გვაძლევს ფულის ცნებას, მისი ანალიზი კი კაპიტალის ცნებას, უკეთ, აქ არის ერთი ცნებიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე ლოგიკური გადასვლა, როგორც გარკვეული დასაბუთება — ლოგიკური დალაგება როგორც დასაბუთება. თუ ამ პროცესს შევაბრუნებთ, ე. ი. დავიწყებთ კაპიტალის ცნებიდან და მივალთ, ფულზე გავლით, საქონლის ცნებამდე, მაშინაც გვექნება გარკვეული დალაგება, მაგრამ მას არ ექნება სინთეზური — განვითარებითი ხასიათი. ეს არ იქნება ლოგიკური აუცილებლობის გამომჟღავნება, რადგან კაპიტალი უკვე წინასწარ გულისხმობს ფულსა და საქონელს, ამიტომ მისგან ფულისა და საქონლის გამოყვანა, ეს ლოგიკური შეცდომაც იქნებოდა, რადგან იგი უკვე ნაგულისხმევს გაი-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 18.

მეორებდა, ისიც გაურკვევლად, — ამიტომ ეს იქნებოდა ზედმეტი საქმიანობა. კაპიტალი წინასწარ გულისხმობს ფულს, ეს კი — საქონელს, ამიტომ, ცხადია, რომ უნდა დავიწყოთ იმით, რაც წინასწარ იგულისხმება — საქონლით და არა უკუღმა. მხოლოდ ლოგიკურ განვითარებაში ხორციელდება სისრულით და ღაუმახინჯებლად ლოგიკური აუცილებლობა.

კ. მარქსს თავისი „კაპიტალი" რომ დაეწყო კაპიტალის ცნებით, ის მაინც იძულებული იქნებოდა დაეწყო საქონლით, რადგან კაპიტალი ფულის წრებრუნვაა, ფული კი საქონლის წრებრუნვას წარმოადგენს. ამიტომ კ. მარქსმა დასაწყისში მოათავსა საქონელი და არა კაპიტალი. ასევე უნდა ითქვას ჰეგელის „ლოგიკის" შესახებაც. ჰეგელს რომ დაეწყო ცნებით, მაშინ, როგორც იგი აღნიშნავს, მაინც უნდა დაეწყო არსით, როგორც უმარტივესი განსაზღვრულობით[1]. ჰეგელს რომ დაეწყო, მაგ., არა არსით, არამედ ქმნადობით, იგი მაინც იძულებული გახდებოდა დაეწყო არსით, რადგან ქმნადობა წინასწარ გულისხმობს არსს (და არარსს).

ჰეშმარიტება დასაწყისში კი არაა, არამედ ბოლოსაა, გაგრძელებაშია, როგორც ამას ვ. ი. ლენინი ამბობს[2]. ასეთია ლოგიკური ჰეშმარიტებაც.

მაშასადამე, ლოგიკური დალაგების დასაწყისი უნდა იყოს შედარებით მარტივი, მისი ბოლო კი — უკონკრეტულესი, რთული; თვითონ დალაგების გზა სინთეზური — განვითარებითი ხასიათისა იქნება. რთული მარტივს გულისხმობს წინასწარ და ამიტომ დასაწყისში უნდა იყოს მოთავსებული (და ასეცაა თავისთავად) მარტივი.

მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაწყისი არ უნდა იყოს მარტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან არაფრის გამოყვანა არ შეიძლება. ისიც ითქვა, რომ მართალია აბსოლუტურად მარტივი არაფერია, რომ დასაწყისი, როგორც მარტივი, შედარებითი ხასიათისაა, ის არის მარტივი შემდგომ სირთულესთან შედარებით.

დეკარტის cogito მარტივად იყო მიჩნეული, ის გაგებული იყო როგორც ტავტოლოგიური დებულება. მაგრამ, ჩვენი აზრით (და არა მარტო ჩვენი აზრით), დეკარტის ეს დებულება, როგორც მი-

---

[1] იხ ჰეგელის ენციკლ. § 159, დანართი.

[2] В. И. Ленин. Философские тетради, стр. 147.

სი ფილოსოფიური სისტემის დასაწყისი, არ არის ტავტოლოგიური დებულება, წინააღმდეგ კანტისა და სხვების შეხედულებათა.

საქმე იმაშია, რომ cogito, ergo sum არა მარტო სიტყვიერად მიუთითებს მასში დასკვნის არსებობაზე, არამედ არსებითად აქ თავისებურ გაშუალებასთან გვაქვს საქმე. ამ გარემოებას თვითონ დეკარტი აღნიშნავს. იგი გარკვევით ამბობს, რომ: თუ მე ვიტყვი „მე ვხედავ" ან „მე მივდივარ" და აქედან გავაკეთებ დასკვნას, რომ „მე ვარსებობ", მაშინ ეს დანასკვი არ იქნება უეჭველ, რადგან მე ვხედავ და მე მივდივარ მაშინაც, როცა არაფერს არ ვხედავ და არც მივდივარ, როგორც ამას ადგილი აქვს სიზმრის დროს, მაგრამ როცა მე საქმე მაქვს აზრის მოქმედებასთან, მაშინ დასკვნა უეჭველია[1]. „მე ვაზროვნებ, მაშასადამე მე ვარსებობ" არის დასკვნა[2]. ამ აზრს დეკარტის „მეტაფიზიკური განაზრებანი" კიდევ უფრო ცხადად ამტკიცებენ. მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი დეკარტის ამ შრომიდან:

1) რომ დავუშვათ ისეთი ვინმეს არსებობა, რომელიც „მეტისმეტად ძლიერი და მეტისმეტად მოხერხებული მატყუარაა", რომელიც მე მატყუებს, რადგან მე, როგორც ნაკლოვანი, მასზე ვარ დამოკიდებული, „მაინც შეუძლებელია ეჭვი იმის შესახებ, რომ მე ვარსებობ. რაკი ის მე მატყუებს: მატყუოს მე მან რამდენიც მოესურვება, ვარასოდეს ვერ მოახერხებს იგი, რომ მე არარაობა ვიყო, თუკი მე მაქვს იმის აზრი, რომ რაღაც ვარ. ასე რომ, კარგად დაფიქრების და ყველაფრის ბეჯითი გასინჯვის შემდეგ შეიძლება **დავასკვნა** (ხაზი ჩემია. ს. წ.) და ურყევათ ჩავთვალო, რომ ეს დებულება „მე ვარ, მე ვარსებობ" აუცილებლად ჭეშმარიტია ყოველთვის. როდესაც მე მას წარმოვთქვამ ან გავიზიარებ ჩემს გონებაში"[3].

2) შემდეგ დეკარტი სვამს კითხვას: დამტკიცდა, რომ მე ვარ, მაგრამ საკითხავია, თუ როგორი ვარ მე? სხეულის თვისებები არ ეკუთვნის იმ მე-ს, რომელიც ეჭვობს, აზროვნებს. „მე"-ს ატრიბუტია აზროვნება, „მე" არის აზროვნება, მე ვარ აზროვნება. „მხოლოდ აზროვნება არ შეიძლება იქნეს ჩემგან მოცილებული", მისი

---

[1] დ ე კ ა რ ტ ი, ფილოსოფიის საწყისები, ნაწ. I, 9. „რა არის აზროვნება".

[2] იქვე, ნაწ. I, 7.

[3] რ ე ნ ე დ ე კ ა რ ტ ი, მეტაფიზიკური განაზრებანი, 1955. პროფ. ს. დანელიას თარგმანი, გვ. 11—12.

უარყოფა არ შეიძლება; ცხადია, რომ „მე ვარ, მე ვარსებობ“, მაგრამ „რამდენი ხნის განმავლობაში“? „იმ ხნის განმავლობაში, სანამ ვაზროვნებ“[1]. მაშასადამე, გამოდის, რომ, დეკარტის აზრით, აზროვნება და მისი არსებობა არ არის ერთი და იგივე, რომ მართალია, მე და აზროვნება ერთი და იგივეა, მაგრამ ერთიმეორისაგან განსხვავდება „ვაზროვნებ“ და „ვარსებობ“, ამიტომ „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ არ არის ტავტოლოგია, როგორც ეს კანტს და სხვებს ეგონათ, და იგი თავისებურ დასკვნას წარმოადგენს. ამას მოწმობს დეკარტის შემდეგი დებულებებიც:

3) „მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე საგანი (res cogitans)“; „ჭეშმარიტი, რომ ვარსებობ, და მე ვიკვლევ, როგორი ვარ მე, რომელიც, როგორც ვიცი, ვარსებობ“[2]. მე ვარსებობ, მაგრამ რასაც ვაზროვნებ, შეიძლება იყოს მოჩვენება, მაგრამ „ის ჩემ სანდოა, რომ მე მეჩვენება, ეს არ შეიძლება იყოს შეცდომა“[3]. მაშასადამე, გამოდის: რომ ვცდები, ეს არ შეიძლება იყოს შეცდომა, შეცდომის ფაქტი გარკვეული ჭეშმარიტებაა (ეს დებულება შემდეგ საგანგებო კვლევის საგანი გახდება ფილოსოფიის ისტორიაში). ამრიგად, აქაც არის განსხვავება შეცდომისა და შეცდომის ფაქტის, როგორც ჭეშმარიტებას, შორის; აქაც არ არის წმინდა იგივეობა, ტავტოლოგიურობა.

4) იმას, რომ მე ვარ მხოლოდ ის კი არ გვიმტკიცებს, რომ მე ვაზროვნებ, არამედ ისიც, რომ ვიცი სხვა, რასაც მე არ წარმოადგენს: „...იმის გამო, რომ ვეხები სანთელს, მე ვსჯი, რომ სანთელი არსებობს; აქედან გამოიყვანება ისევ ის **დასკვნა** (ხაზი ჩემია. ს. წ.) სახელდობრ, რომ მე ვარ“[4]. „ყველა ის საბუთი, რომლებიც ემსახურებიან სანთლის ან სხვა რომელიმე სხეულის ბუნების შეცნობას და მიწვდომას, ბევრად უკეთესად ამტკიცებენ ჩემი გონების ბუნებას“[5]; „მე ნათლად ვხედავ, რომ არაფერია ისეთი, რაც უფრო ადვილად იყოს ჩემ მიერ შესაცნობი, ვიდრე ჩემი გონება“[6] „მე“-ს ეს ნათელი შემეცნებადობა ემყარება დასაბუთებას, დასკვნას, რო-

---

[1] რ ე ნ ე დ ე კ ა რ ტ ი, ი ქ ვ ე გვ. 14.
[2] იქვე გვ. 15.
[3] იქვე გვ. 18.
[4] იქვე, გვ. გვ. 24.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 25.

მელიც განხორციელებულია თუ ნაგულისხმევი დებულებაში — „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ". აქ ადგილი აქვს დასკვნას, რადგან, როგორც გაირკვა, „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" არ უდრის „მე ვარ"-ს, ისე როგორც ეს კანტს, ფიხტესა და სხვებს აქვთ წარმოდგენილი. ეს განსხვავება ხსნის ტავტოლოგიურობას და დასკვნის შესაძლებლობას წარმოადგენს.

დეკარტის დებულება „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ", თვითონ დეკარტეს აზრითვე. არის დასკვნა. როგორია ეს დასკვნა? ცხადია, რომ ეს დასკვნა არ არის სილოგისტური დასკვნა. სილოგიზმის თვალსაზრისით, დეკარტის დებულება ისეთია, რომელსაც წანამძღვარი არ აქვს, ამიტომ, ამ აზრით, იგი არ არის დასკვნა. დაუსაბუთებელი დებულებაა, მაგრამ ისეთი, რომელსაც დასაბუთება არ სჭირდება; ამიტომაა იგი აქსიომა, „არქიმედის დასაყრდენი" დასაბუთებისათვის. დეკარტი იმ აზრისაა, რომ მისი დებულება, ერთი მხრივ, აქსიომაა, უშუალოდ ცხადი დებულებაა, მეორე მხრივ კი იგი დასკვნას წარმოადგენს. ეს ორი რამ ერთიმეორეს თითქოს არ ეთანხმება, ეწინააღმდეგება კიდეც. ამიტომაა უფლებამოსილი კითხვის დასმა ამ დებულების, როგორც დასკვნის, შესახებ. თუ „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" არის დასკვნა, რომელიც არ არის არც სილოგისტური და არც საერთოდ ისეთი, რომელსაც გარეგანი წანამძღვარი სჭირდება, მაშინ რა ბუნების უნდა იყოს იგი? არ შეიძლება იმის თქმა, რომ დეკარტს მისი აქსიომის მიმართ წამოსცდა სიტყვა „დასკვნა" და ნამდვილად აქ თითქოს არავითარ დასკვნას არ ჰქონდეს ადგილი. ამას მოწმობს დეკარტის ის დებულებები, რომლებიც ზემოთ იქნა მოყვანილი.

უნდა ითქვას ისიც, რომ „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" არის ისეთი სიტყვიერი გამოთქმა, რომელიც დასკვნას სისრულით არ გამოთქვამს, მას რაღაც აკლია; სწორედ ამის გამო ისმის საკითხი, თუ როგორ შეიძლება ეს დებულება დასკვნად ჩავთვალოთ.

„ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" არ არის ისეთი დასკვნა, სადაც აზროვნებიდან მე-ს, როგორც სხეულის არსებობის ცნების გამოყვანა ხდებოდეს. ამის ნათელმყოფელი დებულებები ზუსტად არის დეკარტთან მოცემული. დეკარტი აიგივებს აზროვნების არსებობას და მე-ს არსებობას, მისთვის მე არის მხოლოდ აზროვნება და არა სხვა რამ, რომელიც თითქოს აზროვნებიდან გამოიყვანება. დეკარტთან აზროვნებიდან გამოიყვანება ისევ აზროვნების არსებობა და არა სხვა რამ.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ხომ ტავტოლოგიასთან გვქონია საქმე? თუ აზროვნებიდან ისევ აზროვნება გამოიყვანება, მაშინ ხომ წმინდა იგივეობა, ტავტოლოგიურობა გვაქვს. როგორ შეიძლება აზროვნებიდან ისევ აზროვნება გამოიყვანო და თქვა, რომ აქ არის დასკვნა, ისეთი დასაბუთება, რომელზე უცხადესი სხვა არ შეიძლება იყოს; როგორც ამას დეკარტთან აქვს ადგილი. თუ რაიმედან ისევ ეს რაიმე გამოიყვანება, ეს ხომ არაა გამოყვანა? აქ ხომ გამოყვანილი იგივეა, რაც გამოსაყვანი, დასაბუთებული არის იგივე, რაც დამსაბუთებელი, ე. ი. არავითარ დასაბუთებას თუ დასკვნას აქ ადგილი არ აქვს.

თუ დასკვნაში არ არის იგივეობა, ერთგვარი ტავტოლოგიურობა, მაშინ უნდა ითქვას, რომ დასკვნა შეუძლებელია. დასკვნამ უნდა დაიცვას იგივეობის კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეუძლებელი იქნება. მაგრამ თუ დასკვნა მხოლოდ იგივეობის, წმინდა-აბსტრაქტულ (არა დიალექტიკურ, არა კონკრეტულ) იგივეობას წარმოადგენს, მაშინაც შეუძლებელი იქნება დასკვნა, როგორც მართლაც დასკვნა, რადგან შედეგი საფუძვლის მხოლოდ განმეორება იქნება.

დეკარტს აზროვნებიდან ისევ აზროვნება გამოჰყავს, ამიტომ აქ ადგილი აქვს იგივეობას და ტავტოლოგიურობას. მაგრამ რომ მხოლოდ ეს იგულისხმებოდეს დებულებაში „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ", მაშინ აქ დასკვნას არ ექნებოდა ადგილი, გვექნებოდა მხოლოდ ტავტოლოგიური დებულება. „ვაზროვნებ. მაშასადამე, ვარსებობ" არ უდრის გამოთქმას „ვაზროვნებ — ვაზროვნებ"; ტავტოლოგიურობა, იგივეობა მხოლოდ მომენტია, ისიც აუცილებელი, დეკარტის ამ დებულებისათვის. წმინდა იგივეობა, წმინდა ტავტოლოგიურობა, როგორც ითქვა, აქ დარღვეულია იმ განსხვავებით, რომელიც ამ დებულებაში იგულისხმება, ე. ი. იგივეობას რაღაც განსხვავება ემატება, რომლის გამოც შესაძლებელია ეგი (დეკარტის აღნიშნული დებულება) დასკვნად წარმოვიდგინოთ.

არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ დეკარტის „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" არის ჩვეულებრივი ენთიმემა, სადაც წანამძღვარი ნაგულისხმევია, სახელდობრ, ისე თითქოს ეს დებულება იყოს დანასკვი, რომელსაც ისეთი წანამძღვრები აქვს ნაგულისხმევი, რომლებიც, მასთან ერთად, ჰქმნის სილოგიზმს, მაგალითად, ასე: „ვინც აზროვნებს, ის არსებობს; მე ვაზროვნებ, მაშასადამე, მე

ვარსებობ“, ანდა, მით უმეტეს, ასე: „jedesmal wenn ich denke, existiere ich; Ich denke jetzt; Ich existiere jetzt“, როგორც ეს H. Scholz-ს წარმოუდგენია.[1] სილოგიზმის დიდი წანამძღვარი აქ დანასკვიდან მტკიცდება და არა პირიქით: რადგან მე ვაზროვნებ, მაშ., ვარსებობ, ამიტომ ვინც აზროვნებს ის არსებობს და არა პირიქით; „ვინც აზროვნებს, ის არსებობს“ --ეს სწორედ დასასაბუთებელია და არა დამსაბუთებელი.

თუ დეკარტის დებულებას — „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ წარმოვიდგენთ როგორც აზროვნებიდან აზროვნების გამოყვანას, მაშინ შეუძლებელია ეს დასკვნა სილოგისტურ დასკვნად წარმოვიდგინოთ. რადგან სილოგისტური დასკვნისათვის აუცილებელია სამი ცნება, მაშინ როცა აქ გვაქვს მხოლოდ ერთი, სახელდობრ, აზროვნების ცნება. მაგრამ თუ დეკარტის დებულებაში მხოლოდ ერთი ცნება გვაქვს, მაშინ კიდევ უფრო მეტი სიძნელე იქმნება აღნიშნული „აქსიომის“ დასკვნის სახით წარმოსადგენად; როგორ შეიძლება გვქონდეს ერთი ცნება და ამავე დროს დასკვნაც? როგორ შეიძლება ერთი ცნების საფუძველზე, ერთი ცნების საშუალებით ჩამოყალიბდეს დასკვნა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დეკარტის „ვაზროვნებ, მაშასადამე. ვარსებობ“ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ერთი ცნების შემცველი დასკვნა, თავისებური დასკვნა, როგორც აუცილებელი შუალობითი კავშირი. ეს აზრი ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ დეკარტთან ეჭვი არის აზროვნება და ამავე დროს უარყოფაც. ეჭვი, ლოგიკურ ენაზე, ეს არის უარყოფა, რომელიც, ცხადია, აზროვნებას წარმოადგენს. ამიტომ დეკარტის ეს დებულება შეიძლება ვამოითქვას ასე: ვაწარმოებ უარყოფას (ვეჭვობ), მაშასადამე. არსებობს ეს უარყოფა, ანდა უკეთ: უარვყოფ აზროვნებას, ამით ვადგენ აზროვნებას; აზრის უარყოფით დგინდება აზრი; ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან აქ უარყოფა თვითონ არის აზროვნება. რაც უფრო ვეჭვობ, მით უფრო ნათელია, რომ ვაზროვნებ. აქ არის აზრის უარყოფით მისივე დადგენა-დასაბუთება. ე. ი. უსასრულო დასკვნა, რომელსაც არ სჭირდება გარეგანი წანამძღვარი, მაგრამ არის სრულიად გარკვეული შუალობითი კავშირი, როგორც თავისი თავის უარყოფით შესრულებული თვითდაფუძნება.

---

[1] H. Scholz, Uber das cigito ergo sum იხ. Kantstudien, 1931, XXXVI, S. 126—147.

ანალოგიური გაგება დეკარტის cogito-სი გვაქვს პროფ. ლ. გოკიელის მოძღვრებაში „ძირეული დასკვნების“ შესახებ. მას ამ დასკვნების საუკეთესო მაგალითად მიაჩნია cogito, ergo sum. პროფ. ლ. გოკიელი წერს: „В аргументе cogito вывод о существовании сомневающегося делается в связи с фактом наличия сомнения. Не надо думать будто, например, отрицание существования я просто ведет к противоречию. Так обстояло бы дело, если бы имели готовый результат—именно признание существования я, между тем как вопрос касается получения этого результата. В действительности отрицание существования я приводит к регрессу в бесконечность: если отрицается существование я, то раньше надо отрицать существование того я, которое выполняет само это отрицание и т. д. Логически ложное положение, выражаемое этим регрессом, свидетельствует в пользу существования я. Здесь имеем единый ход представляемый коренным выводом, а не два логических пласта: один—установление ложности отрицания существования я, а другой—установление этого существования“[1]

აქ მოცემულია თავისებური გაგება არგუმენტისა cogito და დასკვნისა, რომელსაც ავტორი ძირეულ დასკვნას უწოდებს. მართებულად მიგვაჩნია აზრი იმის შესახებ, რომ cogito -ში ადგილი აქვს დასკვნას. მართალია cogito-ში საქმე ეხება „მე“-ს არსებობის მიღებას და არ ხდება ამ არსებობის წინასწარი აღიარება — მისი მზამზარეულად მიჩნევა, აგრეთვე, აქ ადგილი არ აქვს მხოლოდ წინააღმდეგობას, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ წინააღმდეგობის ადგილზე უსასრულობაში რეგრესს დავსვამდით, თუ ვიტყოდით, რომ აქ არ არის წინააღმდეგობა, არამედ არის მხოლოდ რეგრესი უსასრულობაში, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა შეიცავს წინააღმდეგობას; უარყოფა და დადგენა (ერთი და იგივეს) არ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობა. თუ აქ არის წინააღმდეგობა, მაშინ უსასრულობაში რეგრესი წინააღმდეგობის უსასრულოდ განმეორება იქნებოდა, ამიტომ იგი სრულიად

[1] Л. П. Гокиели. О природе логического, 1958, стр. 83.

ზედმეტი გახდებოდა, ამიტომ cogito-ში გვაქვს დადგენა უარ-
. ყოფის საშუალებით, რომელსაც ანმეორება არ სჭირდება, და რა-
დგან აქ დადგენა კი არ უქმდება, არამედ სრულდება უარყოფით,
ამიტომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ წინააღმდეგობასთან, არამედ
წინააღმდეგობის ერთიანობასთან, შინაგან წინააღმდეგობასთან, რო-
გორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენასთან, სადაც უსათუოდ
არსებობს ორი მომენტი: რაიმეს უარყოფა და ამ რაიმეს დადგენა.
აქ არ არის რაიმეს უარყოფის შეუძლებლობა მხოლოდ, არამედ
არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. თუ მე-ს არსებობის უარყო-
ფა იწვევს რეგრესს უსასრულობაში იმგვარად, რომ მე-ს უარყოფა
იწვევს იმას, რომ კიდევ უფრო ადრე უნდა გვქონდეს იმ მე-ს არსე-
ბობა, რომელიც ამ უარყოფას ასრულებს და ა. შ., მაშინ ეს იქ-
ნებოდა დასკვნის დაყვანა მის ერთ მხარეზე, სახელდობრ. მე-ს უარ-
ყოფის შეუძლებლობაზე, მაშინ როცა მე-ს უარყოფით მისივე და-
დგენა არის საფუძვლის—საშუალების დადგენა, რომლითაც ამ შემ-
თხვევაში (აზრის ლოგიკური უარყოფის შემთხვევაში) მის შედეგ-
თან იგივეობრივიცაა (არა მხოლოდ იგივეობრივი, როგორც ეს ზე-
მოთაც აღინიშნა). აქ უარყოფითი მომენტის დადებითი მნიშვნელობა
სწორედ იმაშია, რომ ის ადგენს იმას, რის უარყოფაც შეუძლებე-
ლია. ყოველი დამდგენი დადებით როლს ასრულებს. რომ ასეთი
დადგენა არ არსებობდეს, მაშინ მე-ს უარყოფის შეუძლებლობა
ინტუიციამდე დავიდოდა, უარყოფა კი ჩვენს საშუალებად —ფსი-
ქოლოგიურ საშუალებად იქნებოდა წარმოდგენილი. ამრიგად, co-
gito -ში გვაქვს დასკვნა, როგორც აზრის ლოგიკური უარყოფით
აზრისავე დადგენა, რომელიც უსასრულო დასკვნის მაგალითს წარ-
მოადგენს[1]. უსასრულო დასკვნა იმიტომ არის ლოგიკური უსასრუ-
ლობა (დაუბოლოებლობა), რომ იგი წინააღმდეგობის ერთიანო-
ბაა, სადაც წინააღმდეგობის თვითეული მხარე სასრულობას წარ-
მოადგენს.

იქიდან გამომდინარე, რაც ზემოთ ითქვა უსასრულო დასკვნის
როგორც დასაბუთების საწყისის შესახებ, ნათელი უნდა იყოს, რომ

---

[1] იხ. ჩემი შრომა „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესა-
ხებ", 1956, გვ. 180 და სხვ. იხ., აგრეთვე, ჩემი წერილი—„ლოგიკური აუცილე-
ბლობის ბუნების შესახებ" საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1958, ტ.
მე-20, № 6.

დეკარტის cogito, ergo sum როგორც უსასრულო დასკვნა, დასაბუთების საწყისს, როგორც დასაბუთების არსებას, უნდა წარმოადგენდეს და არა მხოლოდ დასაბუთების დასაწყისს, სათავეს — გამოსავალ დებულებას ლოგიკური დალაგება-გადმოცემის პროცესში. მაგრამ დეკარტმა ეს მისი დებულება ვერ გაიგო, როგორც უსასრულო დასკვნა და როგორც დასაბუთების არსება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, რომ მას cogito გაეგო როგორც დასაბუთების არსება, არ დასჭირდებოდა, მისთვის სრულიად ზედმეტი იქნებოდა ღმერთის ცნება, როგორც სათავე ჭეშმარიტი ცოდნისა. cogito მისთვის იყო მხოლოდ დასაწყისი, პირველი დებულება, როგორც „არქიმედის დასაყრდენი". ეს მასთან ისეთი დასაწყისია, რომლიდანაც სხვა დებულებების გამოყვანა — გამართლება, როგორც ასეთი, არ ხდება, მაშინ როცა ის ასეთი უნდა ყოფილიყო; — ეს დასაწყისი საწყისადაც უნდა ყოფილიყო გამოსადეგი, რადგან cogito -ს ბუნება დასკვნის ხასიათისაა, როგორც ეს დეკარტსაც ჰქონდა აღიარებული.

დეკარტის აზრით, cogito -დან არ გამოდის არავითარი სხვა დებულების ჭეშმარიტება, რომელიც თითქოს ღმერთის ცნებას საჭიროებდეს. მაგრამ დეკარტის cogito -ში განხორციელებულია არა მარტო აბსოლუტური ლოგიკური (უსასრულო დასკვნა), არამედ აბსოლუტური ჭეშმარიტებაც, როგორც ეს თვითონ დეკარტის მიერაა აღიარებული, როცა იგი cogito-ში ადგენს შეცდომის ფაქტის ჭეშმარიტებას, ისეთ ჭეშმარიტებას, რომელიც ხსნის ჭეშმარიტება-შეცდომის დაპირისპირებას. არ შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტებიდან არ გამოვიდეს, მის საფუძველზე არ აიხსნას სხვა დებულებათა ჭეშმარიტება. ამიტომ ღმერთის ცნება დებულებათა ჭეშმარიტების მიღებისათვის სრულიად ზედმეტი ხდება.

მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ cogito დასკვნის ბუნებისაა, მაგრამ ვერავინ (გარდა პროფ. ლ. გოკიელისა) ვერ მივიდა იმის აღიარებამდე, რომ ეს დასკვნა დიალექტიკურია, სახელდობრ, რომ ის „ძირეულ" თუ უსასრულო დასკვნას წარმოადგენს. cogito-ს დასკვნის სახით წარმოდგენა, ისიც იმგვარად წარმოდგენა, რომ იგი „წინააღმდეგობის ლოგიკას" უკავშირდება, მოცემული აქვს რ. ჰა-

ისს (Heiss) თავის „წინააღმდეგობის ლოგიკაში“[1]. აღსანიშნავია ის, რომ ჰაისის აზრით, დეკარტის cogito, ergo sum არის თავისებური დასაბუთება. რომელიც ნეგატიურ თვითგამოყენებას (Selbstanwendung) წარმოადგენს, მასში მხოლოდ ერთი ცნება გამოიყენება. ამ მომენტების აღნიშვნაში ჰაისს შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ არ არის სწორი მისი აზრი იმის შესახებ, თითქოს ამ დასაბუთებას ჰქონდეს სამი საფეხური; 1) ყველაფერში შეეჭვება, 2) თავის თავის უარყოფა (Widerlegung და 3) ამ უარყოფის მოხსნა უარყოფითვე (herausheben)[2]. მაგრამ დეკარტის cogito -ში მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება კი არაა თავის თავისადმი, არამედ არის დადებითი დადგენა, რომელშიც განხორციელებულია ლოგიკური აუცილებლობა მთელი სისრულით. ეს დასკვნა სამ საფეხურიანი კი არაა, არამედ ერთიანია — თავის თავის უარყოფით თავის თავის დადგენაა. იგი არის სამი მომენტის შემცველი და არა სამსაფეხურიანი. აქ ხდება დადგენა იმის, რის უარყოფაც ხდება, იმით, რომ უარყოფილი უარყოფის საშუალებად არის გამოყენებული და უარყოფაც, კატეგორიის აზრით, იგივეა, რაც უარყოფილი (ორივე არის აზრი). აზრის უარყოფაც აზრია.

ჰეგელი აღნიშნავს, რომ დეკარტს cogito, ergo sum არ მიაჩნდა დასკვნად, რამდენადაც მას დასკვნის ქვეშ სილოგიზმი ესმოდა. თუ დეკარტის ამ დებულებას სილოგიზმის დანასკვად მივიჩნევთ, მაშინ მისი დიდი წანამძღვარი — „ყველა, ვინც აზროვნებს, არსებობს“ იქნება არა წანამძღვარი, არამედ დანასკვი cogito -დან. ამიტომ დეკარტს არ შეეძლო მისი ეს დებულება სილოგისტურ დასკვნად მიეჩნია[3].

თუ კანტმა, როგორც აღვნიშნეთ, დეკარტის cogito გაიგო როგორც ტავტოლოგიური დებულება, რის საფუძველზედაც მისი ტრანსცენდენტალური აპერცეპცია ტავტოლოგიურად წარმოიდგინა და ცოდნის ლოგიკურ საწყისად მიიჩნია, გერმანული იდეალიზმის, უკეთ, იდეალისტური დიალექტიკის განვითარებამ, კერძოდ, ფიხტემ და ჰეგელმა ეს საწყისი ცოდნის სისტემის, როგორც და-

---

[1] იხ. R. Heiss, Logik des Widerspruchs, 1932, B. u. L.

[2] იქვე, S. 74.

[3] ჰეგელი, ენციკლოპედია, 1, § 64, შენიშვნა.

ლაგების — დასაბუთების სისტემის, დიალექტიკურ დასაწყისად ჩასთვალა. ფიხტეც და ჰეგელიც ლოგიკურ დალაგებას დასაბუთებად მიიჩნევდნენ და ამიტომ მის საწყისს არსებითად უიგივებდნენ დალაგების დასაწყისს. ფიხტემ, ამ მხრივ, გამოარკვია სიძნელე, რომელიც ჰეგელმა დასძლია, რამდენადაც ასეთი რამ იდეალისტური დიალექტიკის საფუძველზე იყო შესაძლებელი და მოსახერხებელი.

ჰეგელისათვის დალაგება-დასაბუთების საწყისი, ეს უნდა ყოფილიყო რაღაც თვითგაორების ბუნების მქონე, თავისებური ლოგიკური და არა ინტუიცია. სწორედ ამ აზრს, სახელდობრ, იმას, რომ დასაწყისი უნდა იყოს თვითგაორებადი უპირობო, პირველად დაადგა ი. გ. ფიხტე.

ფიხტეს აზრით, ლოგიკური დალაგება, რომელიც დასაბუთების სისტემას წარმოადგენს, უნდა იწყებოდეს არა ტავტოლოგიური დებულებით „A არის A“, რომელიც ფორმალური ლოგიკის ძირითად დებულებას წარმოადგენს, არამედ დებულებით „მე ვარ“, რომელიც სისტემის პირველი ძირითადი, სრულიად უპირობო დებულებაა, რასაც ექვემდებარება იგივეობის დებულება — „A არის A“ (ანუ A=A).

ფიხტეს აზრით, დებულება A არის A სრულიად უცილობელი დებულებაა. თუ ამ დებულებას ისეთ დებულებად მივიჩნევთ, რომელიც სხვა საფუძველს, ე. ი. დასაბუთებას არ საჭიროებს, ამით ჩვენ ვაწერთ ჩვენს თავს რაიმეს უპირობოდ დადგენის უნარს. დებულების „A არის A“ დადგენით არ დგინდება A-ს არსებობა. დებულება „A არის A“ არაა იგივე მნიშვნელობის, როგორიცაა „A არის“ ან „არსებობს რომელიღაც A“. დებულება „A არის A“ ნიშნავს დებულებას: **„თუ** არის A, **მაშინ** არის A“. აქ არ ისმის კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა A. საკითხი ეხება ამ დებულების არა შინაარსს, არამედ მხოლოდ ფორმას. საკითხი ეხება აუცილებელ კავშირს, რომელიც არსებობს „თუ“-სა და „მაშინ“-ს შორის. აი სწორედ ეს კავშირი დგინდება უპირობოდ, როცა გამოვთქვამთ დებულებას „A არის A“. მაგრამ ისმის საკითხი, თუ რა პირობებში არსებობს A. „თუ“-სა და „მაშინ“-ს შორის აუცილებელი კავშირი, რომელიც უპირობოდ დგინდება დებულებით „A არის A“, აღვნიშნოთ X-ით. ეს X-ი დგინდება „მე“-ში და „მე-ს საშუალებით, რადგან დებულებას „A არის A“ გამოთქვამს „მე“ თანახმად კანო-

ნისა X, რომელიც, ამდენად, მოცემულია „მე“-თი. X დგინდება უპირობოდ „მე“-თი და თვითონ „მე-ს საშუალებით. რამდენადაც დგინდება უპირობო კავშირი A-ს უცნობ დადგენასა და პირობით აბსოლუტურად დადგენილ იმავე A-ს შორის, ამდენად A დგინდება „მე“-ში „მე“-ს საშუალებით, ისე როგორც დგინდება X. X შესაძლებელია რომელიღაც A-ს მიმართ; X დგინდება „მე“-ში, ამიტომ A-ც უნდა დადგინდეს „მე“-ში. X კავშირი შეიძლება გამოითქვას ასე: „მე ვარ მე“. ამით უკვე მივიღეთ დებულება „მე ვარ“. თუ X დგინდება უპირობოდ, მაშინ უპირობოდ დგინდება დებულებაც „მე ვარ“. დებულებას „მე ვარ მე“ სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დებულებას „A არის A“. რადგან „მე ვარ“ უპირობოა, A (სუბიექტი დებულებისა „A არის A“) კი პირობითად არის აღებული. X ემყარება—ეფუძნება „მე ვარ“-ს, ამიტომ უნდა ითქვას, რომ „მე“-ში ყოველივე დადგენის წინ უნდა დადგინდეს თვითონ „მე“. „მე“ დგინდება „მე“-თი. ეს არის თვითდადგენა. „მე“ ადგენს თავის თავს, ის **არის** ამ თავის თავის დადგენით, და პირიქით, „მე არის“ და იგი ადგენს თავის არსს მხოლოდ თავისი არსის საშუალებით. ის არის ერთსა და იმავე დროს, რაც ასრულებს მოქმედებას და ამ მოქმედების პროდუქტიც,—მოქმედი საწყისიც და ისიც, ამ მოქმედების რეზულტატიც. „მოქმედება და საქმე ერთი და იგივეა“ (Handlung und Tat sind Eins und eblndasselbe); ამიტომ „მე ვარ“ არის გამოხატულება საქმე-ქმედებისა (Tathanlung)[1]. ეს არის სწორედ ლოგიკური სისტემატური დალაგების დასაწყისი, ამავე დროს საწყისი — არსება ყოველ-გვარი დასაბუთებისა, ცოდნის სისტემისა.

რამდენადაც „მე“ ადგენს თავის თავს, იმდენად ის არის და რამდენადაც ის არის, იმდენად ადგენს თავის თავს. ამიტომ „მე“ უპირობოა, აუცილებელია „მე“-სთვის[2]. თუ არსებობ, არ არის აუცილებელი აზროვნებდე, მაგრამ თუ აზროვნებ, აუცილებელია არსებობამდე[3]. არ შეიძლება ვიაზროთ რაიმე, რომ არ მივუაზროთ

---

[1] იხ. I. G. Fichte, Grundlage der gesamten Wissenschaftslehre, F. Medicus, 1911, S. 16 (და წინ).

[2] იქვე, S, 17.

[3] იქვე, S, 20;

საკუთარი მე[1], იმეორებს კანტს ფიხტე. მისი აზრით, კანტს არსად არ მოუცია ეს აზრი ძირითადი დებულების სახით, როგორც ეს მან გააკეთა[2]. შეუძლებელია საკუთარი თვითცნობიერებიდან განყენება[3], იმეორებს ფიხტე დეკარტს—(ამას დაემყარება შემდგომ ჰუსერლი). დეკარტის cogito ფიხტეს ესმის როგორც ცნობიერების უშუალო ფაქტის აღნიშვნა[4]. იგი რატომღაც დეკარტის ამ დებულებაზე მაღლა აყენებს რაინჰოლდის დებულებას, რომელსაც დეკარტის ენაზე ის ასე გამოთქვამს: წარმოვიდგენ, მაშ., ვარსებობ[3]. სპინოზას კი იგი თვლის ისეთ ფილოსოფოსად, რომელიც მისი ძირითადი დებულების საზღვრებს გარეთ გადის.

ფიხტე გამოვიდა დებულებიდან „A არის A" და მივიდა დებულებამდე „მე ვარ", მაგრამ ეს არ იყო პირველის საფუძველზე მეორის დასაბუთება; ეს იყო მხოლოდ ემპირიული უცილობელიდან (ფიხტეს გამოთქმით) გამოსვლა. ისე კი „მე ვარ" არის საფუძველი დებულების—„A არის A" და არა პირიქით[6]; უკანასკნელი პირველს ექვემდებარება.

ლოგიკური თვალსაზრისით (და მხოლოდ ამ თვალსაზრისით) სწორად უნდა ჩაითვალოს ფიხტეს დებულებები, რომ: 1) ფორმალური ლოგიკის ძირითადი დებულება — იგივეობის დებულება (Aარის A) დაქვემდებარებული დებულებაა, არ არის აბსოლუტური ხასიათის, როგორც ეს ფორმალურ ლოგიკას წარმოედგინა. (ამ აზრს შემდგომ ჰეგელის დიალექტიკა განავითარებს); 2) ყოველი პირობითი დადგენა (მაგალითად, „თუ არის A, მაშინ არის A") ექვემდებარება მისთვის აუცილებელ საფუძველს — უპირობო დებულებას. თუ პირობითი დებულება არის დადგენა, უპირობო იქნება თვითდადგენა.

მცდარია ფიხტე, როცა იგი: 1) პირველ ძირითად დებულებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს მხოლოდ იმ საბუთით, რომ მას სხვა

---

[1] იქვე, S. 17
[2] იქვე, S. 20
[3] იქვე, S. 17
[4] იქვე, S. 20
[5] იქვე.
[6] ფ ი ხ ტ ე, იქვე, S. 19 „... nicht der Satz: A=A den Satz: Ich bin, sondern dass vielmehr der letztere den erstern begründe.

საფუძველი არ აქვს. თუ არსებობს თვითდადგენა, რატომ არ უნდა გავიგოთ იგი როგორც თვითდაფუძნება-დასაბუთება? 2) იგივეობის დებულება ექვემდებარება არა დებულებას „მე ვარ", არამედ წინააღმდეგობის ერთიანობას, რომელიც, ჩვენი აზრით, მოქმედებს დეკარტის cogito-ში და ვერ შენიშნა ფიხტემ, რომელმაც ვერც თავის დებულებაში მონახა იგი; 3) ფიხტეს თვითდადგენა სუბიექტის მოქმედებაა და არა ლოგიკური, როგორც თვითდაფუძნება; 4) მთავარი ისაა, რომ თვითდადგენაში ფიხტემ ვერ აღმოაჩინა შინაგანი უარყოფის მომენტი, ანუ თვითდადგენა ვერ განახორციელა შინაგანი უარყოფის საშუალებით. თვითდადგენა, როგორც პირველი დადებითი, ვერ დაუკავშირა უარყოფას, უარყოფის ფორმას, თუმცა ამის ცდა მოგვცა, რაც „მე-ს მიერ „არა-მე"-ს და პირიქით დადგენა დაახასიათა; ეს დაკავშირება მან არა თუ ვერ განახორციელა, არამედ, პირიქით, უარყოფის შემოტანით აბსოლუტურ სუბიექტს მოსწყვიტა ის სუბიექტი, რომელიც არა-მეს დაუპირისპირდა; თვითგაორება მხოლოდ სიტყვიერად განახორციელა. 5) ფიხტეს მთავარი შეცდომა, ისე როგორც დეკარტისა, მათ იდეალიზმსა და მეტაფიზიკურობაში მდგომარეობს; სწორედ ამის გამო ისინი ვერ მივიდნენ დიალექტიკურ-ლოგიკურამდე. ფიხტემ მხოლოდ დაიწყო ის დიალექტიკა, რომელიც შემდგომ ჰეგელმა დაასრულა, რომლის — „გადაბრუნებაც" აუცილებელი გახდა მატერიალური დიალექტიკის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის.

ზემოთ წარმოებული მსჯელობა იმას გვიმტკიცებს, რომ თუ საწყისი აბსოლუტურად მარტივია, მაშინ აქედან არაფერი გამოეა, ამიტომ არ განხორციელდება ლოგიკური დალაგება როგორც ლოგიკური აუცილებელი გამოყვანა. თუ დასაწყისი ისეთია, რომ აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამოიყვანება ახალი, დასაწყისიდან განსხვავებული, მაშინ განხორციელდება ლოგიკური დალაგება როგორც დასაბუთება. ასეთი დასაწყისი უნდა იყოს დიალექტიკური ბუნების, რათა შესაძლებელი იყოს ლოგიკური განვითარების განხორციელება. ჰეგელმა პირველად გაიგო ლოგიკური დალაგება როგორც განვითარება, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს. მისი დასაწყისიც მან დიალექტიკურად გაიგო.

ჰეგგლის აზრით, იდეების სისტემატური გამოყვანა არის ის, რაც წინათ დასაბუთებად ესმოდათ, ე. ი. ცნებების სისტემატურ

გამოყვანაში ხორციელდება დასაბუთება. ის, რაც დასაბუთების ცნებაში იყო ნაგულისხმევი, თავისი ნამდვილი სახით, ლოგიკურ სისტემატურ დალაგებაში შეიძლება გვქონდეს. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ლოგიკურ ფორმებს, რომელიც ლოგიკის საგანს წარმოადგენს, თავისი შინაარსი აქვს. სწორედ ამ შინაარსის გამო ლოგიკური ფორმები გადაებმება ერთიმეორეს ლოგიკური აუცილებლობით. რას წარმოადგენს დასაბუთება, ლოგიკური დალაგება როგორც დასაბუთება?

ლოგიკურ დალაგებაში, როგორც დასაბუთებაში, უნდა განხორციელდეს ცნებების ისეთი აუცილებელი კავშირი, სადაც ადგილი ექნება ერთი ცნების მეორეში სინთეზურ გადასვლას. თუ ცნებათა სინთეზური კავშირი კანტისათვის შეუძლებლად იყო მიჩნეული, რადგან სინთეზურობას, მისი აზრით, საფუძვლად უდევს გრძნობადი ინტუიცია, ჰეგელისათვის ცნებათა ასეთი კავშირი შესაძლებელია ყოველგვარი ინტუიციის გარეშე. ჰეგელის აზრით, გადასვლა ერთი ცნებისა მეორეში, როგორც ლოგიკური აუცილებლობის განხორციელება, ცნებით გაშუალებას წარმოადგენს; გადასვლა ცნების მიერ გაშუალებული გადასვლაა.

ჰეგელის აზრით, განსჯის მიერ გაგებული დასაბუთება განსხვავდება გონების მიერ გაგებული დასაბუთებისაგან; გონებას დასაბუთებაში სრულიად სხვა რამ ესმის, ვიდრე განსჯას. განსჯისათვის დასაბუთება არის ერთი განსაზღვრების დამოკიდებულება მეორე განსაზღვრებისაგან, ანუ, რომ ერთი განსაზღვრება დამოკიდებულია მეორეზე და დასაბუთებისათვის წინდაშვებულია რაღაც მყარი, რომლისგანაც გამოდის სხვა. განსჯა დასაბუთებაში აჩვენებს იმას, თუ როგორაა დამოკიდებული რაიმე განსაზღვრება წინასწარ დაშვებულზე[1]. ასეთი გაგება დასაბუთებისა დაუსაბუთებლად ტოვებს იმას, რაც წინდაშვებულია, როგორც მყარი, საიდანაც განსაზღვრებები გამოდიან, და სანამდეც განსაზღვრებებმა უნდა მიგვიყვანონ.

---

[1] Hegel, Enz., § 36, Zusatz. Bolland. S. 51: Die Hauptsache dabei ist. dass das Beweisen, wie dasselbe vom Verstande genommen wird Abhängigkeit einer Bestimmung von einer anderen ist; man hat bei diesem „Beweisen" ein Vorausgesetzes, ein Festes, aus dem ein Anderes folgt und es wird hier also die Abhängigkeit einer Bestimmung von einer Voraussetzung aufgezeigt.

გამოდის შეუსაბამობა: ან დაუსაბუთებელი რჩება მთავარი, დასაყრდენი, საფუძველი და იგი მიიღება უშუალოდ, ანდა ეს საფუძველი მიიღება შედეგად, რაც შეუძლებელია განსჯის მიერ გაგებული დასაბუთების აზრით.

სხვაა გონების მიერ გაგებული დასაბუთება. მასაც გამოსავალ პუნქტად აქვს სხვა, მაგრამ ამ სხვას დასაბუთების განვითარების პროცესი არ ტოვებს უშუალოდ, არამედ აჩვენებს მის გაშუალებას, ადგენს მას. გონებისეულ დასაბუთებაში ის, რაც დასაწყისში საფუძვლად იყო მიჩნეული შედეგად იქცევა, შედეგი კი საფუძვლად გამოდის[1].

დასაბუთების ასეთი გაგება წამოიწყო ფიხტემ. რომლისთვისაც მისი სისტემის პირველი, აბსოლუტურად უპირობო ძირითადი დებულება დაშვებული იყო ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თუმცა მთელი მისი „მეცნიერების თეორია" სწორედ მის დასაბუთებას ცდილობდა[2].

ლოგიკური დალაგება, როგორც დასაბუთება, გამოდის უშუალოდან, შედარებით მარტივიდან, მაგრამ მთელი დასაბუთება სხვა არაფერია, თუ არა მისი გაშუალება. დასაწყისი სწორედ ბოლოს დასაწყისია, დასაწყისი ბოლოს წარმოსდგება სრული სახით; ამიტომ ნამდვილი დასაბუთება, ეს არის ლოგიკური სისტემატური დალაგება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს.

ჰეგელის აზრით, დასაბუთება ნიშნავს იმის ჩვენებას, თუ როგორ საგანი თავის თავის საშუალებით და თავისთავიდან ხდება ის, რაც ის არის[3]. ასეთია დასაბუთება ჰეგელის მთელი „ლოგიკის" მანძილზე, სადაც ლოგიკური დალაგება არის ცნების მიერ თავის თავის გაშუალება, ცნების უმარტივესი განსაზღვრულობიდან დაწყებული ლოგიკური განვითარების იმით დამთავრება, რასაც თვითონ ცნება წარმოადგენს. ეს არის ცნების განსაზღვრების პროცესი.

ჰეგელის ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური დალაგების პროცესი როგორც დასაბუთება, ერთი და იგივეს უმარტივესი განსაზღვრულობიდან მისივე განსაზღვრულობების ლოგიკუ-

---

[1] იქვე,

[2] იხ. ფიხტეს ხემოთ დასახელებული შრომა, გვ. 15.

[3] Hegel, Enz, § 83, დანართი, Bolland, S. 111: Denn Beweisen heisst in der Philosophie so viel als Aufzeigen, wie der Gegenstand durch und aus sich selbst sich zu dem macht, was er ist.

რი კავშირი, რომელიც მიდის უკონკრეტულესამდე; ეს არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულის მიღების ლოგიკური, დიალექტიკურ-ლოგიკური პროცესი, სადაც ერთი და იგივე სუბიექტი მის პრედიკატებში ამოიწურება, პრედიკატების ლოგიკური კავშირი მას წარმოადგენს და ახორციელებს; ეს არის ერთგვარი აღმავალი სვლა, ლოგიკური განვითარება ერთმხრიობიდან მთელისაკენ, ერთიანობისაკენ. ამ შემთხვევაში დასაბუთება გაგებულია როგორც ლოგიკური დალაგება, განვითარებითი დალაგება, რომლის არსება ამ დალაგების პროცესს მისდევს თავიდან ბოლომდე, ისე რომ, დასაწყისში ის არის მარტივი, აბსტრაქტული, ბოლოში კი — უკონკრეტულესი (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდგომ).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების ჰეგელიანურ გაგებაში არის რაციონალური მარცვალი, სახელდობრ, ის, რომ დასაბუთება გაგებულია როგორც განვითარება, როგორც პროცესი მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან უმაღლესისაკენ. ეს პროცესი დიალექტიკური ხასიათისაა, მასში განხორციელებულია დიალექტიკურ-ლოგიკური. დასაბუთების დასაწყისი არსებითად იგივეა, რასაც დასაბუთების საწყისი (არსება) წარმოადგენს.

საკითხის საბოლოო გარკვევა შეიძლება მოხდეს იმით, რომ გაირკვეს მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი მის (ამ საკითხის) შესახებ, რაც ცალკე უნდა შესრულდეს.

5. ლოგიკური დალაგება-გადმოცემის წესი და კვლევა-ძიების წესი

ა) დიალექტიკური მეთოდი, აზროვნების დიალექტიკური წესი არ არის მხოლოდ შემეცნების წესი — კვლევა-ძიების წესი, ის, ამავე დროს, არის ლოგიკური დალაგება-გადმოცემის (ამ აზრით, დასაბუთების) წესი. კ. მარქსი წერდა: „რასაკვირველია, გადმოცემის წესი (Darstellungsweise) ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევის წესისაგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება ნამდვილი მოძრაობის სათანადო წესით გადმოცემა. თუკი ეს მოხერხდა და მასალის ცხოვრებამ თავისი იდეალური ასახულობა ჰპოვა, მაშინ ერთი შე-

ხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საქმე გვაქვს აპრიორულ კონსტრუქციასთან"[1].

აქ აღსანიშნავია რომ, კ. მარქსის აზრით, ლოგიკური დალაგების წესი და კვლევა-ძიების ანუ შემეცნების წესი ერთიმეორისაგან ფორმალურად განსხვავდებიან, ე. ი. არსებითად ერთი და იგივე არიან, ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური წესი. აქ ლოგიკური წესი შემეცნების წესთან ისე კი არაა გაიგივებული, რომ თითქოს პირველი იხსნებოდეს და მეორე რჩებოდეს, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა გათიშვას (ლოგიკური დარჩებოდა შემეცნების გარეთ), არა, აქ ადგილი აქვს ისეთ ლოგიკურ წესს, რომელიც, ამავე დროს, შემეცნების წესიცაა და ისეთ შემეცნების წესს, რომელიც, ამავე დროს, ლოგიკურ წესსაც წარმოადგენს. სწორედ ამ გარემოებას გამოთქვამს ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა, რომ „კაპიტალში", რომელშიც გამოყენებულია ზემოთ აღნიშნული ლოგიკური დალაგების წესი, გამოყენებულია ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია, რომლებიც ერთსა და იგივეს წარმოადგენენ. (В „Капитале" применена к одной науке логика, диалектика и теория познания материализма (не надо 3-х слов: это одно и тоже)[2]

ლოგიკური. დალაგების, როგორც დასაბუთების, წესი არის დიალექტიკური წესი; ეს იმას ნიშნავს. რომ ლოგიკური დალაგება თვითონ არის დიალექტიკური ბუნების; ასეთი დასაბუთება დიალექტიკურია. ლოგიკური დალაგების წესი ხორციელდება „ნამდვილ მოძრაობაში"; ლოგიკური დალაგების წესი „ნამდვილი მოძრაობის სათანადო წესია". როგორც ამას მარქსი პირდაპირ აღნიშნავს. აქ თავის იდეალურ ასახულობას პოულობს „მასალის ცხოვრება", ე. ი. „მასალის ცხოვრება" მოხსნილ-შენახულია (ამას ნიშნავს „იდეალური"), ე. ი. შემეცნებულია — აზრშია გატანილი და გადამუშავებული.

რადგან ლოგიკური დალაგების პროცესი არის დიალექტიკური — შინაგანი წინააღმდეგობის გაშლითა და გადაწყვეტითაა განხორციელებული, ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აქ საქმე

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 22—23.
[2] В. И. Ленин, Философские тетради, გვ. 215.

გვაქვს აპრიორულ კონსტრუქციასთან, თითქოს ლოგიკური აბსოლუტური დამოუკიდებლობის მქონეა და ასე ვითარდება, როგორც ამას ჰეგელთან აქვს ადგილი. ნამდვილად კი მარქსის მეთოდი დიამეტრულად განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან. „ჩემი დიალექტიკური მეთოდი, — წერს მარქსი —, თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ მისი სრული დაპირისპირებულობაა. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, დემიურგია სინამდვილისა, რომელიც მის გარეგან გამოვლინებას წარმოადგენს. ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი“[1]. „იდეალური“ აქ ლოგიკურს ნიშნავს, რადგან საქმე ეხება დიალექტიკას, როგორც ლოგიკურ-დალაგებას. ის, რაც ჰეგელისათვის შედეგია, ნამდვილად საფუძველს წარმოადგენს და პირიქით, ჰეგელთან დიალექტიკა თავდაყირა იყო დაყენებული.

მაშასადამე, ლოგიკური დალაგება-გადმოცემის დიალექტიკური წესი არის ნამდვილი მოძრაობის წესი თვითონ დალაგებაში როგორც დასაბუთებაში. ლოგიკური დალაგება, როგორც დასაბუთება, დასაწყისიდან ბოლომდე უნდა იყოს დიალექტიკური. დიალექტიკური უნდა იყოს დასაბუთების საწყისიც და დასაწყისიც. კ. მარქსის „კაპიტალში“ ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, ნიმუშია მოცემული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჰეგელის „ლოგიკაშიც“, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდეალისტურ დიალექტიკასთან, პირველ შემთხვევაში კი მატერიალისტურ დიალექტიკასთან.

თუ როგორი უნდა იყოს ლოგიკური დალაგების ხასიათი, ამის შესახებ კ. მარქსს თავისი შეხედულება გადმოცემული აქვს წიგნში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, შესავალში, თავში — „პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი“, რომლის ძირითადი დებულებები კომენტირებული აქვს ფ. ენგელსს რეცენზიაში კ. მარქსის ამ შრომის შესახებ. თვითონ მეთოდი კი განხორციელებულია ამ შრომასა და „კაპიტალში“. ეს მეთოდი, როგორც ლოგიკური დალაგების წესი, დიალექტიკურ-ლოგიკური ხასიათისაა. იგი არსებითი წესია დიალექტიკურ ლოგიკაში.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 23.

კ. მარქსი ერთიმეორისაგან განასხვავებს ორ მეთოდს: ერთი მეთოდი იწყებს კონკრეტულიდან და მიდის აბსტრაქტულისაკენ, მეორე კი, პირიქით, იწყებს აბსტრაქტულიდან და მიდის კონკრეტულამდე. პირველი იწყებს სუბიექტიდან, როგორც საფუძვლიდან და გადადის ამ სუბიექტის ცალმხრიობებზე, ამ ცალმხრიობების გამომთქმელ აბსტრაქციებზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, მე-17 საუკუნის პოლიტიკურ ეკონომიაში; ამ დროის ეკონომისტები იწყებდნენ „ცოცხალი მთელიდან", მაგ., მოსახლეობიდან, ერიდან, სახელმწიფოდან და სხვ., და ამთავრებდნენ იმით, რომ „ანალიზის საშუალებით გამოჰყოფენ ზოგიერთ განსაზღვრულ, აბსტრაქტულ საყოველთაო ურთიერთობას, როგორიცაა შრომის დანაწილება, ფული, ღირებულება და სხვ." ასეთი მეთოდი. მარქსის მტკიცებით, არის მცდარი, რადგან: 1) იგი იწყებს თითქოს კონკრეტულიდან, ნამდვილად კი ადგილი აქვს დაწყებას მთელზე ქაოსური წარმოდგენიდან; „თუ მე, ამბობს მარქსი, — მოსახლეობიდან დავიწყებდი, ეს იქნებოდა ქაოსური წარმოდგენა მთელზე, და მხოლოდ უფრო დაახლოებული განსაზღვრის გზით მივაღწევდი ანალიტიკურად უფრო და უფრო მარტივ ცნებებს, წარმოდგენაში მოცემული კონკრეტულიდან უფრო და უფრო მჭლე აბსტრაქციებზე. გადავიდოდი, ვიდრე უმარტივეს განსაზღვრებებს არ მივაღწევდი. აქედან კი ისევ უკანსვლა უნდა დამეწყო, ვიდრე ბოლოს, კვლავ არ მივაღწევდი მოსახლეობას, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე არა როგორც ქაოსურ წარმოდგენას მთელზე, არამედ — როგორც მრავალი განსაზღვრისა და მიმართების შემცველ მდიდარ ერთობლიობას". 2) კონკრეტულიდან ასეთი დაწყება, ეს არის, ნამდვილად, არა კონკრეტულიდან დაწყება არამედ დაწყება აბსტრაქტულიდან, იმ აზრით, რომ როცა ჩვენ ვიწყებთ, მაგალითად, მოსახლეობიდან, მაშინ ეს მოსახლეობა არის აბსტრაქცია, კიდევ მეტი, ცარიელი სიტყვა. „მოსახლეობა აბსტრაქციაა, — ამბობს მარქსი, — თუ მე, მაგალითად, იმ კლასებს, რომლებისგანაც ის შედგება განზე ვტოვებ, ეს კლასებიც ცარიელი სიტყვაა, თუ მე არ ვიცი ის ელემენტები, რომლებსაც ისინი ემყარებიან, მაგალითად, დაქირავებული შრომა, კაპიტალი და სხვ"[1].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ.280,281.

ამრიგად, თუ ჩვენ დავიწყებთ კონკრეტულიდან, მაშინ: 1) ნამდვილად დავიწყებთ აბსტრაქტულიდან, როგორც ქაოსური წარმოდგენიდან, ცარიელი სიტყვიდან; ასეთი გზა მცდარი გზაა; 2) ნამდვილად უნდა დავიწყოთ აბსტრაქტულიდან, ე. ი. იქიდან, საიდანაც იწყება შებრუნებული გზა, ე. ი. მეორე მეთოდი, რომლის სისწორეს და აუცილებლობას აჩვენებს პირველი მეთოდის მცდარობა.

მეორე მეთოდი, როგორც ითქვა, ეს არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულის მიღების მეთოდი, ის იწყებს მარტივიდან და მიდის „მრავალი განსაზღვრისა და მიმართების შემცველ მდიდარ ერთობლიობამდე", მაგალითად, იწყებენ ისეთი „მარტივიდან, როგორიცაა შრომა, შრომის დანაწილება, მოთხოვნილება, საცვლელი ღირებულება, ადიან ზევით სახელმწიფომდე, საერთაშორისო გაცვლამდე და მსოფლიო ბაზრამდე, უკანასკნელი მეთოდი, ცხადია, მეცნიერულად სწორი მეთოდია". რა არის კონკრეტული და რას წარმოადგენს აბსტრაქტული? „კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრათა შეერთებაა, მაშასადამე, მრავალსახიანობის ერთიანობაა"[1]. კონკრეტული არის მრავალმხრიობის ერთიანობა; აბსტრაქტული კი ამ ერთიანობის ერთმხრიობა (ცალმხრიობაა).

ამ ორ გზას შორის ის განსხვავებაა, რომ „როდესაც პირველი გზაა არჩეული, სრული წარმოდგენა აბსტრაქტულ განსაზღვრად ორთქლდება; როდესაც მეორეა არჩეული, აბსტრაქტული განსაზღვრებანი იძლევიან კონკრეტულის კვლავ-წარმოქმნას აზროვნების გზით"[2].

რადგან აზროვნებაში ასეთი „კვლავ-წარმოქმნა" (რეპროდუქცია) გვაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ გასამეორებელი არის სინამდვილეში არსებული. ამიტომ ისმის კითხვა აქ აღნიშნული მეორე გზა აზროვნების გზაა, თუ სინამდვილის განვითარების გზა? ამ კითხვას კ. მარქსი შემდეგნაირად პასუხობს: „აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად როგორც კონკრეტულს. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა თვით

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 280—281.

[2] იქვე.

კონკრეტულის წარმოშობის პროცესი"[1]. მაგამ კ. მარქსი, მეორე მხრივ, იმასაც ამბობს, რომ „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პორცესს შეესაბამება"[2]. ამ აზრს გარკვეულად გამოთქვამს და ასაბუთებს ფ. ენგელსი რეცენზიაში კ. მარქსის ამ შრომის შესახებ, როცა ამბობს, რომ ლოგიკური ისტორიულის ასახვაა.

საქმე ისაა, რომ: 1) აბსტრაქტულობა მხოლოდ აზროვნებისათვისაა დამახასიათებელი და არა სინამდვილისათვის. სინამდვილეში არსებობს მარტივი (შედარებით მარტივი), მაგრამ არა აბსტრაქტული. აბსტრაქტული მარტივია (შედარებით მარტივი), მაგრამ ყოველი მარტივი არ არის აბსტრაქტული, სინამდვილეში არსებული შედარებითი მარტივი არ არის აბსტრაქტული, რადგან აბსტრაქტული მხოლოდ აზროვნებითი შეიძლება იყოს. 2) როდესაც მარქსი ამბობს, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის წესი, ეს არის მხოლოდ აზროვნების წესი, მაგრამ არა კონკრეტულის წარმოშობის პროცესი, მაშინ მას მხედველობაში აქვს მცდარი გზა, მცდარი მეთოდი, სახელდობრ, ჰეგელის მეთოდი, როცა ის რეალურს აზროვნების შედეგად წარმოიდენდა. მარქსის თქმით: „ჰეგელი ილუზიაში ვარდება, როდესაც მას რეალური ესმის როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში მოიცავს თავის თავს (des sich in sich zusammenfassenden), თავისში ღრმავდება და თავის თავიდან ვითარდება"[3]. 3) თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის აზროვნებითი გზა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არის ისეთი გზა, როცა ნამდვილი მოძრაობა აზროვნებაში აისახება, მაგრამ აქ „ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საქმე გვაქვს აპრიორულ კონსტრუქციასთან[4]. ერთიმეორეს ჰგავს სინამდვილის დიალექტიკა და აზროვნების დიალექტიკა, მაგრამ მათი ერთიმეორეში აღრევა არ შეიძლება; აზროვნების გზა არ არის სინამდვილის განვითარების გზა, მაგრამ უკანასკნელი პირველში აისახება. ლოგიკური გამოხატავს ისტორიულს. 4) მარქსის თქმით: „ცნობიერებისათვის კატე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, იქვე, გვ. 281—22.
[2] იქვე, გვ. 284.
[3] იქვე, გვ. 281.
[4] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, გვ. 22—23.

გორიების მოძრაობა წარმოადგენს წარმოების ნამდვილ აქტს, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ბიძგს ღებულობს გარედან და რომლის შედეგიც სამყაროა; და ეს იმდენად არის მართებული..., რამდენადაც კონკრეტული ერთობლიობა, როგორც აზროვნებითი ერთობლიობა, როგორც აზროვნებითი კონკრეტულობა, მართლაც აზროვნების, გაგების პროდუქტია; მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არაა პროდუქტი ცნებისა, რომელიც თვალსაჩინო ჭვრეტისა და წარმოდგენის გარეშე აზროვნებს და თავის თავს თვითონ წარმოშობს, არამედ ეს ჭვრეტისა და წარმოდგენათა ცნებებად გადამუშავებაა"[1], 5) რაიმე კონკრეტულის, მთელის აზროვნებითი განხილვის დროს ამ მთელის ერთმხრიობიდან დაწყება სხვაა, ამ მთელის სხვა კონკრეტულიდან წარმოშობის განხილვისას ამ სხვა კონკრეტულიდან დაწყება კი თავისებურია. მეორე შემთხვევაში ისტორიული შეიძლება პირდაპირ აისახოს ლოგიკურში, ისე რომ, რითაც იწყებს ისტორია, იმით დაიწყოს ლოგიკურმაც, მაგრამ კონკრეტულის განხილვის დაწყება მისი ერთი მხრიდან, უმარტივესი კატეგორიიდან არის დაწყება იქიდან, რასაც არსებობა მხოლოდ მთელში აქვს (ასე განიხილა მარქსმა „კაპიტალში" კაპიტალისტური მეურნეობა, როგორც მთელი, კონკრეტული). „უმარტივეს ეკონომიურ კატეგორიას... არასოდეს არ შეუძლია არსებობა სხვაგვარად, თუ არა უკვე მოცემული კონკრეტული და ცოცხალი მთლიანობის აბსტრაქტული ცალმხრივი მიმართების სახით"[2].

როგორც ითქვა, მარქსის აზრით, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლის გზა — მეთოდი მცდარი მეთოდია, მაგრამ ამავე დროს ნათქვამია, რომ კონკრეტული „სინამდვილეში ამოსავალი პუნქტია"[3], ამიტომ უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდი მცდარი მეთოდია არა საერთოდ, არამედ როგორც ლოგიკური დალაგება-გადმოცემის მეთოდი. ლოგიკური დალაგებისას არ შეიძლება დავიწყოთ კონკრეტულიდან, მაგრამ კვლევა-ძიების დროს კი აუცილებელია კონკრეტულიდან დაწყება; „კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად"[4], ამიტომ ის იწყებს კონკრეტული ანალიზით

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 282.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 281.
[4] კ. მ ა რ ქ ს ი „კაპიტალი", 1, გვ. 22.

ამ გზით აღმოჩნდება ისეთი აბსტრაქტული, საიდანაც დაიწყება ლოგიკური დალაგება-გადმოცემა.

ახლა ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულებაა კონკრეტულიდან დაწყებულ გზასა და აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლის გზას შორის. ამ კითხვაზეც გარკვეული პასუხია მოცემული კ. მარქსთან. ამ პასუხს აქ მოკლედ აღვნიშნავთ (შემდეგ კი უფრო ვრცლად შევეხებით), სახელდობრ, ვიტყვით, რომ მარქსის აზრით, კონკრეტული ნამდვილი წანამძღვარია, საფუძველი და სუბიექტია, მაგალითად, ასეთია მოსახლეობა. ეს აზრი გამოთქმულია მარქსის შემდეგ დებულებაში: „თითქოს უფრო სწორი იქნებოდა დაგვეწყო რეალურიდან და კონკრეტულიდან, ნამდვილი წანამძღვრებიდან, მაშასადამე, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში მოსახლეობიდან, რომელიც წარმოების მთელი საზოგადოებრივი პროცესის საფუძველი და სუბიექტია"[1]. ასეთი გზა, როგორც ითქვა, მცდარი გზაა. ის არ არის ლოგიკური დალაგება-გადმოცემის გზა. მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ „თეორიული მეთოდის მომარჯვების დროსაც სუბიექტი, ე. ი. საზოგადოება, ჩვენს წარმოდგენას მუდამ თვალწინ უნდა ედგას როგორც წანამძღვარი"[2]. აქ „თეორიული მეთოდის" ქვეშ მარქსს ნაგულისხმევი აქვს აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლის მეთოდი. ამრიგად, კონკრეტული, როგორც სუბიექტი — საფუძველი, გარკვეული წანამძღვარია აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლის დროს. სუბიექტი, როგორც კონკრეტული, აზროვნების გზით უნდა მივიღოთ ბოლოს, მაგრამ უნდა დავიწყოთ იმ აბსტრაქტულით, რომელიც ამ სუბიექტის — კონკრეტულის ერთმხრიობას (ცალმხრიობა) წარმოადგენს. ამრიგად, ლოგიკური დალაგება განხორციელდება განსაზღვრების, სახელდობრ, სუბიექტის განსაზღვრებების გზით მის ამოწურვამდე. ამით განხორციელდება დასაბუთება, სადაც პრედიკატები დაკავშირებული იქნებიან ლოგიკურად სწორედ ერთი და იგივეს — სუბიექტის საფუძველზე. სუბიექტის გარეშე აღებული პრედიკატების (რომლებიც ასეთ შემთხვევაში პრედიკატების აზრს დაკარგავენ) დაკავშირების ცდა ერთგვარი უკიდურესი ემპირიზმის მომასწავებელი იქნება (საერთოდ ემ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 280.

[2] იქვე, გვ. 283.

პირიზმი, მაგ., რასელის ემპირიზმი[1] სწორედ ამ გზით მიდის), სადაც განუხორციელებელი იქნება ლოგიკური აუცილებლობა თავისი სისრულით.

სწორედ ერთი და იგივე სუბიექტის კატეგორიებში გაშლა იძლევა შესაძლებლობას ვილაპარაკოთ აბსტრაქტულისა და კონკრეტულის ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, რომ აბსტრაქტული კონკრეტულის აბსტრაქტული. ერთი და იგივე სუბიექტი იძლევა შესაძლებლობას აბსტრაქტული განვიხილოთ როგორც განუვითარებელი კონკრეტული და კონკრეტულს დაქვემდებარებული, სახელდობრ ისე, როგორც ამის შესახებ წერს მარქსი: „მარტივი კატეგორიები წარმოადგენენ იმ ურთიერთობათა გამოსახულებას, რომლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს განუვითარებელი კონკრეტულობა, და განხორციელდეს მანამდე, ვიდრე დამყარდებოდეს ის მრავალმხრივი ურთიერთობა ანუ მრავალმხრივი კავშირი, რომელიც უფრო კონკრეტული კატეგორიით გონებრივად გამოისახება, მაშინ როდესაც უფრო განვითარებული კონკრეტულობა ინარჩუნებს ამავე კატეგორიას როგორც დაქვემდებარებულ ურთიერთობას“[2].

კატეგორიების განვითარება შეუძლებელი იქნება იგივეობრივი სუბიექტის გარეშე. ეს სუბიექტი არსებობს სინამდვილეში, კატეგორიები მის მხარეებს გამოხატავენ. ამიტომ იგი აზროვნებაშიც არსებობს, როგორც რეალური სუბიექტის გამოხატულება და კატეგორიების, როგორც ცნებების—პრედიკატების, სუბიექტი. მარქსის აზრით, „... კატეგორიების განვითარების დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სინამდვილეშიც და გონებაშიც მოცემულია სუბიექტი... და რომ კატეგორიები... ამ სუბიექტის მყოფობის ფორმებს, არსებობის პირობებს, ხშირად მხოლოდ ცალკეულ მხარეებს გამოხატავენ“[3]. რეალურ სუბიექტ-ქვემდებარეს და მის მხარეებს გამოხატავს ლოგიკური სუბიექტი და კატეგორიები, როგორც მისი პრედიკატები, რის საფუძველზეც ხორციელდება „ლოგიკური განვითარების“[4] მიერ რეალური განვითარების ასახვა. ლოგიკური

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, ადამიანური მემეცნება, რუსულ თარგ. გვ. 118, 339.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის; გვ. 283—284.

[3] იქვე, გვ. 290.

[4] იქვე, გვ. 310 (ენგელსის რეცენზიიდან).

არის ისტორიულის ასახვა (ისტორიული არის რეალურის განვითარებაც და ამ რეალურის შემეცნების, მის შესახებ ცოდნის განვითარებაც). „უფრო მარტივი კატეგორია შეიძლება გამოხატავდეს ნაკლებად განვითარებული მთელის გაბატონებულ ურთიერთობას ან უფრო განვითარებული მთელის დაქვემდებარებულ ურთიერთობას (ურთიერთობას), რომელიც ისტორიულად უკვე არსებობდა მანამდე, ვიდრე მთელი განვითარდებოდა იმ მიმართულებით. რომელიც უფრო კონკრეტული კატეგორიით არის გამოსახული, ამდენად კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება“[1]. ეს აზრი ფ. ენგელსს გამოთქმული აქვს, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, შემდეგნაირად: „რადგან ისტორიაში, ისევე როგორც მის ლიტერატურულ ასახულობაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად ისე მიმდინარეობს, რომ ადგილი აქვს უფრო მარტივიდან უფრო რთულ ურთიერთობაზე გადასვლას, ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურულ-ისტორიული განვითარება იძლეოდა ბუნებრივ სახელმძღვანელო ძაფს, რომელსაც კრიტიკა შეიძლება მოჰყოლოდა, და ეკონომიური კატეგორიებიც ამასთან ერთად და მთლიანად ისეთივე თანამიმდევრობით გამოვლინდებოდა, როგორც ლოგიკურ განვითარებაში. ამ ფორმას ერთი შეხედვით მეტი სიცხადის უპირატესობა აქვს, რადგან აქ მსჯელობა კვალდაკვალ მიჰყვება **ნამდვილ** განვითარებას, მაგრამ არსებითად კი ასეთი ფორმა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ უფრო პოპულარული იქნებოდა“[2].

მაგრამ შესაძლებელია და ამას ნამდვილადაც აქვს ადგილი, რომ მარტივი მაღალ საფეხურზე გვხვდებოდეს, ისე როგორც რთული განვითარების დაბალ საფეხურზეც შეგვხვდეს, ე. ი. ისტორიული თანმიმდევრობა არ არის ისეთი, როგორიცაა ლოგიკური თანამიმდევრობა, ლოგიკური არ ემთხვევა ისტორიულს, როგორც ამას ადგილი აქვს ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკაში. კ. მარქსი ამბობს, რომ „არსებობს ძალიან განვითარებული, მაგრამ ისტორიულად მაინც მოუმწიფებელი საზოგადოებრივი ფორმები, სადაც ადგილი აქვს პოლიტიკური ეკონომიის (der Oekonomie) უმაღლეს ფორმებს, მაგალითად, კოოპერაციას, შრომის განვითარებულ და-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 284.

[2] იქვე, გვ. 310 (ენგელსის რეცენზია).

ნაწილებას და სხვ., მაგრამ არ არსებობს არავითარი ფული, — მაგალითად, პერუში"[1]. „უფრო მარტივ კატეგორიას შეიძლება ისტორიულად უფრო კონკრეტულ კატეგორიაზე ადრეც ეარსებნოს, მაგრამ თავისი სრული ინტენსიური და ექსტენსიური განვითარებით იგი შეიძლება მხოლოდ უფრო რთულ საზოგადოებრივ ფორმებს ეკუთვნოდეს, მაშინ როდესაც უფრო კონკრეტული კატეგორია სავსებით განვითარებული იყო უფრო ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებრივ ფორმაციაშიც"[2].

ეს უხერხულობა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ლოგიკური მეთოდის გამოყენებით, ისეთი ლოგიკური მეთოდისა, რომელიც ისტორიულს ასახავს და არ აუქმებს. სწორედ ამიტომ მარქსისათვის „განხილვის ლოგიკური წესი ერთადერთი მართებული-წესი იყო, მაგრამ არსებითად ეს წესი სხვა არაფერი იყო, თუ არა იგივე ისტორიული წესი, მხოლოდ განთავისუფლებული მისი ისტორიული ფორმისაგან და მის დამრღვევ შემთხვევითობათაგან. საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდან უნდა იწყებოდეს აზრთა მსვლელობაც, და მისი შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტული და თეორიულად თანამიმდევრული ფორმით; ასახვა შესწორებული, მაგრამ შესწორებული იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც თვით ნამდვილი ისტორიული პროცესი იძლევა, ამასთან ყოველი მომენტი შეიძლება განხილულ იქნას მისი ვანვითარების იმ პუნქტში, სადაც პროცესი სრულ მომწიფებასა და კლასიკურ ფორმას აღწევს"[3]. ეს არის მარტივის თუ აბსტრაქტულის განხილვა როგორც კონკრეტულის ერთმხრიობის, რომელიც კონკრეტულში სრული და სრულიად გარკვეულ აზრით არის წარმოდგენილი. აბსტრაქტულის გაგება შეიძლება კონკრეტულში; „ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია"[4]. აბსტრაქციით დაწყება, ეს არის კონკრეტულის გარკვეული მხარით დაწყება, ე. ი. თვითონ კონკრეტულით დაწყება; აბსტრაქტული არის კონკრეტულის აბსტრაქტული, მისი ერთმხრივობაა. რთული არის მარტივის როგორც ლოგიკური, ისე შემეცნებითი საფუძველი. მარქსის ლოგიკური მეთოდი, რომელიც ისტორიულის

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 294.
[2] იქვე, გვ. 285.
[3] იქვე, გვ. 311 (ენგელსის რეცენზია).
[4] იქვე, გვ. 288—289.

ამსახველი ლოგიკურია და რომელიც მოხმარებული იყო „კაპიტალში“, ის დიალექტიკური მეთოდია, რომლის წყაროსაც წარმოადგენს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა, რომელმაც „გაუსწორა ანგარიში მთელ ძველ ლოგიკასა და მეტაფიზიკას“[1]. კ. მარქსმა ჰეგელის ლოგიკიდან აიღო „ის ბირთვი, რომელიც შეიცავს ჰეგელის ნამდვილ აღმოჩენას ამ დარგში და აღადგინა დიალექტიკური მეთოდი, განთავისუფლებული მისი იდეალისტური გარსისაგან, იმ მარტივი სახით, რა სახითაც იგი სწორედ აზრთა განვითარების ერთადერთი მართებული ფორმა ხდება“[2]. ფ. ენგელსის ამ დებულებებში ხაზგასასმელია ის, რომ ჰეგელის დიალექტიკურმა ლოგიკამ ანგარიში გაასწორა ძველ (ფორმალურ) ლოგიკასთან და რომ მარქსმა აღადგინა დიალექტიკა როგორც აზრის განვითარების ერთადერთი მართებული ფორმა (რომელიც, ცხადია, ლოგიკურ ფორმას წარმოადგენს). ეს ფორმა არის ლოგიკური დალაგება-გადმოცემის, როგორც გარკვეული დასაბუთების, წესი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს სწორედ ეს წესი, როგორ დასაბუთების წესი, ისეთი დასაბუთებისა, რომელიც იწყებს აბსტრაქტულიდან, შედარებით მარტივიდან და გადადის კონკრეტულზე, რთულზე, ე. ი. წარმოადგენს ლოგიკურ განვითარებას.

აბსტრაქტულიდან, შედარებით მარტივიდან კონკრეტულისკენ სვლის გზა, ეს არის გზა ზოგადიდან კერძოსაკენ, რამდენადაც ზოგადი არის საერთო მრავალი კონკრეტულისათვის, როგორც გარკვეული ერთეულისათვის. „ყველაზე აბსტრაქტული კატეგორიებიც კი, — ამბობს მარქსი, — მიუხედავად იმისა, რომ სწორედ თავიანთი აბსტრაქტულობის გამო მათ ყველა ეპოქისათვის აქვთ ძალა, მაინც ამ აბსტრაქციის განსაზღვრულობაშიც ისტორიული ურთიერთობის პროდუქტს წარმოადგენენ და თავიანთი სრული მნიშვნელობა მხოლოდ ამ ურთიერთობისათვის და მის შიგნით აქვთ“[3]. ამით აღნიშნულია არა მხოლოდ ის, რომ აბსტრაქტული, როგორც „ყველა ეპოქისათვის“ საერთო, არის ზოგადი, არამედ ისიც, რომ ასეთი ზოგადი თავისი სრულმნიშვნელობით წარმოდგენილია კონკრეტულში და ამ კონკრეტულის შიგნით, რომელსაც ის ექვემდებარე-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 309 (ენგელსის რეცენზია).

[2] იქვე, გვ. 310.

[3] იქვე, გვ. 288.

ბა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აბსტრაქტული ექვემდებარება კონკრეტულს.

მაგრამ, ლოგიკის ისტორიამ მთელ თავის მანძილზე ზოგადი უწოდა იმას, რაც იქვემდებარებს, კერძო კი — დაქვემდებარებულს. თუ ეს ასეა, მაშინ კონკრეტული იქნება ზოგადი, აბსტრაქტული კი კერძო.

ამრიგად, მეორე მხრივ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულის მიღების გზა, ეს არის კერძოდან ზოგადის მიღების გზა. გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული, თუ გავიხსენებთ, რომ მოცულობითი ზოგადის გარდა არსებობს შინაარსეული ზოგადი, რომელიც არის ერთიანობა მისი მომენტების თუ ელემენტებისა. მაგალითად, მარქსის აზრით, „წარმოება წარმოადგენს საყოველთაობას" (ზოგადს ს. წ.) მისი მომენტების — განაწილების, გაცვლისა და მოხმარების მიმართ[1].ასეთი ზოგადი არის კონკრეტული, მრავალმხრიობის (აბსტრაქტულთა) ერთიანობა. მოცულობითი ზოგადი, რამდენადაც ის არის ნიშანი, რომელიც საერთოა ბევრის მიმართ, ე. ი. არის, არისტოტელეს[2] განსაზღვრება რომ მოვიხმაროთ, ის, რაც ბევრზე გამოითქმის, არის აბსტრაქტული ზოგადი, აბსტრაქტული, მაგრამ შინაარსეული, კონკრეტული ზოგადიც არის საერთო ბევრისათვის. ორივე ეს ზოგადი შეიძლება გამოითქვას წინადადებაში: ზოგადი არის „საერთო ბევრისათვის, ან ყველა ელემენტისათვის"[3]. წარმოება ზოგადია ყველა წარმოების მიმართ, როგორც მათი საერთო ნიშანი, მაგრამ წარმოება ზოგადია მისი მომენტებისათვის, როგორც მათთვის საერთო. მაგრამ ეს საერთო არის აუცილებელი ერთიანობა, რომელშიც მისი ყველა მომენტი მართლაც აუცილებლობით იგულისხმება, მაშინ როცა აბსტრაქტულ-მოცულობითი ზოგადისათვის, მაგალითად, წარმოებისათვის არ არის აუცილებელი ყველა კერძო თუ ერთეული — ყველა კერძო წარმოება.

შეუძლებელი იქნება განვითარება, თუ წინა არ იგულისხმება შემდეგში; წინა უნდა იგულისხმებოდეს შემდეგში, მაგრამ „ყოველთვის არსებითად შეცვლილი სახით"[4] (როგორც ამას უარყო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 264.

[2] იხ. „პერი ჰერმენეას", 17a, „მეორე ანალიტიკა", I, თ. 4, 73b 22—27a 3; „მეტაფიზიკა", VII, თ. 13, 1038b 1—1039 a 5.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 287.

[4] იქვე, გვ. 289.

ფის უარყოფის კანონი მოითხოვს). თუ წინა იგულისხმება შემდეგში, მაშინ ის მისი განვითარების საფეხური უნდა იყოს. კ. მარქსი წერს: „ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება იმაზეა საერთოდ დამყარებული, რომ მერმინდელი ფორმა ადრინდელ ფორმებს თავის საფეხურებად განიხილავს და ისინი ყოველთვის ცალმხრივად ესმის"[1]. ამრიგად აბსტრაქტული კონკრეტულის საფეხურია, მაგრამ კონკრეტულში არსებობს მოხსნილი სახით, როგორც მისი ცალმხრიობა უკეთ—ერთმხრიობა). სწორედ ამიტომ არის კონკრეტულის ბუნება აბსტრაქტულის ბუნების გასაღები. დამქვემდებარებელით გასაგები ხდება დაქვემდებარებული, ზოგადით, — კერძო.

კონკრეტული აბსტრაქტულს აძლევს აზრს, ამიტომ აბსტრაქტული, როგორც კონკრეტულის ერთმხრიობა, გაგებულ უნდა იქნეს სწორედ როგორც მისი ერთმხრიობა, როგორც კონკრეტულის მომენტი, რომელსაც არ შეიძლება მივცეთ დამოუკიდებლობა, რადგან ასეთ შემთხვევაში მას სხვა აზრი ექნებოდა, ანდა საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. კონკრეტული აბსტრაქტულის თავისებური საფუძველია, რომლის საშუალებითაც ის უნდა იქნეს დადგენილი და გაგებული. ეს აზრი ნათლად არის გამოთქმული კ. მარქსის შემდეგ სიტყვებში: „დაუშვებელი და მცდარი იქნებოდა, ეკონომიური კატეგორიები იმ თანამიმდევრობით აგვეღო, რა თანამიმდევრობითაც ისინი ისტორიულად გადამწყვეტ როლს ასრულებენ, პირიქით, მათი თანამიმდევრობა განისაზღვრება იმ ურთიერთობით, რომელიც მათ აქვთ ერთმანეთთან თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ამასთანავე ეს ურთიერთობა პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისა, რაც მათ ბუნებრივ ურთიერთობად წარმოვვიდგენთ, ან რაც ისტორიული განვითარების თანამიმდევრობას შეესაბამება, აქ ლაპარაკია არა იმ ადგილებზე, რომელსაც ეკონომიური ურთიერთობანი იკავებენ ისტორიულად სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმების მონაცვლეობაში. კიდევ უფრო ნაკლებ არის ლაპარაკი მათ თანამიმდევრობაზე „იდეაში" (პრუდონი), რომელიც მხოლოდ გაუკუღმართებული წარმოდგენაა ისტორიული მოძრაობისა. აქ ლაპარაკია მათ დანაწევრებაზე თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადობის შიგნით"[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, იქვე.

[2] იქვე, გვ. 292.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულ ძალას, გაბატონებულ ელემენტს, როგორც ამას მარქსი აღნიშნავს, კაპიტალი წარმოადგენს; მას ექვემდებარება ფული და საქონელი, რომლებიც, მართალია, ისტორიულად ადრე არსებობდნენ, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალს ექვემდებარებიან, აქ კაპიტალია ამოსავალიც და საბოლოო პუნქტიც[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამოსავალი და საბოლოო პუნქტი ლოგიკურ დალაგებაში უნდა იყოს ერთი და იგივე სუბიექტი. რადგან დასაწყისში აღებული მარტივი კატეგორია სრული სახით განვითარების ბოლოს წარმოსდგება („სრულიად მარტივი კატეგორია მთელი თავისი ინტენსივობით ისტორიულად გვევლინება მხოლოდ საზოგადოების უაღრესად განვითარებულ მდგომარეობაში"[2]; „უფრო მარტივი კატეგორია გვევლინება როგორც პირველადი"[3]; უმარტივესი კატეგორია კონკრეტულის ცალმხრიობაა[4]), ამიტომ დასაწყისი, როგორც მარტივი, არის კონკრეტულის დასაწყისი; დასაწყისიდან, როგორც აბსტრაქტულიდან ბოლომდე — კონკრეტულამდე ერთი და იგივე სუბიექტის განვითარება მისი განსაზღვრულობა — პრედიკატების აუცილებელ სინთეზურ კავშირში მდგომარეობს, რაც გარკვეულ ლოგიკურ-სისტემატურ დალაგება-გადმოცემას, როგორც დასაბუთებას წარმოადგენს. ამ დასაბუთების დასაწყისი არის მარტივი, აბსტრაქტული, ბოლო კი რთული — კონკრეტულია. მარტივიდან რთულზე გადასვლა კატეგორიებში ლოგიკური აუცილებლობის განხორციელებაა, სადაც რეალურ-ისტორიული განვითარება ლოგიკურ განვითარებაში აისახება.

ერთი და იგივე სუბიექტი ამოიწურება კატეგორიების როგორც პრედიკატების საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ლოგიკურ აგნოსტიციზმს, შეუძლებელი იქნება ლოგიკური განსაზღვრება სუბიექტისა; განსაზღვრებაში ხომ უნდა წარმოსდგეს ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. ასეა მსჯელობა საერთოდ, რადგან პრედიკატი იმას გამოთქვამს, რასაც მსჯელობის სუბიექტი წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მსჯელობა მხოლოდ პრედი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 292.
[2] იქვე. გვ. 285.
[3] იქვე, გვ. 283.
[4] იქვე, გვ. 282.

კატი იყოს, როგორც ეს მიმართების ლოგიკის ზოგიერთ წარმომადგენელს (მაგალითად, სერიუსს[1]) წარმოუდგენია. რადგან: 1) თუ სუბიექტს მრავალი განსაზღვრულობა — პრედიკატი აქვს, ე. ი. თუ ცნებას მრავალი ნიშანი აქვს, მაშინ სუბიექტის ამოწურვა მხოლოდ ყველა პრედიკატით შეიძლება, ამიტომ სუბიექტი და პრედიკატი რომელიმე მსჯელობისა ერთიმეორეს არ უდრის; მათი იგივეობის შემთხვევაში მსჯელობა, როგორც მტკიცება-უარყოფა, აუცილებლობით განასხვავებს იმას, რაზედაც ვამტკიცებთ იმისაგან, რასაც ვამტკიცებთ. ასეთი განსხვავება ერთიან ცნებაში მსჯელობას შეაქვს; 2) ერთნიშნა ცნება-კატეგორიის განსაზღვრება კი მეორე კატეგორიით შეიძლება; რომელიმე კატეგორიის განსაზღვრება მისი ადგილის მონახვაა სხვა კატეგორიებს შორის. ამიტომ კატეგორიათა სისტემა განვითარებას წარმოადგენს და ამოწურავს ერთსა და იმავე სუბიექტს (ამ მხრივ, ცხადია, იგივეობაა მათ შორის).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური განვითარების თავში, შუასა და ბოლოში ერთი და იგივე სუბიექტია. ამიტომ ასეთი განვითარება ერთგვარ წრეს წარმოადგენს, რამდენადაც ერთი და იგივე ამოიწურება განვითარებაში. ამ განვითარების ყოველი მომენტის განსაზღვრებაც გარკვეული წრეა. თითოეული ცნების განსაზღვრება სხვა არაფერია, თუ არა ერთი და იმავეს შინაარსის გაშლა მის ამოწურვამდე, რაც ცნებას ადგენს. კაპიტალის ცნების დადგენა კ. მარქსის „კაპიტალში" იწყება საქონლის ცნების გარკვევით, შემდეგ მოდის ფულის ცნება. საქონლის წრებრუნვა არის ფული, ფულის წრებრუნვას კი კაპიტალი წარმოადგენს. ეს კატეგორიები განვითარების კავშირში არიან. თითოეული კატეგორია-ცნების განსაზღვრება მისი სრული აზრის დადგენას ნიშნავს, რაც მეორე კატეგორიის საშუალებით სრულდება. ლოგიკას საქმე აქვს დასრულებულ აზრებთან, რომელთაგან თითოეული თავის თავშია დახურული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, ლოგიკური თვალსაზრისით, არაფერი არ იქნებოდა. სწორედ ასეთ სრულ აზრებს შეუძლია ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირდნენ; სწორედ ამ ურთიერთ კავშირშია შესაძლებელი მათი სისრულით არსებობა და წარმოდგენა, როგორც ამას მატერიალისტური დიალექტიკის უნივერსალური პრინციპი — ურთიერთკავშირის პრინციპი მოითხოვს.

---

[1] **სერიუსი**, ლოგიკის მნიშვნელობის გამოკვლევის ცდა, რუს. გვ. 124.

მაშასადამე, ლოგიკური დალაგება-გადმოცემის წესი, ეს არის ლოგიკური განვითარების, როგორც გარკვეული დასაბუთების წესი, რომელიც, მართალია, ფორმალურად განსხვავდება კვლევა-ძიების წესისაგან, მაგრამ მასთან იგივეობრივიცაა, რამდენადაც კვლევა-ძიება ახლის მიღებას ნიშნავს, ახლის მიღება კი ძველის საფუძველზე ხდება; ძველიდან ახლის მიღების აუცილებლობა აზროვნებაში ლოგიკური აუცილებლობით უნდა ხორციელდებოდეს. ლოგიკურ განვითარებაში „ძველი", ეს არის შედარებით მარტივი, აბსტრაქტული, ერთმხრივი, გარკვეული კერძო, „ახალი" კი კონკრეტულია, რომელიც გარკვეულ — შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს. ამიტომ აქ ადგილი აქვს ისეთ რაიმეს, რომელიც ინდუქციის პრობლემას უკავშირდება, უკავშირდება იმ მეთოდს, რომელშიც ლოგიკური დასაბუთება და ახლის აღმოჩენა ერთიმეორეს უიგივდება, ლოგიკა უიგივდება შემეცნების ლოგიკას და პირიქით.

ბ) ინდუქციის პრობლემას ზემოთ რამდენჯერმე შევეხეთ, ახლა იგი გვაინტერესებს ლოგიკური დალაგების, როგორც ლოგიკური განვითარების თვალსაზრისით.

1. ფ. ბეკონს თავის „ახალ ორგანონში" ინდუქციის მეთოდი წარმოდგენილი ჰქონდა ერთსა და იმავე დროს როგორც კვლევა-ძიების —ახლის აღმოჩენის მეთოდი და როგორც დასაბუთების მეთოდი; სწორედ ამის გამო უპირისპირდებოდა იგი არისტოტელეს „ორგანონს". ლოგიკის ისტორიამ აჩვენა, რომ არათუ ფ. ბეკონმა, არამედ ვერავითარმა ინდუქციურმა თეორიამ დღემდე ვერ შესძლო მოეცა ისეთი მეთოდი, სადაც გაერთიანდებოდა ორი მომენტი — ახლის აღმოჩენისა და დასაბუთების მომენტები. ამ ორი მომენტის გაერთიანება ხდება დიალექტიკის თეორიაში, დიალექტიკურ ლოგიკაში, სახელდობრ, ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, წესში.

ეს, ცხადია, **იმას არ ნიშნავს, თითქოს ფორმალური** ლოგიკა წინააღმდეგია ახლის მიღების მეთოდისა, როგორც დასაბუთების მეთოდისა, არა, საერთოდ ლოგიკურის აზრი იმაშია, რომ განხორციელდეს სინთეზური აუცილებელი კავშირი; ფორმალურ ლოგიკას, როგორც სწორედ ლოგიკას, ასულდგმულებდა შინაგანი მოწოდება, შეემუშავებია ახლის აუცილებელი მიღების მეთოდი, მისი კანონები და წესები, მაგრამ ეს მოწოდება მან მხოლოდ ნაწი-

ლობრივ განახორციელა, მისი სისრულით წარმოდგენა მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში განხორციელდა.

ლოგიკის მიჩნევა „უბრალო მტკიცების", ე. ი. ისეთი მტკიცების იარაღად, როდესაც ადგილი არა აქვს ახლის მიღებას, ლოგიკის გაუგებრობას წარმოადგენს. დიალექტიკის მიჩნევაც „უბრალო მტკიცების რაღაც იარაღად" დიალექტიკის ბუნების სრულ გაუგებრობას წარმოადგენს. ფ. ენგელსი წერს: „დიალექტიკის ბუნების სრულ გაუგებრობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბატონი დიურინგი მას უბრალო დამტკიცების რაღაც იარაღად თვლის, ისევე როგორც შეზღუდული გაგების დროს ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ფორმალური ლოგიკა..." „თვით ფორმალური ლოგიკაც, უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად; იგივეა. მხოლოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრით, დიალექტიკა, რომელიც უფრო ფართო მსოფლმხედველობის ჩანასახს შეიცავს, იმიტომ რომ არღვევს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს". ფ. ენგელსს სიყალბედ მიაჩნია, „რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ"[1]. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული დიალექტიკისავე საშუალებით დაამტკიცონ. მაშასადამე, დიალექტიკის საშუალებით დასაბუთება უფრო მაღალია, ვიდრე ფორმალური ლოგიკით დასაბუთება.

ის გარემოება, რომ ფორმალური ლოგიკა ახლის მიღების მეთოდს წარმოადგენს, მეღავნდება დედუქციაშიც და ინდუქციაშიც; ფორმალური ლოგიკა გულისხმობს და შეიცავს დედუქციურ ლოგიკასაც და ინდუქციურ ლოგიკასაც. სილოგისტური დასკვნა, როგორც ეს ზემოთ შედარებით დაწვრილებით გაირკვა, არისტოტელეს აზრით, არის ისეთი დასკვნა, სადაც რაიმეს დადგენით მისგან აუცილებლობით გამომდინარეობს რაღაც განსხვავებული პირველად დადგენილისაგან სწორედ ამ დადგენილის გამო[2]. დასაბუთება სწორედ იმას ჰქვია, რომ „თუ არის ერთი, მაშინ აუცილებლად იქნება აგრეთვე რაღაც სხვა"[3]. არ შეიძლება სინთეზური იყოს და-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 160.

[2] არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, წ. I, თ. 1.

[3] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წიგნი II, თ. 7.

სკვნა და ის არ წარმოადგენდეს ახლის მიღებას, არ ახორციელებდეს ახლის მიღების მეთოდს.

ფორმალურ ლოგიკაში ახლის მიღების, როგორც აღმოჩენის, მეთოდად ინდუქციის მეთოდს თვლიან, მაგრამ რადგან ჩვეულებრივ ინდუქციას არ აღმოაჩნდა ძალა ახლის აუცილებელი მიღებისა, ვერ გადაიქცა იგი დასაბუთების მეთოდად და საერთოდ ფორმალურმა ლოგიკამ (დედუქციის ჩათვლით) ვერ მოგვცა სინოეზური ლოგიკურის შესაბამისი დასაბუთების მეთოდი, ახლის აუცილებელი მიღებისა და აღმოჩენის ამოცანა კი აუცილებელია მეცნიერებისათვის, ამიტომ დღესაც აქტუალურ პრობლემად დგას ისეთი მეთოდის თუ წესის ჩამოყალიბება, რომელიც ორივე ამ გარემოებას თავის აუცილებელ მომენტებად გააერთიანებს.

არისტოტელეს აზრით, ინდუქცია, მართალია, გარკვეული დასკვნაა, მაგრამ მისი დანასკვისათვის არ არის საკმარისი მისივე წანამძღვრები. ამდენად ინდუქციური დასკვნა არ შეიძლება იყოს ლოგიკური აუცილებლობის მქონე, ამიტომ ინდუქციური მეთოდი აღმოჩენის მეთოდი კია, მაგრამ არ არის დასაბუთების მეთოდი. არისტოტელესათვის, ინდუქციური დასკვნა არის ისეთი დასკვნა, სადაც დიდი ტერმინი საშუალო ტერმინს უკავშირდება მცირე ტერმინის საშუალებით დიდი წანამძღვრის დასაბუთებისათვის, ე. ი. სადაც საშუალო ტერმინის როლს მცირე, უკეთ, ერთეული ტერმინი (ერთეულები) ასრულებს, მაშინ როცა სრული (სილოგისტური) დასკვნა სრულდება საშუალო ტერმინის მეოხებით, როცა საშუალო ტერმინს თავისი ბუნებრივი ადგილი უჭირავს[1]. თუ სილოგისტური დასკვნა იმას აჩვენებს, თუ რა არის რაიმე (ეს იგივეა, როგორც ზემოთ ითქვა, რაც რაიმე მიზეზის ცოდნა), „ინდუქცია არ ამტკიცებს იმას, თუ რა არის (რაიმე), არამედ მხოლოდ იმას, რომ (ის) არის ან არ არის"[2].

არისტოტელეს ლოგიკისათვის, მისი სილოგისტური მეთოდისათვის მთავარია საშუალოს აღმოჩენის პრობლემა; სილოგისტიკა საშუალოს აღმოჩენის მეთოდს წარმოადგენს. მაგრამ საშუალო, რომელიც დასკვნისათვის საწყისია, მიზეზია, არ შეიძლება აღმოჩნდეს დედუქციის გზით, ის მხოლოდ ინდუქციით მიიღება.

---

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, „პირველი ანალიტიკა". წ. II, თ. 23.

[2] „მეორე ანალიტიკა", წ. II, თ. 7.

ინდუქციის მიზანია საშუალოს მიღება, ან დიდი წანამძღვრის მიღება. საშუალო კი მიიღება, მართალია, ინდუქციაზე დაყრდნობით, მაგრამ ინდუქცია ამისათვის, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, არ არის საკმარისი. საშუალოს სწვდება გონება ინტუიციურად, ფიქრობს არისტოტელე. მისი აზრით, კიდურა ტერმინების ცოდნით მაშინვე აღმოვაჩენთ საშუალოს, როგორც მიზეზს[1]. რით ხდება ეს აღმოჩენა თუ მიწვდომა? ეს ხდება მიხვედრით, გონების გამჭრიახობით, უშუალო ჭვრეტით. ასეთი უნარი არის უნარი უცბად მისწვდეს საშუალოს, ფიქრობს არისტოტელე. გონება ინდუქციაზე დაყრდნობით ინტუიციით სწვდება საშუალო ტერმინს. ეს იმას ნიშნავს, რომ არისტოტელესათვის არ არსებობს დასკვნითი, დასაბუთებითი გზა საშუალოს მიღებისა. რადგან აუცილებელია საშუალოს მიღება, ამიტომ აუცილებელი უნდა იყოს ასეთი მიღების გზა დასაბუთების გზად იქნეს წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია (და ეს ზემოთაც აღინიშნა), ჩვეულებრივი (ფორმალურ ლოგიკაში დღემდე არსებული) ინდუქცია, რამდენადაც ის ლოგიკურ (ფილოსოფიურ-ლოგიკურ) მეთოდად განიხილება, იმ სიძნელეს შეიცავს, რომ ის, რაც ითქმის რამდენიმე ერთეულ საგანზე, არ შეიძლება აუცილებლობით გავავრცელოთ უსასრულო მრავალ საგანზე, ე. ი. არ შეიძლება კერძოების შესახებ აზრი გამოვიყენოთ საფუძვლად ზოგადზე დასკვნისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სიძნელე არ შეიძლება გადაწყდეს, თუ ზოგადს მოცულობის აზრით, ნომინალისტურად გავიგებთ. ამას მოწმობს ინდუქციის ის გაგება, რომელიც მოცემულია თანამედროვე პოზიტივიზმში.

2. სოკრატეს მიერ ცნების თეორიის შექმნის შემდეგ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში განმტკიცდა აზრი, რომ ჭეშმარიტი, მეცნიერული ცოდნა, მეცნიერული აზროვნება ცნებებით აზროვნებას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მეცნიერების აშენება მხოლოდ წარმოდგენების და, მით უმეტეს, მხოლოდ გრძნობადი აღქმების საფუძველზე. ცნება ზოგადს გამოთქვამს და ზოგადია თავისი ბუნებით, შეგრძნება-აღქმები და წარმოდგენები კერძოს გამოთქვამენ და არა ზოგადს, ისიც არა ცნებით კერძოს, იმ კერძოს, რომელიც

[1] „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 34.

ცნებით გამოითქმება. ზოგადი კერძოს გულისხმობს აუცილებლობით და არსებობს კერძოს კატეგორია-ცნება. შეგრძნება-აღქმებს ასეთ კერძოსთან არ აქვს საქმე, მათი კერძო გრძნობადი ხასიათისა. მართალია, ცნებები მიიღებიან აღქმებზე დამყარებით, მათი განზოგადებით, შემეცნება იწყება ცოცხალი განჭვრეტით. მაგრამ ცნებისა და მისი ზოგადობის უარყოფა მეცნერებას გამოუვალ კრიზისში აგდებს, რასაც ნათლად აჩვენებს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორია, — მეცნიერებისა და ფილოსოფიის თანამედროვე მდგომარეობაც.

ცნებები შეგრძნება-აღქმებიდან განზოგადების საშუალებით მიიღება. ინდუქციის პრობლემა სწორედ აქ ისმის. ფაქტებიდან ზოგადის მიღების გზად ინდუქციას მიიჩნევენ. მაგრამ ჩვეულებრივი გაგებით ინდუქცია შეიცავს სიძნელეებს, რომელთა გადაწყვეტა ვერ მოახერხა ინდუქციურმა ლოგიკამ, ინდუქციის გავრცელებულმა თეორიებმა. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ინდუქცია საკუთარ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ ის აბსოლუტურ მეთოდად იქნა წარმოდგენილი, თუ ის არ იქნა განხილული სხვა მეთოდის მომენტად.

აქ აღსანიშნავია თანამედროვე დიდი ფიზიკოსის ლუი დე ბროილის შეხედულება. იგი ერთიმეორეს უპირისპირებს დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდებს. მისი აზრით, დედუქცია გამოდის პოსტულატებიდან, საიდანაც გამოჰყავთ ის, რაც ამ პოსტულატებში წინასწარვეა ნაგულისხმევი; დედუქცია ვერ გამოდის იმ ჩარჩოებიდან, რომლებშიც იგი წინასწარაა მოქცეული. ამიტომ დედუქცია არ არის ახლის მიღების, აღმოჩენის მეთოდი. დედუქცია, „აქსიომატური" მეთოდი გამოიყენება მხოლოდ შემოწმებისათვის, კლასიფიკაციისა და სწავლებისათვის. ერთადერთი მეთოდი, რომელიც გვშველის გავიდეთ ცნობილის საზღვრებიდან, არის ინდუქციის მეთოდი, რომელიც აღმოჩენის მეთოდს წარმოადგენს. დედუქციის გამოსავალი აბსტრაქტული ფორმულები შედგენილია სიმბოლოებით, რომლებიც შემდეგ იცვლებიან ციფრებით, რათა ბოლოს მივიღოთ რიცხვობრივი რეზულტატები; ამ შემთხვევაში აზროვნება ადგილს უთმობს ანგარიშს, ინდუქცია კი ემყარება ანალოგიას, ინტუიციას, მიხვედრებს და წარმოადგენს რისკს, რომ-

ლიც აუცილებელია აზრის საზღვრების გაფართოებისათვის, მაშინ როცა დედუქცია არის ერთგვარი სიფრთხილე, უშიშროება[1].

ამ ორი გზის გაერთიანება შეუძლებელია ლუი დე ბროილისათვის, რადგან ინდუქცია მიჰყვება ინტუიციის გზას, დედუქცია კი მკაცრ ლოგიკურ გზას წარმოადგენს. ინდუქციის ჩამოყალიბება ლოგიკურ მეთოდად და მისი დედუქციასთან ისეთი მჭიდრო დაკავშირება, რომ შესაძლებელი გახდეს ახლის მიღება სწორედ ლოგიკური გზით (რაც ლოგიკურის თავისებურ გაგებას მოითხოვს), ცხადია, დიდი სარგებლობის მომტანი იქნებოდა არა მარტო ფიზიკისათვის, არამედ ყველა მეცნიერებისათვის. ეს იქნება დასაბუთების მეთოდის იმ სიძნელეთა გადაწყვეტა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ფორმალურ ლოგიკაში.

ლუი დე ბროილი იხრება პოზიტივიზმისაკენ, რომელსაც არა მარტო ფილოსოფოსების დიდი რაოდენობა, არამედ ბევრი დიდი მეცნიერიც მისდევს დღეს ბურჟუაზიულ დასავლეთში.

თანამედროვე პოზიტივიზმი სისრულით ამჟღავნებს იმ სიძნელეებს, რომლებსაც ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია შეიცავს. ეს სიძნელე ინგლისელ ფილოსოფოსს აიერს ასე აქვს გამოთქმული. არ არსებობს ლოგიკური გარანტია იმისა, რომ განზოგადება, რომელიც გამართლებული იქნა მისი გამოცდით, გაუძლებს სხვა, ახალ გამოცდას, ვინაიდან ბუნებას ყოველთვის შეუძლია შემოგვთავაზოს სიურპრიზი. ყველაზე უფრო დიდი, რის იმედიც ჩვენ უნდა გვქონდეს, ეს არის იმის დამტკიცება, რომ ჩვენი გამოცდილების საფუძველზე მიღებული რომელიმე ჰიპოთეზა ალბათობის მეტი ხარისხის მქონე იყოს, ვიდრე მისი საპირისპირო ჰიპოთეზა, და რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საკმაო საფუძველი ვირწმუნოთ მოვლენათა გარკვეული სისტემის სიმტკიცე. მაგრამ ეს დასაბუთებაც ხელიდან გვეცლება, რადგან ალბათობის აპრიორული აღრიცხვა წმინდა მათემატიკის დარგია, ის გვიჩვენებს იმას, თუ როგორი ლოგიკური დასკვნები ვამომდინარეობენ შემთხვევითობათა მოცემული განაწილებიდან, მაგრამ თავისთავად არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ ისინი ნამდვილად რა გზით სრულდებიან თუ წარმოიშობიან. ჩვენ ნამდვილი ალბათობა გამოგვყავს წარსული გამოცდილებიდან. მაგრამ ამით ჩვენ ვარდებით მოჯადოებულ წრეში, რად-

---

[1] Луи де Бройль, По тропам науки, 1962, стр. 177—179.

გან უფლება დავაფუძნოთ ჩვენი შეფასებები წარსულ გამოცდილებაზე თვითონ დგას კითხვის ქვეშ. მეორე მხრივ, ალბათობა წინასწარ გულისხმობს ინდუქციას და ამიტომ იგი მის საფუძველს არ წარმოადგენს (ალბათობა ემყარება ინდუქციას და არა პირიქით, მაშინ როცა ალბათობის საფუძველზე ცდილობენ ინდუქციის დაფუძნებას, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ). ფაქტებზე რაიმე მსჯელობის ჭეშმარიტობის დასაბუთება შეუძლებელია, თუ ამ დასაბუთებიდან მოითხოვენ ინდუქციის გამართლებას მისგან განსხვავებულ ტერმინებში. საქმე იმაშია, რომ ვენდობით ემპირიულ ჰიპოთეზებს მხოლოდ მანამდე, სანამ ისინი თავიანთ თავს ამართლებენ მუშაობაში. მაგრამ ამას, ასკვნის აიერი, არ გამოვყევართ მოჯადოებული წრიდან, რადგან ამით ჩვენ ვამტკიცებთ. რომ მეთოდებმა, რომლებიც წარსულში ეფექტური იყვნენ, თავი უნდა გაიმართლონ მომავალში[1].

აქ აღნიშნული სიძნელე კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ბერტრან რასელის აზრს ინდუქციის შესახებ. რასელის აზრით, საერთოდ ჩვენი ცოდნა ალბათური ხასიათისაა. ეს ეხება არა მხოლოდ იმ ცოდნას, რაც მიიღება ინდუქციით, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ საალბათო ცოდნას, ისიც მაშინ, თუ დაცული იქნება გარკვეული პირობები, გარკვეული პრინციპები, რომლის გარეშეც ინდუქცია ვერ იძლევა ალბათურ განზოგადებას[2], არამედ — იმ ცოდნასაც, რომელიც დედუქციით, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის პირველი მოდუსით — Barbara-თი მიიღება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, აღნიშნავს რასელი, წანამძღვარისა და დანასკვის კავშირს აქვს ჭეშმარიტების მაგვარის (правдоподобие), სარწმუნოს ხარისხი, რომელიც თითქმის უცილობელია, და დანასკვიც ისეთივე სარწმუნოა, როგორც წანამძღვრები[3] (ეს ასეა, თუ სილოგიზმს ფსიქოლოგისტურად გავიგებთ, როგორც ის რასელის ამ შრომაშია წარმოდგენილი).

ცნობილია დებულება, რომ დანასკვი უცილობელია(достоверно) თუ წანამძღვრები ჭეშმარიტია და მსჯელობის პროცესი არის

---

[1] А. Дж. Айер, Философия и наука, „Вопросы философии“, 1962, № 1. стр. 101.

[2] იხ. Бертран Рассел, Человеческое познание, 1957, стр. 471 და სხვ.

[3] იქვე, გვ. 417—418.

სწორი. რომ ეს დებულება არ იყოს მართებული, მაშინ დასაბუთება შეუძლებელი იქნებოდა და მეცნიერებაც არ იარსებებდა. რასელი სწორედ ამ დებულებას სცვლის და ამბობს, რომ „როცა წანამძღვრები ჭეშმარიტია და თვითონ მსჯელობის პროცესი სწორია, მაშინ დანასკვი მხოლოდ **საალბათოა**“[1]. საალბათო დასკვნას იძლევა ინდუქცია, რადგან ის ცდილობს კერძოდან მიიღოს ზოგადი. საბელდობრ, ფაქტებიდან გამოიყვანოს კანონები. ასეთი დასკვნები „არ შეიძლება დედუქციური იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფაქტებზე დამატებით ჩვენს წანამძღვრებში ადგილი აქვს ზოგად კანონებს“[3]. მაგრამ ასეთი დამატება ზოგადი კანონებისა იმ წრეს ჰქმნის, რომელზედაც აიერი მიუთითებს (და რომლის შესახებაც ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი). თუ კერძო ფაქტები ვერ გახდიან კანონს უცილობელს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ფაქტები ზოგად კანონს ალბათურს ხდიან, ფაქტების საფუძველზე კანონი ალბათურია. კერძო ფაქტები სრულიად საკმაო საფუძველია იმისა, რომ ჩვენ შეგვიმუშავდეს რწმენა კანონისა, „კერძო ფაქტები, მართალია, შეიძლება. იყოს ზოგად დებულებაში რწმენის მიზეზი“[3]. კერძოდან ზოგადის ალბათური მიღება, რომელსაც ინდუქცია ახერხებს, ემყარება ალბათობის ლოგიკას, მაგრამ „ალბათობის ლოგიკა გაცილებით ნაკლებად სრულია და გაცილებით ნაკლებად უდავოა, ვიდრე ელემენტარული ლოგიკა“, მაშინ, როცა ჰ. რაიხენბახის აზრით[5], ყოველი ჭეშმარიტი ლოგიკა არის ალბათობის ლოგიკა; კლასიკური ლოგიკა კი მცდარია, რადგან ის ჰყოფს წინადადებებს ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშნის მიხედვით და არა ალბათობის ხარისხის მიხედვით (ამ უკანასკნელს ეყრდნობა რაიხენბახის მრავალნიშნა ლოგიკა). **რასელის აზრით კი მცდარია ცდა გვერდი აუარო „ჭეშმარიტების“** და „მცდარობის“ ცნებებს; ალბათობის მსჯელობა არსებითად არ განსხვავდება სხვა მსჯელობებისაგან და ექცევა ჭეშმარიტება-მცდარობის აბსოლუტური დიხოტომიის ქვეშ[6].

ალბათობა შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად. ალბათობის მათემატიკურ თეორიაში მათემატიკოსები შეთანხმებული

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი. იქვე, გვ. 371.
[2] იქვე, გვ. 372.
[3] იქვე,
[4] იქვე, გვ. 373.
[5] იხ. მისი Wahrscheinlichkeitslehre, 1935.
[6] რ ა ს ე ლ ი ს დასახელებული შრომა, 451.

არიან იმაში, რაც გამოიხატება მათემატიკურ სიმბოლოებში, მაგრამ ერთიმეორეს არ ეთანხმებიან მათემატიკური ფორმულების ინტერპრეტაციაში. ასეთ გარემოებაში ყველაზე მარტივი გზა არის ჩამოთვლა აქსიომებისა, საიდანაც თეორია შეიძლება იქნეს გამოყვანილი, აგრეთვე — მიღება გადაწყვეტილებისა, რომ ყოველ ცნებას, რომელიც აქსიომების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აქვს ერთნაირი უფლება იწოდებოდეს სიტყვით „ალბათობა". თუ არსებობს მრავალი ასეთი ცნება და თუ ჩვენ გადავწყვიტეთ მათგან რომელიმეს ამორჩევა, მაშინ ამ ამორჩევის მოტივი უნდა იყოს მათემატიკის გარეთ[1]. არსებობს ერთი ძალიან მარტივი ცნება, რომელიც აკმაყოფილებს ალბათობის თეორიის აქსიომათა მოთხოვნებს. „თუ მოცემულია სასრული კლასი B, რომელშიც n წევრია, და თუ ცნობილია, რომ მათგან რაოდენობა m ეკუთვნის რომელიღაც სხვა კლასს A, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ თუ ავარჩევთ ალალბედად B კლასის რომელიმე წევრს, მაშინ შანსი (შესაძლებლობა), რომ ის ეკუთვნის A კლასს, იქნება ტოლი რიცხვისა m/n"[2]. აქ არ დგას საკითხი ჭეშმარიტებისა და მცდარობის შესახებ; ნებისმიერი ცნება, რომელიც აქსიომათა მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ისეთი ცნება, რომელიც თვითონ არის მათემატიკური ალბათობა.

სიტყვა „ალბათობა" იმგვარადაც იხმარება, რომ არ უშვებს მის ინტერპრეტაციას როგორც ორი განსხვავებული კლასის რიცხვთა დამოკიდებულებას, მაგალითად, შემდეგი: „ალბათ, ყველა ადამიანი მოკვდავია", თუმცა იგი უკავშირდება იმგვარ დასკვნებს, რომელთა მიმართ თეორიულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ალბათობის განსაზღვრება როგორც ორი კლასის რიცხვთა დამოკიდებულებისა.

მათემატიკური ალბათობა ეხება პროპოზიციონალურ ფუნქციებს; მაგალითად, როცა მე ვამბობ, რომ იმის შანსი, რომ ზემოთ ასროლილი მონეტა დავარდება საფასურით (თუ ღერბით), ნახევრის ტოლია, მაშინ ეს არის დამოკიდებულება ორი პროპოზიციონალური ფუნქციისა „X არის მონეტის ასროლა" და „X არის ასროლა მონეტისა, რომელიც დაეცემა საფასურით (თუ ღერბით)". ამისაგან გან-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 374.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 376, 377.

სხვავდება ალბათობა, რომელიც ეხება წინადადებებს, რომელთაგან თითოეული გამოთქვამს მონეტის ასროლის ცალკეულ მაგალითს. არსებობს ისეთი ალბათობა, რომელიც გაურკვეველია. არ ექვემდებარება რიცხობრივ გაზომვას, მაგალითად, „მთელი ჩვენი ცოდნა ალბათურია“ საეჭვოა. ასეთი ალბათობა არ არის მათემატიკური ხასიათის, თუმცა საერთოც აქვს მასთან, რადგან ორივე ალბათობა ეხება და უკავშირდება შესაძლებლობას.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი ჩვენი ცოდნა საეჭვოა, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია ეს საეჭვობა განვსაზღვროთ მათემატიკური გზით, რადგან საყოველთაო ეჭვი არ არის მხოლოდ სტატისტიკური; სტატისტიკის შედგენისას უკვე წინასწარ იგულისხმება ის, რომ ჩვენ ვიცით: A არის ან არ არის B, ანუ: ეს დაზღვეული ადამიანი მოკვდა ან ცოცხალია. სტატისტიკა იგება მომხდარი შემთხვევების წინასწარ დაშვებული უცილობლობის სტრუქტურაზე.

მათემატიკური ალბათობა არის ისეთი ალბათობა, რომელიც ემორჩილება რიცხობრივ გაზომვას და აკმაყოფილებს ალბათობის აღრიცხვის აქსიომათა მოთხოვნებს. ამ ალბათობის ერთი სახე, რასელის აზრით, იგულისხმება ინდუქციაში. ამ ალბათობას საქმე აქვს კლასებთან და არა კერძო შემთხვევებთან, გარდა იმ გარემოებისა, როცა ისინი განიხილება როგორც მხოლოდ მაგალითი. ამ ალბათობისაგან განსხვავდება ალბათობა, რომელსაც რასელი „ჭეშმარიტობის მაგვარობის ხარისხს“ უწოდებს. ეს ალბათობა გამოიყენება ცალკეული წინადადებებისადმი და დაკავშირებულია სათანადო ცნობებთან, თუმცა ამ ცნობების გარეშეც მოიხმარება. უმაღლესი ალბათობისაა აღქმის მსჯელობათა უმრავლესობა.

მათემატიკური ალბათობისათვის დამახასიათებელია ცნება p/h—„p-ს ალბათობა, როცა მოცემულია h“, ეს არ არის ორი წინადადების დამოკიდებულება (ანუ წინადადებათა კონიუნქცია), და არა თვისება ერთი წინადადებისა p. ამით განსხვავდება მათემატიკური ალბათობა ალბათობისაგან, რომელსაც ჩვეულებრივ ვიყენებთ. ეს ძირითადი ცნება აქსიომით განისაზღვრება[1].

ინდუქციის ბუნების გაგებისათვის საინტერესოა „ალბათობის“ ინტერპრეტაცია სასრული სიხშირის ცნებით. „სასრული სიხშირის

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, იქვე, გვ. 380, 381.

თეორია“ გამოდის შემდეგი განსაზღვრებიდან: დავუშვათ, რომ B არის ნებისმიერი სასრული კლასი, A კი სხვა ნებისმიერი კლასი. ჩვენ გვსურს განვსაზღვროთ შანსი, რომ B კლასის წევრი, რომელიც აღებულია ალალბედად, იქნება A კლასის წევრი, მაგალითად, რომ პირველი ადამიანი, რომელსაც თქვენ შეხვდებით ქუჩაში, იქნება გვარად სმიტი. ჩვენ განვსაზღვრავთ ამ ალბათობას როგორც B კლასის წევრთა რიცხვს, რომლებიც აგრეთვე A კლასის წევრებსაც წარმოადგენენ, გაყოფილს B კლასის წევრთა სრულ რიცხვზე. ამას აღვნიშნავთ ნიშნით A/B. ამრიგად, განსაზღვრული ალბათობა იქნება ან რაციონალური წილადი, ან 0, ან 1[1]. ალბათობის ასეთი განსაზღვრება არ გამოდგება უსასრულობის შემთხვევაში, რადგან: ალბათობა განსაზღვრულია როგორც წილადი, წილადს კი არ აქვს აზრი, როცა მრიცხველი და მნიშვნელი უსასრულოა. თუ ჩვენს განსაზღვრებას ზღვარზე გადასვლით გავაფართოებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ: 1) ეს მეთოდი არ გამოიყენება ბუნების საგნების მიმართ, სახელდობრ, მაშინ, როცა ადგილი აქვს ემპირიულ თანმიმდევრობას, რაც ყოველთვის სასრულია. 2) ალბათობის მათემატიკური თეორია, ისე როგორც მთელი წმინდა მათემატიკა, თუმცა იძლევა ცოდნას, მაგრამ არ იძლევა რაიმე ახალს, მაშინ როცა ინდუქცია, პირიქით, გარკვეულად იძლევა რაღაც ახალს. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ იმას, არის თუ არა ცოდნა ის, რასაც იგი იძლევა[2]. რასელის აზრით, ინდუქცია არ შეიძლება შეყვანილ იქნეს სასრული სიტშირის თეორიაში. თუ იმას ვიტყვით, რომ ინდუქციის გამმართლებელი პრინციპი „ალბათურია“, მაშინ „ალბათობა“ სხვა აზრით (ზემოთ აღნიშნული) გვესმის[3].

თუ აქ აღნიშნული სწორია, მაშინ უნდა ითქვას, რომ უნდა არსებობდეს ალბათობის ერთი ცნება, მიუხედავად მისი სახეებისა, მათემატიკურ ალბათობას და ფილოსოფიურად გაგებულ ალბათობას საერთო ნიშანი უნდა ჰქონდეს, ანუ უკეთ, ფილოსოფიურად

---

[1] რასელის დასახ. შრ., გვ. 386. ზოგიერთი მათემატიკური ცნებისა და დებულების გადმოცემაში ვეყრდნობით რასელს, როგორც დიდ მათემატიკოსს, მაგრამ ვაკრიტიკებთ მის ფილოსოფიურ თვალსაზრისს, კერძოდ, მის ინდუქციის თეორიას.

[2] ბ. რ ა ს ე ლ ი, იქვე, გვ. 396.

[3] იქვე.

გაგებული ალბათობა იქნება ალბათობის ზოგადი ცნება, რომელსაც ექნება გამოყენება სხვადასხვა სფეროში, სადაც ის სპეციფიკურობას შეიძენს.

ალბათობის ცნება უსასრულობის მიმართ გამოიყენა რაიხენბახმა, რომლის მიერ მოხდენილი ინტერპრეტაცია ალბათობისა აზრდებულია სტატისტიკური კორელაციებით. რასელი ცდილობს რაიხენბახთან გამოყენებული უსასრულობა დაიყვანოს სასრულობაზე[1]. ინდუქცია ემპირიულ ცოდნას ეხება, ემპირიული ცოდნისათვის კი არ გამოიყენება უსასრულობა, რადგან „უსასრულო და უსასრულო მცირე ერთგვარადაა არადაკვირვებადი"[2]. რაიხენბახის ალბათობის ლოგიკა კი რასელს, როგორც აღვნიშნეთ, მცდარად მიაჩნია.

მიუხედავად გარკვეული კრიტიკული შენიშვნებისა, რასელი ეთანხმება და ეყრდნობა ალბათობის თეორიას, რომელიც შექმნა კეინსმა[3]. კეინსის თეორია არის ანტითეზა სიხშირის თეორიისა. კეინსის აზრით, დედუქციაში მიღებული დამოკიდებულება, სახელდობრ, იმპლიკაცია $p \rightarrow q$ არის დამოკიდებულების უკიდურესი ფორმა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „p მეტად თუ ნაკლებად აიმპლიცირებს q-ს". კეინსი წერს: „თუ ცოდნა h ამართლებს α ხარისხის a-ს რაციონალურ რწმენას, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს α ხარისხის ალბათობის დამოკიდებულება a-ს და h-ს შორის". ეს ჩაიწერება ასე: „$a/h=\alpha$". „წინადადებათა ორ რიგს შორის, — ამბობს კეინსი, — არსებობს დამოკიდებულება, რომლის ძალითაც, თუ ჩვენ ვიცით პირველი, ჩვენ შეგვიძლია მივაწეროთ მეორეს რაციონალური რწმენის რომელიღაც ხარისხი". ალბათობა არსებითად არის დამოკიდებულება. „ისევე უსარგებლოა თქმა „b ალბათურია", როგორც „b ტოლია" ან „b მეტია, ვიდრე". „a" და „$a \rightarrow b$"-დან ჩვენ შეიძლება გამოვიყვანოთ „b". ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვუშვათ ყოველგვარი მითითება წანამძღვარზე და პირდაპირ ვამტკიცოთ დანასკვი. მაგრამ თუ a ისეთ დამოკიდებულებაშია b-სთან, რომ a ცოდნა b-ს საალბათო რწმენას გადააქცევს რაციონალურ რწმენად, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე დავა-

---

[1] ბ. რასელი, იქვე, გვ. 398—407.
[2] იქვე, გვ. 401.
[3] Keynes, Treatise on Probability, 1921.

სკვნათ b-ს შესახებ, რომელსაც a-სთან არაფერი დამოკიდებულება არ აქვს. არ არსებობს არაფერი შესატყვისი ჭეშმარიტი წანამძღვრის გამოტოვებასთან დაკავშირებით დასკვნაში. კეინსის აზრით, რაციონალური რწმენა არის რაღაც წარმოებული ცოდნიდან: რიცა ჩვენ გვაქვს p-ს რაციონალური რწმენის ხარისხი, ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით რაიმე h წინადადება, აგრეთვე ვიცით, რომ p/h=a. აქედან გამოდის, რომ ჩვენს წანამძღვრებში უნდა იყოს რომელიღაც წინადადებანი „p/h=a" ფორმისა. ჩვენი ცოდნა ნაწილობრივ უშუალოა, ნაწილობრივ კი მიღებულია დასკვნით. დასკვნით მიღებული ცოდნა ხორციელდება იმ წინადადებათა უშუალო ცოდნის მეშვეობით, რომელთაც აქვს ფორმა „p→q" ან „q/p=a". ყოველ დასკვნაში გვაქვს წანამძღვრების დანასკვთან დამოკიდებულების უშუალო ცოდნა, სულერთია ეს დამოკიდებულება იქნება იმპლიკაცია თუ რაიმე ხარისხის ალბათობის დამოკიდებულება. კეინსის აზრით, ყველა უშუალო ცოდნა უცილობელია. საერთოდ ალბათობა არ ექვემდებარება რიცხობრივ გაზომვას. რიცხობრივ გაზომვას ალბათობის მხოლოდ კერძო შემთხვევა ექვემდებარება. არ შეიძლება, რომ ერთი ალბათობა ტოლი, ნაკლები, ან მეტი იყოს მეორე ალბათობაზე. არ არსებობს იგივეობა და არა-იგივეობა.

კეინსი ცდილობს გაარკვიოს მისი თეორიისათვის აუცილებელი უშუალო ცოდნა, სახელდობრ, ალბათობის წინადადებათა უშუალო ცოდნის მისაღებად საჭირო პრინციპი არასაკმაო საფუძვლისა ანუ ინდიფერენტულობისა. ეს პრინციპი არ შეიძლება ფორმულირებულ იქნეს ასე: თუ არ არსებობს გარკვეული საფუძველი მრავალთაგან რომელიმე ერთი შესაძლებლობისათვის, მაშინ ყველა შესაძლებლობა ერთნაირად საალბათოა. ამ პრინციპის ასეთი ფორმულირება მრავალ სიძნელეს (პარადოქსებს) იწვევს[1]. „ინდიფერენტულობის პრინციპი" ანუ „არასაკმაო საფუძვლის პრინციპი", ფორმულირებული უნდა იქნეს შემდეგნაირად: a და b შემთხვევათა ალბათობები მოცემული ცნობის მიმართ ერთნაირია. თუ არ არსებობს a შემთხვევასთან დამოკიდებული ცნობა გარეშე შესატყვისი ცნობისა, რომელიც ეხება b შემთხვევას; ეს იმას ნიშნავს, რომ a და b შემთხვევები ტოლნი არიან ცნობასთან დამოკიდებულებაში, თუ ეს ცნობა სიმეტრიულია a-ს და b-ს მიმართ[2].

---

[1] რ ა ს ე ლ ი ს დასახელებული შრომა, გვ. 408, 409.
[2] იქვე, გვ. 410.

რასელის აზრით, ინდიფერენტულობის პრინციპი ნამდვილად იმას ამტკიცებს, რომ ალბათობა არის პროპოზიციონალურ ფუნქციათა დამოკიდებულება და არა წინადადებათა დამოკიდებულება, მაშინ როცა კეინსის თეორიაში ალბათობა გაგებულია უფრო როგორც წინადადებათა დამოკიდებულება, ვიდრე პროპოზიციონალურ ფუნქციათა დამოკიდებულება. ამაშია კეინსის ალბათობის თეორიის მთავარი ფორმალური ნაკლი[1].

აღნიშნულ პრინციპს რასელი არ ეთანხმება იმ აზრითაც, რომ ეს პრინციპი, მისი აზრით, არ არის საჭირო ალბათობის მათემატიკურ თეორიაში[2]. რატომ არ ეთანხმება რასელი აქ კეინსის ამ პრინციპს? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ კეინსის პრინციპი არ ეთანხმება ემპირიზმს, რადგან, ემპირიზმის თვალსაზრისით, ალბათობის დამოკიდებულებათა უშუალო ცოდნა შეუძლებელია დედუქციური დასაბუთებითი ლოგიკა შესაძლებელია მიტომ, რომ ის შედგება ტავტოლოგიებისაგან, რომ ის სხვა სიტყვებით აფორმებს გამოსავალ დებულებათა ჩვენს მარაგს.როცა ის აკეთებს ამაზე მეტს — როცა, მაგალითად, მას გამოჰყავს დებულება „სოკრატე მოკვდავია" დებულებიდან „ყველა ადამიანი მოკვდავია", — ის დამოკიდებულია ცდაზე, რომელიც დაკავშირებულია სიტყვა „სოკრატეს" მნიშვნელობასთან. არაფერი, გარდა ტავტოლოგიებისა, არ შეიძლება შემეცნებულ იქნეს ცდისაგან დამოუკიდებლად, კეინსი კი არ ამტკიცებს, რომ მისი ალბათობის დამოკიდებულებანი ტავტოლოგიურია[3]. მაგრამ რასელი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა ის იძულებულია წამოაყენოს „მეცნიერული დასკვნის პოსტულატები" (რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

თუ მეცნიერული დასკვნებისათვის, ემპირიულ ცოდნასთან ერთად, აუცილებელია პოსტულატები, როგორც ამას რასელი აღიარებს, და თუ ალბათობა არის მიმართება, რომლის უზოგადესი ფორმა არის დედუქციური, სახელდობრ, $p \rightarrow q$, როგორც ამას კეინსი აღიარებს, მაშინ ინდუქცია დედუქციას უნდა დაექვემდებაროს. მაგრამ ამასთანავე, თუ დასკვნაც, წანამძღვრების დანასკვთან

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 421.

[2] იქვე, გვ. 415.

[3] იქვე, გვ. 411.

დამოკიდებულებაც უშუალოა[1], მაშინ სადღაა გაშუალება? ასეთ შემთხვევაში დედუქციის თუ ინდუქციის ლოგიკური აზრი რას უნდა წარმოადგენდეს? ამით ინდუქციის სიძნელე კიდევ უფრო მეღავნდება და სრულიადაც არ წყდება.

რასელი, როგორც ითქვა, მათემატიკური ალბათობისაგან ასხვავებს მეორე სახის ალბათობას. რომელსაც ის „ჭეშმარიტების მაგვარობის ხარისხს" ანუ „სარწმუნოს ხარისხს" უწოდებს. ეს არის ალბათობა ჩვეულებრივი გაგებით, სახელდობრ, იმ გაგებით, როცა ამბობენ, რომ საერთოდ ჩვენი ცოდნა საეჭვოა. ალბათურია. აქ ჩვენ შევეხებით რასელის შეხედულების მხოლოდ ზოგიერთ მომენტს.

რასელი ეხება მოცემულის აუცილებლობა-არააუცილებლობის საკითხს. მისი აზრით, დღემდე არსებობს ორი შეხედულება: 1) ცოდნა იწყება წანამძღვრებიდან, რომლებიც თავისთავად უცილობელნი არიან და რომლებიც შეიძლება განისაზღვრონ როგორც „მოცემულნი"; 2) რამდენადაც არავითარი ცოდნა არ არის აუცილებელი, ამდენად არ არსებობს არავითარი მოცემული; ჩვენი რაციონალური რწმუნებანი ჰქმნიან დახურულ-ჩაკეტილ სისტემას, რომელშიც ყოველი ნაწილი ყოველ სხვა ნაწილს ეყრდნობა. პირველი შეხედულება ტრადიციული შეხედულებაა, წამოსული ბერძნებიდან. მეორე შეხედულება, ამბობს რასელი, ეს არის ჰეგელის (და ჯ. დიუის) შეხედულება. თვითონ რასელი ცდილობს წამოაყენოს კომპრომისული თვალსაზრისი, რომელიც ამ ორ შეხედულებას შეარიგებს, თუმცა იხრება უფრო ტრადიციული თვალსაზრისისაკენ, როგორც ის ამას თვითონ აღნიშნავს[2].

მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ რასელი ნაწილობრივ მაინც ემხრობა ჰეგელს დასაბუთების საწყისისა და დასაბუთების შინაგანი ბუნების გაგების შესახებ. თვითონ რასელი თავის თვალსაზრისს აყალიბებს შემდეგი სახით: თუ მოცემულია გარკვეული რიცხვი წინადადებათა, რომელთაგან თითოეულს აქვს შინაგანი სისწორის („ჭეშმარიტების მაგვარობის") ძალიან მაღალი ხარისხი, და თუ მოცემულია დასკვნების სისტემა, რომლის ძალითაც ეს განსხვავებული

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 408—9.

[2] იქვე, გვ. 426—427.

წინადადებები ამაღლებენ ერთიმეორის სისწორეს—„ჭეშმარიტების მაგვარობას“, მაშინ შეიძლება შეიქმნას შესაძლებლობა მივიდეთ, ბოლოს და ბოლოს, სისტემამდე ურთიერთ დაკავშირებულ წინადადებათა, რომელსაც მთლიანად სისწორის („ჭეშმარიტების მაგვარობის“) ძალიან მაღალი ხარისხი აქვს. ამ სისტემის შიგნით ზოგიერთი წინადადება წარმოადგენს მხოლოდ დანასკვს, მაგრამ არცერთი არ არის მხოლოდ წანამძღვარი, ვინაიდან ის წინადადებები, რომლებიც წანამძღვრები არიან, წარმოადგენენ აგრეთვე დანასკვებსაც[1].

აქ უსათუოდ აქვს ადგილი დიალექტიკის ელემენტს, რაც მდგომარეობს აღიარებაში დებულებათა ურთიერთკავშირისა, სადაც დანასკვი ამავე დროს წანამძღვარიცაა და, პირიქით, წანამძღვარი დანასკვია. დებულებათა ეს ურთიერთკავშირი ჰგავს ჰეგელის ცნებათა დიალექტიკას, რომლის, როგორც აზრთა გარკვეული კავშირის, ილუსტრაციას რასელი იძლევა თავის ფილოსოფიის ისტორიაში. რასელის აზრით, აზრთა დიალექტიკური კავშირი ისეთი მტკიცეა, რომ ჰგავს ნათესაურ კავშირს, მისი ილუსტრირება შეიძლება ნათესაური კავშირით. ეს ილუსტრაცია რასელს ასე აქვს გადმოცემული: ვთქვათ „რეალობა არის ბიძა“, ეს იქნება თეზისი, მაგრამ ბიძის არსებობიდან გამოდის ძმისწულის (დისწულის) არსებობა. თეზისი შეიძლება გამოითქვას ასე: „აბსოლუტური არის ბიძა“, მაშინ მეორე დებულება უნდა გამოითქვას შემდეგი სახით: „აბსოლუტი არის ძმის (დის) შვილი“. მაგრამ ნამდვილად აბსოლუტი არც მხოლოდ ერთია და არც მხოლოდ მეორე, აბსოლუტი არის მოელი, რომელიც შედგება ბიძისა და ძმის (დის) წულისაგან. ეს უკვე სინთეზია. მაგრამ არც ეს სინთეზია საკმაო, რადგან ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ბიძა, თუ მას ჰყავს ძმა ან და, რომლებიც ძმის (დის) წულის მშობელია. ამრიგად, ფართოვდება ჩვენი მსოფლიო იმით, რომ მასში ვრთავთ ძმას ან დას ცოლით ან ქმრით. ამ გზით, ამბობს რასელი, ცდილობს ჰეგელი სისტემის შექმნას, სახელდობრ, თითქოს მხოლოდ ლოგიკის ძალით ჩვენ შეგვიძლია აბსოლუტის ნებისმიერი პრედიკატთან მივიდეთ დიალექტიკის საბოლოო დასკვნამდე, „აბსოლუტურ იდეამდე“. აქ ძირითადი დებულება ის არის, რომ: არაფერი არ არის ნამდვილი ჭეშმარიტი, თუ ის არ არის განხილული მთელთან შეფარდებით. ამ ძირითადი დებულების საფუ-

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 430—431.

ძვლად ძევს, აღნიშნავს რასელი, ტრადიციული ლოგიკის დებულება, რომ მსჯელობას აქვს სუბიექტი და პრედიკატი[1].

მართალია, ეს ილუსტრაცია ერთგვარად აშარჟებს ჰეგელის დიალექტიკას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რასელი ნაწილობრივ ეთანხმება ჰეგელის ცნებათა დიალექტიკას, რასაც გვიმტკიცებს ზემოთ მოყვანილი მისი დებულება დასაბუთების საწყისისა და თვითონ დასაბუთების შემადგენელი დებულების ურთიერთკავშირის შესახებ. ასე რომ . პოზიტივისტი რასელიც ვერ გაექცა დიალექტიკის გავლენას.

რასელის „ჭეშმარიტების მაგვარობა" თუ სარწმუნობა არ არის მხოლოდ სუბიექტური ალბათობა, რომელიც ფსიქოლოგიურ ცნებას წარმოადგენს, იგი ნაწილობრივ ლოგიკურია. ეს ორი რამ გაერთიანდება, თუ შევეცდებით გავცეთ პასუხი კითხვას: ვიცი თუ არა ჩვენ რაიმე? მიზანი ამ შემთხვევაში უცილობლობაა (достоверность) რასელი არჩევს უცილობლობის სამ სახეს: 1) „ფსიქოლოგიური" უცილობლობა, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, თუ ადამიანი არ ეჭვობს, დარწმუნებულია რაიმე წინადადების ჭეშმარიტებაში. 2) „ლოგიკური" უცილობლობა; პროპოზიციონალური ფუნქცია უცილობელია მეორე ფუნქციასთან მიმართებაში, როცა კლასი წევრებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე ფუნქციას, არის იმ წევრების კლასის ნაწილი, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველ ფუნქციას. მაგალითად, „X არის ცხოველი" უცილობელია მიმართებაში შემდეგთან „X არის გონიერი ცხოველი". უცილობლობის ეს მნიშვნელობა დაკავშირებულია მათემატიკურ ალბათობასთან. 3) „ეპისტემოლოგიური" უცილობლობა: წინადადება უცილობელია, როცა მას აქვს „ჭეშმარიტების მაგვარობის" უმაღლესი ხარისხი, რომელიც ან შინაგანად ეკუთვნის ამ წინადადებას, ან დასაბუთების რეზულტატს წარმოადგენს. შეიძლება, ამ აზრით, არც ერთი წინადადება არ არის უცილობელი, ე. ი. როგორი უცილობელიც არ უნდა იყოს იგი რომელიმე პირის ცოდნასთან მიმართებაში, შემდეგმა შემეცნებამ შეიძლება აამაღლოს მისი „ჭეშმარიტების მაგვარობის" ხარისხი[2]. რასელის ეს დებულებები იწვევენ შემდეგ შენიშვნებს.

---

[1] Б. Рассел, История западной философии, 1959, стр. 749—750.

[2] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 431.

ლოგიკური უცილობლობა რასელს არ აქვს წარმოდგენილი ერთი მთლიანი ლოგიკური უცილობლობის სახით, ის მასთან ორად არის განაწილებული: ერთი ნაწილი „ეპისტემოლოგიურ“ უცილობლობაში იგულისხმება, როგორც ამას თვითონ რასელიც აღიშნავს, მეორე კი „ლოგიკურ“ უცილობლობაში, რომელიც დაკავშირებულია მათემატიკურ ალბათობასთან. რასელი, ერთი მხრივ, ლოგიკურს აიგივებს მათემატიკურთან, რაც, ცხადია, შეცდომას წარმოადგენს; მეორე მხრივ კი, ამ გაიგივებას არ ახდენს, რადგან „ჭეშმარიტების მაგვარობა“ ნაწილობრივ ლოგიკურად მიაჩნია (და ორ-ფსიქიკურად). სწორედ ამიტომ უკავშირდება ინდუქციის პრობლემას ისეთი საკითხები, რომლებიც წყდებიან როგორც მათემატიკური ინდუქციის გათვალისწინებით, ისე „ჭეშმარიტების მაგვარობის“ ხარისხის გათვალისწინებითაც.

შემდეგ, რას ნიშნავს რასელის დებულება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ წინადადებას შინაგანად ეკუთვნის უცილობლობა? ეს ხომ იმ წინადადების დახასიათებაა, რომელსაც რასელი უწოდებს „მოცემულს“ დასაბუთებისათვის? ეს ხომ იქნება აქსიომა, თუ პოსტულატი? ასეთი წინადადება ხომ თავის თავის გამმართლებელი, თვითსაფუძველი იქნება? რასელი ვერ მივიდა საკითხის ასეთ გაგებამდე, ამ მხრივ ის ტრადიციულ ნიადაგზე დარჩა, სწორედ აქ დასცილდა იგი საკითხის ჰეგელიანურ გაგებას, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. მეორე მხრივ კი „ეპისტემოლოგიურ“ უცილობლობაში ნაგულისხმევი „ჭეშმარიტების მაგვარობის“ ხარისხი არის ის, რაც რასელის მიერ იყო გადმოცემული (რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ) დასაბუთების საწყისისა და დასაბუთების შემადგენელი დებულებების ურთიერთკავშირის, როგორც სისტემის ბუნების გარკვევისას. ამ მხრივ ის ახლოს მივიდა დიალექტიკასთან.

თუ წინადადების უცილობლობა შეუძლებელია მაშინ, როცა შეიძლება ცოდნის შეცვლასთან ერთად გაიზარდოს „ჭეშმარიტების მაგვარობის“ ხარისხი, მაშინ ეს ხომ სრული გაუგებრობაა ჭეშმარიტების აბსოლუტურობისა და შეფარდებითობის დამოკიდებულებისა? ასეთი ნაკლი ახასიათებს მეტაფიზიკოს რასელს.

რასელის აზრით, მეცნიერული მეთოდი შედგება აპარატისა და წესებისაგან, რომელთა მიზანია რწმენის ხარისხი, რამდენადაც შეიძლება დაამთხვიოს „ჭეშმარიტების მაგვარობის“ ხარისხს, —

მიაღწიოს ამ დამთხვევას. ასეთი ჰარმონიის ძიების დაწყება არ მეიძლება, თუ არ დავიწყებთ წინადადებიდან, რომლებიც არიან ეპისტემოლოგიურადაც „ჭეშმარიტების მაგვარი“ და სუბიექტურადაც თითქმის უცილობელი. ამ ორის კავშირის გარეშე არ იარსებებდა შემეცნება. შემეცნებაში ყველაზე უფრო უცილობელი არის, ერთი მხრივ, აღქმის მსჯელობები, მეორე მხრივ კი ლოგიკა და მათემატიკა. რასელი ცდილობს აჩვენოს, რომ მეცნიერებისათვის აუცილებელია ლოგიკას და მათემატიკას დაემატოს ლოგიკის გარეშე მდგომი პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთი არის ინდუქცია, რომელიც, რასელის აზრით, შეცდომით იყო საერთო აღიარების მქონე

ჩვენ აქ, ჯერჯერობით, მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ რასელისათვის ინდუქცია, ერთი მხრივ, ლოგიკის გარეშე მდგომი პრინციპია, მეორე მხრივ კი საქმე გვაქვს ლოგიკურისა და შემეცნებითის (კვლევა-ძიებითის) ერთიანობასთან მეცნიერული მეთოდის თვალსაზრისით. რასელის დებულებები აქ ერთგვარ გაურკვეველობას შეიცავენ.

ინდუქციის პრობლემას უკავშირებენ ალბათობის პრობლემას. პირველ რიგში იღებენ ინდუქციას უბრალო ჩამოთვლის გზით, რომლის პრინციპიც რასელს შემდეგნაირად აქვს ფორმულირებული: თუ მოცემულია α შემთხვევების რომელიღაც n რიცხვი, რომლებიც აღმოჩნდნენ β, და თუ ამასთან არ აღმოჩნდა არ ერთი α, რომელიც არ იყო β, მაშინ ორი მტკიცებიდან ა) „შემდეგი α იქნება β“ და ბ) „ყველა α არის β“—ორივეს აქვს ალბათობა, რომელიც მაღლდება n-ის გადიდებისდა მიხედვით და მიისწრაფვის უცილობლობისაკენ როგორც ზღვარისაკენ, იმისდა მიხედვით თუ როგორ მიისწრაფვის n უსასრულობისაკენ[1].

ჩვენ აქ გვაინტერესებს ინდუქცია როგორც ლოგიკური პრინციპი. რასელი ამტკიცებს, რომ „ინდუქცია, როგორც ლოგიკური პრინციპი, არანამდვილია“, „არაა ქმედითი“, მცდარია[2]. დამტკიცება: თუ ჩვენი სურვილის მიხედვით ავიღებთ β კლასს, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ინდუქცია (უბრალო ჩამოთვლის გზით) მცდარია. დავუშვათ, რომ a_1, a_2... a_n არის დღემდე ნახუ-

---

[1] Б. Рассел. Человеческое познание, стр. 436.

[2] იქვე, გვ. 435, 439.

ლი — შესწავლილი წევრები კლასისა α, რომლის ყველა წევრი აღმოჩნდა β კლასის წევრები, და დავუშვათ რომ a_n+1 იქნება შემდეგი წევრი კლასისა α. რამდენადაც საქმე ეხება წმინდა ლოგიკას, β-კლასი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ წევრებისაგან $a_1, a_2 \dots a_n$, ან შეიძლება შედგებოდეს ყველაფრისაგან, რაც მსოფლიოშია, გარდა a_n+1-სა; ან შეიძლება შედგებოდეს ნებისმიერი კლასიდან, რომელიც ამ ორს შუაა მოთავსებული. ყოველ შემთხვევაში ინდუქცია a_n+1-ის მიმართ იქნება მცდარი[1].

რასელი აღნიშნავს, რომ ლაპლასიდან დაწყებული ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ცდას ეჩვენებინათ, რომ ინდუქციური დასკვნის ჭეშმარიტობის ალბათობა გამომდინარეობს ალბათობის მათემატიკური თეორიიდან, მაგრამ ყველას მიერაა აღიარებული ის, რომ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა და თუ ინდუქციური დასკვნა ნამდვილია, ეს უნდა იყოს შედეგი რაღაც სხვისა. კეინსმა თავის შრომაში „ტრაქტატი ალბათობის შესახებ" გააკეთა ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო ინდუქციისათვის მათემატიკის საფუძველზე, მაგრამ მიიღო ინდუქციის არაადეკვატურობა[2].

რასელი ასკვნის, რომ ინდუქცია საჭიროებს რაღაც, ლოგიკის გარეშე მყოფ, პრინციპს, რომელიც ცდას არ ეფუძნება (მაგ., ბუნების ერთგვაროობის პრინციპს)[3].

ინდუქციის ალბათობასთან დამოკიდებულების პრობლემა თავისებურად არის დასმული და გადაწყვეტილი ჰ. რაიხენბახთან. მისთვის ინდუქცია თვითონ ალბათობის განსაზღვრებაშია შეყვანილი. რაიხენბახის აზრით, არავითარი წინადადება არ არის უცილობელი; ყველა წინადადებას აქვს ალბათობის ესა თუ ის ხარისხი; ყოველი ხარისხი ალბათობისა არის ზღვარი სიხშირისა. ალბათურია ის წინადადებებიც, რომელთა საშუალებითაც სიხშირე გამოითვლება. რაიხენბახის აზრით, ლოგიკაში ჭეშმარიტების ცნება უნდა შეიცვალოს ალბათობის ცნებით.

ბ. რასელი განიხილავს ჰ. რაიხენბახის ამ შეხედულებას და ასკვნის, რომ: 1) მათემატიკური ლოგიკა მისი განვითარების დღევანდელი სახით ესწრაფვის ყოველთვის იყოს რამდენადაც შეიძლება

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 439.
[2] იქვე, გვ. 442.
[3] იქვე, გვ. 446.

ექსტენციონალური, ინდუქციის პრობლემა კი, პირიქით, მოითხოვს ინტენციონალურ გაგებას. მართალია, α და β კლასები, რომლებიც მონაწილეობენ დედუქციურ დასკვნაში, რამდენადაც მასში მონაწილე a_1, a_2, ... a_n მოცემული არიან მოცულობის მხრივ. მაგრამ, ამ მომენტის გამოკლებით, არსებითია ის, რომ ორივე კლასი მაინც ცნობილია მხოლოდ შინაარსით[1]. 2) როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცდა გვერდი ავუაროთ „ჭეშმარიტობის" და „მცდარობის" ცნებებს, მცდარია, და ალბათობის მსჯელობა არ განსხვავდება სხვა მსჯელობებისაგან, ის ექცევა ჭეშმარიტება-მცდარობის აბსოლუტური დიხოტომიის ქვეშ.

რასელის აზრით: 1) ალბათობის მათემატიკურ თეორიაში აღიფერია ისეთი, რომელიც ამართლებს ინდუქციას როგორც ალბათობას; 2) თუ ინდუქციაში მონაწილე კლასების ინტენციონალური ხასიათი არაა შემოსაზღვრული, მაშინ ინდუქციის პრინციპი მცდარია; 3) ე. წ. „ჰიპოთეზური ინდუქცია" (რომელშიც რომელიმე ზოგადი თეორია გაგებულია როგორც ალბათური) არ განსხვავდება არსებითად ინდუქციისაგან უბრალო ჩამოთვლის გზით. 4) ინდუქცია უნდა ფორმულირებულ იქნეს რაღაც, დღემდე უცნობი, შემოსაზღვრით. 5) მეცნიერული დასკვნები (თუ ისინი საერთოდ სწორი არიან) ასეთები უნდა იყვნენ რაღაც კანონის ანუ ბუნების კანონის ძალით, რომლებიც ადგენენ რაიმე სინთეზურ თვისებას (თვისებებს) სინამდვილისა. იმ წინადადებათა ჭეშმარიტობა, რომლებიც ასეთ თვისებებს ადგენენ, არ შეიძლება ალბათურიც კი იყვნენ ცდაზე დამყარებული რაიმე დასაბუთებით, რამდენადაც ასეთი დასაბუთებანი ცდის საზღვრებს გარეთ გადიან, თავიანთ სისწორეში დამოკიდებულნი არიან თვითონ იმ პრინციპებზე, რომლებიც მათ საფუძველზე უნდა იყოს მიღებული[2].

მიუხედავად ამისა, ინდუქცია აუცილებელია მეცნიერული მეთოდის თვალსაზრისით; ეს განზოგადების ალბათობის ამაღლების საშუალებაა. მაგრამ მისი გამართლებისათვის საჭიროა გარკვეული პრინციპი, რომელიც თვითონ არ ექვემდებარება ინდუქციას. თუ ჩვენი ცოდნა საალბათოა და თუ ალბათობა სტატისტიკური ხასიათისაა, მაშინ, აღნიშნავს რასელი, სტატისტიკური ალბათობა შეიძლე-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, იქვე, გვ. 449

[2] იქვე, გვ. 451, 452.

ბა განისაზღვროს მხოლოდ ნამდვილი ანუ პოსტულირებული უცილობლობის საფუძველზე[1]. აუცილებელია ალბათურის ნამდვილთან მჭიდრო დაკავშირება[2]. ინდუქციის საქმე იმაშია, რომ შესრულდეს გადასვლა ცნობილიდან უცნობზე, — იქიდან, რაც დაკვირვების სფეროშია იმისკენ, რაც არაა ჯერ დაკვირვებული. ამისათვის საჭიროა აქსიომა, რომელიც ინდუქციას გაამართლებს. ალბათობის ლოგიკა არ არის ძირითადი უცილობლობის ლოგიკასთან დაპირისპირებაში[3]. ინდუქციისა და, საერთოდ, მეცნიერული ცოდნის გამართლება უნდა მოხდეს გარკვეული პოსტულატების საფუძველზე, მაგრამ ისე, რომ აცილებული უნდა იქნეს ლოგიკური წრე. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდუქციისათვის აუცილებელია დედუქცია და ეს ორი რამ ერთიმეორეს როგორღაც უნდა ავსებდეს.

რასელის აზრით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, სუბიექტური აუცილებლობა უნდა შეუერთდეს „ჭეშმარიტების მაგვარობას", რომელსაც ნაწილობრივ ლოგიკური ხასიათი აქვს. საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა მათ შორის კავშირი, უდრის საკითხს — ვიცით ჩვენ რაიმე თუ არა? რასელი აღნიშნავს, რომ (ესაა ჩვენთვის აქ მთავარი) ამ საკითხის განხილვა სრული სკეპტიციზმის საფუძველზე შეუძლებელია; „თუ ჩვენ არ ვცდილობთ რაიმე ვამტკიცოთ, მაშინ არავითარი დასაბუთება არ არის შესაძლებელი"[4].

მაშასადამე, ინდუქციური ალბათობისათვის აუცილებელია ის, რაც ნამდვილია, უცილობელია.

მეცნიერების მიზანია კერძო ფაქტებიდან კანონების გამოყვანა; რომ არ არსებობდეს ზოგადი კანონები, მაშინ ცოდნა განსაზღვრული იქნებოდა რომელიმე ადამიანის პირადი გამოცდილებით. მეცნიერებას წანამძღვრად ესაჭიროება არა მხოლოდ ფაქტიურად მოცემული, აღქმის საშუალებით მოცემული, არამედ — აგრეთვე, ვარკვეული პრინციპები, სახელდობრ, სინთეზური დასკვნის პრინციპები, რომლებიც არ შეიძლება დადგენილ იქნეს დედუქციური ლოგიკით ანუ არგუმენტებით[5], რადგან, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დედუქციური ლოგიკა (რასელის გაგებით) შესაძლებელია მხო-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, დასახ. შრომა, 404.
[2] იქვე, გვ. 405.
[3] იქვე, გვ. 407.
[4] იქვე, გვ. 431.
[5] იქვე, გვ. 372, 373.

ლოდ იმიტომ. რომ ის შედგება ტავტოლოგიებისაგან; ცდისაგან დამოუკიდებლად არაფრის შემეცნება არ შეიძლება, გარდა ტავტოლოგიებისა[1]. მაგალითად, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ალბათობის მათემატიკური თეორია, ისე როგორც მთელი წმინდა მათემატიკა, თუმცა კი იძლევა ცოდნას, მაგრამ არ იძლევა რაიმე ახალს; ინდუქცია კი, პირიქით, გარკვეულად იძლევა რაღაც ახალს (საეჭვო რჩება მხოლოდ ის, რომ ეს ახალი არის თუ არა ცოდნა)[2]. რა არის სინთეზური? რასელი აღნიშნავს, რომ ძნელია განმარტა, თუ რა არის სინთეზური. იგი იძლევა ამ ტერმინის უარყოფით განმარტებას: სინთეზური არის „ყოველი გამოთქმა, რომელიც არ არის წმინდა მათემატიკის ან დედუქციური ლოგიკის ნაწილი და რომელიც არაა გამოყვანადი მათემატიკის ან დედუქციური ლოგიკის რაიმე გამოთქმებიდან“[3].

ერთი სიტყვით, პოზიტივისტი (აღნიშნულის გამო რასელი არაა წმინდა პოზიტივისტი) რასელისათვის ნათელი გახდა, რომ ინდუქცია, რომელიც სინთეზის პრობლემას აუცილებლობით უკავშირდება, მოითხოვს დედუქციასთან გარკვეულ ერთიანობას, რათა გამართებულ იქნეს მეცნიერული მეთოდი. მეორე მხრივ, რადგან რასელის აზრით აღებული დედუქციური ლოგიკა ტავტოლოგიებისგან შედგება, ამიტომ სინთეზთან აუცილებლობით დაკავშირებული ინდუქციაც ლოგიკის ფარგლებში უნდა მოექცეს, უნდა გამართლდეს ინდუქციური ლოგიკაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია, სწორედ ლოგიკური თვალსაზრისით, ისეთი ლოგიკა, რომელიც დედუქციასა და ინდუქციას მომენტებად შეიცავს, ე. ი. აუცილებელია, როგორც ეს ზემოთ რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, დიალექტიკური ლოგიკა.

პოზიტივისტი რასელი, ჩვენი აზრით, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, როცა იგი მეცნიერული მეთოდის, „მეცნიერული დასკვნის“ გასამართლებლად მიმართავს პოსტულატებს, როცა ინდუქციის გასამართლებლად ლოგიკის გარეშე პრინციპებს მიმართავს. ეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰქმნის ლოგიკურ წრეს, საი-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, დასახ. შრომა გვ. 411.

[2] იქვე, გვ. 396.

[3] იხ. იქვე, გვ. 530.

დანაც გამოსავალი არ გააჩნია რასელს. ეს გარემოება, პირველ რიგში, ინდუქციური მეთოდის გაუმართლებლობას ნიშნავს.

რასელს მეცნიერული დასკვნის გასამართლებლად დასახელებული აქვს ხუთი პოსტულატი: 1) ქვაზიმუდმივობის პოსტულატი, 2) დამოუკიდებელ მიზეზობრივ ხაზთა პოსტულატი, 3) მიზეზობრივ ხაზებში ვრცეულ-დროული განუწყვეტლობის პოსტულატი, 4) სტრუქტურული პოსტულატი და 5) ანალოგიის პოსტულატი. პირველი ოთხი ეხება ცოდნას ფიზიკური ქვეყნის, ბუნების შესახებ, მეხუთე კი ცოდნას ადამიანის შესახებ, რწმენას სხვა ადამიანების ცნობიერების შესახებ[1]. ეს პოსტულატები სწორედ იმიტომაა პოსტულატები, რომ ისინი ინდუქციით კი არ მიიღებიან, არამედ. პირიქით, ინდუქციის მიერ წინასწარ დაიშვებიან; ინდუქცია შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ის აღნიშნული დებულებების აზრს დაემყარება.

ქვაზიმუდმივობის პოსტულატით რასელი ცვლის „საგნის“, როგორც სუბსტანციის, ცნებას „საგნის“ სხვა ცნებით, რომელიც პოზიტივიზმს გამოადგება. ეს პოსტულატი მდგომარეობს შემდეგში: „თუ მოცემულია რაიმე A ხდომილობა, მაშინ ძალიან ხშირად ხდება, რომ ნებისმიერად ახლო დროში რომელიმე მეზობელ ადგილას არსებობს ხდომილობა, რომელიც ძალიან მსგავსია A-სი“[2] „საგანი“ არის ასეთი ხდომილობათა თანმიმდევრობა, მაგალითად, წყლის წვეთები ზღვაში. ეს პოსტულატი იმას კი არ ამტკიცებს და არც უარყოფს, რომ არსებობს A-ს მსგავსი ხდომილობები, არამედ ამბობს, რომ ალბათ არსებობს A ხდომილობის მსგავსი ერთი ხდომილობა მაინც.

ეს პოსტულატი არის არა მუდმივობის პოსტულატი, არამედ ქვაზიმუდმივობის პოსტულატი; „საგნის“, როგორც სუბსტანციის, რაღაც მუდმივის მაგიერ აღებულია ხდომილობათა თანმიმდევრობა. მართალია რასელი, როცა ის ამ შემთხვევაში ებრძვის ძველ მეტაფიზიკას „საგნის“, როგორც აბსოლუტურად უცვლელი სუბსტანციის, გაგებას, მაგრამ მცდარია იგი, როცა საგანი დაყავს ხდომილობათა შემთხვევით თავყრილობაზე; ხდომილობაც ხომ საგა-

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 521, 472—529.

[2] იქვე, გვ. 522.

ნია? ხდომილობათა ერთობლიობაც ხომ არის რაღაც გარკვეული. სახელდობრ, ის, რაც ის არის? საგნის გარკვეულობის შერბილება გაურკვევლობას მოგვცემს; ეს შერბილებული საგანი წინასწარ გულისხმობს გარკვეულ საგანს; ქვაზიმუდმივობა წინასწარ გულისხმობს სრულიად გარკვეულ მუდმივობას. ამიტომ ეს პოსტულატი კიდევ სხვა პოსტულატს საჭიროებს და ა. შ.. ამიტომ აქ ადგილი აქვს ლოგიკურად გამოუვალ მდგომარეობას.

ამ სიძნელის საფუძვლად ძევს სიძნელე იმ ცოდნის შემუშავებისა, რომელიც ცდის საზღვრებს გარეთ გადის. თუ ინდუქცია ცდაში ხორციელდება და იგი საჭიროებს რაღაც პოსტულატს, მაშინ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ცდის საზღვრებს გარეთ გასვლას.

რასელის აზრით, ზოგიერთ თანამედროვე ემპირისტს, კერძოდ, ლოგიკური პოზიტივისტების უმრავლესობას არასწორად ესმის ცოდნის დამოკიდებულება ცდასთან. ეს არასისწორე მიიღება ორი შეცდომის შედეგად: 1) „ცდის“ ცნების არასწორი ანალიზიდან და 2) შეცდომიდან, რომელსაც ადგილი აქვს რწმენაში, რომ რაღაც თვისება რაღაც, გაურკვეველ სუბიექტს მიეწერება. აქ ისმის ორი სპეციალური საკითხი: ერთი ეხება მნიშვნელობას (საზრისს), მეორე— შემდეგი ფორმის მქონე გამოთქმას — „რაიმეს აქვს ეს თვისება“. ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ დებულებას არ აქვს აზრი, თუ არ არსებობს მისი შემოწმების — ვერიფიკაციის — რაიმე გარკვეული მეთოდი, მეორე მხრივ კი ამბობენ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ გამოთქმა „რაიმეს აქვს ეს თვისება“, თუ ჩვენ არ შეგვიძლია იმ განსაკუთრებული სუბიექტის დასახელება, რომელსაც ეს თვისება აქვს[1].

რასელის აზრით, შეცდომას უშვებს ის, ვინც კმაყოფილდება მხოლოდ ვერიფიკაციით; არსებობენ ადამიანები, ამბობს რასელი, რომლებიც აღიარებენ იმას, რომ თუ ატომური ომი არ აიკრძალა, მაშინ მას შეუძლია მოსპოს სიცოცხლე ჩვენ პლანეტაზე. ამ დებულებას აქვს მნიშვნელობა, იგი მნიშვნელობს, საზრისიანია, მაგრამ ის არ შეიძლება შემოწმდეს. ვინ უნდა შეამოწმოს იგი, თუ ატომურმა ომმა მოსპო სიცოცხლე? ბერკლის ღმერთმა? ლოგიკურ

---

[1] ბ. რასელი, გვ. 478.

პოზიტივისტებს არ შეუძლიათ დაუშვან ღმერთის საქმეში ჩარევა. თუ უკან გავიხედავთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყველას გვწამს შემდეგი: იყო დრო დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობამდე. ამ შესაძლებლობას ვერ უარყოფს ის, ვინც ამბობს, რომ მნიშვნელობისათვის აუცილებელია „შემოწმებისათვის ხელმისაწვდომობა". მაგრამ ამის აღიარება აიძულებთ მათ რამდენადმე თვითნებურად განსაზღვრონ „შემოწმებისათვის ხელმისაწვდომობა". ეს უკანასკნელი განისაზღვრება ხოლმე შემდეგნაირად: წინადადება არის „შემოწმებისათვის ხელმისაწვდომი", თუ მის სასარგებლოდ არსებობს რაიმე ემპირიული ცნობა. ეს ნიშნავს: „ყველა A არის B". „ხელმისაწვდომია შემოწმებისათვის", თუ ჩვენ რომელიმე A-ს შესახებ ვიცით, რომ ის არის B, და არ ვიცით არც ერთი, რომელიც არ არის B[1].

ეს შეხედულება, რასელის აზრით, მიდის ლოგიკურ აბსურდამდე, რადგან ის იძულებულია დაუშვას ჰიპოთეზურად ფაქტები, რომელთა ცოდნა შეუძლებელია მიღებულ იქნეს ემპირიულად; მაგ. ცოდნა იმ რკინისა, რომელიც დედამიწის გულშია, ან იმ მდგომარეობისა, როცა დედამიწაზე არ იყო სიცოცხლე. ერთი სიტყვით, აღნიშნული შეხედულება, ერთი მხრივ, ცოდნად ანუ მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს იმას, რაც შემოწმებულია ცდით, მაგრამ, ამავე დროს, იმასაც, რაც მხოლოდ ჰიპოთეზურად არის დაშვებული და რის შემოწმებაც — ვერიფიკაციაც — არ შეიძლება.

ამავე საკითხს რასელი განიხილავს „მკაცრი ლოგიკური თვალსაზრისითაც". საკითხი „მნიშვნელობა და ვერიფიკაცია" განიხილება რასელთან შემდეგნაირად: არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც წინადადების მნიშვნელობა მისი ვერიფიკაციის მეთოდში მდგომარეობს. აქედან გამომდინარეობს ორი დებულება: 1) ის, რაც არ შეიძლება დადასტურებულ ან უარყოფილ იქნეს, არის უაზრო, 2) ორი წინადადება, რომლებიც დასტურდება ერთი და იგივე ხდომილობით, ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. რასელი უარყოფს ორივე ამ დებულებას და მიუთითებს, რომ მათ დამცველებს არ ესმით შედეგები, რომლებიც ამ დებულებებიდან გამოდის.

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 478—479.

საქმე იმაშია, რომ სხვა ადამიანთა დაკვირვებები არ წარმოადგენენ ჩემთვის მოცემულობას. წინდაშვება (ვარაუდი), რომ არაფერი არ არსებობს, გარდა იმისა, რასაც მე აღვიქვამ, იდენტურია დებულებისა, რომ არსებობენ სხვა ადამიანები, რომლებიც აგრეთვე აღიქვამენ. თუ ჩვენთვის საჭიროა ვირწმუნოთ სხვა ადამიანების არსებობა, მაშინ უნდა უარვყოთ მნიშვნელობის ვერიფიკაციასთან გაიგივება[1].

აღნიშნულ პრობლემას უშუალოდ უკავშირდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორც მიიღება ექსისტენციალური გამოთქმები. რასელი აღნიშნავს, რომ სიტყვების ფორმა, რომელიც შეიცავს გაურკვეველ ცვლადს, მაგალითად, „X არის მამაკაცი", იწოდება „პროპოზიციონალურ ფუნქციად", თუ სიტყვების ეს ფორმა ხდება გამოთქმად, როცა ცვლადს მიეწერება რომელიმე მნიშვნელობა. მნიშვნელობის ამ მიწერის გარდა არსებობს ორი სხვა წესი პროპოზიციული ფუნქციიდან წინადადების მიღებისა. ერთი წესი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ყველა წინადადება, რომლებიც მიღებულია X ცვლადისათვის მნიშვნელობათა მიწერის შედეგად, ჭეშმარიტია; მეორე წესი კი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ყოველ შემთხვევაში ერთი მათგანია ჭეშმარიტი. თუ „f(X) " არის ფუნქცია, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი, მაშინ ჩვენ ვუწოდოთ პირველს ამ მტკიცებათაგან „f(X) ყოველთვის". მეორეს კი—„f(X) ზოგჯერ" („ზოგჯერ" ნიშნავს „ყოველ შემთხვევაში ერთხელ"). ეს უკანასკნელი არის „ექსისტენციალური გამოთქმა", რადგან ის ნიშნავს იმას, რომ რაიმე, რომელსაც აქვს f(X) თვისება, „არსებობს". მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა ვთქვათ: „მარტორქები არსებობენ", ჩვენ ჯერ უნდა განვსაზღვროთ გამოთქმა: „X არის მარტორქა", შემდეგ კი ვამტკიცოთ, რომ არსებობენ X-ის ისეთი მნიშვნელობები, რომელთათვისაც ეს გამოთქმა ჭეშმარიტია. ჩვეულებრივად, სიტყვები „ზოგიერთი", „ერთი", „ეს" მიუთითებენ ექსისტენციალურ გამოთქმებზე. ექსისტენციალური გამოთქმების ცოდნას ვღებულობთ მაგალითების საშუალებით. მაგრამ არსებობს სხვა წესებიც. დედუქციურ ლოგიკაში არსებობს მხოლოდ ორი წესი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება დამტკიცებულ იქნეს ექსისტენციალური გამოთქმები. ერთი ასეთია ზემოთ მოყვანილი, როცა „f(X) ზოგჯერ" ვა-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 480—481.

მოიყვანება f(a)-დან; მეორე ის წესია, როცა ერთი ექსისტენციალური გამოთქმა მიიღება მეორიდან, მაგალითად: „არსებობს ორფეხა არსება“ მიიღება შემდეგიდან: „არსებობს უფრთო ორფეხა არსებები“. მაგრამ არსებობს სხვა მეთოდიც არა დედუქციურ დასკვნაში. ინდუქცია იძლევა სხვა მეთოდს[1]. ინდუქცია, თუ ის სწორია, გადის ახლანდელი ცდის ფარგლებიდან, მაგრამ არ გადის. ამბობენ ზოგიერთები, მომავალი ცდის ფარგლებიდან. მაგრამ საკითხი სწორედ იმას ეხება, თუ როგორ შეიძლება ვიცოდეთ ახლა, რომ ეს მეთოდი, ალბათ, სწორია. მეცნიერულმა მეთოდმა უნდა გვიჩვენოს საფუძვლები წინასწარ განჭვრეტისა. უნდა მოინახოს საფუძვლები იმისა, რომ ვენდოთ დასკვნებს მის ვერიფიკაციამდე. რასელი ამბობს, რომ მე ვუხმობ მთელ ქვეყანას ისეთი საფუძვლების საძებნად, რომლებიც შეგვიქმნის ნდობას დასკვნებში, რომლებიც ვერიფიკაცირებული იქნებიან მომავალში და რომლებიც არ იქნებიან საფუძვლები ნდობისა ზოგიერთი დასკვნისადმი, რომლებიც არ იქნებიან არც ვერიფიცირებული, არც ფალისფიცირებული[2].

ყველაფერი ეს გამოითქმება საკითხში: რა გარემოებებში შეიძლება ინდუქცია იყოს მართებული? არ აქვს აზრი თქმას: „ინდუქცია მართებულია, როცა მისგან გამოიყვანება ისეთი რამ, რაც შემდგომ ცდაში ვერიფიცირდება“, რადგან ეს ინდუქციას შემოსაზღვრავდა იმ შემთხვევებით, რომლებშიც ის უსარგებლოა. ჩვენ ჯერ კიდევ ცდამდე უნდა გვქონდეს საფუძველი რაიმეს მოლოდინისათვის, და ასეთ საფუძველს შეუძლია მიგვიყვანოს ისეთი რაიმეს რწმენამდე, რაც ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს ცდაში, მაგალითად, რწმენამდე სხვა ადამიანების აზრებისა და გრძნობების შესახებ (ამას ეხება ანალოგიის პოსტულატი)[3].

ცდა აუცილებელია თვალსაჩინო განსაზღვრებისა და, მაშასადამე, სიტყვათა მნიშვნელობის ყოველგვარი გაგებისათვის. მაგრამ ზოგიერთი წინადადება ცდის გარეშეც გასაგებია, მაგალითად, წინადადება „A-ს ჰყავს მამა“; ამისათვის არ არის საჭირო გვქონდეს წარმოდგენა, თუ ვინ იყო A-ს მამა. თუ A-ს მამა იყო B, მაშინ „B“ არ არის შემადგენელი ნაწილი მტკიცებისა „A-ს ჰყავდა მამა“.

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 482, 483.

[2] იქვე, გვ. 483—484.

[3] იქვე, გვ. 484—485.

ან სხვა ამგვარი მტკიცებისა. ასევე მე შეიძლება შესმოდეს წინადადება „არსებობდა ფრთიანი ცხენი“, თუმცა ასეთი რამ არასოდეს არ ყოფილა, რადგან ეს მტკიცება ნიშნავს, რომ, ჩავსვამთ რა „f(X)“-ს „X აქვს ფრთები და არის ცხენი“-ის ადგილზე, მე ვამტკიცებ, რომ „f(X) ზოგჯერ“. ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ „X“ არ არის შემადგენელი ნაწილი გამოთქმისა „f(X) ზოგჯერ“, ან გამოთქმისა „f(X) ყოველთვის“. ნამდვილად „X“ არაფერს არ ნიშნავს. რასელი ამტკიცებს, რომ: როცა მე ვაკეთებ დასკვნას ისეთის შესახებ, რომელიც არაა მოცემული ცდაში (სულ ერთია, მოცემული იქნება თუ არა ის მომავალ ცდაში), ჩემი დასკვნა არასოდეს არ იქნება დასკვნა ისეთი რაიმეს შესახებ, რომლის დასახელება მე შემიძლია, არამედ იქნება მხოლოდ დასკვნა ექსისტენციალური გამოთქმების ჭეშმარიტობის შესახებ. თუ ინდუქცია ყოველთვის მართებულია, მაშინ არსებობს შესაძლებლობა გავიგოთ ექსისტენციალური გამოთქმების ჭეშმარიტობა მათი ჭეშმარიტობის რაიმე კერძო შემთხვევების ცოდნის გარეშე.

ზემოთქმულით, რასელის აზრით, უკუგდებულია ზოგიერთი სახის დასკვნის წინააღმდეგ წამოყენებული შეხედულებები, რომელთაც აპრიორებული ხასიათი აქვთ, თუმცა მათი ავტორები ფიქრობენ, რომ დგანან ყოველგვარი a priori-ს გარეშე[1].

მაშასადამე, რასელი ცდილობს „საგნის“ სუბსტანციური მუდმივობის უარყოფით და ქვაზიმუდმივობის აღიარებით ახსნას ინდუქციური დასკვნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მაინც გამოყენებულია ნამდვილი ცნება საერთოდ მუდმივობისა, სახელდობრ, საგნის, როგორც სუბიექტის მუდმივობისა. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდუქციამ სწორედ ის უნდა მოგვცეს, რაც გარკვეულ მუდმივობას, ამ აზრით, ზოგადობას წარმოადგენს, მაშინ როცა რასელთან (არა მარტო რასელთან) ასეთი მუდმივობა პოსტულირებულია სწორედ ინდუქციის გასამართლებლად.

რასელი ფიქრობს, რომ მართებული ინდუქციები და საერთოდ დასკვნები, რომლებიც ჩემი პირადი ცდის საზღვრებს გარეთ კადიან, ყოველთვის დამოკიდებული არიან გარკვეულად გაგებულ

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 485.

მიზეზობრიობასთან, რომელსაც ზოგჯერ ანალოგიაც ავსებს[1]. ამიტომ აუცილებელია დამოუკიდებელი მიზეზობრივ ხაზთა პოსტულატები.

რასელის აზრით, „მიზეზის“ ცნება იხმარებოდა წინათ და ახლაც კი იხმარება ფილოსოფოსებთან ამ ცნების პრიმიტიული გაგებით. ასე — პრიმიტიულად გაგებული „მიზეზი“, თუ ის გარკვეულად შემოსაზღვრული იქნება, სწორია, მას მნიშვნელობა აქვს მიახლოებითი განზოგადებების დროს. ასე გაგებულ მიზეზის ცნებას ემყარებოდა, მაგ. ჯ. სტ. მილი თავის თეორიაში ინდუქციის შესახებ.

რასელის გაგება მიზეზობრიობისა ემყარება მისსავე გაგებას „საგნისა“, როგორც არასუბსტანციალურისა, როგორც ხდომილობათა ჯაჭვისა. ეს ჯაჭვი წარმოადგენს თავისებურ მიზეზობრიობას, რასაც, რასელი სხვანაირად, ქვაზიმუდმივობას უწოდებს[2]. რასელის აზრით, მიზეზობრიობის კანონი მდგომარეობს შემდეგში: „თუ გარკვეულ დროში მოცემულია ხდომილობა, მაშინ ყოველ რამდენიმედ უფრო ადრინდელ ან რამდენიმედ უფრო გვიან დროს რაიმე ადგილზე მეზობლად არსებობს ძალიან მსგავსი ხდომილობა“[3]. ეს გარემოება, რასელის აზრით, ხდება არა ყოველთვის, არამედ ძალიან ხშირად, საკმარისად ხშირად, რათა ინდუქციას ექნეს მაღალი ალბათობა, — ამ ინდუქციას, რომელიც ადასტურებს ამას რომელიმე კერძო შემთხვევაში. როცა უარიყოფა ცნება სუბსტანციისა, მაშინ საგნის იგივეობა ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „მიზეზობრივი ხაზი“. „მიზეზობრივი ხაზი“ არის დროული თანმიმდევრობა ხდომილობათა, რომლებიც ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან, რომ თუ მოცემულია რომელიმე მათგანი, მაშინ შეიძლება რაღაც იქნეს გამოყვანილი სხვათა შესახებ, რაც არ უნდა მოხდეს სხვა ადგილზე. მიზეზობრივი ხაზი არის რაიმეს მუდმივობა. მიზეზობრივი ხაზია, მაგალითად, პროცესი, რომელიც მოდის დიქტორიდან მსმენელებამდე რადიოგადაცემის დროს.

ეს მიზეზობრიობა არის მეცნიერების პოსტულატი, აღნიშნავს რასელი. თუ ეს პოსტულატი სწორია, ამბობს იგი, მაშინ ჩვენ შე-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 485.
[2] იქვე, გვ. 491.
[3] იქვე,

გვიძლია შევიძინოთ ნაწილობრივი ცოდნა, მიუხედავად ჩვენი კოლოსალური უვიცობისა[1].

რასელის აზრით, თუ მიზეზობრიობის აქ გარკვეული დებულება არის პოსტულატი მეცნიერებისათვის, ეს არ ითქმის სტატისტიკური კანონზომიერების შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი არის დასკვნა. მეცნიერული პოსტულატები აუცილებელი საფუძველია ინდუქციური დასკვნებისათვის. არ არის სავალდებულო, რომ ეს პოსტულატები იყოს უცილობელი და ზოგადი[2].

მაშასადამე, მიზეზობრივი ხაზის პოსტულატი შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად: ხშირად შეიძლება შეიქმნეს ხდომილობათა ისეთი თანმიმდევრობა, რომ ამ თანმიმდევრობის ერთი ან რამდენიმე წევრისაგან შეიძლება გამოყვანილ იქნეს ისეთი რაიმე, რომელიც ეკუთვნის ყველა სხვა წევრს[3]. ამის საუკეთესო მაგალითია, თავისუფალი მოძრაობა, სადაც მოქმედებს შინაგანი მიზეზობრივი კანონი.

მიზეზობრივ პოსტულატს ექვემდებარება ვრცეულ-დროული განუწყვეტლობის პოსტულატი, რადგან ეს არის პოსტულატი ვრცეულ-დროული განუწყვეტლობის მიზეზობრივ ხაზში.

უნდა აღინიშნოს, რომ რასელის „მიზეზობრივი ხაზი" რაღაც (ისიც სრულიად გაურკვეველი) საშუალოა დროულ თანმიმდევრობასა და მიზეზობრიობის ჩვეულებრივ გაგებას შორის, იგი ამ უკანასკნელის ცნებას გულისხმობს წინასწარ, რადგან მასში შესუსტებულია მიზეზობრიობისთვის დამახასიათებელი აუცილებლობა. ჩვენთვის აქ იმის აღნიშვნაა მთავარი, რომ მუდმივობა თუ რაღაც გაურკვეველი უცილობლობა, რომელიც „მიზეზობრივ ხაზს" ახასიათებს, ერთსა და იმავე დროს საფუძველიცაა ინდუქციისათვის და შედეგსაც უნდა წარმოადგენდეს. ეს წრიულობა არ შეიძლება მოხსნილ იქნეს მიზეზობრიობის ძალის შესუსტებით, მიზეზობრიობის აუცილებლობის დროულ თანმიმდევრობასთან მიახლოებით; პირიქით, ეს მიახლოება კიდევ მეტ სიძნელეს ჰქმნის, რადგან ის. რაც უნდა მიღებულ იქნეს ინდუქციური გზით, თითქმის იგივეა, სა-

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 492.
[2] იქვე, გვ. 492.
[3] იქვე, გვ. 523.

იდანაც (ინდუქციური დასკვნის წანამძღვრები) ის უნდა იქნეს მიღებული.

შემდეგი, მეოთხე პოსტულატი მეცნიერული დასკვნებისათვის, ეს არის სტრუქტურული პოსტულატი, ფიქრობს რასელი. იგი მდგომარეობს შემდეგში.

ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთგვარი სტრუქტურის მაგალითებს. სხვადასხვა ადამიანთა ანატომია მეტად თუ ნაკლებად მუდმივია: ერთი და იგივე ძვლები, ერთი და იგივე კუნთები და სხვა ერთნაირია ადამიანებში, ერთი გამოცემის წიგნის ეგზემპლარები ერთნაირია, მრავალი ადამიანის მიერ ერთი და იგივე რადიოგადაცემის მოსმენა ერთი სტრუქტურისაა და სხვ. სტრუქტურა შეიძლება შედგებოდეს ერთეულებისაგან ან ხდომილობათაგან. სტრუქტურას აქვს გარკვეული ცენტრი, რომელიც მიზეზია, წინ უსწრებს რთულ ხდომილობებს. ამრიგად, სტრუქტურული პოსტულატი შეიძლება ასე გამოითქვას: როცა ჯგუფს რთული ხდომილობებისა, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ერთიმეორის გვერდით იმყოფებიან, აქვს ზოგადი სტრუქტურა და დაჯგუფება ხდება, ალბათ, რაიმე ცენტრალური ხდომილობის ახლოს, მაშინ სრულიად შესაძლებელია — საალბათოა, რომ ხდომილობებს აქვთ საერთო წინამორბედი როგორც მიზეზი[1]; ანუ სხვანაირად: როცა ხდომილობათა სტრუქტურულად მსგავსი კომპლექსების რაიმე რიცხვი ლაგდება ცენტრის ახლოს მცირე სფეროში, მაშინ ჩვეულებრივად ხდება, რომ ყველა ეს კომპლექსი ეკუთვნის მიზეზობრივ ხაზს, რომელსაც თავისი წყარო აქვს იმავე სტრუქტურის ხდომილობაში, რომელიც ცენტრში იმყოფება[2]. გამოთქმა „ჩვეულებრივ ხდება" იმას ნიშნავს, რომ დასკვნას ალბათური ხასიათი აქვს.

თუ A და B არის ორი რთული სტრუქტურა და A შეიძლება იყოს მიზეზი B-სი, მაშინ უნდა არსებობდეს A და B სტრუქტურათა იდენტობის რაღაც ხარისხი[3].

ჩვენ ვსაჭიროებთ რაღაც პრინციპს, რომელიც უნდა დაემატოს ცდას და რომელმაც ინდუქციის ზოგიერთ სახეს მიანიჭოს ალბათობა. ჩვენ უნდა ვეძიოთ, აღნიშნავს რასელი, არა მხოლოდ ისეთი

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 498.
[2] იქვე გვ. 526.
[3] იქვე, გვ. 501.

მარტივი კანონი, როგორიცაა „A არის მიზეზი B-სი“, არამედ, აგრეთვე, უნდა მივიღოთ პრინციპი: თუ მოცემულია ორი იდენტური სტრუქტურა, მაშინ საალბათოა ის, რომ მათშია მიზეზობრივი კავშირი, რომელიც ორი სახისაა: 1) შედგება სტრუქტურებისაგან, რომელთაც აქვთ საერთო მიზეზობრივი წინამორბედი; 2) როცა ორი სტრუქტურა შედგება მსგავსი ინგრედიენტებისაგან და სადაც არსებობს მიზეზობრივი კანონი, რომლებიც აიძულებს ინგრედიენტებს შექმნან გარკვეული სისტემა (ამის მაგალითებია ატომები, მოლეკულები, კრისტალები).

უკანასკნელი — მეხუთე პოსტულატი, ეს არის ანალოგიის პოსტულატი. ის ეხება, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, რწმენას სხვა ადამიანთა ცნობიერების შესახებ, ცოდნას (თუ ასეთი გვაქვს) სხვათა აზრების შესახებ. ჩვენ ჩვენს თავზე დაკვირვების საფუძველზე ვასკვნით, რომ სხვა ადამიანსაც აქვს აზრი. მაგ., ვიცი, რომ წყალი მწყურია და ვამბობ, რომ „წყალი მწყურია“, როცა სხვა ვინმე იტყვის, რომ „წყალი მწყურია“, მაშინ მე შემიძლია დავასკვნა, რომ მას ნამდვილად სწყურია წყალი და იცის, რომ წყალი სწყურია. ისევ თავზე დაკვირვებით, მე ვიცი მიზეზობრივი კანონი შემდეგი ფორმებისა: „A არის მიზეზი B-სი“, სადაც A არის „აზრი“. B კი — ფიზიკური ხდომილობა. როცა ვხედავთ B-ს, მაგრამ ვერ ვხედავთ A-ს, მაშინ ვასკვნით ამ A-ზე. ეს არის შეღეგიდან მიზეზზე დასკვნა, რომელიც შეიძლება გამართლდეს და შეიძლება — არა, რადგან შედეგს შეიძლება მრავალი მიზეზი ჰქონდეს. აღნიშნული დასკვნა მართლდება მაშინ, თუ ვიცით, რომ მხოლოდ A არის B-ს მიზეზი. თუ იმითი დავკმაყოფილდებით, რომ A ალბათ არის, მაშინ საკმარისი იქნება ვიცოდეთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში A მიზეზია B-სი.

ანალოგიის პოსტულატი შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად: თუ მოცემულია ხდომილობათა ორი კლასი A და B და თუ მოცემულია, რომ სადაც არ უნდა არსებობდნენ ისინი (არსებობდნენ დაკვირვებადად), არსებობს საფუძველი რწმენისა, რომ A მიზეზია B-სი, მაშინაც, თუ რომელიმე შემთხვევაში ვხედავთ A-ს, მაგრამ არავითარი საშუალება არ გვაქვს დავადგინოთ, არის თუ არა B, საალბათოა, რომ B მაინც არის; ამგვარათვე —

თუ ვხედავთ B-ს, მაგრამ არ შეგვიძლია დავადგინოთ A-ს არსებობა თუ არარსებობა[1].

ასეთია, რასელის აზრით, მეცნიერული დასკვნის პოსტულატები.

რასელი ფიქრობს, რომ ამ ხუთი პოსტულატიდან შეიძლება ყველა არ არის აუცილებელი მეცნიერული დასკვნისათვის, მაგრამ მას სწამს, რომ ისინი არიან საკმარისი.

მაშასადამე, ასკვნის რასელი, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვიცით" ის, რაც აუცილებელია მეცნიერული დასკვნისათვის. თუ ის ასრულებს შემდეგ პირობებს: 1) ის ჭეშმარიტია, 2) ჩვენ ვიცით ეს, 3) ის არ მიდის ისეთ დასკვნამდე, რომელსაც ცდა უარყოფს, 4) ის ლოგიკურად აუცილებელია, თუ რომელიმე ხდომილობა ან ხდომილობათა წყება იძლევა ცნობას რაიმე სხვა ხდომილობის სასარგებლოდ[2].

რასელის აზრით, ინდუქცია არ არის უნივერსალური ხასიათის, რაც საჭიროა მეცნიერული დასკვნის გამართლებისათვის. ამიტომ აუცილებელია რაღაც უნივერსალური, სულ ერთია ეს იქნება ზემოთ განხილული ხუთი პოსტულატი, თუ სხვა რამ. ასეთი უნივერსალური პრინციპები, ფიქრობს რასელი, არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს ცდიდან. ამიტომ, ასკვნის რასელი, ან ჩვენ ეს პრინციპები ვიცით ცდისაგან დამოუკიდებლად, ანდა მეცნიერება სხვა არაფერია, გარდა მხოლოდ მთვარის სინათლისა[3]. მართალია, ცდა საკმარისია ვირწმუნოთ განზოგადება: „ძაღლები ყეფენ", მაგრამ ეს განზოგადება თავისთავად არ იძლევა საფუძველს რწმენისათვის, რომ ის ჭეშმარიტია შეუმოწმებელ შემთხვევებში. იმისათვის რომ ცდა იძლეოდეს ასეთ საფუძველს, ის უნდა იქნეს შევსებული მიზეზობრივი პრინციპებით, ისეთი პრინციპებით, რომლებიც განზოგადების გარკვეულ სახეებს წინასწარ გახდიან სანდოდ. ეს პრინციპები იძლევიან ისეთ შედეგებს, რომლებიც ეთანხმებიან ცდას, მაგრამ ეს ფაქტი ლოგიკურად არ არის საკმარისი, რათა ეს პრინციპები გახდნენ საალბათოც კი. სწორედ ამიტომ არის ისინი პოსტულატები და სწორედ აღნიშნულის გამო არიან ისინი აუცილებელნი მეცნიერებისათვის, მეცნიერული დასკვნებისათვის.

---

[1] ბ. რ ა ს ე ლ ი, გვ. 526.

[2] იქვე, გვ. 529.

[3] იქვე, გვ. 538.

ყველაფერი ეს იმასაც ნიშნავს, აღნიშნავს რასელი, რომ ემპირიზმი, როგორც შემეცნების თეორია, არასაკმარისია. მისი ნაკლოვანებანი უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა შემეცნების თეორიებისა. ეს ნაკლოვანებანი აღმოჩენილ იქნა იმის საფუძველზე, რაც თვითონ ემპირიზმსაც ასულდგმულებს; ეს საფუძველი გამოითქმება დებულებით: მთელი ადამიანური ცოდნა არაა უცილობელი, არაზუსტი და ნაწილობრივია[1].

უკვე ეს უკანასკნელი დებულება აჩვენებს რასელის შეხედულების ძირითად ნაკლს, საიდანაც სხვა ნაკლოვანებანი გამომდინარეობენ, ეს არის პრობლემისადმი მიდგომის ხერხის თუ მეთოდის მეტაფიზიკურობა, დიალექტიკის სრული გაუგებრობა, კერძოდ — შემეცნების თეორიისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხებში, „მეცნიერული დასკვნების" სფეროში.

საქმე იმაშია, რომ ცოდნის ნაწილობრიობა, მისი არასიზუსტე არ ნიშნავს იმას, როგორც ამას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია — დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ თითქოს ის გამორიცხავს აბსოლუტურობას, ამ აზრით, უცილობლობას. აბსოლუტურობისა და უცილობლობის გარეშე არავითარი ცოდნა არ არსებობს. შეფარდებითი ჭეშმარიტება აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლის შემცველია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ ჭეშმარიტება. ყოველი ნაწილობრივი თუ არაზუსტი ლოგიკურად შესაძლებელია სრულის და ზუსტის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა ნაწილობრივი და არაზუსტი. ეს გარემოება მოქმედებს რასელშიც, როცა ის იძულებულია ემპირიზმის ნაკლი აღიაროს, როცა ის ცდილობს ჩვენი მეცნიერული ცოდნა დააფუძნოს არა მხოლოდ ცდას, არამედ ცდისაგან გამოუყვანად პრინციპებს, — აღიაროს აუცილებლობა ასეთი პოსტულატებისა, რათა გაამართლოს მეცნიერება, მეცნიერული დასკვნები.

რასელის შეცდომა აქ ისაა, რომ: 1) ასეთი პრინციპები ვერ გამოჰყავს ცდიდან, რადგან ცდა ესმის პოზიტივისტურად; იგი აქ, ისე როგორც საერთოდ თანამედროვე პოზიტივიზმი, განისაზღვრება იუმით, ცდის იუმისეული გაგებით, სახელდობრ, ისეთი გაგებით,

---

[1] ბ. რასელი, გვ. 540.

როცა ცდიდან გამორიცხულია კანონზომიერება, გამორიცხულია ზოგადობა; 2) დაუშვა ისეთი დებულებები, რომლებიც აუცილებელი არიან როგორც მხოლოდ პოსტულატები, რომელთაც ზოგადობის სისრულე აკლიათ, თვითონაც ალბათური არიან, მაშინ როცა ალბათურობის ამხსნელნი, ამიტომ უცილობელი ბუნებისانი უნდა იყვნენ. ალბათური არის ჭეშმარიტების მსგავსი და მას ჭეშმარიტებით აქვს აზრი.

რასელის „პოსტულატები", როგორც ეს ზემოთ გაირკვა ამ პოსტულატების შინაარსის დახასიათების დროს, შემოღებული არიან ალბათობის, ცოდნის ალბათურობის გასამართლებლად. მაგრამ თვითონაც ალბათური, მიახლოებითი ხასიათის არიან, ამიტომ თვითონ ისინი მოითხოვენ უცილობელს საკუთარი თავის გასამართლებლად, ისე როგორც ცდისეული ცოდნა მათ ემყარება. თუ მიახლოებითი ხასიათის მქონე ამ პოსტულატებს ასეთივე ექნება საფუძვლად, მაშინ კიდევ სხვა პოსტულატები იქნება საჭირო და ა. შ. უსასრულოდ. ეს შეუძლებლობა აუცილებელს ხდის ცდისეული. აერძო ცოდნისათვის უცილობლობისა და ზოგადის აღიარებას.

ალბათური, როგორც ითქვა, არის ის, რაც ჰგავს: 1) ნამდვილს, უცილობელს სინამდვილეში, 2) ჭეშმარიტებას ცოდნაში. ეს უკანასკნელი არის პირველის გამმართლებელი სწორედ ლოგიკური თვალსაზრისით. „პოსტულატები" მიახლოებითი ხასიათის არიან, ე. ი. განისაზღვრებიან იმით, რასთან მიახლოებითაც მათ აქვთ აზრი; ის, რასთან მიახლოებითაც აზრი აქვს მიახლოებითს, არის უცილობელი, რის გარეშეც მიახლოებითი ასეთი კი არაა, არამედ არაფერია. თვითონ პოსტულატი მიახლოებითს ნიშნავს, მიახლოებითი ბუნებისაა, ამიტომ არ შეიძლება გამართლებას არ საჭიროებდეს სწორედ უცილობელისაგან.

რასელის პოსტულატები ასრულებენ იმ როლს, რასაც ინდუქციის ჩვეულებრივ თეორიებში ბუნების ერთგვაროობის კანონი თუ პოსტულატი ასრულებს, მაგრამ ისე რომ ამ პოსტულატებში, ასე ვთქვათ, შერბილებულია ის აუცილებლობა, რომელსაც ბუნების ერთგვაროობის კანონში გულისხმობენ. თუ ბუნების ერთგვაროობის კანონი მიზეზობრიობის კანონის სახით იქნება წარმოდგენილი, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ რასელის „მიზეზობრივი ხაზი" აჩრდილია მიზეზობრიობისა — მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავ-

შირისა, რომლის შესუსტება და მისი ხდომილობათა ერთობლიობის სახით წარმოდგენა სრულიად აუქმებს მას. არ შეიძლება არსებობდეს უცილობლობა, როცა იგი შესუსტებულია, ე. ი. როცა ის აღარ არის, რასაც მართლაც უცილობლობა და აუცილებლობა წარმოადგენს. მუდმივობის მაგიერ ქვაზიმუდმივობის აღიარება, იგივეობის ადგილზე მიახლოებითი იგივეობისა და მსგავსების დაშვება, მიზეზობრიობის დაყვანა ხდომილობათა ვრცეულ და დროულ გარეგან წესრიგზე და სხვა, ეს არის მუდმივობის, იგივეობის, მიზეზობრიობის და ა. შ. გაუქმება, მაშინ როცა მათი როგორღაცნაირი დაშვება აუცილებელია.

როგორც აღინიშნა, რასელი ცდისეულის არა ცდისეულის საშუალებით ახსნისას ვარდება გამოუვალ წრეში, ისე როგორც საერთოდ ინდუქცია, რომლისთვისაც აუცილებელია ზოგადი წანამძღვარი, მაგალითად, ბუნების ერთგვაროობის კანონის სახით. საქმეს ვერ შველის პოსტულატთა ბუნების მიახლოებითობა, პირიქით, როგორც ითქვა, ეს გარემოება იწვევს ლოგიკურად ყალბ მდგომარეობას — რეგრესს უსასრულობაში.

ჩვენი კრიტიკა რასელის თეორიისა ემყარება ლოგიკურ საფუძველს, მაშინ როცა რასელთან ერთიმეორეშია არეული ლოგიკური და ფსიქოლოგიური. რასელს ხელს უშლის ფსიქოლოგიზმი, რომელიც, როგორც ცნობილია, ყოველთვის მტერი იყო ლოგიკის, ფილოსოფიისა და, საერთოდ, მეცნიერების. რასელი ისე იქცევა, თითქოს ფსიქოლოგიზმის კრიტიკას არ ჰქონდა არასოდეს ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში; არ ითვალისწინებს, არ უწევს ანგარიშს იმ არგუმენტებს, რომლებიც წამოყენებული იყო ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, მაგალითად, ჰუსერლის ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან.

რასელთან ლოგიკურის ფსიქოლოგისტურ გაყალბებასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმის მოდუსის Barbara-ს გაგებისას. რასელი აღნიშნავს, რომ მეტად რთულია გაიგო დასაბუთების პროცესი; რომ გასაგები გახდეს დასაბუთების წარმოება, საჭიროა მისი დაყოფა უმცირეს საფეხურებად, მაგრამ სიძნელე მაინც დარჩება, თუკი მსჯელობის პროცესი არის რთული. თუ დასაბუთების პროცესს დავანაწილებთ უმცირეს საფეხურებად, მაშინ თითოეული საფეხური უნდა იყოს მოცემული, სხვანაი-

რად კი დასაბუთების ყოველი ცდა წინ დაუშვებდა უსასრულო რეგრესს. ავიღოთ, მაგალითად, სილოგიზმის მოდუსი Barbara. მე ვამბობ „ყველა ადამიანი მოკვდავია", ამაში თქვენ მე მეთანხმებით. შემდეგ ვამბობ: „სოკრატე ადამიანია", — ამაშიც მეთანხმებით. მაგრამ როცა ბოლოს ვიტყვი, რომ „მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია", თქვენ მეუბნებით: „მე ვერ ვხედავ, თუ საიდან გამოდის ეს". რა უნდა ვთქვა ასეთ შემთხვევაში? კითხულობს რასელი. მე შემიძლია ვთქვა: „ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ თუ f(X) ყოველთვის ჭეშმარიტია, მაშინ f(a) ჭეშმარიტია? და ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ, მაშასადამე, თუ φ (x) ყოველთვის აიმპლიცირებს ψ (x)-ს, მაშინ φ (სოკრატე) აიმპლიცირებს ψ (სოკრატე)-ს? და ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ რომ მე შემიძლია ჩავსვა „φ (x)"-ის ადგილზე „X არის ადამიანი" და „ ψ (x)"-ის ადგილზე „X მოკვდავია"? და ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ეს ასაბუთებს ჩემს მტკიცებას"? ამის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ თქვენ „ხედავთ" ჩემი ახალი დასაბუთების საფეხურებს.

აქედან რასელი ასკვნის, რომ: როცა დასაბუთება აიგება რაც შეიძლება მარტივად, მაშინ კავშირი, რომელიც მტკიცდება ყოველ საფეხურზე, უნდა იყოს მოცემული. მაგრამ შეუძლებელია, რომ კავშირის ყოველ საფეხურზე გვქონდეს ჭეშმარიტების მაგვარობის უმაღლესი ხარისხი, რადგან საუკეთესო მათემატიკოსებიც ეცდებიან. ნამდვილად, წინადადებათა შორის ლოგიკური კავშირების ჩვენ მიერ ათვისება, შეიძლება განაწილდეს მათი ჭეშმარიტების მაგვარობის ხარისხის მიხედვით: ზოგიერთ კავშირს კარგად „ვხედავთ", ზოგიერთის მიმართ კი არ ვართ დარწმუნებული ვხედავთ მას, თუ არა[1].

ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ რასელს სილოგისტური დასკვნების ლოგიკური ბუნება არ ესმის, რომ მას ისინი მხოლოდ ფსიქოლოგისტურად აქვს გაგებული, არა, ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ რასელი ზემოთ მოყვანილ მაგალითში ყურადღებას აქცევს საქმის ფსიქოლოგიურ მხარეს და რომ ასე იქცევა იგი მეცნიერული კანონების მიმართაც.

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 429.

მეცნიერების კანონები, მეცნიერული დასკვნის პრინციპები ალბათური ხასიათის იქნება, თუ მათ ფსიქოლოგისტურად მივუდგებით, სახელდობრ, ისე, როგორც რასელი მიუდგა Barbara-ს.

ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ლოგიკური გზით არის შესაძლებელი, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე იქნა აღნიშნული, მაგრამ ისე, რომ ლოგიკური არ უნდა იყოს დაყვანილი მათემატიკურ-ლოგიკურზე, როგორც ამას ადგილი აქვს რასელთან (და სხვა თანამედროვე პოზიტივისტებთან), წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკურის სრულად წარმოდგენის გარეშე, იძულებული ვიქნებით ფსიქოლოგიური გზა ავირჩიოთ და პრობლემა გადაწყვეტის მაგიერ დავაბნიოთ კიდეც, როგორც ამას ადგილი აქვს რასელის ზემოთ გადმოცემულ თეორიაში.

რასელის აზრთა წყობის გარჩევას ჩვენ დიდი ადგილი დავუთმეთ (რაც, შეიძლება ითქვას, არც იყო ჩვენი პრობლემისათვის ასე აუცილებელი), რადგან: 1) რასელი, როგორც თანამედროვე დიდი მეცნიერი — დიდი მათემატიკოსი და მათემატიკური ლოგიკის დიდი წარმომადგენელი (ავტორი შრომისა „მათემატიკის პრინციპები“), აუცილებლად უნდა იქნეს ანგარიშგაწეული ისეთი პრობლემის გარჩევისას, როგორიც ინდუქციის პრობლემაა; 2) რასელის პოზიტივიზმი უკიდურესად ამჟღავნებს საერთოდ თანამედროვე პოზიტივიზმის, კერძოდ კი, პოზიტივიზმის ნიადაგზე დასმული ინდუქციის პრობლემის სიძნელეს და აჩვენებს ამ სიძნელის ამ გზით გადაწყვეტის შეუძლებლობას. ეს გარემოება კი ააშკარავებს იმ სიძნელეებს, რასაც ადგილი აქვს მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდისა და ლოგიკური დალაგება-გადმოცემის წესის დამოკიდებულების პრობლემაში, კერძოდ, პოზიტივიზმის შემთხვევაში.

როგორც აღვნიშნავდით, ეს პრობლემა მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს. ამის ჩვენებამდე საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე დებულების წამოყენება ალბათობისა და ინდუქციის დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ, იმის სრულიად მოკლე გათვალისწინება, რაც გაკეთებულია საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ პრობლემის ხაზით.

3. ინდუქცია აუცილებლობით უკავშირდება ალბათობას. ალბათობა ორნაირია: ერთია ობიექტური ალბათობა, მეორე კი ცოდნის ალბათობა. ინდუქცია დაკავშირებულია ერთთანაც და მეო-

რესთანაც, რადგან: 1) სტატისტიკურ კანონზომიერებაში, სადაც ადგილი აქვს ობიექტურ ალბათობას, არსებითია შემთხვევათა (კერძოთა) კავშირი ზოგად კანონთან. ინდუქცია დაწყებული ფ. ბეკონიდან, ყურადღებას ამახვილებდა სწორედ ობიექტურ კავშირზე, სახელდობრ, მიზეზობრივ კავშირზე. ჯ. სტ. მილის ინდუქციურ ლოგიკაში ძირითადი ცნება სწორედ მიზეზობრიობის ცნებაა, სახელდობრ, ის თუ რა გზით იქნეს აღმოჩენილი მოვლენების მიზეზი. ინდუქციის მიზანი კერძო მოვლენების საფუძველზე ზოგადი კანონზომიერების აღმოჩენაში მდგომარეობს, ასე ფიქრობს ინდუქციური ლოგიკა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე; 2) მეორე მხრივ, ინდუქციურ ლოგიკაში. როგორც სწორედ ლოგიკაში. არსებითია ინდუქციური დასკვნის ალბათობა. ცოდნის ალბათობა ემყარება ობიექტურ ალბათობას, ლოგიკური ალბათობა კი, ჯერჯერობით, გაურკვევლად არის დატოვებული, რადგან ლოგიკური კავშირი — ლოგიკური აუცილებლობა სწორედ მხოლოდ აუცილებლობა უნდა იყოს და არა ალბათური ხასიათის მქონე კავშირი.

ერთი სიტყვით, საჭიროა გაირკვეს როგორც ობიექტური ალბათობის ცნება, ისე საერთოდ ცოდნის და, კერძოდ. ლოგიკური ალბათობის ცნებაც სწორედ ინდუქციური დასკვნის ბუნების გარკვევის თვალსაზრისით, ე. ი. ლოგიკური ალბათობის ბუნების გაგებისათვის.

წინასწარ შეიძლება აღინიშნოს, რომ ინდუქციური დასკვნის შესაძლებლობა, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა, დაკავშირებულია კერძოსა და ზოგადის კატეგორიების კავშირთან. ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგადზე გადასვლა, ანუ როგორც კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა (ისე როგორც პირიქით) ერთი მხარეა კერძოსა და ზოგადის დიალექტიკური (დაპირისპირებულთა) ერთიანობისა. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა ყოველთვის გაუგებარს ხდიდა ინდუქციის (ისე როგორც დედუქციის) ბუნებას. მაგრამ აქ საკითხი ეხება იმის შესაძლებლობას, თუ როგორ შეიძლება კერძოდან ზოგადზე გადასვლა, როგორ შეიძლება კერძოდან აუცილებლობით გამოდიოდეს ზოგადი. საკითხი ეხება სწორედ ამ შესაძლებლობას, მაგრამ სწორედ შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული ალბათობის ცნება, რომლის გარკვევა,

მოკლედ მაინც, აუცილებელია ჩვენი პრობლემისათვის (შრომის ამ თავში განხილული პრობლემისათვის).

რას ნიშნავს გამოთქმა „ალბათ“? „ალბათ“ ასეც გამოითქმება: რაიმე შეიძლება იყოს, შეიძლება არ იყოს; ეს ითქმის რაიმე არსებულის საფუძველზე სხვა რაიმეს შესაძლებლობის შესახებ. ცოდნის სფეროში კი „ალბათ“ ნიშნავს იმას, რომ რაიმე დებულება შეიძლება იყოს სწორი, შეიძლება არც იყოს სწორი თუ ჭეშმარიტი. „ალბათ“ ნიშნავს იმას, რაც არაა შეუძლებელი, მაგრამ არც ნამდვილი და აუცილებელია. „ალბათ“ არის ის, რაც როგორღაც აუცილებლობითაა დაკავშირებული შესაძლებლობასთან. რას წარმოადგენს ალბათობა შესაძლებლობის მიმართ? როგორ უკავშირდება ალბათობის კატეგორია შესაძლებლობის კატეგორიას? ეს საკითხი რთული საკითხია. ჩვენთვის აქ საკმარისია დავემყაროთ იმ აზრს, რომელიც უკვე მიღწეულია საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

არსებობს მეცნიერული კვლევა-ძიების სხვადასხვა მეთოდი. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენს კვლევა-ძიების სტატისტიკური მეთოდი (მეთოდები). ალბათობის ცნება, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, მოიხმარება, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკური მეთოდის გამოყენებისას, ალბათობის ცნება აუცილებელი ცნებაა სტატისტიკური მეთოდისათვის.

მაგრამ თუ ალბათობის ცნებას მივანიჭეთ აბსოლუტური მნიშვნელობა და ვთქვით, რომ, 1) ყველაფერი საალბათოა, ან 2) მთელ ჩვენ ცოდნას ალბათური ხასიათი აქვს, მაშინ მეცნიერების უარყოფამდე მივალთ. ფილოსოფიის ისტორიამ იცის ცდები ისეთი ფილოსოფიური სისტემების შექმნისა, რომლებსაც ყველაფერი ალბათობაზე დაჰყავთ: 1) სინამდვილის მოვლენები ალბათურ მიმართებებთანაა გაიგივებული, 2) „ასაბუთებენ“ აგნოსტიციზმს, თითქოს ჩვენი ცოდნა ალბათურია, 3) ჰქმნიან ალბათობის ლოგიკასაც (მაგ., რაიხენბახი). ძველი ბერძენი სკეპტიკოსები სწორედ ალბათურ ჭეშმარიტებას აღიარებდნენ. ამას აქვს ადგილი თანმედროვე პოზიტივიზმშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, რასელიც ასეთ თვალსაზრისზე დგას, თუმცა არ ეთანხმება რაიხენბახის ალბათობის ლოგიკას.

ალბათობის ცნება ემყარება შესაძლებლობის ცნებას. რაიმეს შესაძლებლობას აქვს გარკვეული რეალური საფუძველი იმ სინა-

შდვილეში, საიდანაც ეს რაიმე წარმოიშვება. რაიმეს ობიექტურ შესაძლებლობას აქვს რეალური საფუძველი გარკვეულ ობიექტურ პირობებში, იმ მოვლენებსა თუ საგნებში, რომელთა შინაგანი და გარეგანი ძალების ერთიანობა ჰქმნის ამ რაიმეს, შესაძლებელს ხდის მას. შესაძლებლობის შემქნელი ფაქტორების მოქმედების ძალა არის გარკვეული სიდიდე, რომელიც წარმოადგენს შესაძლებლობის საფუძველს, რაც იცვლება საგნის განვითარებისდა მიხედვით. საგანი და მისი არსებობის პირობები არის რეალური საფუძველი ამ საგნის შესაძლებლობათა არსებობისა. შესაძლებლობას ორი მხარე აქვს: 1) თვისობრივი, რაც მის სპეციფიკურობას გამოხატავს, და 2) რაოდენობრივი. ალბათობის ცნება შესაძლებლობის რაოდენობრივი მხარის გამოხატულებას წარმოადგენს. ალბათობის ცნება გამოხატავს იმას, თუ რას წარმოადგენს შესაძლებლობის რეალური დაფუძნებადობის სიდიდე, თუ რამდენად არის ახლოს სინამდვილესთან შესაძლებლობა. ალბათობა არის შესაძლებლობის ზომა, საზღვარი.

ალბათობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც შესაძლებლობის საფუძველის სიდიდე[1]. მაგრამ ეს ალბათობის მხოლოდ ერთი მომენტია, მის მეორე მომენტს წარმოადგენს ის, რომ ალბათობა არის შესაძლებლობის ხარისხი, რომელიც ემთხვევა განხორციელების ხარისხს, როგორც ამას აღნიშნავს ჩუბერი[2]. ალბათობა არის სინამდვილესთან შესაძლებლობის სიახლოვის ხარისხი. ალბათობა არის ის, რითაც შესაძლებლობა სინამდვილეს უკავშირდება. იგი მიზეზობრიობის ერთ მომენტს წარმოადგენს, რამდენადაც მიზეზი, როგორც აუცილებელი მისი მოქმედებისათვის, ამ მოქმედების — შედეგის შესაძლებლობის გარკვეულ ზომას შეიცავს, იმას, თუ რამდენად — როგორი სიდიდით, რა ზომით არის დამოკიდებული ერთი მოვლენა მის პირობებზე. ამიტომ ალბათობა მიზეზობრიობას კი არ უარყოფს, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ მას ემყარება, მის გარკვეულ მომენტს წარმოადგენს.

მაშასადამე, ალბათობა არის შესაძლებლობის ზომა, მისი განვითარებულობის ხარისხი, ძალა გახდეს სინამდვილედ, ანუ — აუ-

---

[1] ვ. ჯ ე მ ს ი, პრაგმატიზმი, 1910, რუს. გამოცემა, გვ. 174.

[2] E. C z u b e r Die philosophischen Grundlagen der Wahrscheinlichkeitsrechnung, 1923. S. 66.

ცილებლობასთან სიახლოვის ხარისხი[1]. უკეთ: ალბათობა არის აუ-ცილებლობის ის მომენტი, რომელიც წარმოადგენს რაიმეს შესაძლებლობის დაფუძნებადობის ხარისხს, არასაკმაო საფუძველს.

ალბათობა, ერთი მხრივ, არის შესაძლებლობის რაოდენობრივი მხარე. როდესაც სხვადასხვა შესაძლებლობას შორის არაა თვისობრივი განსხვავება, მაშინ შესაძლებლობების განსაზღვრა დაიყვანება ამ შესაძლებლობის საფუძვლების წმინდა რაოდენობრივ შეფარდებაზე რომელიმე ცალკეულ მომენტში (მაგალითად, მონეტი ღერბით თუ საფასურით დავარდნის შემთხვევაში). მათემატიკა სწორედ რაოდენობრივ მხარეს აქცევს ყურადღებას. ამიტომ მათემატიკური ალბათობა ალბათობის კერძო შემთხვევაა. მათემატიკური ალბათობა შეიძლება ასე განისაზღვროს: «вероятность p (A) события A равняется отношению числа возможных результатов испытания, благоприятствующих событию A, к числу всех возможных результатов испытания. Понятно, что такое определение предполагает, что отдельные возможные результаты испытания равновероятны».[2]

ალბათობის ეს განსაზღვრება არ არის ზუსტი, რადგან მის საფუძვლად ძევს გაურკვეველი ცნება „Равновероятность", რომელიც ფორმალურად განუზღვრადია (აღნიშნავს გნედენკო), რის ჩვენებაც შეიძლება მაგალითებზე (მაგ., კოჭის თამაშისას). ამ განსაზღვრებაში „Равновероятность" გამოყენებულია შესაძლებლობის საფუძვლის სიდიდის დასახასიათებლად. ალბათობა მათემატიკაშიც არაა წმინდა რიცხობრივი, რადგან ის განსაზღვრულია ობიექტის სპეციფიკით, მისი სტრუქტურით (მაგ., იმით, თუ სად აქვს კოჭს სიმძიმის ცენტრი, როგორია მისი გვერდები და სხვ.).

მართალია, მათემატიკა ყურადღებას აქცევს რაოდენობრივ მხარეს, მაგრამ მათემატიკური ალბათობა, როგორც გარკვეული რაოდენობა არ არის „წმინდა რაოდენობა", ის არის რაოდენობრივი მხარე თვისობრივი მომენტებისა, როგორიცაა, მაგალითად, შესაძლებლობის დაფუძნებადობა, მისი განვითარებულობა და სხვ. აქ.

---

[1] იხ. А. В. Смирнов, Категория вероятности. „Вопросы философии", 1958, № 12, стр. 82.

[2] Г. В. Гнеденко, Курс теории вероятностей, 1954, стр. 26.

აღნიშნული რაოდენობრივი მხარე დაკავშირებულია შესაძლებლობის თვისობრივ სპეციფიკასთან.

მათემატიკური ალბათობისაგან განსხვავდება ის ალბათობა, რომელიც დაკავშირებულია **განვითარების ტენდენციასთან**, როგორც შესაძლებლობასთან. აქ ალბათობა არის დაფუძნებადობა, განხორციელებადობა, რომელიც განვითარების კანონზომიერების მომენტს წარმოადგენს. გარკვეული აზრით, კანონი არის განვითარების ტენდენცია[1]. ეს კანონი აუცილებლობის კანონია და არა ალბათობის, რომელიც მის მხოლოდ მომენტს წარმოადგენს.

სხვაგვარია ალბათობის სტატისტიკური განსაზღვრება. სტატისტიკურ ალბათობას ადგილი აქვს მასიურ შემთხვევით მოვლენებში, სადაც ეს მოვლენები არსებითი ნიშნებით ერთნაირი უნდა იყვნენ (მაგ., გაზის მოლეკულები, ელექტრონები, ფოტონები). შეიძლება მათ შემთხვევითი ნიშნებიც იგივეობრივი ჰქონდეთ. თუ მასიური მოვლენა არსებობს უცვლელ პირობებში, მაშინ სიხშირე მერყეობს რაიმე მუდმივი სიდიდის ირგვლივ. ეს მუდმივი სიდიდე განიხილება როგორც შემთხვევით ნიშანთა (ანუ მოცემული სახის მოვლენათა) ალბათობა. ალბათობა გამოხატავს სტატისტიკურ წესრიგს, კანონზომიერებას. ალბათობაში ფიქსირდება რიცხობრივი წესრიგი, გარკვეულობა. სტატისტიკური ალბათობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთი „სახის" განხორციელებულ შესაძლებლობათა რიცხვის შეფარდება შესაძლებლობათა საერთო რიცხვისადმი. სტატისტიკური ალბათობა არის შესაძლებლობათა შეფარდებითი განხორციელებადობის მაჩვენებელი, მაშინ როცა ზოგადი აზრით აღებული ალბათობა არის შესაძლებლობის განხორციელების მაჩვენებელი. როგორც სტატისტიკური, ისე საერთოდ ალბათობა სპეციფიკურ ფორმაში ასახავს ცალკეულ შემთხვევით ანუ შესაძლებელ მოვლენებსა და მათ წარმოშობ პირობებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს. ალბათობა გამოხატავს რაიმეს შეფარდებით დაფუძნებადობას, შეფარდებით გაპირობებულობას. ალბათობა იმის მაჩვენებელია, თუ რამდენადაა ახლოს აუცილებლობასთან **ის, რაც შემთხვევითია.**

ალბათობა უფრო სრული და მკაცრი სახით არის წარმოდგენილი აქსიომატურ თეორიებში, მაგალითად, კოლმოგოროვის თეორიაში, სადაც ალბათობა გაგებულია, როგორც ადიტიური არა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1959, გვ. 204.

უარყოფითი ზომა სიმრავლისა, რომლის ელემენტებსაც, არსებითად, წარმოადგენენ რაიმე ხდომილობასთან დაკავშირებული შესაძლებელი დასახელება. კოლმოგოროვის აზრით, ალბათობა არის შესაძლებლობის ზომა, ამიტომ ის ახლოს დგას ალბათობის ზოგად ფილოსოფიურ გაგებასთან.

თანამედროვე მეცნიერება ცდილობს ალბათობა, როგორც შესაძლებლობათა რაოდენობრივი მხარე, დააკავშიროს თვისობრივ თავისებურებებთან, შინაგან კანონზომიერებასთან, მოვლენის „სტრუქტურასთან", და ამ კავშირის კონსტატაციიდან გადავიდეს მისი ბუნების ახსნაზე. ამ მხრივ საინტერესოა „ნებისმიერ ფუნქციათა მეთოდი", რომელიც ემყარება იმ აზრს, რომ არსებობს ობიექტის შინაგანი სპეციფიკის და ამ ობიექტის კუთვნილ ალბათობათა კანონზომიერი კავშირი[1].

ერთი სიტყვით, ალბათობა აუცილებელი კავშირის დაქვემდებარებული, შეიძლება ითქვას, თვით ამ კავშირის ერთ-ერთი მომენტია. აუცილებლობა, კანონი არის ტენდენცია, სახელდობრ, გაბატონებული ტენდენცია მრავალფეროვანი მოვლენებისა; ეს არის მუდმივ რყევათა ერთგვარი საშუალო, რომელიც არასოდეს არ დაიყვანება მოვლენებზე; კანონი შინაგანი, არსებითი აუცილებელი კავშირია, რომელიც მოვლენის ზედაპირზე არასოდეს არ ჩანს[2]. ალბათობა არის ასეთი კანონის, გაბატონებული ტენდენციის, აუცილებლობის მოვლენებთან ერთიანობის ერთი მომენტი.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ ინდუქცია ობიექტურ ალბათობას ემყარება, მაშინ ის წინასწარ აუცილებლობით უნდა გულისხმობდეს აუცილებლობას, ზოგად კანონს, ზოგადობას, რომლის შესაძლებლობასაც, ცხადია, სრულიად გარკვეული ზომა ექნება. ერთეულთა, კერძოთა ბუნება აუცილებლობით გულისხმობს ზოგადს. კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა უნდა იყოს ინდუქციური ალბათობის განმსაზღვრელი.

მათემატიკურ ალბათობას და ფილოსოფიურ ალბათობას აქვს საერთო, სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან ორივეგან, მართა-

---

[1] **А. Я. Хинчин, Метод произвольных функций и борьба против идеализма в теории вероятностей. Сборник „Философские вопросы современной физики," 1952.**

[2] **კ. მარქსი, კაპიტალი, III, I, გვ. 204 და სხვ.**

ლია, სხვადასხვნაირად, მაგრამ მაინც ერთი კატეგორია მოქმედებს. ალბათობის ზოგადი ცნება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ისე როგორც ყოველი ფილოსოფიური კატეგორია (მაგალითად, აუცილებლობის კატეგორია) სინამდვილის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ვლინდება, მაგრამ, როგორც კატეგორია, ერთია.

ალბათობის ცნება ერთ-ერთი ძირითადი ცნებათაგანია არა მარტო მათემატიკაში (მათემატიკური მეცნიერება „ალბათობის თეორია"), იგი ძირითადია ბევრ თანამედროვე ლოგიკურ თეორიასა და გნოსეოლოგიურ თეორიებში. ზოგიერთის აზრით (რაიხენბახი), ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგიკა, ეს არის ალბათობის ლოგიკა.

რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ალბათობას ლოგიკაში? ლოგიკაში, ცხადია, ლაპარაკია, არა ალბათობაზე, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეში, მაგალითად, მასიურ შემთხვევებში-მოვლენებში, სტატისტიკურ ალბათობაში, არამედ—აზრის ალბათობაზე. ამბობენ, რომ აზრთა დასაბუთების დროს დასაბუთებადობას — დაფუძნებადობას აქვს ხარისხი. ალბათობა ლოგიკაში იხმარება რაიმე აზრის ლოგიკური დაფუძნების დასახასიათებლად. ლოგიკური ალბათობა შესაძლებელი აზრის დასაბუთებას ახასიათებს. რომელიმე აზრი ალბათურია მაშინ, თუ მას აქვს ისეთი ლოგიკური საფუძველი, რომელიც გამოდგება საფუძვლად, აგრეთვე, სხვა, საპირისპირო—თუ საწინააღმდეგო აზრისთვისაც. ალბათობა აღნიშნავს „არასაკმაო", არასრულ ლოგიკურ დაფუძნებას, იგი უცილობლობას, აუცილებლობას უპირისპირდება. რაიმე აზრის უცილობლობა იმას ნიშნავს, რომ მისი ლოგიკური საფუძველი არ არის, ამავე დროს, საპირისპირო აზრის საფუძველი. უცილობლობა „სრულ" დაფუძნებადობას ნიშნავს. ამბობენ, რომ ალბათობისა და უცილობლობის ეს დაპირისპირება მათ შორის საერთოს არ გამორიცხავს; ალბათობასა და უცილობლობას შორის საერთო ისაა, რომ ისინი ერთი და იგივე დაფუძნებადობის დაბალ და მაღალ საფეხურებს წარმოადგენენ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ყოველ ალბათურ დასკვნაში არის უცილობლობის მომენტი[1]. არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ისეთი ალბათობა, როგორიცაა მათემატიკური ალბათობა, დაიყვანება სილოგიზმზე, სახელდობრ გაყოფით სილოგიზ-

---

[1] **М. И. Каринский, Классификация выводов, 1880, стр. 123.**

მზე (ზიგვარტი, ლანგე). ერთი სიტყვით, ზოგიერთს ლოგიკური აუ-
ცილებლობა ალბათობაზე დაყავს, ზოგიერთს — პირიქით, ზოგი
კი ორივეს იცავს, განსხვავებას კი ხარისხში ხედავს, და სხვ. ეს ნი-
შნავს იმას, რომ პრობლემა პრობლემად რჩება.

თუ ალბათობა იმას ნიშნავს, რომ რომელიმე აზრის საფუძველი
შეიძლება იყოს საწინააღმდეგო აზრის საფუძველიც, მაშინ ასეთი
საფუძველი არასკმაო საფუძველი იქნება. როგორც ცნობილია,
ფორმალურ ლოგიკაში არსებობს საკმაო საფუძვლის კანონი, აღ-
მოჩენილი ლაიბნიცის მიერ. ლოგიკაში ჩვეულებრივად მიღებულია
აზრი, რომ თუ აზრს არ აქვს საკმაო საფუძველი, მაშინ ის არ არის
ლოგიკურად გამართლებული, დასაბუთებული. არასაკმაო საფუ-
ძვლის არსებობა აზრის ლოგიკურ გაუმართლებლობას, დაუსაბუ-
თებლობას ნიშნავს. თუ მხედველობაში მივიღებთ რეალურ საფუ-
ძველს, მაშინ რაიმეს არასაკმაო საფუძველი იმას ნიშნავს, რომ ამ
რაიმეს არსებობა ნამდვილად არ შეუძლია, ის შეიძლება არსებობ-
დეს და შეიძლება არა. თუ რაიმე აზრის არასაკმაო საფუძველს სა-
კმაოდ მივიჩნევთ, მაშინ ადგილი ექნება სოფისტიკას. არასაკმაო
საფუძვლით ყველაფრის გამართლება შეიძლება, რაც ნამდვილად
არაფრის გამართლებას ნიშნავს; არასაკმაო საფუძვლით ყველაფრის
გამართლება არაფრის გამართლება არაა. ამიტომ ამბობდა ჰეგელი[1]
და შემდეგ მარქსი[2], რომ ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, სა-
კმაო საფუძვლის გამო წახდა; ეს, მართლაც, ასეა, რამდენადაც
საკმო საფუძვლად არის ჩათვლილი ის, რაც არ არის ასეთი, —
საფუძვლის მცდარი გაგების გამო, სახელდობრ,საფუძვლის აბსტრა-
ქტული და ფორმალური გაგების გამო. ჰეგელი იმასაც აღნიშნავ-
და, და სრულიად სამართლიანად, რომ საფუძვლის მიმართ სიტყვა
„საკმაო"-ს ხმარება ზედმეტია, რადგან თუ საფუძველი მართლაც
საფუძველია, მაშინ ის, ცხადია, საკმაოა; თუ საფუძველი არაა სა-
კმაო, მაშინ ის არცაა საფუძველი. ამ აზრით, ალბათური აზრის
საფუძველი საფუძვლად არ ჩაითვლება და ალბათური ლოგიკა, რო-
გორც ლოგიკა (როგორც ფილოსოფიური მეცნიერება), უარყოფილ
უნდა იქნეს.

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, „ენციკლოპედია", ნაწ. I, ლოგიკა, § 121, დანართი, Bolland, S. 167.

[2]. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I ტ., გვ. 332.

აზრი იმის შესახებ, რომ ალბათური აზრის საფუძველი ისეთი საფუძველია, რომელიც საწინააღმდეგო აზრის საფუძვლადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული, გაურკვევლობას შეიცავს. ეს გაურკვევლობა ისაა, რომ ასეთი საფუძველი შეიძლება ორნაირად იქნეს წარმოდგენილი: 1) რაიმეთი **შეიძლება** ვამართლებდეთ ერთ აზრსაც და მის საპირისპიროსაც ,2) ეს საფუძველი **ნამდვილად** ამართლებს ორს-ერთიმეორისადმი საპირისპირო-საწინააღმდეგო აზრებს. პირველ შემთხვევაში სოფისტიკასთან გვექნება საქმე, მეორე შემთხვევაში კი დიალექტიკასთან—დაპირისპირებულთა ერთიანობასთან. არც ერთ ამ შემთხვევაში არ შეიძლება განუსაზღვრელად ბატონობდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. მეორე შემთხვევაში, ცხადია, ადგილი აქვს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს. პირველ შემთხვევაში კი გაურკვეველია, თუ რომელი ამ კანონთაგანი უნდა ბატონობდეს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებლობის ცნება შეუძლებლობის აზრსაც შეიცავს, რადგან შესაძლებლობა, ერთი მხრივ, შესაძლებლობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებლობასაც წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შესაძლებლობა კი არა, სინამდვილე იქნებოდა. შესაძლებლობა თვითონ არის წინააღმდეგობრივი ბუნების, მაგრამ ნამდვილად ის არის ერთგვარი გაურკვევლობა, რომლის გარკვევა ამ წინააღმდეგობის დაძლევა იქნებოდა. წინააღმდეგობის ეს „დაძლევა" შეიძლება ორნაირად განხორციელდეს: წინააღმდეგობის ერთი მხარის მოხსნით და მეორის დატოვებით, ანდა წინააღმდეგობრიობისათვის მისი გამამართლებელი ერთიანი საფუძვლის მონახვით. ეს უკანასკნელი დიალექტიკას წარმოადგენს, პირველ შემთხვევაში კი წინააღმდეგობის შეუძლებლობაა **გაბატონებული. ალბათობის** დაძლევა ორივე შემთხვევაში ხდება, მაგრამ სხვადასხვანაირად: 1) ერთ შემთხვევაში შესაძლებელი იქცევა სინამდვილედ, ე. ი. უქმდება ალბათობა; 2) მეორე შემთხვევაშიც უქმდება ალბათობა, მაგრამ არა წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარის დატოვებით, არამედ ორივე მხარის ნამდვილი საფუძვლის დადგენით. ეს საფუძველი წინააღმდეგობას კი არ აუქმებს, არამედ ამართლებს; რადგან აქ წინააღმდეგობა რჩება, ამიტომ ეს სინამდვილე შესაძლებლობასაც შეიცავს, ე. ი. ალბათობა აუცილებლობის მომენტად რჩება; — მით უმეტეს, რომ წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარე ცალმხრიობაა

და, როგორც ასეთი, საწინააღმდეგო ცალმხრიობით განისაზღვრება. რაიმე არის ეს და არა საწინააღმდეგო სწორედ ამ საწინააღმდეგოს გამო. ამიტომ სრული აუცილებლობა დაპირისპირებულთა ერთიანობის აუცილებლობაა (როგორც ეს უსასრულო დასკვნის ბუნების გარკვევის დროს გახდა ნათელი).

ალბათობა იმას ნიშნავს, რომ: 1) რაიმე ასეც იყოს და შეიძლება არც იყოს ასე, 2)რაიმე აზრი შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც; პირველ შემთხვევაში არ გვაქვს რაიმეს არსებობა, არამედ მისი მხოლოდ შესაძლებლობა. მეორე შემთხვევაში კი სრული გაურკვევლობაა. ერთ შემთხვევაში არსებობაა გაურკვეველი, მეორე შემთხვევაში კი — ჭეშმარიტება. იქნებოდა უკიდურესი სოფისტობის დაშვება, რომ გვეთქვა: ეს გაურკვევლობა, რამდენადაც ის გარკვეულობისგან განსხვავდება, გარკვეულობას წარმოადგენს; ამაზე მეტი გაურკვევლობა და აღრევა შეუძლებელიც კია. ამიტომ აუცილებელია დაძლეულ იქნეს ეს გაურკვევლობა, დაძლეულ იქნეს ალბათობა. ეს დაძლევა, როგორც ახლახან ითქვა, ხდება დიალექტიკაში, დაპირისპირებულთა ერთიანობაში, რომლის ერთ მომენტსაც შესაძლებლობის და სინამდვილის ცალმხრიობისათვის დამახასიათებელი ან-ან-ი წარმოადგენს.

დიალექტიკის თეორიაში ცნობილია, რომ დადებითი დიალექტიკის ერთ მომენტს უარყოფით-დიალექტიკური წარმოადგენს. ეს მომენტი ის არის, რომ ცალმხრიობა, განვითარებული უკიდურესობამდე გადადის თავის საწინააღმდეგოში, ანუ სხვანაირად, ცალმხრიობებისათვის აუცილებელია მეორე ცალმხრიობა, თუკი ეს ცალმხრიობები წინააღმდეგობას ჰქმნიან. მაგალითად, სასრულისათვის აუცილებელია უსასრულო და პირიქით, კერძოსათვის — ზოგადი და პირიქით. თუკი შეიძლება არსებობდეს ალბათური ლოგიკურში, ეს უნდა იყოს ის მომენტი დიალექტიკურ — ლოგიკურისა, რომელშიც რაიმე შეიძლება საწინააღმდეგოც იყოს. როცა რაიმე არის ეს და მისი საწინააღმდეგოც, მაშინ ცხადია, რაიმე შეიძლება საწინააღმდეგოც იყოს. „ალბათური" შეიძლება იყოს უარყოფითი დიალექტიკის ერთი მომენტი. მაგრამ არც ამ მომენტს და არც უარყოფით დიალექტიკას არ აქვს აზრი, ანუ უკეთ, ის შეცდომას წარმოადგენს დადებითი დიალექტიკის, წინააღმდეგობის ერთიანობის გარეშე, რომლის მომენტიც ისაა. უარყოფით დიალე-

ქტიკას (და მის ყოველ მომენტს თუ მხარეს) აზრი აქვს მხოლოდ დადებით დიალექტიკაში და მის გამო. ამიტომ „ალბათური“ ლოგიკურში უნდა მოიხსნას დიალექტიკურით. არ შეიძლება არსებობდეს თავისთავად „ალბათურ-ლოგიკური“. ეს გასაგებიცაა, რადგან ლოგიკური იგივე ლოგიკური აუცილებლობაა, რომლის „ოდნავი“ დარღვევაც კი მას სრულიად აუქმებს. არსებობს დიალექტიურ ლოგიკური, რომლის ერთ მხარესაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს, რადგან წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი მხარე არის ის, რომელსაც ფორმალურ-ლოგიკური ეყრდნობა, დიალექტიკურ-ლოგიკური კი დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ფორმალურ-ლოგიკურად აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია, დიალექტიკურ-ლოგიკურში კი აუცილებლობა სისრულით მეღავნდება რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში[1]. ამიტომ უნდა ითქვას, რომ თავისთავადი „ალბათურ-ლოგიკური“ შეუძლებელია; ის ლოგიკური აუცილებლობის დარღვევა იქნებოდა.

არ შეიძლება არსებობდეს ლოგიკურ აუცილებლობაზე ნაკლები კიდევ რაღაც აუცილებლობა, შესუსტებული აუცილებლობა, მით უმეტეს: თუ ის დარღვეულია, შეუძლებელია აუცილებლობა იყოს. ამიტომ მცდარი უნდა იყოს რასელის აზრი, თითქოს ალბათური და ზუსტი ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ ხარისხით და არა გვარით[2]. რასელის ეს დებულება მცდარია ლოგიკური თვალსაზრისით, რადგან ლოგიკური აუცილებლობა, ამ აზრით, ლოგიკური სიზუსტე ერთადერთია, არ შეიძლება ლოგიკური აუცილებლობა ალბათური იყოს: ლოგიკური იგივე ლოგიკური აუცილებლობაა, ალბათური კი სწორედ არაუცილებელს ჰქვია და არა მის რაღაც დაბალ ხარისხს.

ალბათურის, როგორც თითქოს ლოგიკურის დაბალი ხარისხის, წინააღმდეგ ლაპარაკობს, თვითონ ალბათობა. თუ ალბათური, ეს არის ლოგიკური აუცილებლობის დაბალი ხარისხი, მაშინ თვითონ ლოგიკური აუცილებლობა იქნება ალბათობის მაღალი ხარისხი, ე. ი. დაგვრჩება მხოლოდ ალბათობა (სხვადასხვა ხარისხის);

---

[1] ფორმალური ლოგიკა წინააღმდეგობის უარყოფით ალბათურს აუხსნელად ტოვებს.

[2] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 511.

ალბათობა გაგებული იქნება აბსოლუტურად, თითქოს ლოგიკურში ყველაფერი ალბათურია. ეს აზრი კი თავის თავს ეწინააღმდეგება, როგორც ეს ცნობილია ფილოსოფიის ისტორიაში ძველი დროიდანვე, ახალ დროში კი ეს აზრი უფრო მკვეთრად ჩამოყალიბდა, სახელდობრ, იგი ჩამოყალიბდა ანტიფსიქოლოგისტურ გაგებაში, მაგალითად, ჰუსერლთან. თუ წამოვაყენებთ დებულებას, რომ ყოველგვარი ცოდნა მხოლოდ ალბათურია, მაშინ თვითონ ეს დებულებაც ალბათური იქნებოდა და უნდა გამოგვეთქვა დებულება, რომ ალბათურია დებულება, რომ ყველაფერი ალბათურია და ა. შ. უსასრულოდ[1], მივიღებდით უაზრობას, უკიდურეს პრობაბილიზმს. ეს ითქმის არა მხოლოდ ცოდნის ალბათობის აღიარებისას, არამედ მაშინაც, თუ საერთოდ ლოგიკური დაყვანილ იქნა ალბათობაზე. იმის თქმა, რომ საერთოდ ლოგიკური აუცილებლობა ალბათურია (ალბათობის მაღალი ხარისხიც ხომ ალბათური იქნება), იმას მოითხოვს, რომ ამ დებულების აუცილებლობაც ალბათურად ჩავთვალოთ, ე. ი. აუცილებლობა უარვყოთ და მივიღოთ მხოლოდ ალბათობა, ე. ი. ალბათობა აბსოლუტური აზრით ავიღოთ. ეს კი გამოუვალი წინააღმდეგობაა: აბსოლუტური გამორიცხავს ალბათურს და პირიქით.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ალბათობის უმაღლესი ხარისხი უკვე აუცილებლობაა და არა ალბათობა, რადგან ხარისხობრივი განსხვავება რაოდენობრივი განსხვავებაა და არა არსებითი. ლოგიკურად აუცილებელი, როგორც სწორი, არ შეიძლება ალბათობის უმაღლესი ხარისხი იყოს. უმდაბლესი და უმაღლესი ხარისხი არ შეიძლება ერთიმეორისგან არსებითად განსხვავდებოდეს. ეს ასე ითქმის არა საერთოდ, არამედ სწორედ ლოგიკური აუცილებლობის თვალსაზრისით. ამიტომ, წინააღმდეგ რასელის ზემოთ მოყვანილი აზრისა, ლოგიკური აუცილებლობა ალბათობისგან გვარით განსხვავდება და არა ხარისხით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ლოგიკური ალბათობა, რომ ლოგიკურ აუცილებლობას არ აქვს ხარისხი, არ შეიძლება ლოგიკურის რაოდენობრივი განსხვავება, ლოგიკურს არ აქვს სიდიდე.

---

[1] E. Husserl, Logische Untersuchungen, I Bd., 1922, S. 65: „...Auch die Behauptung, dass alles Wissen ein bloss Wahrscheinliches sei, wäre nur wahrscheinlich gültig; diese neue Behauptung abermals und so in infinitum.

ალბათობას, ხშირად, კატეგორიად მიიჩნევენ. თუ ალბათობა კატეგორიაა, მაშინ იგი, ამ მხრივ, უკვე აღარ არის ალბათური. შეუძლებელია ალბათობის კატეგორია იყოს ალბათური. ყოველი კატეგორია აუცილებლობის ბუნებისაა და არა ალბათობის. ერთი სიტყვით, ალბათობა ექვემდებარება კატეგორიალურ აუცილებლობას და არავითარ შემთხვევაში პირიქით.

შეუძლებელია დავუშვათ, რომ ალბათობის აუცილებლობაზე დაქვემდებარება, ეს იმას ნიშნავს, რომ ალბათობა არის ლოგიკური აუცილებლობის დაბალი ხარისხი, რომ არსებობს არა ალბათობის ხარისხი, არამედ ლოგიკური აუცილებლობის ხარისხები, არსებობს მხოლოდ დაბალი და მაღალი ხარისხის ლოგიკური აუცილებლობა და არა ალბათობის დაბალი და მაღალი ხარისხი. ეს აზრი არ უნდა იყოს მართებული, რადგან ლოგიკური აუცილებლობის დაბალი და მაღალი ხარისხის აღიარება და ალბათობის ხარისხების აღიარება ერთი და იგივეა. თუ ლოგიკური აუცილებლობა რაოდენობრივი ხარისხების მქონეა, მაშინ დაბალი ხარისხი იქნება ალბათობა, მაღალი ხარისხი კი — ალბათობის მაღალი ხარისხი და დაიკარგება ლოგიკური აუცილებლობა როგორც მართლაც აუცილებლობა.

საკითხავია, ხომ არ ეწინააღმდეგება აქ გამოთქმული აზრი იმას, რასაც ხშირად ვიმეორებდით ამ (და სხვა) შრომაში ლოგიკური აუცილებლობის სრული და არასრული ან უპირობო და პირობითი კავშირების განსხვავების შესახებ? სრული და არასრული ლოგიკური აუცილებლობა ხარისხით, რაოდენობრივად კი არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, არამედ გამოვლენის, განხორციელების ფორმით. ლოგიკური აუცილებლობა როგორ და რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი, ერთი და იგივეა. თუ ლოგიკური აუცილებლობა გამოვლინდება იქ, სადაც ბატონობს პრინციპი „თუ არის A, მაშინ არის B“, მაშინ ასე გამოვლენილი აუცილებლობა მაინც აუცილებლობა იქნება, მაგრამ ეს იქნება პირობითი ფორმით განხორციელებული ის აუცილებლობა, რომელიც თავისთავად ლოგიკურად უპირობო აუცილებლობაა, რაც მთელი „სისრულით“ უსასრულო დასკვნაშია განხორციელებული; რაიმეს დასაბუთება ამ რაიმეს უარყოფით უნაკლოდ ავლენს ლოგიკურ აუცილებლობას, რომელიც სხვადასხვანაირად „მოჩანს“ ფორმალური ლოგიკის პირობით და-

სკვნებში, მსჯელობაში და ა. შ. თვითონ ლოგიკურ აუცილებლობაში არ არის რაოდენობრივი — მეტ-ნაკლებობის განსხვავება: „სისრულე“ და „არასისრულე“ ნაკლოვან და არანაკლოვან მოვლენას ეხება. ნაკლოვანება ხომ ყოველთვის რაოდენობრივი ხასიათის არაა? მსჯელობა დასკვნის ერთი მხარეა, დასკვნის, როგორც ერთიანი აზრის, ერთმხრიობაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მათში განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობის ბუნება იყოს რაოდენობრივად სხვადასხვა, არა, აქ არის ერთი აუცილებლობა და მისი ცალმხრივი „გამოჩენა“, გამოვლინება თუ განხორციელება.

დაუსაბუთებელი, ნაკლებად დასაბუთებული და სრულად დასაბუთებული დებულებები იმით კი არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რომ მათში ლოგიკური აუცილებლობა სხვადასხვა ხარისხისაა, არამედ იმით, რომ ერთი და იგივე ლოგიკური აუცილებლობა ერთგან არ არის განხორციელებული და უნდა განხორციელდეს — ე. ი. შესრულდეს დასაბუთება, მეორეგან კი არასრულად წარმოდგება იგივე აუცილებლობა, რაც მესამე შემთხვევაში უკვე არსებობს თავისი ბუნების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტიკური ლოგიკის შექმნამდე და დღესაც ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის „სრული“ ლოგიკური აუცილებლობა, რადგან იგი მის მხოლოდ ერთ მხარეს ამჩნევს (უპირობო პირობითში შეიძლება არსებობდეს). არადიალექტიკურმა ლოგიკამ არ იცის უპირობო, უსასრულო ლოგიკური, ისე როგორც შან არ იცის შინაარსეული ზოგადობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობა. საუკუნეების განმავლობაში დავა უნივერსალიების შესახებ იმას შეეხებოდა, თუ სად არსებობს ზოგადი, არსებობს იგი ერთეულებისაგან დამოუკიდებლად, ცნების სახით, სიტყვის სახით, თუ საერთოდ არსად; საკითხი ეხებოდა ზოგადის უფრო ადგილსამყოფელს, ვიდრე თვითონ ზოგადის ბუნებას. აქ ჩამოთვლილ „ადგილებზე“ არსებული ზოგადი ყოველთვის არის კერძო, არაზოგადი, რადგან ზოგადი არ შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებულ „ადგილზე“: ან კერძოებს გარეთ, ან მხოლოდ ცნებაში, ან მხოლოდ სიტყვაში და ა. შ., არა, ის უნდა იყოს ყველგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ზოგადი არ იქნებოდა. ზოგადობა ყველგან ხორციელდება, ის ყველა კერძოშია და არა მხოლოდ რომელიმეში. ასეა ლოგიკური აუცილებლობაც, მით უმეტეს, რომ სრულად განხორციელ-

ებული ლოგიკური აუცილებლობა იმ ზოგადობის აუცილებლობაა, რომელიც ერთმხრიობების ერთიანობას, სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობას, როგორც გარკვეულ ლოგიკურ უსასრულობას წარმოადგენს.

შეიძლება აზრის დასაბუთებამდე არ ვიყოთ მისული, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ დაბალი ხარისხი გვაქვს ლოგიკური აუცილებლობისა, არამედ იმას, რომ ასეთი აუცილებლობა ჯერჯერობით სრულიადაც არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ისეთი შემეცნებითი, რომელიც არ ასულა ლოგიკურ აუცილებლობამდე. არასაკმაო საფუძველი, როგორც შესაძლებლობა, სრულიადაც არ არის საფუძველი, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობას განახორციელებს. ამიტომ იყო, რომ არისტოტელე არ თვლიდა ინდუქციას ლოგიკური დასაბუთების მეთოდად. მისი აზრით, ინდუქციური „დასკვნის" წანამძღვრები, რამდენიმე კერძო-ერთეული მსჯელობები არ წარმოადგენენ საკმაო საფუძველს ზოგადი დანასკვისათვის. ამიტომ ინდუქცია კვლევა-ძიების მეთოდად იყო მასთან მიჩნეული და არა დასაბუთების მეთოდად, რასაც მხოლოდ დედუქცია წარმოადგენდა, სწორედ იმის გამო, რომ მასში (დედუქციაში) იყო ლოგიკური აუცილებლობა განხორციელებული.

არსებობს ერთი ლოგიკური, ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომელიც უსასრულო დასკვნაშია წარმოდგენილი. ფორმალურ-ლოგიკური მისი ერთი მხარეა და არა მთელი ლოგიკური. ალბათურ-ლოგიკური კი შეუძლებელია. თუ ეს ასეა, მაშინ რას წარმოადგენს ის ალბათური, რომელსაც ინდუქციაში აქვს ადგილი? როდესაც ინდუქციურ დასკვნას ალბათურ დასკვნად მიიჩნევენ, მაშინ სწორედ იმას გამოთქვამენ, რომ იქ არ არის განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა, ინდუქციური „დასკვნის" დანასკვისათვის წანამძღვრების არასაკმარისობის გამო. ინდუქციური დასკვნის ალბათობა მიუთითებს იმას, რომ ინდუქციური „დასკვნა" არ არის მართლაც დასკვნა, რადგან არ არის განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა, მაშინ როცა ასეთი რამ აუცილებელია მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. ინდუქციის ალბათობა მიუთითებს იმას, რომ ფორმალურ-ლოგიკური არის ნაკლოვანი ლოგიკური, რის დაძლევისათვის საჭიროა აღდგეს ფორმალური ლოგიკის მიერ დარღვეული ბუნებრივი ერთიანობა ინდუქციისა დედუქციასთან, რისთვისაც,

საჭიროა ის, რომ ჩვეულებრივი ინდუქციის ადგილზე აღმოჩნდეს თუ გაირკვეს ლოგიკური აუცილებელი კავშირი კერძოსი ზოგადთან, რაც, როგორც ამას ზემოთ რამდენჯერმე მივუთითეთ, შინაარსეული კერძოს შინაარსეულ ზოგადთან კავშირის და საერთოდ კერძოსა და ზოგადის კატეგორიების კავშირის აღმოჩენით განხორციელდება.

4. ალბათობა დამახასიათებელია იმ შემეცნებითობისათვის, რომელსაც ადგილი აქვს ინდუქციაში, სადაც კერძოთა ცოდნის საფუძველზე უნდა მოხდეს გადასვლა ზოგადზე. ამ ალბათობის ადგილზე უნდა მოთავსდეს ლოგიკურის რაღაც მომენტი, რომელიც უზრუნველყოფს კერძოდან ზოგადზე გადასვლას, და სადაც განხოციელდება კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა. ამ აზრით „ალბათური" უნდა იყოს ლოგიკურის გარკვეული მომენტი, სახელდობრ, ის მომენტი, რომელიც, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მონაწილეობს უარყოფით დიალექტიკაში; ანუ უკეთ, რომელსაც ადგილი აქვს დიალექტიკის იმ მომენტში, რასაც საპირისპიროს — საწინააღმდეგოს აუცილებლობა ეწოდება. „ალბათობის" შემცველი ლოგიკური მომენტი, თავისთავად, ე. ი. თუ ის აღებულ იქნა ცალკე, შეცდომას წარმოადგენს, სახელდობრ, იმ შეცდომას, რომელიც ლოგიკური სკეპტიციზმისათვის თუ საერთოდ სოფისტიკისათვის არის დამახასიათებელი; სოფისტიკა ხომ არასაკმაო საფუძვლის საკმაოდ მიჩნევაშია. მხოლოდ წინააღმდეგობის აღიარება შეცდომაა. რაიმეს საფუძველი არ შეიძლება საწინააღმდეგოს საფუძველიც იყოს, თუ არ არსებობს მათი აუცილებელი ერთიანობა.

თუ შემეცნებაში, სახელდობრ, ინდუქციაში, როგორც კვლევა-ძიების მეთოდში, ადგილი აქვს ალბათობას, იგი უნდა მოიხსნას ინდუქციაში, რომელიც არა მარტო შემეცნების, არამედ, ამავე დროს, ლოგიკური მეთოდიც იქნება. ინდუქციისათვის, ინდუქციური დასკვნისათვის დამახასიათებელი ალბათობა უნდა მოიხსნას იმ აუცილებლობის გამომჟღავნებით, რომელიც კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობას წარმოადგენს; ეს არის აუცილებლობა, რომელიც კატეგორიების, კერძოდ, კერძოსა და ზოგადის კატეგორიების კავშირში ხორციელდება. როგორც ზემოთ გაირკვა, ინდუქციისა და დედუქციის საფუძველს კერძოსა და ზოგადის დიალექტიკურ-ლოგიკური ერთიანობის აუცილებლობა წარმოადგენს.

ინდუქციის, როგორც ლოგიკური მეთოდის, გამართლება, ეს ამაკე დროს იქნება კვლევა-ძიების ანუ შემეცნების მეთოდის ლო-

გიკურ მეთოდზე დამთხვევა; ეს იქნება ლოგიკური დალაგება-გადმოცემის წესის და კვლევა-ძიების წესის დამთხვევის ერთ-ერთი აუცილებელი მომენტი. ლოგიკა და შემეცნების ლოგიკა ერთიმეორეს ემთხვევა. ჩვენი შრომის ეს თავიც ხომ ამ გარემოების გარკვევას ისახავს მიზნად.

კატეგორიების კავშირის, სახელდობრ, იმ კავშირის თვალსაზრისით, რომელიც ინდუქცია-დედუქციის ლოგიკურ საფუძველს და აუცილებელ შინაარსს წარმოადგენს, სახელდობრ კერძოსა (ცალკეულის) და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობის თვალსაზრისით, სრულად და, მაშასადამე, სწორად გაგებული ინდუქცია, ისე როგორც დედუქციაც (ასევე რედუქციაც) საპირისპირო-საწინააღმდეგოში (ეს ორი ცნება ერთი და იგივეა კატეგორიების სფეროში, როგორც ეს ჩვენ სხვა შრომაში გვაქვს შედარებით სრულად დასაბუთებული) გადასვლის მეთოდებს წარმოადგენენ. კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია. კერძოდან ზოგადზე გადასვლა, რომელიც ინდუქციის შინაარსს წარმოადგენს, არის საპირისპიროში გადასვლა; ასე ითქმის დედუქციის, როგორც ზოგადიდან კერძოს გამოყვანაზეც, — ზოგადიდან კერძოზე აუცილებელი გადასვლის, როგორც მართლაც საპირისპიროში აუცილებელი გადასვლის შესახებაც.

თუ ინდუქცია არის კერძოდან მის საპირისპიროში გადასვლა და დედუქცია კი ამ გადასვლის შებრუნებულ გზას წარმოადგენს, მაშინ ცხადია, რომ ამ ორი გზის საფუძველს წარმოადგენს ერთი გარკვეული აუცილებელი კავშირი; ანუ უკეთ აქ ჩვენ გვაქვს ერთი გზა ორი — ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით; სხვანაირად: აქ ადგილი აქვს დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომლის მომენტებსაც ინდუქცია და დედუქცია წარმოადგენენ. ეს ერთიანი მეთოდი, გზა თუ წესი არის სწორედ აზროვნების დიალექტიკური წესი, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის ლოგიკური დალაგება გადმოცემის წესიც და კვლევა-ძიების (შემეცნების) წესიც, ეს, მართლაც, ასეა, რამდენადაც კვლევა-ძიების წესში მოქმედი ანალიზი, ასე ვთქვათ, მოხსნილი და შენახულია ლოგიკური დალაგების წესში, სადაც ანალიზის საშუალებით აუცილებელი სინთეზის განხორციელებასთან გვაქვს საქმე.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, კ. მარქსის აზრით, „კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი

განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი"[1]. სწორედ ანალიზი მოქმედებს ლოგიკური გადმოცემის დროსაც. მარქსი საქონლის ანალიზით აღმოაჩენს აუცილებელ კავშირს ფულთან, ფულის ანალიზით — კაპიტალთან. ეს კავშირები განხორციელებულია აუცილებელი გადასვლების სახით. ანალოგიურად ხორციელდება გადასვლები ჰეგელის ლოგიკაშიც.

თუ დედუქცია გაგებული არ იქნება როგორც წმინდა ტავტოლოგიური, თუ ის სინთეზური ბუნებისაა, მაშინ ისეთი „ალბათური" მომენტი, რომელსაც ადგილი აქვს ინდუქციაში, აუცილებელი მომენტი იქნება დედუქციისათვისაც, რადგან აქაც ხომ საწინააღმდეგოში გადასვლას აქვს ადგილი. თუ ალბათობა იმაში მდგომარეობს, რომ რაიმეს საფუძველი საპირისპიროს საფუძველიცაა, მაშინ უნდა ითქვის, რომ ეს სკეპტიციზმი მომენტია დიალექტიკის (რომელიც ამ მომენტზე არ დაიყვანება)[2], რომელიც შეიცავს საპირისპიროთა ურთიერთგადასვლებს და დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოა დგენს.

ზემოთ წარმოებული მსჯელობები განვითარებაა ჩვეულებრივი ინდუქციის თეორიების იმ აზრისა, რომ ინდუქციაში უნდა მოქმედებდეს საწინააღმდეგოს გამორიცხვის გარკვეული წესი, რათა ინდუქციამ უცილობელის მიღება შესძლოს. თუ რაიმე ნიშანი ახასიათებს მრავალ საგანს და თუ გამოირიცხა სხვა, საწინააღმდეგო შესაძლებლობა, მაშინ ინდუქცია იძლევა აუცილებელ დასკვნას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დადებითობა და უარყოფითობა ერთიმეორეს დაუკავშირდა, მაშინ გამოირიცხება, მოიხსნება ალბათობა და მივიღებთ უცილობლობას. მაგრამ ეს უკვე დიალექტიკის გამოყენებაა, რასაც ადგილი არ აქვს ჩვეულებრივ ინდუქციაში, როცა საწინააღმდეგო შემთხვევის შეუძლებლობაზე ლაპარაკობენ. მართალია, თუ ერთეულთა რიგს ერთი რაიმე ნიშანი ახასიათებს, მაშინ ის ყველას ახასიათებს, როცა საწინააღმდეგო შემთხვევა გამორიცხულია. აქ ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე: საწინააღმდეგო შემთხვევის გამორიცხვაა სწორედ იმის თქმა, რომ რაიმე ნიშანი ყველას ახასიათებს. ამასთანავე, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, რომ სხვანაირი და საწინააღმდეგო შემთხვევა შეუძლებელია. ამიტომ სიძნელე სიძნე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 22.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 165.

ლედ რჩება. ამ სიძნელეს ის იწვევს, რომ ჩვეულებრივი ინდუქცია ნომინალისტურად გაგებულ ზოგადს — „ყველა“-ს ემყარება.

ამ პირობებში საქმეს არ შველის ის, რომ თითქოს არასრულ ინდუქციაში ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება, თუ უარყოფითია წანამძღვრებიც და დანასკვიც[1]. მართალია, თუ რაიმე ნიშანი არ ახასიათებს რომელიმე საგანს, მაშინ არ შეიძლება, რომ ეს ნიშანი ყველა ამგვარ საგანს ახასიათებდეს, მაგრამ აქაც ტავტოლოგია, ერთი და იგივეს განმეორება **გვაქვს და არა** დასკვნა როგორც ახლის მიღება. თუ რაიმე ნიშანი რომელიმე საგანს არ ახასიათებს, მაშინ ამ აზრის განმეორება იქნება ისიც, რომ ის ყველას არ ახასიათებს.

ერთი სიტყვით, ნომინალისტური ზოგადის საფუძველზე ინდუქციური დასკვნა არ შეიცავს ლოგიკურ აუცილებლობას, ამიტომ იგი ძიების მეთოდად რჩება და, ამავე დროს, ლოგიკურ მეთოდს არ წარმოადგენს, სწორედ იმიტომ, რომ მასში ლოგიკური აუცილებლობა არ ხორციელდება.

ჩვეულებრივ ინდუქციას არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ რომელიმე ნიშანი, რომელიც დღემდე ცნობილ საგნებს აქვთ, ექნება ყველა ამგვარ საგანს, რომელიც ჯერ ცნობილი არ არის. „ინდუქცია ვერასოდეს ვერ დაამტკიცებს, რომ ოდესმე ნაპოვნი არ იქნება ძუძუმწოვარი ცხოველი, რომელსაც სარძევე ჯირკვლები არ ექნება. წინათ კერტი (ძუძუს თავი) ძუძუმწოვარი ცხოველის ნიშნად ითვლებოდა. მაგრამ ეხვნისკარტს არა აქვს კერტები“. ამიტომ „ინდუქციური დასკვნა არსებითად პრობლემატურია“. ეს იმიტომ რომ ინდუქცია ემყარება ნომინალისტურად გაგებულ ზოგადს, ანუ კლასიფიკაციის პრინციპს, ისე როგორც ჩვეულებრივი დედუქციაც. „ის ცნებები, რომლებითაც ინდუქცია (ისე როგორც სილოგიზმიც. ს. წ.) სარგებლობს: სახეობა, გვარეობა, კლასი, განვითარების თეორიის წყალობით დენადი, და მაშასადამე, **შეფარდებითი გახდნენ;** ხოლო შეფარდებითი ცნებები ინდუქციას (არც ჩვეულებრივ დედუქციას. ს. წ.) არ ემორჩილებიან“[2].

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინდუქციური გზა უარყოფილ იქნეს, ე. ი. უარყოფილ და ზედმეტად იქნეს მიჩნეული ის, რაც ჩვეულებ-

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, стр. 537.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 236, 237.

რივ ინდუქციის პრობლემას წარმოადგენს. არა, ეს პრობლემა გადაწყვეტას მოითხოვს. ინდუქციის გზა როგორმე უნდა გამართლდეს, რადგან კერძოსთვის ზოგადის აუცილებლობა, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე ითქვა, უნდა დამტკიცდეს და გამართლდეს; ამას მოითხოვს მეცნიერების ინტერესები, ლოგიკური მეთოდის ინტერესები, თვითონ დედუქციის „ინტერესები" და შემეცნების ლოგიკის ინტერესები.

ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი ინდუქცია წარმოადგენს უცილობელთან რაღაც მიახლოებითს, მოწმობს იმას, რომ ის აღწევს არა აბსოლუტურს, არამედ შეფარდებითს. ცოდნის, შემეცნების თუ კვლევა-ძიებისათვის შეფარდებითის მიღება აუცილებელია; მიღწეული ჭეშმარიტება შეფარდებითია. ინდუქციით მიღებული ჭეშმარიტება „ყოველთვის არასრულია, ვინაიდან ცდა არასოდეს არაა დამთავრებული"[1]. აქ ჭეშმარიტება ყოველთვის შეფარდებითია, მაგრამ ეს შეფარდებითობა სწორედ აბსოლუტურის შეფარდებითობაა, მისი მხარეა. ჭეშმარიტების შეფარდებითობა ლოგიკურის შეფარდებითობას და დიალექტიკურობასაც განსაზღვრავს. ლოგიკურის შეფარდებითობა ლოგიკურობის ალბათურობას კი არ ნიშნავს, არამედ ლოგიკურის ერთმხრიობას, გარკვეულ კერძოობითობას, რომლისთვისაც აუცილებელია ზოგადობა, ისე როგორც შეფარდებითი ჭეშმარიტება აბსოლუტურის მარცვალს შეიცავს (ჭეშმარიტების შეფარდებითობა მისი ნაწილობრივობაა და არა დაბალი ხარისხი).

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ინდუქცია და დედუქცია ერთიმეორესთან აუცილებლობით უნდა იყვნენ დაკავშირებულნი (როგორც ეს ზემოთაც იქნა აღნიშნული). თვითონ ინდუქციური პროცესის გასარკვევად საჭიროა დედუქცია; ინდუქცია ინდუქციითვე არ გაიგება. „ვერავითარი ინდუქცია ქვეყნად ვერასოდეს ვერ დაგვეხმარებოდა იმაში, რომ ინდუქციის პროცესი გაგვერკვია"; ამისათვის საჭიროა დედუქცია; „ამის გაკეთება მხოლოდ ამ პროცესის (ინდუქციის პროცესის. ს. წ.) **ანალიზს** შეეძლო. — ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთთან ისევე აუცილებლად არიან დაკავშირებული, როგორც სინთეზი და ანალიზი"[2].

---

[1] **В. И. Ленин, Философские тетради, стр. 154.**

[2] **ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.**

სწორედ ანალიზის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს ინდუქციის პრობლემა, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გავარკვევთ. აქ მხოლოდ შემდეგს შევნიშნავთ. არასრული ინდუქციის მიზანია იყოს სრული იმ აზრით, რომ ამოსწუროს უსასრულობა, მიიღოს ზოგადობა, რომელიც უსასრულო ერთეულს ამოწურავს. ასეთი ამოწურვა შეუძლებელი გახდა ჩვეულებრივი ინდუქციისათვის, ამიტომ არის იგი არასრული ინდუქცია. დიალექტიკა კი გვასწავლის, რომ უსასრულობის ამოწურვა შეიძლება იმით, რომ ერთში აღმოჩნდეს მისი არსება, რომელიც, ცხადია, არსება იქნება ყველა ასეთი ერთის. როგორ არის შესაძლებელი ერთეულ საგანში აღმოჩნდეს მისი არსება? ამისათვის, უპირველს ყოვლისა, საჭიროა ანალიზი. ამის მაგალითს ბუნებისმეცნიერება იძლევა. სადი კარნომ, აღნიშნავს ენგელსი, დაამტკიცა, თუ როგორ შეიძლება სითბოდან მივიღოთ მექანიკური მოძრაობა. ეს მან დაამტკიცა არა ჩვეულებრივი ინდუქციის გზით, არა უამრავი ორთქლის მანქანის შესწავლის გზით, არამედ მხოლოდ ერთი მანქანის შესწავლით, ანალიზით. სწორედ ანალიზის საშუალებით გამოყო მან „ძირითადი პროცესი **წმინდა** სახით", ჩამოაცილა რა ყოველგვარი მეორეხარისხოვანი. ის, რომ სითბოდან შეიძლება მივიღოთ მექანიკური მოძრაობა, „100.000 ორთქლის მანქანამ ეს იმაზე უფრო დამაჯერებლად როდი დაამტკიცა, ვიდრე ერთმა მანქანამ"[1].

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, კ. მარქსის აზრით, ანალიზის მეთოდი კვლევა-ძიების — შემეცნების მეთოდია. მარქსმა სწორედ ანალიზით მონახა კაპიტალისტური მეურნეობის ზოგადი, „უჯრედი", საიდანაც იწყება ლოგიკური დალაგების გზა, რომელიც ფორმალურად განსხვავდება, მაგრამ არსებითად არ განსხვავდება კვლევა-ძიების გზისაგან, როგორც ეს ჩვენ მიერ უკვე გარკვეულია. მაგრამ გასარკვევი დარჩა მთავარი: როგორ შეიძლება ანალიზი იყოს ლოგიკური გზა, როგორ შეიძლება, ლოგიკურის რა ფორმის სახით არის შესაძლებელი, რომ ანალიზით აუცილებლობით მივიღოთ სინთეზური; სხვანაირად: როგორ არის შესაძლებელი ლოგიკური განვითარება, სადაც ლოგიკური და შემეცნებითი ერთი წესით წარმოსდგება. ამ საკითხის გარკვევამდე, ე. ი. ინდუქციის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე, ზოგადად—ძირითადი დებულებების

---

[1] ენგელსი, გვ. 238.

სახით—უნდა გაირჩეს საკითხი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ არის წამოყენებული, მაგრამ რომელმაც თავისი მართებული გაშუქება საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, ჯერ ვერ ჰპოვა.

6. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ.

თავისთავად ცხადი უნდა იყოს ის, რომ დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის საკითხის დადებით გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დასაბუთებისა და კვლევა-ძიების წესების იგივეობის და, მაშასადამე, შემეცნების ლოგიკის პრობლემის გადასაწყვეტად, ისე როგორც პირიქითაც, ამ წესების იგივეობა პირველი პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს. ჩვენ აქ დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრობლემას შევეხებით მხოლოდ ერთი მხრივ, სახელდობრ დასაბუთებისა და შემეცნების — კვლევა-ძიების მეთოდების იგივეობის თვალსაზრისით. ჩვენ აქ ხაზგასმულად და აღნიშნულ ასპექტში წარმოვადგენთ რამდენიმე დებულებას, რომელთა საგრძნობი ნაწილი ან ამ შრომაში გვაქვს გარკვეული, ან სხვა შრომებში გაგვირჩევია.

ა. პრობლემის დასმა *a*) **ვ. ი. ლენინის დებულება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ.** უმჯობესი იქნება პრობლემის დასმა დავიწყოთ ვ. ი. ლენინის იმ დებულების განხილვით, რომელიც აღნიშნულ იგივეობას ეხება და პრობლემის დადებითი გადაწყვეტის აუცილებლობაზე მიუთითებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ კ. მარქსს მართალია არ დაუტოვებია „ლოგიკა“ (ასომთავრულით), მაგრამ დატოვა „კაპიტალის“ ლოგიკა, რომელიც ღრმად უნდა იქნეს გამოყენებული ლოგიკის პრობლემატიკის გასარკვევად, ვ. ი. ლენინი შემდეგ განაგრძობს: В „Капитале“ применена к одной науке логика, диалектика и теория познания материализма [не надо 3-х слов: это одно и тоже], взявшего все ценное у Гегеля и двинувшего сие ценное вперед“[1].

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 215.

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის ეს ლენინური დებულება, რომლის შინაარსსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გავარჩევთ, არ არის ერთნაირად გაგებული საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ დებულებით აღიარებულია დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის, როგორც განსხვავებული მეცნიერებების, ერთიანობა და არა იგივეობა; ზოგიერთის აზრით კი ლენინის ეს დებულება თითქოს აღიარებს დიალექტიკისა (ცხადია, არა მთელი დიალექტიკის) და ლოგიკის შემეცნების თეორიაზე დაყვანას. არც ერთი ამ დებულებათაგანი არ არის სწორი ვ. ი. ლენინის აქ მოყვანილი დებულების თვალსაზრისით, რადგან: 1) ლენინის დებულებაში ლაპარაკია იგივეობაზე, — „არ არის საჭირო სამი სიტყვა: ეს ერთი და იგივეა“, ამბობს ლენინი. ლოგიკა რომ ერთიანობაშია შემეცნების თეორიასთან და სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებასთან, ეს ვინ არ იცოდა? ლენინის აღნიშნული დებულება ახალი დებულებაა, რომელიც მართებულ გაგებას საჭიროებს და არ გამოთქვამს ყველასათვის ცნობილ აზრს ლოგიკის სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებასთან კავშირის შესახებ. 2) ლენინის აღნიშნული დებულება სამი მეცნიერების იგივეობას აღიარებს და არა იმას, თითქოს შემეცნების თეორიაზეა დაყვანილი დიალექტიკაც და ლოგიკაც, თითქოს ამ სამი მეცნიერებიდან დატოვებულია შემეცნების თეორია დანარჩენი ორი უარყოფილია, ე. ი. უარყოფილია დიალექტიკური ლოგიკა, საერთოდ ლოგიკა — არადიალექტიკური ლოგიკა კი ძველებურად ცალკე მეცნიერებად რჩება (ფიქრობენ აღნიშნული თვალსაზრისის მომხრენი). ლენინის დებულება სამი მეცნიერების აღნიშნული იგივეობის შესახებ არ გამორიცხავს რომელიმე მათგანს და არ ტოვებს ერთს; ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა არ შეიძლება ნიშნავდეს ამათგან ერთის (და ისიც მაინც და მაინც შემეცნების თეორიის) დატოვებას და მეორის გამორიცხვას. როდესაც ლენინის ეს დებულება ესმით როგორც ლოგიკის გაიგივება შემეცნების თეორიასთან, ისე რომ ლოგიკას (დიალექტიკურ ლოგიკას) ხსნიან, მაშინ ამ შეხედულების მომხრეებს, ამავე დროს, დიალექტიკის შემეცნების თეორიასთან გაიგივება ესმით, და სრულიად სამართლიანადაც, როგორც დიალექტიკის დატოვება შემეცნების თეორიაში, შემეცნების თეორია დიალექტიკის თეო-

რიად მიაჩნიათ; მაგრამ რატომ არ შეიძლება ასე გავიგოთ ლოგიკისა და შემეცნების თეორიის დამოკიდებულებაც?

იმ შეხედულების მომხრენი, რომელსაც ჩვენ ახლა ვაკრიტიკებთ, თავიანთი მოსაზრების დასადასტურებლად მიმართავენ ვ. ი. ლენინის სხვა დებულებებს. 1) „მარქსიზმი, ესე-იგი დიალექტიკური ლოგიკა"[1], თითქოს აქ დიალექტიკური ლოგიკა გაიგივებულია მარქსიზმთან ისე, რომ მარქსიზმია დატოვებული, დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკა, კი უარყოფილია. ეს აზრი არ არის მართებული[2], რადგან ვ. ი. ლენინის ეს აზრი იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმი არსებითად არის დიალექტიკური აზროვნების წესი, გამოყენებული მთელი სინამდვილის შემეცნების მიმართ, რომ ეს წესი სწორედ ლოგიკურს, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკურ წესს წარმოადგენს. 2) აღნიშნავენ იმასაც, თითქმის დიალექტიკური ლოგიკა, ეს იყოს დიალექტიკური მეთოდი და არა ლოგიკა. არც ეს აზრია სწორი, რადგან დიალექტიკური მეთოდი ლოგიკური მეთოდია, რომელიც განხორციელებულია ლოგიკის პრობლემატიკაში, აზროვნების ფორმებში. 3) იშველიებენ ვ. ი. ლენინის დებულებებს, რომ ლოგიკა არის შემეცნების თეორია[3], რომ ლოგიკა ემთხვევა შემეცნების თეორიას[4], და სხვ. თქმა იმისა, რომ ლოგიკა-არის შემეცნების თეორია, იმას კი არ ნიშნავს, რომ შემეცნების თეორია არაა ლოგიკა, არამედ იმას რომ შემეცნების თეორია ამავე დროს ლოგიკაცაა და ლოგიკა—შემეცნების თეორიაა. ლოგიკის დამთხვევა შემეცნების თეორიაზე ან პირიქით, არ ნიშნავს ერთ-ერთი მათგანის უარყოფას. ლენინი სწორედ მათ იგივეობას აღიარებს და არა რომელიმე მათგანის გამორიცხვას.

ერთი სიტყვით, ლენინის დებულება, რომ ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებაა, იმას ნიშნავს, რომ არსებობს (უნდა არსებობდეს) ისეთი მეცნიერება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ლოგიკაცაა, დიალექტიკაც და შემეცნების თეორიაც. ეს სამი მეცნიერება, რომლებიც წინათ და-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 104.

[2] ამ საკითხებზე იხ. ჩემი მოხსენება დისკუსიაზე, რომლის მასალები დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკადემიის სახ. მეცნიერებათა განყოფილების „მოამბეში". 1961, № 2, გვ. 119 და შემდ.

[3] В И. Л е н и н. Философские тетради, стр. 156.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 66, 150, 165.

შოუკიდებელ მეცნიერებებს წარმოადგენდნენ, ახლა ერთ მეცნიერებას შეადგენენ. ეს აზრი უშუალოდ გამომდინარეობს მატერიალისტური დიალექტიკის ენგელსისეული ცნობილი განსაზღვრებიდან, რომ დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ. მართალია, დიალექტიკა არ ემთხვევა აზროვნების დიალექტიკას, არსებობს ბუნების დიალექტიკაც და საზოგადოების დიალექტიკაც (ისტორიული მატერიალიზმი), მაგრამ რამდენადაც, თანახმად დიალექტიკის აქ მოყვანილი განსაზღვრებისა, დიალექტიკის კანონები აზროვნებაშიც მოქმედებს, ამდენად აღებული დიალექტიკა ემთხვევა ლოგიკასა და შემეცნების თეორიას და პირიქით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინის დებულებაში დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ „დიალექტიკა" ძველი ონტოლოგიის ადგილზეა მოთავსებული. თუ ძველად არსებობდა სამი მეცნიერება: ონტოლოგია, ლოგიკა და შემეცნების თეორია, ჰეგელთან ჩამოყალიბდა ონტოლოგია, როგორც დიალექტიკა, რომელიც გაუიგივდა ლოგიკას და შემეცნების თეორიას. როგორ შეიძლება ონტოლოგიის ლოგიკასთან და შემეცნების თეორიასთან გაიგივება? ამ კითხვაზე ჰეგელის პასუხი (რომელსაც შემდეგ შევეხებით) ნათელია, მაგრამ ჯერჯერობით ასე ნათელი არ არის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე შესაძლებელი პასუხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვ. ი. ლენინის აღნიშნული დებულება, როგორც პასუხი აქ დასმულ კითხვაზე, უნდა იყოს შემდეგი: მატერიალისტური დიალექტიკის განსაზღვრებიდან ჩანს, რომ დიალექტიკის კანონები მოქმედებენ სინამდვილეში, მაგრამ ისინი აზროვნებაშიც მოქმედებენ. სინამდვილეში მოქმედი დიალექტიკის კანონები, როგორც ონტოლოგიური კანონები, თავისებურად — სპეციფიკური სახით ბატონობენ აზროვნებაშიც. აი, ამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ.

ისიც უნდა ითქვას, რომ „დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაში" დამქვემდებარებელი ცნება არის

დიალექტიკა. ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა იმის საფუძველზე, რომ ორივე დიალექტიკურია. საკითხს სწყვეტს ლოგიკის დიალექტიკურობა, რომელიც სადავოდ არის მიჩნეული. არგუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ ლოგიკის დიალექტიკურობას, დიალექტიკურ-ლოგიკურს და საერთოდ დიალექტიკურ ლოგიკას, ის არგუმენტებია, რომელთა საფუძველზე გამართლდება ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა. საბჭოთა ფილოსოფოსებში არ არის სადავო ის, რომ დიალექტიკა შემეცნების თეორიაა, რომ შემეცნების თეორია დიალექტიკურია, მაგრამ ეს გარემოება ჯერ ყოველმხრივ არავის გაუშუქებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემეცნების თეორიის დიალექტიკურობის დასაბუთება აუცილებლობით მიგვიყვანს დიალექტიკური ლოგიკის აღიარებამდე.

ბ) **საკითხის ისტორიისათვის.** იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, აუცილებელია მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ ლოგიკის, შემეცნების თეორიისა და ონტოლოგიის, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებათა, განვითარების გზები, რომლებმაც საქმე მიიყვანა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობამდე ჰეგელის დიალექტიკის თეორიაში.

როგორც ცნობილია, ჰეგელამდე არსებობდა ონტოლოგია, ლოგიკა და შემეცნების თეორია, როგორც სამი დამოუკიდებელი მეცნიერება. მოკლედ რომ ვთქვათ, ონტოლოგია სწავლობდა არსს, როგორც ასეთს, ლოგიკა შეისწავლიდა აზრს, შემეცნების თეორიის საგანს კი აზრისა და არსის დამოკიდებულება შეადგენდა. ამ მეცნიერებებში არსის, აზრისა და მათი დამოკიდებულების შესახებ იყო რაღაც საერთო, რომლის განვითარებამაც მათ იგივეობამდე მიგვიყვანა. არსში, აზრში და მათ შემეცნებით დამოკიდებულებაში ბევრი რამ არის საერთო. მაგრამ აქ ამ საერთოს ერთი მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნებოდა. არადიალექტიკურ ლოგიკაში, შემეცნების თეორიასა და ონტოლოგიაში უძირითადეს კანონებად მიჩნეული იყო იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონები. არისტოტელეს აზრით, შეუძლებელია წინააღმდეგობრივი არსებობა, საგანი ნამდვილად არ არსებობს წინააღმდეგობის არსებობის პირობებში; არ შეიძლება საგანი ერთსა და იმავე დროს

კიდეც იყოს და არც იყოს. ასეთივეა ჰეშმარიტი აზრიც. წინააღმდეგობა შემეცნებაში შეცდომას ნიშნავს. წინააღმდეგობრივი ცოდნა არ არის ცოდნა. ლოგიკურშიც — ცნება-მსჯელობა-დასკვნებში წინააღმდეგობა ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. ეს აზრი დღემდე ბატონობს ფორმალურ ლოგიკაში, გნოსეოლოგიასა და ონტოლოგიაში. დიალექტიკის თეორიის თვალსაზრისით კი წინააღმდეგობა, რომელიც გაგებულია დიალექტიკურად, ბატონობს არსშიც, შემეცნებაშიც და ლოგიკურ აზროვნებაშიც. როგორც ჰეგელის დიალექტიკის ისე მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, დიალექტიკურია სინამდვილეც, შემეცნებაც და ლოგიკურიც; სამივე სფეროს უძირითადეს კანონს წინააღმდეგობის— დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი წარმოადგენს. ლოგიკამ განიცადა ისეთი განვითარება, რომ წინააღმდეგობის ბუნების გაგების განვითარების საფუძველზე წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის, როგორც ძირითადი კანონის, ადგილზე წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი აღმოჩნდა. ასე განვითარდა მთელი ლოგიკა, რომელიც შემდეგ შემეცნების თეორიას შეერწყა, ისე როგორც პირიქით — შემეცნების თეორია ლოგიკად გადაიქცა.

რამდენიმე დებულებით შეიძლება იქნეს აღნიშნული ლოგიკის, შემეცნების თეორიისა და ონტოლოგიის განვითარების გზები, რომლებიც, ბოლოს, შეერთდნენ ერთ მეცნიერებაში, სადაც დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

როგორც ცნობილია, არისტოტელემ შექმნა ლოგიკის მეცნიერება, რომელიც მოცემულია მის „ორგანონში". ეს იყო, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცოდნის ლოგიკა ლოგიკური ტექნიკის სრულიად გარკვეული აპარატით. ამ აპარატის განვითარება მოხდა სტოელთა ლოგიკაში, შუასაუკუნეებში, ლაიბნიცთან, საიდანაც იწყება განვითარება თანამედროვე მათემატიკური ლოგიკისა, რომელიც, საბოლოოდ, სპეციალურ მათემატიკურ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. არისტოტელეს ფილოსოფიური ლოგიკის განვითარების ეს ხაზი შორდება ფილოსოფიას და საბოლოოდ წყდება მას; ეს გზა მიდის ფილოსოფიური ლოგიკის სპეციალურ მეცნიერებად გადაქცევამდე. სპეციალური მეცნიერება კი, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იყოს ლოგიკა, რომელიც, საერთოდ,ყოველი მეცნიერებისათვის აუცილებელ ლოგიკურ კანონებსა და წესებს იმუშავებს, აღმოაჩენს და

არკვევს. ამიტომ ეს ხაზი არ არის ლოგიკის განვითარების ნამდვილი გზა.

არისტოტელეს ლოგიკის განვითარების მეორე ხაზი, ეს არის დიალექტიკური ლოგიკის განვითარების ხაზი, რომლის მთავარ მომენტებს წარმოადგენენ არისტოტელეს და შემდგომი ლოგიკა, როგორც განსჯის ლოგიკა, უარყოფითი დიალექტიკა (კანტი), ჰეგელის სპეკულაციური ლოგიკა და მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკა. ჰეგელმა შეაჯამა ლოგიკის და, საერთოდ, ფილოსოფიის განვითარება, გაარჩია მასში ორი მომენტი: აბსტრაქტული აზროვნების და უარყოფითი დიალექტიკის მომენტები, რომელთა ერთიანობაც თვითონ გაარკვია სპეკულაციური ლოგიკის სახით, რომლის „რაციონალური მარცვლის" საფუძველზე შესაძლებელი გახდა მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელის ძირითადი პრინციპები მოგვცეს მარქსმა, ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა. ამ პრინციპების საფუძველზე დღეს წარმოებს დიალექტიკური ლოგიკის სპეციალური საკითხების დამუშავება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთაც.

კატეგორიების გარეშე აზროვნება შეუძლებელია, არისტოტელეს და შემდგომი ლოგიკა, ცხადია, ეყრდნობოდა და იყენებდა კატეგორიებს, მაგრამ ამ ლოგიკას შეუძლებლად მიაჩნდა კატეგორიების კავშირი; ყოველ შემთხვევაში, მას ლოგიკური არ დაუფუძნებია კატეგორიების კავშირზე. ლოგიკური, მაგალითად, სილოგისტურ-ლოგიკური ეყრდნობა იგივეობის კატეგორიას, გულისხმობს განსხვავების კატეგორიასაც, მაგრამ ლოგიკური, როგორც იგივეობის და განსხვავების ერთიანობა, გაუგებარი დარჩა ძველი ლოგიკისათვის; სხვადასხვა დროს წამოყენებული იგივეობისა (არისტოტელე) და განსხვავების თუ სხვაობის (ლაიბნიცი) პრინციპები დარჩა დაუკავშირებელი და ლოგიკურ ფორმებში გამოუყენებელი. განცალკევებული კატეგორიები, ამ კატეგორიათა და მათი კავშირების ლოგიკური ბუნების გაუგებრობა ბატონობდა ლოგიკაში და ხელს უწყობდა ანალიზურ-ლოგიკურის საყოველთაო ლოგიკურად აღიარებას, მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს მიერ აღებული მსჯელობები და თვითონ დასკვნის განსაზღვრებაც (ისე როგორც დასაბუთების პრინციპიც), როგორც ეს ზემოთაც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, სინთეზურ-ლოგიკურის აუცილებლობას მოითხოვდა და აღნიშნავდა კიდეც.

სოკრატელების მიერ დასმული პრობლემა ლოგიკურის ანალიზურობა-სინთეზურობის შესახებ, რომელიც მათ აბსოლუტურიგიგზეობის საფუძველზე გადაწყვიტეს (მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობის აღიარება), კანტთან, ე. ი. იდეალისტური დიალექტიკის ჩამოყალიბების დასაწყისში დაისვა მთელი სისრულით. კანტმა დასვა სინთეზის პრობლემა როგორც ონტოლოგიის, ისე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის სფეროში. კანტმა მიუთითა ისეთი ლოგიკის არსებობაზე, რომლისთვისაც არ არის საკმარისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება[1]. მან მოინდომა საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ არის შესაძლებელი სინთეზური მსჯელობები, რომლებიც აუცილებლობის ბუნებისანი არიან. კანტმა გაიგო განსჯის ცნება როგორც კატეგორია და მიუთითა კატეგორიების კავშირის გარკვეულ პრინციპზეც, თუმცა ეს კავშირი სისრულით ვერ წარმოიდგინა და ვერ გაარკვია. კანტმა მოიხმარა გარკვეული მეთოდი, ტრანსცენდენტალური დედუქციის მეთოდი სწორედ სინთეზის პრობლემის გადასაწყვეტად. ეს მეთოდი თავისებურ ლოგიკურ მეთოდს წარმოდგენდა. შემეცნების, ჭეშმარიტების სფერო კანტმა დაუქვემდებარა სასრულის კატეგორიას. ამ კატეგორიით განსაზღვრა მსჯელობის ლოგიკური სფეროც, ისე როგორც არისტოტელემ მთელი ლოგიკა დაუქვემდებარა სასრულის კატეგორიას, რომლის ბუნების უშუალო გამოხატულებასაც აზროვნების (და არსის) ძირითადი კანონი — წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი წარმოადგენდა. კანტმა პირველად (თუ ძენონსა და კუზანელს არ მივიღებთ მხედველობაში) აჩვენა უსასრულობის შესატყვისი საპირისპირო კატეგორიების აუცილებლობა, ამით კი გამოთქვა საწინააღმდეგო აზრიც მისივე აზრისა ცნებითი კავშირებისა და დასკვნის სფეროში მხოლოდ ანალიზურობის ბატონობის შესახებ; ამით შექმნა უარყოფითი დიალექტიკა, გარკვეული მოძღვრება საპირისპირო კატეგორიების აუცილებელი კავშირის შესახებ, რომელიც განვითარებულ იქნა ჯერ ფიხტეს და შემდეგ ჰეგელის დიალექტიკაში.

თუ ჰეგელამდე ლოგიკურის ბუნება სასრულის კატეგორიაზე დაყრდნობით იყო წარმოდგენილი, ჰეგელის სპეკულაციურ-ლოგიკური ეყრდნობოდა უსასრულობის კატეგორიას. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ჰეგელის დიალექტიკის, როგორც დიალექტიკის, მოთხოვნა,

[1] Kant, Prolegomena, Schulz, S. 42

(რომელიც, საბოლოოდ, მას განუხორციელებელი დარჩა). ჰეგელის სპეკულაციურ-ლოგიკურში გაერთიანდა როგორც არისტოტელეს აბსტრაქტულ-ლოგიკური, ისე კანტის უარყოფით დიალექტიკური. იდეალისტურ დიალექტიკაში სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემის დასმა და თავისებური გადაწყვეტა იყო ის გზა, რომლითაც ლოგიკა განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა და ამავე დროს წარმოსდგა როგორც შემეცნების თეორიაც რომელიც ჰეგელმა მეტაფიზიკასაც კი გაუიგივა.

თუ ლოგიკისათვის აუცილებელი შეიქნა გამხდარიყო შემეცნების თეორიაც, ასევე მოხდა შემეცნების თეორიის განვითარების შედეგადაც. შემეცნების თეორია თავის განვითარებაში გადაიქცა ლოგიკად.

შემეცნების თეორია, გნოსეოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ჩამოყალიბდა შემეცნების თეორიის ლოგიკასთან დამთხვევის დაწყებისას, სახელდობრ, კანტის ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის, მისი თეორიული ფილოსოფიის შექმნით. კანტის შემეცნების თეორიაში მოხდა შემეცნებითისა და ლოგიკურის დამთხვევის პროცესის დაწყება. შეიძლება მეტიც ითქვას, კანტის თეორიულ ფილოსოფიაში, რომელმაც უარყო ძველი მეტაფიზიკა, ერთიმეორეს დაემთხვა არა მარტო შემეცნების თეორია და ლოგიკა, არამედ ონტოლოგიაც, როგორც ეს შემდეგ იქნა წარმოდგენილი გარკვეული ფილოსოფიური მიმართულების მიერ, მაგალითად, ეკზისტენციალური ფილოსოფიის მამამთავრის — ჰაიდეგერის მიერ; კანტის თეორიული ფილოსოფიის ცენტრალურ პუნქტში — „სქემატიზმში" — დროის ცნება არსის ცნებასთან იქნა დაკავშირებული და სწორედ ეს პუნქტი ახალი მეტაფიზიკის დასაწყისად იქნა მიჩნეული[1].

კანტის გნოსეოლოგია ემთხვევა ლოგიკას, რადგან კანტის გნოსეოლოგიის შინაარსს შეადგენს მეცნიერების ლოგიკური დაფუძნება, ცოდნის ლოგიკური პირობების დადგენა. კანტის და შემდგომი გნოსეოლოგიის მთავარ შინაარსს შეადგენდა კატეგორიები და მათი ლოგიკური დედუქციები, რამაც იგი ლოგიკურად აქცია.

თი ლოგიკური დედუქციები, რამაც იგი ლოგიკად აქცია.

[1] M. Heidegger, Sein und Zeit, 8. Aufl. 1957. S. 23 და სხვ.

კანტის შემეცნების თეორია, ეს იყო ძველი, კანტის თქმით, ზოგადი ლოგიკის გამოყენება შემეცნებაში, შემეცნების შინაარსის მიმართ. კანტის აზრით, ზოგადი ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების მხოლოდ ფორმების შესახებ, ყოველგვარი შინაარსისაგან დამოუკიდებლად; ტრანსცენდენტალური ლოგიკა კი, ეს არის ზოგადი ლოგიკის მიყენება-მოხმარა შემეცნების საგნობრიობისადმი. ზოგადი ლოგიკის ეს გამოყენება თავისებურად ავითარებს ლოგიკას. მაგ., როგორც ითქვა, არასაკმარისად ხდის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს აუცილებელი სინთეზური მსჯელობისათვის (კანტის აპრიორულ-სინთეზური მსჯელობისათვის). ზოგადი ლოგიკის გამოყენება შემეცნების სასრულ სფერში — გრძნობად ქვეყანაში გვაძლევს ჭეშმარიტებას, ამით ყალიბდება ტრანსცენდენტალური ანალიტიკა, როგორც ჭეშმარიტების ლოგიკა, ე. ი. ხორციელდება არისტოტელეს ლოგიკის აზრი ისეთი კანონებისა და წესების შემუშავებისა. რომლებსაც ჭეშმარიტებამდე მივყევართ, მაშინ როცა ზოგადი ლოგიკის გამოყენება საერთოდ საგნებისადმი, გვაძლევს შეცდომას. ეს იმას ნიშნავს, რომ საგნობრიობა განსაზღვრავს ლოგიკურობას. თუ სასრული ლოგიკური, ეს არის მსჯელობა, ე. ი. თუ ზოგადი ლოგიკის შემეცნებაში გამოყენებისას მსჯელობით შემოვიფარგლებით, ამ ლოგიკის გამოყენება უსასრულობის მიმართ, რომელიც (ეს გამოყენება) დასკვნაში უნდა განხორციელდეს და მეტაფიზიკა დააფუძნოს, გვაძლევს დიალექტიკას, საპირისპირო ცნებათა აუცილებლობას (რომელიც კანტისათვის შეცდომას წარმოადგენს). წინააღმდეგობა მართლაც შეცდომაა, თუ ის არ არის გადაწყვეტილი, თუ მას არ აქვს საფუძველი, თუ ის ერთიანობას არ ემყარება, როგორც ამას კანტის ანტინომიებში ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა აუცილებლობად იყო მიჩნეული კანტის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსასრულობის მიმართ ლოგიკის გამოყენებამ ლოგიკურის ხასიათი განავითარა. თუ სასრული თავსდებოდა წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპში (არც კი თავსდებოდა, რადგან ის იქ. კანტის თქმით, არ იყო საკმარისი), უსასრულობის მიმართ აუცილებელი იყო ლოგიკური პრინციპი წინააღმდეგობის აუცილებლობისა, ლოგიკური პრინციპი უარყოფითი დიალექტიკისა. ლოგიკური პრინციპის ასეთი განვითარება გამოიწვია შემეცნების თეორი-

ის ლოგიკასთან შერწყმამ, შემეცნებითის ლოგიკურთან გაერთიანებამ, საგნობრივი — შინაარსეული ლოგიკის ჩამოყალიბების ცდამ, შემეცნების ლოგიკის შექმნამ.

კანტი ფიქრობდა, რომ აუცილებელი სინთეზი, რომელიც მსჯელობაში ხორციელდება, შესაძლებელია გრძნობადი ინტუიციის საფუძველზე, იმის საფუძველზე, რასაც საქმე აქვს მხოლოდ სასრულთან. სასრულის, გრძნობადის გარეშე ასეთი სინთეზი შეუძლებელია. მაგრამ ამ სინთეზის საფუძველი არც მხოლოდ გრძნობადობაა, რომელსაც საქმე აქვს მხოლოდ შემთხვევითთან. მსჯელობა, როგორც აუცილებელი სინთეზი, როგორც ცოდნის, მათემატიკური და ბუნებისმეტყველური ცოდნის, ელემენტი შესაძლებელია აპრიორული ფორმების საშუალებით, არაგრძნობადის საშუალებით, რომელიც გრძნობადთანაა დაკავშირებული (გრძნობიერების აპრიორულ ფორმებში). თუ როგორ არის ეს კავშირი შესაძლებელი, კანტს მაინც გადაუწყვეტელი დარჩა („სქემატიზმის" სიძნელე). ჩვენ აქ მხოლოდ გვინდა მივუთითოთ იმაზე, რომ აუცილებელი სინთეზური მსჯელობის საფუძვლად მდებარე არის გარკვეული აპრიორული ელემენტი. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ცნების საფუძველზეც შესაძლებელი იყოს სინთეზის განხორციელება. ამას კი კანტი კატეგორიულად უარყოფს, აღიარებს სინთეზური დასკვნის და, ამასთან დაკავშირებით, მეტაფიზიკის შეუძლებლობას, თუმცა გონების, ე. ი. დასკვნის სფეროში ადგილი აქვს წინააღმდეგობის აუცილებლობას. რა უნდა იყოს იმაზე უფრო მეტი სინთეზური, რასაც წინააღმდეგობის აუცილებლობა წარმოადგენს? ამიტომ უნდა ითქვას, რომ კანტი გახლართულია მისთვის დაუძლეველ სიძნელეებში, რომელთა თავიდან აცილება, როგორც ცნობილია, მოხდა დიალექტიკის ჩამოყალიბებით, ჯერ ფიხტესთან და შემდეგ ჰეგელის სპეკულაციურ ლოგიკაში.

კანტის საფუძველზე ფიხტე შეეცადა ცნებების საშუალებით სინთეზების განხორციელებას, ე. ი. კატეგორიების სისტემის შექმნას, სადაც კატეგორიათა სინთეზური კავშირები, ერთსა და იმავე დროს, უნდა ყოფილიყო ლოგიკურიც და შემეცნებითიც, უნდა ყოფილიყო ცოდნის ლოგიკური სისტემა; ცოდნა, მოცემული ცნება — კატეგორიების სახით, უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურ სისტემას — ცნებათა ლოგიკურ კავშირს, სადაც ცნებაც ლოგიკუ-

ري ფორმაა და ცნებათა შორის კავშირებიც ლოგიკურ კავშირებს წარმოადგენენ.

ფიხტეს ეს წამოწყება ბოლომდე მიიყვანა ჰეგელმა, როცა მან შექმნა ცოდნის, ისიც აბსოლუტური ცოდნის, სისტემა, როგორც კატეგორიათა აუცილებელი კავშირის სისტემა, ლოგიკური სისტემა იმ კატეგორიებისა, რომლებიც წარმოადგენენ ერთსა და იმავე ეროს არსის უზოგადეს განსაზღვრულობებსაც და აზრის ლოგიკურ განსაზღვრულობებსაც. ამით ლოგიკა, შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა (ონტოლოგია) გაიგივდა და ერთ მეცნიერებად იქნა წარმოდგენილი. კატეგორიათა სისტემა არის ლოგიკაც, ონტოლოგიაც და შემეცნების — ცოდნის სისტემაც — მეცნიერება. ამით თავისებურად აღსდგა არისტოტელეს „ორგანონის" აპოდეიქტიკის აზრი.

ჩვენ აქ, პირველ რიგში, ერთი რამ გვაინტერესებს, სახელდობრ, ის, რომ ჰეგელმა პირველად გაარჩია ლოგიკურის, როგორც საგნობრივი ცოდნის ლოგიკურის, სამი სახე, ფორმა, მომენტი. ჰეგელის აზრით, ლოგიკურს თავისი ფორმის მხრივ სამი მხარე აქვს: 1) აბსტრაქტული ანუ განსჯითი, 2) დიალექტიკური ანუ უარგოფითგონებითი და 3) სპეკულაციური ანუ დადებით-გონებითი. ესენი არიან მომენტები ყოველგვარი ლოგიკურ-რეალურის, ე. ი. ყოველი ცნების ანუ საერთოდ ყოველი ჭეშმარიტებისა[1]. აქ უპირველეს ყოვლისა, ის არის აღსანიშნავი, რომ ჰეგელს მხედველობაში აქვს ის, რასაც არისტოტელე პირველი ფილოსოფიის სფეროში გულისხმობდა. ლოგიკური და მისი ეს სამი მომენტი ჰეგელს გაგებული აქვს, როგორც არსის, შემეცნებისა და სუბიექტურ-ლოგიკური აზრისათვის საერთო—ერთი და იგივე. ერთმსრიობა, წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის ერთიანობა არის სინამდვილეშიც—საგანშიც, მის შესახებ ცოდნაშიც და ცოდნის ლოგიკურ კავშირშიც. ამ სამივე სფეროში არსებული საერთო-ზოგადი არის სამი მომენტის მქონე, რომელთაგან მესამე არის პირველი ორის ერთიანობა; ეს არის სპეკულაციური, რომლის შესახებ მეცნიერება არის ერთი და არა სამი, როგორც აქამდე ადგილი ჰქონდა მანამდე. ზოგადად ასე წყდება საკითხი იდეალისტურ დიალექტიკაში დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ერთიანობის შესახებ.

---

[1] Hegel. Enz., I, § 79.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ შემეცნების თეორიისა და ლოგიკის განვითარება მივიდა მათ იგივეობამდე.

აღსანიშნავია აქ ნაგულისხმევი მესამე მომენტიც, სახელდობრ ონტოლოგიური მომენტი, რომელსაც აღნიშნული იგივეობა შეიცავს. ონტოლოგიის განვითარებაც მივიდა იქამდე, რომ იგი შეერწყა შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობას. ორიოდე სიტყვით ეს გარემოება შეიძლება ასე გამოითქვას: როგორც ზემოთ აღინიშნა, კანტის გნოსეოლოგია იგივე ლოგიკა გახდა იმის წყალობით, რომ მასში მთავარი იყო კატეგორიები და მათი ლოგიკური დედუქციები, მაგრამ ფიხტესა და ჰეგელის მიერ მეტაფიზიკა გაგებულ იქნა სწორედ როგორც კატეგორიების დედუქციები. როგორც კატეგორიების სისტემა. მართალია, კანტმა უარყო ძველი მეტაფიზიკა, სახელდობრ, ცრუ მეცნიერება ღმერთის, სულის უკვდავებისა და სხვათა შესახებ, მაგრამ მისი „კრიტიკები", თვითონ, კანტისავე თქმით, სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა შესავალს გონების სისტემისა — კატეგორიების სისტემისა, რომელიც შემდგომ მეტაფიზიკად იქნა წოდებული; კანტის ფილოსოფია ეს იყო „პროლეგომენები ყოველი მოსალოდნელი მეტაფიზიკისათვის, რომელიც მეცნიერების სახით შესძლებდა გამოცხადებას" (Prolegomena zu einer jeden künftigen Metaphysik, die als Wissenschaft wird auftreten können).

მართალია, არისტოტელე თავის „პირველ ფილოსოფიას" თეოლოგიას ეძახდა, მაგრამ ის, ამავე დროს, იყო ჰეშმარიტების თეორიაც. არისტოტელეს „პირველი ფილოსოფია" (მეტაფიზიკა) და „მეორე ფილოსოფია" (ფიზიკა), არსებითად, ეს იყო მოძღვრება კატეგორიებზე (არსება, ფორმა, მატერია, შესაძლებლობა, სინამდვილე, მიზეზი, დრო, სივრცე, მოძრაობა, უსასრულო და სხვ.), როგორც ონტოლოგია, რომელშიაც განხილული იყო შემეცნებისა და ლოგიკის საწყისები; ონტოლოგია, ამავე დროს იყო შემეცნებისა და ლოგიკის თეორიაც. ონტოლოგია კატეგორიების სისტემის სახით წარმოიდგინა უახლესი ფილოსოფიის ზოგიერთმა წარმომადგენელმაც, მაგალითად, ნ. ჰარტმანმა, რომელმაც დაწერა ისეთი შრომები, როგორიცაა Grundzüge einer Metophysik der Erkenn t nis", „Der Aufbau der realen Welt" (ზოგადი მოძღვრება კატეგორიებზე); „ბუნების ფილოსოფია" (როგორც სპეციალურ მოძ-

ლვრება კატეგორიების შესახებ) და სხვ. ერთი სიტყვით, მეტაფიზიკა წარმოდგენილ იქნა როგორც სისტემა კატეგორიებისა, რომლის პირველ სახესაც არისტოტელეს მოძღვრება წარმოადგენდა.

შემეცნების თეორიის, ლოგიკისა და ონტოლოგიის დამთხვევას სხვადასხვა აზრი შეიძლება ჰქონდეს. იმანენტური ფილოსოფიის ისეთი წარმომადგენლებისთვისაც კი, როგორც იყო ვ. შუპე, ლოგიკა, სახელდობრ, შემეცნებისთეორიული ლოგიკა (Erkenntnistheoretische Logik) ემთხვეოდა ონტოლოგიას (რადგან აზროვნება არის საგანზე აზროვნება)[1]. მაგრამ ჩვენთვის მთავარია ჰეგელის დიალექტიკაში მეტაფიზიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა.

ჯერ კიდევ დეკარტი თავის cogito, ergo sum-ში აიგივებდა დასაბუთებასა და ჭეშმარიტებას. როგორც ეს ზემოთაც განვიხილეთ: 1) დეკარტისათვის ის გარემოება, რომ მე ვცდები, არ შეიძლება იყოს შეცდომა; „ყოველ შემთხვევაში ის ხომ სანდოა, რომ მე მეჩვენება, თითქოს მე სინათლეს ვხედავ, ხმაურობა მესმის, სიცხეს ვგრძნობ. ეს არ შეიძლება იყოს შეცდომა"[2]. შეცდომის ფაქტი თვითონ არ შეიძლება შეცდომა იყოს, შეცდომის ფაქტი ჭეშმარიტებაა. 2) „კარგად დაფიქრების და ყველაფრის ბეჯითი გასინჯვის შემდეგ შეიძლება დავასკვნა და ურყევად ჩავთვალო, რომ ეს დებულება „მე ვარ, მე ვარსებობ" აუცილებლად ჭეშმარიტია"[3]. ეს ნიშნავს, რომ აქ არის დასკვნა (ყველაფრის უარყოფის საფუძველზე შესრულებული) და ამავე დროს უცილობელი ჭეშმარიტებაც. 3) „შეუძლებელია, რომ მე, რომელიც ვფიქრობ, არაფერი არ ვიყო მაშინ, როდესაც... მე ვფიქრობ"[4]. ეს უკვე არის არსებობის მომენტის დადგენა.

მაშასადამე, დეკარტის cogito-ში გაიგივებულია შემეცნებითი ჭეშმარიტების მომენტი, დასკვნის—ლოგიკურის მომენტი და არსებობის — ონტოლოგიური მომენტი. ასეთი მომენტების განხილვის

---

[1] W. Schuppe, Grundriss der Erkenntnistheorie und Logik, 1911, S. 4.

[2] რენე დეკარტი, მეტაფიზიკური განაზრებანი, გვ. 18.

[3] იქვე, გვ. 12.

[4] იქვე, გვ. 24.

გამო დეკარტის „მეტაფიზიკური განაზრებანი“ იწოდება სწორედ „მეტაფიზიკურად“, რაც აქ არისტოტელეს „პირველი ფილოსოფიის“ აზრით არის გაგებული.

დეკარტის „მე ვარ“, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ფიხტესთან გაგებულ და განხილულ იქნა უშუალოდ ლოგიკის კანონის A არის A-სთან დამოკიდებულებაში, სადაც ფიხტემ „A არის A“ გაიგო, როგორც დაქვემდებარებული „მე ვარ მე“-სადმი. ფიხტეს აზრით, „A არის A“ არის მსჯელობა, სადაც პირველი A არის სუბიექტი, მეორე A კი პრედიკატი. ამ მსჯელობის აზრი, ამბობს ფიხტე, გამოითქმება პირობითი დებულებით: თუ არის A, მაშინ არის A“, სადაც პირველი A პირობით არის დაშვებული; „თუ არის A“ არ ნიშნავს: „არის A “, მეორე A კი არის, მაგრამ სწორედ პირობითი დაშვების შედეგად. კავშირი „თუ — მაშინ“ აუცილებელია. აქ უსათუოდ ადგილი აქვს ლოგიკურ გარემოებას, ისე როგორც „მე ვარ“-ში არსებობაა დადგენილი. თუ „A არის A “ რაღაც უპირობის დადგენაა, მაშინ „მე ვარ მე“ უპირობო თვითდადგენაა, ამიტომ პირველი ექვემდებარება მეორეს. უპირობო არსებობა, ლოგიკური პირველი და შემეცნებისთვის პირველი ერთსა და იმავეშია გაიგივებული[1]. ასეთია ფიხტეს მეტაფიზიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობის პირველი დებულება.

ჰეგელმა მის წინ არსებული ასეთი მომენტების საფუძველზე მოგვცა მეტაფიზიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობა.

ჰეგელის თქმით, მისი ლოგიკა, „სპეკულაციური ლოგიკა შეიცავს წინანდელ ლოგიკას და მეტაფიზიკას, ინახავს აზრის იმავე ფორმებს, კანონებსა და საგნებს, მაგრამ ამავე დროს მათ შემდგომ ავითარებს და გარდაქმნის ახალი კატეგორიებით“[2]. მართლაც, სპეკულაციურ ლოგიკაში, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, შენახულია განსჯის ლოგიკაც და უარყოფითი დიალექტიკაც, მაგრამ შემონახულია მოხსნილი სახით, რადგან ისინი სპეკულაციური ლოგიკის მომენტებს წარმოადგენენ. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს აზრი, თითქოს ჰეგელი განსჯის ლოგიკას სრულიად უარყო-

---

[1] იხ. J. G. Fichte. Grundlage der gesamten Wissenschaftslehre. Medicus, 1911, S. 13—18.

[2] Hegel. Enz., I, § 9, შენიშვნა.

ფდა; მართალია, იგი მას უარყოფდა, მაგრამ ამ უარყოფას დიალექტიკური ხასიათი ჰქონდა, ე. ი. არა მხოლოდ უარყოფდა, არამედ ინახავდა კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰეგელი ძველ ლოგიკას ახალი ლოგიკის მომენტად წარმოიდგენდა, იგი ძველი ლოგიკის ფარგლებს არღვევდა, ავითარებდა რა ლოგიკას საერთოდ; ეს, სხვანაირად, იმას ნიშნავს, რომ იგი ძველი ლოგიკის აზრს ასაბუთებდა. მის ნამდვილ აზრს და მნიშვნელობას ადგენდა ლოგიკის განვითარების თვალსაზრისით და მის ფონზე. აქ უსათუოდ არის რაციონალური მარცვალი დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით. დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს და არ იწყებს საქმეს თავიდან.

ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის ფორმალურ ლოგიკასთან დამოკიდებულების საკითხი ცალკე გამოკვლევას მოითხოვს, ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ იმას, რასაც ჩვენი პრობლემის დაყენებისათვის აქვს მნიშვნელობა, მივუთითებთ მხოლოდ იმას, რომ ჰეგელთან ძველი ლოგიკის, მეტაფიზიკისა და შემეცნების თეორიის მასალის მოხმარის საფუძველზე შეიქმნა მეცნიერება, სადაც გაიგივებულია დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია, შეიქმნა ლოგიკის ახალი მეცნიერება.

ჰეგელთან ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრობლემა გადაწყვეტილია ყალბ, ობიექტურ იდეალისტურ საფუძველზე. ეს იგივეობა ამ ყალბ საფუძველზე უფრო ადვილად, იოლად, მიიღწევა, თუმცა ეს სიადვილე შეცდომის ხარჯზე სრულდება. საქმე იმაშია, რომ ჰეგელმა არსი და აზრი ერთმეორეს გაუგივა, მთელი სინამდვილე ღვთაებრივი აზრის განხორციელებად წარმოიდგინა. თუ არსი და აზრი ერთი და იგივეა, მაშინ ცხადია, რომ მეტაფიზიკა, რომელიც არსს სწავლობს და ლოგიკა, რომლის საგანსაც აზრი წარმოადგენს, ერთი და იგივე იქნება; ამ იგივეობაში შევა შემეცნების თეორიაც, რადგან აზრის თვისება შემეცნების თვისებაა, და თუ აზრი არსს უდრის, მაშინ შემეცნების. თვისების საფუძველზე აზრის განვითარების მოცემა, შემეცნების, სახელდობრ, თვითშემეცნების განხორციელება იქნება; და რადგან ყველაფერი ეს დიალექტიკურია, ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე გამოვა.

ჰეგელის აბსოლუტი შეიმეცნებს თავის თავს (თავის თავს, რადგან, აბსოლუტი ყველაფერია, მის გარეთ არაფერია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აბსოლუტი არ იქნებოდა). პირველად მან იცის ის, რომ ის აბსოლუტია, ასეთია და არა სხვანაირი, ე. ი. ის არის თვისობრიობა, შემდეგ მან იცის თავისი თავი როგორც რაოდენობა, შემდეგ — მათი ერთიანობა, ე. ი. მან იცის თავისი თავი როგორც არსი. შემდეგ ის გაიგებს იმასაც, რომ იგი, როგორც არსი თავის თავთან არის დამოკიდებულებაში. არსის თავის თავთან დამოკიდებულება—მიმართება კი არის არსება, რომელსაც განსაზღვრებები — კატეგორიები აქვს და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს — მთელი ეს პროცესი ჩამოყალიბდება როგორც კატეგორიების სისტემა, რაც მთელი შემეცნების, სახელდობრ, ფილოსოფიის ისტორიის ლოგიკურ გამოხატულებას წარმოადგენს. ამდენად ლოგიკას, როგორც კატეგორიების ლოგიკურ სისტემას, ერწყმის შემეცნების თეორიაც და ონტოლოგიაც. ყველაფერი ეს კი დიალექტიკურია.

ჰეგელმა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა დაამყარა ღვთაებრივი აზრის ძლიერებას, მის მისტიკურ უნარს თავისი თავის აბსოლუტური შემოქმედებისა და შემეცნებისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტიკა შესაძლებელი იყოს მხოლოდ იდეალიზმის საფუძველზე, თითქოს აბსოლუტური სუბიექტის მისტიკური უნარის გარეშე შეუძლებელი იყოს დიალექტიკა, დიალექტიკური ლოგიკა. ჩვენი აზრით, ჰეგელის აბსოლუტური სუბიექტის მისტიკური უნარი ხელს კი არ უწყობს დიალექტიკის შექმნას, არამედ ხელს უშლის; მასთან დიალექტიკა მისტიკურ სამოსელში იყო გახვეული, დიალექტიკა ეწინააღმდეგება ასეთ მისტიკურობას, საჭიროა ამ დიალექტიკის მისტიკისგან განთავისუფლება, რაც მარქსმა და ენგელსმა გააკეთეს, აიღეს რა ჰეგელიდან რაციონალური მარცვალი — მისტიკურობისგან გაწმენდილი დიალექტიკა და შექმნეს თვისობრივად ახალი—მატერიალისტური დიალექტიკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მეცნიერულად გადაწყვეტილიყო პრობლემა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობისა, რაზედაც ვ. ი. ლენინის ზემოთ მოყვანილი დებულება უშუალოდ მიუთითებს და გამოთქვამს.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, შემეცნების თეორია, ეს არის ობიექტუ-

რი სინამდვილის ადეკვატური ასახვის თეორია. აზრი სხვა არაფერია, თუ არა ასახვა. ამიტომ ლოგიკა, რომელიც აზრს სწავლობს, არ შეიძლება არ იყოს შემეცნების თეორიაც. მან აზრი უნდა შეისწავლოს ისე, რასაც ის წარმოადგენს, არ შეიძლება მან გამოტოვოს ასახვის — შემეცნება-გაგების მომენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აზრი აღარ შერჩება ხელში. მაგრამ, რადგან აზრი არის დიალექტიკური სინამდვილის, დიალექტიკური —განვითარებითი კანონზომიერების ბუნების მქონე სინამდვილის ასახვა, ამ ასახვისთვის კი, ვ. ი. ლენინის თქმით[1], აუცილებელია აზრის დიალექტიკურობა, ამიტომ იგი (აზრი) თვითონ არის დიალექტიკური. დიალექტიკური სინამდვილე აიძულებს აზრს იყოს დიალექტიკური. ამიტომ ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე უნდა იყოს და არის კიდეც.

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, ეს არის დიალექტიკის, როგორც მეცნიერების, ერთი ნაწილის (რამდენადაც დიალექტიკა აზრშია განხორციელებული), ლოგიკის მეცნიერებისა და ცოდნის თეორიის იგივეობა. ეს იგივეობა ემყარება და ასაბუთებს დიალექტიკურის, ლოგიკურისა და შემეცნებით-ცოდნითის იგივეობას, ცოდნისა და ლოგიკურის დიალექტიკურობას. მთავარი აქ, როგორც ითქვა, დიალექტიკურ-ლოგიკურისა და დიალექტიკური ლოგიკის პრობლემაა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც მეცნიერული ონტოლოგიის, ზოგიერთი კატეგორია, სახელდობრ, ის კატეგორიები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ლოგიკურში, როგორიცაა, მაგალითად, ფორმისა და შინაარსის, კერძოსა და ზოგადის, სასრულისა და უსასრულოს, წინააღმდეგობა—დაპირისპირების და სხვ. კატეგორიები, შევა ლოგიკაში. ამ ასპექტში ლოგიკა ონტოლოგიაც იქნება. ის, ლოგიკის ონტოლოგიაზე, აზრის არსზე ჰეგელიანური დამთხვევა-იგივეობა კი არ იქნება, არამედ სულ სხვა, სახელდობრ, ის, რომ ლოგიკაში შევა სპეციფიკურად (ისე როგორც ეს ლოგიკურისთვის არის დამახასიათებელი) წარმოდგენილი ზოგიერთი ონტოლოგიური განსაზღვრულობა. აზრი სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, რომელიც აზრშია გადატანილი და გადამუშავებული (მარქსი). ეს მა-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 237, 239.

უმეტეს ითქმის ზოგიერთ ონტოლოგიურ კატეგორიაზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ლოგიკურში. მით უმეტეს, რომ კატეგორიები, როგორც ცნებები, ერთიმეორეს ლოგიკურად უკავშირდებიან. ლოგიკა კი შეიცავს ცნებებს, როგორც ცნებებს, და მათ ლოგიკურ კავშირებს. ობიექტური კატეგორიების, როგორც ცნებების, ლოგიკა, ეს იქნება „ობიექტური ლოგიკა", ისეთი ნაწილი ლოგიკისა, რომელსაც უშუალოდ დაემყარება ცნება-მსჯელობა-დასკვნის და ბოლოს დასაბუთების თეორია.

აქ რაც ითქვა, ეს იყო ზერელე აღნიშვნა იმისა, რისი მომენტები შემდგომ უფრო დაწვრილებით იქნება დახასიათებული. პრობლემის დასმისათვის თქმულიც საკმარისია; მაგრამ ზემოთ თქმული შეეხება პრობლემას ზოგადად და, ამავე დროს, ერთ მხარეს. პრობლემის დასმა რომ სისრულით იყოს წარმოდგენილი, საჭიროა კიდევ რამდენიმე მომენტის აღნიშვნა.

C) აზრის განსაზღვრულობის ლოგიკური განხილვის წესი. აზრის განსაზღვრულობის ლოგიკური განხილვის წესი გამოყოფს იმ იგივეობრივს, რომელიც საერთოა ლოგიკურისა და შემეცნებისათვის, ანუ, სხვანაირად, ეს წესი შემეცნებაში თუ ცოდნაში იმას უსვამს ხაზს, რაც ლოგიკურია და ლოგიკურში იმას, რაც არსებითია ცოდნისათვის. აზრის რომელიმე განსაზღვრულობის ლოგიკური წესით განხილვა, ეს არის ამ განსაზღვრულობის განხილვა ცნების თვალსაზრისით, სახელდობრ, ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით. რაიმეს ცნების განსაზღვრება არის იმის აზრობრივი გამოთქმა, რასაც ეს რაიმე წარმოადგენს, ეს არის პასუხი კითხვაზე: რა არის? — რა? როგორც ამას არისტოტელე იტყოდა. რაიმე განსაზღვრულობის განხილვის ეს წესი არის ამ განსაზღვრულობის განხილვა თავისთავად, კატეგორიალურად, ე. ი. — სუბიექტურისა და ობიექტურის ფსიქოლოგიური დაპირისპირების გარეშე. ჰაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ წინააღმდეგობა აზროვნებაში არის შეცდომა, მაშინ ვიყენებთ წინააღმდეგობის კატეგორიას, როგორც საფუძველს. მართალია, აზროვნებაში რაიმე წინააღმდეგობა შეიძლება იყოს შეცდომა, რადგან რაიმე აზრის მიერ თავისი თავის გაუქმება, მართლაც, შეცდომას მოგვცემს, მაგრამ თვითონ წინააღმდეგობა, როგორც კატეგორია, რომელსაც ასეთ შემთხვევაში ვიყენებთ, თვითონ არ შეიძლება იყოს შეცდომა. ჩვენ აქ მხოლოდ

იმის თქმა გვინდა, რომ თუ აზროვნებაში წინააღმდეგობა შეცდომას ნიშნავს, მაშინ წინააღმდეგობა აღებული თავისთავად. კატეგორიალურად არის ისეთი ლოგიკური, რომელიც შემეცნებაში — ცოდნაში მოქმედებს როგორც არსებითი. თუ წინააღმდეგობა აზროვნებაში არის შეცდომა, მაშინ პასუხი კითხვაზე, თუ რა არ ს ეს წინააღმდეგობა შეიძლება არ იყოს შეცდომა. სუბიექტური აზრი, რომელიც არ ასახავს სინამდვილეს, ან დაძახინჯებულად ასახავს მას, თავისთავად აღებული, ე. ი. ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით აღებული, აღარ იქნება შეცდომა; პასუხი კითხვაზე: რა არის ასეთი სუბიექტური აზრი, შეიძლება იყოს ჭეშმარიტი.

ერთი სიტყვით, აზრის განსაზღვრულობის ლოგიკურად განხილვა ავლენს შემეცნებაში იმას, რაც არსებითია მასში და რაც სწორედ ლოგიკურს წარმოადგენს. შემეცნებაში ლოგიკური არის ჭეშმარიტების აზრით ობიექტური. ასეთ ობიექტურში შემეცნებითი და ლოგიკური ერთი და იგივეა, ეს სრულიად ნათელი გახდება მაშინ თუ შევასრულებთ გნოსეოლოგიის მოთხოვნას შემეცნებიდან, ცოდნიდან ფსიქოლოგიური მომენტის გამორიცხვის შესახებ. ლოგიკასა და გნოსეოლოგიაში არსებითია შემეცნებითის, როგორც ცოდნის, ლოგიკურისა და კატეგორიალურ-ობიექტურის იგივეობა. ამდენად არიან ისინი — ლოგიკა და გნოსეოლოგია ერთი და იგივე.

სოკრატეს თქმა, რომ მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი, იყო გარკვეული ცოდნა, არცოდნაზე ამაღლდება. დეკარტის მიერ შეცდომის ფაქტის აღიარება უკვე აღარაა შეცდომა, არამედ ჭეშმარიტებაა. კანტის მეორე ანტინომიაში განხილული საპირისპირო განსაზღვრებები — წყვეტილობა და განუწყვეტლობა, აღებული თავისთავად, წარმოადგენენ მომენტებს, რომელთა ერთიანობაც ერთი და იგივეა, სახელდობრ, რაოდენობის კატეგორია. კანტის პირველი ანტონომიების ძირითადი ცნებები — სასრული და უსასრულო, თუ ისინი აღებული იქნებიან ლოგიკურად, მაშინ ჩვენ ისინი მათ აუცილებელ ერთიანობამდე მიგვიყვანს, რაც კანტმა ვერ განახორციელა, რადგან შეზღუდული იყო ფსიქოლოგიზმით; მან ეს ცნებები განიხილა არა თავისთავად, არა ლოგიკურად, არამედ ობიექტურ ქვეყანასთან „მე"-ს ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაში, მაშინ როცა მისთვის, მისი გნოსეოლოგიისათვის მთავარი

იყო ლოგიკური როგორც ცოდნისათვის არსებითი, — მეცნიერების სწორედ ლოგიკური პირობები.

მატერიალისტურ დიალექტიკაში დასაბუთებულია, რომ არსებობს არსისა (ბუნება და საზოგადოება) და აზრის უზოგადესი კანონები, რომელთა შესახებაც მეცნიერებისაც სწორედ მატერიალისტური დიალექტიკა წარმოადგენს. ეს კანონები იგივეობრივია დიალექტიკური სინამდვილისა და დიალექტიკური აზროვნებისათვის. ეს იგივეობრივი არ არის არსისა და აზრისათვის რაღაც მესამე თუ პირველი სფერო, როგორც ეს არისტოტელეს წარმოედგინა „პირველი ფილოსოფიის" საგნის სახით, არა, ეს იგივეობრივი. თანახმად მატერიალისტური — მეცნიერული თვალსაზრისისა, არის აზროვნების მიერ სინამდვილის არსებობის „რეპროდუქცია" (მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ). მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც გარკვეული „პირველი ფილოსოფიის" საგანი, გადმოტანილი აზროვნებაში, ეს არის ცოდნაც და ისიც, რასაც ლოგიკის საგანი შეადგენს. ეს არის გარკვეული (არა ყველა) კატეგორიები და კატეგორიების ლოგიკური კავშირ-სისტემა. ამ მხრივ, დიალექტიკა, სწორედ დიალექტიკის მეცნიერება, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. აქ გვაქვს ისეთი მეცნიერება, სადაც ლოგიკური წესით განხილული ცოდნა სინამდვილისა კატეგორიების ლოგიკაში მდგომარეობს.

ლოგიკური საგანია ყველაფერი, რაზედაც აზროვნება შეიძლება, აზროვნება კი ყველაფერზეა შესაძლებელი; ლოგიკის საგანში ყველაფერი, როგორც მისი საგანი, გაიგივებულია; აზრის ფორმები, აღებული თავისთავად, არის საგანი, ისე როგორც საგანი ცოდნაში ლოგიკური ფორმით არის წარმოდგენილი. შემეცნების, როგორც საგნის ცოდნის, და ლოგიკურის იგივეობა დამყარებულია აზრის განსაზღვრულობების ლოგიკური წესით განხილვაზე.

ყველაფერი ეს ითქვა საკითხის მხოლოდ დასმის წესით. თუ მართალია ის, რაც ზემოთ ითქვა, მაშინ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე იქნება.

d) **რეფლექსურობა ლოგიკაში.** ზემოთ თქმულიდან უშუალოდ გამოდის ის, რომ ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში ადგილი აქვს ერთსა და იმავე რეფლექსურობის მომენტს.

შემეცნების თეორიაში შემეცნებაც ცოდნაა და მის შესახებ თეორიაც ცოდნას წარმოადგენს, ეს არის ცოდნის ცოდნა, რასაც

გარკვეული რეფლექსურობა ახასიათებს. ლოგიკაც, როგორც მეცნიერება, არის ცოდნა ცოდნის, სახელდობრ, ცოდნის ფორმების შესახებ. აქაც ადგილი აქვს რეფლექსურობას. ეს რეფლექსურობა ლოგიკისათვის დამახასიათებელი იყო მისი ისტორიის მთელ მანძილზე — არისტოტელედან დღემდე და არაა მხოლოდ თანამედროვე ფორმალური ლოგიკის განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია, როცა აღნიშნავენ, რომ ძველი ლოგიკა იყო არსის ცოდნის შესახებ ლოგიკა, ახალი ლოგიკა კი ცოდნის ფორმის შესახებ ლოგიკაა[1]. „არისტოტელეს არსის ლოგიკა", ეს იყო არსის შესახებ ცოდნის ლოგიკა, სწორედ არსის შესახებ ცოდნის ფორმების შესახებ მეცნიერება. ამიტომ მისთვის ისევე დამახასიათებელი იყო რეფლექსურობა, როგორც იმ ლოგიკისათვის, რომელიც ცდილობს აზრის ფორმები დაიყვანოს სიმბოლოების კავშირამდე, რაც რეფლექსურობას უფრო ეწინააღმდეგება, ვიდრე გამოხატავს, რამდენადაც: 1) რეფლექსია ცოდნისათვის არის დამახასიათებელი და არა სიმბოლოებისათვის; 2) რეფლექსის ფორმალიზირება არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ეს ჯერ არავის მოუხდენია; 3) როგორც ცნობილია, მათემატიკის დაფუძნებასა და მათემატიკურ ლოგიკაში სიძნელეებს სწორედ რეფლექსური ცნებები, რეფლექსურობა ჰქმნის; 4) მათემატიკურ ლოგიკას საქმე აქვს საგნობრივ მიმართებებთან, ამიტომ აქ რეფლექსურობა უფრო გამოირიცხება, ვიდრე დგინდება.

ცოდნის ლოგიკური მეთოდი, სახელდობრ, დიალექტიკური მეთოდი, ფილოსოფიურ ლოგიკას არ ეძლევა წინასწარ და მზამზარეულად; ის არა მარტო მეთოდია ფილოსოფიური ლოგიკისათვის, არამედ საგანსაც წარმოადგენს. დიალექტიკური მეთოდი ლოგიკური მეთოდია, ის არის მისი საგანიც. დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს დიალექტიკურ მეთოდს, განხორციელებულს აზროვნების ფორმებში. ამიტომ მეთოდი, როგორც გარკვეული ობიექტური საშუალება, არის საგანიც ფილოსოფიური ლოგიკისათვის. დიალექტიკური მეთოდის განხილვა უნდა მოხდეს დიალექტიკურად. აქ ნათელია ლოგიკური რეფლექსურობა, რომელიც არსებითია შემეცნების თეორიაშიც.

---

[1] G. Günther, Aristotelische Logik des Seins und nicht-aristotelische Logik der Reflexion (Zeitschrift f. Phil Forschung. 1958, XII[3],).

შემეცნების მეთოდი და ლოგიკური მეთოდი — დასაბუთების მეთოდი ერთი და იგივეა, თუ ეს მეთოდი მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდია, რომელშიც იგულისხმება გარკვეული კანონები და კატეგორიები და ყველაფერი, რაც მათ ექვემდებარება.

ამიტომ კატეგორიები, როგორც აზრის ობიექტური საშუალებები — საფუძვლები, გამოყენებული თვითონ მათ მიმართ, რასაც ლოგიკისათვის არსებას წარმოადგენს, ჰქმნის ერთგვარ. რეფლექსიას, რაც არსებითია შემეცნების თეორიაშიც, რამდენადაც ის განთავისუფლებულია ყოვლეგვარი ფსიქოლოგიური დანამატისაგან. ლოგიკური რეფლექსია, ეს არის აზრი აზრის საშუალებებზე—ფორმა-კანონებზე-წესებზე. ლოგიკური ფორმის მიმართ იმავე ლოგიკური ფორმის გამოყენება, რასაც ადგილი აქვს ფილოსოფიურ ლოგიკაში ანუ დიალექტიკურ ლოგიკაში, ლოგიკური რეფლექსიის ნიმუშს წარმოადგენს. მუშავდება ცნება ცნების შესახებ, მსჯელობა მსჯელობის შესახებ, დგინდება დიალექტიკის ცნებების დიალექტიკურობა, ხდება დიალექტიკურ ლოგიკური მეთოდის გამოყენება თვითონ დიალექტიკური ლოგიკისადმი, ლოგიკური ფორმებისადმი, რომელთაც დიალექტიკური ხასიათი აქვთ. ასეთი რეფლექსია სისრულით არის განხორციელებული უსასრულო დასკვნაში, საერთოდ, და, კერძოდ, კი უსასრულო დასკვნაში როგორც დასაბუთების საწყისში, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

უსასრულო დასკვნა, როგორც თვითდაფუძნება, სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული ლოგიკური რეფლექსია, საიდანაც, როგორც არსებიდან, იწყება დასაბუთება. ეს რეფლექსია მოქმედებს შემეცნების თეორიაშიც. დიალექტიკა, როგორც ცნობილია, არის მეთოდოლოგია ცოდნის, მეცნიერების. ეს მეთოდოლოგია შემუშავდა სწორედ გნოსეოლოგიაში. ამიტომ, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, შემეცნების თეორია გადაიქცა ლოგიკად. ლოგიკა კი დასაბამიდანვე იყო შემეცნების იარაღი, „ორგანონი", რომელიც შემეცნების თეორიაში აღსდგა, როცა კი მასში ძირითადი გახდა კატეგორიები და მათი ღედუქცია. მაშასადამე, რამდენადაც შემეცნების თეორია და ლოგიკა მოძღვრებებია ერთსა და იმავე მეთოდზე, რომელიც ცოდნასა და მის ლოგიკურ ფორმებში ხორციელდება, ამდენად ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა; ეს არის დიალექტიკაც, ამიტომ აქ ერთი მეცნიერება გვაქვს, „არ არის საჭირო სამი სიტყვა".

დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ეოთი და იგივეა არა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ სწორედ ლოგიკური თვალსაზრისით, დიალექტიკის თვალსაზრისით და ფსიქოლოგიზმისაგან თავისუფალი გნოსეოლოგიის თვალსაზრისით.

e) **ლოგიკის მეცნიერების აბსოლუტურობა.** თქმულიდან ისიც გამოდის, რომ ლოგიკა გარკვეული აზრით, აბსოლუტური მნიშვნელობის მქონეა სხვა მეცნიერებების მიმართ, რადგან შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფილოსოფიური ლოგიკა. აზროვნების ლოგიკური ფორმები ზოგადია საერთოდ ცოდნისათვის, ყველა მეცნიერებისათვის. ამიტომ ლოგიკა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, და ისიც მხოლოდ ფილოსოფიური. ორი ლოგიკის აღიარება მოითხოვს მათ გვარს — მესამეს და ა. შ. უსასრულოდ, რაც უაზრობას წარმოადგენს.

ყოველი მეცნიერება იმას ნიშნავს, რომ იგი თავის საგანს აზროვნების ლოგიკურ ფორმებში, მაგალითად, ცნებებში აითვისებს. აზროვნების ლოგიკური ფორმები, რომლებიც ერთი და იგივეა ყველა მეცნიერებისათვის, ლოგიკის საგანს წარმოადგენს. თვითონ შინაარსი მეცნიერებისა ყალიბდება აზროვნების ფორმებში — ცნებებში, მსჯელობებსა და დასკვნებში; მეცნიერება სისტემაა, იგი დასაბუთების სისტემას წარმოადგენს. ასე რომ, ყოველ მეცნიერებაში ხდება ლოგიკის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცნიერება შეუძლებელი იქნებოდა. ლოგიკური თვალსაზრისით, სწორედ ლოგიკის გამო მეცნიერება არის მეცნიერება. მართალია, მეცნიერება რომ არ ასახავდეს სინამდვილეს, იგი არ იარსებებდა. ცოდნა, მეცნიერება სინამდვილის ადექვატური ასახვაა. მაგრამ ეს ასახვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის აზროვნების ლოგიკურ ფორმებში არ ყალიბდებოდეს.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ „ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა"[1]. ასეთია, მაგალითად, ის მეცნიერება, რომელიც კ. მარქსს მოცემული აქვს „კაპიტალში". ვ. ი. ლენინი სწორედ ამ აზრით ამბობს, რომ „კაპიტალში" გამოყენებულია ერთი მეცნიერებისაგმი ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია მატერიალიზმისა", რომლებიც ერთსა და იმავეს წარმოადგენენ[2]: ეს არის

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 174.

[2] იქვე, გვ. 215.

დიალექტიკური ლოგიკა. ამასვე აღნიშნავს ვ. ი. ლენინის შემდეგი დებულებაც: „ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსთან არის დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევა“[1]. ეს, ცხადია, იმასაც ნიშნავს, რომ კაპიტალში გამოყენებულია საერთოდ დიალექტიკა, მაგრამ ამასთანავე გამოყენებულია დიალექტიკური ლოგიკაც, ის ლოგიკა, რომელიც დიალექტიკურია და შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს.

დიალექტიკა, როგორც მეცნიერება არსისა და აზრის უზოგადეს კანონებზე, ცხადია, გამოყენებულ უნდა იქნეს ყოველ კერძო მეცნიერებაში. ზოგადი კერძოში ხორციელდება. მაგრამ აზროვნების ფორმებიც გამოყენების მხრივ, კერძო მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა. ამ მხრივ, ლოგიკა, სწორედ ლოგიკური თვალსაზრისით, არის ყველა მეცნიერების, საერთოდ ცოდნის საწყისი.

თუ ყოველი მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა, მაშინ, ამ მხრივ, თვითონ ლოგიკა აბსოლუტურია იმ აზრით, რომ იგი სხვა მეცნიერებას არ ემყარება; ეს იმ აზრით, რომ ლოგიკა ლოგიკურად არაფერს არ ემყარება, ამიტომ სხვა რაიმეთი ლოგიკურად არ საბუთდება, მას არ აქვს სხვა ლოგიკური საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკისა და მისი ლოგიკური საფუძვლის კავშირისათვის სხვა ლოგიკა იქნებოდა აუცილებელი, რაც უაზრობას წარმოადგენს. ლოგიკა სინამდვილეს ემყარება, სინამდვილე მისი რეალური საფუძველია და არა ლოგიკური, წინააღმდეგ შემთხვევაში, სინამდვილე ლოგიკური ბუნების მქონედ უნდა წარმოგვედგინა, რაც ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე დგომა იქნებოდა. ლოგიკა სხვა მეცნიერებებს ემყარება, რამდენადაც იგი მათგან მასალას და მაგალითებს ღებულობს, მაგრამ ამით ლოგიკას სხვა მეცნიერებები არ ასაბუთებენ, არ ასაბუთებენ, ცხადია, ლოგიკურად. ლოგიკა თვითონ არის ლოგიკური — დამსაბუთებელი საფუძველი ყველა მეცნიერებისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელნი თავიანთ საგანს აითვისებენ ლოგიკურ ფორმებში, რომლებიც მხოლოდ ლოგიკის მიერ შეისწავლებიან და ლოგიკურობას თვითონ ეს ფორმები წარმოადგენენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იქვე, გვ. 328.

თუ ყოველი მეცნიერება გამოყენებითი ლოგიკაა, მაშინ ყოველი მეცნიერება იქნება ლოგიკა არა ასომთავრულით, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მარქსის „კაპიტალის“ მიმართ აღნიშნავს[1]. ვ. ი. ლენინის ეს დებულება იმას ნიშნავს, რომ ლოგიკა გაიგივებულია ცოდნის ლოგიკასთან, ლოგიკის მეცნიერება კი — შემეცნების თეორიულ ლოგიკასთან, რომელიც დიალექტიკური უნდა იყოს. ამდენად ლოგიკა, დიალექტიკა და ცოდნის თეორია ერთი და იგივეა.

ბ) **ლოგიკური დალაგებისა და შემეცნების წესთა იგივეობის შესახებ.** ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის საფუძველს წარმოადგენს ლოგიკური დალაგება-გადმოცემის და კვლევა-ძიების წესების ის იგივეობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. თუ ლოგიკური დალაგება-გადმოცემა იწყება ერთმხრივიდან და ლოგიკური აუცილებლობით გადადის კონკრეტულზე, ისე რომ ადგილი აქვს ახლის მიღებას, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს დასაბუთებისა და აღმოჩენის წესების იგივეობასთან, ერთსა და იმავე დიალექტიკურ წესთან, აზროვნების დიალექტიკური წესი აიგივებს ლოგიკას და შემეცნების თეორიას. ერთმხრიობებიდან კონკრეტულის მიღება, ეს არის შინაარსეული კერძოდან შინაარსეული ზოგადის მიღება; და თუ ერთმხრიობები საპირისპირონი არიან, მაშინ მათგან მათი ერთიანობის მიღება დაპირისპირებულთა ერთიანობის განხორციელება იქნება, როგორც ლოგიკურად ისე შემეცნებების ხაზითაც, რომლებიც ამ ხაზში — ამ გზაში ერთიმეორისაგან აღარ განსხვავდებიან. აზრის განსაზღვრულობების, მისი ფორმების და ამ უკანასკნელთა სახეების განვითარებითი დალაგების შესახებ ცოდნა, ერთსა და იმავე დროს, ლოგიკაცაა და შემეცნების თეორიაც.

ზემოთ თქმული, ვფიქრობთ, საკმარისია ლოგიკის, შემეცნების თეორიისა და დიალექტიკის იგივეობის საკითხის დასმისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოითხოვს ზოგიერთი სპეციალური საკითხის განხილვას, რომელთაგან ზოგიერთი განხილული გვაქვს ამ შრომაში, ზოგიერთი კი — სხვა შრომებში, აქ კი მათ გადმოცემი მოკლედ და ერთგვარი სისტემით, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს აღნიშნული პრობლემა.

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 215.

ბ ლოგიკურის ობიექტურობის შესახებ. მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში სიტყვა „ობიექტური“ ორი მნიშვნელობით ისმარება: 1) ობიექტური ნიშნავს იმას, რაც არსებობს აზრისგან დამოუკიდებლად სინამდვილეში როგორც გარკვეული მატერიალური საგანი, თვითონ მატერიალური სინამდვილე. 2) ობიექტური იმასაც ნიშნავს, რაც არსებობს აზრში, როგორც ამ აზრის შინაარსი, რომელიც აზრისაგან, სუბიექტისაგან დამოუკიდებელია. ეს არის ჭეშმარიტების აზრით გაგებული ობიექტური. ლოგიკურის ობიექტურობა სწორედ ასეთი ხასიათისაა. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ობიექტურობას ერთი ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ეს არის აზრისაგან დამოუკიდებლობა.

თუ ლოგიკური ობიექტურია, მაშინ გადაწყვეტილია ლოგიკისა და შემეცნების თეორიის დამოკიდებულების საკითხიც. ლოგიკურის ობიექტურობა შემეცნებითობასაც შეიცავს, ჭეშმარიტების მნიშვნელობასაც ატარებს. თუ ლოგიკური არ არის ობიექტური, მაშინ ის სუბიექტური იქნება, მაგრამ სუბიექტური აზრები და აზრთა წყობა, აზრთა პროცესი, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს და არა ლოგიკისა. ლოგიკური ან ობიექტურია, ანდა საერთოდ არ არსებობს. დებულება, რომ 2×2=4, ობიექტურია, რადგან ის გამოხატავს საგანს — 2×2=4. ეს არ არის ჩვენი დარწმუნებულობა, ან განცდა—სუბიექტური რაღაც, თუმცა ფსიქოლოგიური მომენტის გარეშე არ შეიძლება რაიმე აზრი არსებობდეს. ლოგიკური აღებულ უნდა იქნეს ფსიქოლოგიურის გარეშე. მხოლოდ როგორც ობიექტური, წინაალმდეგ შემთხვევაში, ლოგიკური და ფსიქოლოგიური ერთიმეორეში აირევა, ამით კი ფსიქოლოგიაც დაზარალდება და ლოგიკაც.

ლოგიკური აზრი არ შეიძლება ობიექტური არ იყოს, რადგან აზრი უნდა გამოთქვამდეს არსს; აზრი, როგორც ცოდნა, არის გარკვეულობის გამოთქმა, სწორედ აზრობრივი გამოთქმა. ყოველ ჭეშმარიტ აზრს აქვს საგანი; საგანი აქვს არაჭეშმარიტ აზრსაც. რომელიც მას არაადეკვატურად ასახავს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აზრი საგნით განისაზღვრება; აზრი არის აზრი საგანზე, რომელიც მის შინაარსად წარმოსდგება. შეუძლებელია აზრი საგნის გარეშე. თუ დავუშვებთ, რომ არსებობს აზრი ისე, რომ არ ეგაქვს საგანი, რომელსაც ის უნდა გამოთქვამდეს და გამოთქვამს, მაშინ ასეთი აზრი თვითონ იქნება საგანი, რომელიც იარსებებს ან აზრის გარე-

შე, ე. ი. გვექნება აზრი, რომელიც უაზროა, ანდა გვექნება აბსოლუტური აზრი — აზრი-საგანი, ისეთი აზრი, რომელიც, ამავე დროს, საგანიც არის. მაგრამ ეს უკვე საგნის აღიარება, საგნის თავიდან მოუცილებლობა იქნება. ამიტომ, არ შეიძლება აზრი უსაგნოდ. თუ **აზრი** გაგებული იქნება როგორც სიმბოლო, მაშინ ეს სიმბოლო **რაიმეს უნდა აღნიშნავდეს,** მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს; **თავი რომ დავანებოთ იმას, რომ** ეს მნიშვნელობა იქნება აზრი, რომელსაც საგანი ექნება, სიმბოლოს მნიშვნელობა თვითონ სიმბოლოს საგანი იქნება. თუ სიმბოლო არაფერს არ აღნიშნავს, მაშინ იგი სიმბოლოც არ იქნება. თუკი დავუშვებთ,რომ არსებობს მხოლოდ სიმბოლო, მაშინ ეს სიმბოლო იქნება საგანი და საჭირო იქნება ახალი სიმბოლო, ან, საგნად მისი წარმოდგენის გამო, ეს თავის — სიმბოლოს აზრს დაკარგავს; გვექნება ან უსიმბოლო სიმბოლო, ან საგანი უსიმბოლოდ, ან სიმბოლო უსაგნოდ, რაც, როგორც ახლა ითქვა შეუძლებელია, — ისე როგორც შეუძლებელია უსაგნო აზრი ან — უაზრო აზრი.

საგანი წინ უსწრებს აზრს არა მხოლოდ ფაქტიურად, ჯერ საგანი არსებობს და შემდეგ შეიძლება ადგილი ჰქონდეს აზრს მის შესახებ, და არა მხოლოდ გნოსეოლოგიურად, არამედ, ამავე დროს, ლოგიკურადაც (რაც გნოსეოლოგიურს უნდა დაემთხვეს); აზრისათვის საგანი ლოგიკურადაც აუცილებელია, რადგან შეუძლებელია უსაგნო და უშინაარსო აზრი (ეს არ ნიშნავს, როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ, იმას, თითქოს ყოველი აზრი ჭეშმარიტი იყოს). აზრისათვის ლოგიკურად აუცილებელია ის, რაც არ არის აზრი, რაც საგანს წარმოადგენს აზრისათვის, და რაც ამიტომ აზრის შინაარსის სახით არის წარმოდგენილი. უშინაარსო აზრი, როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა, შეუძლებელია.

ლოგიკურის ობიექტურობის უარყოფა შეუძლებელია. ობიექტურობის უარყოფის შემთხვევაში, ჩვენ იძულებული გავხდებით სუბიექტურობა მივიღოთ აბსოლუტური მნიშვნელობით. მხოლოდ სუბიექტურობის აღიარება, ეს არის სუბიექტის აბსოლუტურად, ობიექტურად წარმოდგენა. ობიექტურობის უარყოფა და მხოლოდ სუბიექტურობის აღიარება თავის საწინააღმდეგოში გადასვლას ნიშნავს, ეს არის სუბიექტურის ობიექტურად წარმოდგენა. ეს არის შეცდომა, მაგრამ ისეთი, რომელიც გვიმტკიცებს იმას, რომ შეუძლებელია უარვყოთ, თავიდან ავიცილოთ ობიექტუ-

რობა; ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტურობის უარყოფა შეუძლებელია. კიდევ მეტი, ობიექტურობის უარყოფა თვითონ გვაჩვენებს ობიექტურობის აუცილებლობას. ობიექტურობის უარყოფის შემთხვევაში არა მხოლოდ სუბიექტური უნდა მივიღოთ ობიექტურის აზრით,არამედ ობიექტურობის უარყოფის შემძლე უარყოფაც აბსოლუტური და ობიექტური მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტურობის უარყოფის შესახებ ვერც კი ვილაპარაკებდით. მაშასადამე, ლოგიკური აუცილებლად ობიექტურია, ობიექტურობის უარყოფა თვითონ მისივე დადგენა-დასაბუთებაა.

ლოგიკურის ობიექტურობა შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ლოგიკური კანონები ობიექტური სინამდვილის კანონებით იქნებიან განსაზღვრული. მატერიალისტური დიალექტიკა სწორედ ამას აღიარებს; კიდევ მეტი, ლოგიკური კანონები არა მარტო განისაზღვრებიან ობიექტური სინამდვილის კანონებით, არამედ ისინი, არსებითად ერთსა და იმავე კანონებს წარმოადგენენ. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ჰეგელის დიალექტიკა ცნებათა დიალექტიკას წარმოადგენს, ჰეგელთან დიალექტიკის კანონები მხოლოდ აზროვნების კანონებს წარმოადგენენ, მატერიალისტური დიალექტიკის შექმნით კი „დიალექტიკა გადაიქცა მეცნიერებად როგორც გარეგანი სამყაროს, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობის ზოგადი კანონების შესახებ; ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან...“[1]. აქ ლაპარაკია არსისა და აზრის უზოგადეს კანონებზე და არა არსის ყველა კანონის აზრის კანონებთან თუ პირიქით გაიგივებაზე. მიზეზობრიობის კანონი არ არის ლოგიკური კანონი, მაგრამ დიალექტიკის ცნობილი კანონები კ. მოქმედებს არსშიც. და აზრშიც. უარყოფის უარყოფა, დაპირისპირებულთა ერთიანობა არსშიც არის და აზრშიც. რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლა, ეს არსებითად, არის ახლის მიღება. ლოგიკური პროცესი ახლის აუცილებელი მიღების პროცესია. ეს კანონები, მართალია, არსშიც მოქმედებენ და აზრშიც, მაგრამ ისინი ამ სფეროში სპეციფიკურობას იძენენ; ერთ

---

[1] ფ. ენგელსი, ლ. ფოიერბახი, იხ. კ. მარქსის და ფ. ენგელსის „რჩეული ნაწერები“ ტ. II, 465. 1950.

შემთხვევაში საგანთა კავშირის კანონებია, მეორე შემთხვევაში კი ცნება — კატეგორიების და მსჯელობათა კავშირის კანონებს წარმოადგენენ. ასე ესმოდა არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ეს კანონი მას წარმოდგენილი ჰქონდა „პირველი ფილოსოფიის“ კანონად, ე. ი. არსის კანონად, მაგრამ იგი თავისებური ფორმით მოქმედებდა „ანალიტიკებშიც“ — ლოგიკურ სფეროში.

არსის გარკვეული კანონების მოქმედება აზრში ხდება სპეციფიკური ფორმით, მაგრამ ეს სპეციფიკურობა სწორედ ზოგადის სპეციფიკურობაა. ამ ორი სფეროსათვის ასეთი საერთოს გარეშე შეუძლებელია ლოგიკურის ობიექტურობა. ლოგიკური ობიექტურია, რადგან მასში მოქმედებს არსის გარკვეული კანონები. რომ არსსა და აზრში აბსოლუტურად სხვადასხვა კანონი მოქმედებდეს, მაშინ არსი აზრისათვის გაუგებარი იქნებოდა და ლოგიკურის ობიექტურობა შეუძლებელი ანდა მოგვიხდებოდა დ.ალიზმის პოზიციებზე დადგომა, ორი კანონზომიერების, ორი ობიექტურობის და ისეთი უაზრობის დაშვება, რის შეუძლებლობა თვითონ დაასაბუთებდა ერთი ზოგადი კანონზომიერების აუცილებლობას და ლოგიკურის ობიექტურობის შესაძლებლობას.

ლოგიკური ობიექტურია, რადგან აზრს საგანი აიძულებს იყოს ასეთი და არა სხვანაირი; დიალექტიკური საგანი აიძულებს აზრს იყოს დიალექტიკური. ამ გარემოების პირველ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოძრაობის ასახვა ლოგიკურში, ცნება-მსჯელობაში. ის პრობლემა, რომელიც პირველად დაისვა ელეველებში, ძენონის პრობლემა, რაც მოძრაობის ბუნებას ეხებოდა და არადიალექტიკური აზროვნებისათვის დღემდე გაუგებარი დარჩა, ეს არის პრობლემა მოძრაობის გამოხატვისა ცნებათა ლოგიკაში. ძენონის საკითხი, ეს იყო საკითხი, არა იმის შესახებ, არის თუ არა ფაქტიურად მოძრაობა, არამედ — საკითხი მოძრაობის გამოხატვისა ცნებებში, ლოგიკურში; — вопрос не о том, есть-ли движение, а о том, как его выразыть в логике понятий.[1] მართალია, აზრი აუხეშებს მოძრაობას, მაგრამ მოძრაობის გამოხატვა აზრით არის დიალექტიკური, რაც გამოიხატება ფორმულით: დაპირისპი-

[1] В. И. Ленин. Философские тетради, стр., 240

რებულთა ერთიანობა, იგივეობა[1]. დიალექტიკის ეს კანონი უშუალოდ გამოიხატება მოძრაობის ლენინურ განსაზღვრებაში: Движение есть единство непрерывности (времени и пространства) и прерывности (времени и пространства). Движение есть противоречие, есть единство противоречий[2]. დიალექტიკურია მოძრაობა და მისი ამსახველი აზრიც; ლოგიკური, რომელიც გამოხატავს მოძრაობას უნდა იყოს და არის დიალექტიკური. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოძრაობა მოჩვენებად უნდა ჩაგვეთვალა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძენონთან და შემდგომ ბევრ სხვა მოაზროვნესთან. მაგრამ მოჩვენებაც ხომ მოძრაობაა.

მოძრაობა არის არსშიც და აზრშიც; ლოგიკური პროცესი, „ლოგიკური განვითარება" (ფ. ენგელსი) თავისებურ მოძრაობას წარმოადგენს. მატერიალისტურ დიალექტიკაში დასაბუთებულია, რომ ყოველგვარ მოძრაობაში, მაშასადამე, ლოგიკურ მოძრაობაშიც აუცილებელია უარყოფა და წინააღმდეგობა. ერთი და იგივე საგანი ერთსა და იმავე ადგილზე კიდეც არის და არც არის; რომ მხოლოდ იყოს ან მხოლოდ არ იყოს, მაშინ მოძრაობა არ გვექნებოდა. თუ მოძრავი საგანი რაიმე ადგილზე მხოლოდ არის, მაშინ იგი არ მოძრაობს, არამედ გაჩერებულია; თუ ის იქ არ არის, მაშინ საგნის იქ მოძრაობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მოძრაობის ცნება მოითხოვს, რომ მოძრავი საგანი ერთსა და იმავე ადგილზე კიდეც იყოს და არც იყოს. ამ შემთხვევაში მოძრაობა არის ერთიანობა ორი მომენტისა — „არის" და „არ არის", რომელთაც შედარებითი მნიშვნელობა აქვთ და არა აბსოლუტური, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით უაზრობას — „არის" და „არ არის" მომენტების ურთიერთ გაუქმებას.

ამიტომ მოძრაობა აიძულებს აზრს იყოს დიალექტიკური; მოძრაობა გამოითქმება საპირისპირო ცნებების („არის", „არ არის") ერთიანობით, საპირისპირო მსჯელობათა (საგანი არის A წერტილში და საგანი არ არის A წერტილში) ერთიანობით, თვითონ მოძრაობის განსაზღვრება, როგორც ვნახეთ, ხომ დიალექტიკურია, დაპირისპირებულთა (წყვეტადობა—უწყვეტობის) ერთიანობას წარმოადგენს. მაშასადამე, მოძრაობის გამოთქმა ხდება დიალექტიკურ-ლოგიკურით. აქ არის დიალექტიკურის, ლოგიკურისა და შე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იქვე, გვ. 243, 290.
[2] იქვე, გვ. 241.

მეცნებითის (ასახვა, გამოხატვა) ერთიანობა. ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებაა.

ლოგიკურის ობიექტურობა არა მარტო მოძრაობის ლოგიკურში გამოხატვით ხდება ნათელი, გასაგები, არამედ მას ამტკიცებს სხვა ბევრი რამ. მეორე მაგალითი, რომელიც ლოგიკურის ობიექტურობას გვიჩვენებს, ეს არის ჭეშმარიტებისა და ლოგიკურის დამოკიდებულებისა, რასაც შემდეგ სპეციალურად განვიხილავთ, აქ კი დავკმაყოფილდებით შემდეგის თქმით: თუ მოძრაობის ცნებებში გამოხატვა დიალექტიკურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებაა დიალექტიკური, რომელიც დიალექტიკურ ლოგიკურ ფორმებში გამოითქმის.

ლოგიკურის ობიექტურობის ნათელსაყოფად ავიღოთ მაგალითი ფილოსოფიის ისტორიიდან. კანტი ამტკიცებდა, რომ თუ ქვეყანა არსებობს თავისთავად, მაშინ მის მიმართ გონება დიალექტიკაში, წინააღმდეგობაში ვარდება; თუ ქვეყანა საგანია თავისთავად, მაშინ წინააღმდეგობა აუცილებელია, გონებაში იქმნება დიალექტიკა, ამიტომ ანტინომიების გადაწყვეტა კანტმა სცადა იმით, რომ ქვეყანა, როგორც საგანი თავისთავად, უარყო და იგი მოვლენად გამოაცხადა, ამით გონების წინააღმდეგობაც მოიხსნა, რადგან პირველ ორ ანტინომიაში თეზისი და ანტითეზისი — ორივე მცდარია, III და IV ანტინომიაში კი ორივე დებულება — თეზისი და ანტითეზისი — ჭეშმარიტი დებულებებია (რადგან სხვადასხვას ეხება), ე. ი. აქ უკვე აღარაა წინააღმდეგობა[1]. მეცნიერებისა და მატერიალიზმის თვალსაზრისით, ქვეყანა არსებობს თავისთავად, ამიტომ დიალექტიკური წინააღმდეგობის მქონეა ქვეყანაც და მის შესახებ ლოგიკური აზრიც. ეს იმას ნიშნავს, რომ საგნის თავისებურება განსაზღვრავს აზრის ლოგიკურ ბუნებას. ქვეყნის, როგორც საგნისა თავისთავად, დაშვება აუცილებელს ხდის აზრის დიალექტიკურობას, როგორც შემეცნების ისე ლოგიკურის თვალსაზრისით. აქაც ერთიმეორეს ემთხვევა დიალექტიკური, შემეცნებითი და ლოგიკური, ამიტომ და ამდენად დიალექტიკა, როგორც მეცნიერება, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

---

[1] ეს მაგალითი დაწვრილებით არის განხილული ჩემს შრომაში „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“.

ლოგიკურის ობიექტურობას ამტკიცებს ისიც, რომ არსების და მოვლენის, სასრულისა და უსასრულოს ონტოლოგიური განსხვავება აუცილებლობით იწვევს ლოგიკურ ფორმებში შესატყვის განსხვავებას.

საგნის გარეგანი მხარეები ანუ საგნის ერთმხრიობები განსაზღვრავს იმას, რასაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს. „ფორმალური ლოგიკა, ამბობს ვ. ი. ლენინი, ... იღებს ფორმალურ განსაზღვრებას, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია, ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას სჯერდება"; მაგალითად, ჭიქა არის შუშის ცილინდრი, ჭიქა არის სასმისი და სხვ. ჩამოთვლიან რაიმე საგნის ნიშნებს და ამით კმაყოფილდებიან ამ საგნის ცნების დასადგენად, არც კი არჩევენ იმას, თუ როგორია და არის თუ არა არსებითი კავშირი ამ ნიშნებს შორის; ხან ერთ ნიშანს მიიჩნევენ არსებითად და ხან მეორეს: ცნებას საგნის არსების ამსახველად მიიჩნევენ, ისე რომ არც იციან, თუ რა არის საგნის არსება; კავშირად თვლიან და კმაყოფილდებიან ისეთის აღიარებით, როგორიცაა „და" კავშირი, რომლითაც ყველაფერი შეიძლება დაკავშირდეს; ამბობენ, მაგ., ჭიქა არის „შუშის ცილინდრი(ა) და სასმისი ჭურჭელიცო".. ეს მაშინ, როცა დიალექტიკური ლოგიკა უფრო შორს მიდის (ე. ი. ლოგიკურს ავითარებს), ემყარება რა საგნის ნიშანთა გაშუალებულ კავშირს, „გამეშვევებას", რაც, ცხადია, საგნის არსებაშია, საგნის არსებაა. ეს გაშუალება უკვე არის ის, რასაც დიალექტიკა კონკრეტულს, როგორც მრავალმხრიობის ერთიანობას უწოდებს[1]. ჰეშმარიტებაც კონკრეტულია და მისი შესატყვისი ლოგიკურიც. აქ ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს ლოგიკურზეც და შემეცნებითზეც; ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ლოგიკურს უარყოფს და შემეცნებითს სტოვებს, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არა, ლენინი სწორედ ლოგიკურის და შემეცნებითის **ივივეობას აღიარებს.**

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ფორმალური განსაზღვრებების დაკავშირება „და"-თი, ეს არის ეკლექტიკა, რადგან ეს არ არის ლოგიკური, აუცილებელი კავშირი: „და" კავშირით საგნის განსაზღვრულობების დაკავშირება მართლაც კავშირი კი არაა, არამედ ჩვენ ამით ვღებულობთ „ეკლექტურ" განსაზღვრას, რომელიც სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 32, გვ. 102, 103.

გნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს". დიალექ-ტიკური ლოგიკა ასეთ კავშირებს არ თვლის კავშირებად, მისთვის გამოსავალია არსებითი კავშირები.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდოდა, რომ არსებითის და არაარსებითის განსხვავება ლოგიკურშიც იწვევს განსხვავებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური ონტოლოგიურს ემყარება და გამოხატავს. ამიტომ ის ობიექტურია; ამდენად ასეთი ლოგიკური შემეცნებითიცაა, შინაარსეული და საგნობრივი ხასიათისაა.

ფორმალური ლოგიკის საგნის ზერელობას უფრო ახლოს აჩვენებს ის, რომ იგი აზროვნების ლოგიკურ ფორმებს და მის სახეებს განიხილავს ერთიმეორის გვერდით, კოორდინაციაში, ახდენს მათ ჩამოთვლას, კლასიფიკაციას,მაშინ როცა დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკურ ფორმებს და მის სახეებს განიხილავს სუბორდინაცია-ურთიერთ აუცილებელ კავშირში, შინაგან განვითარებაში, გამოჰყავს რა ერთი ფორმა მეორიდან ლოგიკური აუცილებლობით, დაბლიდან მაღალ ფორმებს ავითარებს[1]. აზროვნების ფორმების ჩამოთვლა და ამით დაკმაყოფილება, ეს არის საგნის (ამ შემთხვევაში ლოგიკის საგნის) ზედაპირზე დარჩენა; მათ შორის განვითარებითი კავშირის დადგენა კი ამ საგნის არსების ჩვენებაა. ასეთ ლოგიკურ დაქვემდებარებაში არ შეიძლება არ მოქმედებდეს მოვლენის და არსების ანუ შინაარსეული კერძოს და ასეთივე ზოგადის განსხვავება. ლოგიკური ფორმების განხილვა მათ განვითარებაში, ეს არის მათი დიალექტიკის ჩვენება. ამრიგად, აქ ადგილი აქვს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას.

ზემოთ თქმული უფრო კონკრეტულად და ნათლად წარმოსდგება, თუკი ყურადღებას მივაქცევთ იმ კატეგორიებს, რომლებიც ლოგიკურის სხვადასხვა გაგების საფუძვლად ძევს, სახელდობრ, სასრულის და უსასრულოს კატეგორიებს, რომელთაგან პირველი ფორმალურ-ლოგიკურის ბუნებას გამოხატავს, მეორე კი დიალექტიკურ-ლოგიკურისას, მაგრამ ისე, რომ თუ პირველი მეორის გარეშე წარმოიდგინებოდა და წარმოიდგინება, მეორე კი პირველს, როგორც საკუთარ მომენტს შეიცავს.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 232, 1954.

არისტოტელეს დროიდან დაწყებული სასრული (როგორც ეს ჩვენ სხვა შრომაში გვაქვს გარჩეული, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, ისიც მოკლედ, იმისათვის, რომ ნათელვყოთ დებულება, რომელსაც ამ შემთხვევაში ვამტკიცებთ) გაგებულია, როგორც ერთგვარი ცალმხრივი, სახელდობრ, ის, რაც არის ეს და არა სხვა. როცა ეს სხვა არის საწინააღმდეგო, მაშინ ჩვენ გამოვთქვამთ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრს. რაიმე აუცილებელია, თუ საწინააღმდეგო შეუძლებელია. ეს კანონი ფორმალური ლოგიკის ძირითადი კანონია. დიალექტიკის ძირითადი კანონს კი წარმოადგენს საწინააღმდეგოს არა შეუძლებლობა, არამედ აუცილებლობა, უკეთ, დაპირისპირებულთა ერთიანობა, რაც უსასრულობას წარმოადგენს. წინააღმდეგობა ამოსწურავს სასრულის ბუნებას, იმით, რომ წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამეს, სახელდობრ, ისეთ მესამეს, როგორიცაა წინააღმდეგობის ერთი მხარე. წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს. ამიტომ წინააღმდეგობის (დაპირისპირების) ერთიანობა არის უსასრულო (დაუბოლოებელი). (ეს გარემოება უფრო დაწვრილებით განხილული იქნება ქვემოთ).

სასრულის ამოწურვა ხდება, როგორც ეს ახლა ითქვა წინააღმდეგობით; ეს იმას ნიშნავს, რომ სასრულის არსება არის წინააღმდეგობა. უკეთ: სასრულის არსება არის უსასრულო, ე. ი. ის, რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ასეთის აღმოჩენა არის არსების აღმოჩენა, მის შესახებ ზოგადი აზრი კი იქნება ცნება.

ერთი სიტყვით, ჩვენ აქ იმის თქმა გვინდოდა, რომ სასრულისა და უსასრულოს განსხვავება იწვევს არსებით განსხვავებას ლოგიკურში. ამიტომ ლოგიკური არის ობიექტური ხასიათის. სასრულისა და უსასრულოს განსხვავება იწვევს განსხვავებას შემეცნებითშიც. შემეცნება ნიშნავს სასრულში უსასრულოს შემეცნებას[1]. აქაც დიალექტიკაა. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

აქ აღნიშნულის შემდეგ გასაგებია ერთი მაგალითი იმისა, რომ საგანი აიძულებს აზრს იყოს მისი შესატყვისი, ობიექტური. ეს მაგალითი ისაა, რომ თანამედროვე ფორმალური ლოგიკის წარმომადგენლები (ინტუიციონისტი ბროუერი, მრავალნიშნა ლოგიკის მომდევრები) ამტკიცებენ გამორიცხული მესამის კანონის შეზღუდულობას, აღიარებენ იმას, რომ, მაგალითად, უსასრულობის მიმართ

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 243—244.

ეს კანონი არ გამოიყენება. ეს იმის აღიარებაა, რომ საგანი აიძულებს აზრს მიიღოს გარკვეული ფორმა, ე. ი. აუცილებელია ლოგიკურის ობიექტურობის აღიარება.

ლოგიკურის ობიექტურობის ერთ-ერთ საბუთად შეიძლება გამოდგეს შემდეგიც. არსებობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან, უკიდურეს შემთხვევაში, ეს უარყოფა ხომ მაინც უნდა არსებობდეს? ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობა აუცილებელია საერთოდ ლოგიკურისათვის. მთელი სინამდვილის ცნება არ შეიძლება არ შეიცავდეს არსებობის ნიშანსაც, რამდენადაც შეუძლებელია სინამდვილე არ არსებობდეს. სინამდვილის არსებობის უარყოფის ცდა თვითონ ამ ცდას ხომ მაინც თვლის არსებულად, სინამდვილის ადგილზე რაღაც სხვა უნდა იყოს აღიარებული სინამდვილედ. ვინც ამბობს, რომ არსებობს მხოლოდ ჩემი შეგრძნებები და არა სინამდვილე, ის შეგრძნებებს თვლის სინამდვილედ. აქ ფაქტიური შეცდომა ლოგიკურ შეცდომასაც იწვევს. სინამდვილის ცნება შეიცავს არსებობის ნიშანს, ამ სინამდვილეს ყველაფერი ექვემდებარება, ამიტომ ბატონობს ობიექტურობა ყველგან — შემეცნებაშიც და ლოგიკურშიც.

ანსელმ კენტერბერიელის ონტოლოგიური არგუმენტის შეცდომა ის იყო, რომ არსებობის ნიშანი მიაწერა ღმერთის ცნებას, ისეთის ცნებას, რომელიც სინამდვილის — ბუნების მიღმა უნდა არსებულიყო. სინამდვილისგან ყოველი გამოცალკევებული არის ყერძო და არა აბსოლუტური, ამიტომ კანტი სწორი იყო ანსელმის წინააღმდეგ. სწორი იქნებოდა ანსელმი, რომ ღმერთის მაგიერ მთელი სინამდვილე აეღო, მაგრამ ეს უკვე არ იქნებოდა ანსელმი, რომელიც ცდილობდა ღმერთის დასაბუთებას და არა მის უარყოფას, რომელსაც ადგილი ექნებოდა სინამდვილის აბსოლუტურობის აღიარებისას. ასეთ შემთხვევაში კანტის არგუმენტი აღარ გამოდგებოდა. მართლაც, აბსოლუტური მხოლოდ ერთი რამ არის, ესაა უსასრულო სინამდვილე, რომლის არსებობის უარყოფა არ შეიძლება. ლოგიკურად ყალბ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი გორგია, როცა ის „ამტკიცებდა", რომ ყრაფერი არ არსებობს. ყველაფერის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა, ასეთ შემთხვევაში, უფრო ძლიერად არის მიჩნეული, ვიდრე ყველაფერი, ამიტომ ის ყველაფერიცაა. ყველაფრის უარყოფა ასაბუთებს თვითონ ამ ყველაფერს, როგორც რაღაც ერთიანს, როგორც უცილობლობას,

მისი თავიდან აცილების შეუძლებლობას. შეუძლებელია სინამდვილის უარყოფა.

ამრიგად, შეუძლებელია საგნობრივი ლოგიკურის უარყოფა; მისი უარყოფა, ასეთ შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს აბსოლუტურ საგნობრივად.

მაშასადამე, ლოგიკური ობიექტურია. შეუძლებელია მისი უარყოფა. ლოგიკური ობიექტურია მაშინ,- თუ ის დიალექტიკურია. ლოგიკური დიალექტიკურია მაშინ, თუ ის ისტორიულს ასახავს. დიალექტიკურია ისტორიულის ამსახველი ლოგიკური, რომელიც, სწორედ ამის გამო, თვითონ არის გარკვეული განვითარება.

გ. ისტორიულის ამსახველი ლოგიკური. ლოგიკური, როგორც ისტორიულის ასახვა, ე. ი. ისტორიულის ამსახველი ლოგიკური ჩვენ მიერ უკვე განხილულია, რამდენადაც ეს საკითხი შედის წინამდებარე შრომის პრობლემაში. აქ საკმარისია ხაზი გავუსვათ იმას, რომ ისტორიულის ამსახველი ლოგიკური არის ლოგიკურიც და ასახვასაც-ჭეშმარიტებასაც წარმოადგენს; ის რეალურით და ისტორიულით, სახელდობრ, რეალურის განვითარებით და შემეცნების ისტორიით განისაზღვრება. ამიტომ არის ის ობიექტური. სწორედ ასეთ ლოგიკურში გაერთიანებულია დიალექტიკური და შემეცნებითი, ანუ უკეთ, ეს სამი რამ ერთი და იგივეა: ლოგიკური შემეცნებითია და დიალექტიკური.

ლოგიკურის, როგორც ისტორიულის ასახვის, ბუნება უფრო ღრმად იქნება წარმოდგენილი, თუ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ამ საკითხის შესახებ, დავუმატებთ ვ. ი. ლენინის ზოგიერთ დებულებას ლოგიკისა და ლოგიკურის შესახებ.

ვ. ი. ლენინი ლოგიკას, როგორც მეცნიერებას, განსაზღვრავს შემდეგნაირად «Логика есть учение не о внешних формах мышления, а о законах развития «всех материальных, природных и духовных вещей», т. е. развития всего конкретного содержания мира и познания его, т. е. итог, сумма, вывод истории познания мира»[1]. აქ ხაზგასმულია სიტყვა „ისტორია". ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური გაგებულია ისტორიულის ასახვად და რეზულტატად.

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 66.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლენინის მიერ მოცემული ლოგიკის ეს განსაზღვრება არის საერთოდ დიალექტიკის განსაზღვრება და არა ლოგიკისა, როგორც ასეთისა. ეს აზრი არ არის მართებული და იგი ემყარება წინასწარ მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ ლოგიკა მხოლოდ ფორმალური ლოგიკაა, სხვაგვარი გაგება ლოგიკურისა წინასწარ არის გამორიცხული და რადგან ლოგიკის ამ ლენინურ განსაზღვრებაში ისეთი რამაა აღნიშნული, რაც ფორმალური ლოგიკის ფარგლებში არ შედის, ამიტომ ის საერთოდ ლოგიკიდან გამორიცხულად, არალოგიკურად მიაჩნიათ.

ვ. ი. ლენინი აქ იძლევა დიალექტიკური ლოგიკის განსაზღვრებას. თუ ფორმალური ლოგიკა იყო მოძღვრება „აზროვნების გარეგანი ფორმების შესახებ", დიალექტიკური ლოგიკა არ არის ასეთი მოძღვრება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლოგიკა იყოს მეცნიერება მატერიალური სინამდვილის შესახებ და ამიტომ ლოგიკის ქვეშ აქ გაგებული იყოს დიალექტიკა, როგორც მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ვ. ი. ლენინის აქ მოცემული განსაზღვრება იმაზე მიუთითებს, რომ ლოგიკის საგანს წარმოადგენს მთელი სინამდვილის შემეცნების **ისტორიის** შედეგები. ასეთი ლოგიკა, ცხადია, იქნება შემეცნების თეორიაც.

მთელი სინამდვილის შემეცნების რეზულტატებს წარმოადგენენ ცნებები. ცნება შემეცნების შედეგია[1]. ასეთი ცნებები, ძირითადში, კატეგორიებია, რომელთა ბუნებას, ისე როგორც მათი კავშირის ბუნებას, შეისწავლის დიალექტიკური ლოგიკა. ეს მომენტია არსებითი ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ განსაზღვრებაში ლოგიკისა, რომელიც ზემოთ იყო გადმოცემული; სწორედ ამ არსებითს უგულებელყოფენ ფორმალური ლოგიკის მიმდევრები და დიალექტიკური ლოგიკის უარმყოფელნი.

ლოგიკური არის სინამდვილის შემეცნების ისტორიის ასახვა. შემეცნების ისტორია, აღებული მის არსებაში, არის ლოგიკა. რას წარმოადგენს ეს არსება? ეს არსება არის, როგორც ითქვა, კატეგორიები და მათი კავშირები. რას წარმოადგენენ კატეგორიები შემეცნების ისტორიაში? ამ კითხვაზ ევ. ი. ლენინი პირდაპირ პასუხობს: „. . категории суть ступеньки... познания мира, узло-

---

[1] ფ ენ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 18.

вые пункты в сети, помогающие познавать ее и овладевать ею".[1]

ლოგიკა განიხილავს შემეცნებისა და მისი ისტორიის საკვანძო პუნ-ქტებს—კატეგორიებს, როგორც ცნებებს, მათ ლოგიკურ კავშირებს და ყველაფერს იმას, რაც მათ ექვემდებარება. ამ აზრით, ლოგიკა იგივე შემეცნების თეორიაა. გნოსეოლოგია არაა შემეცნების ფაქტი-ური ისტორია, არა, ის არის შემეცნების და მისი ისტორიის არსების შესახებ მეცნიერება. ამით იგი ემთხვევა ლოგიკას. ეს ლოგიკა, ცხად-დია, დიალექტიკური ლოგიკაა და არა ფორმალური.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს მაგალითი ისეთი ლოგიკის გამოყენ-ებისა, რომელიც შემეცნების ისტორიის რეზულტატს შეისწავლის. უშუალოდ იმის შემდეგ, სადაც ვ. ი. ლენინი ამბობს, რომ ლოგი-კა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა, რომ არ არის საჭირო სამი სიტყვა, და რომ ასეთი ლოგიკა მარქსმა გამო-იყენა ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, და ამით მოგვცა „კა-პიტალის" ლოგიკა, — სწორედ აქ აღნიშნავს, რომ „კაპიტალის" ლოგიკა არის «История капитализма и анализ понятий, резюмирующих ее.»[2] ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ „კაპიტალის" ლო-გიკა, როგორც კერძო შემთხვევა, ეს თითქოს კაპიტალიზმის ისტო-რიაა, ამ გამოთქმის პირდაპირი გაგებით, და ამიტომ ლოგიკას სრუ-ლიად არ წარმოადგენს. არა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ჩვენ გვაქვს კაპიტალიზმის შემეცნების შედეგთა, როგორც ცნებათა (ვ. ი. ლენი-ნი სწორედ „ცნებებს" უსვამს ხაზს) ლოგიკა.

ლოგიკაში, თუ ის გაგებულია როგორც დიალექტიკური ლოგი-კა, არსებითად ერთი-მეორეს უნდა დაემთხვეს აზრის ისტორია და აზროვნების კანონები; ასეთი ლოგიკიდან არც შემეცნება და მისი ისტორია გამოირიცხება და არც ლოგიკა, პირიქით, იგი არის ლოგიკაც და შემეცნების თეორიაც, რადგან მის საგანში ერთიმე-ორეს ემთხვევა აზრის ისტორია და მისი კანონები, რადგან აღე-ბულია შემეცნების ისტორიის არსება მისი კანონების სახით. ეს აზრია გამოთქმული ვ. ი. ლენინის დებულებაში: „В логике история мысли должна, в общем и целом, совпадать с законами мышления".[3]

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 67.

[2] იქვე, გვ. 215.

[3] იქვე, გვ. 214.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური არის შემეცნების ისტორიული მის ზოგადობაში. ისტორიულის ამსახველი ლოგიკურის პრობლემა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, არის დასაბუთების პრობლემა, ლოგიკურის აპოდიქტურობის პრობლემა. შემეცნების ისტორიულისა და ლოგიკურის არსება ერთი და იგივეა, ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. ამიტომ შემეცნებითი და ლოგიკური ამ არსებაში ერთიმეორეს ემთხვევა. სწორედ დიალექტიკურობა ჰქმნის ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას.

ლოგიკური ისტორიულის ამსახველია: ადეკვატურ ასახვას ჭეშმარიტება ჰქვია, ამიტომ ლოგიკური არსებითად უკავშირდება ჭეშმარიტების ბუნებას.

დ. ჭეშმარიტება და ლოგიკური. ჭეშმარიტების ობიექტურობა. როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, არის ის ობიექტურობა, რომელიც ლოგიკურს ახასიათებს; არაობიექტური ლოგიკური შეუძლებელია. ამ ობიექტურობაზეა დამყარებული ლოგიკური კავშირის აუცილებლობა. სუბიექტური შემთხვევითია, ობიექტური კი აუცილებელი. ობიექტურობა ერთი და იგივეა შემეცნების და ლოგიკურისათვის. დიალექტიკაში, ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში ჭეშმარიტების ერთსა და იმავე ობიექტურობასთან გვაქვს საქმე. ამდენად ეს სამი რამ სამი კი არაა, არამედ ერთია, ერთი და იგივეა.

მართალია, ლოგიკური სისწორე არ არის იგივე, რაც ჭეშმარიტება, მაგრამ ზოგიერთი ლოგიკოსის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ლოგიკურ სისწორეს —ლოგიკური კავშირის აუცილებლობას განსაზღვრავს ჭეშმარიტება: 1) ლოგიკურ სისწორეს სხვანაირად ლოგიკური ჭეშმარიტება ეწოდება, ის არის ჭეშმარიტების გარკვეული სახე და, ცხადია, მისით განისაზღვრება; 2) ლოგიკური სისწორე— სისწორის კანონები და წესები, ეს არის გზა ჭეშმარიტებისაკენ, მიზანი ჭეშმარიტებაა; ამ გზას აზრი აქვს სწორედ ჭეშმარიტებით. ჭეშმარიტება ერთგვარი მასშტაბია, რომლითაც ფასდება მისკენ მიმავალი გზა; თუ ლოგიკურ გზას ჭეშმარიტებისაკენ მივყავართ, მაშინ ის სწორია, თუ არა— მცდარი; უნდა ითქვას მეტიც: წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი არის კანონი ლოგიკურისაც და ჭეშმარიტებისაც ფორმალური ლოგიკის მიხედვით, წინააღმდეგობრივი აზ-

ური არასწორიცაა და არაჭეშმარიტიც. აქ, ამ კანონის ასპექტში, არ არის განსხვავება.3) დასაბუთება შესაძლებელია სწორედ ჭეშმარიტების საფუძველზე. ჭეშმარიტების ობიექტურობა ჰქმნის დასაბუთების აპოდიქტურობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, საბოლოოდ მივიდოდით კონვენციონალიზმამდე, რის მცდარობაც, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, ადასტურებს ობიექტურობის აუცილებლობას. 4) ის გარემოება, რომ მცდარი წანამძღვრებიდან ლოგიკური აუცილებლობით მიიღება ჭეშმარიტი (შეიძლება მცდარიც) დანასკვი, ე. ი. ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ლოგიკურ აუცილებლობას, ნიშნავს შემდეგს: ა) დანასკვი მიიღება იმიტომ, რომ წანამძღვრებია მიჩნეული ჭეშმარიტად; წანამძღვრები დაშვებულია როგორც ჭეშმარიტი, რის ძალითაც აუცილებლობით მიიღება დანასკვი (თუ ქვა არის ცოცხალი არსება და ფიქვი არის ქვა, მაშინ, ცხადია, რომ ფიქვი იქნება ცოცხალი არსება); სისწორე ერთგვარი პირობითი ჭეშმარიტებაა. ბ) თუ გამოყვანა ანალიზურია, ე. ი. ტავტოლოგიური ხასიათისაა, მაშინ ცხადია, რომ განმეორება აუცილებლობის ბუნების იქნება, იმ აზრით, რომ თუ რაიმე (წანამძღვრები) არის, მაშინ, ცხადია, რომ ის იქნება და არა სხვა. აქ სისწორე და ჭეშმარიტება ერთიმეორეს ემთხვევა. 5) ლოგიკური გამომდინარეობის ნიშანია სისწორე; ვამბობთ, რომ ეს დასკვნა — გამომდინარეობა არის სწორი, ან არ არის სწორი. ასეთ შემთხვევაში გამომდინარეობას და სისწორეს ვანსხვავებთ ერთიმეორისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გვეთქვა, რომ გამომდინარეობა არის გამომდინარეობა, ან სისწორე არის სისწორე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ სისწორე გამომდინარეობის ერთგვარ ჭეშმარიტებას აჩვენებს; იგი გამომდინარეობის ჭეშმარიტებაა. 6) დამოკიდებულება „თუ — მაშინ", როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, რაც ლოგიკურ დამოკიდებულებას უდრის (და არა ამ დამოკიდებულების ისეთი გაგება, როგორც ეს მოცემულია წინადადებათა აღრიცხვაში, სადაც ივი გაყოფით მსჯელობაზეა დაყვანილი); არის პირობით-ლოგიკური დამოკიდებულება, პირობითი დამოკიდებულება, რომელსაც აზრი აქვს უპირობო ლოგიკურით, სრული ლოგიკური აუცილებლობით. რომელიც უსასრულო დასკვნაში — შინაგანი უარყოფის საშუალებით თვითდასაბუთებაში მდგომარეობს, რაც ზემოთ იქნა გან-

ხილული), სადაც ჭეშმარიტების ობიექტურობა და ლოგიკურობა ერთიმეორეს ემთხვევა.

ჭეშმარიტებისა და ლოგიკურის დამოკიდებულება კიდევ უფრო ნათლად ჩანს იმ გარემოებაში, რომ ჭეშმარიტება განსაზღვრავს ლოგიკურის არა მხოლოდ შინაარსს, არამედ ფორმასაც. ეს გარემოება გარკვეული გვაქვს სხვა შრომებში[1], აქ კი ვიტყვით მოკლედ მხოლოდ შემდეგს. ლოგიკური, როგორც ისტორიულის ასახვა, ე. ი. როგორც ასახვა, არის ჭეშმარიტება. ლოგიკური, როგორც საგნის განსაზღვრულობის (რომელიც უარყოფას შეიცავს) ობიექტურ-ობრივი გამოთქმა, არის მსჯელობა; ლოგიკური, როგორც საგნის განსაზღვრულობების გამოთქმათა — მსჯელობათა აუცილებელი კავშირ-ერთიანობა არის დასკვნა. ასეთ მსჯელობათა სისტემა კი დასაბუთებას წარმოადგენს.

მატერიალისტურ დიალექტიკაში დამტკიცებულია, რომ ჭეშმარიტება დიალექტიკური ბუნებისაა. ჭეშმარიტება არის სინამდვილის ადექვატური ასახვა ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს აზრებში. სინამდვილე დიალექტიკურია. დიალექტიკური სინამდვილის ასახვისათვის აუცილებელია ცნებათა დიალექტიკა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ყველაფერი იცვლება, იცვლება ცნებებიც და კატეგორიებიც; თუ ეს უკანასკნელნი არ იცვლებიან, მაშინ ისინი ვერ დაუკავშირდებიან არსს. ამიტომ არსებობს ცნებებისა და შემეცნების დიალექტიკა, რომელიც ობიექტური ხასიათისაა[2]. თუ ცნებები არ მოძრაობენ, არ გადადიან ერთიმეორეში, მაშინ ისინი ვერ გამოხატავენ სინამდვილეს[3]. მაშასადამე, დიალექტიკური სინამდვილის ასახვისათვის აუცილებელია ცნებათა დიალექტიკა, ცნებათა უნივერსალური მოქნილობა, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობამდე მიდის[4]. ლოგიკის მთავარ შინაარსს წარმოადგენს ცნებათა დამოკიდებულება, ცნებათა გადასვლები, მათი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც ასახავს ობიექტურ სინამდვილეს. საგანთა დიალექტიკა ჰქმნის ცნებათა დიალექტიკას[5].

---

[1] იხ. ჩემი შრომები: 1) „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ", 2) „ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი", 3) მოხსენება დისკუსიაზე 1961 წ., „დიალექტიკური ლოგიკის პრობლემები" (საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. „მოამბე" № 2. 1961.).

[2] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 239.

[3] იქვე. 237.

[4] იქვე, გვ. 84.

[5] იქვე. გვ. 169.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების დიალექტიკურობა ჰქმნის ლოგიკურის დიალექტიკურობას. დიალექტიკურ მატერიალიზმში დამტკიცებულია, რომ ჭეშმარიტება არის: 1) ობიექტურის სუბიექტური სახე (ლენინი), 2) შედარებითისა და აბსოლუტურის ერთიანობა და სხვ. ეს უკვე აუცილებელს ხდის იმას, რომ ჭეშმარიტების ბუნება გამოითქვას დაპირისპირებულ ცნებათა თუ მსჯელობათა ერთიანობით, ე. ი. დიალექტიკურ-ლოგიკურით.

თვითონ ლოგიკურის დიალექტიკურობა უშუალოდ ჩანს აზროვნების ლოგიკურ ფორმებში: 1) მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა (და არა: მტკიცება ან უარყოფა, რაც მის მომენტებს შეადგენს), ე. ი. ის დაპირისპირებულთა ერთიანობაა; მსჯელობის დაპირისპირებულთა ერთიანობით აქვს აზრი, თუმცა იგი მის ერთ მხარეს გამოთქვამს; 2) ამიტომ მსჯელობა მართლდება დაპირისპირებულთა ერთიანობაში — გარკვეულ შუალობით კავშირში, რაც დასკვნას წარმოადგენს. 3) ასეთი დასკვნის ზოგადი აზრი გამოითქმება ცნებით, მაგალითად, მსჯელობის ცნება, დასკვნის ცნება, მოძრაობის, ჭეშმარიტების ცნებები და სხვ.

შეუძლებელია, რომ მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, აზრი, როგორც ასახვა, არ იყოს: 1) ასახვა, ე. ი. ჭეშმარიტება, 2) აზრი, ე. ი. ცნება, მსჯელობა ან დასკვნა, ეს ნიშნავს იმას, რომ აზრი ჭეშმარიტებისა და ლოგიკურის გარკვეული ერთიანობაა, რომელშიც გარკვეული იგივეობაც არსებობს. ლოგიკური ფორმა არის ცოდნის ფორმა. ცოდნა, ეს არის აზროვნების მიერ მისგან დამოუკიდებელი სინამდვილის რეპროდუქცია (მარქსი), რაც ყალიბდება ცნება-კატეგორიებში და მათ კავშირებში.

ლოგიკურის ჭეშმარიტებასთან დამოკიდებულება ნათლად ჩანს იმაში, რომ შეფარდებითი ჭეშმარიტება რელატურ-ლოგიკურში გამოიხატება, რელატურ-ჭეშმარიტება განსაზღვრავს რელატურ-ლოგიკურს. არაფიალექტიკურმა — ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის რელატურ-ლოგიკურის ცნება. ეს გარემოება მოკლედ შეიძლება ასე გამოითქვას: ის გაერმოება, რომ მსჯელობა, როგორც გარკვეული ერთმხრიობა თუ ცალმხრიობა, მოითხოვს და კიდეც მართლდება დასკვნაში, იმას ნიშნავს, რომ, გარკვეული აზრით, მსჯელობა შედარებით-ლოგიკურია, მას აზრი აქვს დასკვნით (ისე როგორც დასკვნას — დასაბუთებით). მაგალითად, მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი" აზრის მქონეა მისი საპირისპირო მსჯელო-

ბით „ერთეული არ არის ზოგადი“, რადგან მხოლოდ ასეთი განსხვავების შემთხვევაში აქვს აზრი პირველ მსჯელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა „ერთეული არის ერთეული“ და არა „ერთეული არის ზოგადი“. „ცუგა არის ძაღლი“ აზრის მქონეა მხოლოდ იმით, რომ ცუგა, როგორც ერთეული, განსხვავდება ძაღლისაგან, როგორც ზოგადისაგან. შეიძლება მეტიც ითქვას: ყოველი სინთეზური მსჯელობა აუცილებლობით გულისხმობს საპირისპირო მხარეს, რომლის ლოგიკური გაფორმება და თვითონ ამ აუცილებლობის სრული გამოხატვა მსჯელობის დასკვნაში გადასვლას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, მსჯელობა, როგორც დასკვნის ერთი მხარე, რელატურ-ლოგიკურია, მაშინ როცა მის მიმართ დასკვნა აბსოლუტურ-ლოგიკურს წარმოადგენს; ეს მით უმეტეს ითქმის მაშინ, თუ ადგილი აქვს დასკვნას, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას და მის ერთ მხარეს, მაგალითად, უსასრულო დასკვნას და მის მომენტებს, რომელთაც აზრი აქვს იმასთან შედარებით, რის მომენტებსაც ისინი შეადგენენ. მოძრაობაში, როგორც აღინიშნა, ორი მომენტია: „არის“ და „არ არის“ ანუ განუწყვეტლობა და წყვეტილობა; მხოლოდ ერთი მათგანის ერთი მსჯელობით გამოთქმა მოძრაობას კი არა — უძრაობას გამოთქვამს. ორივე მომენტის ერთიანობა კი გამოთქვამს მოძრაობას, რომელიც აზრს აძლევს თითოეულ მომენტს და მის გამოთქმას მსჯელობაში. აქ ერთ მსჯელობას მხოლოდ ერთიანობასთან შედარებით აქვს აზრი.

ამრიგად, ლოგიკურის დამოკიდებულება ჭეშმარიტებაზე განსაზღვრავს ლოგიკურისა და ჭეშმარიტების გარკვეულ იგივეობას, რასაც გამოხატავს ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა.

ჭეშმარიტება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არის ჩვენი აზრების ის შინაარსი, რომელიც არ არის დამოკიდებული სუბიექტზე, აზრებზე; ეს არის აზრთა ობიექტური შინაარსი, რომელიც ასახავს ობიექტურ სინამდვილეს. აზრთა ეს შინაარსი, როგორც ცნობილია, გამოიხატება ლოგიკური ფორმით. როგორც ახლახან გაირკვა, დიალექტიკური შინაარსი, ჭეშმარიტების დიალექტიკა გამოიხატება ლოგიკურის დიალექტიკით, ლოგიკურის დიალექტიკური ფორმით. საქმის კიდევ უფრო ნათლად, სრულად წარმოდგე-

ნისათვის აუცილებელია გაირკვეს ის, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს შინაარსსა და ფორმას შორის ლოგიკურში.

ე. შინაარსი და ფორმა ლოგიკურში. შემეცნების თეორიისა და ლოგიკის განსხვავებას უმთავრესად იმაზე აფუძნებენ, რომ ფიქრობენ, თითქოს ლოგიკა აზროვნების ფორმებს ყოველგვარი შინაარსისაგან დამოუკიდებლად განიხილავს, — ფორმალური ლოგიკა სწორედ იმიტომ არის ფორმალური ლოგიკა, რომ იგი აზრის მხოლოდ ფორმებს სწავლობს, თითქოს ლოგიკას აზროვნების შინაარსი არ აინტერესებს. როდესაც დიალექტიკური ლოგიკის შესახებ ლაპარაკობენ, მაშინ სწორედ იმას მიუთითებენ, რომ მას საქმე აქვს აზროვნების არა მხოლოდ ფორმებთან, არამედ შინაარსთან, დიალექტიკურ ლოგიკას ხშირად უწოდებენ შინაარსეულ ლოგიკას, საგნობრივ ლოგიკას და ამით განასხვავებენ მას ფორმალური ლოგიკისაგან.

უნდა ითქვას, რომ ეს განსხვავება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართებული, არსებად კი არამართებულია. ფორმალური ლოგიკა მართლაც ცდილობს შეისწავლოს აზრის ფორმები შინაარსის გარეშე, დიალექტიკური ლოგიკა კი ფორმებს უკავშირებს შინაარსს, ამით იგი არა მხოლოდ ლოგიკაა, არამედ შემეცნების თეორიაც, უკეთ, ისეთი ლოგიკაა, რომელიც შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს და ისეთი შემეცნების თეორიაა, რომელიც უდრის ლოგიკას.

უნდა ითქვას, რომ ფორმების შესწავლა შინაარსს არ გამორიცხავს და არ უნდა გამორიცხავდეს. დიალექტიკურ მატერიალიზმში გარკვეულია, რომ ფორმა არის შინაარსის გარკვეულობა, ამიტომ ფორმის შესწავლა შინაარსის შესწავლაა; გარკვეულია ისიც, რომ მეცნიერებათა ობიექტებს მოძრაობის ფორმები შეადგენს. მეცნიერებები მოძრაობის ფორმათა შესწავლით, ცხადია, თვითონ მოძრაობებს, მათ ბუნებას სწავლობენ. რადგან რომელიმე მეცნიერება ამა თუ იმ მოძრაობის ფორმას სწავლობს, ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს იგი მხოლოდ ფორმას სწავლობდეს და არა შინაარსს, თითქოს ეს მეცნიერება, ამის გამო, ფორმალური მეცნიერება იყოს. ასე ითქმის ლოგიკის შესახებაც.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ აზროვნების ფორმას არ შეუძლია მოიცვას ჭეშმარიტება, თუ ის განხილული იქნება როგორც

განასხვავებული შინაარსისაგან და შინაარსისათვის მხოლოდ დამახასიათებელი, კუთვნილი[1]. აზროვნების ფორმები არ არიან გარეგანი ფორმები, „Лишь формы на содержании, а не само содержание“.[2] ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფორმა, ეს არის თვითონ შინაარსი, მის არსებაში, მის გარკვეულობაში.

ზოგადად აღებული აზრის შინაარსი, ეს არის მისი საგნის განსაზღვრება, რომელიც „გადატანილია და გადამუშავებული“ (მარქსი), ის მისი საგნის განსაზღვრულობის გამოთქმა. ამ გამოთქმის — აზრის გარკვეულობა, მართალია, თავისებურია. მაგრამ მაინც საგნით განისაზღვრება. მაგალითად, დადებითი მსჯელობა განისაზღვრება დადებითი კავშირით, რომელსაც ის გამოთქვამს. დადებითი მსჯელობის ფორმა, მართალია, ერთია მრავალი დადებითი მსჯელობისათვის, რომელთაც განსხვავებული შინაარსი აქვთ, მაგრამ ეს ფორმა თვითონ არის დადებითი კავშირი, რომელიც განისაზღვრება იმ დადებითი კავშირით, რომელსაც საგანში აქვს ადგილი და ზოგადია მრავალი დადებითი მსჯელობისათვის. მოძრაობა, მისი ცნებებში გამოთქმა, როგორც ითქვა, გარკვეული შინაარსია, მაგრამ ეს შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, სახელდობრ ცნებათა თუ მსჯელობათა კავშირის დიალექტიკურობას, დიალექტიკურ ფორმას. მოძრაობა, როგორც წყვეტილობა-უწყვეტობის, „არის და „არ არის“ ერთიანობა, საპირისპირო ცნებათა თუ მსჯელობათა შუალობითი ერთიანობით გამოითქმება. აქ ჩანს ლოგიკური ფორმის ბუნების შინაარსობრივი და ისიც დიალექტიკური ხასიათი. შინაარსი არის განსაზღვრულობა, გარკვეული განსხვავებულობა, მაგალითად, ის, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა. რასაც რაიმე წარმოადგენს, ის არის მისი შინაარსი.

ამ აზრით, თვითონ ლოგიკური ფორმა არის შინაარსი, უკეთ, ლოგიკურ-ფორმას საკუთარი შინაარსი აქვს; რასაც რომელიმე ფორმა წარმოადგენს (მაგ., ცნება, მსჯელობა, ან დასკვნა), ის არის მისი შინაარსი. ლოგიკური, სახელდობრ, ცნების თვალსაზრისით, რაიმეს შინაარსი, ეს არის ის ნიშნები, რომლებიც რაიმეს ცნებას აქვს. ცნების შინაარსი, როგორც ცნობილია, დგინდება ცნების გან-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 67.

[2] იქვე, გვ. 66.

საზღვრებით, ცნების ნიშნების დასახელებით. ლოგიკური ფორმის ცნების შინაარსი მისი განსაზღვრებით დგინდება. ლოგიკური ფორმის ცნების შინაარსი არის ამ ცნების ნიშნები. ის, რითაც ცნება განსხვავდება, მაგალითად, მსჯელობისაგან, ეს იქნება მისი შინაარსი; რითაც მსჯელობა დასკვნისგან განსხვავდება. მის შინაარსში შევა, და ა. შ. ამიტომ შეუძლებელია აღებულ იქნეს ფორმა ყოველგვარი შინაარსის გარეშე. არ არსებობს წმინდა ფორმა. რომ წმინდა ფორმა არსებობდეს, მაშინ ის, რასაც ის წარმოადგენს, ეს მაინც იქნება მისი შინაარსი. აზრის ფორმა სიმბოლომდე რომ დავიყვანოთ, მაშინაც უნდა ვთქვათ, რომ მას აქვს შინაარსი: 1) სიმბოლოს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რაც მის შინაარსს შეადგენს; მაგალითად, სიმბოლო A გარკვეული მნიშვნელობისაა, ის არ არის B. გამორიცხავს არა-A-ს და სხვა. მაგალითად, A რომ ეგიეობრივად მოიხმარება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მას აქვს შინაარსი. 2) თუ სიმბოლო A აღებულ იქნა ამ მნიშვნელობის გარეშე. იმის გარეშე, რასაც ის აღნიშნავს, მაშინ ის თვითონ იქნება საგანი. ასე რომ, სიმბოლოს აქვს შინაარსი, ან და იგი საერთოდ შეუძლებელია.

ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის ის, რომ ლოგიკურ ფორმას, მსჯელობას თუ დასკვნის ფორმებს საკუთარი შინაარსი აქვს. პირველად ჰეგელმა აღნიშნა, რომ ლოგიკურ ფორმას აქვს საკუთარი შინაარსი. ეს გარემოება აღნიშნული აქვს მარქსს თავის „კაპიტალის" პირველ გამოცემაში[1]. ჰეგელის ეს აღმოჩენა მხედველობის გარეშე დარჩა ფორმალურ ლოგიკას დღემდე. პირველად დიალექტიკაში იქნა გაგებული ის, რომ ლოგიკურ ფორმას აქვს თავისი შინაარსი. ჰეგელის ლოგიკის რაციონალური მარცვალი გამოყენებულ უნდა იქნეს მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკაში.

თუ ფორმას არ აქვს შინაარსი (თუ ის შეიძლება აღებულ იქნეს შინაარსის გარეშე), მაშინ ის იქნება ან ფორმაც და შინაარსიც, ან შინაარსი, რომელსაც ფორმა დასჭირდება და ა. შ. შეუძლებე-

---

[1] K. Marx, Das Kapital, 1867, B. I, S. 21, შენიშვნაში: „Es ist kaum verwunderlich, dass die Oekonomen. ganz unter dem Einfluss stoflicher Interessen, den Formgehalt des relativen Werthausdrucks übersehn haben, wenn vor Hegel die Logiker von Profession sogar den Eorminhalt der Urtheils—und Schlussparadigmen übersehen.

ლია, რომ ფორმას არ ჰქონდეს შინაარსი, შეუძლებელია უშინაარსო ფორმა, ისე როგორც უფორმო შინაარსი.

ყოველგვარი განსხვავებულობა (ცხადია, იგივეობის შემცველი) შინაარსს წარმოადგენს. აზროვნების ფორმების და მისი სახეების სხვადასხვაობა ლოგიკურის შინაარსს შეადგენს. ლოგიკური კანონებისა და წესების მრავალსახიანობა არის შინაარსი; მათი კავშირები იმავე ფორმებით და წესებით ხორციელდება, რის კავშირებსაც ისინი შეადგენენ. სწორედ ფორმათა საკუთარი შინაარსების გამო უკავშირდებიან ისინი ერთიმეორეს. ამ კავშირებს განვითარებითი ხასიათი აქვთ, რადგან მარტივიდან რთული მიიღება და ა. შ. ეს მომენტი მხოლოდ დიალექტიკურმა ლოგიკამ აღმოაჩინა ლოგიკურში, ამით მისი ფორმების გარკვეული ლოგიკური სისტემა ჩამოყალიბდა.

რადგან ფორმა აუცილებლობით გულისხმობს შინაარსს, რადგან ფორმა შინაარსის გარკვეულობაა, სწორედ შინაარსის ფორმაა, ამიტომ თანამედროვე ფორმალური ლოგიკა, რამდენადაც ის წარმოდგენილია სიმბოლური ლოგიკის სახით, ახდენს აქსიომატიზაციას, გამოდის აქსიომებისა და გარკვეული წესებიდან, რომლებიც დასაბუთების მთელ შინაარსს, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, წინასწარ გულისხმობს; თვითონ დასაბუთება კი მართლაც ემგვანება სიმბოლოების თამაშს. ეს გარემოება შედეგია სწორედ იმისა, რომ ცდილობენ ფორმა წარმოიდგინონ ყოველგვარი შინაარსის გარეშე. ფორმალურ ლოგიკას უწოდებენ ფორმალურს იმიტომ, რომ ის სწავლობს აზროვნების მხოლოდ ფორმებს, შინაარსის გარეშე (კანტი და სხვ.), მაგრამ ფორმალური ლოგიკა სწორედ იმიტომ არის ფორმალური, რომ საგნად წმინდა ფორმების აღების მისწრაფება მიდის ლოგიკისადმი აქსიომატური მეთოდის გამოყენებამდე. სწორედ ამას ნიშნავს ლოგიკის ფორმალიზაცია.

ზემოთ დამტკიცდა ლოგიკის ფორმალიზაციის შეუძლებლობა. ამიტომ ძველი ლოგიკის განვითარების გზად დიალექტიკური ლოგიკის შექმნის გზა უნდა იქნეს მიჩნეული. დიალექტიკური ლოგიკა აზროვნების ფორმებს და მათ კავშირებს განიხილავს, როგორც შინაარსეული ზოგადის და ასეთივე კერძოს კავშირებს (მაშინ როცა სიმბოლიური ლოგიკა ფორმის ზოგადობას აუქმებს იმით, რომ ფორმა ესმის როგორც სქემა, კერძოს ადგილზე კი მოდელსა სვამს).

მისთვის ლოგიკური არ არის სინთეზურ-ლოგიკური, სადაც ადგილი აქვს არა მარტო განსხვავებას, არამედ დაპირისპირება-წინააღმდეგობასაც, სადაც მოქმედებს შედარებითი, შინაგანი უარყოფა; ლოგიკური სინთეზურობა ემყარება ონტოლოგიურ ცნებებს — არსსა და არარსს, მათ ერთიანობას. სწორედ ამ ცნებების — კატეგორიების გამოყენება გვაძლევს დადებით-უარყოფით მსჯელობებს და სხვ. საკუთარი შინაარსის მქონე აზროვნების ფორმათა კავშირსისტემა არის ისეთი ლოგიკური, რომელიც, ამავე დროს, შემეცნებაცაა. შინაარსი და ფორმათა კავშირი, სწორედ მათი შინაარსის გამო, შემეცნებითისა და ლოგიკურის იგივეობას ჰქმნის.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც აზროვნების ფორმათა დიალექტიკური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიების სისტემას წარმოადგენს. დიალექტიკური ლოგიკა განხილულ უნდა იქნეს როგორც კატეგორიების ლოგიკა, სადაც ადგილი აქვს კატეგორიალურ კავშირებს კატეგორიებისა, როგორც ცნებებისა, და იმისა, რაც მათ ექვემდებარება. კატეგორიებს და მათ დიალექტიკურ კავშირებს ლოგიკაში ყველაფერი ექვემდებარება.

3. კატეგორიების ლოგიკა. აქ შეიძლება დავკმაყოფილებულიყავით ერთი წინადადებითაც, სახელდობრ, იმის თქმით, რომ ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის კატეგორიები როგორც აზრის ფორმა და მათი დიალექტიკური კავშირი (არც კი აქვს კატეგორიის განსაზღვრების წესი და სხვ.); დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, არის ის მეცნიერება, სადაც გაიგივებულია დიალექტიკა, შემეცნების თეორია და ლოგიკა.

როგორც ზემოთ გაირკვა, ლოგიკური არის იმ შემეცნების ისტორიულის ასახვა, რომლის საკვანძო პუნქტებსაც კატეგორიები წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ისიც ითქვა, რომ გნოსეოლოგიის განვითარებამ მოგვცა ლოგიკა იმიტომ, რომ იგი გახდა მოძღვრება კატეგორიებისა და მათი ლოგიკური დედუქციის შესახებ. ისიც გაირკვა (შემდეგ უფრო ხაზგასმით იქნება წარმოდგენილი), რომ აზროვნების ლოგიკური კანონებისა და ფორმების საფუძვლად სწორედ კატეგორიები ძევს. ამდენად მოძღვრება მათ შესახებ იქნება ლოგიკაც და შემეცნების თეორიაც.

მართლაც, „აზროვნების კანონები“ ემყარებიან კატეგორიებს: იგივეობის კანონი ემყარება იგივეობის კატეგორიას, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი — წინააღმდეგობის კატეგორიას, ეს კი ერთიანობის კატეგორიას; თვითონ ეს კანონები კანონის კა-

ტეგორიას ემყარებიან. ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ იგივეობა, რომელიც იგივეობის კანონის საფუძვლად ძევს, თავის მხრივ, ემყარება ონტოლოგიურ იგივეობას, სახელდობრ, რაიმეს იგივეობას თავის თავთან; „რაიმე“ კი არის ონტოლოგიური კატეგორია, რომელიც თავისებურად წარმოსდგება ლოგიკაშიც და შემეცნების თეორიაშიც. ასე ითქმის წინააღმდეგობის, ერთიანობის და სხვათა შესახებაც.

კატეგორიები საკუთარი ბუნებით დიალექტიკურია. იგივეობა აუცილებლობით გულისხმობს განსხვავებას; წმინდა იგივეობა არის არაფერი; წმინდა იგივეობა, როგორც მხოლოდ დადებითობა, გადადის თავის საწინააღმდეგოში, ის წმინდა უარყოფითობაა; ამით უკვე წინააღმდეგობა იქმნება. იგივეობის და განსხვავების ერთიანობა ლოგიკურიცაა და შემეცნებითიც. ამიტომ მასზე მოძღვრება ლოგიკაც იქნება და შემეცნების თეორიაც. ისიც უნდა ითქვას, რომ იგივერბა, როგორც თავის თავთან მიმართება, არის არსების კატეგორია, რომელსაც არაარსებითიც ექვემდებარება. არსებითისა და არაარსებითის განსხვავება ონტოლოგიურიცაა და შემეცნებით-ლოგიკურიც. ამიტომ ამ ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

შეიძლება ერთიმეორისაგან განვასხვაოთ ორგვარი კატეგორიები: ერთია ლოგიკური კატეგორიები, მეორე კი ლოგიკურის კატეგორიები. ეს უკანასკნელნი პირველის გარკვეული. სპეციფიკური სახეობის კატეგორიებია. ლოგიკურია ყველა ფილოსოფიური კატეგორია, როგორც ცნება, რომელიც არსის, აზრისა და შემეცნების უზოგადეს მხარეს ასახავს, მაგალითად, რაიმე, იგივეობა, თვისობრიობა (არსებობს ხომ მსჯელობის თვისობრიობაც?) და სხვ. კატეგორია არის ის, რაც ყველაფერს ახასიათებს, მაგალითად, არსებობს მატერიალური საგანი და არსებობს აზრიც, არსებობს ჭეშმარიტებაც და შეცდომაც; არსებობა არის ნიშანი, რომელიც. მართალია, სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ვლინდება (საგნის არსებობა სხვაა, შეცდომის არსებობა სხვა. შესაძლებლობის სახით არსებობა სხვაა, სინამდვილის სახით არსებობა კი სხვა. და სხვა), მაგრამ იგი არის უზოგადესი და საერთო ყველაფრისათვის. ასეთი კატეგორიები აერთიანებს ონტოლოგიას, ლოგიკას და შემეცნების თეორიას. ამიტომ არიან ისინი ფილოსოფიური კატეგორიები. ლოგიკა, როგორც მოძღვრება ასეთი კატეგორიების შე-

სახებ, არის შემეცნების თეორიაც. ამავე დროს, მის საგანს შეადგენს ონტოლოგიკურიც, რამდენადაც ეს უკანასკნელი ცნებებშია ასახული, ცნებების სახით არის წარმოდგენილი.

ლოგიკური კატეგორიები მოქმედებენ შემეცნებაში. კატეგორიებს ონტოლოგიურ-ობიექტური მნიშვნელობაც აქვთ; როგორც ცნებები ლოგიკური ბუნების არიან და შემეცნების ობიექტურ საშუალებებს — საფუძველსაც წარმოადგენენ. სპეციფიკურობა ზოგადის სპეციფიკურობაა და, ცხადია, მას არ აუქმებს, პირიქით, კონკრეტულად წარმოადგენს. ცნების, ცნების განსაზღვრების ენაზე, კითხვაზე „რა არის“ პასუხის ენაზე კატეგორია თავისთავად წარმოსდგება; რაიმე კატეგორია, როგორც ცნება, გაგებული ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით, არის ერთი და იგივე ლოგიკაშიც და შემეცნებაშიც, მაგალითად, იგივეობა, საფუძველი და სხვ. შემეცნებისათვის სპეციფიკური, მაგალითად, გრძნობად-აღქმები, არის ის, რასაც ცალკეულის თუ კერძოს კატეგორია წარმოადგენს. ეს კატეგორია ერთი და იგივეა შემეცნებასა და ლოგიკურში, უკეთ: ლოგიკურად გაგებული კატეგორია მოქმედებს შემეცნებაში. ამიტომ კატეგორიების ლოგიკაში ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა გვაქვს.

ლოგიკურის კატეგორიას თავისებურება ახასიათებს. ლოგიკურის კატეგორია არის არზი, რომელიც თავისთავის ობიექტური საშუალება-საფუძველია; ეს არის ის, რომლის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე ასაბუთებს. ასეთი კატეგორია ლოგიკური დაუბოლოებელის ბუნებისაა. თუ, მაგალითად, რაოდენობის კატეგორია ლოგიკური კატეგორიაა, მაგრამ არა ლოგიკურის კატეგორია, იგივეობა, ამავე დროს, ლოგიკურის კატეგორიას წარმოადგენს, რადგან იგივეობის უარყოფაც თავის თავთან იგივეობრივია, მაშინ როცა რაოდენობის უარყოფა არ არის რაოდენობა. ცნების უარყოფა არის ცნება, მსჯელობის უარყოფა მსჯელობას წარმოადგენს. ამიტომ ცნება და მსჯელობა ლოგიკურის კატეგორიებია, ასეთივეა ზოგადის, ცალკეულის წინააღმდეგობის, უარყოფის და სხვ. კატეგორიები.

აზრის, როგორც საკუთარ საშუალებათა (სადაც საშუალება არ არის ჩვენი, სუბიექტური ხერხი, არამედ ობიექტურ-ლოგიკური საფუძველია) ერთიანი სფერო, არის ლოგიკის, დიალექტიკური

ლოგიკის სფერო. ლოგიკურის ყველა კატეგორია ერთი და იგივე ბუნებისაა, სახელდობრ, ლოგიკური უსასრულობის ბუნების. ის, რასაც ასეთი ხასიათი არ აქვს, არ არის ლოგიკურის კატეგორია, თუმცა ლოგიკური კატეგორია შეიძლება იყოს.

ლოგიკურის კატეგორია არის ის, რაც თვითონაა თავისი თავის დადგენა-დასაბუთების საშუალება; ეს არის თვითსაფუძვლის მქონე ცნებები; სხვა ცნებები, ცხადია, არ არის ასეთი. ეს განსხვავება ლოგიკურიც არის და შემეცნებითიც.

ცნებებისა და კატეგორიების, როგორც განსაკუთრებული ცნებების, თვითონ კატეგორიებში ზემოთ აღნიშნული განსხვავების შემოტანა ლოგიკაში არის შემეცნებითიც და ლოგიკურიც. ლოგიკურის კატეგორია ლოგიკური საშუალება-საფუძველია და შემეცნების პირობასაც, სწორედ ლოგიკურ პირობას წარმოადგენს.

მაგალითად, უარყოფის კატეგორია ლოგიკურის კატეგორიაა; მისი უარყოფა მასვე ადგენს; ამის გამო წინააღმდეგობაც, რომლის არსებობასაც უარყოფა შეადგენს, ასეთივე ბუნებისაა. ამ კატეგორიებს ერთიდაიგივე აზრი აქვს ლოგიკურშიც და შემეცნებითშიც. წინააღმდეგობა შეცდომად არის მიჩნეული როგორც ლოგიკაში, ისე შემეცნებაში, რამდენადაც წინააღმდეგობა აღებულია ცალკე, ერთიანობის გარეშე, ასეთი წინააღმდეგობა შეუძლებელია. რამდენადაც წინააღმდეგობა შესაძლებელია, ამდენად ის ერთიანობას ემყარება, საწინააღმდეგო ერთიანობაში არიან. წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი და იგივე ლოგიკური აზრი აქვს ლოგიკაშიც და შემეცნების თეორიაშიც. იგი ორივე ამ სფეროში არსებითია. ამიტომ ამ მხრივ (სწორედ ლოგიკურად და არა ფსიქოლოგიურად) ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

კატეგორიების ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკაა. კატეგორიების და მათი კავშირების ფორმალიზაცია შეუძლებელია. ამის გამო თანამედროვე პოზიტივიზმი იძულებულია უარყოს კატეგორიების არსებობა. ამით ის ლოგიკურად გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, რადგან კატეგორიების უარყოფისას უკვე გამოყენებულია უარყოფის კატეგორია; ე. ი. კატეგორიების უარყოფა შეუძლებელია, კატეგორიის უარყოფა თვითონ აფუძნებს კატეგორიას, როგორც ასეთს. დიალექტიკური ლოგიკა და დიალექტიკის შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ჩვენი უახლოესი მიზნისათვის ზემოთ თქმულიც საკმარისია. თვითონ კატეგორიების ლოგიკა კი ლოგიკის მთელი სისტემის იგივეობრივია.

ცნობილია, რომ კატეგორიების კავშირი არაა სახეობით-გვარეობითი კავშირი, არაა მოცულობითი ზოგადის და ასეთივე კერძოს კავშირი. ის არის შინაარსეული კერძოს და ასეთივე ზოგადის კავშირი. ამიტომ აქ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას ასეთი კავშირის შესახებ, რამდენადაც იგი აქ სპეციალური საკითხის გარკვევისათვის გვაინტერესებს.

ზ. შინაარსეული კერძო და შინაარსეული ზოგადი. შინაარსეული კერძოს, ასეთივე ზოგადის და მათი კავშირის ბუნების გარკვევა ერთ-ერთ არსებით არგუმენტს წარმოადგენს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის დასამტკიცებლად.

როგორც ზემოთაც აღინიშნა (ქვემოთ კი უფრო გარკვევით იქნება წარმოდგენილი), შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შინაარსეულობას. ამ მხრივ, მთავარია ზოგადისა და კერძოს შინაარსეული გაგება, რადგან ზოგადი და კერძოს პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო არა მარტო შემეცნების თეორიისა, და ლოგიკისათვის, არამედ ონტოლოგიისათვისაც. ასე იყო არისტოტელესთან და ასეა დღესაც. ნომინალიზმის ის უკიდურესი სახეობა, რომელიც ზოგადობას საერთოდ (ენაშიც) უარყოფს, ამ უარყოფას ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს, ამიტომ იგი თავის თავს აუქმებს, რაც, თავის მხრივ, ზოგადის აუცილებლობას ასაბუთებს; ამიტომაც, ზოგადისა და კერძოს პრობლემა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ორიათასი წლის წინათ.

მოვლენა და არსება ონტოლოგიის კატეგორიებია. ისინი მოქმედებენ შემეცნებაში, ცოდნაში, რადგან შემეცნება-ცოდნა მოვლენის არსების გაგებაა. მოვლენა და არსება შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად. აქ ჩვენთვის შემდეგის აღნიშვნაა საკმარისი. მოვლენად შეიძლება გაგებულ იქნეს ერთეული საგანი, არსებად კი ზოგადობა როგორც საერთო მრავალი ერთნაირი ერთეულისათვის; მაგალითად, რომელიმე წარმოება ერთეულია, წარმოება საერთოდ, როგორც „ყველა“, ზოგადს წარმოადგენს. მა-

გრამ როგორც ეს ზემოთ ითქვა, მოვლენად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საგნის ერთი მხარე, მაშინ როცა საგნის მხარეების თუ მომენტების ერთიანობა იქნება ზოგადობა (რომელიც მრავალ ერთეულ საგანში განმეორდება, შეიძლება უსასრულოდაც). მაგალითად, წარმოება არის ზოგადობა მისი მომენტებისა — საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარებისა—აქ გვაქვს შინაარსეული ზოგადი და ასეთივე კერძო.

ეს კატეგორიები მოქმედებს შემეცნებაში, რამდენადაც ჩვენ საგნის ჯერ ერთი მხარე ვიცით, შემდეგ მეორე და ა. შ., სანამ არ მივალთ არსებამდე, რომელიც ერთიანობაა აღნიშნული მხარეებისა და რომლის ცოდნაც შემეცნების მიზანს წარმოადგენს. ეს მიზანი ხორციელდება ცნებაში, როგორც საგნის არსების ასახვაში. ცნების განსაზღვრება სწორედ ასეთი ცოდნის დადგენაა.

აღნიშნული კატეგორიები მოქმედებენ ლოგიკურშიც. ლოგიკური, რომელიც გაგებულია შინაარსეული კერძოსა და ასეთივე ზოგადის ერთიანობის სახით, დიალექტიკურ-ლოგიკურია. ყოველივე მსჯელობა (ძველებური გაგებით ზოგადი მსჯელობაც) საგნის ერთმხრიობას გამოთქვამს, ამიტომ ის არის შინაარსეული კერძო. შინაარსეული ზოგადი ასეთი კერძოების ერთიანობაა. თუ ასეთი კერძოები ერთიმეორის საპირისპიროა, მაშინ მათი ერთიანობა იქნება შინაარსეული ზოგადობა, აღებული სრული სახით. მაგალითად, ასეთია წარმოება, როგორც მისი ურთიერთსაპირისპირო მომენტების ერთიანობა[1]. ყოველი მსჯელობა, როგორც დასკვნის მომენტი, მისი ერთმხრიობაა და შინაარსეულ კერძოს წარმოადგენს. ასეთია ყოველი ნიშანი ცნებაში და სხვა. აზროვნების ფორმები შინაარსეულ კერძო-ზოგადის დამოკიდებულებაში არიან. ასეთი დამოკიდებულება სრული სახით უსასრულო დასკვნაში არსებობს.

რომელიმე შინაარსეული კერძო თავისი მომენტების მიმართ შინაარსეული ზოგადი იქნება; მაგალითად, მსჯელობა დასკვნის ერთმხრიობაა, ამდენად შინაარსეულ კერძოს წარმოადგენს, მაგრამ იგი შინაარსეული ზოგადიცაა თავის მომენტების — სუბიექტების და პრედიკატის—მიმართ, რადგან ის არის ამ მომენტების ერთიანობა. მსჯელობა არის ერთი მისი მომენტების მიმართ. საერთოდ ზოგადი არის ერი მრავლისათვის. შინაარსეუ-

---

[1] იხ კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის შესავალი.

ლი ზოგადი არის ერთი მისი მრავალი მომენტისათვის. ის არის ერთიანობა და არა უბრალო საერთო.

თუ ტრადიციულ ლოგიკაში ცნების მოცულობა და შინაარსი ერთგვარ შებრუნებით დამოკიდებულებაში არიან — რამდენადაც მეტია მოცულობა, იმდენად ნაკლებია შინაარსი და პირიქით, დიალექტიკურ ლოგიკაში, როგორც ცნობილია, ზოგადობის ზრდა შინაარსის ზრდაზეა პირდაპირ დამოკიდებული — შინაარსის „ზრდასთან" ერთად „იზრდება" ზოგადობაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს უკანასკნელი დამოკიდებულება პირველს გამორიცხავდეს და პირიქით, არა, ეს ორი სხვადასხვა დამოკიდებულებაა: პირველი ემყარება მოცულობით ზოგადს და კერძოს, მეორე კი — შინაარსეულს. ცნებას ახასიათებს შინაარსეული ზოგადობაც, რაც ცნების მომენტების — ნიშნების ერთიანობაში მდგომარეობს, რაც მეტია ნიშნები, მით მეტია მათი ერთიანობის ზოგადობა. ეს გარემოება ნათლად ჩანს კატეგორიებში. უფრო „რთული" კატეგორია ნაკლებ რთულზე მეტად ზოგადია, სწორედ იმით, რომ ის მეტ ერთმხრიობებს (კატეგორებს) მოიცავს. ამ მხრივ ზომის კატეგორია უფრო ზოგადია, ვიდრე რაოდენობის თუ თვისობრიობის კატეგორიები, რომელთა ერთიანობასაც იგი (ზომა) წარმოადგენს, და სხვ. მეტი შინაარსეულობის „მეტი" ზოგადობა მეტად კონკრეტულია. აქ გვაქვს კონკრეტული-ლოგიკური, კონკრეტული ზოგადობა; ცნების კონკრეტულობა სწორედ ამ გარემოებას ემყარება და მოასწავებს.

მატერიალისტურ დიალექტიკაში ცნობილია, რომ დაპირისპირება-წინააღმდეგობა აუცილებლობით მოითხოვს მის საფუძვლად მდებარე ერთიანობას; ურთიერთუარყოფა (წინააღმდეგობა) აფართოებს ცნებას ერთიანობამდე. ამიტომ წინააღმდეგობის ზოგადობა, როგორც უსასრულოს ზოგადობა ყველაზე კონკრეტული ზოგადობაა. წარმოების მომენტების ურთიერთუარყოფით ადგენს წარმოების ცნებას კ. მარქსი ზემოთ დასახელებულ თხზულებაში. რიცხვის ცნება ფართოვდება უარყოფის საშუალებით, და სხვა. (ეს გარემოება გარჩეული გვაქვს შრომაში „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ").

ჩვენ აქ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ შინაარსეული ზოგადობა, რომელსაც ადგილი აქვს კატეგორიების კავშირში, მსჯე-

ლობა-ცნება-დასკვნების კავშირ-გადასვლებში, არსებითია ლოგიკურისათვისაც და შემეცნებისთვისაც. შინაარსეულ კერძო-ზოგადზე დამყარებული ლოგიკა არის დიალექტიკური ლოგიკა, რომელშიც დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს არსებობდეს ორი ლოგიკა: ერთი მოცულობით კერძო-ზოგადზე დამყარებული, მეორე კი შინაარსეულ კერძო-ზოგადზე დამყარებული ლოგიკა. ორი ლოგიკის დაშვება თვითონ წარმოადგენს ლოგიკურ შეცდომას. ორი ლოგიკის დაშვება აუცილებელობით მოითხოვს მესამეს — მათ გვარს და ა. შ. უსასრულოდ. ეს ლოგიკური შეუძლებლობა ერთი ლოგიკის აუცილებლობას ასაბუთებს. შინაარსეული ზოგადი არის ერთი საგნის ზოგადობა, რომელიც ასეთივე მრავალ საგანში მეორდება. ზოგადობის, როგორც ასეთის, განმეორება, არ სცვლის მის ბუნებას. თუმცა ასეთ განმეორებაში იგი მოცულობის სახით ვლინდება, რადგან მოიცავს მრავალ ერთნაირ ერთეულ საგანს. ამიტომ მოცულობითი ზოგადობა შინაარსეულის გარკვეულ მოვლენას წარმოადგენს (მისი მეორე გვარი მოვლენა შინაარსეული კერძო იქნება), ე. ი. მოცულობითი ზოგადი ექვემდებარება შინაარსეულს. ამიტომ ზოგადობის დუალიზმის შესაძლებლობა იხსნება. არსებობს არა ორი ზოგადობა, არამედ-მხოლოდ ერთი და ჰისი მოცულობა.

შინაარსეულ ზოგადობა-კერძოობაზე დამყარებული ლოგიკური ფორმების (ასეთი რამ არ იცის ფორმალურმა ლოგიკამ) შესახებ მოძღვრება დიალექტიკური ლოგიკაა. სწორედ ეს ლოგიკა წარმოადგენს იმ მეცნიერებას, რომელშიც გაიგივებულია დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია.

ამ გარემოებას კიდევ უფრო ნათელვყოფთ, თუ შინაარსეული კერძო-ზოგადის საფუძველზე გავარკვევთ დიალექტიკურ- ლოგიკურის ცნებას.

თ. დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება. თუ ჰეგელი ლოგიკურის სამ მომენტს — აბსტრაქტულს, დიალექტიკურს და სპეკულატურს — არჩევდა, ჩვენი აზრით, ლოგიკური დიალექტიკურია და ორ მომენტს შეიცავს, ანუ უკეთ, იგი არის ერთი დიალექტიკურ-ლოგიკური, რომლის ერთი მხარე ფორმალურ ლოგიკას სრულ

ლოგიკურად მიიჩნია. ისტორიულად შეიძლება ვილაპარაკოთ ორ მომენტზე — ფორმალურ-ლოგიკურზე და დიალექტიკურ-ლოგიკურზე, არსებითად კი უნდა გავარჩიოთ სრული ლოგიკური და მისი მხარე.

შინაარსეული კერძოს და ასეთივე ზოგადის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის ის ცნება, რომლის შესახებაც ახლა გვაქვს ლაპარაკი. შინარსეული კერძო არის სასრული, შინაარსეული ზოგადი, თუ ის სრული სახით იქნა წარმოდგენილი, არის უსასრულო. ამიტომ დიალექტიკურ-ლოგიკურის, სახელდობრ დადებით დიალექტიკურ-ლოგიკურის მომენტები იქნება სასრულილოგიკური და უსასრულო-ლოგიკური; ანუ უკეთ: სრული სახით წარმოდგენილი დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური, ეს არის უსასრულო ლოგიკური, სასრული ლოგიკური კი მის ერთ მხარეს-მომენტს წარმოადგენს.

სასრული-ლოგიკურის და უსასრულო-ლოგიკურის ცნებები ჩვენთვის ცნობილია, ისინი ზემოთ იყო გარკვეული. ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ ცნებების გამოყენება საფუძველს იძლევა დასაბუთდეს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა; დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება მთავარი არგუმენტია ამ იგივეობის დასასაბუთებლად და გასაგებად.

სასრული ნიშნავს ინტოლოგიურად იმას, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა; შემეცნებითის აზრით ის არის კერძო, როგორც ცალმხრივი, ლოგიკურად კი — მსჯელობა, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელად არის მიჩნეული. სასრულის კატეგორიას სამივე ამ სფეროში ერთი და იგივე აზრი აქვს.

სინამდვილეში სასრული ნიშნავს ერთეულ საგანს, ან საგნისა თუ საგანთა ერთ მხარეს, იმას, რაც სხვით არის გაპირობებული,—რაც სხვით დგინდება ან უარიყოფა. სპინოზას ენაზე სასრული არის ის, რასაც სხვაში აქვს მიზეზი, რისი მოაზრებისათვის სხვის მოაზრება არის აუცილებელი და რაც არსებობს სხვაში. შემეცნებაში სასრული გაპირობებულს ნიშნავს, იგი შეფარდებითად ჭეშმარიტია; ლო-

გიკურში სასრული არის დანასკვი, თეზისი, რომელსაც სხვა ლოგიკური საფუძველი აქვს. სამივე სფეროში სასრული ერთი აზრისაა, სახელდობრ, ის, რაც გაპირობებულია: ან რეალური საფუძვლით, ან შემეცნებითის აზრით, სახელდობრ, ჭეშმარიტების შეფარდებითობის აზრით, ან ლოგიკური საფუძვლით. სასრულია არსის თვისობრიობა, — ის, რომ საგანი არის ეს და არა სხვა, გარკვეული პირობადებული ცოდნა და მსჯელობის თვისობრიობა.

სასრულია ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებლად არის მიჩნეული. ეს ასეა არსშიც, ცოდნაშიც და ლოგიკურშიც. ეს სამი რამ ამ მხრივ ერთი და იგივეა. „აზროვნების კანონები" სასრულის კანონებია; ისინი აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი არიან როგორც შემეცნების ჭეშმარიტებისათვის, ისე სინთეზურ-ლოგიკურისათვის, აგრეთვე, არსებობისათვისაც. აუცილებელი და საკმარისი კანონები ლოგიკურისა და შემეცნებისათვის დიალექტიკის კანონებია; ეს არის კანონები, რომლებიც დიალექტიკურ-ლოგიკურშია სისრულით განხორციელებული. თუ ძველ ლოგიკაში არაწინააღმდეგობა იყო სისწორედ და ჭეშმარიტად მიჩნეული, დიალექტიკურ ლოგიკაში ეს არაწინააღმდეგობრიობა გაგებულია როგორც ცალმხრივი იმ მთელისა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. როგორც ძველი — ფორმალური ლოგიკის, ისე დიალექტიკური ლოგიკის კანონები ლოგიკის კანონებსაც წარმოადგენენ და შემეცნების—ცოდნის კანონებსაც. წინააღმდეგობა ამოსწურავს სასრულს როგორც არსში, ისე ცოდნაშიც და ლოგიკურშიც. ლოგიკურის ცალმხრივი არის მსჯელობა, სრული კი დასკვნაა. ფორმალური ლოგიკა არის მსჯელობის ლოგიკა, დიალექტიკური ლოგიკა კი დასკვნის ლოგიკაა.

როგორც ვიცით, ლოგიკაში უსასრულო არის შინაგანი უარყოფით თვითდაფუძნება-დასაბუთება. რეალური თვითსაფუძველი აქვს მთელ სინამდვილეს, ის არის causa sui. ასეთი თვითსაფუძველი მეღავნდება ყოველ თვითმოძრაობაში. უსასრულო, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არის წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეშიც, შემეცნება-ცოდნაშიც და ლოგიკაშიც. ეს სამი სფერო ამ მხრივ ერთი და იგივეა თავის არ-

სებაში. მათში სპეციფიკურად განხორციელებული წინააღმდეგობის ერთიანობა ზოგადს წარმოადგენს.

დაუბოლოებელი (უსასრულო) ლოგიკაში არის უსასრულო დასკვნა, რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება. მას ორი მხარე-მომენტი აქვს, როგორც ეს ზემოთ (და სხვა შრომებში) გაირკვა. ეს მომენტებია: დადგენა და უარყოფა, რომელთა დამოკიდებულება რვამხრივია: თუ არის (არ არის) A, მაშინ არის (არ არის) B და პირიქით, და სხვ. თითოეული ამათგანი სასრული დასკვნის პრინციპს წარმოადგენს. ეს პირობითი დებულებები უპირობოს (უსასრულოს) ერთმხრიობებია.

ონტოლოგიურად „არსება" იმას ჰქვია, რაც თავის თავზეა დაფუძნებული; ასეთი რამ ლოგიკურში არის უსასრულო დასკვნა; შემეცნებაში კი — ჭეშმარიტების აბსოლუტურობა. არსში მოვლენა გულისხმობს არსებას, ლოგიკურში პირობითი — უპირობოს, შემეცნებაში შეფარდებითი — აბსოლუტურს.

დაუბოლოებელი არის: 1) სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა, 2) შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობა, 3) პირობითისა და უპირობოს ერთიანობა, 4) კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; ე. ი. ის არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, მაგრამ ისე, რომ დაუბოლოებელი თვით ერთიანობაა, რომელიც დაუბოლოებელია სასრულისა და უსასრულოს დამოკიდებულებაში, აბსოლუტურია შეფარდებითთან ერთიანობაში, ასევე ის არის თვითონ უპირობო და ზოგადი; ერთი სიტყვით, დაუბოლოებელი აღნიშნულ დამოკიდებულებებში არის ის, რაც გარეგადამწვდომ მომენტს წარმოადგენს (როგორც ის სხვა შრომაში გვაქვს გარჩეული). აქ ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ლოგიკური, ეს არის უსასრულო ლოგიკური და მისი ერთმხრიობა, რომელიც ფორმალურ ლოგიკას ერთადერთ ლოგიკურად მიიჩნდა.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა; ამ იგივეობას დიალექტიკურობა, კერძოდ, ლოგიკურის დიალექტიკურობა ჰქმნის. არსის დიალექტიკურობა გამოიხატება შემეცნებითსა და ლოგიკურში, რომლებიც ერთი და იგივეა მათ დიალექტიკურობაში, ეს კი მათ ბუნებას შეადგენს. სასრულის და უსასრულოს ერთიანობა ლოგიკურში დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნებას წარმოადგენს.

ლოგიკურში, ლოგიკურ აუცილებლობაში მთავარია ანალიზის საშუალებით სინთეზის შესრულება; ეს ურთულესი პრობლემა მხო-

ლოდ დიალექტიკის საფუძველზე წყდება, იგი დიალექტიკურ-ლოგიკურში ხორციელდება. ანალიზით აუცილებელი სინთეზის შესრულება ზემოთთქმულს უფრო კონკრეტულად, განხორციელებაში წარმოადგენს.

ი. ლოგიკურის სინთეზურობა. თუ როგორ ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა ანალიზის საშუალებით შესრულებულ სინთეზში, ე. ი. თუ როგორია „ლოგიკური განვითარება", ამის შესახებ სპეციალურად შემდეგ გვექნება საუბარი. ახლა მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ დებულება ლოგიკურის სინთეზურობის შესახებ, ეს არის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ძირითადი, არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნებას და საერთოდ დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორის იგივეობას.

სინამდვილის ყოველი საგანი განსხვავებულთა ერთიანობაა, თვითონ საგნები ერთიმეორეს უკავშირდებიან, სადაც ხორციელდება აუცილებლობა, კანონზომიერება; მთელი სინამდვილე კანონზომიერია, განსხვავებულთა აუცილებელი ერთიანობაა მის მოძრაობა-განვითარებაში. ონტოლოგიურად რაიმეს რომ სხვა მიეწერება შემეცნებაში პრობლემად იქცევა საკითხი, თუ როგორ შეიძლება რაიმე გავიგოთ როგორც სხვა, — როგორ შეიძლება იმის გაგება, რომ რაიმეს აუცილებლობით სხვა უკავშირდება, რაიმედან მისგან განსხვავებული გამოდის. ასეთის შესაძლებლობის შესახებ ცოდნა არის, აგრეთვე, ცოდნა ლოგიკურის ისეთი მხარეებისა, როგორიცაა: 1) როგორ არის შესაძლებელი მსჯელობა, სადაც რაიმეს მისგან განსხვავებული უკავშირდება, როგორ არის შესაძლებელი სხვადასხვას მტკიცება-უარყოფითი კავშირის განხორციელება; 2) როგორ არის შესაძლებელი რაიმედან, როგორც წანამძღვრიდან აუცილებლობით გამომდინარეობდეს მისგან განსხვავებული — შედეგი, დანასკვი? ამ საკითხთა გადაწყვეტის შედეგად დადგინდება სინთეზურ-ლოგიკური. მხოლოდ სინთეზურ-ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკური. ანალიზურობა მის მხოლოდ ერთ მხარეს შეადგენს.

თუ სინთეზურობას უარეყოფთ სინამდვილეში, შემეცნებასა და ლოგიკურში, ე. ი. ვაღიარებთ მხოლოდ ანალიზურობას, მაშინ გვექნება: 1) წმინდა არსის აღიარება, ისეთი არსისა, რომლის ნიმუშია პარმენიდეს არსი და ჰეგელის „ლოგიკის" პირველი კატე-

გორია,—„არსი“. ასეთი არსი მხოლოდ უარყოფითად განისაზღვრება, ე. ი. მას მხოლოდ უარყოფითობა — „არარსი“ მიეწერება; ასეთი არსი არის ნამდვილად არარსი ანუ არაფერი, როგორც ეს პირველად პლატონმა აჩვენა თავის „პარმენიდეში“. გორგიას არარსიც პარმენიდეს არსს წარმოადგენდა, 2) შემეცნებაში მხოლოდ ანალიზურობის აღიარებით, ყოველგვარი განსხვავების უარყოფის გამო, ჩვენ გვექნება არაფრის თქმა, ე. ი. ცოდნის ადგილზე დასმული იქნება არცოდნა. ყოველგვარი გადასვლა არცოდნიდან ცოდნაზე, რაც შემეცნების ბუნებას წარმოადგენს, არ შეიძლება სინთეზური არ იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გადასვლა აზრს დაკარგავდა, შეუძლებელი იქნებოდა. თუკი ცოდნას გავიგებთ როგორც ცოდნის ცოდნას, მაშინ პრობლემას უკვე წინასწარ ვგულისხმობთ გადაწყვეტილად. ისე როგორც არსი უნდა იყოს გარკვეული არსი, მხოლოდ გაურკვევლობა არ არსებობს, ამიტომ არსი განსხვავების შემცველია აუცილებლობით, ასევე შემეცნება ანუ ცოდნა განსხვავებულთა ერთიანობაა; უფრო ზუსტად: რაიმეს შემეცნება, ეს არის ამ რაიმეს, როგორც სხვისი, ცოდნა, ისე როგორც არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა სწორედ სხვაში გადასვლაა. იმის გაგება, რომ ეს საგანი არის ასეთი და ასეთი, იმას ნიშნავს, რომ ეს, როგორც ერთეული, არის ამავე დროს მისგან განსხვავებულიც — ზოგადი; თვითონ ერთეულთა ერთიანობა შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს. 3) ცოდნის ეს ბუნება თავის ზოგადობაში არის ის, რასაც ლოგიკური ეწოდება. ლოგიკური სხვა არაფერია, თუ არა ცოდნის ერთიანობა, მისი სისტემობა, რაც ლოგიკური აუცილებლობის ბუნებისაა, ლოგიკურ აუცილებლობას უდრის. ლოგიკურში სინთეზურობის უარყოფა მხოლოდ ტავტოლოგიურობის, მსჯელობის და დასკვნის ტავტოლოგიურობის აღიარებას ნიშნავს. ტავტოლოგიურობა ერთის და იმავეს განმეორებაა. ტავტოლოგიურობა თუ რაოდენობრივად სინთეზურობას გვაძლევს, რადგან განმეორება სიმრავლის შემთხვევაში შეიძლება, მსჯელობის თვისობრიობის თვალსაზრისი, ის არის არაფერი, არარა. შეუძლებელია დაიცვა ტავტოლოგიურობა და, ამავე დროს, აღიარო, მაგალითად, **აქსიომათა სიმრავლე** — განსხვავებული აქსიომები, **რომლები**ც აუცილებლობით მოითხოვენ ერთიანობას. შეუძლებელია, აზრი მოკლებულია მსჯელობა, თუ პრედიკატი სუბიექტს მხოლოდ იმეორებს. თუ სუბიექტი იქნება გამორიცხული, მაშინ პრედიკატიც

უნდა გამოვრიცხოთ, თუ პრედიკატს ვაღიარებთ, მაშინ სუბიექტიც უნდა ვაღიაროთ, რადგან რაიმეს მტკიცება — უარყოფა არის მტკიცება-უარყოფა რაიმეს შესახებ. ტავტოლოგიის უაზრობა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ყველაზედ უფრო ნათლად ჩანს დასკვნასა და დასაბუთებაში, სადაც: ა) დანასკვში მეორდება წანამძღვარი, ე. ი. არც დანასკვი გვაქვს, არც წანამძღვარი. ლოგიკურ აუცილებლობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ რაიმედან განსხვავებული გამოდის; იგი შეუძლებელია, თუ რაიმე დებულებიდან არაფერი სხვა არ გამოდის; ბ) ტავტოლოგიურობის დროს თეზისი არ დასაბუთდება, რადგან საფუძველი იგივე იქნება, რასაც დასასაბუთებელი წარმოადგენს. დასასაბუთებლის დამსაბუთებლად მიღება, როგორც ცნობილია, ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს.

შეუძლებელია შემეცნების სინთეზურობა ვაღიაროთ და ამავე დროს ლოგიკურობის წმინდა ანალიზურობა მივიღოთ. რაიმე რომ ასეთია და არა სხვანაირი, უკვე იმას ნიშნავს, რომ რაიმეზე რაღაც განსხვავებული ვიცით; იცოდე რაიმე იმას ნიშნავს, რომ რაიმე არის ასეთი ან არ არის ასეთი; თუკი აქ „რაიმე“ და „ასეთი“ ერთი და იგივეა, მაშინ ან არაფერი არ ვიცით, ანდა ვიცით რაიმე, სადაც ნაგულისხმევია „რაიმე“-ს და „ასეთის“ განსხვავება, ეს გარემოება კი სინთეზურ მსჯელობაში უნდა გამოიხატოს. თუ მდგომარეობას შევაბრუნებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მსჯელობა, რომელშიც ერთი და იგივე მეორდება, არაფერს გამოთქვამს, ე. ი. არცოდნას წარმოადგენს. მსჯელობის ტავტოლოგიურობას არცოდნამდე მივყევართ, ისე როგორც პირიქით. ისე როგორც შემეცნების წმინდა ანალიზურობაა შეუძლებელი, ასევე წმინდა ანალიზურ-ლოგიკურიც შეუძლებელია, თუკი, ცხადია, ლოგიკურს არ გაუიგივებით მათემატიკურს, სადაც არსი და არარსი ერთი და იგივეა, რამდენადაც ერთიც ერია და მეორეც ერთს წარმოადგენს, ისე როგორც ცოდნაც ერთია და არცოდნაც. ტავტოლოგიურობა ერთი და იგივეს განმეორებაა, ე. ი. სინთეზურობა, სასულდობრ, სამრავლის სინთეზურობაა, ამიტომ ისიც უნდა ითქვას, რომ მათემატიკურშიც შეუძლებელია წმინდა ანალიზურობის აღიარება.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლოგიკურის წმინდა ანალიზურობის აღიარებისას თავიდან ვერ ვიცილებთ კატეგორიებს, მათ გამოყენებას; მაგ; არაწინააღმდეგობა უკვე იყენებს წინააღმდეგობის

კატეგორიას. წმინდა ანალიზურობის აღიარება სინთეზურობის უარყოფაა, უარყოფა კი ყოველთვის არის უარყოფის კატეგორიის გარკვეული გამოყენება. შეუძლებელია ლოგიკის სისტემის აგება უარყოფის გარეშე. უარყოფა, წინააღმდეგობა, იგივეობა, რომელსაც ტავტოლოგია — ანალიზურობა ემყარება კატეგორიებს წარმოადგენენ. კატეგორიების ლოგიკა კი, ამავე დროს, შემეცნების თეორიაცაა, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ სინთეზურ-ლოგიკურის უარყოფა შეუძლებელია, მისი დაშვება კი აფუძნებს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას.

სინთეზურ-ლოგიკურს ლოგიკური განვითარების ხასიათი აქვს. მარტივი მსჯელობა, რომ S არის P, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს, რადგან S-ს ემატება მისგან განსხვავებული p და იქმნება განსხვავებულთა ერთიანობა, როგორც გარკვეული ფორმა მსჯელობისა. სინთეზურ-ლოგიკური როგორც განვითარება აშკარად ჩანს დასკვნასა და დასაბუთებაში როგორც ახლის მიღებაში,—ყოველგვარ ლოგიკურ გადასვლებში, სულ ერთია ეს იქნება მსჯელობიდან მსჯელობის მიღება, თუ კატეგორიების გადასვლები.

ლოგიკური — ლოგიკურად აუცილებელი სინთეზურობა ახლის აუცილებელი მიღებაა. თვითონ ტავტოლოგიურობა — ერთი და იმავეს განმეორება ახლის მიღების უარყოფაა; ამ მხრივაც ტავტოლოგიურობა უარყოფითობას წარმოადგენს; ამიტომ ტავტოლოგიას აზრი აქვს სინთეზურით; დადებითი კავშირით. სინთეზური არის განსხვავებულთა ერთიანობა, საიდანაც განსხვავების გამორიცხვა გვაძლევს ტავტოლოგიას, რომელიც არაფრის თქმას წარმოადგენს, ამიტომ ტავტოლოგიურის დადებითობა უარყოფითობაში გადადის და წინააღმდეგობას ჰქმნის.

სინთეზური არის კონკრეტული, რადგან იგი განსხვავებულთა ერთიანობაა. ამიტომაა კონკრეტული ყოველი მსჯელობა, რომელშიც განსხვავებას აქვს ადგილი, ასეთია დასკვნაც, ცნებაც. ცნება განსხვავებულ ნიშანთა ერთიანობაა; თუ მას ერთი ნიშანი აქვს, მაშინ იგი სხვით — სხვა ასეთი ცნებით იქნება განსაზღვრული და ამიტომ მას განსხვავებულთა ერთიანობით ექნება აზრი.

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის დასაბუთებისათვის ერთ-ერთ არსებით არგუმენტს წარმოადგენს ცნების განსაზღვრების პრინციპის, როგორც ლოგიკური განვითა-

რების პრინციპის, გამოყენება ლოგიკის სისტემისათვის. ლოგიკური განვითარება სრულდება განსაზღვრებით; მაგალითად, რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის ერთგვარი განვითარება, რადგან, იგი თვისობრიობის ცნებაზე გადასვლაა. რაოდენობის ცნების განსაზღვრება არის რაოდენობის თვისობრიობის დადგენა. იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენს რაოდენობა, არის რაოდენობის თვისობრიობის ცნების დადგენაც. რაოდენობისა და თვისობრიობის ცნებების განსაზღვრება გვაძლევს მათი ერთიანობის — ზომის ცნებას. ერთი ცნების განსაზღვრება აუცილებლობით მოითხოვს მეორე ცნებაზე გადასვლას, მეორე ცნების გამოყენების აუცილებლობას. თავისუფლების ცნების განსაზღვრება აუცილებლობით მოიხმარს აუცილებლობის ცნებას, შემთხვევითობის ცნების განსაზღვრება სრულდება აუცილებლობის ცნების მოხმარით და სხვ., როგორც ეს დასაბუთებულია მატერიალისტურ დიალექტიკაში.

ერთი კატეგორიის მეორით განსაზღვრება არის თავისებური, ლოგიკური მოხსნა-შენახვა. რაოდენობის ცნების განსაზღვრებით მიიღება რაოდენობის თვისობრიობა, თვისობრიობა, რომელიც მოხსნილი სახით შეიცავს რაოდენობას; ეს, თავის მხრივ, ზომაში გადასვლაა. რეალური დამოკიდებულება აისახება ცნებათა დაქვემდებარებაში. ლოგიკური მოხსნა-შენახვა, ლოგიკური განვითარება კარკვეული სინთეზური სუბორდინაციაა. ასეთი მოხსნა-შენახვა ხდება არსში, ლოგიკურსა და შემეცნებაში — ერთი ცნების (კატეგორია) მეორის ცოდნაში. კატეგორიების ლოგიკური კავშირი არის შემეცნებითი კავშირიც და ამიტომ ის არის ასახვა რეალური კავშირისა, როგორც საგნისა. ამისდა მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ ონტოლოგიის, ლოგიკის მეცნიერებისა და შემეცნების თეორიის ერთიმეორესთან დამოკიდებულების შესახებ. ისინი იგივენი არიან კატეგორიების სისტემაში.

ცნების განსაზღვრება, როგორც საგნის ცნების განსაზღვრება (აზრიც შეიძლება აზრის საგანი იყოს), იმის გაგებაა. რასაც საგანი წარმოადგენს. აქ ერთია ლოგიკური და შემეცნებითი. ცოდნაც საგნით განისაზღვრება. და ლოგიკურიც. ლოგიკური სწორედ ცოდნის ლოგიკურია; მაგალითად, ცნება არის გაგება-ცოდნა. ასევე მსჯელობა; დასაბუთება თვითონ არის მეცნიერება (და პირიქით). შემეცნების საგნით განისაზღვრება შემეცნება-ცოდნა, ლოგიკური. ამიტომაა მაგალითად ლოგიკის აქსიომატიზაცია, მეტალოგიკის

აუცილებლობა განსაზღვრული პოზიტივისტური შემეცნების თეორიით. ლოგიკის მეცნიერების თავისებური გაგება — შემეცნების თავისებური თეორიით; კონვენციონალიზმი შემეცნების თეორიაცაა და დასაბუთების თეორიაც. ასე ითქმის სხვა თეორიების შესახებ. შემეცნების თეორია შემეცნების ლოგიკაა.

არსის, რომელიმე საგნის განვითარება თავის თავის ერთგვარი ამოწურვაა; მაგალითად, მცენარის განვითარება, რომელიმე კლასობრივი ფორმაციის განვითარება და სხვ. ამიტომ ასეთი განვითარება წარმოადგენს ერთგვარ წრეს (რომელიც გადაბმულია სხვა წრეებთან განვითარების ხაზში). შემეცნებაც თავისებური წრეა, ის იწყებს საგნით და ამთავრებს საგნითვე; ამ საგნის ამოწურვის ტენდენცია არის შემეცნების ტენდენცია — მისწრაფება აბსოლუტური ჭეშმარიტებისადმი. გარკვეულ წრეს წარმოადგენს ცნების განსაზღვრებაც — განსაზღვრების პროცესი. სამივე ეს გარემოება ერთსა და იმავე სტრუქტურას წარმოადგენს.

კანტამდელ რაციონალისტებს ცნების განსაზღვრება და თვით მსჯელობა ანალიზური ბუნების მქონედ ჰქონდათ წარმოდგენილი. კანტი შეეცადა აუცილებელი სინთეზური მსჯელობის ლოგიკური პირობების გამოკვლევას; მსჯელობაში აუცილებელი სინთეზი მან აპრიორულ გრძნობად ინტუიციას დააფუძნა, ცნებაში სინთეზური კავშირი კი ისევ ანალიზურად (ძველი რაციონალისტების აზრი-გაიმეორა) წარმოიდგინა. მხოლოდ დიალექტიკის თეორიაში დასაბუთდა ცნებების სინთეზური კავშირი, როგორც სწორედ ლოგიკური კავშირი.

პრედიკატი არის ის, რაც რაიმეზე მტკიცდება ან უარიყოფა. ეს რაიმე კი სუბიექტია. პრედიკატის დადგენა, მისი გამოყოფაა სუბიექტიდან; აქ ადგილი აქვს ანალიზს და აბსტრაქციას, მაგრამ ისეთს, როცა პრედიკატის გამოყოფა არის ამავე დროს სუბიექტის გამოთქმა, ე. ი. კავშირი სუბიექტთან. აქ ადგილი აქვს რაიმეში სხვადასხვაობის და სხვადასხვა კავშირის დადგენას, — ერთგვარ დიალექტიკურ აბსტრაქციას და ლოგიკურ მოხსნა-შენახვას. სუბიექტის ანალიზით გამოყოფილი პრედიკატი თუ პრედიკატები დაკავშირებული არიან ერთში. ამიტომ პრედიკაციის საშუალებით ხდება პროცესი, რომელსაც ორმხრივი ხასიათი აქვს: ანალიზით სრულდება სინთეზი. მაგ., რაოდენობის ცნების ანალიზში აღმოჩნდება, რომ ამ ცნებაში არის განსხვავებული მომენტები (წყვე-

ტილობა, უწყვეტობა, ექსტენსიურობა, ინტენსიურობა, სასრულობა და უსასრულობა და სხვ.), რომელთა ერთიანობაც — სინთეზური ერთიანობა რაოდენობის ცნებას გვაძლევს.

ცნების განსაზღვრება არის ანალიზით სინთეზის შესრულება (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), რაიმეს ცნების ნიშნებით ამოწურვა, რაც ერთგვარ უკანსვლას. უკეთ — წრეს წარმოადგენს, რაიმეს ცნების განსაზღვრება არის მისი ერთმხრიობების, როგორც შინაარსეული კერძოების, ერთიანობის, როგორც შინაარსეული ზოგადის, დადგენა, — კერძოს და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობის დადგენა, სადაც ერთიანობა საპირისპირო ცალმხრიობებს მოხსნილი სახით ინახავს. ეს მოხსნა არის ახსნაც. ლოგიკური საფუძველი არის ამხსნელიც. ამიტომ აქ დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა. ამიტომ და ამის გამო, დიალექტიკა, როგორც მეცნიერება, ლოგიკის მეცნიერება და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

სინთეზურ-ლოგიკურს თავისებური „აზროვნების კანონებისაგან" განსხვავებული (თუმცა მათი შემცველი) ძირითადი კანონი აქვს. აზრის ლოგიკური კანონის ბუნების საფუძველზე კიდევ უფრო სრულად წარმოსდგება ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის აუცილებლობა.

კ. ლოგიკურის კანონი. აზრის ლოგიკური კანონი ცოდნის — შემეცნების კანონიცაა. თუ ლოგიკურის ძირითად კანონად მიჩნეული იქნება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, მაშინ იგივე კანონი მიჩნეული უნდა იყოს ჭეშმარიტების მცდარობისაგან განმასხვავებელ კანონად. როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა, არისტოტელესათვის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, ეს იყო არსებულის, ლოგიკურისა და ცოდნისათვის ძირითადი კანონი. ამ კანონის ძირითადი აზრის ასპექტში ონტოლოგია, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეს წარმოადგენს. თუ ასეთ ძირითად კანონად წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი იქნა მიჩნეული, მაშინაც ადგილი ექნება აღნიშნულ სამი სფეროს იგივეობას. ამ მხრივაც. დიალექტიკური ლოგიკა ძველი — არისტოტელეს ლოგიკის განვითარებას წარმოადგენს. აქ ლოგიკის განვითარების ორი საფეხური გვაქვს. არისტოტელეს „ორგანონიც" ცოდნის ლოგიკა იყო და დიალექტიკური ლოგიკაც ასეთია.

საერთოდ ყოველგვარი კანონის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში თვითონ ასეთი უარყოფა იქნება და უნდა იქნეს მიჩნეული აბსოლუტურ კანონად (აქ ეს არგუმენტიც საკმარისია). ეს არგუმენტი ყველაზე უფრო იმას ამტკიცებს, რომ შეუძლებელია აზროვნების კანონების უარყოფა. აზროვნების კანონების ლოგიკური უარყოფა თვითონ იქნებოდა უძირითადესი კანონის როლის შემსრულებელი. აზროვნების კანონების უარყოფა წინააღმდეგობაა, რომელიც კანონების თუ კანონის აბსოლუტურ აუცილებლობას აფუძნებს—ასაბუთებს.

აზროვნების ლოგიკური კანონების უარყოფის ცდას წარმოადგენს ამ კანონების თამაშის კანონებად მიჩნევა. ის გარემოება, რომ აზროვნების ლოგიკური კანონების უარყოფა შეუძლებელია, ამტკიცებს ამ კანონების აბსოლუტურობას და ობიექტურობას. თამაშის კანონები კი სუბიექტური ხასიათისა არიან, რადგან მათი შეცვლა ნებისმიერად შეიძლება. კანონი არის ობიექტური, აუცილებელი და არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა. აზროვნების ლოგიკური კანონი არის აზრთა, ობიექტური აუცილებელი კავშირის ზოგადობის ფორმა (როგორც ის ერთ-ერთ ჩვენს შრომაში გვაქვა გარჩეული და დამტკიცებული). ამიტომ უნდა არსებობდეს საერთო და უზოგადესი კანონები არსისა და აზრისათვის, სადაც ისინი სპეციფიკურად გამოვლინდებიან. ამდენად შეუძლებელია აზრის ლოგიკური კანონები არ იყვნენ ობიექტურნი და თამაშის კანონებს წარმოადგენდნენ. თუ საერთოდ მეცნიერების, კერძოდ კი ლოგიკის, კანონები თამაშის კანონებია, მაშინ ეს მტკიცებაც თამაშად უნდა იქნეს აღიარებული, მაგრამ ეს აღიარება ვეღარ იქნება თამაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსასრულო რეგრესი გვექნებოდა. ამიტომ ლოგიკური კანონების აღიარება თამაშის კანონებად არ შეიძლება იყოს თამაში, ე. ი. ეს აღიარება ობიექტური მნიშვნელობის უნდა იყოს. ეს უკვე თამაშის კანონებს, როგორც ასეთ კანონებს, აუქმებს და კანონებს ობიექტურობის აუცილებლობას აფუძნებს, ასაბუთებს.

როგორც ითქვა, უნდა არსებობდეს არსისა და აზროვნებისათვის საერთო და უზოგადესი კანონები. ასეთ კანონებად მიჩნეული იყო იგივეობის, წინააღმდეგობის და გამორიცხული მესამის კანონები არისტოტელესთან. დიალექტიკაში კი დიალექტიკის კანონებია მიჩნეული არსისა და აზრის უზოგადეს კანონებად. თვითონ

არისტოტელეს ლოგიკური კანონები მოითხოვენ დიალექტიკის კანონებს.

ჩვენი უახლოესი მიზნისათვის საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით შემდეგს. დიალექტიკის თეორიაში ცნობილია, რომ იგივეობა არ არის ცარიელი იგივეობა, ეს განსხვავების შემცველი იგივეობაა (ფ. ენგელსი). ამიტომ იგივეობის კანონი და სხვაობის კანონი ერთიმეორესთან ერთიანობაში არიან. იგივეობა და სხვაობა ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია, ამიტომ მათი ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა. თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც ეს რამდენჯერმე აღინიშნა, მოიხმარს და ემყარება წინააღმდეგობას, რომლის საფუძველსაც ერთიანობა წარმოადგენს. ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი აზრის უზოგადეს კანონს წარმოადგენს. ის არის არსის კანონიც. იგი უნივერსალური კანონია არსისა და აზრისათვის, სადაც იგი სპეციფიკურად (როგორც საწინააღმდეგო მსჯელობათა ერთიანობა) ვლინდება.

ამრიგად, დიალექტიკის „ბირთვი" — წინააღმდეგობის ერთიანობა არა მარტო არსის, არამედ აზრის კანონიცაა. ის არის როგორც ლოგიკური, ისე შემეცნების კანონი. ასეთი უნდა იყოს დიალექტიკის სხვა კანონებიც. წინააღმდეგობა ურთიერთგამორიცხვაა, ეს კი არის უარყოფის უარყოფა; წინააღმდეგობის თითოეული მხარე არის მისი საწინააღმდეგოს — მისი უარყოფის უარყოფა. წინააღმდეგობა ორმხრივი უარყოფის უარყოფაა. უარყოფის უარყოფა ურთიერთ-დადგენაცაა. ამიტომ არსებობს როგორც უარყოფის უარყოფის, ისე ურთიერთ-დადგენის კანონები. ყოველი სინთეზურ-ლოგიკური არის ახლის მიღება. ის, რაც სინამდვილეში რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლას წარმოადგენს, სხვა არაფერია, თუ არა ახლის მიღება. სინთეზურ-ლოგიკური სწორედ ასეთია, ამიტომ ეს კანონიც არის აზრის ლოგიკური კანონი. მაშასადამე, არსებობს ახლის მიღების ანუ აუცილებელ სინთეზის კანონი. ამრიგად, მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები აზრის ლოგიკურ კანონებსაც წარმოადგენენ, ისინი სპეციფიკურად ვლინდებიან ლოგიკის სფეროში.

დიალექტიკის „ბირთვი" ასეთია ლოგიკურ სფეროშიც; ლოგიკურ კანონებში უძირითადეს კანონს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი წარმოადგენს. ის იქვემდებარებს დანარჩენ კანონებს, რომლებიც მის მიმართ ერთმხრიობებს თუ ცალმხრიობებს

წარმოადგენენ, არაძირითადი კანონები არიან. ასეთი კანონი მრავალია, რადგან ლოგიკური აზროვნებისათვის აუცილებელია მრავალი კატეგორია და არა მარტო იგივეობის, სხვაობის, დაპირისპირება-წინააღმდეგობის და საფუძვლის კატეგორია. ჩვენ აქ აღვნიშნავთ რამდენიმე ასეთ კანონს, სახელდობრ, იმ კანონებს, რომლებიც აზროვნების ძირითადი კანონის უშუალო მომენტს შეადგენენ და ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისითაც ადვილად გასაგები იქნებიან.

აზროვნება შეუძლებელია, თუ არ იქნა დაცული იგივეობა, თუ მოხმარებულ არ იქნა იგივეობის კატეგორია. ამიტომ არსებობს იგივეობის კანონი, რომელიც უნდა იქნეს ლოგიკაშიც და შემეცნებაშიც. შეუძლებელია უგულებელყოფილ თუ უარყოფილ იქნეს იგივეობა. იგივეობის უარყოფაც ხომ იგივეობრივი უნდა იყოს. იგივეობა აუცილებელია საგნის არსებობისათვის, მისი შემეცნებისათვის და ლოგიკურის ყოველი ფორმისათვის.

აზროვნებისათვის აუცილებელია აგრეთვე სხვაობის თუ განსხვავების კანონი (რომელიც ლაიბნიცმა აღმოაჩინა). იგივეობა არ არის საკმარისი ლოგიკური თუ შემეცნებითი აზროვნებისათვის. მხოლოდ იგივეობის დაცვა აზროვნების გაუქმება იქნებოდა. წმინდა ტავტოლოგიურობა არის არაფრის გამოთქმა, არარა. ლოგიკური ფორმები მხოლოდ მაშინ ხორციელდება, თუ მოქმედებს სხვაობის, განსხვავების კატეგორია (რომელიც, ცხადია, იგივეობრივია თავის თავთან). თუ მსჯელობაში, დასკვნაში რაიმეს სხვა არ უკავშირდება, ისე ეს ფორმები შეუძლებელია. ლოგიკური კავშირი მხოლოდ სინთეზური შეიძლება იყოს. აუცილებელი სინთეზი შეიცავს იგივეობასაც და განსხვავებასაც. განსხვავება აუცილებელი მომენტია სინთეზისათვის. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ლოგიკურში მოქმედებს სხვაობის კანონი; იგი აუცილებელია ყოველი აზროვნებისათვის, ყოველი შემეცნებისათვის და ყოველი არსებობისათვისაც. ამიტომ სხვაობის კანონი ობიექტური კანონია ლოგიკურისათვის. სხვაობის აუცილებლობა იმაში ჩანს, რომ მის. ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; უარყოფა თვითონ არის სხვაობის შემქმნელი. სხვაობის თუ განსხვავების აუცილებლობა, ეს არის რაიმესათვის სხვის — მეორის აუცილებლობა. ამიტომაც ეს კანონი შეიძლება იწოდოს აუცილებელი მეორის კანონად. მაშასადამე.

იგივეობის კანონის გვერდით არსებობს სხვაობის თუ განსხვავების ანუ აუცილებელი მეორის კანონი.

რადგან არსებობს ეს ორი ლოგიკური კანონი, ამიტომ ცხადია, რომ ისინი ლოგიკურ ერთიანობაში უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკა თავის თავს უღალატებდა. ლოგიკა თავისი ბუნებით მოითხოვს იგივეობისა და სხვაობის კანონთა აუცილებელ ერთიანობას, რაც ემყარება იგივეობის და სხვაობის კატეგორიების აუცილებელ ერთიანობას. იგივეობისათვის აუცილებელია სხვაობა, რადგან წმინდა იგივეობა არის არაფერი — უარყოფითობა, რაც სხვაობის გამოთქმაა.

იგივეობის და სხვაობის ცნებები ლოგიკურად ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია; ამიტომ ლოგიკისათვის აუცილებელია დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ამ შემთხვევაში ამ კანონთა ერთიანობაში მდგომარეობს.

ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ლოგიკაში უნდა მოქმედებდეს წინააღმდეგობის აუცილებლობა, წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი.

მაგრამ, მეორე მხრივ, წინააღმდეგობა, როგორც რაიმეს (საგნის თუ მსჯელობის) მიერ თავის თავის გაუქმება, ამ რაიმეს შეუძლებლობაა და იგი აზრში შეცდომას წარმოადგენს. თუ აზრი თავის თავს ეწინააღმდეგება ისე, რომ თავის თავს აუქმებს, მაშინ ასეთი აზრის აღიარება ლოგიკური შეცდომა იქნება; ცოდნაში წინააღმდეგობა—ცოდნის მიერ თავის თავის გაუქმება არცოდნას წარმოადგენს; ჭეშმარიტება უნდა იცავდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობას, და სხვ. ერთი სიტყვით, აზროვნებაში უნდა ბატონობდეს, აზროვნება უნდა ექვემდებარებოდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს. ეს კანონი არისტოტელეს შემდეგ ცნობილია ლოგიკაშიც, შემეცნების თეორიაშიც და ონტოლოგიაშიც, როგორც ამ სამივე სფეროში მომქმედი კანონი.

ამ კანონის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოსთან შეიძლება ერთი არსებობდეს, ერთი იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ შეუძლებელია არსებობდეს მესამე, ე. ი. მესამე გამორიცხული უნდა იყოს. მაშასადამე, არსებობს გამორიცხული მესამის კანონი. მართლაც, წინააღმდეგობას ორი მხარე აქვს, მესამე გამორიცხულია. რაიმეს პრედიკატი არის ან A,

ან არა-A, მესამე გამორიცხულია. ეს კანონიც ცნობილია არისტოტელეს შემდეგ.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებას, რომ აუცილებელია იგივეობის და სხვაობის, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობა, აქ შეიძლება ის დავუმატოთ, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინასწარ გულისხმობს, მოიხმარს და ემყარება თვითონ წინააღმდეგობას. ამ აზრით, წინააღმდეგობა აუცილებელია; ე. ი. არსებობს წინააღმდეგობის არა მხოლოდ შეუძლებლობის, არამედ წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონიც. წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმას ნიშნავს, რომ საწინააღმდეგოსთან თითოეული მეორეს გამორიცხავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, წინააღმდეგობაც არ იარსებებდა. სწორედ წინააღმდეგობის არსებობის პირობებშია შესაძლებელი, რომ საწინააღმდეგოთა გაიგივება შეცდომას იძლევა, რომ ერთი ძას საწინააღმდეგოს გამორიცხავს.

წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი არ არის იგივე, რასაც წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. დიალექტიკის თეორიაში გარკვეულია, რომ წინააღმდეგობის აუცილებლობა მომენტია წინააღმდეგობის ერთიანობის. წინააღმდეგობის აუცილებლობა კანტთან უარყოფით დიალექტიკას უდრის, მაშინ როცა წინააღმდეგობის ერთიანობა დიალექტიკის სახელით არის ცნობილი.

საწინააღმდეგოს და წინააღმდეგობის აუცილებლობა უკვე წინააღმდეგობის შეუძლებლობაში ჩანს, რადგან დებულება „რაიმე არის ეს და არა სხვა“ იმაზე მიუთითებს, იმასაც გამოთქვამს, რომ რაიმე არის ეს იმის გამო (იმის საფუძველზე), რომ ის არ არის სხვა თუ საწინააღმდეგო, ამიტომ პირველის ცნება მეორის ნიშანს გულისხმობს. კანტის ანტინომიებში დამტკიცდა წინააღმდეგობის აუცილებლობა, მაგალითად, წყვეტადობის და უწყვეტობის ერთიმეორისადმი აუცილებლობა (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), სასრულის და უსასრულოს ერთი მეორისადმი აუცილებლობა. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ერთეული (კერძო) და ზოგადი ერთიანობაშია, აქ კერძოს და ზოგადის ერთიმეორისათვის აუცილებლობა გარკვეულ მომენტად იგულისხმება, რომელიც გამოითქმება მსჯე-

ლობით „ერთეული არის ზოგადი“ (ან პირიქით). ამრიგად, არსებობს წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი.

როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, ერთიანობის გარეშე წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, შეუძლებელია, მეორე მხრივ კი — შეცდომას წარმოადგენს. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს იგივეობის კანონი, მაგრამ რადგან იგივეობისათვის აუცილებელია განსხვავება, ამიტომ ის იგივეობა, რომლისთვისაც აუცილებელია განსხვავება, იქნება ერთიანობა, რომელიც წინააღმდეგობის საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ უნდა არსებობდეს ერთიანობის კანონიც, იმ ერთიანობისა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობის ერთ მომენტს შეადგენს.

ის გარემოება, რომ გამორიცხული მესამის დებულება „რაიმე არის ან A, ან არა-A“ უკვე შეიცავს მესამეს „რაიმეს“-ს სახით, იმაზე მიუთითებს, რომ თუ შეუძლებელია მესამე პრედიკატი, აუცილებელია მესამე როგორც სუბიექტი, რომელსაც მიეწერება რაიმე პრედიკატი, საწინააღმდეგოთაგან რომელიმე პრედიკატი. ამიტომ არსებობს „მესამის“ აუცილებლობა და უნდა არსებობდეს და მართლაც ფაქტიურად მოქმედებს აუცილებელი მესამის კანონი.

მაგრამ ეს მესამე არის არა ის „მესამე“, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ორი საწინააღმდეგო პრედიკატი, არამედ ის მესამეა, რომელსაც აქვს ორი შესაძლებელი საწინააღმდეგო პრედიკატიდან მხოლოდ ერთი. მაგრამ თუ საქმე გვაქვს ისეთ „მესამესთან“, რომელიც მართლაც მესამე კი არა არამედ პირველია (ერთიანობა) დაპირისპირებულთა მიმართ, წინააღმდეგობის მიმართ, მაშინ გვექნება პირველის აუცილებლობა. ამრიგად, არსებობს აუცილებელი პირველის კანონი. ეს კანონი არ უდრის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს, რადგან იგი პირველის აუცილებლობას გამოთქვამს მხოლოდ, ამიტომ იგი მომენტია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონისა.

ის გარემოება, რომ რაიმესთვის აუცილებელია საწინააღმდეგო, იმასაც ნიშნავს, რომ საწინააღმდეგო გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობაში (როგორც ეს გარკვეული გვაქვს სხვა შრომაში) საწინააღმდეგონი ერთი მეორეს არა მხოლოდ გამორიცხავენ, არამედ ერთიმეორეს აპირობებენ კი-

დეც, ერთიმეორის საფუძველსაც წარმოადგენენ, ისე როგორც ორი საწინააღმდეგო მხარე ერთიან საფუძველს ემყარება, ამიტომ აქ არსებობს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება და მოქმედებს საფუძვლის კანონი, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობის ერთ მომენტს გამოხატავს.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი კანონები დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტებს გამოთქვამენ, ისინი მის ცალმხრიობებს წარმოადგენენ, ამიტომ არა ძირითადი კანონები არიან, მაშინ როცა დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი ძირითად კანონს წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული არაძირითადი კანონები არ ყოფილა მხოლოდ ჩამოთვლილი, ნაჩვენები იყო მათ შორის აუცილებელი კავშირიც (რომლის ბუნების გარკვევა, ცხადია, სპეციალურ გამოკვლევას კიდევ მოითხოვს).

არაძირითადი კანონების გარჩევამ ისიც ნათელყო, რომ კანონები ემყარებიან კატეგორიებს. კატეგორიათა კავშირი განსაღვრავს კანონთა კავშირს. კანონიც ხომ კატეგორიას წარმოადგენს. კატეგორიების გამორიცხვა, უარყოფა სპობს შესაძლებლობას კანონების დადგენისა. ამიტომ არის, რომ მათემატიკური ლოგიკა გარკვეულ ლოგიკურ კანონებს გულისხმობს და ემყარება, მათ ბუნებას კი არ არჩევს. მხოლოდ ფილოსოფიური ლოგიკა არის ერთადერთი ლოგიკა, რომელსაც ყველა მეცნიერებისათვის ზოგადობის მნიშვნელობა აქვს სწორედ იმიტომ, რომ ის არის კატეგორიების (მათ შორის კანონის კატეგორიის) ლოგიკა, იგი კატეგორიების ბუნებიდან ხსნის კანონებს, რომლებიც ყველაფრის ამხსნელი არიან როგორც ლოგიკაში, ისე შემეცნების თეორიაში, უკეთ, იმ ლოგიკაში, რომელიც, ამავე დროს, შემეცნების თეორიაცაა და პირიქით.

ლოგიკური კანონი ისეთი დებულებაა, რომელსაც აზრი აქვს აზრის ყველა ფორმაში და ამ ფორმის ყველა სახეში; ამ აზრით, კანონი ზოგადია, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვადასხვანაირად და მეტ-ნაკლები სისრულით ვლინდება აზრის ფორმათა სახეებში. ამ ზოგადობის აზრით, კანონი არის ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება. ასეთია აზროვნების უზოგადესი კანონი — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, ასეთია ამ კანონზე დაქვემდებარებული კანო-

ნებიც. ერთმხრივი კანონები, რომლებიც აზროვნების ყველა სფეროში მოქმედებდნენ, თუმცა მათ შეფარდებითი ხასიათი აქვთ. ერთმხრივი, შეფარდებითი კანონი, როგორც ერთმხრივი და შეფარდებითი, არააბსოლუტური კანონი ყველგან მოქმედებს, ის ხოქ აბსოლუტური კანონის აუცილებელი მომენტია. ის კანონი კი რომელიც აზრის მხოლოდ ზოგიერთ სახეში (მაგ., რომელიმე სახის დასკვნაში) მოქმედებს, იქნება არა კანონი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არაუფლ წესი (ეს არის პირობითი განსხვავება. ისე კი უზოგადეს კანონსაც შეიძლება წესი ვუწოდოთ და ხშირად ვუწოდებთ კიდეც). ასე განსხვავდება ლოგიკური კანონი წესისაგან.

ლოგიკური კანონი ყოველთვის ჭეშმარიტი დებულებაა, მაგრამ ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება შეიძლება არ იყოს კანონი. მაგალითად, გამოთქმა PvP ყოველთვის ჭეშმარიტია, მაგრამ, როგორც ასეთი, კანონად არ შეიძლება მივიჩნიოთ (წინააღმდეგ წინადადებათა აღრიცხვისა), რადგან: 1) ყოველი ან-ან ერთგვარ მერყეობას გამოხატავს, მერყეობა კი არალოგიკური მდგომარეობაა; 2) ის არაფრის ამხსნელი არ არის, მაშინ როცა კანონი ამხსნელი დებულებაა. გამოთქმა P ან არა-P ყოველთვის ჭეშმარიტია, მაგრამ არაფერს გარკვეულს არ გამოთქვამს; ლოგიკური კი არ შეიძლება მკაცრად გარკვეული არ იყოს. ლოგიკურობა აზრის სწორედ გარკვეულობაში მდგომარეობს და არა ან-ან-ის გაურკვეველობაში, მერყეობაში. როგორც ჩანს, PvP არ არის წინააღმდეგობებიდან მესამის გამორიცხვის ზემოთ განხილული კანონი.

არ შეიძლება ლოგიკური კანონი მიჩნეულ იქნეს წანამძღვრად; ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ახალი წანამძღვარი, რადგან ყოველი დებულება ექვემდებარებება კანონს. კანონი გარკვეული კავშირია და ამიტომ ამ კავშირს არ შეიძლება წინ უსწრებდეს.

არ შეიძლება კანონად მივიჩნიოთ ის, რის კანონსაც ვეძებთ. მაგალითად, დასკვნის ფორმა „დასკვნის სქემის“ სახით, რადგან აქაც იქმნება ლოგიკურად ყალბი მდგომარეობა უსასრულო რეგრესისა. დასკვნის აზრი არ შეიძლება დასკვნას უსწრებდეს წინ (ჩასმის წესის გამოყენების სიყალბის შესახებ იხ. ლ. გოკიელის შრომები).

ის, რაც ითქვა ლოგიკურ კანონებზე, გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ ზოგიერთი დებულება ჩვენი უახლოესი პრობლემის შესახებ.

ლოგიკური კანონი, როგორც გარკვეული დებულება, ერთსა და იმავე დროს, არის გარკვეული შინაარსის მქონე დებულება, რომელიც ამხსნელია რაიმესი, რადგან ის არის ლოგიკური საფუძვლის ხასიათის დებულება. ლოგიკურობა და ამხსნელობა, ე. ი. გარკვეული შემეცნებითობა მასში გაიგივებულია.

კანონთა სიმრავლე და მათი ერთიანობა არის გარკვეული შინაარსი, ცოდნა და ამიტომ აქ გაიგივებულია ლოგიკური და შემეცნებითი. ცალმხრივ კანონთა ერთიანობა შეფარდებითის და აბსოლუტურის ლოგიკური ერთიანობაა; თვითონ შეფარდებითობა და აბსოლუტურობა ჭეშმარიტების ხასიათისაა; ასეთივე ხასიათისაა ლოგიკურის და ლოგიკური კანონის ობიექტურობაც.

ლოგიკა სწავლობს აზროვნების კანონებს. კანონი არის კატეგორია. ლოგიკა გამოიყენებს არა მარტო კანონის კატეგორიას, არამედ სხვა კატეგორიებს. ლოგიკის კანონები, როგორც აღინიშნა, ემყარებიან კატეგორიებს. რამდენადაც ლოგიკას საქმე აქვს კატეგორიებთან, ამდენად, ის არ არის მხოლოდ ფორმალური მეცნიერება. რამდენადაც კატეგორიების და მათი კავშირის ბუნება დიალექტიკურია, ამდენად დასაბუთებულია დიალექტიკური ლოგიკის უფლებამოსილება.

კატეგორიები უზოგადესი ბუნების არიან. ასეთია დიალექტიკის კანონებიც. ეს უზოგადესობა ობიექტური ხასიათისა. ეს ობიექტურობა არა მარტო ლოგიკურია, არამედ შემეცნებითიც. ამიტომ ლოგიკური კანონი არ შეიძლება არ იყოს ცოდნის—შემეცნების კანონიც. ასეთია და ასე ესმოდათ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ასეთია დიალექტიკის კანონები, კერძოდ, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონიც. თუ წინააღმდეგობა-არაწინააღმდეგობა შეცდომა-ჭეშმარიტების და მცდარობა-სისწორის გამრჩევ კანონად იყო მიჩნეული, დიალექტიკის თეორიაში დასაბუთდა, რომ ყოველი წინააღმდეგობა არ არის ასეთი, რომ დიალექტიკური წინააღმდეგობა ჭეშმარიტებაცაა და ლოგიკურიც.

იმის მტკიცება, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი ლოგიკურის კანონიცაა, ნიშნავს იმას, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. აზროვნების დიალექტიკური წესი ლოგიკური წესიცაა და სინამდვილის შემეცნების წესსაც წარმოადგენს. ამ წესს ობიექტური ხასიათი აქვს, რადგან სინამდვილეც დიალექტიკურია.

ლოგიკური კანონების ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია. რადგან ეს უარყოფაც ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება. შეუძლებელია ობიექტურობის და აუცილებლობის, კერძოდ, კანონის უარყოფა, რადგან ასეთ შემთხვევაში ასეთი უარყოფა ობიექტურ და აუცილებელ კანონად უნდა მივიჩნიოთ. ლოგიკური კანონების ობიექტურობის უარყოფის შეუძლებლობა ლოგიკურიცაა და შემეცნებითიც.

თუ ლოგიკური აუცილებლობის უარყოფა შეუძლებელია, ე. ი. თუ ეს უარყოფა თვითონ მოითხოვს, აფუძნებს და ახორციელებს ამ აუცილებლობას, მაშინ უნდა ითქვას, რომ ლოგიკური აუცილებლობა მჟღავნდება თვითდადგენა-დაფუძნება-დასაბუთებაში. ეს აბსოლუტურობა შედარებითში ხორციელდება. შედარებითის და აბსოლუტურის ურთიერთობა ლოგიკურიც არის და შემეცნებითიც.

ლოგიკურის ძირითადი კანონი აბსოლუტურია, რადგან: 1) იგი სინამდვილის უნივერსალური კანონის გამოხატულებაა, 2) მომენტებად შეიცავს სხვა კანონებს, რომლებიც მის ერთმხრიობებს წარმოადგენენ და მას ექვემდებარებიან. აქ ადგილი აქვს არსების და მოვლენის ანუ შინაარსეული ზოგადის და კერძოს დამოკიდებულებას, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ონტოლოგიური ხასიათიც აქვს და ლოგიკურიც. აგრეთვე, შემეცნებითიც ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

არსისა და აზრისათვის უზოგადესი არ შეიძლება მხოლოდ რომელიმე მათგანში იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კერძო — ცალმხრივი იქნებოდა და-არა უზოგადესი. ისიც უნდა ითქვას, რომ არსისა და აზრის უზოგადესის (კანონები, კატეგორიები) მხოლოდ ლოგიკური განხილვა შეიძლება. არსისა და აზრისათვის უზოგადესი, რამდენადაც იგი ლოგიკურად განიხილება, გამოიხატება ცნებებში, რომელთა შესწავლა მოგვცემს ლოგიკას, რომელიც, ამავე დროს, შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს. არსის უზოგადესი კანონები, შემეცნება — ცოდნაში გადატანილი და გადამუშავებული, ამ აზრით, მოხსნილ-შენახული შეადგენს ლოგიკის შინაარსს. მაშასადამე, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

აზროვნების ძირითადი ლოგიკური კანონის — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე-

ობს ის, რომ დიალექტიკა აბსოლუტურია. დიალექტიკის აბსოლუტურობა, მისი ბატონობა არსში, აზრში, ცოდნაში ლოგიკური ძირითადი კანონის ლოგიკურ უპირობობას ასაბუთებს; ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ შესაძლებელია ლოგიკური უპირობოს არსებობა, რომ ლოგიკურში ადგილი აქვს უპირობოს და პირობითს ერთიანობას.

ლ. დიალექტიკის აბსოლუტურობა და უპირობო ლოგიკური. შეიძლება ითქვას, რომ დიალექტიკის აბსოლუტურობა და უპირობო ლოგიკურის შესაძლებლობა უკვე ნაჩვენებია ზემოთ გარჩეულ მასალაში, აქ მხოლოდ იმის ხაზგასმაა საჭირო, რაც ამ საკითხიდან ლოგიკის, შემეცნების თეორიის და დიალექტიკის იგივეობის დამასაბუთებელი არგუმენტის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაში დიალექტიკა დამქვემდებარებელი ცნებაა. ლოგიკის და შემეცნების დიალექტიკურობა ამტკიცებს ამ იგივეობას; უფრო ზუსტად, ამ იგივეობის დასაბუთებისათვის საკმარისია ლოგიკურის დიალექტიკურობის დასაბუთება. დიალექტიკის აბსოლუტურობა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი დიალექტიკურია; დიალექტიკურია არსიც, შემეცნებაც და ლოგიკურიც. ეს სამი რამ დიალექტიკურობაშია ერთი და იგივე.

არსი არის დიალექტიკური, ეს ნიშნავს: 1) არსი არის **causa-sui,** ის არის თავისი თავის რეალური საფუძველიც და შედეგიც; 2) არსი თვითგანვითარებას, თვითმოძრაობას განიცდის; 3) არსი და მასში არსებული ყოველი საგანი სინთეზური ბუნებისაა; 4) არსში ბატონობს დიალექტიკის კანონები, მათ შორის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. არსში ყველაფერი დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს და მას ექვემდებარება. ის არის ამხსნელი ყოველი მოძრაობისა და ყოველი მთელისა და მისი ერთმხრიობებისა.

დიალექტიკურია შემეცნებაც: 1) როგორც ზემოთ აღინიშნა, დიალექტიკური არსის შემეცნებისათვის ამ უკანასკნელის დიალექტიკურობაა საჭირო. ობიექტურ დიალექტიკას ექვემდებარება ცნებათა დიალექტიკა; საგანთა დიალექტიკა ჰქმნის ცნებათა დიალექტიკას (ვ. ი. ლენინი). 2) შემეცნება ისევე უსასრულოა, როგორც სინამდვილე. ორივე სასრულის და უსასრულოს ერთიანობას წარმოადგენს. 3) **ისე როგორც სინამდვილეა** კერძოს და ზო-

გადის ერთიანობა, ასევე შემეცნებაც. შემეცნება არის შემეცნება ზოგადისა კერძოში, უსასრულობისა სასრულში. 4) ისე როგორც არსში ადგილი აქვს შეფარდებითის და აბსოლუტურის ერთიანობას, ასევე ჰეშმარიტება შეფარდებითობის და აბსოლუტურის ერთიანობაა. 5) შემეცნებაც ექვემდებარება დიალექტიკის კანონებს, და სხვ.

ლოგიკურიც დიალექტიკურია, რადგან: 1) ლოგიკური არის სინთეზური ბუნების, სადაც უარყოფის მომენტი აუცილებელი მომენტია: 2) ლოგიკური ექვემდებარება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს (ამიტომ დიალექტიკის სხვა კანონებსაც). 3) დიალექტიკურია მსჯელობა, დასკვნა, ცნება, მათი კავშირი: დიალექტიკურია მსჯელობა, რადგან მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა; მსჯელობა არის მტკიცება, რომელიც უარყოფას შეიცავს; იგი არის უარყოფა, რომელშიც მტკიცებაცაა; ისეთი უარყოფაა, რომელიც სუბიექტის პრედიკატთან ერთიანობას იძლევა. 4) დასკვნა დიალექტიკურია, რადგან ის ამართლებს მსჯელობის აზრს — მტკიცება-უარყოფის ერთიანობას; დადებითი მსჯელობა აუცილებლობით შეიცავს მომენტს, რომელიც სრულად უარყოფითი მსჯელობით გამოითქმება. ამიტომ ხდება დადებითის უარყოფითში გადასვლა. მსჯელობათა აუცილებელ ერთიანობას კი დასკვნა წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა დაპირისპირებულთა ერთიანობას სასრულით წარმოადგენს. 5) დიალექტიკურია ცნება, რადგან ის არის ლოგიკური შედეგი მსჯელობისა და დასკვნისა, ამ უკანასკნელის ზოგად აზრს წარმოადგენს.

მსჯელობა მართლდება დასკვნაში, ეს — დასაბუთებაში; ამიტომ ადგილი აქვს ლოგიკურ განვითარებას, რომელსაც დიალექტიკური ხასიათი აქვს.

დიალექტიკის აბსოლუტურობა უშუალოდ მჟღავნდება ლოგიკურში უპირობო ლოგიკურის სახით, რომელსაც უსასრულო დასკვნა წარმოადგენს. ის არის დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება.

საგნები და მოვლენები, ისე როგორც მათი მხარეები, აუცილებელ განპირობებულობა-ურთიერთკავშირში იმყოფებიან, მაგრამ მთელი სინამდვილე თავის განვითარებაში არის თვითმიზეზი, თვითსაფუძველი (causa sui), სინამდვილე უპირობო და აბსოლუტურია, მაგრამ შედგება კერძო მოვლენებისაგან. სინა-

მდვილე არის შეფარდებითობის-ერთმხრიობების ერთიანობა, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი აქვს. ასეთი სინამდვილე აისახება ლოგიკურში, ე. ი. ლოგიკური სინამდვილის რეპროდუქციას (მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ) წარმოადგენს.

ლოგიკურიც არის პირობითის და უპირობოს ერთიანობა. არსებობს პირობითი ლოგიკური და მისი დამქვემდებარებელი უპირობო ლოგიკური. პირობითი ლოგიკური გამოითქმება დებულებით: „თუ არის A, მაშინ არის B". უპირობო ლოგიკური კი იგივეა, რაც უსასრულო (დაუბოლოებელის) დასკვნა, ეს არის რაიმეს ღაფუძნება მისივე (რაიმეს) უარყოფით; უპირობო ლოგიკური თვითდაფუძნებაში მდგომარეობს. როგორც ვიცით, ეს ორი ლოგიკური კი არაა, არამედ — ერთი, რომლის მომენტსაც მეორე წარმოადგენს. პირობით ლოგიკური უპირობო ლოგიკურის მომენტია, რადგან დადგენა და უარყოფა თვითდადგენის მომენტებს წარმოადგენენ. პირობით-ლოგიკური ისტორიულად დამოუკიდებლად იქნა წარმოდგენილი, იგი იყო და დღესაც არის ფორმალურ ლოგიკაში ერთადერთ ლოგიკურად მიჩნეული. პირობით-ლოგიკურის ფორმალიზაცია შეიძლება, მაგრამ ეს გზა ლოგიკას მათემატიკურ დისციპლინად აქცევს, უკარგავს მას ფილოსოფიურ აზრს. მხოლოდ ფილოსოფიური ლოგიკა არის ის ლოგიკა, რომელიც, თუ ის დიალექტიკურად იქნება გაგებული, იგივე იქნება, რაც გნოსეოლოგია. ამის პირობას იძლევა და წარმოადგენს უპირობო-ლოგიკური, უსასრულო დასკვნა, რომლის ლოგიკის ფორმალიზაციას, აქსიომატიზაციას შეუძლებელს ხდის სწორედ ლოგიკურის ობიექტურობა, აბსოლუტურობა თუ უპირობობა.

უპირობო-ლოგიკურის აღიარება ლოგიკურის სინამდვილისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლობის აღიარება კი არაა, რაც შეუძლებელია და შეცდომაც იქნებოდა, რადგან ლოგიკური არის ასახვა, არამედ — მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური საკუთარი კანონზომიერების მქონეა; ეს კანონზომიერება, მართალია, სინამდვილის კანონზომიერებით განისაზღვრება, მაგრამ მას თავისებურება ახასიათებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკა გაუქმდებოდა და სინამდვილეც ყალბად იქნებოდა წარმოდგენილი, რადგან ის (სინამდვილე) ან უნდა უარგვეყო, რაც შეუძლებელია, ან ლოგიკური ბუნების მქონედ უნდა წარმოგვედგინა. ლოგიკური კა-

ნონები არ არის სინამდვილის, აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილის კანონები, ისე როგორც პირიქით — სინამდვილის კანონები არ წარმოადგენენ ლოგიკურ კანონებს. ლოგიკური, რომელიც სინამდვილეს გამოთქვამს, შინაგანი აუცილებლობის. საკუთარი კანონზომიერების მქონეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სინამდვილის გამოთქმაც არ შეეძლებინებოდა. ასახვა რომ ემთხვეოდეს იმას, რაც უნდა აისახოს, მაშინ ასახვას ადგილი არ ექნებოდა, უპირობო-ლოგიკური არის ფაქტი, რომლის მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი: მას ახსნა სჭირდება და მისი უარყოფა, როგორც ითქვა, შეუძლებელიცაა; უპირობო-ლოგიკური სწორედ ის ლოგიკურია, რომლის უარყოფა შეუძლებელია, რომლის უარყოფა მასვე ასაბუთებს. ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომლის ცალმხრიობასაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს.

უპირობო ლოგიკური, როგორც ითქვა, აბსოლუტური ხასიათისაა, პირობითი-ლოგიკური მისი ერთმხრიობაა, ამიტომაა ის რელატურ-ლოგიკური. რელატურ-ლოგიკური მსჯელობის სახით არსებობს; ის არის მსჯელობა, რომელსაც სინთეზური ხასიათი აქვს. მსჯელობა. ერთმხრიობაა, მას ამართლებს მეორე მსჯელობა, (ისე როგორც პირიქით), ე. ი. მსჯელობა მართლდება მსჯელობათა კავშირში, რომელიც დასკვნას წარმოადგენს. ერთეულის და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობაში მართლდება მისი ერთმხრიობები: 1) ერთეული არის ზოგადი და 2) ერთეული არ არის ზოგადი, და სხვ. მსჯელობა „S არის P“ აზრის მქონეა იმ განსხვავების გამო, რომელიც სუბიექტსა და პრედიკატს შორის არსებობს; ეს ორი მომენტი ერთმანეთს ავსებენ ერთიანობამდე. მსჯელობა, როგორც რელატურ-ლოგიკური, გადადის მის საფუძველში-დასკვნაში, სახელდობრ, იმ დასკვნაში, რომელიც უპირობო-ლოგიკურს წარმოადგენს. უპირობო-ლოგიკური, როგორც ითქვა, ზედმეტს ხდის აქსიომებს დასაბუთებისათვის. დასაბუთების საწყისად თვითონ აქსიომების არსებობის შეუძლებლობა, სწორედ უსასრულო დასკვნის საშუალებით, ამტკიცებს უპირობო-ლოგიკურს, უსასრულო ლოგიკურს — დიალექტიკურ-ლოგიკურს. მასვე ამტკიცებს ის, რომ სიმბოლურ ლოგიკაში აუცილებელია მეტა- და მეტა-მეტალოგიკა, რისგან გამოწვეული სიძნელე ერთი ლოგიკის აუცილებლობას ასაბუთებს. ეს ერთი ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკაა, რომლის ფორმალიზაციაც შეუძლებელია. დიალექტიკურ ლოგიკას ასაბუთებს ისიც, რომ ლოგიკურისათვის აუ-

ცილებელია რედუქციულობის მომენტი, კერძოდ, აქსიომატური მეთოდის რედუქციული ხასიათი; შედეგის საფუძველში გამართლება არის ის, რასაც დასაბუთებას ეძახიან. მართალია, შედეგი საფუძველში მართლდება, მაგრამ საფუძველს სწორედ შედეგი ამართლებს, რადგან საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველს ჰქვია. ამ მომენტის გამოტოვება იძლევა იძულებას, რომელსაც ლოგიკის საქმე აქსიომატიზაციამდე მიჰყავს. საფუძველის და შედეგის ურთიერთგანსაზღვრა, შუალობითის და უშუალოს დიალექტიკური დამოკიდებულება ხსნის აქსიომატიზაციას და ასაბუთებს დიალექტიკურ მეთოდს, როგორც დასაბუთების მეთოდს.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ არგუმენტები კონვენციონალიზმის წინააღმდეგ, სადაც, ჩვენი აზრით, დამტკიცდა, რომ შეუძლებელია შეთანხმების საფუძველზე აშენდეს დასაბუთება, მეცნიერება. კონვენციონალიზმის შეუძლებლობა თვითონ ასაბუთებს ლოგიკურის ობიექტურობას, უპირობობას, ასეთი ლოგიკურის აუცილებლობას, დიალექტიკურ-ლოგიკურის აუცილებელობას; უპირობო-ლოგიკური. უსასრულო დასკვნა ხომ დიალექტიკურია, სრული განხორციელებაა დაპირისპირებულთა ერთიანობისა.

ლოგიკურის ობიექტურობა-უპირობობას ასაბუთებს ისიც, რომ შეუძლებელია ინტუიციის მოქცევა დასაბუთების სათავეში. რამდენადაც ინტუიტური, რომელიც დასაბუთების სათავედ მიაჩნიათ, არის იმის გამოთქმა, რის უარყოფაც შეუძლებელია, სწორედ უარყოფის საშუალებით ხსნის თავის თავს და აჩვენებს იმის აუცილებლობას, რის უარყოფაც მასვე ასაბუთებს. დასაბუთების საწყისად ინტუიტურის მოთავსების საწინააღმდეგოდ იმის აღნიშვნაც კმარა, რომ ინტუიტურს უკვე ხსნის პასუხი კითხვაზე, თუ რა არის იგი. რა არის ეს ინტუიტური? როგორც კი შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, — მაშინვე მივიღებთ მსჯელობას, რომელიც ლოგიკური ბუნებისაა და არაა ინტუიტური; — მით უმეტეს, თუ ეს მსჯელობა იმას გამოთქვამს, რის უარყოფაც მასვე დაადგენს.

ის გარემოება, რომ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება დიალექტიკური ბუნებისაა, რომ არსებობს შინაგანი უარყოფის საშუალებით თვითდადგენა-დასაბუთება, ამტკიცებს იმას, რომ: 1) აზრში არის უპირობობა, რაღაც ლოგიკური „სუბსტანციალობა“, თავისებური ობიექტურობა, რის — გამოც 2) ეს უპირობობა,

როგორც უსასრულო — სრული ლოგიკური აუცილებლობის დასკვნა, ამავე დროს, სრულ ცოდნასაც წარმოადგენს. ამიტომ ვამბობთ, რომ ასეთი ლოგიკური, ამავე დროს, შემეცნებითიცაა, ოოივე კი დიალექტიკურია თავიანთი ბუნებით. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ეს ასეა, თუ უპირობო-ლოგიკურს, უსასრულო დასკვნას არ დავშლით მის მომენტებად, ერთმხრიობებად, რომელთა ცალკე წარმოდგენა ლოგიკის და შემეცნების თეორიის ერთიმეორისაგან ჯათიშვას იწვევს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დიალექტიკურ ლოგიკამდე. მხოლოდ პირობით-ლოგიკურის სრულ ლოგიკურად წარმოდგენა სთიშავს შემეცნების თეორიას ლოგიკისაგან, რომლის ფორმულიზაციის ცდა აზრს უკარგავს თვითონ ლოგიკას. ეს შეუძლებლობა კი, თავის მხრივ, აჩვენებს დიალექტიკური ლოგიკის აუცილებლობას,

უსასრულო ლოგიკური დიალექტიკურობა მთავარია იმისათვის, რომ დასაბუთდეს დიალექტიკური ლოგიკა, სადაც განხორციელებულია დიალექტიკური მეთოდი. ამ მეთოდის მომენტებს კი, როგორც ითქვა წარმოადგენს დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია, რომელთა ერთიმეორისაგან გამოცალკევება და თითოეულის წარმოდგენა ლოგიკურის აბსოლუტურ მეთოდად ყოველთვის იყო ლოგიკური დასაყრდენი სხვადასხვა შემეცნების თეორიებისა. შემეცნების ემპირისტული თეორიები ინდუქციას ეყრდნობიან, რაციონალისტური თეორიები კი დედუქციას და სხვ. ასე რომ, ლოგიკა იქაც გაიგივებული იყო შემეცნების თეორიასთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ლოგიკურ მეთოდს ეყრდნობოდა და მოიხმარდა. მით უმეტეს ეს ითქმის დიალექტიკური მეთოდის შესახებ, რომელიც შემეცნების მეთოდიცაა და ლოგიკურ მეთოდსაც წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, დიალექტიკური ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკური მეთოდი, გატარებული და განხორციელებული ლოგიკის პრობლემატიკაში. ამ აზრით, ლოგიკა არის აზროვნების დიალექტიკური ფორმების შესახებ მეცნიერება, რომელშიც ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია.

მაშასადამე, უპირობო-ლოგიკური არის საფუძველი ლოგიკური მეთოდების დიალექტიკურ მეთოდში, როგორც დასაბუთების

მეთოდში, ერთიანობისა. ეს გარემოება დამატებით ახსნას მოითხოვს.

მ. დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, შესახებ. ზემოთ მოვიყვანეთ ფ. ენგელსის აზრი იმის შესახებ, რომ დიალექტიკა არ არის „უბრალო მტკიცების რაღაც იარაღი", მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის შეიძლება, „რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ". ფ. ენგელსის აზრით, „უბრალო მტკიცების რაღაც იარაღად" შეიძლება გამოდგეს ფორმალური ლოგიკა, თუკი ეს უკანასკნელი შეზღუდულად იქნება გაგებული, მაგრამ, ნამდვილად, „თვით ფორმალური ლოგიკაც, უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად; იგივეა, მხოლოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრით, დიალექტიკა, რომელიც... არღვევს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს"[1]. ისტორიულის ამსახველი ლოგიკურის მეთოდი, დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი ახლის მიღების მეთოდია; ამიტომ გამოიყენება იგი ლოგიკაში, შემეცნების თეორიასა და კერძო მეცნიერებაში, მაგალითად, კ. მარქსის „კაპიტალში".

თუ ლოგიკური მეთოდი ახლის მიღების მეთოდი იქნება, მაშინ ის იქნება ლოგიკის მეთოდიც და შემეცნების თეორიის მეთოდიც. ახლის მიღების მეთოდი, სინთეზური მეთოდი ცოდნის მიღების მეთოდიცაა და ლოგიკური-დასაბუთების, როგორც ახალზე აუცილებელი გადასვლის, მეთოდიც.

მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი შემეცნების მეთოდიცაა და დასაბუთების მეთოდსაც უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში ერთი-მეორეს დაემთხვევა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია, აქ აღარ იქნება საჭირო ეს სამი სიტყვა.

ინდუქცია არისტოტელეს შემდეგ ცნობილია როგორც კვლევა-ძიების, ცოდნის მიღების მეთოდი. დავას იწვევს, როგორც ეს ზემოთ საკმაოდ გაირკვა, მხოლოდ ის, თუ ინდუქცია ლოგიკურ მეთოდად — დასაბუთების მეთოდად როგორ გამოდგება. თუ კერძოებიდან ზოგადი ლოგიკური აუცილებლობით მიიღება, მაშინ ინდუქცია ლოგიკურ, დასაბუთების მეთოდს წარმოადგენს, თუ არა და იგი არ არის ასეთი მეთოდი, რჩება მხოლოდ შემეცნების

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 160.

გარკვეულ მეთოდად. ასეთ პირობებში, ცხადია, შემეცნების თეორია და ლოგიკა ერთიმეორისაგან გათიშული დარჩება, მათი იგივეობის დასაბუთება შეუძლებელი იქნება. თუ ინდუქცია დასაბუთდა, როგორც ლოგიკური მეთოდი და ამავე დროს იგი შემეცნების მეთოდიც იქნება, მაშინ ლოგიკა და შემეცნების თეორია ამ მეთოდის ასპექტში ერთიმეორეს დამთხვევა, ეს ორი რამ ერთი და იგივე იქნება.

თუ დაძლეულ იქნა ინდუქციის ის ალბათობა, რომელზედაც გვქონდა საუბარი, მაშინ ინდუქციაში, როგორც ახლის მიღების მეთოდში, ერთიმეორეს დაემთხვევა შემეცნებითი და ლოგიკური, ამის საფუძველზე კი ლოგიკა და შემეცნების თეორია გაიგივდება, როგორც ითქვა, ინდუქციის ალბათობის დაძლევა აუცილებელია. არ შეიძლება ის არ იქნეს დაძლეული, რადგან თუ ინდუქციისათვის ყველაფერი არის ალბათური, მაშინ უკვე აღარაა ალბათური ის, რომ „ყველაფერი ალბათურია". ეს სიძნელე თვითონ აჩვენებს ალბათობის მომხსნელ უცილობლობას, რაც იგივე ლოგიკურობაა.

ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ინდუქციის ალბათობის დაძლევა ხდება კატეგორიალური კავშირებით, კატეგორიების დაკავშირებით, სახელდობრ, კერძოსა და ზოგადის ერთიანობით. ის გარემოება, რომ კერძოსათვის ლოგიკურად აუცილებელია ზოგადი, უკვე არის ინდუქციის ალბათობის დაძლევა და ამის საფუძველზე შემეცნებითის და ლოგიკურის იგივეობის დადგენა. ინდუქციის სიძნელე გადაწყვეტადია, რადგან როგორც ზემოთაც აღინიშნა, კერძოებიდან ზოგადის ლოგიკური აუცილებლობით მიღება მართლდება კატეგორიების კავშირში, სახელდობრ, კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობაში. კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი იმიტომაც, რომ ყველა კერძო უკვე ზოგადია. მაგრამ არასრული ინდუქციის ყველა კერძო ხომ უსასრულოა? როგორ შეიძლება აღებულ იქნეს ყველა კერძო? პასუხი ასეთი უნდა იყოს: ყველა კერძო, ლოგიკურად, არის კერძო საერთოდ, ანუ: კერძო როგორც კატეგორია. ყველა კერძოს მაგიერ აღებულ უნდა იქნეს კერძო როგორც კატეგორია, რომელიც ერთ კერძოში ისეთივეა, როგორც სხვაში, ე. ი. კერძოს კატეგორია თვითონ არის ზოგადი, და ამიტომ ცხადია, რომ კერძო არის ზოგადი. კერძო შინაგანი აუცილებლობით უკავშირდება ზოგადს; უკეთ: კერძო, თავისი ბუნებით, გადადის ზოგადში, რაც წარმოადგენს მსჯელობის ბუნებას — კერძო არის ზოგადი. ეს იმას ნიშნავს, რომ კერძოდან ზოგადზე

გადასვლა ხდება პრედიკაციით. უკვე მსჯელობაა გადასვლა კერძოდან ზოგადზე, ე. ი. უკვე მსჯელობა ახორციელებს ინდუქციას.

ინდუქციის გამართლება როგორც ლოგიკური მეთოდისა, ეს არის კერძოს კატეგორიისათვის ზოგადის აუცილებლობის ჩვენება, კვლევა-ძიების გზის დასაბუთების გზასთან გაიგივების დამტკიცება. ეს კი შესაძლებელია ერთეულისა და ზოგადის დამოკიდებულების ონტოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველზე. დიალექტიკურ-ონტოლოგიურს უნდა დაემყაროს დიალექტიკურ-შემეცნებითი და დიალექტიკურ-ლოგიკური.

სხვანაირად: ინდუქციის ლოგიკურ მეთოდად დასაბუთება უნდა დაემყაროს შინაარსეული ზოგადის და ასეთივე კერძოს დამოკიდებულებას, რადგან ინდუქციაში მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი კერძოდან აუცილებლობით იქნეს მიღებული ზოგადი, თუ ეს უკანასკნელი შინაარსეულია და არა მოცულობითი. ნომინალისტურად გაგებული ზოგადის კერძოებიდან მიღება შეუძლებელია, რამდენადაც უსასრულო ერთეულების გავლაა შეუძლებელი.

ის გარემოება, რომ ინდუქცია გამოდის ზოგადიდან — ბუნების ერთგვაროობის კანონიდან ან სხვა პოსტულატებიდან, და, ამავე დროს, ცდილობს ყოველი ზოგადი კერძოდან გამოიყვანოს, წარმოადგენს იმ წრეს, რომელიც შესაძლებელია ურთიერთმოქმედების კატეგორიის საშუალებით, რაც (ეს ურთიერთმოქმედება) თავითსაფუძვლის ნიადაგზეე ხორციელდება; ამით უკვე ისაა ნათქვამი, რომ ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის სფეროშია შესაძლებელი.

როგორც დედუქციისათვის, ისე ინდუქციისათვის, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, საფუძველს წარმმოადგენს ზოგადი, ამიტომ ინდუქციას რედუქციის სახედ თვლიან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დედუქციისა და ინდუქციის, როგორც ლოგიკური მეთოდების, სიძნელეები საფუძველ-შედეგის დიალექტიკური დამოკიდებულებით უნდა გადაწყდეს. უნდა მოინახოს ისეთი ლოგიკური, საფუძველ-შედეგის ისეთი ლოგიკური დამოკიდებულება, სადაც მოხდება ასახვა რეალური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებისა, ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური, სადაც ხორციელდება საფუძველ-შედეგის დიალექტიკურობა, რომელიც რეალურ-ისტორიულის, კერძოდ, ამ სფეროში განხორციელებული რეალური საფუძველ-

შედეგის დამოკიდებულების ასახვას, თავისებურ, აზროვნებით რეპროდუქციას წარმოადგენს, ეს არის ისეთი ლოგიკური, სადაც ხორციელდება შინაგანი საფუძველი, თვითსაფუძველი, თვითდაფუძნება.

თვითდასაბუთება, როგორც ეს ზემოთ საკმარისად აღინიშნა, შესაძლებელია მაშინ, თუ მასში მოქმედებს შინაგანი უარყოფა. სწორედ ამის გამო, ასეთი ლოგიკური წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას. თვითდაფუძნება, შესრულებული შინაგანი უარყოფით, არის წინააღმდეგობის თუ დაპირისპირებულთა ერთიანობა, რაც დიალექტიკის „ბირთვს" წარმოადგენს.

როგორც ზემოთ გაირკვა, როგორც ინდუქცია ისე დედუქცია მოითხოვს რედუქციას — საფუძველზე მიყვანას თუ დაყვანას, მაგრამ რადგან ამ მეთოდებში ბატონობს პირობითობის პრინციპი — „თუ არის A, მაშინ არის B", ამიტომ ეს მეთოდები უპირობოს-უსასრულო ლოგიკურს ემყარებიან, ისინი დიალექტიკური მეთოდის მომენტებს წარმოადგენენ.

დიალექტიკური მეთოდი თავისებური დედუქციური მეთოდია, რადგან აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლის გზა, რაც დიალექტიკურ გზას წარმოადგენს, ზოგადიდან კერძოსკენ წასვლის გზაა. მაგრამ, მეორე მხრივ, დიალექტიკური მეთოდი თავისებურ ინდუქციურ მეთოდსაც წარმოადგენს, რამდენადაც აბსტრაქტული, საიდანაც იწყებს დიალექტიკური მეთოდი, არის ერთმხრივი, რაც შინაარსეულ კერძოს წარმოადგენს, კონკრეტული კი შინაარსეული ზოგადია, რაც აბსტრაქტულიდან წამოსული გზის შედეგს შეადგენს. ერთმხრიობებიდან, როგორც შინაარსეული კერძოებიდან შინაარსეული ზოგადის, როგორც გარკვეული კონკრეტული ერთიანობის, მიღების გზა თავისებური ინდუქციის გზაა, ისეთი ინდუქციისა, რომელიც იგივეა, რაც დალექტიკის, როგორც დედუქციის გზა და პირიქით, ეს ორი მომენტი ერთი და იგივეს შეადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დედუქციისა და ინდუქციის ლოგიკური ფორმები აუცილებლობით მოითხოვენ დასაბუთების დიალექტიკურ ფორმას, რომელშიც ისინი ერთიმეორეს ერწყმიან, შეადგენენ რა ერთსა და იმავე ფორმას.

როგორც ვნახეთ, დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის საფუძველში ძევს ზოგადის და ცალკეულის დიალექტიკურ-ლოგიკური ერთიანობა, რომელიც გამოთქვამს, ასახავს ზოგადის და ცა-

ლკეულის რეალურ ერთიანობას, მათ ობიექტურ დიალექტიკას. მაგრამ ისიც გაირკვა, რომ ზოგადის და ცალკეულის დიალექტიკური ერთიანობა, ეს არის შინაარსეული ზოგადის და ასეთივე კერძოს ერთიანობა, ანუ სხვანაირად, სასრულის და უსასრულოს ერთიანობა, რაც უარყოფის საშუალებით თვითდადგენა-დაფუძნებაში მდგომარეობს. ასეთი თვითდაფუძნება საფუძველ-შედეგის ისეთი ერთიანობაა, სადაც ეს ორი რამ ურთიერთს განსაზღვრავს—ურთიერთს აფუძნებენ თვითსაფუძველზე დამყარებით, შინაგანი საფუძვლის საშუალებით. შინაგანი ლოგიკური საფუძვლის და შინაგანი აუცილებლობის ცნებები გამოხატავენ იმას, რომ აზროვნების ფორმები საკუთარი ლოგიკური შინაარსით—მათი გარკვეული ნიშნებით უკავშირდებიან ერთიმეორეს. ამ კავშირის ლოგიკური აუცილებლობა შეადგენს შინაარსეულ ლოგიკურს, რომელსაც აუცილებელი სინთეზის ხასიათი აქვს.

ფორმალური ლოგიკა დედუქციური ლოგიკის ხაზით მივიდა იმ მდგომარეობამდე, რომ ლოგიკა გაუიგივდა ტავტოლოგიურობას, როგორც ამას მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლები აღიარებენ (იხ. ამის შესახებ ზემოთ რასელის დებულებები). სინთეზურობას ინდუქცია ავითარებდა, მაგრამ იგი ლოგიკურად ვერ ჩამოყალიბდა. ინდუქციამ, ასე ვთქვათ, წაართვა დედუქციას სინთეზურობა; ეს ორი მომენტი დასცილდა ერთიმეორეს, ამიტომ ნამდვილი ლოგიკური, რომელიც სინთეზურ-ლოგიკურს წარმოადგენს,არც დედუქციურ ლოგიკაში განხორციელდა და არც ინდუქციურ ლოგიკაში. რაც შეეხება რედუქციას, იგი მოწოდებულია დაძლიოს დედუქციისა და ინდუქციის ნაკლოვანებანი, მაგრამ რედუქციულობის ცალკე გამოყოფა კიდევ მეტ სიძნელეებს ჰქმნის (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული). ეს გარემოება მოითხოვს ახალ მეთოდს, სადაც აქ აღნიშნული მომენტები-იგივეობრიობა, სინთეზურობა, ერთგვარი რედუქციულობა გაერთიანება ერთში; ამიო, ცნობილი ლოგიკური მეთოდები მომენტებად შევა მეთოდში, რაც აქ აღნიშნულის გამო, არ შეიძლება არ იყოს დასაბუთების მეთოდი ეს მეთოდი არის დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, სადაც გაერთიანებულია ზემოთ აღნიშნული მომენტები, რომლებიც დანაწილებული — გამოცალკევებული იყო ცნობილ ლოგიკურ მეთოდებში. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური მეთოდი ერთადერთი სწორი, მეცნიერული მეთოდია დასაბუ-

თებისა, როგორც სინთეზურ-ლოგიკურისა, გარკვეული ლოგიკური განვითარებისა, რომლის წესსაც სწორედ აზროვნების დიალექტიკური წესი შეადგენს, ის წესი, რომელიც ერთი და იგივეა ლოგიკაში, შემეცნებაში და წარმოადგენს სინამდვილის დიალექტიკის აზროვნებაში ანარეკლს — გამოხატავს.

მაშასადამე, აზროვნების დიალექტიკური წესის საფუძველზე დიალექტიკა ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთსა და იმავე მეცნიერებას წარმოადგენენ.

7. ანალიზ-სინთეზი და ლოგიკური განვითარება

1. ზემოთ მოყვანილი არგუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობას, საბოლოო ანგარიშში, სწორედ ამ იგივეობის ჩვენებით ემსახურებიან დასაბუთების ლოგიკური საწყისის და ლოგიკური გადმოცემა-დალაგების დასაწყისის დამოკიდებულების პრობლემის გადაწყვეტას, კერძოდ, ლოგიკური გადმოცემა-დალაგების, როგორც დასაბუთების, დასაწყისის ბუნების ჩვენებას. ამ გზით უნდა დამტკიცდეს ის, რომ დიალექტიკური მეთოდი დასაბუთების მეთოდიცაა, მეცნიერული კვლევა-ძიების წესი და დასაბუთების წესი არსებითად ერთიმეორეს ემთხვევიან დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში. ამ აზრით, მთავარ სიძნელეს წარმოადგენს ინდუქციის, როგორც დასაბუთების მეთოდის, სიძნელე, რომელიც ზემოთ საკმარისად იყო გარჩეული. ამ საკითხთა და სიძნელეთა გადაწყვეტისათვის აუცილებელია, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, ისეთი პრობლემის გარჩევა, როგორიცაა ლოგიკური განვითარების პრობლემა, სახელდობრ, პრობლემა ლოგიკური განვითარებისა, როგორც ლოგიკური ანალიზის საშუალებით შესრულებული სინთეზისა.

თუ არსებობს შემეცნებითის, ლოგიკურის და დიალექტიკურის იგივეობა, ამ იგივეობრივის ლოგიკურობის გამო, საწყისი თუ დასაწყისი იქნება დასაბუთების გამოსავალიც და ცოდნის დასაწყისიც, ეროი და იგივე იქნება დასაბუთების და ცოდნის დასაწყისიც.

ზემოთ იყო მითითებული, რომ ლოგიკური დალაგების დასაწყისი არ შეიძლება იყოს „რთული", რადგან ასეთი რამ ყოველთვის შემდეგი და შედეგია და არა გამოსავალი. ეს დასაწყისი არ შეიძლება იყოს მარტივი, რადგან არაფერია აბსოლუტურად მარტივი არც სინამდვილეში და არც აზრში. ამ სიძნელიდან გამო-

სავალი ისაა, რომ დასაწყისი შედარებით მარტივია. ის არის რთულის მარტივი, მარტივი რთულთან შედარებით. მარტივი, რომელიც აღებულია რთულთან დამოკიდებულების გარეშე, არის არაფერი, არარა, მაგრამ არარას აზრი აქვს რაიმესთან, არასთან დამოკიდებულებაში. არ არსებობს არც აბსოლუტური „არა" და არც „არას"-ს გარეშე აბსოლუტური „ჰო".

დასაწყისი აზრს დაკარგავს, თუ ის არ არის შემდეგის დასაწყისი; დასაწყისი სწორედ იმას ჰქვია, საიდანაც რაიმე იწყება. ლოგიკური დასაწყისიდან უნდა დაიწყოს აუცილებლობით სხვა რაიმე. მაგრამ მთელი სიძნელე სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ არის შესაძლებელი დასაწყისიდან გამოვიდეს სხვა, ის, რაც მასში არ არის? თუ ეს სხვა მასშია, მაშინ დასაწყისში ყველაფერი ყოფილა, ის ყოფილა ყველაფერი და არ ყოფილა მხოლოდ დასაწყისი. თუკი მასში არ არის ეს სხვა, მაშინ შეუძლებელი ჩანს რაიმეს იქიდან გამოყვანა, სადაც ის არ არის.

თუ საწყისი შეიცავს ყველაფერს, ესე იგი თუ ყველაფერი არის საწყისად მიჩნეული, მაშინ იქიდან გამოყვანა იქნება ასეთი საწყისის ანალიზი. ან ყველაფრის ანალიზით მიიღება ყველაფერი, მაგრამ ამ ყველაფრის ასეთი მიღება არაფრის მიღებაა, რადგან ყველაფერი უკვე თავიდანვე იყო, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, თვითონ „გამოყვანა", „მიღება" ჰკარგავს აზრს. მაგალითად, ანაქსიმანდრე ცდილობდა ყველაფერი გამოეყვანა აპეირონიდან, მაშინ როცა აპეირონი თვითონ იყო ყველაფერი, თვითონ შეიცავდა ყველაფერს მზამზარეული სახით. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სპინოზას ფილოსოფიაშიც. სპინოზას სუბსტანცია არის ყველაფერი, მისგან ყველაფერი გამოიყვანება, ისე როგორც სილოგიზმში დანასკვი მიიღება წანამძღვრებიდან. სპინოზას სუბსტანციიდან ყველაფერი ანალიზურად, ამიტომ, აუცილებლობით გამომდინარეობს. საქმეს არ შველის ის, რომ სუბსტანციაში ყველაფერი არის განურჩევლად, ყოველივე განსაზღვრულობების გარეშე; პირიქით, ეს საქმეს კიდევ უფრო აძნელებს, რადგან სუბსტანცია, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ შინაგან განსაზღვრულობას, თვითონ არის გაურკვეველი; ის არაფერია, ამიტომ მისგან არაფერი არ გამოიყვანება; — ისე როგორც პარმენიდეს სრული არსი, ნამღვილად, არაფერი, არარსი იყო.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი მაშინაც (როგორც ეს ზემოთ საკმარისად აღინიშნა), როცა ცდილობენ ლოგიკის აქსიომატიზაციას, როცა სისტემის სათავეში მოაქცევენ ისეთ აქსიომებს და წესებებს, რომლებიც ყველაფერს გულისხმობენ. წმინდა ანალიზური გამოყვანა შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ გამოსავალი ცარიელ ტავტოლოგიურ დებულებებს წარმოადგენს. ლოგიკურისთვის იმაზე უარესი არაფერი შეიძლება იყოს, როცა ყველაფერი წინასწარაა ნაგულისხმევი და წინასწარ მხოლოდ ტავტოლოგია, ე. ი. არაფერია. თუ წინასწარ ყველაფერია ნაგულისხმევი, მაშინ ანალიზური გამოყვანა მხოლოდ განმეორებას წარმოადგენს და ზედმეტია. თუ წინასწარ ტავტოლოგიაა, მაშინ აქედან არაფერი არ გამოიყვანება. იქმნება გამოუვალი მდგომარეობა, რომლის დაძლევა უდიდეს პრობლემად რჩებოდა ყოველთვის აზროვნების ისტორიაში.

ტავტოლოგიურის თუ იგივეობის გარეშე არაფრის გამოყვანა არ შეიძლება, მაგრამ არც მხოლოდ წმინდა იგივეობა იძლევა რაიმეს. დეკარტის cogito, ergo sum რამდენადაც გაგებული იყო როგორც ტავტოლოგიური დებულება, იმდენად მისგან არაფერი არ გამოიყვანებოდა, მავალითად, არ გამოიყვანებოდა დებულებათა ჭეშმარიტება. ამიტომ იყო, რომ დეკარტმა მისი ეს აქსიომა არქიმედის დასაყრდენად ჩათვალა, დებულებების ჭეშმარიტების, ჭეშმარიტი დებულებების მისაღებად კი, ღმერთს მიმართა: სწორედ ტავტოლოგიურობის გამო არ გამოდგა სისტემის საწყისად კანტის ტრანსცენდენტალური სუბიექტი; სწორედ იგივეობის მეტაფიზიკამ განსაზღვრა ფიხტეს სისტემის გამოსავლად არა ერთი საწყისის, არამედ სამი საწყისის აღიარება. ფიხტემ ვერ გადაჭრა პრობლემა დადებითობის უარყოფითობასთან, დადებითობის ფორმის წინააღმდეგობის ფორმასთან დაკავშირებისა, თუმცა პირველად მან მოგვცა კატეგორიების სისტემური დალაგება — გამოყვანის ცდა. ეს ცდა ერთი დასაწყისიდან ყველაფრის მიღებისა სრული სახით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იდეალიზმის ჩიადაგზე, წარმოადგინა ჰეგელმა; მაგრამ სწორედ იდეალიზმმა, სახელდობრ, აბსოლუტის მისტიკურმა ძალამ შერყვნა ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, ბუნება; ამიტომ ვერც ჰეგელმა გადაწყვიტა პრობლემა. პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა მოგვცა მატერიალისტურმა დიალექტიკამ, მაგრამ ეს განხორციელდა

კერძო მაგალითზე, სახელდობრ, „კაპიტალის“ მაგალითზე, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს პრობლემის ზოგად-ლოგიკური დაყენება-გადაწყვეტისათვის, როგორც გზის მაჩვენებელი, როგორც ნიმუში (და არა როგორც მხოლოდ მაგალითი).

თუ საწყისი არაფერია, არარაა, მაშინ იქიდან, ცხადია, არაფერი არ მიიღება. საწყისი უნდა იყოს რაიმე, საიდანაც სხვა რაიმე მიიღება. როგორ შეიძლება ამ რაიმეს მიღება საწყისისაგან? პასუხი, ვფიქრობთ, უნდა იყოს შემდეგი. ლოგიკური თვალსაზრისით, კერძოდ, ცნების თვალსაზრისით, პირველი ნაბიჯი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რა არის საწყისი, ე. ი. უნდა მოხდეს საწყისის განსაზღვრება. დასახელებულ უნდა იქნეს საწყისის ნიშანი. ამ დროს გაირკვევა ისიც, თუ რა უნდა ავიღოთ საწყისად; განსაზღვრება გვიჩვენებს იმას, თუ რა ნიშნით ხასიათდება საწყისი, ამით გაირკვევა, გამოდგება ეს რაიმე საწყისად თუ არა. ერთდროულად ხდება იმის გამორკვევა, თუ რა უნდა იყოს საწყისი და რის საწყისს წარმოადგენს იგი.

საწყისის ნიშნის დადგენა, ე. ი. იმის გამორკვევა თუ რა არის იგი, ხდება განსაზღვრებით, როგორც ნიშნის დადგენით. ეს არის საწყისის ნიშნის გამოყოფა ანუ ანალიზი. ანალიზი არის ის გზა, რომლითაც საწყისიდან მიიღება სხვა, რაც იქიდან შეიძლება იქნეს გამოყვანილი.

მაგრამ აქ თავს იჩენს სიძნელე: ანალიზი შეიძლება იმისა, რაც რთულია, რაც სინთეზური ბუნებისაა; ასეთი კი არ შეიძლება საწყისი იყოს. სად არის გამოსავალი? აი, კითხვა, რომელსაც უნდა ვაეცეს ისეთი პასუხი, რომელიც პრობლამას დადებითად გადაწყვეტს.

ამ სიძნელის გამო ბევრი დიდი მოაზროვნე იძულებული იყო და არის საწყისად აიღოს ის, რომლის ანალიზი ახალს კი არაფერს მოგვცემს, არამედ იმას გაიმეორებს, რაც საანალიზოში იყო ნაგულისხმევი. მაგალითად, კანტამდელი რაციონალისტები მიზეზში ეძებდნენ მოქმედებას, საფუძველში — შედეგს; მიზეზიდან ანალიზურად გამოჰყავდათ მოქმედება, საფუძვლიდან კი შედეგი (არც არჩევდნენ მიზეზს და საფუძველს ერთი მეორისაგან). იუმმა დასვა პრობლემა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიზეზი დაუკავშირდეს აუცილებლობით მისგან განსხვავებულ შედეგს, როგორ-

არის შესაძლებელი მიზეზ-შედეგის სინთეზურ-აუცილებელი კავშირი. და ეს პრობლემა მან უარყოფითად გადაწყვიტა: შეუძლებელია ასეთი კავშირი არსებობდეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ აუცილებელი კავშირი არ გვეძლევა ცდაში, არამედ იმიტომაც, რომ მიზეზი არის მიზეზი, მასში არაფერია მისგან განსხვავებული შედეგისა, ამიტომ მათ შორის აუცილებელი კავშირის აღიარება გაუგებრობის მეტს არაფერს არ წარმოადგენსო.

იუმი ასხვავებს მიზეზისაგან საფუძველს, სახელდობრ, ლოგიკურ საფუძველს, საიდანაც შედეგი მხოლოდ ანალიზურად შეიძლება გამომდინარეობდეს. კანტმა თავის შრომაში უარყოფითი სიდიდეების შესახებ დასვა საკითხი ისე, რომ მიზეზ-შედეგისა და საფუძველ-შედეგის პრობლემები ერთ პრობლემად წარმოსდგა: პრობლემა დასმულ იქნა პირველი ფილოსოფიის სიბრტყეში: როგორ შეიძლება რაიმეს განსხვავებული მიეწერებოდეს, ამით აღსდგა ანტიკური პრობლემა (სოკრატული სკოლებისა) და დაისვა მთელი სიმწვავით. ეს პრობლემა შემეცნების და ლოგიკის სფეროში იქნა გადატანილი „წმინდა გონების კრიტიკაში", სადაც იგი წარმოსდგა აუცილებელი სინთეზის პრობლემის, სახელდობრ, აუცილებელი სინთეზური მსჯელობის (კანტისათვის — აპრიორული სინთეზური მსჯელობის) პრობლემის სახით. კანტმა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, პრობლემა გადაწყვიტა ასე: 1) აუცილებელი სინთეზური მსჯელობა შესაძლებელია აპრიორული გრძნობადი ინტუიციის საფუძველზე; 2) სინთეზური დასკვნა (ამიტომ მეტაფიზიკა) შეუძლებელია; ცნებათა კავშირი, აღებული გრძნობიერების გარეშე, შეუძლებელია სინთეზური იყოს. პირველად ფიხტემ, შემდეგ კი ჰეგელმა სცადა ცნებათა ლოგიკური კავშირის სინთეზურობის დასაბუთება დიალექტიკის საშუალებით, დიალექტიკის სფეროში.

ყველაფერი ეს აქ იმიტომ ითქვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაგვესვა პრობლემა იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ანალიზის საშუალებით მივიღოთ სინთეზური სწორედ ლოგიკის სფეროში. ეს პრობლემა იგივეა, რაც ლოგიკური განვითარების პრობლემა.

მაგალითებად ისეთი საწყისისა, რომლის ანალიზი სინთეზურობას მოგვცემს, შეიძლება აზროვნების ისტორიიდან დავასახელოთ ორი: ერთია ჰეგელის „ლოგიკის" დასაწყისი,მეორე კი

კ. მარქსის „კაპიტალის“ დასაწყისი. პირველი უშუალოდ არის ლოგიკური საწყისი, მეორე კი კერძო მაგალითია ლოგიკური საწყისისა. რას წარმოადგენენ ეს საწყისები? საჭიროა მოკლე პასუხი ამ კითხვაზე.

2. ჰეგელის აზრით, ფილოსოფიური ლოგიკის (სხვაგვარი ლოგიკა მისთვის არ არსებობს) დასაწყისი არ შეიძლება მხოლოდ უშუალო იყოს და არც მხოლოდ გაშუალებული. დასაწყისი არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო, რადგან ის არის დასაწყისი სხვის, ლოგიკაში — ყველაფრის. ის არ შეიძლება იყოს გაშუალებული, რადგან გაშუალებული არის სხვით გაშუალებული და ამიტომ არის შედეგი. ლოგიკის საწყისი, როგორც მისი პრინციპი, არის გარკვეული შინაარსის, ამიტომ არ არის წმინდა უშუალო. რასაც არავითარი შინაარსი არ აქვს, ის არის არაფერი, ასეთი კი არ უნდა იყოს საწყისი. საწყისი, როგორც სწორედ საწყისი, უნდა იყოს განსაზღვრული იმით, რისი საწყისიც ის არის, ის უნდა განისაზღვრებოდეს „საქმით“, საგნით; ის საგნობრივი — ობიექტური უნდა იყოს და არა სუბიექტური. სუბიექტური — შემთხვევითი საწყისი თავის თავს აუქმებს. შემთხვევითი საწყისი, როგორც ის, რაც შეიძლება იყოს საწყისი და შეიძლება არ იყოს, არ არის საწყისი რაიმესი. რომელიც გვაიძულებს ავიღოთ სწორედ მისი საწყისი, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ.

ჰეგელის აზრით, თუ ფილოსოფიას დავიწყებთ უშუალოთი და ეს უშუალო გაგებული იქნება, როგორც გრძნობადი უშუალო, მაშინაც ჩვენ არ შეიძლება საქმე გვქონდეს წმინდა უშუალოსთან, რადგან, როგორც ეს ჰეგელის „სულის ფენომენოლოგიაში“ აქვს ნაჩვენები, გრძნობადი უშუალო არის „ეს“, „აქ“, „ახლა“, „აგრეთვე“; მაგრამ „ეს“ არის ყველაზე აბსტრაქტული, ამიტომ აქ ადგილი აქვს კონკრეტულის და აბსტრაქტულის წინააღმდეგობას და სხვ.

ლოგიკის ლოგიკური დასაწყისი არ შეიძლება იყოს წმინდა უშუალო, რადგან ის გულისხმობს მთელ ლოგიკას, ის ხომ მისი დასაწყისია. თუ ლოგიკას გავიგებთ, როგორც დასაბუთებას, მაშინაც ამასვე ვიტყვით: დასაბუთების დასაწყისი არ არის წმინდა უშუალო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასაბუთების დასაწყისი არ იქნებოდა (ჩვენ აქ ჰეგელის აზრს გადმოვცემთ, მაგრამ — ჩვენი ინტერპრეტაციით).

ჰეგელი ფიქრობს, რომ ყველაფრის აბსტრაქციის შემდეგ რჩება ისეთი რამ, რომლის აბსტრაქცია არ შეიძლება, ეს არის არსი, წმინდა არსი. არსი, გაწმენდილი ყოველგვარი შინაარსისაგან, მაინც არის რაღაც, რომელიც უმარტივესი კატეგორიაა და ამიტომ ყველა კატეგორიის — მთელი ლოგიკის დასაწყისად გამოდგება. ეს უმარტივესი კატეგორია იხსნება სხვა კატეგორიებით და ბოლოს მივიღებთ კონკრეტულს — ყველაფრის არსებას, თავისთავადს — თვითმყოფს, რომელსაც წარმოადგენს ცნება, ფიქრობს ჰეგელი, არსი იხსნება და ინახება სხვაში; არსი ხდება მოხსნილ-შენახული, ე. ი. იდეელური — დაქვემდებარებული მომენტი, საბოლოოდ, ცნებისა. ამიტომ ერთადერთი ფილოსოფია არის იდეალიზმი, ფიქრობს ჰეგელი.

მაგრამ ამ აზრის მცდარობა ნათლად გამოჩნდება თვითონ ჰეგელის აზრთა წყობიდან. თუ არსი იხსნება, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ის ინახება; არსის მოხსნა-შენახვა არის თვითონ არსის განვითარება და რაც ბოლოს იქნება მიღებული, ეს არის თვითონ არსი განვითარებული სახით და არა სხვა რამ. ამას თვითონ ჰეგელი ამტკიცებს. არსის პირველი კატეგორია არის თვისობრიობა, მეორე—რაოდენობა, მათი ერთიანობა—ზომა არის დასრულებული, არსი. შემდეგ არის არსება; მაგრამ რა არის არსება? ეს არის არსის თავის თავთან მიმართება. მაშასადამე, ის არის განვითარებული, სრული სახით წარმოდგენილი არსი, არსი, რომელიც თავის თავთან არის დამოკიდებული. შემდეგი საფეხური არის ცნება, ფიქრობს ჰეგელი. მაგრამ ეს ცნება ხომ არის არსის და არსების ერთიანობა? ე. ი. ეს არის არსი, რომელიც თავის თავზეა დაფუძნებული და თვითმყოფია, საკუთარი თავის მიმართ სუბსტანციალური ძალიერებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლოს არის განვითარებული არსი და არა ცნება.

ერთი სიტყვით, ჰეგელი თავის თავს ეწინააღმდეგება: ერთი მხრივ, არსი იხსნება და ცნება რჩება, მეორე მხრივ კი ეს ცნება არის არა ცნება, არამედ განვითარებული — სრულად წარმოდგენილი არსი, სრული არსი.

ეს აზრი სხვანაირად ასე გამოითქმება. ჰეგელის ლოგიკის საწყისი არის არსის კატეგორია, როგორც უმარტივესი კატეგორია, შემდეგი კატეგორიები მას ხსნის და იქვემდებარებს; ბოლოს ცნება, უაეთ, იდეა იქვემდებარებს ყველაფერს; რჩება იდეა, არსი (და

არსება) მოხსნილია. მაგრამ, მეორე მხრივ, ცნება (იდეა) სხვა არაფერია, თუ არა არსის კატეგორია, გამდიდრებული სხვა კატეგორიებით. ბოლოს მივიღეთ ის, რაც თავში იყო — არსი.

აქ, ერთი მხრივ, არის ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობა, მაგრამ, მეორე მხრივ (ეს არის ჩვენთვის საინტერესო), აქ ადგილი აქვს რაციონალურ მარცვალსაც სწორედ დასაწყისის ცნების გარკვევის თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ დასაწყისი არ არის წმინდა უშუალო, ის ყველაფერს გულისხმობს, რაც შემდეგ იქნება; ამიტომაა ბოლოს ის, რაც თავში იყო. მთელი განვითარება ერთისა და იმავეს განვითარებაა, რომელიც კატეგორიების კავშირის სახით, განსაზღვრებებით ჩამოყალიბდება — განხორციელდება. ის, რაც დასაწყისია, ბოლოს წარმოსდგება მთელი მისი განსაზღვრებებით. აქ მოცემულია გარკვეული მეთოდი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ყოველი საგნის ცნებას.

ერთი სიტყვით, ზემოთ თქმული ჯერჯერობით გამოვიყენოთ იმის ნათელსაყოფად, რომ დასაწყისი უშუალოა, მაგრამ ის გაშუალებულია, რამდენადაც იგი არის სხვისი დასაწყისი, უკეთ: ის არის რაიმეს დასაწყისი; რაიმე არის დასაწყისი საკუთარი განვითარებისათვის. დასაწყისი არის შემდეგისა და შედეგის დასაწყისი. დასაწყისიდან ბოლომდე ერთი რაიმე გვაქვს; დასაწყისი და ბოლო ამ რაიმეს დასაწყისი და ბოლოა. რაიმე ცნების განსაზღვრების დაწყება და დამთავრება არის სწორედ ერთი და იმავე ცნების განსაზღვრება. ასევე უნდა ითქვას საერთოდ ცნების შესახებაც. საერთოდ ცნება, ცნება როგორც ცნება, არის ერთი, მას ერთი საწყისი აქვს, ბოლოც ერთია. ჰეგელის აბსოლუტი ლოგიკურად სხვა არაფერია, თუ არა ცნება, როგორც ცნება. მთელი ლოგიკა არის ამ ერთი ცნების განსაზღვრების პროცესი. დასაწყისიც მასში შედის და ბოლოც.

დასაწყისი უნდა იყოს ის, რასაც არაფერი არ უსწრებს წინ, რასაც არ აქვს გარეგანი საფუძველი. ამდენად ის არის უშუალო, მაგრამ ის თავისი თავის დასაწყისი უნდა იყოს, თავისი თავის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, თავის თავში უნდა იყოს გაშუალებული, და სხვ. დასაწყისიდან წინსვლა უნდა იყოს უკან დაბრუნება დასაწყისისაკენ; ეს არის დასაბუთების პროცესი, რომლის ბოლოს იქნება დასაწყისის ბოლო და დასაწყისი — ბოლის დასაწყისი. ეს იქნება ერთი და იგივეს განვითარება და ერთი და

იგივეს ლოგიკური განსაზღვრება, უკეთ, ერთი და იგივეს ლოგიკური განსაზღვრების პროცესი, როგორც გარკვეული ლოგიკური განვითარება, რომელიც, როგორც ასეთი, არ შეიძლება არ იყოს დიალექტიკური.

დასაწყისი იმის დასაწყისია, რაც შემდეგ გაირკვევა, მაგრამ რადგან ეს შემდეგი არ არის დასაწყისში, ამდენად, ეს დასაწყისი არაფერია; მაგრამ დასაწყისი არის, რადგან ის სწორედ შემდეგის დასაწყისია. აქ არის გარკვეული წინააღმდეგობა, რომელიც დასაწყისის ბუნებას წარმოადგენს. ამ წინააღმდეგობის გახსნის და გადაწყვეტის პროცესი არის ლოგიკური, დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარება, როგორც ერთი და იმავეს სისრულით განხორციელების პროცესი.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური განვითარების დასაწყისი, არის ერთგვარი „უჯრედი", სადაც არსებითად ყველაფერი იწყება, ის ყველაფრის „უჯრედია". ასე ესმის ვ. ი. ლენინს დასაწყისის ბუნება (ჩვენც სწორედ ამ აზრით და მხოლოდ ამ მხრივ შევეხეთ ჰეგელის „ლოგიკის" დასაწყისის საკითხს).

3. ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსი „კაპიტალში" თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე უბრალო, ჩვეულებრივ, ძირითად, ყველაზე მასობრივ, ყოველდღიურ, მილიარდჯერ ნახულ **ურთიერთობას**, საქონლის გაცვლას. ანალიზიამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში") ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოების **ყველა** წინააღმდეგობას (resp. **ყველა** წინააღმდეგობის ჩანასახს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (როგორც ზრდას, ისე მოძრაობას), მისი ცალკეული ნაწილების $\sum$-სას, მისი დასაწყისიდან მის დასასრულამდე". „ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდიც (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსის ნაწერებში დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევაა). უნდა დავიწყოთ უმარტივესით..."[1].

მაშასადამე, დასაწყისი უნდა იყოს მარტივი, მაგრამ არა აბსოლუტურად მარტივი, ასეთი არაფერია; ის უნდა იყოს მარტივი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, მარქსიზმი, 1953, გვ. 364.

მაგრამ ამავე დროს ძირითადი და არსებითი. დასაწყისი უნდა იყოს არსების დასაწყისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძირითადი არ იქ-ნებოდა. დასაწყისი, როგორც მარტივი, არ გამორიცხავს „რთულს", მაგალითად, წინააღმდეგობას, პირიქით, ის არის წინააღმდეგობის მარტივი, მარტივი წინააღმდეგობა; ის არის ყველა წინააღმდეგობის დასაწყისი, სახელდობრ, ის, საიდანაც განვითარდება ძირითადი წინააღმდეგობა. დასაწყისი არის განვითარების დასაწყისი; განვი-თარება სწორედ ამ დასაწყისის განვითარებაა. ამიტომ ის არის ერთი და იმავეს დასაწყისი. ერთი და იგივე იწყება ამ დასაწყისით, ავითარებს ამ დასაწყისს და ბოლოს ვღებულობთ მთელს, რო-მლის დასაწყისზე და განვითარებაზეც აქ ვლაპარაკობთ. ერთი და იგივეა თავში, განვითარებასა და ბოლოში. მაგალითად, „კაპიტა-ლში" ჯერ განიხილება „საქონელი" — მარტივი ურთიერთობა იმ რთული ურთიერთობისა, რომელსაც კაპიტალი წარმოადგენს, შე-მდეგ ფული, სწორედ კაპიტალის თვალსაზრისით; საქონელი და ფული განიხილება როგორც კაპიტალის საფეხურები, მისი განსა-ზღვრულობები, რომელთაგან ერთი უფრო მარტივია და მეორე უფრო რთული — უფრო კონკრეტული; თვითონ კაპიტალი კი, არის უკონკრეტულესი და გარკვეული მთელი. ასეთია რეალური ურთიერთობათა გამომხატველი კაპიტალის ცნების განსაზღვრება, რომლის მომენტებიც გარკვეულ ლოგიკურ კავშირში, დასაბუთე-ბით კავშირში იმყოფებიან. ეს ლოგიკური გადმოცემა-დალაგება რეალურ-ისტორიულის ასახვას წარმოადგენს.

ეს არის კერძო მაგალითი იმ ზოგადისა, რომელიც ლოგიკური მეთოდის, ფილოსოფიურ-ლოგიკური მეთოდის არსებას, ბუნებას წარმოადგენს და შეიძლება მოკლედ ასე გამოითქვას: რაიმე ჯერ — დასაწყისში წარმოსდგება როგორც „უჯრედი", შინაგანი წინააღმ-დეგობის — არსების დასაწყისი, რომელიც დასაწყისია განვითარე-ბისა, როგორც წინააღმდეგობის გაშლა-გადაწყვეტისა, რაც სრულ-დება გარკვეული საგნის ცნების განსაზღვრულობების — ნიშნე-ბის ამოწურვით, ე. ი. ცნების დადგენით. დასაწყისი, ლოგიკურად, უნდა იყოს ამ ცნების დასაწყისი, რომელსაც მსჯელობის საშუა-ლებით გამოხატული განსაზღვრულობები ლოგიკურ-განვითარე-ბით აუცილებელ კავშირში წარმოგვიდგენენ ერთ ცნებას, როგორც რეზულტატს, შედეგს რაშიც მოხსნილ-შენახული იქნება მისი სა-ფეხურები, განსაზღვრებები, მომენტები

ვ. ი. ლენინი წერდა რომ, „Маркс применил диалектику Гегеля в ее рациональной форме к политической экономии". ვ. ი. ლენინის ეს დებულება მინაწერია ლენინისავე შემდეგი დებულებებისადმი: „Образование (абстрактных) понятий и операции с ними уже включают в себе представление, убеждение, сознание закономерности объективной связи мира. Выделять каузальность из этой связи нелепо. Отрицать объективность понятий, обективность общего в отдельном и в особом невозможно. Гегель много глубже, следовательно, чем Кант и др., прослеживая отражение в движении понятий движения объективного мира. Как простая форма стоимости, отдельный акт обмена одного, данного, товара на другой уже включает в себе в неразвернутой форме все главные противоречия капитализма,—так уже самое простое, обобщение, первое простейшее образование понятий (суждений, заключений etc.) означает познание человека все более и более глубокой объективной связи мира. Здесь надо искать истинного смысла, значения и роли гегелевской Логики. Это NB".[1]

ამრიგად, მარქსის დიალექტიკა, რომელიც რაციონალურ ფორმაში აღებული ჰეგელის დიალექტიკაა, შემეცნების თეორიის და ლოგიკის იგივეობას აფუძნებს. შემეცნების თეორიის და ლოგიკის იგივეობა ემყარება ონტოლოგიას, რადგან ცნებათა ლოგიკური მოძრაობა ობიექტური ხასიათისაა, ობიექტური მოძრაობის ასახვას წარმოადგენს. ობიექტური მოძრაობის ამსახველი ცნებათა ლოგიკური მოძრაობა იწყება აბსტრაქტული ცნებებით, რომელთა ობიექტურობის უარყოფა შეუძლებელია. დასაწყისი მარტივი განზოგადებაა, მაგრამ სრულიად ობიექტურ ხასიათს ატარებს. პირველი ცნებები, მსჯელობები და დასკვნები შემეცნების გაღრმავებასაც აჩვენებს. დასაწყისი, რომელიც მარტივ ლოგიკურს წარმოადგენს, გაუშლელი სახით თავის თავში შეიცავს ყველა წინააღმდეგობას, ყველაფერს, რაც აუცილებლობით მოჰყვება მას. ეს გაუშლელობა არ არის ფსიქოლოგიური გაურკვევლობა; ის არის ლოგიკური „გაუშლელობა", რომელიც, როგორც ეს ქვემოთ იქნება განხილული, ანალიზის და პრედიკატის საშუალებით სრული

[1] В. И Ленин. Философские тетради, стр. 153.

ლოგიკურის სახით ჩამოყალიბდება, რასაც ლოგიკური განვითარების სახე ექნება.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ მარქსის „კაპიტალში“ მოცემულია „История капитализма и анализ понятий, резумирующих ее“; განხილვა ცნება-კატეგორიებისა „საქონელი — ფული — კაპიტალი“, ეს არის ისტორიაც და მისი ამსახველი, ამ ისტორიის შემჯამებელი ამ ცნებების ანალიზი. დასაწყისს წარმოადგენს საქონელი, ცალკეული საქონელი, რომელიც ისეთივეა, როგორც ჰეგელის „ლოგიკის“ დასაწყისი — „არსი“; ცალკეული საქონელი არის „არსი“ პოლიტიკურ ეკონომიაში. თვითონ ანალიზი ცნებებისა ორგვარია: დედუქციური და ინდუქციური, — ლოგიკური და ისტორიული. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს ლოგიკურ ანალიზთან, ისტორიულის ამსახველ ლოგიკურ ანალიზთან, გარკვეულ ლოგიკურ განვითარებასთან, რომლის საწყისი არის მარტივი, აბსტრაქტული. მაგრამ ობიექტური მნიშვნელობის მქონე ლოგიკური; ეს ისეთი მარტივია, რომელიც არ არის აბსოლუტური, არამედ შედარებითია, რადგან იგი გაუშლელი სახით შეიცავს ყველაფერს იმას, რაც შემდგომ ლოგიკურ განვითარებაში იქნება, ე. ი. დასაწყისი მარტივია, ძირითადია, არსებითია მომავალი განვითარებისათვის; ის მართლაც დასაწყისია ლოგიკური განვითარებისა, რომელსაც ობიექტური-რეალურ-ისტორიულის ამსახველი ხასიათი აქვს.

ამრიგად, ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის ისეთი „უჯრედი“, რომელიც, მართალია, მარტივია, მაგრამ მისი ანალიზია შესაძლებელი. ეს არის ლოგიკური ანალიზი დასაწყისისა, საიდანაც იწყება ლოგიკური განვითარება. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაწყისის ანალიზის შედეგად მიღებული არ არის ანალიზურად მიღებული, რომ დასაწყისი მხოლოდ დასაწყისია და ყველაფერს კი არ შეიცავს, არამედ ყველაფერს მხოლოდ იწყებს. აქ ისეთი ანალიზი გვაქვს, რომელიც გვაძლევს სინთეზურს, დასაწყისიდან „გამოდის“ ის, რაც იქ არ არის. აქ ერთგვარი უარყოფა აუცილებელია. ანალიზით შესრულებულ—სინთეზური კავშირები უარყოფის შემცველი უნდა იყოს. „უარყოფა არის კავშირის მომენტი“, „Отрицание, как момент связи, как момент развития, с удержанием положительного“...[2]

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 215—216.

[2] იქვე, გვ. 197.

ვ. ი. ლენინის ამ უკანასკნელ დებულებაში ნათლად ჩანს, უარყოფა, როგორც კავშირის მომენტი, იგივეა, რაც განვითარების მომენტი.კავშირი განვითარებაა, რადგან ის არის სინთეზური, რომლისთვისაც აუცილებელია განსხვავება, ამიტომ უარყოფაც. ეს უარყოფა, როგორც ეს იქვეა აღნიშნული, არ არის „голое отрицание", ის არის ისეთი უარყოფა, რომელიც დადებითს ინახავს („с удержанием положительного"). ასეთი უარყოფა არის დიალექტიკური უარყოფა; ეს არის არა მხოლოდ უარყოფა, არამედ შენახვაც, ე. ი. მოხსნა-შენახვა, რაც აუცილებელია განვითარებისათვის, — ყოველი განვითარებისათვის, კერძოდ, ლოგიკური განვითარებისათვისაც.

თუ უარყოფა კავშირის, განვითარების მომენტია, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ კავშირის — განვითარების მომენტს წინააღმდეგობაც წარმოადგენს, რადგან უარყოფა არსებაა წინააღმდეგობისა, რომელიც, სრული სახით, ურთიერთუარყოფას წარმოადგენს. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ თუ კავშირის — განვითარების მომენტს უარყოფა და წინააღმდეგობა წარმოადგენს, ასე უნდა ითქვას დასაწყისის იმასთან კავშირგანვითარების შესახებაც, რაც დასაწყისიდან მიიღება; ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს „მიღება" თვითონ ხორციელდება უარყოფით და წინააღმდეგობით. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ თვითონ დასაწყისი შეიცავს უარყოფას და წინააღმდეგობას. დასაწყისი, როგორც ითქვა, სწორედ გარკვეული-ძირითადი წინააღმდეგობის დასაწყისია, ის არის წინააღმდეგობის ერთიანობა, აღებული მარტივი სახით, რამდენადაც შესაძლებელია არსებობდეს წინააღმდეგობის ერთიანობის სიმარტივე. ასეთია დასაწყისი როგორც „უჯრედი" განვითარებისა, კერძოდ, ლოგიკური განვითარებისა.

დასაწყისი არის აბსტრაქტული ზოგადი, მაგრამ ის არის სუბიექტი; ამიტომ ასეთი ზოგადი შინაარსეულია და არა მოცულობითი. სწორედ ასეთი ზოგადის პრედიცირებაა შესაძლებელი; ის არის სუბიექტი. მაგრამ პრედიკატების მიმართ ზოგადია. ასეთი დასაწყისიდან სვლა იქნება თავისებური დედუქცია — ზოგადიდან სვლა, სადაც არაა გამორიცხული არც მოცულობითი ზოგადის მოქმედება. თუ დასაწყისი, როგორც შინაარსეული ზოგადი, არის ის, საიდანაც მისი მომენტები პრედიკატებად დგინდება, ის, ამავე დროს, არის საერთოც შემდეგისათვის, მაგალითად: 1) კ. მარქსის

„კაპიტალში“—საქონელი არის საერთო ფულისთვისაც, ფული განსაკუთრებული საქონელია, 2) ჰეგელის „ლოგიკაში“ — არსი საეოთოა შემდეგი კატეგორიებისათვის.

აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ არისტოტელეს პირველი სუბიექტის—უსიას ზოგადობის თუ ერთეულობის სიძნელე წყდება შინაარსეული ზოგადის საფუძველზე. არისტოტელეს პირველ სუბიექტს აქვს პრედიკატები, ამიტომ ის მათ მიმართ არის შინაარსეული ზოგადი, მოცულობითი ზოგადის თვალსაზრისით კი იგი ერთეულია. სწორედ შინაარსეული ზოგადის გამო უსია მისაწვდომი ცნებით, რომელსაც აქვს ნიშნები როგორც მომენტები, რომლებიც პრედიკატებად გამოდგებიან; ცნებაც ხომ ზოგადია თავისი ბუნებით. პირველი სუბიექტის ზოგადობა განსხვავდება პრედიკატის ზოგადობისაგან იმით, რომ პირველი სუბიექტი არის საფუძველი, რომელიც ყველა პრედიკატს გასწვდება, ასე ვთქვათ, — ქვემოდან როგორც ქვემდებარე-პრედიკატის ზოგადობა კი იმაში მდგომარეობს, რომ: 1) ის გამოთქვამს სუბიექტს, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს, 2) სხვა ასეთ სუბიექტებზეც ვრცელდება, როგორც მათთვის საერთო.

4. ლოგიკური განვითარების დასაწყისი, როგორც ცნება, არ შეიძლება არ იყოს სინთეზური, სახელდობრ, იმის შემცველი, რასაც საწყისიდან სხვაზე გადასვლა წარმოადგენს; რადგან ცნება თვითონ არის გადასვლა, Понятия не неподвижны, а—сами по себе, по своей природе-переход“.[1] ცნება გარკვეული გადასვლაა, რომელიც გამოითქმება მსჯელობით. მსჯელობით გამოითქმება ცნება როგორც გადასვლა. მაგალითად, ერთეულის ცნება გამოითქმება იმით, რომ ერთეულის ბუნება არის ზოგადობა; მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი“ არის ცნების ბუნების მსჯელობის ფორმით გამოთქმა; ეს არის ერთეულის გადასვლა ზოგადში. ასე ითქმის სასრულის შესახებაც .სასრულის ცნებისათვის აუცილებელია უსასრულობის ნიშანი, სასრული გადადის უსასრულობაში, რაც გამოითქმება ასე: „სასრული არის უსასრულო“. დიალექტიკა მდგომარეობს ასეთ გადასვლაში, სადაც, ცხადია, ხორციელდება უარყოფა; უარყოფა ხომ კავშირის, განვითარების მომენტია. გადასვლა, ეს არის ერთის უარყოფა მეორით, მაგრამ ისე რომ მეორე შეიძლება იყოს პირვე-

---

[1] В. И Ленин. Философские тетради, стр, 196,

ლის პრედიკატი. ეს აზრები ვ. ი. ლენინის აზრებია, რომლებიც მას აქვს გამოთქმული: „Диалектика вообще состоит в отрицании первого положения, в смене его вторым (в переходе первого во второе, в указании связи первого с вторым etc.) Второе может быть сделано предикатом первого—„например, конечное есть бесконечное, одно есть многое, единичное есть всеобщее...“.[1]

ცნება თუ მსჯელობა როგორც საერთოდ, ისე როგორც დასაწყისი, არის გადასვლა, ცხადია, ლოგიკური გადასვლა; ამიტომ დასაწყისი შეასრულებს მართლაც დასაწყისის როლს. ასეთი დასაწყისი იქნება პირველი, სახელდობრ, პირველი წინააღმდეგობა, რამდენადაც რაიმე შეიძლება იყოს თავისი საწინააღმდეგო. ეს გარემოება პირველად აღმოჩენილი იყო პლატონის მიერ, შემდეგ იგი განვითარდა ჰეგელთან, მაგრამ მეცნიერული სახე მიიღო მატერიალისტურ დიალექტიკაში.

პლატონმა პირველად მიუთითა იმას, რომ არსი, როგორც წმინდა არსი, არის არაფერი, არარა (წინააღმდეგ პარმენიდეს გაგებისა), ანუ ერთი, როგორც მხოლოდ ერთი, ყოველგვარი „სხვის“ გარეშე, არაფერია[2]; მეორე მხრივ, პლატონის აზრით, არარსი არის რაღაც, ის არის ლოგიკური საგანი; ამავე დროს, არარსი არსებობს როგორც განსხვავება; რაიმე საგანი არის სხვა საგნის არარსი და ასე შემდეგ[3]. ამრიგად, პლატონს ამით მითითებული აქვს ის, რომ რაიმე კატეგორია შეიძლება გადავიდეს საწინააღმდეგოში თავისი საკუთარი ბუნებით. აქ უსათუოდ არის დიალექტიკის რაციონალური მარცვალი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გაუგებარი დარჩა.

პლატონის აქ აღნიშნული აზრი განავითარა ჰეგელმა თავის დიალექტიკაში. ჰეგელის „ლოგიკის“ დასაწყისი, როგორც ცნობილია, არის ის არსი, რომელიც არის არარსი და ეს ის არარსია, რომელიც არის არსი... ორივეს კი აზრი აქვს მხოლოდ ქმნადობაში, როგორც წარმოშობა-მოსპობაში, რადგან წარმოშობა არარსი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იქვე, გვ. 197.

[2] იხ. დიალოგი „პარმენიდეს“.

[3] იხ. პლატონის „სოფისტეს“.

დან არსის მიღებაა, მოსპობა კი პირიქით — არსიდან არარსის მიღება. ეს დებულებები გაუგებარი იქნება, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის, რომ აქ მოხმარებულია შედარებითი არარსის ცნება (რომელიც პირველად პლატონის მიერ იყო გარკვეული).

ჰეგელი ასევე მიუთითებს იმას, რომ იგივეობა, აღებული წმინდა სახით, არის არაფერი, არარა; რომ არსებობს მხოლოდ ის იგივეობა, აზრი აქვს მხოლოდ იმ იგივეობას, რომელიც განსხვავებას შეიცავს. ეს არის „რაციონალური მარცვალი", რომელიც მიღებულია მატერიალისტურ დიალექტიკაში, მაგალითად, ფ. ენგელსის ცნობილ დებულებაში იმის შესახებ, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას.

ჰეგელმა კატეგორიათა გადასვლები სწორედ იმას დააფუძნა, რომ რაიმე თავის თავში შეიცავს უარყოფას, სხვას, საპირისპიროს, საწინააღმდეგოს. ამიტომ რაიმეს ანალიზს მივყავართ სხვისკენ, რაიმეში აღმოვაჩენთ იმას, რაც ის არ არის, ამით ხდება—ხორციელდება გადასვლები, რომლებსაც აუცილებლობის ხასიათი აქვთ. სინთეზი, განვითარება სრულდება ანალიზის საშუალებით, ასე რომ. შესაძლებელია ცნებების, კატეგორიების ანალიზის საშუალებით მათი გადასვლები — განვითარება, სწორედ ლოგიკური განვითარება დასაბუთდეს.

ცნების დადგენა და სხვა ცნებაზე გადასვლა ხდება განსაზღვრებით, რადგან ცნების განსაზღვრებისათვის აუცილებელია სხვა ცნების მოხმარა. ამ აზრით, ცნება არის გადასვლა. ანალიზით სინთეზი სრულდება უარყოფის საშუალებით, სახელდობრ, ცნებაში არსებული უარყოფის საშუალებით. გადასვლა სრულდება შინაგანი უარყოფით.

ცნების ანალიზით სინთეზის განხორციელების დასაბუთება, რომელიც დიალექტიკის თეორიაში მოხდა, უდიდესი აღმოჩენაა ლოგიკის ისტორიაში, ლოგიკურის გაგების თვალსაზრისით. ანალიზ-სინთეზი, ეს, ვ. ი. ლენინის აზრით, არის დიალექტიკის ერთ-ერთი ელემენტი. ვ. ი. ლენინი დიალექტიკის სამ ძირითად ელემენტს ასაბუთებს, რომელთაგან მესამე არის „соединение анализа и синтеза".[1] მაგრამ, ვ. ი. ლენინის აზრით, დიალექტიკის ეს სამი ელემენტი, თუ მათ დეტალურად განვიხილავთ, შეიძლება წა-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 192.

რმოსდგეს თექვსმეტი ელემენტის სახით, რომელთაგან მეშვიდე იქ-ნება „ანალიზის და სინთეზის შეერთება“, ერთიანობა[1]; დიალე-ქტიკის ყველა ელემენტისათვის მთავარი არის ერთსა და იგივეში დაპირისპირება-წინააღმდეგობის აღმოჩენა, ეს არის დიალექტიკის „ბირთვი[2], რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ანა-ლიზ-სინთეზის ერთიანობა, რამდენადაც ეს ერთიანობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ რაიმეში არის მისი საწინააღმდეგო, რაიმეს ანალიზი მისი საწინააღმდეგოს აღმოჩენაა და ამიტომ რაიმე საწი-ნააღმდეგოში გადადის აუცილებლობით, — „აუცილებლობით“. რადგან ერთი და იგივეა საფუძველი დაპირისპირებულთა; დაპი-რისპირებულები ერთი და იგივეში არიან; ერთი და იგივე შეი-ძლება იყოს ეს და მისი საწინააღმდეგო; არა მარტო „შეიძლება იყოს“, არამედ აუცილებლად არის ასე. რაიმე თავის თავის მიმართ არის განსხვავებული და საწინააღმდეგო. ამ მომენტის გარეშე დია-ლექტიკა. საერთოდ არ იარსებებს.

როგორც ეს ზემოთ იქნა გარჩეული, ანალიზით არ მიიღება სინთეზი, თუ ანალიზს ვუკეთებთ იმას, სადაც ყველაფერი წინა-სწარვეა ნაგულისხმევი, თუ ანალიზი მხოლოდ დაშლას, კონკრე-ტულის აბსტრაქტულ განსაზღვრებად „აორთქლებას“ წარმოადგენს. ანალიზით მიიღება სინთეზი და ბოლოს კონკრეტული მთელი, თუ ანალიზი აბსტრაქტულისა გვაძლევს უფრო კონკრეტულს და ბო-ლოს მთელს — „კონკრეტულის კვლავ წარმოქმნას აზროვნების გზით“[3]. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა ანალიზი იწყება „უჯრედის“, არსებითის და ძირითადის უმარტივესით, სადაც „ჩა-ნასახის“ სახით მოცემულია ის, რაც შემდეგ გაიშლება აუცილე-ბელ კავშირში — განვითარებით კავშირში მყოფ განსაზღვრებებით, რომელთა ერთიანობის მიღება სწორედ ანალიზ-სინთეზის გზით მო-გვცემს კონკრეტულის ცნებას სისრულით, რომლის დასაწყისსაც „უჯრედი“ წარმოადგენდა.

ამრიგად, ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი არის ის მე-თოდი, რომლის განხორციელება გვაძლევს ლოგიკურ განვითარე-ბას. ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, როგორც დიალექტიკური მე-თოდის გარკვეული მომენტი, უფრო ნათლად იქნება წარმოდგენი-ლი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც მოგვცა ჰეგელმა ამ მომენ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იქვე, გვ. 193.
[2] იქვე, გვ. 194.
[3] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

ტის შესახებ მოძღვრებით, და თუ მას მატერიალისტურად წავიკითხავთ. მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკის პრობლემის დამუშავება საერთოდ, კერძოდ კი აქ აღნიშნული საკითხის დამუშავება შეუძლებელია იმის გათვალისწინების გარეშე, რაც ჰეგელმა მოგვცა თავის „ლოგიკაში“.

5. ჰეგელის ლოგიკური მოძღვრებიდან ჩვენ აქ გვაინტერესებს ორი მომენტი, რომელთაგან პირველი, მოკლედ ზემოთ გვქონდა განხილული, ეს არის ლოგიკურის ცნება, ლოგიკურის მომენტები და მათი ერთიანობა, რაც აქ განხილული იქნება ანალიზ-სინთეზის ერთიანობის თვალსაზრისით; მეორე მომენტი ჰეგელის ლოგიკური მოძღვრებიდან, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ეს არის თვითონ ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, რამდენადაც ის დაკავშირებულია მეთოდთან, კერძოდ, დასაბუთების მეთოდთან, დასაბუთებასთან, დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდთან[1].

ა) როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ჰეგელის აზრით, ლოგიკურს ახასიათებს სამი მომენტი, რომლებიც ისტორიულად სხვადასხვა დროს აღმოჩნდა, მაგრამ ლოგიკურის განვითარების საფეხურებსაც წარმოადგენენ. ამდენად ლოგიკის ისტორიაც სწორედ ამ სამი ძირითადი საფეხურისგან უნდა შედგებოდეს, რამდენადაც ლოგიკის ქვეშ სწორედ დიალექტიკური ლოგიკა, ჰეგელისა და მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით — ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგიკა გვესმის.

ჰეგელის აზრით, ლოგიკურს (ფორმის მიხედვით) აქვს სამი სახე, სამი ფორმა. სამი მომენტი თუ მხარე: 1) აბსტრაქტულ-ლოგიკური ანუ განსჯის ლოგიკური, 2) დიალექტიკურ-ლოგიკური ანუ უარყოფითი-გონებით ლოგიკური და 3) სპეკულატური ანუ დადებით-გონებითი ლოგიკური. ეს სამი მომენტი არის ყოველგვარი ლოგიკურის მომენტი, ეს არის ყოველი ცნების თუ ჭეშმარიტების მომენტები, შეიძლება ეს სამი მომენტი განხილულ იქნენ როგორც განსჯით-ლოგიკურის მომენტები, ე. ი. როგორც ერთიმეორისაგან გამოცალკავებული მომენტები; ეს იქნებოდა მათი არასწორი, არაჭეშმარიტი განხილვა[2].

---

[1] ამ ორი მომენტის განხილვა ამოავსებს იმ ნაკლს, რომელიც ახასიათებს ყემს შრომას „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“ 1959.

[2] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია, I,§ 79.

ჰეგელის აზრით, ლოგიკურის ცნება არ გულისხმობს სუბიექტურის და ობიექტურის ცნებებს. ლოგიკური არის აზრის განსაზღვრებათა სისტემა თავისთავად, სადაც მხედველობაში არ მიიღება სუბიექტის და ობიექტურის დაპირისპირება ჩვეულებრივი გაგებით[1]. ლოგიკური, ამიტომ, ემთხვევა „პირველ ფილოსოფიურს". ლოგიკური არ არის სუბიექტური საქმიანობა, პირიქით, ის არის მთლიანად უზოგადესი, ამიტომ ამავე დროს, ობიექტურიც[2].

ლოგიკურის ეს სამი მომენტი ლოგიკის ისტორიის სამ საფეხურს განსაზღვრავდა: პირველი საფეხური, ეს არის ფორმალური ლოგიკის საფეხური — საერთოდ ფორმალური ლოგიკა, დაწყებული არისტოტელედან და დამთავრებული თანამედროვე ფორმალური ლოგიკით. მეორე საფეხურს წარმოადგენს კანტის დიალექტიკა, კანტის ანტინომების დიალექტიკა, უარყოფითი დიალექტიკა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობა. მესამე — სპეკულატურ ლოგიკურში ჰეგელი გულისხმობს იმ ლოგიკურს, რომელსაც ის აღიარებს და ასაბუთებს თავის „ლოგიკაში", ეს არის დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური. ისტორიის ეს სამი საფეხური ლოგიკურის, ლოგიკური განვითარების საფეხურებსაც წარმოადგენენ: მეორე მომენტი არის პირველის უკიდურესობამდე მიყვანა, მესამე მომენტი კი მეორის, (ამიტომ პირველისაც) საფუძველია, მისი შესაძლებლობის ლოგიკურ პირობას წარმოადგენს. მესამე მომენტი არის ლოგიკური ერთიანობა პირველი ორი ლოგიკურისა, როგორც მომენტებისა. სპეკულატურ-ლოგიკური არ არის ლოგიკური, რომელიც გამორიცხავს განსჯითს და უარყოფით-დიალექტიკურს, არა, პირიქით, ის მათი ერთიანობაა; სპეკულატურ-ლოგიკური არის სრული ლოგიკური, რომლის მომენტებსაც აბსტრაქტულ- ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური შეადგენენ.

დავრწმუნდეთ აქ ნათქვამში, ამისათვის საჭიროა ლოგიკურის ეს სამი მომენტი განვიხილოთ ცალ-ცალკე და ვაჩვენოთ აუცილებელი კავშირი მათ შორის. ამ კავშირს აქვს განვითარების, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის, ერთგვარი აღმავლობის ხასიათი.

აბსტრაქტულ-ლოგიკური ანუ განსჯითი ლოგიკური, ეს არის ისეთი ლოგიკური, ანუ უკეთ, ლოგიკურის ისეთი მხარე თუ მომე-

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, იქვე. § 24. დანართი I
[2] იქვე, § 80, დანართი.

ნტი, როცა: 1) აზრის რაიმე განსაზღვრება აღებულია თავისთავად, აბსოლუტურად, დამოუკიდებლად სხვა განსაზღვრულობისაგან; ამიტომ ამ განსაზღვრულობათა შორის არსებულ განსხვავებასაც აბსოლუტური მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, როცა განმარტებულია ის, თუ რა არის დადებითი მსჯელობა, მხედველობის გარეშეა დატოვებული უარყოფითი მსჯელობა, დადებითი აღებულია უარყოფის გარეშე და პირიქით.

აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ამბობს ჰეგელი, განსჯითი აზროვნებაა, განსჯით მოქმედება ისაა, რომ იგი თავის შინაარსს ანიჭებს ზოგადობის ფორმას, სახელდობრ, აბსტრაქტული ზოგადობის ფორმას. ასეთ ზოგადს იგი უპირისპირებს, სახელდობრ, გრძნობად კონკრეტულს, სთიშავს ერთიმეორისაგან ზოგადს და კონკრეტულს, საქმე აქვს ზოგადთან კონკრეტულის გარეშე. ამიტომ განსჯითი აზროვნება ცალმხრივია, სინამდვილის კონკრეტულობა მიუწვდომელი რჩება. ამ საყვედურს ხშირად გამოთქვამენ აზროვნების მიმართ, მაგრამ ეს საყვედური ეხება განსჯას და არა საერთოდ აზროვნებას.

განსჯითი აზროვნება, განსჯითი — აბსტრაქტულ-ლოგიკური აუცილებელია, მის გარეშე ლოგიკური აზროვნება შეუძლებელია. არ არის სწორი აზრი, თითქოს ჰეგელი უარყოფდა განსჯით ლოგიკურს, ფორმალურ-ლოგიკურს. ჰეგელის აზრით, „განსჯის დაუხმარებლად ვერავითარ სიმტკიცესა და გარკვეულობას ვერ მივაღწევთ". განსჯა „საგნებს მათს გარკვეულ განსაზღვრულობაში აითვისებს". იგი განსაზღვრულობებს ფიქსირებას უკეთებს, მოქმედებს რა იგივეობის პრინციპის მიხედვით. იგივეობის პრინციპის მიხედვით განსჯა ერთ განსაზღვრულობას გამოყოფს მეორისგან, ასე გადადის მეორე განსაზღვრულობაზე და სხვ. იგივეობა „აპირობებს შემეცნებაში ერთი განსაზღვრულობიდან მეორისაკენ წინსვლას". იგივეობის საფუძველზე „ერთი განსაზღვრებიდან მეორე განსაზღვრებაზე დაასკვნიან, ეს დასკვნა კი სხვა არაფერია, თუ არა აზრის შემდგომი წინსვლა იგივეობის პრინციპით".

განსჯითი აზროვნება ერთგვარი შეზღუდვაა, რომელიც აუცილებელია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში. ამიტომ შეუძლებელია განსჯას გვერდი ავუაროთ. ვისაც დიდი რამ სურს, ამბობდა გოეთე, მან თავისი თავის შეზღუდვაც უნდა იცოდეს; ვი-

საც ყველაფერი სურს, მას ფაქტიურად არაფერი სურს და ვერაფერს მიაღწევს. განსჯა ყველაფერს სწვდება მტკიცე გარკვეულობაში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სასრული ნივთები არსებობენ და მათ მართლაც მტკიცე არსებობა გააჩნიათ. საგანთა ნიშან-განსაზღვრულობები სრულიად გარკვეული ხასიათის არიან. განსაზღვრულობათა ერთიმეორეში არევა, გაურკვევლობა აზროვნების საწინააღმდეგოა. ამიტომ განსჯა მოითხოვს, და სრულიად სამართლიანადაც, რომ „თვითეული აზრი მთელი მისი სიზუსტით იქნეს ათვისებული და არ დავტოვოთ ბუნდოვანი და გაურკვეველი".

მართალია, აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, განსჯითი აზროვნებაა, მაგრამ, განაგრძობს ჰეგელი, იგი (აზროვნება)მასზე (განსჯით აზროვნებაზე) არ ჩერდება. მართალია, განსჯა ცნებებს ადგენს, მაგრამ ცნება მარტო განსჯითი განსაზღვრება არ არის. განსჯა ადგენს აბსტრაქტულ ზოგადს, მაგრამ ზოგადი არ არის მარტო აბსტრაქტული; არსებობს კონკრეტული ზოგადიც. აბსტრაქტული ზოგადი, რომელიც კონკრეტულს უპირისპირდება, უპირისპირდება განსაკუთრებულს, თვითონ არის განსაკუთრებული. განსჯის მიმართ საყვედური, რომ ის ცალმხრივია და ვერ სწვდება კონკრეტულ სინამდვილეს, ეხება განსჯით აზროვნებას და არა საერთოდ აზროვნებას... მართალია, აუცილებელია იგივეობის პრინციპის გამოყენება, ამ პრინციპით აზროვნებაში, დასკვნებში წინსვლა. მაგრამ ნამდვილი იგივეობა კონკრეტულია. განსხვავების შემცველია; აზროვნებითი წინსვლა და დასკვნები შეუძლებელია განსხვავების შემცველი იგივეობის გარეშე, მხოლოდ წმინდა იგივეობის საფუძველზე.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ განსჯის განსაზღვრებანი საბოლოო შედეგებს კი.არ წარმოადგენენ (როგორც ის განსჯას, ფორმალურ ლოგიკას ჰგონია), არამე სასრული ხასიათისანი არიან. უკიდურესობამდე მისული განსჯის განსაზღვრებები საპირისპირო განსაზღვრებებად გარდაიქმნებიან[1], როგორც ეს ახლახან აღინიშნა. როცა ითქვა, რომ განსაკუთრებულს დაპირისპირებული ზოგადი უკვე აღარ არის ზოგადი, არამედ განსაკუთრებულია. უკვე ეს გარემოება მიუთითებს იმას, რომ განსჯითი ლოგიკური, ფორმალურ-ლოგიკური არ ამოსწურავს ლოგიკურის ცნებას, რომ ლოგიკური

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, იქვე. § 80, დანართი.

უფრო ღრმა და მდიდარია, ვიდრე აბსტრაქტულ-ლოგიკური, კერძოდ, აუცილებელია ისეთი ლოგიკური, სადაც ადგილი აქვს დაპირისპირებულთა აუცილებლობას. ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომლის ცალმხრიობასაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს. ლოგიკურის ერთი მხარე თუ პირველი საფეხური გადადის მეორეში, უფრო მაღალში; თვითონ ეს გადასვლა გარკვეული განვითარებაა.

თუ განსჯითი ლოგიკური ემყარება და მოითხოვს გარკვეულობას, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ, ამ ლოგიკურის თვალსაზრისით, უკიდურესად განვითარებული განსაზღვრების საპირისპიროში გადასვლა, ამ გადასვლის აუცილებლობა, მისთვის, გაურკვევლობას უნდა წარმოადგენდეს და მართლაც წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკისთვის საპირისპიროთა დაკავშირება მხოლოდ გაურკვევლობა კი არაა, არამედ ლოგიკური შეცდომაა.

თუ განსჯის ლოგიკისათვის გარკვეულობა არის ის, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა, დიალექტიკური ლოგიკისათვის გარკვეულობა მხოლოდ ამას არ ნიშნავს, არამედ იმასაც მოიცავს, რომ საპირისპირონი აუცილებელ ერთიანობაში არიან, რომ დაპირისპირებულნი გარკვეულობას ავსებენ, ერთიანობაში იძლევიან სისრულეს.

გარკვეულობა,როგორც ეს და არა სხვა, მსჯელობის გარკვეულობაა. ამ აზრით, განსჯის ლოგიკა მსჯელობის ლოგიკას წარმოადგენს. დიალექტიკური ლოგიკა კი, ამ აზრითვე, დასკვნის ლოგიკა იქნება.

ჰეგელის აზრით, ლოგიკურის მეორე მხარე თუ მომენტი, ეს არის დიალექტიკური მომენტი. ლოგიკურის დიალექტიკური მომენტი არის განსჯის სასრულ განსაზღვრებათა მიერ საკუთარი თავის მოხსნა და თავიანთ საპირისპიროში გადასვლა[1].

ეს დიალექტიკური მომენტი არის უარყოფით-დიალექტიკური თუ მას ცალკე გამოვყოფთ და დამოუკიდებლად წარმოვიდგენთ. მივიღებთ სკეპტიციზმს, აღნიშნავს ჰეგელი. სკეპტიციზმი დიალექტიკურის შედეგს შიშველი უარყოფის სახით შეიცავს. დიალექტიკა ხშირად ესმით როგორც გარეგანი ხელოვნება, რომელსაც გარკვეულ ცნებებში თვითნებურად შეაქვს არევ-დარევა და მათში წინააღმდეგობათა მოჩვენებას აღწევს. დიალექტიკა ესმით როგორც

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკ. I, § 81.

სუბიექტური მერყეობა აქეთ-იქეთ,როცა რაიმეს ხან უარყოფენ, ხან ამტკიცებენ. ნამდვილად კი დიალექტიკა, ეს არის განსჯის განსაზღვრულობათა (და საერთოდ სასრულოთა) საკუთარი ჭეშმარიტი ბუნება, რაც იზოლირებული განსაზღვრებების საკუთარი თავიდან გადასვლაში მჟღავნდება. უბრალო გააზრება უკვე არის იზოლირებული განსაზღვრულობის თავისი თავიდან გასვლა და სხვასთან დაკავშირება, მაგრამ ისე, რომ განსაზღვრულობა ინარჩუნებს თავის ხასიათს. დიალექტიკა, ნამდვილი გაგებით, არის ერთი განსაზღვრების მეორეში იმანენტური გადასვლა,სადაც განსჯის განსაზღვრებათა ცალმხრივობა და შეზღუდულობა მჟღავნდება; მჟღავნდება ის, რაც მათ უარყოფას წარმოადგენს. დიალექტიკა არის ის პრინციპი, რომლითაც მეცნიერულ შინაარსში მყარდება იმანენტური კავშირი და აუცილებლობა. დიალექტიკა მეცნიერული წინსვლის მამოძრავებელი სულია. დიალექტიკა ყოველგვარი მოძრაობის პრინციპია. ყოველი სასრული თავისი საკუთარი ბუნებით ხსნის თავის თავს და აუცილებლობით გადადის თავის საპირისპიროში. მსჯელობა „ადამიანი მოკვდავია" იმის გამოთქმაა, რომ: 1) ცოცხალი თავის შინაგანი ბუნებით არის მოკვდავი, 2) კერძო არის ზოგადი.

დაუშვებელია დიალექტიკის არევა სოფისტიკაში, რომელიც იზოლირებულად აღებული ცალმხრიობის გააბსოლუტურებაში და მის სუბიექტურ მოხმარებაში მდგომარეობს; მაგალითად, თავისუფლების გაგება როგორც ყოველგვარი ზნეობრივი პრინციპის უკუგდება; ჩემი არსებობის საშუალებების ისე გაგება, რომ ქურდობა და სამშობლოს ღალატი გავამართლო; ეს იქნებოდა უხამსი სოფისტიკა. სოფისტიკა, ლოგიკურად, არასაკმაო საფუძვლის გამოყენებას ნიშნავს, მაშინ როცა დიალექტიკა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გადადის რაიმე განსაზღვრულობა თავისი საკუთარი ბუნებით სხვა და საპირისპირო განსაზღვრულობაში. აქ ადგილი აქვს იმანენტურ აუცილებლობას, სოფისტიკის დროს კი — ამ აუცილებლობის დარღვევას. დიალექტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგალითად, პლატონი იყო უდიდესი დიალექტიკოსი, მან დიალექტიკა მოგვცა „თავისუფალი მეცნიერული და ამიტომ ობიექტური ფორმით". პლატონმა დიალექტიკური განხილვის საშუალებით გვიჩვენა განსჯის მყარ განსაზღვრულობათა სასრულობა; მაგალითად, „პარმენიდეში" გამოიყვანა ერთიდან მრავალი, დაამტკიცა ისიც,

თუ როგორ მრავალი არის ერთი. უდიდესი დიალექტიკოსი იყო კანტი, რომელმაც თავის „ანტინომიებში“ აჩვენა არა სუბიექტური მერყეობა, არამედ ის, რომ განსჯის აბსტრაქტული განსაზღვრულობა უშუალოდ გადადის თავის საპირისპიროში, აჩვენა წინააღმდეგობის აუცილებლობა.

დიალექტიკა მხოლოდ ფილოსოფიური ცნობიერებისათვის კი არ არსებობს, არამედ მას ადგილი აქვს ჩვეულებრივ ცნობიერებაშიც, საყოველთაო ცდაშიც და ყველგან სინამდვილეში. ყველაფერი დიალექტიკის მაგალითია, ამტკიცებს, ჰეგელი. მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარია იმის აღნიშვნა, რომ დიალექტიკა სული და გულია ლოგიკის, ლოგიკური ფორმებისა. ჰეგელის „ლოგიკა“ და მარქსის „კაპიტალი“ — პირველი უშუალოდ ლოგიკაში, მეორე კი ლოგიკის ვამოყენების კერძო შემთხვევაში — აჩვენებს, რომ ცნება-კატეგორიების ლოგიკური კავშირები დიალექტიკური ბუნებისაა.

ჰეგელი თავის „ლოგიკაში“ აჩვენებს, თუ როგორ გადადის თვისობრიობა რაოდენობაში, რაოდენობა თვისობრიობაში, აქედან აუცილებლობით მიიღება ზომა. თვისობრიობა არსთან იგივეობრივი განსაზღვრულობაა. თვისობრიობა, როგორც ეს და არა სხვა, არის ერთი; ერთიდან მიიღება მრავალი, რაოდენობა. რაოდენობა არსის გარეგანი განსაზღვრულობაა; რაოდენობა, როგორც ასეთი, არის თვისობრიობა, სახელდობრ, რაოდენობის თვისობრიობა და თვისობრიობის რაოდენობა. ამას კი ზომა ეწოდება. ყველაფერი ეს არის არსი, უშუალო არსი, რომელიც თავის თავთან არის დამოკიდებულებაში; არსის თავის თავთან მიმართებას არსება ჰქვია; ასე გადადის არსი არსებაში. არსების კატეგორიებიც ერთიმეორეში გადადიან სწორედ მათი შინაგანი ბუნების მიხედვით, იმანენტური აუცილებლობით; მაგალითად, იგივეობა გადადის განსხვავებაში, ეს სხვაობაში, სხვაობა დაპირისპირებაში, დაპირისპირება წინააღმდეგობაში, ეს კი საფუძველში და ა. შ.

ჰეგელის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ლოგიკური პროცესი აბსოლუტურად დამოუკიდებელ პროცესად წარმოიდგინა, და არა იმაში, რომ კატეგორიების იმანენტური აუცილებელი ლოგიკური კავშირი აღმოაჩინა.საჭირო იყო დიალექტიკურ-ლოგიკურის ისტორიულის ამსახველ ლოგიკურად წარმოდგენა, რაც პირველად განახორციელა კ. მარქსმა „კაპიტალში“, სადაც აჩვენა (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა), კაპიტალიზმის ისტორიის კატეგორიების, როგორც გარკვეული ცნებების, ლოგიკურ კავშირში ასახვა. საქონე-

ლი, როგორც „უჯრედი“ კაპიტალისტური მეურნეობისა, წინააღმდეგობრივი საგანია, მას ერთიმეორის საწინააღმდეგო ნიშანი აქვს: ის არის სახმარი ღირებულება (ამის გარეშე არ არსებობს საქონელი) და არასახმარი ღირებულება, ანუ. რაც იგივეა (როგორც ამას მარქსი აღნიშნავს[1]), —საცვლელი ღირებულება. საქონლის ცნება ამ საწინააღმდეგო ნიშნების შემცველი ცნებაა.

აღნიშნული წინააღმდეგობა წყდება ფულში, რომელიც ისეთი საქონელია, რომლის სახმარი ღირებულება მის საცვლელ ღირებულებაში მდგომარეობს. მაგრამ ფულს ახასიათებს ახალი წინააღმდეგობა. ფულის ტრიალი ექვემდებარება ეკვივალენტურ გაცვლას, მაგრამ იგი მას უნდა არღვევდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულის ტრიალი არ განხორციელდება, რადგან ფულის წრებრუნვა მაშინ არის შესაძლებელი, როცა ფულს მეტი ფული მოაქვს; ეს წინააღმდეგობა წყდება იმით, რომ ფულის წრებრუნვაში მოჰყავს ისეთი საქონელი, რომელიც ღირებულებას და ზედმეტღირებულებას ჰქმნის, ეს არის სამუშაო ძალა, რომელიც, კაპიტალიზმის პირობებში, საქონელს წარმოადგენს. ფულის ამგვარ წრებრუნვას კაპიტალი ეწოდება. კაპიტალი წარმოიშობა მიმოქცევიდან, რადგან სამუშაო ძალა არის საქონელი — მიმოქცევაში მყოფი საგანი, მაგრამ კაპიტალი არ წარმოიშობა მიმოქცევიდან, რადგან ის იქნება წარმოებაში, სამუშაო ძალა წარმოებაში (კაპიტალისტურ წარმოებაში) ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას. კაპიტალი არის ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა, მისი ერთიანობა. ცნებები „საქონელი“. „ფული“ და „კაპიტალი“ და მათი კავშირი რეალურის ამსახველი ცნებები და მათი ლოგიკური კავშირია. ლოგიკური კავშირ-განვითარება ასახავს რეალურ კავშირ-განვითარებას. ასეთი ლოგიკური ობიექტური ხასიათისაა. საჭიროა ზოგად-ლოგიკური ფორმით წარმოდგენა იმისა, რაც მარქსის „კაპიტალში“, როგორც დიალექტიკის კერძო შემთხვევაში, განხორციელებულია.

ლოგიკურის ობიექტურობა იმაშია, რომ ის რეალურს ასახავს, გამოთქვამს, განისაზღვრება რეალურით. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ: „აზროვნების კანონებს მარტო სუბიექტური მნიშვნელობა როდი აქვთ, ე. ი. აზროვნების კანონები ასახავენ საგნების ნამდვილი არსებობის ფორმებს და სავსებით ჰგვანან ამ ფორმებს, არ განსხვავ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 38

დებიან მათგან"[1]. ეს ასეა, ცხადია, იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს უზოგადეს კანონებთან და ფორმებთან.

იზოლირებული განსაზღვრების საკუთარი ბუნებით საპირისპიროში იმანენტური აუცილებლობით გადასვლა წარმოადგენს ერთგვარ უარყოფას, სკეპტიციზმს, რისიც მხოლოდ განსჯას, ფორმალურ ლოგიკას უნდა ეშინოდეს და არა დიალექტიკურ ფილოსოფიას, რადგან დიალექტიკური ფილოსოფია, როგორც დადებითი დიალექტიკა სკეპტიციზმს მომენტად, დიალექტიკურ — უარყოფით დიალექტიკურ მომენტად შეიცავს და ამიტომ მასში დაძლეულია სკეპტიციზმი, უარყოფა, თუმცა შენახულია სწორედ მომენტის სახით. ჰეგელის ეს აზრი მისაღებია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა: „როგორც ჯერ კიდევ ჰეგელმა განმარტა, დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმის, უარყოფის, სკეპტიციზმის მომენტს, მაგრამ იგი **რელატივიზმი როდია**"[2].

ჰეგელი აღნიშნავს, რომ ფილოსოფია დიალექტიკის მხოლოდ უარყოფის შედეგზე არ ჩერდება; სხვანაირად: დიალექტიკა არ უდრის უარყოფით დიალექტიკას. რადგან დიალექტიკას თავის შედეგად უარყოფითი აქვს,ამიტომ და სწორედ იმის გამო, რომ არის შედეგი, ამავე დროს, დადებითიც არის, რადგან მოხსნილი სახით შეიცავს იმას, რის შედეგიც ის არის — იზოლირებულ განსაზღვრულობას, რომელიც უკვე აღარ არის იზოლირებული, — მომენტად არის ქცეული; ამ მომენტის გარეშე იგი არ არსებობს. ამრიგად, მიღებულია განსჯის ლოგიკურის და უარყოფით დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთიანობა, რომელსაც ჰეგელი სპეკულატურს ანუ დადებით გონებითს — დადებით დიალექტიკურს უწოდებს. ეს არის ლოგიკურის მესამე მხარე, მომენტი თუ ფორმა[3].

სპეკულატური ანუ დადებით-დიალექტიკური (დადებით-გონებითი) მომენტი, ჰეგელის აზრით, სწვდება განსაზღვრებათა ერთიანობას მათ დაპირისპირებაში, დადებითს, რომელსაც მათი გადაწყვეტა და მათი გადასვლა შეიცავს[4]. დადებითი დიალექტიკური არის აბსტრაქტულის და უარყოფით-დიალექტიკურის ერთიანობა, ფო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14 (მე-4 გამოც.), გვ. 462.

[2] იქვე, გვ. 165.

[3] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია, I, § 81, შენიშვნა და ორი დანართი.

[4] იქვე, § 82.

რმალურ-ლოგიკური და უარყოფით-დიალექტიკური დადებით-დიალექტიკურის მომენტებს წარმოადგენენ.

უარყოფით-დიალექტიკური არის გარკვეული უარყოფა, მაგრამ მას დადებითი შედეგი აქვს, კონკრეტული შინაარსი გააჩნია; უარყოფით-დიალექტიკურის შედეგი არ არის ცარიელი, აბსტრაქტული არარა, ის არის კონკრეტული უარყოფა, რადგან გარკვეულ განსაზღვრულობათა უარყოფას წარმოადგენს. უარყოფით-დიალექტიკურის შედეგი არის მართლაც შედეგი, სადაც მოხსნილი და შენახულია. განსჯის განსაზღვრულობები. სწორედ ამ შენახვის გამო დიალექტიკის შედეგი არის არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითიც; ის არის ისეთი უარყოფა, რომელიც დადებითობასაც წარმოადგენს.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ სპეკულატური. როგორც აზრისეული, ცხადია, აბსტრაქტულია, მაგრამ თავისებურ კონკრეტულობას წარმოადგენს. ის არის კონკრეტული, როგორც განსხვავებულთა, დაპირისპირებულთა ერთიანობა, სპეკულატური, როგორც განსხვავებულ განსაზღვრებათა ერთიანობა, არ არის მარტივი, ფორმალური ერთიანობა. ამდენად უნდა ითქვას, რომ დიალექტიკას არ აქვს საქმე შიშველ აბსტრაქციებსა და ფორმალურ აზრებთან; მას საქმე აქვს მხოლოდ კონკრეტულ აზრებთან. ეს გარემოება გაუგებარია ფორმალური ლოგიკისათვის. რომელსაც, მაგალითად, არ ესმის ის, თუ როგორ არის შესაძლებელი ცნების კონკრეტულობა. შეიძლება ითქვას, რომ წმინდა აბსტრაქტული აზრები არც არსებობს; თუკი აზრს რაიმე შინაარსი აქვს, ის კონკრეტული იქნება; ყოველი აზრი გარკვეული განსაზღვრულობაა. ე. ი მას შინაარსი აქვს, უკეთ, ის არის შინაარსი, სახელდობრ, გარკვეული შინაარსი. ფორმის მქონე შინაარსი, აბსტრაქტული, რომელიც მოკლებულია შინაარსს, არის არარა. შინაარსი კი ყოველთვის კონკრეტულია, მეტად თუ ნაკლებად კონკრეტულს წარმოადგენს. ფორმას თვითონ აქვს საკუთარი შინაარსი, სახელდობრ, ის, რასაც ის წარმოადგენს, ამიტომ ყოველი ფორმა კონკრეტულია.

სპეკულატური ლოგიკა, დადებით-დიალექტიკური ლოგიკა შეიცავს ჩვეულებრივ, განსჯით, ფორმალურ ლოგიკას, რადგან დადებით-დიალექტიკური არის ერთიანობა განსჯის განსაზღვრულობისა და უარყოფით — დიალექტიკურის. ლოგიკურიდან დიალექტიკურის განვითარების შედეგად რჩება ფორმალურ-ლოგიკური. რადგან განსჯის, ფორმალურ-ლოგიკური განსაზღვრება თავისი, იმანენტური

აუცილებლობით გადადის მის საპირისპიროში, ამიტომ დაპირისპირებულთა ერთიანობა, სწორედ იმანენტური აუცილებლობის ვამო, არის სრული ლოგიკური. ფორმალურ ლოგიკური კი მის ცალმხრიობას წარმოადგენს.

ფორმალურ-ლოგიკური ლოგიკურის ცალმხრიობაა. ეს ცალმხრიობა კიდევ უფრო ფორმალური, კიდევ უფრო ცალმხრივი და არასრული გახდება, თუ ის აღრიცხვაზე დავიყვანეთ. შეიძლება მეტიც ითქვას, თუ გავითვალისწინებთ ჰეგელის დიალექტიკის მოთხოვნას. ჰეგელის აზრით, აღრიცხვა არ უდგება ცნების ბუნებას: რაოდენობრიობაზე ცნების დაყვანა მისი გაუქმებაა. ის, რაც ცნებაში გამოითქმება, არის როგორც რაოდენობის, ისე თვისობრიობის და სხვა განსაზღვრულობების საფუძველი, რომლის მათზე დაყვანა მას გააუქმებს. სიმბოლო ვერ შეცვლის ცნებას, პირიქით, მას ცნებით შეიძლება ჰქონდეს აზრი[1]. აღნიშვნა თუ ნიშანი მნიშვნელობის, აღსანიშნის გარეშე არაფერია (ან და თვითონ არის საგანი, მაგრამ დამახინჯებული საგანი, საგნის მოჩვენება). ჰეგელი ამტკიცებს, რომ აღრიცხვის ოპერაციები წმინდა მექანიკური ხასიათისანი არიან, ისინი მოკლებული არიან სწორედ ცნებას. ლოგიკურის დაყვანა აღრიცხვაზე და ლოგიკისათვის სააღრიცხვო მანქანების გამოგონება ყველაზე უფრო აუტანელი და შემაძრწუნებელია ლოგიკისათვის[2]. ლაიბნიცის კომბინატორულ აღრიცხვის ლოგიკური დასკვნები ბანქოს თამაშზე დაჰყავს; ლულიუსის ხელოვნება არ ჩამორჩება მას უაზრობაში; მათემატიკური ტოლობების გამოყენება ლოგიკაში ამ უკანასკნელს აზრს უკარგავს. ყველაზე უარესი, რასაც შეიძლება ლოგიკაში ჰქონდეს ადგილი, ეს არის ლოგიკური ოპერაციების მექანიკურზე დაყვანა[3]. სიდიდის განსაზღვრულობები თვისობრივი ხასიათისაა, მათი მიწვდომა-მოაზრება მხოლოდ ცნების საშუალებით არის შესაძლებელი[4]. აქედან ნათელია, დიალექტიკის პოზიციებიდან თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ თანამედროვე მათემატიკურ ლოგიკას, რომელიც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მათემატიკურ მეცნიერებას წარმო-

---

[1] Hegel. Wissenschaft der Logik. Lasson, 1923, II, S. 258—259.

[2] ჰეგელი, იქვე, გვ. 331.

[3] იქვე, 332 იხ. ამის შესახებ ჩვენი შრომა „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“, გვ. 288—289.

[4] Hegel, W. d. L., II, S. 449.

ადგენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ლოგიკას, რომელსაც ფილოსოფიური შეცნიერების ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ჰეგელი აღნიშნავს, რომ სპეკულატური ანუ დადებით-გონივრული მხოლოდ ფილოსოფიის კუთვნილება კი არ არის, არამედ იგი საერთოდ ადამიანისათვის და ყველა ადამიანისათვის არის დამახასიათებელი; ადამიანი სწორედ გონიერ არსებას ჰქვია. სპეკულატური არ უნდა გვესმოდეს სუბიექტური აზრით, როგორც, მაგალითად, ცნებათა ხელოვნური კომბინაციებისათვის დამახასიათებელი რამ. არა, იგი ნამდვილი ობიექტური მნიშვნელობის მქონე ლოგიკურია, სრული ლოგიკურია. სპეკულატური არის უპირობო არა იმიტომ, რომ ის ღმერთის, როგორც თავის თავზე დაფუძნებულის, ცოდნაა, ჰეგელს კი ეს ასე ჰგონია, არამედ იმიტომ, იგი დაპირისპირებულ განსაზღვრებათა ერთიანობას წარმოადგენს, როგორც ამას თვითონ ჰეგელი აღნიშნავს (მისივე პირველი აზრის საწინააღმდეგოდ). სპეკულატურს ჰეგელი სხვანაირად მისტიკურს უწოდებს. მაგრამ ეს მისტიკური არ ნიშნავს მიუწვდომელ საიდუმლოს. იგი საიდუმლოების სფეროა განსჯისათვის, მაგრამ არა საერთოდ აზროვნებისათვის. განსჯას სპეკულატური არ ესმის და მისთვის ის საიდუმლოებას, მიუღწეველს წარმოადგენს. სპეკულატური არის საიდუმლეობით მოცული რამ იმისათვის, ვინც აბსტრაქტული იგივეობის პრინციპს ემყარება. სპეკულატური არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, სადაც მომენტების სახით არსებობს საპირისპირო განსაზღვრულობები და მათი დიალექტიკურ-უარყოფითი გადასვლები[1].

არსი და არარსი ერთი მეორის საპირისპირო განსაზღვრულობები არიან, ისინი ერთი მეორეს გამორიცხავენ, მაგრამ აქ გაჩერება განსჯის საფეხურზე გაჩერებაა; ამ საპირისპირო განსაზღვრულობების ერთი მეორეში აუცილებელი გადასვლები აღწევენ ერთიანობას, რომელსაც დადებით-დიალექტიკური წარმოადგენს. ერთი მეორეს უპირისპირდება იგივეობა და განსხვავება, მაგრამ ისინი ერთიანობის მომენტებს წარმოადგენენ. საწინააღმდეგონი ერთი მეორეს გამორიცხავენ, მაგრამ წინააღმდეგობას საფუძველი აქვს, ამიტომ არის შესაძლებელი თვითონ წინააღმდეგობა. ჰეგელის „ლოგიკიდან" ასეთი მაგალითების მოყვანა მრავალის შეიძლება, რადგან ეს „ლოგიკა" სხვა არაფერია, თუარა კატეგორიების ისეთი სის-

---

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია, I, § 82, შენიშვნა და დანართი.

ტემა, სადაც ორი საპირისპირო ერთიმეორეში გადასვლით ერთიანობას. როგორც საფუძველს, „ჭეშმარიტებას“ აღწევენ.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი, სრული ლოგიკური, ეს არის დადებით დიალექტიკურ-ლოგიკური, როგორც ფორმალურ-ლოგიკურისა და უარყოფით დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთიანობა. რამდენადაც ცალმხრივი განსაზღვრებები თავიანთი იმანენტური აუცილებლობით ერთიმეორეში გადადიან, რამდენადაც ცალმხრივი განსაზღვრულობა თავისი ბუნებით საპირისპიროში გადადის და რამდენადაც დაპირისპირებული განსაზღვრებები აუცილებლობით ერთიანობას ემყარებიან და შეადგენენ, ამიტომ უნდა ითქვას, რომ სრული ლოგიკური, დიალექტიკურ-ლოგიკური (დადებით-დიალექტიკური) ერთგვარ განვითარებას, სწორედ ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. ეს ლოგიკური განვითარება სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება. დასაბუთება დიალექტიკაში, ჰეგელის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ნიშნავს იმის ჩვენებას, თუ როგორ რაიმე თავისთავად თავისი თავის საშუალებით თავის თავს ხდის იქად, რაც ის არის (Denn Beweisen heisst in der Philosophie so viel als Aufzeigen. wie der Gegenstand durch und aus sich selbst sich zu dem macht, was er ist.[1]

ჰეგელის ეს აზრი რაციონალურ ენაზე და ლოგიკურის მიმართ შეიძლება ასე გამოითქვას: ლოგიკური (დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკური) არის განვითარება — დასაბუთება, როგორც საპირისპირო ცალმხრიობათა ურთიერთობაში და ბოლოს ერთიანობაში გადასვლა. ლოგიკური იწყება ერთმხრიობით და მთავრდება ერთმხრიობათა, სახელდობრ, საპირისპირო ერთმხრიობათა ერთიანობით. აქ გვაქვს შინაარსეული კერძოების შინაარსეული ზოგადში ერთიანობა.

თუ ერთმხრივი საპირისპირო განსაზღვრულობები იგივეობის პრინციპის თანახმად გამოითქვა მსჯელობაში, მაშინ საპირისპირო მსჯელობის (თუ ცნება-კატეგორიების) ერთიმეორეში გადასვლის მომენტი უარყოფით-დიალექტიკური იქნება და შეიძლება, გარკვეული აზრით, უშუალო დასკვნად იწოდოს; დაპირისპირებულთა ერთიანობა კი იქნება გარკვეული შუალობითი კავშირი — შუა-

[1] Hegel, Enz., I, S. 111 (Bolland)

ლობითი დასკვნა, რომელსაც ჩვენ უსასრულო დასკვნას ვუწოდებთ. ეს უკანასკნელი არის დასაბუთება, აღებული მის არსებაში, დასაბუთების არსება, როგორც დასაბუთების საწყისი, რომლის დასაწყისიც იქნება აუცილებელი სინთეზური მსჯელობა, რომელიც (როგორც ამას შემდგომ ნათელვყოფთ) დასაბუთების „უჯრედს“ წარმოადგენს. რაოდენობა არის დისკრეტული, მაგრამ ის არის განუწყვეტელიც, რაოდენობა წყვეტადობის და განუწყვეტლობის ერთიანობაა. მოძრაობა არის დროისა და სივრცის წყვეტადობა—განუწყვეტლობის ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა (ვ. ი. ლენინი). უსასრულო დასკვნა, ეს არის რაიმეს დასაბუთება მისივე უარყოფით, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობა. აი მაგალითები დიალექტიკურ-ლოგიკურისა.

დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება მიუთითებს იმას, რომ ერთიმეორისგან უნდა განვასხვავოთ რელატურ-ლოგიკური და აბსოლუტურ-ლოგიკური, მაგრამ ისე, რომ პირველი მეორის ელემენტად — მომენტად უნდა წარმოვიდგინოთ. უარყოფით-დიალექტიკურ-ლოგიკური რელატურ ლოგიკურს წარმოადგენს, დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკური კი აბსოლუტურ ლოგიკურს. ამ გარემოებაზე პირდაპირ მიუთითეთს ვ. ი. ლენინის ზემოთ მოყვანილი დებულება იმის შესახებ, რომ რელატური არის დიალექტიკურის მომენტი. თუ რელატიური არის მომენტი დიალექტიკურისა, მაშინ ეს უკანასკნელი, ცხადია, იქნება აბსოლუტური, წინააღმდეგ შემთხვევაში წავიდოდით უსასრულობაში, ე. ი. შეცდომას მივიღებდით (ეს პრობლემა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს; აქ აღნიშნულით დავკმაყოფილდებით).

ბ) ანალიზურობისა და სინთეზურობის აუცილებელი ერთიანობა უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის ბუნებიდან, რომელიც ზემოთ იყო განხილული. ანალიზურობისა და სინთეზურობის ერთიანობა ერთსა და იმავე დროს არის ის, რაც შემეცნებითიცაა და ლოგიკურიც, იგი ცოდნის ლოგიკურია. ანალიზი და სინთეზი, ისე როგორც მათი ერთიანობა, მეთოდებს წარმოადგენენ როგორც შემეცნებისათვის, ისე ლოგიკისათვის. არსებობს შემეცნების ანალიზური მეთოდი და სინთეზური მეთოდი, რომელთაც ლოგიკური მეთოდების ხასიათი აქვთ. ის მეთოდი კი, რომელიც ანალიზ-სინთეზის ერთიანობას წარმოადგენს დიალექტიკური, სახელდობრ,

დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდია. ეს მეთოდი არის იმის გამოხატულება, იმის აზრობრივი წარმოდგენა, რაც არის საგანში ამ უკანასკნელის „ანალიზურობა-სინთეზურობის“ ერთიანობის სახით. მეთოდი იმ ობიექტური გზის აზრობრივი რეპროდუქციაა, რომელსაც ადგილი აქვს საგანში, ამიტომ იგი ობიექტური მეთოდია.

ჰეგელი განიხილავს ანალიზურ შემეცნებას და სინთეზურ შემეცნებას როგორც ეს არსებობდა ფილოსოფიის ფაქტიურ ისტორიაში და შემდეგ ლოგიკური მომენტების წინწამოწევით თვითონ ლოგიკურ მეთოდს ახასიათებს, იმ ლოგიკურ მეთოდს, რომელიც დიალექტიკურია და ერთი და იგივეა შემეცნებისა და მისი ლოგიკისათვის. ამით დახასიათებულია ლოგიკის საგანი, რადგან ლოგიკის მეთოდი, ამავე დროს, ლოგიკის საგანსაც წარმოადგენს.

ანალიზური შემეცნება ხშირად ესმით, როგორც მოძრაობა ცნობილიდან უცნობისაკენ, სინთეზური შემეცნება კი პირიქით — უცნობიდან ცნობილისაკენ. მაგრამ ეს განსხვავება, აღნიშნავს ჰეგელი, არ არის გარკვეული აზრის მქონე განსხვავება. შეიძლება ვთქვათ, რომ შემეცნება საერთოდ იწყება უცნობიდან, რადგან ზედმეტია იმის გაგება — ამიერიდან შემეცნება, რაც უკვე ვიცით. მაგრამ ასევე სწორია ისიც, რომ შემეცნება იწყება უკვე ცნობილიდან; ეს ტავტოლოგიური წინადადებაა: ის, რისგანაც ის იწყებს, ის რასაც ის ნამდვილად იმეცნებს, სწორედ ამის გამო, არის რაღაც ცნობილი; ის, რაც ჯერ არ შემეცნებულა და მხოლოდ შემდეგ უნდა იქნეს შემეცნებული, არის ჯერჯერობით რაღაც უცნობი. ამიტომ, შემეცნება, რომელიც უკვე დაიწყო, ყოველთვის მოძრაობს ცნობილიდან უცნობისაკენ[1].

ანალიზურ შემეცნებაში საქმე გვაქვს უშუალოსთან, საქმე არ გვაქვს გაშუალებასთან. გაშუალების უარყოფა და უშუალობის თავის თავთან დამოკიდებულება, რაც ანალიზურ შემეცნების გარმასხვავებელი ნიშანია, ემყარება იგივეობას, აბსტრაქტულ ზოგადობას. აბსტრაქტული იგივეობა არის ანალიზური შემეცნების პრინციპი, აქ გამორიცხულია გადასვლა სხვაზე, სხვასთან კავშირი[2].

---

[1] Hegel. W. d. L., II, S. 442—443.

[2] იქვე, გვ. 443.

ანალიზური შემეცნებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იწყებენ რაღაც წინდაშვებულიდან, ერთეული, კონკრეტული საგნიდან. შეიძლება ეს წინდაშვებული იყოს მზამზარეული საგანი, მაგრამ შეიძლება, რომ ის იყოს ამოცანაც. ანალიზი, როგორც საგნის დაშლა შემადგენელ ნაწილებად და ამ გზით საგნის უფრო ახლოს გაცნობა, არ არის საქმე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის. ანალიზის საფუძვლად გამოყენებული უნდა იყოს ცნება, მის შედეგებს კი ცნების განსაზღვრებები უნდა შეადგენდნენ, სახელდობრ, ის განსაზღვრებები, რომლებიც საგნის განსაზღვრებებს წარმოადგენენ (წარმოგვიდგენენ). შემეცნება უნდა წარმოადგენდეს იმის განვითარებას, რაც უკვე არის ობიექტში.

ანალიზური შემეცნება მოცემულ მასალას აქცევს ლოგიკურ განსაზღვრებებად საშუალო წევრების გარეშე, განსაზღვრება უშუალოა, ის ეკუთვნის საგანს და მიიწვდომება გაშუალების გარეშე — მხოლოდ მისგან გამოსვლით. მაგრამ შემეცნება უნდა იყოს აგრეთვე რაღაც წინმავალი მოძრაობა, რომელიღაც განვითარება განხსვავებებისა. ეს არის მოცემული განსხვავება, რომელიც, როგორც წინმავალი მოძრაობა, ხორციელდება მასალის განსაზღვრებებზე. ეს მოძრაობა იმანენტური ხასიათისაა, რამდენადაც მიღებული განსაზღვრებები შეიძლება ისევ დაექვემდებარონ ანალიზს. ამ ანალიზის უმაღლესი საფეხური უაბსტრაქტულესია; ეს არის აბსტრაქტული სუბიექტური იგივეობა და მისი საპირისპირო სხვაობა, მაგრამ სხვა არაფერია, თუ არა პირველი ანალიზის განმეორება — განსაზღვრება კონკრეტულისა, რომელმაც აბსტრაქტული ფორმა მიიღო და ა. შ. ანალიზურობა განმეორებაში ხორციელდება, თუმცა აზრის განსაზღვრება რაღაც გადასვლას შეიცავს. თუ, მაგალითად, საგანი განისაზღვრება როგორც მთელი, ამ განსაზღვრებას მივყევართ სხვა—ნაწილების განსაზღვრებისაკენ, მიზეზიდან ხდება გადასვლა მოქმედებაზე და ა. შ. ეს წინსვლითი მოძრაობა არ არის მართლაც წინსვლითი მოძრაობა, რამდენადაც ერთი განსაზღვრება მეორეშია (მთვლისა ნაწილებშია და პირიქით) წინასწარ მოცემულად. ეს კავშირი, მართალია, სინთეზურია, მაგრამ ანალიზური შემეცნებისათვის ის მოცემულია[1].

ანალიზური შემეცნება არ მიდის რაიმე მოცემულ განსაზღვრულობათა იქით, მაგრამ განსაზღვრულობის ბუნება ისეთია, რომ ის

---

[1] ჰეგელი, იქვე. გვ. 444—455.

სხვას აუცილებლობით უკავშირდება. ამიტომ ანალიზი ხდება სინთეზად. აქ ადგილი აქვს აუცილებელ გადასვლას, კავშირს უშუალობისა შუალობასთან, აბსტრაქტული იგივეობისა განსხვავებასთან. ანალიზური შემეცნების პრინციპი — აბსტრაქტული იგივეობა, არსებითად, არის იგივეობა განსხვავებულთა[1].

ანალიზური შემეცნების ფორმა, როგორც ითქვა, არის ფორმალური იგივეობა ანუ ზოგადობის აბსტრაქცია. ანალიზური შემეცნება კონკრეტულს შლის, და განსხვავებებს აბსტრაქტული ზოგადობის ფორმას აძლევს. ანალიზური შემეცნება კონკრეტულს სტოვებს საფუძვლად, გამოყოფს კონკრეტულ ზოგადს, გვარს, კანონს, განსაკუთრებულობებს კი აბსტრაქციას უკეთებს, არარსებულად მიიჩნევს. ეს არის ანალიზური მეთოდი. ეს არის ერთეულის დაყვანა რაიმე ზოგადზე, ერთეულიდან ზოგადობაზე გადასვლა, კონკრეტულის აბსტრაქტულ ელემენტად დაშლა (ჯ. ლოკის მეთოდი). ანალიზური მეთოდი გამოდის კონკრეტულიდან და, აბსტრაქტული იგივეობის პრინციპის საფუძველზე, არ უნდა გავიდეს ამ მოცემულისაგან, მაშინ როცა კონკრეტულის დაშლა და მისი დაყვანა აბსტრაქტულ ზოგადობაზე, კონკრეტულის უარყოფაა. ამიტომ ეს მეთოდი წინააღმდეგობას შეიცავს: მან კონკრეტული არ უნდა მიატოვოს, მაშინ როცა ასეთი კონკრეტული ხელიდან ეცლება[2]; იგი, მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, აბსტრაქტულ განსაზღვრებებად ნიავდება.

მაგრამ ანალიზური მეთოდით მიღებული ზოგადობა არის განგანსაზღვრული ზოგადობა. შემეცნების მოქმედება აქ გადის ცნების მომენტებს (ზოგადობა, განსაკუთრებულობა, ერთეულობა). ეს ცნება წარმოადგენს განსჯისეულ განსაზღვრულ ცნებას. საგნის მიღება ამ ცნების ფორმებში არის სინთეზური მეთოდი, აღნიშნავს ჰეგელი. ანალიზური მეთოდი ერთეულიდან ზოგადზე გადადის, სინთეზური მეთოდისათვის კი პირიქით — ზოგადი გამოსავალია, საიდანაც განსაკუთრებულის გზით ხდება გადასვლა ერთეულზე (დეფინიციიდან დაყოფის საშუალებით ვღებულობთ თეორემას). სინთეზური მეთოდი მეღავნდება როგორც ცნების მომენტების განვითარება[3].

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, გვ. 450.
[2] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია, I, § 227.
[3] იქვე, § 228.

ანალიზური შემეცნება, ფიქრობს ჰეგელი, არის უშუალო თანაფარდობა ცნებისა ობიექტთან, ეს არის იგივეობის საფუძველზე წვდომა იმისა, რაც არის. სინთეზური შემეცნების მიზანია მისწვდეს მრავალსახიანობას მის ერთიანობაში. მისი საბოლოო მიზანია აუცილებლობა. ამრიგად, ჰეგელი სამართლიანად ფიქრობს, რომ აუცილებლობას ადგილი აქვს განსხვავებულთა ერთიანობაში, რომ აუცილებლობისათვის საჭიროა განსხვავება; აუცილებლობა მხოლოდ სინთეზურობაში ხორციელდება.

სინთეზური შემეცნება, ფიქრობს ჰეგელი, გადადის აბსტრაქტული იგივეობიდან მიმართებაზე, არსიდან რეფლექსიაზე, მაგრამ ვერ მიდის ცნებამდე, სინთეზურის შინაგანი იგივეობა და აუცილებლობა არ არის ცნება; ის ვერ მიდის ცნების და არსის იგივეობამდე, იდეამდე. ამაში მდგომარეობს სინთეზური შემეცნების სასრულობა.

აქ აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი: ჰეგელი განიხილავს ანალიზურ და სინთეზურ მეთოდებს ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფილოსოფიის ისტორიაში. მართალია, დადებითად უნდა ჩაითვალოს ჰეგელის ცდა დაადგინოს ისეთი ლოგიკური, რომელიც გამოხატავს ისტორიულს, მაგრამ იგი ნამდვილად ლოგიკურს სთვლის ისტორიულის საფუძვლად, ამით აბსოლუტური იდეალიზმის საფუძველზე დგას. მეორე მხრივ, ანალიზურ და სინთეზურ მეთოდებს, მთლიანად აღებულს, მცდარად მიიჩნევს, რადგან გამოდის არსზე ცნების დამთხვევიდან — აბსოლუტური იდეიდან, როგორც საზომიდან. ეს აბსოლუტური იდეალიზმი ამახინჯებს მისსავე აზრს ანალიზურობისა და სინთეზურობის დიალექტიკური ერთიანობის შესახებ (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვეექნება საუბარი).

ჰეგელი ფიქრობს, რომ სინთეზურ შემეცნებას, სინთეზურ მეთოდს სამი მომენტი აქვს; ეს მომენტებია: დეფინიცია, ვაყოფა და თეორემა.

დეფინიცია საგანს წარმოადგენს ცნების ფორმაში, რომელიც შეიცავს სამ მომენტს: ზოგადობას, განსაკუთრებულობას და ერთეულობას. ერთეული არის ის უშუალო, რომელიც დეფინიცირებულ უნდა იქნეს; მისი ზოგადი ასპექტი არის უახლოესი გვარი, რომელსაც უნდა ჰქონდეს განსაზღვრულობა სპეციფიკური განსხვავების სახით. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებისათვის მესამე არის ერთეული, რომელშიც ისინი გაერთიანებულნი არიან,

მაგრამ ეს ერთეული ჩვეულებრივ დეფინიციაში (რასაც აქ ჰეგელი განიხილავს) ცნების გარეთ რჩება. ამიტომ ცნების შინაარსი რაღაც მოცემული და შემთხვევითია[1]. აქ არ ჩანს პრინციპი, რომლის მიხედვითაც შეიძლება გარკვეულ იქნეს ის, თუ საგნის რა მხარე უნდა იყოს აღებული ცნების დასადგენად, ე. ი. რომელია არსებითი და რომელი — არაარსებითი[2]. ამიტომ დეფინიცია კმაყოფილდება ნიშნებით, აღნიშვნებით და გარეთ რჩება ის, რაც ცნებისათვის არის არსებითი. ეს არის ჩვეულებრივი დეფინიციის ნაკლი (საქმე იმაშია, რომ ჰეგელი ცდილობს ფილოსოფიის ისტორიაში მოპოვებულ მომენტებს მოუნახოს თავის სისტემაში ადგილი, მაგალითად, ამ შემთხვევაში, ადგილი გამოუძებნოს ჩვეულებრივ დეფინიციას და აღნიშნოს მისი ნაკლი. განსაზღვრების — დეფინიციის ნამდვილი ბუნება ჰეგელს გაგებული აქვს, როგორც ცნებისათვის ადგილის მონახვა სისტემაში; ცნების განსაზღვრება, ეს არის იმის გარკვევა, თუ რაა მისთვის პირველი და რაა შემდეგი. ეს გარემოება ამ შემთხვევაში არ ირკვევა).

დეფინიციის შინაარსი არის უშუალო, მაგრამ ის განსაზღვრულობაა; ამავე დროს, უშუალობა შედეგია გაშუალების, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ დეფინიცია მხოლოდ უშუალო კი არაა, არამედ გაშუალებულიც. დეფინიციას შეუძლია მისწვდეს საგანს მხოლოდ საპირისპირო განსაზღვრულობით; ამიტომ იგი გადადის გაყოფაში[2].

გაყოფის აუცილებლობა ზოგადობაშია, რომელიც განსაკუთრებული ხდება; დეფინიცია გადადის აუცილებლობით გაყოფაში, რადგან იგი იწყებს განსაკუთრებულით, რომელიც მიუთითებს სხვა განსაკუთრებულზე. ზოგადობა გაყოფის წანამძღვარია; დისიუნქცია მხოლოდ ზოგადის საფუძველზეა შესაძლებელი. ზოგადიდან განსაკუთრებულისკენ სვლა საფუძველია სისტემის; ეს არის სინთეზური სისტემა, სისტემატური ცოდნა, სადაც პირველი არის ზოგადი, ამავე დროს მარტივი, რომელიც გამოყოფილია კონკრეტულიდან. ეს უკვე ისეთი უშუალოა, რომელიც ცნების შესაბამისია, რადგან იგი თავის თავთან დამოკიდებულებაში მყოფი ზოგადობაა[3]. შემეცნება იწყება მარტივი ზოგადით, რადგან ამ უკანასკნელის

---

[1] Hegel, W. d. L., II, S. 451—452.
[2] იქვე, გვ. 452, 454.
[3] Hegel, W. d. L., II, S. 457—458
[4] იქვე, გვ. 458.

წვდომა უფრო ადვილია, ვიდრე კონკრეტულის, როგორც მრავალსახიანობის ერთიანობისა. ზოგადობა ცნების პირველი, მარტივი მომენტია, რომელიც წინ უსწრებს ყველაფერს, რაც შინაგანად განსხვავებულია, რაც გაშუალებულია. დასაწყისი არის აბსტრაქტული ზოგადი, რომელიც მომავალი განვითარების სტიქიას უნდა წარმოადგენდეს.

ეს ზოგადი გარკვეული ზოგადიცაა; ამდენად იგი გაყოფის წევრს წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია კიდევ უფრო მეტი ზოგადი და ა. შ. გაყოფა ხდება მიღებული საფუძვლის მიხედვით, განსაზღვრებების აღება წარმოებს მოცემულიდან და არა ცნების რეფლექსურობიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არ არსებობს პრინციპი გაყოფის წეკრთა იმანენტური განსაზღვრებისა. ამიტომ გაყოფის ფორმალური წესები არაფერს არ გვაძლევს. არსებობს წესი, რომ გაყოფამ უნდა ამოსწუროს ცნება. მაშინ როცა გაყოფის თითოეულმა წევრმა უნდა ამოსწუროს ცნება. მოითხოვენ, რომ სახეები სისრულით იყოს ჩამოთვლილი, მაშინ როცა შეიძლება ეჭპირიულად აღმოჩნდეს სახე, რომელიც არ მოექცევა მოცემულ გვარში. ემპირიული სახეები ადგენენ განსხვავებას, მაგრამ არა დაპირისპირებას, მაშინ როცა დისიუნქცია ურთიერთგამორიცხვას უნდა ნიშნავდეს[1].

ცნების ნამდვილი გაყოფა, ცხადია, ცნებას უნდა ემყარებოდეს და უნდა იყოს ტრიხოტომიური, როგორც ეს კანტმა გვიჩვენაო, ამბობს ჰეგელი[2].

სწორად უნდა ჩაითვალოს ჰეგელის მითითება იმის შესახებ, რომ გაყოფა უნდა გამოდიოდეს გასაყოფის ბუნებიდან აუცილებლობით, მაგრამ არ არის იგი სწორი, როცა ამ აუცილებლობის საფუძვლად რეფლექსურობას ათავსებს. გაყოფისათვის თავის თავში მობრუნება კი არ უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ ის, რომ გაყოფის საფუძველი თვითონ უნდა შეიცავდეს იმას, რისგანაც მისი განსაზღვრულობები, სწორედ საპირისპირო განსაზღვრულობები დადგინდება. ზოგადი თავის თავში უნდა შეიცავდეს განსაკუთრებულობას. ასეთი ზოგადი შინაარსეული უნდა იყოს. მხოლოდ შინაარსეული ზოგადია მისი მომენტების აუცილებელი ერთიანობა.

---

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, გვ. 459—464.
[2] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, „ენციკლოპედია", I, § 230.

სინთეზური შემეცნება, სინთეზური მეთოდი იწყებს დეფინიცით, ე. ი. გამოდის ზოგადობიდან, შემდეგ ადგენს ზოგადის განსაკუთრებულობას, ამით ცნების გაყოფას ახორციელებს და მას ემყარება; მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება, რადგან საჭიროა ცნების მესამე მომენტის — ერთეულობის მიღება, მისი შემოყვანა ამ პროცესში, სინთეზური პროცესის დასრულება. ზოგადობიდან გამოსვლით საპირისპირო განსაზღვრულობების მიღება საქმეს არ ასრულებს, აუცილებელია ამ განსაზღვრების ერთიანობა, რაც ერთეულობის აუცილებელი დადგენით ხორციელდება. ის, რაშიც ეს ერთიანობა, სახელდობრ, დეფინიციისა და გაყოფის ერთიანობა ხორციელდება არის თეორემა (Lehrsatz), რაც, ჰეგელის თქმით, ცნების და რეალობის დამთხვევას, იდეას წარმოადგენს[1].

ამავე დროს, ჩვენთვის სწორედ ესაა მთავარი, თეორემაში განხორციელებული ერთიანობა განსხვავებული განსაზღვრულობებისა არის გარკვეული გაშუალება, რომელიც, როგორც გარკვეული დამოკიდებულების აუცილებლობა, დასაბუთებას წარმოადგენს[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებულია ჰეგელის მოთხოვნა, რომ სინთეზურობა სრულად ხორციელდება დაპირისპირებულთა შუალობით აუცილებელ ერთიანობაში და ეს ერთიანობა დასაბუთებას წარმოადგენს; მაგრამ ყალბად უნდა იქნეს მიჩნეული ჰეგელის აზრი იმის შესახებ, თითქოს აქ ხდება ცნების და რეალობის დამთხვევა, რასაც მისი აზრით, იდეა წარმოადგენს. ეს არის აბსოლუტური იდეალიზმის ნიადაგზე პრობლემის გაყალბება, რაციონალური მარცვლის, რომელსაც იქ აუცილებლად აქვს ადგილი. მიჩქმალვა. ის გარემოება, რომ სხვადასხვა განსაზღვრულობები, რომლებიც ცნების გაყოფით მიიღებიან, შეადგენენ ერთიანობას (სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან გაყოფა ეროის ხდება, ან-ან- ის სუბიექტი არის ერთი), სრულიადაც არ ნიშნავს და არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს ცნების და რეალობის გაიგივებას, რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, სრულიად განუხორციელებელი რამ არის

ჰეგელის აზრით, თეორემა არის სინთეზური საგანში, რამდენადაც მისი განსაზღვრულობების დამოკიდებულება აუცილებელია,

---

[1] Hegel, W. d, L. II, S. 464.

[2] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია I, § 231.

ე. ი. დასაბუთებულია ცნების შინაგან იგივეობაში. თეორემა დასაბუთებულ უნდა იქნეს, მაშინ როცა დეფინიციისა და გაყოფის შინაარსი მხოლოდ ნაჩვენები უნდა იყოს, რადგან სინთეზურობა დეფინიციასა და გაყოფაში გარედან მიღებული კავშირია.

ჰეგელის ეს აზრი შეიცავს გაურკვევლობას. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვეულებრივ, ტრადიციულ ლოგიკაში გაგებული დეფინიცია და გაყოფა რაღაც არაუცილებელს, გარედან მიღებულს შეიცავს, მაშინ ამის აღნიშვნასთან ერთად ისიც ხომ უნდა გაირკვეს რომ დეფინიცია, გაყოფა და თეორემა ერთიანი ცნების მომენტებს გამოხატავენ და მათი სინთეზურობა აუცილებელი ხასიათისაა; ამით კი დასაბუთებაში მოექცევა არა მარტო თეორემა, არამედ დეფინიციაც და გაყოფაც. ეს გაურკვევლობა იმის შედეგია, რომ ჰეგელი ცდილობს კაცობრიობის მიერ მოპოვებულ ყოველ ცოდნას ადგილი მიუჩინოს, შექმნას გარკვეული სისტემა, რომელიც მას აიძულებს ზოგიერთი უკვე გარკვეული რამ გაურკვევლად წარმოადგინოს, რათა სისტემის განვითარების დასაბუთება შესძლოს. მაგრამ აღნიშნული გაურკვევლობა კი არ ასაბუთებს განვითარებას. არამედ მის მხოლოდ მოჩვენებას ჰქმნის. ეს საერთო ნაკლია ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისა.

თეორემათა დასაბუთების დროს ემყარებიან და გამოდიან აქსიომებიდან, როგორც აბსოლუტურად პირველიდან, თითქოს ისინი არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებდნენ. რომ ეს მართლაც ასე იყოს, აღნიშნავს ჰეგელი, მაშინ აქსიომები წმინდა ტავტოლოგიებს უნდა წარმოადგენდნენ, რადგან მხოლოდ აბსტრაქტულ იგივეობაში არ არის განსხვავება და ამიტომ არ მოითხოვება არავითარი გაშუალება[1]. მაგრამ თვითონ ჰეგელისავე აზრით, როგორც ის ამას სხვა ადგილზე ამტკიცებს, ტავტოლოგია სიცარიელეა და მისი დადებითობა უარყოფითობაა, ამიტომ აქ დაპირისპირებამდე მიდის საქმე; აბსტრაქტული იგივეობაც შეიცავს უარყოფას, რადგან თვითონ აბსტრაქციაა უარყოფა, და ყოველი აბსტრაქტული განსაზღვრულია იმით, რისგანაც ის არის აბსტრაქციაქმნილი.

ჰეგელის მტკიცებით, თუკი აქსიომები ტავტოლოგიებზე რაღაც მეტს წარმოადგენენ, მაშინ ისინი არიან რომელიღაც სხვა მე-

---

[1] Hegel. W. d. L., II, S. 466.

ცნიერებიდან ნასესხები დებულებები. ამიტომ ისინი არიან თეორემები, უმთავრესად ლოგიკიდან აღებული თეორემები[1].

ჰეგელის ამ აზრის სისწორეს ამტკიცებს და საქმის ვითარებას კიდევ უფრო გარკვეულად წარმოგვიდგენს ფ. ენგელსი, როცა წერს შემდეგს: „მათემატიკური აქსიომები უაღრესად მკლე აზრთა შინაარსს გამოხატავენ, ეს შინაარსი მათემატიკამ ლოგიკიდან უნდა ისესხოს. ყველა აქსიომა შეიძლება ორზე დავიყვანოთ:

1. მთელი უფრო დიდია, ვიდრე ნაწილი. ეს დებულება წმინდა ტავტოლოგიაა, იმიტომ რომ რაოდენობრივად გაგებული წარმოდგენა „ნაწილი" იმთავითვე განსაზღვრულ მიმართებაში იმყოფება წარმოდგენა „მთელთან", სახელდობრ ისე, რომ „ნაწილი" პირდაპირ გვანიშნებს — რაოდენობრივი „მთელი" მრავალი რაოდენობრივი „ნაწილისაგან" შედგებაო. რამდენადაც ეგრეთ წოდებული აქსიომა ამას გარკვევით ამტკიცებს, ჩვენ ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგავთ წინ. შეიძლება რამდენიმედ კიდეც დავამტკიცოთ ეს ტავტოლოგია, თუ ვიტყვით: მთელი არის ის, რაც მრავალი ნაწილისაგან შედგება; ნაწილი არის ის, რაც მრავლად შეერთებული მთელს შეადგენს; მაშასადამე, ნაწილი უფრო მცირეა, ვიდრე მთელი, — აქ განმეორების სიცარიელე კიდევ უფრო ცხადჰყოფს შინაარსის სიცარიელეს.

2. თუ ორი სიდიდე ცალ-ცალკე მესამეს უდრის, ისინი ერთიმეორესაც უდრიან. ეს დებულება, როგორც უკვე ჰეგელმა დაამტკიცა, დასკვნაა[2], რომლის სისწორისთვისაც ლოგიკაა თავდები, რომელიც, მაშასადამე, დამტკიცებულია, თუმცა წმინდა მათემატიკის გარეშე. დანარჩენი აქსიომები ტოლობის და უტოლობის შესახებ მხოლოდ ამ დასკვნის ლოგიკურ გაფართოებას წარმოადგენს"[3].

ამრიგად, აქსიომები თვითონ არიან თეორემები. ასეთია დეფინიციაც და ვაყოფაც, თუმცა ესენი არ მტკიცდებიან, რამდენადაც მიღებულნი არიან როგორც შედარებით პირველნი იმის ჰიმართ, რასაც ამტკიცებენ.

თეორემების შინაარსი არის [illegible] ს გაშლილი შინაარსი. დეფინიციაში უშუალოდ მოცემული [illegible] ქმება, თეორემებში კი განსაზღვრულობათა შუალობითი ერთიანობაა, რაც ცნებას წარმოა-

---

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, იქვე.
[2] ამ დასკვნის ფორმულაა „ბ—ბ—ბ" (A—A—A).
[3] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 48—49.

დგენს. მაშასადამე, აქაც ცნება დგინდება, ე. ი. აქაც დეფინიცია გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ თეორემა სრული დეფინიციაა. ჰეგელის შეცდომა აქ ის არის, რომ ის კიდევ მეტს ამბობს, სახელდობრ, იმას, რომ თეორემებში რადგან სისრულით გამოითქმება ცნება მთელი თავისი შინაარსით, ამიტომ ამით თითქოს ემთხვევა ცნება და რეალობა, ე. ი. საქმე გვაქვს იდეასთან, არსებულ ცნებასთან[1]. ჰეგელის მეორე შეცდომა, რომელსაც აქ ადგილი აქვს, ისაა, რომ ხელოვნურად, განვითარების თითქოს დასაბუთებისათვის განაწილებულია დეფინიციის აზრი ჩვეულებრივ დეფინიციად და თეორემად. თუ თეორემაში დგინდება სისრულით ის, რასაც ცნება ჰქვია, მაშინ აქ უნდა იყოს დეფინიცია და არა იქ, სადაც უშუალოდ მოცემული გამოითქმება, რომელსაც დეფინიციას ეძახდნენ.

თეორემაში გამოთქმულია განსაზღვრულობები, გამოთქმულია ერთად, სადაც არ ჩანს ამ განსაზღვრულობების ურთიერთკავშირის აუცილებლობა, აუცილებელი გაშუალება. ამიტომ თეორემა საჭიროებს დასაბუთებას; დასაბუთება კი მდგომარეობს აუცილებელ გაშუალებაში, განსაზღვრულობათა ურთიერთშუალობითი აუცილებელი კავშირის განხორციელებაში[2]. მაგრამ დასაბუთება ხშირად ესმით ფორმალურის, — არა ობიექტურის, სუბიექტურის და გარეგანი საფუძვლის მოხმარის აზრით[3]. ნამდვილად კი დასაბუთება უნდა იყოს ობიექტური. საგნის ბუნების შესატყვისი, მისგან თავისებურად გამომდინარე, შინაგანი საფუძვლით განხორციელებული, რასაც ადგილი არ აქვს იმ სინთეზურ შემეცნებაში, სინთეზური მეთოდის მოხმარებისას, როცა მხედველობაში არაა ანალიზური მეთოდი, მასთან აუცილებელი ერთიანობა, რაც წარმოადგენს სხვა, სახელდობრ, დიალექტიკურ მეთოდს, რაც ობიექტურ, ე. ი ნამდვილ დასაბუთებაში ხორციელდება.

არაობიექტური, ფორმალური დასაბუთება გამოიყენება გეომეტრიაში, რომელსაც საქმე აქვს სიდიდეებთან; გეომეტრიისათვის ხელსაყრელია, აღნიშნავს ჰეგელი, დასკვნის ფორმალური პროცესი, სადაც თვისობრიობისგან აბსტრაჰირებული მხოლოდ რაოდენობრივი განსაზღვრებები განიხილება, ისე რომ მოძრაობა შესრულდეს ფორმალური იგივეობის ფარგლებში. ამავე დროს, გეომე-

---

[1] Hegel, W. d. L. S. 467.
[2] ჰეგელი, იქვე, გვ, 470—471.
იხ. იქვე, გვ, 471.

ტრიაში დასაბუთებას აფუძნებენ გრძნობად განჭვრეტაზე, მაშინ როცა არავითარი მეცნიერება არ ხორციელდება განჭვრეტის საფუძველზე, არამედ — მხოლოდ აზროვნების საფუძველზე[1]. მაკრამ გეომეტრია მიდის საპირისპირო ფიგურაციების გაიგივებამდე, ეყრდნობა არა მხოლოდ დადებით იგივეობას, არამედ უარყოფით იგივეობასაც. ამით ძველი გეომეტრია მივიდა თავის საზღვრამდე, სასრულობის საზღვრამდე, უსასრულობის გამოხატვამდე.

ჰეგელმა აჩვენა, რომ არც ანალიზური მეთოდი და არც სინთეზური მეთოდი, აღებული ცალ-ცალკე, არ გვაძლევს ნამდვილ დასაბუთებას, თავის თავზე დამყარებულ განვითარებას, როგორც დასაბუთებას; აუცილებელია დიალექტიკური მეთოდი, რომელშიაც ანალიზური და სინთეზური მეთოდები მომენტების სახით იქნებიან წარმოდგენილნი. მაგრამ ჰეგელმა ამასთანავე დაუშვა შეცდომა, როცა ნამდვილი მეთოდი თავისუფალი ცნების, იდეის მეთოდად წარმოადგინა, სადაც ცნება ემთხვევა რეალობას, ობიექტურობას, უკეთ, სადაც ცნება არის ობიექტური და პირიქით. ეს არის აბსოლუტური იდეალიზმის საფუძველზე, არსისა და აზრის გაიგივების საფუძველზე დასაბუთების მეთოდის გაყალბება, რადგან აზრი, რომელიც გაიგივებულია არსთან, უკვე აღარ არის აზრი, იკარგება მისი თავისებურება. დასაბუთება მხოლოდ არსით განსაზღვრული აზრის სფეროში წარმოებს, მას ადგილი არ აქვს არსში.

არ ესაჭიროება მტკიცება იმას, რომ ჰეგელი ყალბად წარმოადგენს დასაბუთების ბუნებას, როცა იგი ანალიზური და სინთეზური მეთოდების ერთიანობას სიკეთის იდეის, თუ ნებელობის თავისუფლებაში ხედავს. სწორია პრაქტიკულით თეორიულის განსაზღვრა, მაგრამ მცდარია პრაქტიკულის გაიგივება თეორიულთან, როგორც ამას ადგილი აქვს ჰეგელთან.

ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის, კერძოდ, დიალექტიკური მეთოდის როგორც დასაბუთების მეთოდის, შესახებ მოძღვრება, რომელიც მთელ ლოგიკაშია გაშლილი, შეკუმშული სახით მოცემული აქვს „ლოგიკის" უკანასკნელ თავში, რომლის სახელწოდებაა „აბსოლუტური იდეა", რაც, ერთი შეხედვით, აბსოლუტური იდეალიზმის სრული დახასიათება უნდა იყოს, მაგრამ, ნამდვილად, როგორც ეს ქვემოთ გაირკვა, საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ჰეგელის ფილოსოფიის შინაგანი და დაუძლეველი

[1] ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, გვ. 471—472.

წინააღმდეგობა აქაც ჩანს:იქ, სადაც იდეალიზმი სრული სახით უნდა წარმოსდგეს, ნამდვილად სწორედ ეს იდეალიზმი თავისი თავის უარყოფამდე მიდის. დიალექტიკური მეთოდი ანგრევს იდეალისტურ სისტემას. თავში „აბსოლუტური იდეა"მოცემულია მოძღვრება არა იდეალისტური სისტემის შესახებ, არამედ, უპირატესად, დიალექტიკური მეთოდის შესახებ. ჩვენ აქ საკითხს მხოლოდ ამ მხრივ, დიალექტიკური მეთოდის როგორც დასაბუთების მეთოდის, სახელდობრ, ანალიზურისა და სინთეზურის ერთიანობის, როგორც გარკვეული ლოგიკური განვითარების, მხრივ შევეხებით.

ჰეგელი მეთოდს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „მეთოდი არის შინაარსის შინაგანი თვითმოძრაობის ფორმის შესახებ ცნობიერება" („...die Methode ist Bewusstsein über die Form der inneren Selbstbewegung ihres Inhalts".[1]) ეს იმას ნიშნავს, რომ მეთოდი იგივეა, რაც ცნების იმანენტური განვითარება; სწორედ ეს არის აბსოლუტური მეთოდი შემეცნებისა და ამასთანავე „თვითონ შინაარსის იმანენტური სული" (die immanente Seele des inhaltes elbst").[2] ანუ სხვანაირად, „მეთოდი არის საგნის იმანენტური პრინციპი და სული"[3]; „მეთოდი არის ობიექტური, იმანენტური ფორმა"[4]. რადგან ჰეგელისათვის არსი და აზრი ერთი და იგივეა, ამიტომ მეთოდი არის როგორც საგნის, ისე ცნების იმანენტური ფორმა, იმანენტური თვითმოძრაობა-განვითარების ფორმა, შინაარსის თვითმოძრაობის წესი, გზა. ლოგიკურად მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად არის ეს ფორმა, არამედ ის, თუ როგორია ის. მეთოდი სუბიექტური ხერხი კი არაა, არამედ ობიექტური ფორმაა, თვითონ შინაარსის თვითმოძრაობის „სულია", პრინციპია.

ჰეგელის აზრი მეთოდის შესახებ, „წაკითხული მატერიალისტურად", შეიძლება გამოითქვას ასე: შემეცნების თუ ცოდნის და ლოგიკურის მეთოდი უნდა იყოს გამოხატულება საგნის თვითმოძრაობის ფორმისა. ამიტომაა ლოგიკური ისტორიულის ასახვა. რა გზითაც ვითარდება საგანი, იმ წესით უნდა მოძრაობდეს და ვითარდებოდეს აზრი. ლოგიკურ ფორმათა ძირითადი წესი და კანონი განი-

---

[1] Hegel, W. d. L.. I, S. 35.
[2] იქვე, გვ. 7.
[3] იქვე, II, გვ. 491.
[4] იქვე, გვ. 489.

საზღვრება საგანთა ძირითადი კანონით. ლოგიკური მეთოდი არ შეიძლება არ იყოს ობიექტური. სუბიექტური დიალექტიკა ობიექტურ დიალექტიკას გამოხატავს. ორივეში ერთი წესი მოქმედებს.

„აბსოლუტური იდეა“ ჰეგელისათვის სხვა არაფერია, თუ არა იმ გზის განმეორება, რაც ლოგიკურმა გაიარა მთელი „ლოგიკის“ მანძილზე. ლოგიკურის განსაზღვრებები, მისი საფეხურები — კატეგორიები, როგორც გარკვეული ფორმები და მათი კავშირები, აღებული მთლიანად, რომელიც მეთოდის, როგორც გარკვეული ფორმის, „ფორმის ფორმის“ თუ „აზროვნების აზროვნების“ სახით არის წარმოდგენილი, შეადგენს „აბსოლუტურ იდეას“.

ჰეგელი ამბობს, რომ „აქამდე (აბსოლუტურ იდეამდე ს. წ.) ჩვენ საგნად გვქონდა იდეა მის განვითარებაში სხვადასხვა საფეხურების გავლით; მაგრამ ახლა იდეა თვით თავისთვის არის საგნობრივი; ესაა νόησις νοήσεως რომელსაც ჯერ კიდევ არისტოტელემ უწოდა იდეის უმაღლესი ფორმა“[1]. სწორედ ამ აზრით მიიღწევა აბსოლუტური ჭეშმარიტება აბსოლუტურ იდეაში. თვითონ არისტოტელესაც, „პირველი ფილოსოფია“ ესმოდა როგორც ჭეშმარიტების თეორია.

ჰეგელის „აბსოლუტური იდეის“ და არისტოტელეს „ფორმის ფორმის“ ანუ „აზროვნების აზროვნების“ გარკვეული იგივეობა იმას ნიშნავს, რომ, ჰეგელის თქმით, აბსოლუტური იდეა არის ცნების წმინდა ფორმა, რომლის შინაარსიც იგივეა, რაც თვითონ, „ის თავისი საკუთარი შინაარსია“. ეს არის „ფორმის ტოტალობა როგორც შინაარსის განსაზღვრებათა სისტემა. იდეას როგორც ფორმას აქ არაფერი არ რჩება, გარდა ამ შინაარსის მეთოდისა, — ზისი მომენტების ღირსების გარკვეული ცოდნისა“[2].

ჰეგელის აბსოლუტური იდეა არის ზოგადი, რადგან „იდეის ჭეშმარიტი შინაარსი სხვა არა არის რა, თუ არა მთელი სისტემა“. იგი არის ზოგადი, მაგრამ ეს ზოგადი არ არის აბსტრაქტული ფორმა, რომელსაც კერძო შინაარსი უპირისპირდება. ის არის „აბსოლუტური ფორმა, რომელშიც უკან დაბრუნებულია ყველა განსაზღვრება, მის მიერ დადგენილი შინაარსის მთელი სისავსე“. ეს აბსოლუტური ფორმა არის „მთელი განვითარების გზა“. ყველა-

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, ენციკლოპედია, I, § 236.

[2] იქვე, § 237.

ფერი მთელს ეკუთვნის, მთელის მომენტია, მთელში აქვს გამართლება. სწორედ მთელის გაშლა-გახსნას წარმოადგენს ის, რასაც მეთოდი ჰქვია[1].

ჰეგელის აზრით, სპეკულატური მეთოდის მომენტებია დასაწყისი და წინსვლა, რომელიც ანალიზურ-სინთეზური ხასიათისაა. დასაწყისი არის „უჯრედი", რომელიც განვითარდება ანალიზ-სინთეზურობის გზით და ბოლოს დადგინდება, როგორც მთელი. ეს პროცესი არის ლოგიკური პროცესი ერთი ცნების განსაზღვრებისა, რომელიც, ცხადია, მას უნდა ამოწურავდეს.

დასაწყისი, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა, არ შეიძლება არ იყოს უშუალო, ე. ი. პირველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასაწყისი არ იქნებოდა. მაგრამ ეს უშუალო გრძნობადი უშუალო კი არაა, არამედ არის აზროვნების უშუალო, აზრისათვის პირველი, როგორც აზრის პირველი. დასაწყისი არის ცნების პირველი, ცნების მარტივი ზოგადობა, მისი ასეთი მხარე. დასაწყისი არის პირველი ზოგადობა, უშუალო ზოგადობა. ჰეგელისათვის ასეთი დასაწყისი არის არსი როგორც ცნება თავისთავად. ლოგიკას სხვანაირ არსთან არ აქვს საქმე. დასაწყისი არის ცნების განსაზღვრების დასაწყისი, სახელდობრ, ცნებისა, როგორც ცნების (ამ აზრით, აბსოლუტურისა. ცნება, როგორც ცნება. მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს).

ჰეგელისათვის, უშუალო არის დასაწყისში და დასაწყისი, მაგრამ იგი არის გაშუალების რეზულტატიც. საქმე იმაშია, რომ ჰეგელისათვის უშუალობა არის რაიმეს თავის თავთან დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულება რაიმეს განვითარების დასაწყისშიცაა და ბოლოშიც: 1) რაიმე დასაწყისში თავისი თავთანაა დამოკიდებულებაში, რადგან სხვასთან დამოკიდებულება ჯერ არ არის. 2) განვითარების ბოლოს კი სხვასთან დამოკიდებულება მოხსნილია, რაიმე დაბრუნებულია თავის თავში, აღდგენილია თავის თავთან დამოკიდებულება. მაგრამ მეორე მხრივ: 1) დასაწყისი სწორედ დასაწყისია, ამდენად სხვასთან დამოკიდებულება დასაწყისშივეა. 2) გაშუალების რეზულტატში, მართალია, მოხსნილია სხვასთან დამოკიდებულება, მაგრამ იგი შენახულიცაა. ერთი სიტყვით, მხოლოდ უშუალო არსად არ არსებობს. ყველაფერი ეს კი ამტკი-

---

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, დანართი.

ცებს უშუალობისა და შუალობის დიალექტიკურ ერთიანობას, რომელსაც განვითარების ყოველ საფეხურზე, მართალია, სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი.

დასაწყისის გამოყვანა, ამ აზრით, დასაბუთება არ შეიძლება; ამდენად, ის არის უშუალო, მაგრამ მისი დადგენა უკვე თავისებური საშუალებაა. დასაწყისის ასეთი დადგენა მას უკვე თავისებურად აშუალებს, გაშუალებაში აბამს. პირველი ადგილი გახსაზღვრულია როგორც პირველი. სწორი უნდა იყოს ასეთი ინტერპრეტაცია მეთოდის თვალსაზრისით განხილული დასაწყისისა, რასაც აქ ჰეგელი არკვევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაწყისი არ იქნებოდა დასაწყისი.

ჰეგელის არსი, როგორც დასაწყისი, სხვა არაფერია, თუ არა ცნების უმარტივესი დამოკიდებულება თავის თავთან, რომლის სიცარიელე და უარყოფა იწყებს ცნების განსაზღვრებას, როგორც განვითარების პროცესს, რაც ცნების ამოწურვით, ე. ი. იდეის მიღებით სრულდება.

დასაწყისის სიმარტივე და ზოგადობა არის განსაზღვრელობა, ეს ზოგადობა არის მარტივი ცნება. მეთოდი არის ამ ცნების ცნობიერება, რომელმაც იცის, რომ ზოგადობა ცნების მხოლოდ მომენტია და რომ ცნება ამით არ ამოიწურება, ცნების გახსაზღვრება მხოლოდ იწყება, დასასრული კი ლოგიკურის სისრულით წარმოდგენის დროს მოხდება. მეთოდი მთელი ამ პროცესის ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა, ისე როგორც დასაწყისი ზოგადობა, ცხადია, ობიექტური ხასიათისაა, წინაღმდეგ შემთხვევაში ლოგიკურთან არ გვექნება საქმე.

დასაწყისის ზოგადობა არის ცნების ტოტალობა, რომელიც დადგინდება განსაზღვრებით — განსაზღვრებებით. ამიტომ დასაწყისი სწორედ მთელის დასაწყისია. მასში როგორღაცნაირად, სახელდობრ, აბსტრაქტული ზოგადობის სახით არის მოცემული ის, რაც მთელია და რის დასაწყისსაც ის წარმოადგენს.

აბსტრაქტული ზოგადობა, როგორც სწორედ ცნების დასაწყისი, — განხილული ცნებაში, აბსტრაქტულობის გამო, დამძიმებულია უარყოფით. ამიტომ დასაწყისი მარტივია, მაგრამ არ წარმოადგენს ისეთ მარტივს, რომელიც უარყოფითს არ შეიცავს. სწორედ მისი სიმარტივეა მისი სიცარიელე, თავისებური „არა“.

დასაწყისი არის დასაწყისი იმ სუბიექტისა, რომელიც დასაწყისში მარტივი, აბსტრაქტული ზოგადის სახით არის წარმოდგე-

ნილი, მაგრამ ისე, რომ ამ დასაწყისის და მისგან აუცილებლობით გამომდინარე, სახელდობრ, დიალექტიკური გზით გამომდინარე განსაზღვრებები, საბოლოოდ, ამოწურავს მას, როგორც მთელს, სუბიექტს, რომელიც არის მთელი სწორედ განსაზღვრებებისა, როგორც მისი მომენტებისა. დასაწყისი არის დასაწყისი სუბიექტისა, რომელიც ინახება მთელ განვითარებაში, რაც მისი განსაზღვრებების აუცილებელ კავშირს წარმოადგენს[1].

აქ გადმოცემული იყო ჰეგელის შესაბამისი დებულების ერთი, ლოგიკური ასპექტი მხოლოდ და ისიც თავისებური, ჩვენი აზრით, სწორი ინტერპრეტაციით; ყურადღების გარეშე იყო დატოვებული მრავალი მისტიკური მომენტი, რომლებიც ჰეგელის ფილოსოფიის დამახასიათებელია, მაგრამ აქ მათზე ლაპარაკი ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ.

დასაწყისი განვითარების დასაწყისია იმდენად, რამდენადაც ის არ არის აბსოლუტურად მარტივი, ე. ი. რამდენადაც განსხვავების შემცველია. ასეთი კი არის კონკრეტული, უკეთ, კონკრეტულის დასაწყისი, პირველი კონკრეტულია, რომელიც აბსტრაქტულია, რამდენადაც ის მხოლოდ დასაწყისია. ის არის უშუალო როგორც გაშუალების დასაწყისი, პირველი გაშუალება, გაშუალების პირველი, მისი „უჯრედი". დასაწყისი ისეთი უშუალოა, რომელიც თავის თავთან მიმართებაში მყოფ ზოგადობას წარმოადგენს; ეს არის სუბიექტი, რომელიც არის ერთიანობა აქ აღნიშნული სხვაობისა. ეს რეფლექსია არის შემდგომი მოძრაობის პირველი საფეხური; ეს არის პირველი განსხვავება, პირველყოფილი გაყოფა — მსჯელობა (Ur-teil), განსაზღვრების პროცესი, ამ პროცესის პირველი[2]. ასეთი პირველი არის პირველი სპეკულატური მეთოდისა, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურ მეთოდს, საპირისპიროდ ანალიზური და სინთეზური მეთოდებისა, როგორც სასრული მეთოდებისა.

ჰეგელის აზრით, არსებითია ის, რომ აბსოლუტური მეთოდი ზოგადობის განსაზღვრებას თვითონ ზოგადობაში ნახულობს და შეიმეცნებს[3]. განსჯა ზოგადს ღებულობს კონკრეტული ნიშნების

---

[1] Hegel, W. d. L., II, S. 487—490.
[2] იქვე, S. 490.
[3] Hegel, W. d. L., Das Wesentliche ist, dass die absolutet Methode die die Bestimung des Allgemeincn in ihm selbst findet und erkennt. II S. 490—491.

უარყოფით, აბსტრაჰირებით, შემდეგ კი ამ ნიშნებს გარეგნულად უკავშირებს ზოგადს; აბსოლუტური მეთოდი კი, პირიქით, არაა გარეგანი რეფლექსია, იგი იღებს განსაზღვრებას თვითონ თავისი საგნიდან, ამიტომაა ეს მეთოდი საგნის იმანენტური პრინციპი და სული. რაიმეს განსაზღვრების მიღება თვითონ ამ რაიმედან, მაგალითად ზოგადობის განსაზღვრების მიღება თვითონ ზოგადობიდან, ეს არის საგნის განხილვა როგორც საგნისა, მისი განხილვა თავისთავად. რაიმეს განხილვა მისი იმანენტური ბუნების, იმანენტური განსაზღვრებების მიხედვით, ეს არის აბსოლუტური მეთოდის ანალიზურობა. ეს არ არის განსჯის ანალიზურობა, ე. ი. ანალიზური მეთოდის, როგორც განსჯის — სასრული მეთოდის, ანალიზურობა, არა, ეს ანალიზურობა დიალექტიკური მეთოდის მომენტია.

დიალექტიკური მეთოდი არ არის მხოლოდ ანალიზური მეთოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დიალექტიკური არ იქნებოდა. დიალექტიკური მეთოდი აბსოლუტური მეთოდია, ის არა მხოლოდ ანალიზურია, არამედ სინთეზურიცაა, რადგან მისი საწყისი, საგანი, როგორც მარტივი ზოგადობა, მისი საკუთარი ბუნების გამო, თვითონ არის სხვა. ეს შინაგანი გაორება და განსხვავებულთა ერთიანობა არის ცნების ბუნების და არ არის გარეგანი განსაზღვრულობების გაერთიანება — სინთეზი, ე. ი. ის სინთეზი, რომელიც განსჯისეულია. დიალექტიკური მეთოდის სინთეზურობა თავისებურია, შინაგანი აუცილებლობის ბუნებისაა. დიალექტიკური ანალიზი ამავე დროს სინთეზურიცაა. დიალექტიკური ანალიზით შესრულებული სინთეზი თვითონ არის დიალექტიკური. ორივე მის მომენტს წარმოადგენს. რაიმეში შინაგანი განსხვავების დადგენა, რაც არის 1) ამ რაიმეს განსაზღვრულობის დადგენა, იმის დადგენა, რაც ის არის; ეს ანალიზურობაა, აქ ანალიზური მეთოდი ხორციელდება; 2) ამ რაიმეს განსაზღვრულობის დადგენა, როგორც მისი სხვის დადგენა, ეს არის სინთეზი, სინთეზური მეთოდის განხორციელება. მაგალითად, რაოდენობის ანალიზი მიდის იმის დადგენამდე, თუ რა არის ის—რაოდენობა, მაგრამ ეს უკვე რაოდენობის თვისობრივობის დადგენაა; იგივეობის ანალიზი აღმოაჩენს, რომ იგივეობა თავისი ბუნებით, აღებული თავისთავად, არაფერია, ე. ი. მასში აღმოჩნდება მისი საპირისპირო უკეთ თვითონ ის არის მისი საპირის-

პირო განსაზღვრულობის შემცველი. ასე გადადიან ერთმანეთში კატეგორიები, ეს გადასვლები ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობის ბუნების არიან.

მაშასადამე, დიალექტიკური არის იმდენად ანალიზური, რამდენადაც სინთეზურია და პირიქით. ეს არის მომენტი მსჯელობისა (პირველ-გაყოფისა), რომლითაც პირველი ზოგადობა თავის თავს განსაზღვრავს როგორც თავისათვის მიმართ სხვას[1]. რაიმეს შინაგანი განსაზღვრებების სხვადასხვაობა ამ რაიმეს, როგორც მათი ერთიანობის, მომენტს წარმოადგენენ. რაიმეს ყოველგვარი განსაზღვრება არის ერთიანში განსხვავების დადგენა. ყოველი განსაზღვრება, ლოგიკურად, არის მსჯელობა, რაღაც გაორება ერთიანობისა. ამიტომ ყოველი განსაზღვრება სინთეზურია, უკეთ, ანალიზურ-სინთეზურია, ე. ი. დიალექტიკურია, არა მხოლოდ უარყოფით—დიალექტიკური აზრით, არამედ ამ უარყოფით-დიალექტიკურის მომენტად შემცველი დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკურის (ჰეგელის „სპეკულატურის“) აზრით. ანალიზურობა-სინთეზურობა დიალექტიკის ელემენტია (ვ. ი. ლენინი), მისი აუცილებელი მომენტია.

ყოველი აზრი იწყება რაიმედან, რომელიც აუცილებელი წანამძღვარია—პირველია. მისი განსაზღვრება, ე. ი. იმის აზრობრივი გამოთქმა, არის სწორედ მისი გამოთქმა, ეს ანალიზურობაა. განსასაზღვრი თავისი ბუნებით უნდა დადგინდეს განსაზღვრებაში. განსასაზღვრი არის სუბიექტი, რომლის უარყოფა იმით, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა პრედიკატი, რომ პრედიკატი სწორედ სუბიექტის გამოთქმაა და მეტი არაფერი, აუცილებლად შეცდომას წარმოადგენს. სუბიექტის უარყოფა და პრედიკატის დატოვება (ისე როგორც პირიქით) შეუძლებელია, რადგან პრედიკატი, როგორც მხოლოდ პრედიკატი, არცაა პრედიკატი და, ამასთანავე, იგი, ასეთ შემთხვევაში, თვითონ არის სუბიექტი, რომელიც უნდა განისაზღვროს—პრედიცირებულ იქნეს.

რაიმე, როგორც დასაწყისი, ე. ი. ის, რომელიც უნდა განისაზღვროს, არის, როგორც ეს რამდენჯერმე აღინიშნა, გარკვეული ზოგადი. ეს ზოგადი, განხილული თავისთავად (ანალიზი), არის სხვა თავისი თავის მიმართ (სინთეზი). აქ არ უნდა მოვწყვიტოთ ერთიმე-

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, გვ. 491.

ორეს ასეთი ზოგადის, როგორც სუბიექტის (ეს შინაარსეული ზოგადია) განსაზღვრულობები და გარეგანად დასაკავშირებელად არ უნდა წარმოვიდგინოთ ისინი, როგორც ამას განსჯა აკეთებს, როცა, მაგალითად, ერთიმეორეს უპირისპირებს სასრულსა და უსასრულოს, ერთეულსა და ზოგადს. სასრული და უსასრულო, ერთეული და ზოგადი ჰქმნიან წინააღმდეგობას არა როგორც გარეგანად დაკავშირებულნი თუ დასაკავშირებელნი, არამედ, თვითონ ისინი თავიანთი ბუნებით საწინააღმდეგოში გადასვლას წარმოადგენენ. ამიტომაა ცნება გადასვლა. ისინი დაკავშირებულნი არიან თავიანთი ბუნებით; დაკავშირებულნი არიან ერთსა და იგივეში, როგორც მათ სუბიექტში, რომელიც მათ ცნებას წარმოადგენს.

დასაწყისი, როგორც უშუალო, თავისი შინაგანი განსაზღვრებით თავის თავთან არის გაშუალებული; იმ სხვასთანაა ერთიანობაში, რომელიც მისი პრედიკატია, მისი განსაზღვრულობაა. დასაწყისი, როგორც ზოგადი, თავისი განსაზღვრულობით უკვე განსაკუთრებულია, რაც უარყოფითია დასაწყისის მიმართ. ეს არის პირველი უარყოფითი, ფიქრობს ჰეგელი. ეს უარყოფითი არის რეზულტატი, ამიტომ დასაწყისს შეიცავს მოხსნილ-შენახული სახით. ასე სრულდება გაშუალება, როგორც გარკვეული განვითარება. მთავარი სწორედ ის არის,რომ უარყოფითში შენახულ იქნეს დადებითი. ამ გარემოების მაგალითების სისტემას უნდა წარმოადგენდეს (ჰეგელის აზრით, ამას მისი ლოგიკა წარმოადგენს) მთელი ლოგიკა. ლოგიკის სისტემაში ყველაფერი ასეთ ლოგიკურ-განვითარებით კავშირში უნდა იყოს. აზროვნების ფორმები განვითარებით სუბორდინაციას უნდა შეადგენდენ (როგორც ამას ფ. ენგელსი აღნიშნავს).

რაიმე უშუალოა, ანალიზით მასში აღმოჩენილი განსაზღვრულობა არის უკვე სხვა, რომელიც უშუალოს ხსნის და ვღებულობთ გაშუალებულს; ეს უკანასკნელი კი, როგორც ასეთი—როგორც მხოლოდ მეორე (და არა პირველი) თვითონ არის უშუალო, მაგრამ ის შეიცავს პირველსაც, რადგან მან იგი მხოლოდ კი არ მოხსნა, არამედ შეინახა კიდეც. პირველი მართლდება მეორეში, როგორც მის ჭეშმარიტებაში. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეულ ერთიანობასთან, შუალობის და გაშუალებით ერთიანობასთან. ეს ერთიანობა შეიძლება გამოითქვას წინადადებით, რომელშიაც უშუალო არის სუბიექტი, გაშუალებული კი მისი პრედიკატი (უშუალოს და შუალობითის განუწყვეტელობა იგივეა, რაც სუბი-

ექტის და პრედიკატის განუწყვეტელობა; ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, ორივე ერთიმეორისათვის აუცილებელია). მაგალითად, „სასრული არის უსასრულო“, „ერთი არის მრავალი“, „ერთეული არის ზოგადი“[1]. ასეთი წინადადებების და მსჯელობების ფორმის არაადეკვატურობა თავისთავად ნათელია. მსჯელობის ფორმას, განსაკუთრებით, დადებითი მსჯელობის ფორმას არ შეუძლია გამოთქვას სპეკულატური და ჭეშმარიტება, აღნიშნავს ჰეგელი. ყველაზე მცირე, რაც საჭიროა სპეკულატურის გამოსათქმელად, ეს არის ის, რომ დადებით მსჯელობას უნდა დაემატოს უარყოფითი მსჯელობა (რომელსაც ისეთივე „უფლება“ აქვს, როგორც პირველს).

სუბიექტი მოხსნილია პრედიკატში, როგორც თავის სხვაში. ეს უარყოფა იგულისხმება მსჯელობაში, რომლის დადებითი ფორმა მის ამ შინაარსს ეწინააღმდეგება. ამით მასში არ დგინდება ის, რასაც ის შეიცავს, მაშინ როცა წინადადების აზრი სწორედ ასეთ დადგენაშია[2].

უარყოფითი და გაშუალებული განსაზღვრება, ამავე დროს, არის გამშუალებელი განსაზღვრება. უარყოფითი არის დადებითი უარყოფითი, ამიტომ პირველი მეორეს შეიცავს. უარყოფითი არის სხვა, მაგრამ ის არის სხვა თავის თავში,—სხვის სხვა. ამიტომ შეიცავს თავის საკუთარ სხვას; ამიტომ არის წინააღმდეგობა, თავისი თავის დადებითი დიალექტიკა.

უშუალო, ამბობს ჰეგელი, არის ცნება თავისთავად, ამიტომ ის უარყოფითია მხოლოდ თავისთავად, მისი დიალექტიკური მომენტი ისაა, რომ განსხვავება, რომელიც მასშია თავისთავად, დგინდება მის შიგნით. მეორე, პირიქით, არის რაღაც გარკვეული, თვითონ არის განსხვავება ანუ მიმართება. ამიტომ მისი დიალექტიკური მომენტი ისაა, რომ მასში დადგინდეს ერთიანობა.

თუ უარყოფითი, გარკვეულ-განსაზღვრული, მიმართება, მსჯელობა (პირველგაყოფა) და ყველაფერი, რაც განსაზღვრების ამ მეორე მომენტში შედის, არ წარმოადგენენ წინააღმდეგობას და დიალექტიკურს, მაშინ ეს იქნება მათი მცდარი გაგება, ნაკლი აზროვ-

---

[1] Hegel, W. d. L.. II, S. 495. В. И. Ленин, Философские тетради стр. 197.

[2] Hegel, W. d. L., II. S. 495.

ნებისა, რომელიც აზრებს ერთიმეორესთან ვერ ათავსებს. მასალა— საპირისპირო განსაზღვრულობები ერთ მიმართებაში უკვე დადგენილია და არსებობს აზროვნებისათვის. ფორმალურ აზროვნებას კი, რომელიც იგივეობის კანონს ეყრდნობა, მის წინ არსებული წინააღმდეგობრივი შინაარსი დაჰყავს წარმოდგენებზე, დროის და სივრცის სფეროზე, სადაც წინააღმდეგობრივი გაგებულია როგორც ერთიმეორის გვერდში მყოფი, გარეგანი თანმიმდევრობა, ურთიერთკავშირის გარეშე. ფორმალური აზროვნებისათვის წინააღმდეგობა მოუაზრებელია. ნამდვილად კი წინააღმდეგობის მოაზრება ცნების არსებითი მომენტია. ფორმალური აზროვნება მას ფაქტიურად იაზრებს, მაგრამ მასზე მაშინვე ხუჭავს თვალს და მაშინვე გადადის აბსტრაქტულ უარყოფაზე[1].

უშუალო, სუბიექტი, როგორც ითქვა, უარიყოფა და შეინახება პრედიკატში. მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობით არის აზრდებული, რამდენადაც სუბიექტი უარიყოფა ერთიანობით. ეს უარყოფის უარყოფა უკვე ორი საპირისპირო მსჯელობის ერთიანობა იქნება. ანალიზი, რომელიც იმას აჩვენებს, თუ რას წარმოადგენს სუბიექტი, შინაგანი განსხვავების და უარყოფის გამო, იძლევა სინთეზს, უკეთ, თვითონ ანალიზურობაში მეღავნდება აუცილებლობით სინთეზურობა. მსჯელობა ანალიზურია, რამდენადაც სუბიექტი უშუალოდ უკავშირდება პრედიკატს; სუბიექტი უშუალოდ გადადის პრედიკატში. ამიტომ ვამბობთ, რომ „სუბიექტი არის პრედიკატი". მაგრამ ეს უკვე სინთეზურობაა, რადგან სუბიექტი გადავიდა სხვაში, შესრულდა განსხვავებულთა (და დაპირისპირებულთა) ერთიანობა. თუ დასაწყისი ზოგადი იყო, დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ბოლოს მივიღეთ, გარკვეული ერთეულობაა.

უარყოფითი გაშაშუალებელია; ის შეიცავს თავის თავში უშუალოს, რომლის უარყოფასაც ის წარმოადგენს. უშუალოს უარყოფა გაშუალებაა, გაშუალების უარყოფა უშუალობის აღდგენაა, მაგრამ ისეთი, სადაც უშუალოს და გაშუალებულის ერთიანობა გვაქვს. დაპირისპირებულთა ერთიანობა აბსოლუტურ გაშუალებას წარმოადგენს. ასეთივე აბსოლუტურია ანალიზურობის და სინთეზურობის ერთიანობა. საწყისის ზოგადობის უარყოფა ჰქმნის წინააღმდეგობას, უარყოფის უარყოფა კი ერთიანობას წარმოადგენს. ეს ერთია-

[1] Hegel, W. d. L., II, S. 496.

ნობა არის რაღაც მესამე უშუალობის და გაშუალების მიმართ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ მეთოდს აქვს ტრიპლიციტეტის ფორმა[1].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუალობით დასკვნას აქვს ტრიპლიციტეტის ფორმა, მაგრამ ფორმალურ ლოგიკაში ეს ტრიპლიციტეტი ფორმალური სქემაა მხოლოდ, რადგან დასკვნის პრინციპად იქ აღებულია იგივეობის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპები და დიალექტიკური მომენტი გამოტოვებულია. ნამდვილი ტრიპლიციტეტი განხორციელდება იქ, სადაც შუალობითობა დიალექტიკური მომენტის შემცველია. ასეთი უნდა იყოს დასკვნა. ეს მოთხოვნა ჰეგელმა თავის „ლოგიკაში" ვერ განახორციელა, რამდენადაც დასკვნები, რომლებიც მან განიხილა, აღებულია ისევ ფორმალური ლოგიკიდან[2].

მაშასადამე, სრული ლოგიკური, სადაც სინთეზურ-ანალიზურის ერთიანობას ექნება ადგილი, დიალექტიკური ბუნების იქნება, ეს იქნება დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკური, გარკვეული დიალექტიკური დასკვნა, რომელიც, ჩვენი აზრით, უდრის ზემოთ განხილულ უსასრულო დასკვნას, რაც დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკურ ფორმას წარმოადგენს.

უშუალო, როგორც დასაწყისი, არის სუბიექტი, მაგრამ გაშუალების რეზულტატიც იგივე სუბიექტია, მაგრამ როგორც სწორედ რეზულტატი, როგორც მესამე უშუალობის და გაშუალებულის მიმართ, როგორც ამ უკანასკნელთა ერთიანობა. ეს ერთიანობა, მართალია, არის თვითგაშუალება, მაგრამ არ არის ცნების და რეალობის დამთხვევა, ამ აზრით, ჭეშმარიტება, როგორც ეს აბსოლუტურ იდეალისტ ჰეგელს ჰგონია, არა, ასეთია ყოველი მსჯელობა და მისი რეზულტატი, რადგან სუბიექტის პრედიცირება სუბიექტს იძლევა, იძლევა უშუალოს გაშუალების შედეგად. თუ დასაწყისი ზოგადობაა, რეზულტატი ერთეულია, რომელშიც შენახულია ზოგადობა; ასეთი ერთეული კონკრეტული სუბიექტია და არა აბსტრაქტული ზოგადობა, რასაც დასაწყისი წარმოადგენს. ზოგადი დადგენილია სუბიექტში, რომელშიც, როგორც მესამეში, არსებობს უშუალობის და

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, იქვე, გვ. 498.

[2] ეს გარემოება ჩვენ ნათელყოფილი გვაქვს შრომაში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში", 1959.

გაშუალების აბსტრაქტული მომენტები, ე. ი. გაშუალება კონკრეტულად არის წარმოდგენილი. სუბიექტი დგინდება შინაგანი დიალექტიკით, შინაგანი დიალექტიკური უარყოფით. მესამე აქ არის, ასე ვთქვათ, დანასკვი, რომელშიც თავისთან გაშუალებულია საკუთარი უარყოფითობის საშუალებით, ამით დადგენილია თავისთვის როგორც ზოგადობა და საკუთარი მომენტების იგივეობა[1]. ასეთი ზოგადობა, ცხადია, შინაარსეული ხასიათისაა.

ჰეგელის დებულებების ამგვარი წაკითხვა—ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა ლოგიკურის დიალექტიკურობის გარკვევისა. ჰეგელის დიალექტიკა მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკის მართლაც წყაროს წარმოადგენს.

დასაწყისიც სუბიექტია, გაშუალებაშიც—პრედიკატშიც სუბიექტია წარმოდგენილი და რეზულტატიც სუბიექტია, რომელიც საკუთარი თავით არის გაშუალებული; ეს არის ერთიანობა შუალობის და უშუალობის, ე. ი. ნამდვილ შუალობითობას წარმოადგენს; ამიტომ იგი არის ლოგიკური, საკუთარ მომენტებში ერთიანობის სახით აღებული, შინაგანი უარყოფის შემცველი, დიალექტიკურ-ლოგიკური, და არა აბსოლუტური ცნება—აბსოლუტი, სადაც თითქოს ისე ამოიწურა ყველაფერი, რომ რეალობა, არსებობაც კი მოექცა ცნებაში.

რაიმეს, როგორც უშუალოს, შინაგანი გაშუალება და რეზულტატად უშუალოს და შუალობითის ერთიანობის მიღება, ეს იგივეა, რაც ანალიზურობის და სინთეზურობის დიალექტიკური ერთიანობა; რაიმეს გაშუალება ამ რაიმეს ფარგლებში დარჩენით ანალიზურობაა, მაგრამ უარყოფითობა, რომლითაც გაშუალება ხდება, სინთეზურობას—სხვასთან (და საპირისპირობასთან) აუცილებელ კავშირს იძლევა, ისე რომ ეს სხვა არის სწორედ პირველი „რაიმეს" სხვა. ყოველი კონკრეტული ლოგიკური, გარკვეული შინაარსის მქონე ლოგიკური არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა შინაგანად გაშუალებული, ე. ი. ანალიზურობა—სინთეზურობის ერთიანობა.

ჩვენი აზრით, ასეთი ერთიანობა არ არის მსჯელობა, როგორც გარკვეული პრედიკაცია, არამედ მსჯელობით—პრედიკაციით შესრულებული შუალობითი კავშირი, რომელსაც დასკვნა უნდა ეწოდოს. ეს დასკვნა ისეთი შუალობითი კავშირია, რომელიც შინაგანი

---

[1] შდრ. Hegel, W. d. L., II, S, 498—499.

ურყოფით, შინაგანი წინააღმდეგობით არის შესრულებული და დაპირისპირებულ მსჯელობათა დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს; ასეთ დასკვნაში განხორციელებული მეთოდი დიალექტიკურია, ისე როგორც დიალექტიკური მეთოდი სწორედ დიალექტიკურ დასკვნებში ხორციელდება.

უშუალო დასაწყისის განსაზღვრება ამართლებს მას; გაშუალებაში საბუთდება ის, რაც დასაწყისში უშუალო იყო. ანალიზი გვაძლევს განსაზღვრების, რაშიც მართლდება და წარმოსდგება განსასაზღვრი. განსაზღვრების პროცესი არის წინსვლის პროცესი, მსჯელობათა აუცილებელი კავშირის დადგენა. ამ წინსვლაში საბუთდება ის, რაც დასაწყისში იყო, შემდეგში მართლდება წინა. საფუძვლისკენ სვლა უკანსვლაა, რაც განსაზღვრების პროცესის წინსვლას უდრის. ამიტომ წინსვლა არის, ამავე დროს, უკანდაბრუნება"[1]...

ამრიგად, მეთოდი, როგორც ფორმა წარმოადგენს ერთგვარ წრეს.

მართლაც, ყოველი ცნების განსაზღვრების პროცესი, მისი ნიშნების ჩამოთვლა, ლოგიკური დალაგება-გადმოცემა სწორედ ცნებას ამოწურავს. თავში, ბოლოსა და მთელ განვითარებაში აქ საქმე გვაქვს ერთსა და იგივესთან, ერთსა და იგივე ცნებასთან. ცნების განსაზღვრება მას ამოწურავს და გვაქვს გარკვეული მთელი, გარკვეული წრე. ცნების განსაზღვრების პროცესი, სადაც მისი განსაზღვრულობანი („ნიშნები") დასაბუთებით კავშირში არიან, ცხადია, ერთსა და იგივე ცნებას იძლევა.

ასე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის რაციონალური მარცვალი, რომელსაც ჰეგელის „აბსოლუტური იდეა", როგორც მეთოდზე მოძღვრება, შეიცავს. ჩვენ აქ არ შევეხებით იმას, რასაც ჰეგელი ლაპარაკობს სისტემისა და მეთოდის დამოკიდებულებაზე „აბსოლუტურ იდეაში", სადაც ის ადარებს მეთოდს იმასთან, რაც აღწერილია მთელ „ლოგიკაში"; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჰეგელი ცდილობს მოგვცეს თავის „ლოგიკაში" აბსოლუტის განსაზღვრება, ე. ი. გადმოგვცეს განსაზღვრულობანი ყველაფრის, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი სინამდვილის, მოგვცეს სრული—

---

[1] Hegel, W. d. L., „...das rückwärts gehende Begründen des Anfangs, und das vorwsärts gehende Weiterbestimmen desselben ineinander fällt und dasselbe. ist. II, S. 503.

აბსოლუტური ცოდნა სინამდვილის შესახებ, ამოწურული, მთელი სინამდვილე და წარმოადგინოს იგი აბსოლუტურად სრული ცოდნის სახით. ეს არის სისტემა, აბსოლუტურად დასრულებული სისტემა, რის მიღწევა, ცხადია, განუხორციელებელია, ამიტომ ჰეგელის ცოდნაც ყალბია. მაგრამ აქ გამოყენებული მეთოდი შეიცავს რაციონალურ მარცვალს. იგი გამოიყენება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ყოველი ცნების მიმართ, ყოველი ცნების განსაზღვრების პროცესში. ჩვენ ეს რაციონალური მარცვალი აქ გვაინტერესებს ლოგიკურ ასპექტში, სახელდობრ, როგორც გარკვეული წყარო დიალექტიკურლოგიკურისა, რაც, მეცნიერული სახით, მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკაშია შესაძლებელი.

ლოგიკური, როგორც გარკვეული განსაზღვრების „პროცესი", ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობას წარმოადგენს. მისი დასაწყისი ბოლოს ირკვევა, იგი არის სწორედ რეზულტატის დასაწყისი, მთელის დასაწყისი.

ჩვენ ზემოთ გავარჩიეთ ჰეგელის „ლოგიკის" ბოლო თავს— „აბსოლუტური იდეის" ზოგიერთი ძირითადი მხარე. ამ თავს შესაფასებლად, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ჰეგელი შეფასება ვ. ი. ლენინის მიერ. ვ. ი. ლენინი წერს:

„Замечательно, что вся глава об „абсолютной идее" почти ни словечка не говорит о боге (едва-ли не один раз случайно вылезло „божеское" „понятие") и кроме того—это NB—почти не содержит специфически ИДЕАЛИЗМА, а главным своим предметом имеет ДИАЛЕКТИЧЕСКИЙ МЕТОД. Итог и резюме, последнее слово и суть логики Гегеля есть ДИАЛЕКТИЧЕСКИЙ МЕТОД — это крайне замечательно. И еще одно: в этом САМОМ ИДЕАЛИСТИЧЕСКОМ произведении Гегеля ВСЕГО МЕНЬШЕ идеализма, ВСЕГО БОЛЬШЕ материализма. „Противоречиво", но факт!"[1]

ლოგიკური განვითარება, როგორც თავისებური ფენომენი, შეიძლება განხორციელდეს ანალიზ-სინთეზის საშუალებით, დიალექტიკური მეთოდით, როგორც ანალიზ-სინთეზის გარკვეული ერთიანობის გზით. ანალიზურობა-სინთეზურობის დიალექტიკური ერთიანობა, ეს არის უშუალობა-შუალობითი კავშირის დიალექტიკურობა, რაც პრედიკაციის გზით—მსჯელობების და მათი დიალექტი-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 205.

ტური ერთიანობით—გარკვეული დასკვნითა და დასაბუთებით ხორციელდება.

ანალიზის საშუალებით სინთეზის შესრულება სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება, რადგან ანალიზით სინთეზის შესრულება არის უშუალოს გაშუალება, რაიმეს გაშუალება საკუთარი თავით, გაშუალება, გამომდინარე უშუალოს ბუნებიდან, არის აუცილებელი ხასიათის. ამიტომ გაშუალება დასაბუთებაა და დასაბუთება (Beweiss) არის გაშუალება (Vermittlung)[1]. ასეთ დასაბუთებას წარმოადგენს, ჰეგელის აზრით, მთელი მისი „ლოგიკა", როგორც კატეგორიათა ლოგიკური სისტემა. ასეთი დასაბუთების კერძო მაგალითია კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი თავები, როგორც ცნებების — კატეგორიების — „საქონელი-ფული-კაპიტალი"—ლოგიკური კავშირი.

დიალექტიკურ-ლოგიკური გაშუალება არის დასკვნა, რომელიც, ამავე დროს, დასაბუთებას წარმოადგენს, ეს არის დასკვნა-დასაბუთება, როგორც გარკვეული შუალობითი კავშირ-ერთიანობა, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების მქონე შუალობითი კავშირ-ერთიანობა.

ასეთი დასაბუთების დასაწყისი არის აბსტრაქტული ზოგადი, გარკვეული მარტივი, რომელიც უშუალოა, მაგრამ მისი ბუნების განსაზღვრულობიდან აუცილებლობით სრულდება შინაგანი გაშუალება, ლოგიკური გადასვლა, როგორც პირველი დასკვნა. აქედან იწყება დასაბუთება, რაც, ბოლოს, სისტემის, სახელდობრ, აღნიშნული გაშუალების ბუნების მქონე დასკვნების სისტემის სახით ყალიბდება. ასეთი დასაბუთება იგივეა, რაც მეცნიერება.

6. ზემოთ წარმოებული მსჯელობებიდან ნათელია, რომ ლოგიკური დალაგება-გადმოცემა, როგორც გაშუალება, დასაბუთებას წარმოადგენს; ეს დასაბუთება შედგება დასკვნებისაგან, რომელთაც, ისე როგორც მთელ დასაბუთებას, დიალექტიკური ხასიათი აქვს და არსებითად განსხვავდება ფორმალურ ლოგიკაში ცნობილი დასკვნებისა და დასაბუთებისაგან.

დასაწყისი, როგორც უშუალო, არის რაიმე; თუ რა არის რაიმე, ამას პასუხობს დეფინიცია, რომელიც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არის გარკვეული მსჯელობა, რომლის სუბიექტსაც ეს რაიმე წარმოადგენს, პრედიკატი კი სწორედ მას გამოთქვამს. მაგრამ ისე, რომ ადგილი აქვს გარკვეულ გაშუალებას. დასაწყისი, უშუალოა, მაგრამ

[1] Hegel, W. d. L. II. S. 129.

დაწყება თვითონ არის გაშუალება; „...გაშუალება არის რაღაც დაწ-ყება და გადასვლა რაღაც სხვაზე“... „...Vermittlung ist ein Aufangen und cim Fortgegangensein zu einem Zweiten...“[1]). გაშუალება არის გადასვლა სხვაზე, ამიტომ აქ გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება გაქვს. ასეთია ყოველი სინთეზური მსჯელობა. სადაც პრედიკატი სუბიექტისაგან განსხვავებულია; ასეთია ყოველი დასკვნა, როგორც წინამძღვრებიდან განსხვავებული დასკვნის გამოყვანა თუ განსხვავებულთა შუალობითი კავშირი; ასეთია ერთი კატეგორიიდან მეორეზე აუცილებელი გადასვლა. ყოველი ლოგიკური კავშირი არის შუალობის და უშუალობის ერთიანობა, რომელიც მსჯელობებით ხორციელდება. ამიტომ ლოგიკური დიალექტიკურია. სწორედ დიალექტიკურ-ლოგიკურისათვის არის დამახასიათებელი „გამეშვეება“, გაშუალება, რომელსაც, ვ. ი. ლენინი გარკვეულად მიუთითებდა. ასეთი ლოგიკური, ამავე დროს შემეცნებითიცაა, რადგან იგი საგნობრივ-ობიექტური ხასიათისაა. საგანში არსებული „გამეშვეება“ ლოგიკური შუალობით გამოითქმის[2]. სხვანაირი ლოგიკური შეუძლებელია.

ყოველი მსჯელობა გაშუალებაა, უკეთ, გაშუალების დასაწყისია, რამდენადაც სუბიექტი პრედიკატში, როგორც სხვაში, გადადის, რამდენადაც სუბიექტი არის სხვა, რომელიც სწორედ მას გამოთქვამს. მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი“ ცუგა, როგორც ერთეული, მის საპირისპიროში — ზოგადში (ძაღლი) გადადის სწორედ იმით, რომ ვამბობთ „ცუგა არის ძაღლი“. ზოგადი გამოთქვამს ერთეულს, ამიტომაა ზოგადი ერთეულის პრედიკატი. მართალია, მსჯელობა ვერ ამოწურავს აზრს, რომ „ერთეული არის ზოგადი“, რომ მსჯელობის ფორმა აქ რაღაც შეუსაბამოა, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ეს ფორმა—მსჯელობა აუცილებელია, აუცილებელი დასაწყისია ამ აზრის გამოსათქმელად.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ შუალობით დასკვნასთან შედარებით, მსჯელობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც უშუალო კავშირი, მაგრამ მასში არის ის შუალობითობა, რომელიც სრული შუალობითი კავშირის დასაწყისია.

---

[1] Hegel, Euz., § 12, Bolland, S. 14.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 102.

მსჯელობაში სუბიექტი არის მისგან განსხვავებული პრედიკატი. ეს სინთეზურობა არის ლოგიკური განვითარება: რაიმედან განსხვავებულის და საპირისპიროს გამოყვანა, რაც არ ჩანს ნათლად ისეთ მსჯელობაში, როგორიცაა „ცუგა არის ძაღლი", მაგრამ ნათლად ჩანს კატეგორიათა კავშირში, რომელიც ასეთ ჩვეულებრივ მსჯელობას გამოხატავს და მის საფუძვლად, თვითონ მასში, როგორც მის არსებაში ძევს, სახელდობრ, დებულებაში „ერთეული არის ზოგადი".

ეს და სხვა კატეგორიების კავშირი, როგორც გარკვეული გადასვლები, ლოგიკურ განვითარებას, გაშუალებას როგორც ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. რა უნდა იყოს იმაზე უფრო ნათელი, რომ „ერთეული არის ზოგადი" ლოგიკური განვითარებაა: ერთეულს ემატება ზოგადი, ერთეული გადადის ზოგადში, ერთეული (სუბიექტი) წარმოსდგება (არის) ზოგადის (პრედიკატის)სახით. განვითარებას წარმოადგენს ის, რომ რაოდენობა გარკვეული თვისობრიობაა, რომ თავის თავთან მიმართებაში მყოფი არსი არსებაა, რომ არსება, როგორც თავის თავთან მიმართება, თვითმიზეზს (causa sui) წარმოადგენს;—იგივეობა საკუთარ არსებაში განსხვავებაა. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე და სხვ. კატეგორიათა კავშირები არ შეიძლება განვითარებას არ წარმოადგენდნენ.

ყოველი მსჯელობა გარკვეული განსაზღვრებაა, სახელდობრ, სუბიექტის განსაზღვრებაა პრედიკატით და პრედიკატში. მსჯელობა იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი განისაზღვრება როგორც პრედიკატი. თუ სუბიექტიც კატეგორიაა და პრედიკატიც, მაშინ უფრო სრულად წარმოსდგება განსაზღვრების აზრი. ყოველი კატეგორია იქნება პრედიკატი მათ ქვეშ მდებარე სუბიექტისა; ეს იქნება ამ სუბიექტის განსაზღვრება. სუბიექტს ექნება იმდენი განსაზღვრება. რამდენი კატეგორია-პრედიკატი მას ახასიათებს, მაგრამ ისე, რომ ყველა პრედიკატი ერთ სუბიექტს წარმოადგენს, ე. ი. ამ პრედიკატი-კატეგორიების აზრი, საბოლოო ანგარიშში, ერთი იქნება, ისინი ერთი სუბიექტის ერთი აზრის გამოთქმა უნდა იყოს. ამით მიღებული მთელი ერთი განსაზღვრების სახით წარმოსდგება. ერთი განსაზღვრება ნაწილდება მრავალ—მის შემადგენელ განსაზღვრებად, რომლებსაც პრედიკაციის სახე ექნება. ამიტომ მთელი სისტემა მსჯე-

ლობათა კავშირი. კატეგორია-პრედიკატების გარკვეული ლოგიკური კავშირი იქნება.

ცნება-კატეგორიის განსაზღვრება, ეს არის მისი ადგილის მონახვა სისტემაში, რაც ლოგიკურ განვითარებას, როგორც დასაბუთებას წარმოადგენს. ცნების განსაზღვრება სხვა ცნების საშუალებით ხდება. იგი აჩვენებს იმას, თუ რომელი ცნება რომელს განსაზღვრავს, რომელი ცნება რომელს უსწრებს წინ. ამგვარ განსაზღვრებათა სისტემა არის დალაგება, როგორც დასაბუთება, რომლის ყველა ცნება გარკვეული ადგილის მქონეა, ე. ი. დასაბუთებულია. პირველი ადგილის მონახვა დასაწყისის დასაბუთებას ნიშნავს. დასაბუთებულია საწყისიც, როგორც არსება, რომელიც გარკვეულ პირველს წარმოადგენს დასაბუთებაში და მისთვის დასაბუთებაში, როგორც ლოგიკურ დალაგება-გადმოცემაში, შემდეგი შედეგია და წინას მომენტად შეიცავს თავის თავში, რამდენადაც შინაარსეული ზოგადი შინაარსეულ კერძოს, როგორც ცალმხრიობის, შემცველია. ასეთ აუცილებელ კავშირს დასაბუთება ჰქვია დიალექტიკაში. ეს დასაბუთება სინთეზური დაქვემდებარებაა; იგი გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს. იქ, სადაც არ არის ასეთი განვითარება, როგორც სხვადასხვას აუცილებელი სინთეზური კავშირი. სახელდობრ, სადაც მხოლოდ შემდეგია დატოვებული, წინა კი წაშლილია, ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ლოგიკურ კავშირს,—არ არსებობს დასკვნა და დასაბუთება. ლოგიკური კავშირი, ეს არის დასაბუთებითი, შუალობითი, სინთეზური აუცილებელი კავშირი. დასაბუთების სისტემა განვითარებას წარმოადგენს, დასაბუთებას დასაწყისი სწორედ ასეთი განვითარების დასაწყისია. დასაწყისიდან გასვლა, როგორც ითქვა, არის გაშუალება, რომელიც სრულდება განსაზღვრებით, განსაზღვრება ერთგვარი გადასვლა-გამოყვანაა. რასაც დასაბუთება წარმოადგენს. გაშუალება-განსაზღვრება-გადასვლა-გამოყვანა წარმოადგენს დასაბუთებას..

არ არის სწორი ის (ძველის-ძველი და ამავე დროს ახალი) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ცნების განსაზღვრებას უსასრულო რეგრესში მივყევართ, რადგან ერთი ცნების განსაზღვრება სხვა ცნებას მოითხოვს და ა. შ. უსასრულოდ[1]. ცნების განსაზღვრე-

---

[1] იხ. A. L. Wittenberg, Vom Denken in Begriffen, 1957 Basel, S. 179.

ბა იმ ნიშნების დასახელებაა, რომელიც თვითონ ცნებაშია. ცნების განსაზღვრება მისი შინაარსის ამოწურვაა; სხვადასხვაობა თუ დაპირისპირება სწორედ ცნების შიგნითაა და მას ამოწურავს. ცნების ნიშანთა ანალიზით შესრულებული სინთეზი ცნების ერთიანობის დადგენაა; სხვა ცნებით სწორედ ცნება განისაზღვრება, მისი განსაზღვრულობა გამოითქმება, რაც არის სასრული, იმ აზრით, რომ იგი ცნებას გამოთქვამს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოთქმა არ იარსებებდა, ვერ შესრულდებოდა ის გარემოება, რომ ცნებათა რაოდენობა უსასრულოა, არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ცნების შინაარსის ამოწურვა არ შეიძლებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ცნებები არ იარსებებდნენ. უსასრულობა, როგორც სწორედ ნამდვილი (და არა პოტენციალური, რასაც უსასრულო რეგრესი წარმოადგენს) უსასრულობა ნიშნავს წინააღმდეგობის ერთიანობას; სწორედ წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულის ბუნებას და ადგენს ერთიანობას, რომელიც ცნებას წარმოადგენს; ეს დადგენა კი მის განსაზღვრებას ნიშნავს. უსასრულო არის სრული და არა უსრულობა.

ცნების ანალიზი ადგენს მის ნიშნებს, რომელთა ერთიანობას ცნება წარმოადგენს. ამიტომ ცნების განსაზღვრება ორივე ამ მომენტს შეიცავს, იგი ანალიზ-სინთეზის ერთიანობაა, რაც სწორედ იმით არის შესაძლებელი, რომ ანალიზ-სინთეზი ცნების ამოწურვამდე მიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არ გვექნებოდა არავითარი ცნება (არც ამ უცნებობის ცნება იქნებოდა შესაძლებელი). მაგალითად, დიალექტიკის ცნების განსაზღვრება იქნება პასუხი კითხვაზე, თუ რა არის დიალექტიკა. პასუხი ამ კითხვაზე შესაძლებელია დიალექტიკის ცნების ანალიზით, სახელდობრ, იმის ჩვენებით, რომ დიალექტიკა ნიშნავს მოძრაობას, რომელიც განვითარებაში მდგომარეობს; განვითარება სხვა არაფერია, თუ არა: 1) რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლა, ერთი თვისობრიობის მეორეში გადასვლა, უფრო ზოგადად: ახლის მიღება, 2) ეს ახალი არის უფრო მაღალი, რადგან ის ძველსაც შეიცავს მოხსნილი სახით, ის არის უარყოფის უარყოფა, მაგრამ 3) უარყოფის უარყოფა როგორც ურთიერთუარყოფა .და ორმაგი ურთიერთუარყოფა წარმოადგენს შინაგან წინააღმდეგობას, რომლის უარყოფა უკვე შეუძლებელია, რადგან უარყოფა თვითონ ადგენს წინააღმდეგობას, უარყოფა არსებაა წინააღმდეგობის. იქამდე მისვლა, რომლის უარყო-

ფა მასვე ადგენს. არის ცნების ამოწურვის ნიშანი. ამრიგად დგინ-
დება. ცნება, ამ შემთხვევაში, დიალექტიკის ცნება. ასე დგინდება
წარმოების ცნება, როგორც გარკვეული მომენტების ერთიანობა.
თვითონ ლოგიკურის ცნებაც დგინდება ანალიზ-სინთეზით, რომე-
ლიც განსაზღვრება-პრედიკაციით სრულდება. ლოგიკური ნიშნავს
ლოგიკურ კავშირს, ლოგიკურ აუცილებლობას. ეს კი იმას ნიშნავს,
რომ რაიმე არის სხვა, რაც მსჯელობას წარმოადგენს (სინთეზურ
მსჯელობას); ის მსჯელობა ორ მომენტს შეიცავს: 1) ერთი არის მე-
ორის იგივეობრივი, სუბიექტი არის პრედიკატი, 2) მაგრამ ისინი
განსხვავებულნი არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი (სუბიექტი)
იქნებოდა არა მეორე (პრედიკატი), არამედ იგივე ერთი, ეს კი მსჯე-
ლობას აზრს უკარგავს. მსჯელობას აზრს აძლევს ის, რომ თუ არის
ერთი, მაშინ არის მეორე, ე. ი. მსჯელობა მართლდება დასკვნაში.
მაგრამ დასკვნის პრინციპი, რომელიც პირობითი დებულებით გა-
მოითქმება, ემყარება უპირობოს, სახელდობრ: რაიმეს უარყოფით
მისსავე დადგენას, რაც, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს უსასრულო
დასკვნას, სადაც სრული სახით ვლინდება ლოგიკური აუცილებლ-
ობა, რომლის ცნება სწორედ იმით ამოიწურება, რომ მივდივართ
იქამდე, რომლის უარყოფა შეუძლებელია და მისი უარყოფა მასვე
დაადგენს. ასეთი ანალიზ-სინთეზი, ასეთი გაშუალება ამოწურავს
ცნებას, წარმოადგენს მის განსაზღვრება-დადგენას. ასე ითქმის სხვა
ცნებების (მაგ., ჭეშმარიტების, უსასრულოს, ზოგადის, კერძოს, თუ
სხვა) შესახებ, მაგრამ ერთის გამოკლებით, სახელდობრ, მთელი სი-
ნამდვილის გამოკლებით. სინამდვილის ცნების ამოწურვა არ შეიძ-
ლება იმ აზრით, რომ ვიცოდეთ მთელი მისი შინაარსი. სინამდვილის
ასეთი ამოწურვა მოინდომა ჰეგელმა, ამიტომ მისი სისტემა, რომე-
ლიც აბსოლუტური ჭეშმარიტება უნდა ყოფილიყო, ნამდვილად გა-
მოდგა შეცდომა. სწორი გამოდგა მხოლოდ დიალექტიკის რაციონა-
ლური მარცვალი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს სინამდვილის
ცნება, თითქოს ჩვენ არ შეგვეძლოს სინამდვილის ცნების განსაზღ-
ვრება, რომელიც ცხადია, ამოწურულ უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში, ეს ცნება საერთოდ არ გვექნებოდა. ჩვენ ვიცით რა არის
სინამდვილე, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი ცნება, მაგრამ
ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ყველაფერი ვიცით და, კიდევ
მეტი, თითქოს ეს ცოდნა იგივე იყოს, რასაც სინამდვილე წარმოად-

გენს. ჰეგელი სწორედ ასეთ ილუზიაში იყო ჩავარდნილი. სინამდვილის ცნების განსაზღვრება დიალექტიკაში იმას ნიშნავს, რომ დავადგინოთ მისი პირველადობა ცნობიერების მიმართ. სხვა ნიშანი არ სჭირდება სინამდვილის ცნების ლოგიკურ განსაზღვრებას. ხშირად ერთი ნიშანიც სრულად განსაზღვრავს ცნებას.

ანალიზ-სინთეზის ერთიანობა. როგორც განვითარება, ლოგიკურად ხორციელდება განსაზღვრებით ანუ პრედიკაციის საშუალებით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ის, რაც განისაზღვრება, რის პრედიკაციასაც ვახდენთ, არის სუბიექტი, ქვემდებარე პრედიკაციის. ამ სუბიექტის განსაზღვრულობის დადგენა მსჯელობას წარმოადგენს. სუბიექტის ნიშნის გამოყოფა ანალიზია, სინთეზი კი სწორედ იმის დადგენაა, რომ სუბიექტს აქვს ეს მისგან განსხვავებული ნიშანი და არა სხვა. ის, რასაც ანალიზ-სინთეზი გულისხმობს, როგორც მის საფუძველს, არის სუბიექტი. პრედიკაცია-განსაზღვრების დროს სუბიექტი „ჩვენს წარმოდგენას მუდამ თვალწინ უნდა ედგას როგორც წანამძღვარი"[1]. კატეგორიები, როგორც ზოგადი განსაზღვრულობები, და საერთოდ განსაზღვრულობები—ნიშნები ერთი და იგივე სუბიექტის მხარეებს, ფორმებს თუ პირობებს წარმოადგენენ[2]. ჩვენ აქ იმის თქმა გვინდა, რომ ანალიზ-სინთეზის დროს ხდება პრედიკაცია, პრედიკატები—ნიშნების დადგენა, მაგრამ ისე, რომ მათი ქვემდებარე არის ერთი და იგივე სუბიექტი. ცნების განსაზღვრების სუბიექტი არის ის, რის განსაზღვრებასაც, რის პრედიკატსაც ვადგენ. სუბიექტი აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში არც პრედიკატი გვექნება, არ დაგვრჩება არაფერი.

მცდარია მსჯელობიდან სუბიექტის უკუგდება და იმის თქმა, მაგალითად, რომ არსებობს საგნის მხოლოდ თვისებები, რომ საგანი ამ თვისებების კომპლექსია, ერთობლიობაა და ამიტომ მსჯელობა მხოლოდ პრედიკატია სუბიექტის გარეშე, რომ არ არსებობს საგანი, როგორც განუწყვეტელი ერთიანი, ამიტომ—არც ასეთი სუბიექტი მსჯელობისა[3]. ეს მტკიცება მცდარია, რადგან: 1) საგანი როგორც ასეთი არ დაიყვანება მის თვისებებზე; თვისებები მას გამოხატავენ, მაგრამ ის მათი განუწყვეტელი ერთიანობაა, წინააღმდეგ

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 283.

[2] იხ. იქვე, გვ. 290.

[3] Рассел, Человеческое познание, стр. 118, 339 და სხვ.

შემთხვევაში, არც თვისებათა კომპლექსი, როგორც ასეთი, იქნებოდა შესაძლებელი. რადგან ეს კომპლექსი, ხომ ერთი რამ არის? 2) სწორედ ამიტომ სუბიექტი არ დაიყვანება პრედიკატზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტად პრედიკატი წარმოსდგებოდა. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ყოველგვარი პრედიკატის ჩამოთვლის შემდეგ სუბიექტი დარჩეს. როგორც რაღაც გამოუთქმელი, მისტიკური; არა, ასეთი მისტიკურის აღიარება, ცხადია, ძველი მეტაფიზიკური შეცდომაა. მაგრამ არც ის არის სწორი, თითქოს სუბიექტი არ შეიძლება არსებობდეს. სუბიექტის უარყოფა შეუძლებელია. რადგან ასეთი უარყოფის შედეგად მიღებული თვითონ იქნება ის, რასაც გამოვთქვამთ, ე. ი. სუბიექტი. რასაც პრედიკატში გამოვთქვამთ, ის არის სუბიექტი. პრედიკატი სუბიექტს გამოთქვამს.

თუ არ არსებობს სუბიექტი და არსებობს მხოლოდ პრედიკატები, პრედიკატების კომპლექსი, მაშინ: 1) ან ეს კომპლექსი არის ერთი აზრის მქონე, ე. ი. იგი სუბიექტს წარმოადგენს, 2) ანდა ეს პრედიკატები არსებობს ერთიანობის გარეშე, დაბნეული, ერთი აზრის, სახელდობრ, პრედიკატის აზრის არ მქონე, რაც, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია სუბიექტი, რაღაც, რასაც გამოვთქვამთ პრედიკატში თუ პრედიკატებში.

ყოველგვარი მიმართება, კერძოდ, პრედიკატების მიმართება ან პრედიკატი როგორც მიმართება აუცილებლობით გულისხმობს იმას, რაც მიმართებაში იმყოფება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ მიმართება იქნება შეუძლებელი და აზრდაკარგული.

ანალიზ-სინთეზის პროცესში აუცილებელია ქვემდებარე, სუბიექტი, რომელიც პრედიკაციით ამოიწურება; სუბიექტი არის ის ერთი აზრი, რომელიც პრედიკატში სისრულით გამოითქმება; პრედიკატებს არაფერი აღარ რჩება გამოუთქმელი. ამ აზრს გამოთქვამენ თანამედროვე პოზიტივისტებიც და ჰეგელიც, რომელიც პოზიტივიზმის, როგორც ფილოსოფიის, სასტიკი მტერია (ისე როგორც პირიქით). მაგრამ პოზიტივიზმი, ამ შემთხვევაში (ისე როგორც ბევრს სხვა შემთხვევაშიც) გამოუვალ წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან პრედიკატების აღიარება და სუბიექტის უარყოფა, ეს არის პრედიკატების ერთი გარკვეული აზრის უარყოფა, მათთვის ზოგადობის უარყოფა, ე. ი. თვითონ პრედიკატების უარყოფა. არა მარტო ჰეგელი, არამედ სპინოზაც აიგივებს სუბსტანციას ატრიბუტებთან, მაგრამ ამით სუბსტანციას კი არ უარყოფს, არამედ ასაბუთებს.

ასე რომ, პრედიკატებით სუბიექტის ამოწურვის, ამ გზით ცნების დადგენის აღიარება სუბიექტს კი არ უარყოფს, არამედ სწორედ მას ადგენს და ასაბუთებს.

თითქოს ერთიმეორეს არ უთანხმება ზემოთ გამოთქმული ორი აზრი: 1) დასაწყისი უნდა იყოს აბსტრაქტული ზოგადი, და 2) დასაწყისი უნდა იყოს სუბიექტი, რომლის განსაზღვრება-პრედიკაცია სხვაზე გადასვლა იქნება. ეს ორი აზრი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიმეორის საწინააღმდეგო, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი როგორც დასაწყისი გაგებული იქნება როგორც მხოლოდ ერთეული, აბსტრაქტული ზოგადი , როგორც დასაწყისი კი მხოლოდ ზოგადობად იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო და მთავარია ის, რომელშიც ეს ორი დასაწყისი ერთსა და იგივეს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ სუბიექტი, როგორც ერთეული, არის თავისებური ზოგადი, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადი მისი ნიშნების, როგორც გარკვეული ერთმსრიობების, მიმართ. ასეთი დასაწყისი, როგორც უშუალო, ჯერ გაუშუალებული, არ არის კონკრეტული ამ აზრით, ის არის აბსტრაქტული; მაგრამ, როგორც ასლა ითქვა, ის ზოგადიცაა, რამდენადაც იგი გარკვეული ერთიანობაა იმ ნიშნებისა, რომლებიც სწორედ ანალიზით და პრედიკაციით დგინდება. მაშასადამე, დასაწყისი არის მარტივი შინაარსეული ზოგადობა, როგორც რთულის დასაწყისი (ამდენად, არა აბსოლუტურად მარტივი).

დასაწყისიდან გადასვლა. გარკვეული განვითარებაა. „ლოგიკურ განვითარებაში" ადგილი აქვს ისეთ დასკვნა-დასაბუთებას, რომელიც გარკვეულ გადასვლას წარმოადგენს, ეს არის გადასვლა აზრში რაიმედან სხვა რაიმეზე, იმანენტური გადასვლა, მაგრამ არა ჩვეულებრივი გადასვლა, რომელსაც ადგილი აქვს, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში, სადაც დანასკვი ექვემდებარება წანამძღვრებს—საფუძველს, გადასვლა, აბსტრაქტულ იგივეობაზე დაყრდნობით, ნამდვილ გადასვლას სინთეზურ გადასვლას არც წარმოადგენს, არამედ ისეთი გადასვლაა, სადაც წინამავალი შემდეგს ექვემდებარება, როგორც ცალმხრივი—სრულს, როგორც შინაარსეული კერძო—შინაარსეულ ზოგადს. აქ ადგილი აქვს თავისებურ, ლოგიკურ მოხსნა-შენახვას, თავისებურ განვითარებას. აბსტრაქტული, ერთმხრივი (თუ ცალმხრივი) განსაზღვრულობა კონკრეტუში იხსნება და მასში მომენტად ინახება.

საიდანაც გადასვლა ხდება არის საფუძველი, სადაც ხდება გადასვლა ისიც საფუძველია, მაგრამ თავისებური. პირველი საფუძველი არის ცალმხრივი (ერთმხრივი) საფუძველი, ამიტომ საჭიროებს იგი გამართლებას, რაც შემდეგში, როგორც სრულ საფუძველში გადასვლით ხდება. პირველი საფუძველი არის შინაარსეული კერძო, მეორე კი შინაარსეული ზოგადია. პირველი საფუძველი აბსტრაქტული ზოგადია, მეორე კი კონკრეტულ ზოგადს წარმოადგენს. შინაარსეული კერძო ერთმხრიობაა და ამიტომ შინაარსეულ-კონკრეტულ ზოგადში მართლდება.

ერთმხრივიდან, როგორც შედეგიდან გადასვლა საფუძველზე, ეს არის გარკვეული ინდუქცია (რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), რადგან აქ კერძოდან ზოგადზე გადასვლა გვაქვს. იგი არის, ამავე დროს რედუქციაც, რადგან ეს გადასვლა არის შედეგის საფუძველზე მიყვანა, შედეგის საფუძველში გამართლება. საფუძველი დამქვემდებარებულს ჰქვია, შედეგი დაქვემდებარებულს. შინაარსეული კერძო შინაარსეულ ზოგადს ექვემდებარება.

ორი საფუძვლის აღიარება გაურკვევლობას წარმოადგენს. ამ გარკვეულობის მოხსნისათვის საჭიროა გავიხსენოთ ის, რაც ითქვა ზემოთ თვითდაფუძნებისა და თვითსაფუძვლის შესახებ. ზემოთ აღნიშნულ ორ საფუძველს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მათ თვითდაფუძნებასა და თვითსაფუძველში განვიხილავთ. საქმე ის არის, რომ შედეგი, გარკვეული აზრით, საფუძველიცაა და საფუძველი— შედეგია, თუ მხედველობაში გვექნება თვითსაფუძველი. რაიმე, როგორც თვითსაფუძველი, არის თავისთვის საფუძველიც და თავისი თავის შედეგიც.

დასაწყისიდან შემდეგზე, როგორც გამმართლებელ საფუძველზე გადასვლა, ეს არის 1) საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა რამდენადაც გადასვლა აუცილებლობით ხდება წინამავალიდან, ამ შემთხვევაში, დასაწყისიდან; 2) შედეგიდან საფუძველზე გადასვლა, რამდენადაც გადასვლა ხდება შინაარსეული კერძოდან შინაარსეულ ზოგადში, როგორც გამმართლებელში; 3) ორივე ეს მომენტი ერთიანდება იმით, რომ გადასვლა ხდება „თავის სხვაში", საბოლოოდ, თავის თავში, რადგან ადგილი აქვს თვითგასრულებას, თვითგანხორციელებას, თვითგანვითარებას იმ აზრით, რომ შემდეგ სრული სახით მიიღება ის, რაც დასაწყისში იყო არასრულად. აქ ხომ (ცნების

პრედიკაციის თვალსაზრისით) ერთი და იგივე ცნება განისაზღვრება? დასაწყისი ბოლოს დასაწყისია, ბოლო კი—დასაწყისის ბოლო.

ორი საფუძვლის აღიარების გაურკვევლობას ხსნის უსასრულო დასკვნა, რომელიც, ჩვენი პრობლემის ასპექტში, ზემოთ იყო გარჩეული. უსასრულო დასკვნა, როგორც ითქვა (და როგორც ეს ჩვენ სხვა შრომებში გვაქვს გარკვეული), არის რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება. ამ დასკვნაში ორი მომენტი — დადგენისა და უარყოფის მომენტები ერთიანობაში არიან, სადაც ერთიანობა შინაარსეული ზოგადობაა, მისი მომენტები კი წარმოადგენენ შინაარსეულ კერძოებს, რომელთა ერთიანობა წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. აი, სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობა მოქმედებს ყველგან (თუმცა იგი მეტ-ნაკლებად მოჩანს სხვადასხვა შემთხვევაში), სადაც ადგილი აქვს სინთეზურ გადასვლას, გადასვლას უარყოფის საშუალებით, განვითარებას, თვითგანვითარებას, თვითდაფუძნებას.

ასე ხდება გადასვლა ლოგიკურ დალაგება-გადმოცემაში, როგორც დასაბუთებაში, რომელიც განვითარებას, სახელდობრ, შინაარსეული კერძოდან შინაარსეულ ზოგადზე გადასვლას წარმოადგენს. ამ განვითარებაში მართლდება ინდუქციის აზრი, რადგან: ინდუქციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ამოწურონ სასრულობა და მიიღონ უსასრულობა ზოგადობის სახით. სასრულობის ამოწურვა, როგორც ვიცით, ხდება წინააღმდეგობით, რომელიც გამორიცხავს სასრულ მესამეს, მაგრამ ემყარება მესამეს, როგორც უსასრულოს, რომელშიც წინააღმდეგობის მხარეები იგულისხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სასრული იქნებოდა და ასეთის აღიარებით ჩავარდებოდით ლოგიკურად სრულიად ყალბ მდგომარეობაში. თვითდაფუძნება, შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის გარეშე, ტავტოლოგიის მეტს არაფერს წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებელი ერთიანობა, სრული სინთეზურ-ლოგიკურია.

ინდუქციის აზრი მართლდება ლოგიკურ განვითარებაში, როგორც ლოგიკურ დალაგება-გადმოცემაში, რომელიც ერთიმეორის საწინააღმდეგო პრედიკატებით სუბიექტი ამოიწურება; ერთიანობას კი თვითონ სუბიექტი წარმოადგენს; სუბიექტი დასაწყისში უშუალოა, შემდეგ პრედიკაციით შუალდება და ბოლოს ცნების განსაზღვრების ამოწურვით სისრულით წარმოსდგება.

ინდუქციის სიძნელე. რომელიც ზემოთ იყო განხილული, წყდება ლოგიკურ განვითარებაში, ანალიზით შესრულებულ სინთეზში, სახელდობრ, შინაარსეულ განზოგადებაში, რაც უარყოფის, სახელდობრ, დიალექტიკური უარყოფის საშუალებით სრულდება. მოხსნა-შენახვა დიალექტიკური განზოგადების არსებას წარმოადგენს. ასეთი განზოგადების უმარტივესი მაგალითი არის რიცხვის ცნების განზოგადება მათემატიკაში. როგორც ცნობილია, ნატურალური რიცხვებიდან მთელ რიცხვებზე გადასვლა ხორციელდება გამოკლებით. მთელი რიცხვებიდან რაციონალური რიცხვები მიიღება გაყოფის ოპერაციით და რიცხვის ცნება ფართოვდება რაციონალურ რიცხვამდე. დადებით რაციონალურ რიცხვებზე ფესვის ამოღების ოპერაციის გამოყენება გვაძლევს ნამდვილ რიცხვებს. უარყოფითი რაციონალური რიცხვებიდან ფესვის ამოღების გზით მიიღება კომპლექსური რიცხვი (a+ib), რომელიც უზოგადეს რიცხვს წარმოადგენს. რიცხვის ცნების ეს განზოგადება დიალექტიკური უარყოფით (მოხსნა-შენახვით) სრულდება და ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. ასეთი განვითარება თავისი ზოგადი ფორმით სისრულით ვლინდება კატეგორიების სინთეზურ სუბორდინაციაში, სადაც ყოველი შემდეგი კატეგორია წინას ხსნის, ინახავს და მაღალ საფეხურზე აჰყავს.

აქ საჭიროა გავაკეთოთ შენიშვნა ცნებათა ფარდობითობისა და ერთმნიშვნელოვანების დამოკიდებულების შესახებ. ცნებათა ისეთი არაერთმნიშვნელოვანება, რომელიც ცნებათა აღრევას მოასწავებს, ცხადია, უარყოფილ უნდა იქნეს. როგორც ცნობილია, ფორმალური ლოგიკა დაჟინებით მოითხოვს ცნებათა ერთმნიშვნელოვანებას, სახელდობრ, იმგვარად, რომ კრძალავს ცნებათა ფარდობითობას და, ამიტომ, ლოგიკური გადასვლის შესაძლებლობას; ებრძვის დიალექტიკას ცნების, როგორც გადასვლის, გაგებაში. ეჭვი ითქვას, რომ ცნებათა დიალექტიკური ფარდობითობა, „ცნ[illegible] გადასვლა" არ შეიძლება გამორიცხავდეს ცნების ერთმნ[illegible]ანებას: 1) რადგან ცნების სწორედ ერთი გარკვეული მნიშვნელობა მიუთითებს მეორე ცნების აუცილებლობაზე, მაგალითად, მიზეზის ცხება აუცილებლობით გულისხმობს შედეგის ცნებას და პირიქით, 2) რადგან თვითონ გადასვლას ერთი მნიშვნელობა აქვს. ცნების ერთმნიშვნელოვანება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი გამორიცხავდეს ერთი ცნებისათვის სხვა ცნების აუცილებლობას და, ამ

გზით, გადასვლას. ცნების ერთმნიშვნელოვანება ხშირად სწორედ მაშინ იკარგება, როცა მას აბსოლუტურად ცალკე წარმოვიდგენთ. მიზეზის ცნება, აღებული შედეგის ცნების გარეშე, არ არის მიზეზის ცნება. მიზეზი სწორედ შედეგის მიზეზს (ისე როგორც პირქით) ჰქვია (წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება მიზეზობრივობის ენეზიდემისეული უარყოფა). ცნება დგინდება გადასვლაში. სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ცნების განსაზღვრება, რომელიც ანალიზ-სინთეზის დიალექტიკას წარმოადგენს.

ანალიზ-სინთეზის გზით შესრულებული ლოგიკური დალაგება-გადმოცემა, როგორც განვითარება-დასაბუთება, შეიძლება ითქვას, დიალექტიკური ინდუქციაა, რამდენადაც აქ ხორციელდება შინაარსეული კერძოდან ზოგადზე გადასვლა, კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა; ეს განვითარება არის დადგენა-უარყოფით მათი ერთიანობის აუცილებელი მიღება. ამგვარად გაგებული ინდუქცია, რომელიც იმოქმედებს ლოგიკურ ფორმებში—ლოგიკის სფეროში, ეს იქნება მსჯელობიდან დასკვნაზე აუცილებელი გადასვლა. ასეთი განვითარების დასაწყისი, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ გავარკვევთ, იქნება მსჯელობა; მსჯელობა დასაბუთების დასაწყისია.

აზრი ყოველთვის რაიმეს გამოთქვამს. მაგ., ვამბობ „ცუგა". ამ სიტყვის ქვეშ ნაგულისხმევი აზრი მხოლოდ მაშინ იქნება გამოთქმული, თუ გავცემთ პასუხს კითხვას: რა არის ცუგა? (შემდეგ კი როგორია ის და სხვ.). ეს პასუხი იქნება მსჯელობა. პირველად მხოლოდ მსჯელობაში გამოითქმება აზრი. მსჯელობის, მაგალითად „ცუგა არის ძაღლი"-ს გარეშე „ცუგა" ცარიელი სიტყვაა. მსჯელობა კი განსხვავებულთა ერთიანობაა. იგი სინთეზურია. ყველაზე უფრო გასაგები და ელემენტარული აზრი, ეს არის სინთეზური მსჯელობა. ტავტოლოგია არაფრის გამოთქმაა, ცარიელი აზრია (თუ აქ რაიმე განსხვავება არ არის განულისხმევი).

მართალია, ჩვეულებრივად, ყველაზე უფრო გასაგები სინთეზური მსჯელობაა, მაგრამ იგი სიძნელეს შეიცავს. სახელდობრ, იმას, რომ თუ სუბიექტი მისგან განსხვავებულ პრედიკატს უკავშირდება, მაშინ არა მარტო სუბიექტი არის პრედიკატი, არამედ ამავე დროს, სუბიექტი არ არის პრედიკატი: „ცუგა არის ძაღლი", მაგრამ „ცუგა არის ცუგა" და არა ძაღლი, რამდენადაც ცუგა და ძაღლი არ არის ერთი და იგივე. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად წარმოსდგება, თუ აღნიშნულ მსჯელობას კატეგორიების ენაზე გამოვთქვამთ. ცუგა

არის ერთეული, ძაღლი კი ზოგადია, ამიტომ ახლახან მოყვანილი მსჯელობა ახლა ასე გამოითქმება: „ერთეული არის ზოგადი". მაგრამ ეს მეორე სიძნელეს შეიცავს, სახელდობრ, იმას, რომ ერთეული ერთეულია და არა ზოგადი, ეს უკანასკნელი ხომ მისი საპირისპიროა. ამიტომ უნდა ითქვას ისიც, რომ „ერთეული არ არის ზოგადი". ამ მსჯელობის პირველზე დამატება აზრს სისრულით გამოთქვამს. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, და ჩვენთვის აქ ესაა საყურადღებო, რომ სინთეზური აზრის გამოსათქმელად ორი—ერთიმეორის საპირისპირო მსჯელობის ერთიანობაა აუცილებელი, მაგრამ ეს ერთიანობა უკვე აღარაა მსჯელობა, არამედ დასკვნას წარმოადგენს. მაშასადამე, მსჯელობა დასკვნაში მართლდება, მსჯელობიდან აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, როგორც მისი გამმართლებული საფუძველი. ასე რომ დასაწყისი არის მსჯელობა. მსჯელობა არის დასკვნისა და დასაბუთების დასაწყისი. დასაბუთების ელემენტარული ფორმა არის მსჯელობა, რომელიც სწორედ დასაბუთებაში მართლდება.

თუ პრედიკატები სუბიექტს არ ამოწურავენ, მაშინ დასაბუთება არ იქნება შესაძლებელი, რადგან სუბიექტისა და პრედიკატის მხოლოდ განსხვავების შემთხვევაში აზრი არა სრულად არის გამოთქმული. განსხვავებულობანი (პრედიკატები) ერთს უნდა შეადგენდნენ, და შეადგენენ კიდეც, ამიტომ მათ შორის აუცილებელი ერთიანობაა, ე. ი. განხორციელებულია დასაბუთება. მაშასადამე, დასაბუთებას ადგილი აქვს მაშინ, თუ სუბიექტს პრედიკატები ამოწურავენ.

პრედიკაციით სუბიექტის ამოწურვა არ მოითხოვს სუბიექტის ყველა ნიშნის ჩამოთვლას; არა, ამ ამოწურვის საუკეთესო საშუალება არის კატეგორიების და ისიც საპირისპირო კატეგორიების გამოყენება—მოხმარება, ე. ი. იმის გამოყენება, რაც ყოველ მსჯელობაში უშუალოდ იგულისხმება. არ არსებობს აზრი კატეგორიის გარეშე. ყოველი აზრი კატეგორიის მოხმარა და გამოთქმაა. კატეგორიების გარეშე აზროვნება საერთოდ შეუძლებელია.

ის, რომ „ცუგა არის ძაღლი" დაპირისპირებულთა ერთიანობა, უნდა იყოს, გამოითქმება კატეგორიების კავშირით—„ერთეული არის ზოგადი". ერთეულის და ზოგადის დაპირისპირებულობა ამოწურავს მსჯელობის აზრს და ამიტომ მსჯელობა, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ, აუცილებლობით გადადის დასკვნაში, რომლის ელემენტსაც თუ მომენტსაც მსჯელობა წარმოადგენს. აქ ადგილი აქვს ლო-

გიკურ განვითარებას—მსჯელობიდან დასკვნაში გადასვლას, რომელსაც სინთეზური ხასიათი აქვს და სრულდება უარყოფით, დაპირისპირება-წინააღმდეგობით.

ასეთი გადასვლებია ნაჩვენები ჰეგელის დიალექტიკაშიც და კ. მარქსის დიალექტიკაშიც. ჰეგელი თავის „ლოგიკას“ ასე იწყებს: არსი არის არარა, არარა არის არსი, ამიტომ არსებობს მათი ერთიანობა, რომელსაც ქმნადობა წარმოადგენს და ა. შ. კ. მარქსის „კაპიტალი“ იწყება საქონლის ანალიზით, რომელიც გამოითქმება მსჯელობებით—საქონელი არის სახმარი ღირებულება, საქონელი არის საცვლელი ღირებულება, სახმარი ღირებულება არის არასაცვლელი ღირებულება, ამიტომ საქონელი სახმარი და საცვლელი (არასახმარი) ღირებულების, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობაა. მაგრამ საქონლის ბრუნვა შეუძლებელია იმ იგივეობრივის გარეშე, სადაც საცვლელი და არასაცვლელი ღირებულება ერთიმეორეს დაემთხვევა. ის საქონელი, რომლის სახმარი ღირებულება მის საცვლელ ღირებულებაში მდგომარეობს არის ფული, და ა. შ.

ერთი სიტყვით, ანალიზ-სინთეზი პრედიკაციაში ხორციელდება, ეს კი გვაძლევს მსჯელობებს, სახელდობრ, საპირისპირო მსჯელობებს და მათ ერთიანობას, როგორც გარკვეულ შუალობით კავშირებს, რომლებიც დასკვნებს წარმოადგენენ. ამ დასკვნებში განხორციელებულია აუცილებელი შუალობითობა-გაშუალება, რაც ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს.

ყოველ გაშუალებაში მოქმედებს საშუალო. ცნობილია ფორმალურ ლოგიკაში განხილული დასკვნების საშუალო. თუმცა საშუალო ცნების პრობლემა, ყოველთვის მოითხოვდა გადაწყვეტას. აქ ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საშუალო ლოგიკურ განვითარებაში, რომლის შესახებაც ახლა გვქონდა საუბარი.

კატეგორიულ სილოგიზმში საშუალო ცნება, ეს არის მოცულობით მართლაც საშუალო, ის მოიცავს მცირე ცნებას და შედის დიდ ცნებაში როგორც მისი მოცულობის ნაწილი. დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ის ტოლობა, რომელშიც ერთიმეორეს ემთხვევა სილოგიზმში შემავალი სამივე ცნება. ეს იგივეობა შინაარსეულად ერთსა და იგივე ნიშანში გამოითქმება. საშუალო ის ნიშანია, რომელიც გამოითქმის მცირეზე და რომელზედაც გამოითქმის დიდი ცნების ნიშანი, მაგრამ დასკვნაში აღებულია ამ ნიშნების იგივეობრივი, სახელდობრ ის, რომელიც დიდ წანამძღვარსა და დანასკვში პრედიკატის ადგილზეა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს საშუალო წანა-

მძღვარებშია მოთავსებული და არ არის შუამავალი წანამძღვრებსა და დანასკვს შორის. ამიტომ საფუძველი წინასწარ ყველაფერს გულისხმობს, დანასკვი მისგან უშუალოდ გამოდის. ამ მხრივ შუალობითი დასკვნა დაყვანილია უშუალოზე („თუ—მაშინ" გამორიცხავს საშუალოს მათემატიკურ ლოგიკაშიც).

რომ საშუალო ცნებას მართლაც საშუალო ადგილი ეჭიროს, ამიტომ დასკვნის ფორმულა $\frac{\frac{M-P}{S-M}}{S-P}$ უნდა შეიცვალოს ფორმულით —ე—გ—ზ (ან=ზ—გ—ე), სადაც საშუალო არის განსაკუთრებული, კიდურები კი ერთეული და ზოგადია. ეს ფორმულა მოხმარებულია ჰეგელის „ლოგიკასა" და კ. მარქსის „კაპიტალში". ასეთი ფორმის დასკვნაა, მაგალითად: წარმოება (ზ)—განაწილება და გაცვლა (ვ)—მოხმარება (ე), ფ—ს—ფ და სხვა წრებრუნვები „კაპიტალში". არსებობენ ასეთი დასკვნები, რომლებიც განსხვავებული ფორმის არიან, ვიდრე, მაგალითად, სილოგისტური დასკვნები. ეს განსხვავება ნათელია, თუ მოვიგონებთ, რომ ჩვეულებრივი ცნებების კავშირები მსჯელობებში განსხვავდებიან კატეგორიათა კავშირებისაგან, სადაც გაფორმებულად არის წარმოდგენილი შინაგანი უარყოფისა და დაპირისპირება—წინააღმდეგობის მომენტი ლოგიკურში.

მაგრამ ჰეგელის მიერ გაგებული დასკვნა, კერძოდ კი საშუალო, რომელსაც განსაკუთრებული წარმოადგენს, ლოგიკურ გაურკვევლობას და შეცდომას შეიცავს, როგორც ეს კ. მარქსს სრულიად გარკვევით აქვს აღნიშნული. კ. მარქსი წერს: Гегель вообще понимает УМОЗАКЛЮЧЕНИЕ как середину, как mixtum compositum. Можно сказать, что в его трактовке умозаключения выступают вся транцендентность и мистический дуализм его системы. Середина есть деревянное железо, затушёванная противоположность между всеобщностью и единичностью"[3].

კ. მარქსის მიერ დახასიათებული „საშუალო" აერთებს ზოგადს და ერთეულს, ისე რომ თვითონ არის ნარევი ამ საპირისპირო ცნებების; ყოველ შემთხვევაში, თვითონ შეიცავს იმას, რასაც უნდა აერთიანებდეს; „საშუალო" აერთიანებს ზოგადს და ერთეულს

---

[1] მარქსი პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, გვ 364

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, 1955 стр. 3-6.

იმით, რომ თვითონ არის ასეთი ერთიანობა. ეს ლოგიკური შეცდომაა, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ კ. მარქსის აზრით, „საშუალომ“ არ უნდა მიჩქმალოს დაპირისპირება, რომელსაც დასკვნაში აქვს ადგილი.

როგორ შევათავსოთ კ. მარქსის ეს აზრი ჰეგელთან განსაკუთრებულის, როგორც საშუალოს, სიყალბის შესახებ მისსავე აზრთან იმის შესახებ, რომ დასკვნის საშუალო არის განსაკუთრებული, სახელდობრ, იმ დასკვნებისა, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ. ჩვენი აზრით, გამოსავალი ერთია: არსებობს ისეთი დასკვნები, რომელთა საშუალო არის განსაკუთრებული, მაგრამ ეს საშუალო არ გამოდგება ყველგან, რომ არსებობს ისეთი დასკვნები, რომლებშიც დაპირისპირება სისრულით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არავითარ შემთხვევაში დაფარულ-მიჩქმალული თუ გამოუთქმელ გაუფორმებელი.

კატეგორიულ სილოგიზმში, მაგალითად, Barbara -ში განსხვავებაა „მიჩქმალული“, ნაგულისხმევი და გამოუთქმელი, იქ ყველაფერი აბსტრაქტული იგივეობის პრინციპს ემყარება. უფრო მაღალია ის დასკვნები, სადაც არათუ განსხვავება, არამედ დაპირისპირებაა გაფორმებული, მაგრამ მოქმედებს განსაკუთრებული, როგორც საშუალო. ამიტომ კატეგორიული სილოგიზმის ნაკლი დაძლეულია, რამდენადაც დასკვნა სინთეზური უნდა იყოს; სწორედ სინთეზურობის თვალსაზრისით არის მეორე დასკვნა უფრო მაღალი პირველზე. მაგრამ ისეთი დასკვნებიც არსებობს, და უნდა არსებობდეს, სადაც სისრულით იქნება გაფორმებული წინააღმდეგობის ერთიანობა. ასეთი დასკვნა, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არის უსასრულო დასკვნა.

საკითხავია, თუ როგორია საშუალო უსასრულო დასკვნაში, ანუ როგორი უნდა იყოს საშუალო უსასრულო დასკვნის თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხი იქნება ის, რასაც ჩვენ აქ ვეძებთ: ეს იქნება ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი, პასუხი კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს საშუალო დიალექტიკურ გაშუალებაში, რომელსაც ადგილი აქვს ანალიზ-სინთეზით განხორციელებულ ლოგიკურ დალაგება-გადმოცემებში, როგორც დასაბუთების ხასიათის მქონე განვითარებაში.

ყოველი სინთეზური კავშირი არის გაშუალება. თუ რაიმეს სხვა რაიმე უკავშირდება, ეს უკვე გაშუალებაა; გაშუალებაა ყოველი განსაზღვრება. განსაზღვრული გაშუალებულია, განმსაზღვრელი კი—გამშუალებელი. ამიტომ ყოველი მსჯელობაც არის გაშუალება, ის არის გაშუალების დასაწყისი, საწყისი გაშუალება, რომელიც სისრულეს დასკვნაში იძენს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი შუალობითი კავშირი ლოგიკურში, ეს არის შუალობითი კავშირი, როგორც დასკვნა, რომელთან შედარებითაც მსჯელობა პირობითად უშუალო კავშირად შეიძლება ჩაითვალოს (ამ აზრით არსებობს უშუალო დასკვნებიც).

დასკვნა—შუალობითი ლოგიკური კავშირი, ზოგადად რომ ვთქვათ, ეს იქნება ერთის კავშირი მეორესთან მესამის საშუალებით. ასეთი მესამეა საშუალო ცნება კატეგორიულ სილოგიზმში (თუმცა, როგორც ითქვა, ეს მესამე წანამძღვრებშია და არა საფუძველს დ. შედეგს შორის), განსაკუთრებული—ზოგადისა და ერთეულის შუა გარკვეულ შუალობით დასკვნებში. იქ კი, სადაც წინააღმდეგობაა დასკვნაში, არ შეიძლება არსებობდეს „მესამე", ამ აზრით, არც საშუალო. წინააღმდეგობა სწორედ იმიტომ არის წინააღმდეგობა, რომ მესამე გამორიცხულია; წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს. ამიტომ შუალობითი კავშირი, რომელიც დასკვნას წარმოადგენს, არ შეიცავს მესამეს—საშუალოს, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, თუკი ეს კავშირი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. აქ „საშუალო" და „მესამე" არის ის, რასაც ერთიანობა წარმოადგენს; უკეთ: როცა ერთი მის საპირისპიროს უკავშირდება, მაშინ დასაკავშირებელნი ერთიმეორეს უარყოფენ; ამიტომ საშუალო უნდა იყოს სწორედ უარყოფა; ერთი უკავშირდება მეორეს უარყოფის საშუალებით, ერთი გადადის მეორეში უარყოფის საშუალებით. დაპირისპირება-წინააღმდეგობის შუაში არის უარყოფა და არა სხვა დადებითი რამ, რომელსაც ისეთი აზრი ჰქონდეს, როგორიც აქვს დაპირისპირებულ მხარეებს, წინააღმდეგობის მხარეებს. მაგრამ დაპირისპირებულთა ერთიანობაში, მართალია, მესამე გამორიცხულია, მაგრამ არსებობს გარკვეული „მესამე", ეს არის ერთიანობა, რომელიც არ არის სასრული ხასიათის, რადგან წინააღმდეგობა მესამის გამორიცხვით სასრულის ბუნებას ამოწურავს. ერთიანობა არის უსასრულობის მომენტი, როცა იგი არის ერთიანობა სწორედ დაპი-

რისპირებულთა. ეს ერთიანობა არის „საშუალო“, მაგრამ როგორც ძირი დაპირისპირებულთათვის. კიდევ უკეთ: დასკვნაში, რომელსაც დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათი აქვს, „საშუალო“ იქნება უარყოფის შემცველი ერთიანობა, ის უარყოფა, რომელსაც დადებითის აზრიც აქვს და ის დადებითი, რომელიც უარყოფის შემცველია.

მაშასადამე, დიალექტიკურ გაშუალებაში საშუალო არის დაპირისპირებულთა ძირი, გარკვეული, სახელდობრ, უარყოფის შემცველი ერთიანობა. ყოველგვარი გადასვლა-განვითარების არსება არის წინააღმდეგობის ერთიანობა. ამიტომ ამ უკანასკნელის „საშუალო“ არის „საშუალო“ ლოგიკური გაშუალების როგორც ლოგიკური განვითარებისა. სასრულლები ერთიმეორეს უკავშირდებიან უსასრულოს საშუალებით. უსასრულო არის საწინააღმდეგო.—ერთიმეორის გამომრიცხველ სასრულოთა ერთიანობა, და არა მათი საპირისპირო, მათგან გამოცალკევებული რამ (ეს უსასრულოს უარყოფა იქნებოდა).

ამრიგად, ანალიზ-სინთეზის გზით შესაძლებელი ლოგიკური განვითარება, როგორც დასაბუთება, სრულდება ლოგიკური ფორმით, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ეს ფორმა დასკვნის ენაზე არის უსასრულო დასკვნა, როგორც არსებასაწყისი ყოველგვარი დასაბუთების, ყოველგვარი ლოგიკური გადასვლა-განვითარებისა, რომლის დასაწყისსაც წარმოადგენს უმარტივესი კატეგორიების უმარტივესი ერთიანობა, როგორც „უჯრედი“ განვითარებისა. ეს დასაწყისი მარტივი ფორმით არის მსჯელობა, სახელდობრ, სინთეზური მსჯელობა. ლოგიკაში, ე. ი. ლოგიკურ ფორმებში დასაწყისი არის მსჯელობა. სწორედ პრედიკაციის გზით ხორციელდება გადასვლა დასაწყისიდან და მთელი განვითარებაც, სადაც სუბიექტი არის ის, რაც ჰქმნის ერთიანობას; ეს არის განსაზღვრულობათა ერთიანობა, რომლის გარეშე ლოგიკური განვითარება შეუძლებელია, განუხორციელებელია. ლოგიკური განვითარება პრედიკაციაში განხორციელებული ანალიზ-სინთეზით შესრულებული ლოგიკურ დალაგება-გადმოცემას წარმოადგენს.

ასეთ ლოგიკურ განვითარებაში წყდება დასაბუთების ცნობილ მეთოდებთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, ინდუქციის პრობლემა. ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა, ეს არის მსჯელობის პრობლემის გადაწყვეტა. ინდუქცია ერთეულიდან ზოგადის

მიღებაში მდგომარეობს, მსჯელობა სწორედ ისაა, რომ „ერთეული არის ზოგადი“, რაც, როგორც ითქვა, უარყოფითი დიალექტიკის—საწინააღმდეგოს აუცილებლობის ერთ მომენტს წარმოადგენს. ის გარემოება, რომ რაიმე არის საწინააღმდეგოს საფუძველიც, ან რაიმე არის მისი საწინააღმდეგოც, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, წარმოადგენს ლოგიკურ „ალბათობას“, რაც არსებითია ინდუქციისათვის და ხორციელდება გარკვეულ მსჯელობაში, რომელიც უსასრულო დასკვნაში, როგორც დადებით დიალექტიკაში, საბუთდება. უსასრულო დასკვნა სრული ლოგიკური შინაარსეული ზოგადობაა, მისი მხარეები კი შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ. როგორც ითქვა, წინააღმდეგობას აქვს მხოლოდ ორი მხარე, რომლებიც სრული შინარსეული კერძოებია და რომელთაგან აუცილებლობით მიიღება მათი ერთიანობა—ზოგადობა, ეს კი უსასრულო დასკვნაში ხორციელდება. მაგრამ კერძოებიდან ზოგადის ასეთი მიღება უკვე აღარაა ინდუქცია; ეს არის დიალექტიკური მეთოდი, რომელშიც თავის გამართლებას და გადაწყვეტას პოულობს ინდუქციის მანამდე გადუწყვეტელი პრობლემა.

, როგორც გაირკვა, ასე წყდება დედუქციის, რედუქციის და სხვა მეთოდების პრობლემებიც. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, არის ერთადერთი სრული ლოგიკური მეთოდი, რომლის გატარება ლოგიკურ პრობლემატიკაში მოგვცემს დიალექტიკური ლოგიკის სისტემას.

8. დასაბუთების საწყისი როგორც ლოგიკური დალაგების დასაწყისი

1. დასაბუთება გარკვეული და განსაზღვრულია. მისი საზღვარი, სახელდობრ, შინაგანი საზღვარი არის ის, რასაც დასაბუთება წარმოადგენს, ე. ი. ეს საზღვარი მისი არსებაა. დასაბუთების შინაგანი საზღვარი, ეს არის დასაბუთების გარკვეულობა, მისი ფორმა. დასაბუთების ფორმა არის გარკვეული კანონი, წესი, რომლის მიხედვითაც დასაბუთება სრულდება, მაგრამ ისე, რომ თვითონ წესი, ცხადია, ლოგიკურია, ე. ი. დასაბუთების ბუნებისაა. ეს არ ნიშნავს ორი დასაბუთების აღიარებას: 1) დასაბუთება, 2) მისი წესი როგორც დასაბუთება, არა, არსებობს ერთი დასაბუთება საკუთარი წესით, საკუთარი ფორმით. თვითონ ეს ფორმა არის განხორციელე-

ბული დასაბუთება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთების ფორმა, დასაბუთების არსება ცალკე დებულების სახით უნდა არსებობდეს; დასაბუთების არსება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკე დებულების თუ ცალკე დასკვნის სახით. ასეთი დასკვნა, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა, რომელიც გარკვეული დასკვნაცაა და დასაბუთების არსებასაც წარმოადგენს; თვითონ არის დასკვნა-დასაბუთება.

დასაბუთების არსება, ეს არის პირველი ლოგიკური, დასაბუთების არსებითი ფორმა, კანონი თუ წესი, არისტოტელესთან დასაბუთების ეს არსება წარმოდგენილია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის სახით, რომელსაც მასთან „ყველაზე უცილობელი". აქსიომის აზრი აქვს. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ საკმარისად სრულად გაირკვა, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებელობა ლოგიკურში არის ერთი და იგივეს ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა, ამიტომ ის არის რთული; რთული კი, არისტოტელესავე აზრით, არ შეიძლება საწყისი იყოს. დასაბუთების მარტივი საწყისი არისტოტელისათვის არის განსაზღვრულის მარტივი დადებითობა.

მაგრამ განსაზღვრების მარტივი დადებითობა დასაბუთების საწყისი, როგორც არსება, კი არაა, არამედ იგი დასაბუთების დასაწყისია. დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, დასაბუთების ბუნებას წარმოადგენს და არა მარტივ დადებითობას. დასაბუთების არსება მტკიცება-უარყოფის ბუნებისაა, მაშინ როცა განსაზღვრების მარტივი დადებითობიდან საერთოდ არის გამორიცხული ყოველგვარი უარყოფითობა. განსაზღვრების დადებითობა უნდა იყოს დასაწყისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებისა, როგორც დასაბუთების არსება-საწყისისა, რადგან მტკიცება-უარყოფის სირთულეს წინ უნდა უსწრებდეს მარტივი დადებითობა. თუმცა, ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა.—ერთისა და იმავე ერთდროული მტკიცება—უარყოფის შეუძლებლობა, სხვა არაფერია, თუ არა იგივეობის, როგორც მარტივი დადებითობის, უარყოფითი გამოთქმა. მაგრამ, თავი რომ დავანებოთ უარყოფის ფორმის დადებითობასთან კავშირის სიძნელეს (რომელიც სრული სახით პირველად ფიხტესთან იქნა წარმოდგენილი). დასაბუთების, როგორც მტკიცება-უარყოფის, ბუნება ლოგიკურად რთულია თვითონ არისტოტელეს აზრით. ამიტომ მტკიცება-უარყოფის, როგორც დასაბუთების, არსება „რთულია"

და ამიტომ მარტივს წინასწარ გულისხმობს. დასაწყისი მარტივი უნდა იყოს.

მაგრამ ზემოთ ისიც იქნა გარკვეული, რომ არ არსებობს აბსოლუტური სიმარტივე, რომ მარტივი დასაწყისი სწორედ რთულის დასაწყისია, ამიტომ დასაწყისს მხოლოდ შეფარდებითი სიმარტივე ახასიათებს.

განსაზღვრების დადებითობა და წინააღმდეგობის შეუძლებლობა ორი საწყისი კი არაა, რაც ლოგიკურად შეუძლებელი იქნებოდა (როგორც ეს ზემოთ დასაბუთდა), არამედ ერთი არის საწყისი (არისტოტელესათვის), მეორე კი—დასაწყისი. მაგრამ ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ განსაზღვრების სიმარტივე შედარებითი ხასიათისაა, განსაზღვრება მსჯელობას წარმოადგენს, ამიტომ იგი, სწორედ როგორც მსჯელობა, უნდა დაექვემდებაროს დასაბუთებას, დასაბუთების საწყისს, არისტოტელესთან—წინააღმდეგობის შეუძლებლობას. მეორე მხრივ, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის დებულება—მსჯელობა, რომელიც, ცხადია, მსჯელობის ბუნებას დაექვემდებარება. ამით წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, როგორც აქსიომა, მოიხსნება და საწყისად დარჩება განსაზღვრება როგორც მსჯელობა, რომელიც ამავე დროს და პირველ რიგში, დასაწყისი იქნება.

ჩვენ ზემოთ, ვფიქრობთ, დავასაბუთეთ, რომ დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების არსება, რომელიც გარკვეულ დასკვნას წარმოადგენს. ის გამოითქმება გარკვეული დებულებით—მსჯელობით, რომელიც დასკვნის შემოკლებულად წარმომდგენი იქნება. ეს დებულება თუ დასკვნა წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნებისაა; ასეთია უსასრულო დასკვნა, რომელიც ასე გამოითქმება: რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. დასაბუთების დასაწყისი უნდა იყოს დასაბუთების ამ არსების დასაწყისი, წინააღმდეგობის ერთიანობის დასაწყისი, მისი მარტივი სახე, რომელიც მსჯელობაში გამოითქმება, ეს იქნება „უჯრედი" მთელი დასაბუთებისა. ამრიგად, დასაბუთების არსება, როგორც საწყისი, უნდა იყოს, ამავე დროს, დასაწყისი და, პირიქით, დასაწყისი სწორედ არსების დასაწყისი იქნება, ე. ი. დასაწყისი, არსებითად, იგივე საწყისი იქნება.

დასაბუთების დასაწყისი, მით უმეტეს საწყისი არ შეიძლება იყოს დასკვნისა და დასაბუთების წანამძღვარი (ჩვეულებრივი გაგებით). დასაწყისი საწყისის დასაწყისია; საწყისი კი თვითონ არის

გარკვეული დასკვნა, დასკვნა-დასაბუთება. დასაბუთების საწყისი, არსებითად, არის თვითონ დასაბუთება, სახელდობრ, ის თუ რა არის დასაბუთება. საწყისიდან არ ხდება გამოყვანა, რადგან ის ყოველ-გვარი ლოგიკური გამოყვანის და კავშირის არსებას წარმოადგენს. გამოყვანა ხდება დასაწყისიდან, რომელიც საწყისის სათავე და მისგან გამოიყვანება მთელი დასაბუთება. ისე, რომ დასაწყისი იქნება დასაბუთების პირველი, რომელიც, ცხადია, მოქცეულია დასაბუთებაში.

დასაწყისიც საწყისია, რამდენადაც ის სწორედ საწყისის დასაწყისია; დასაწყისი არსების დასაწყისია; დასაწყისში არსება (დასაბუთების არსება) წარმოდგენილია მარტივი ფორმით, მისი უმარტივესი და უძირითადესი განსაზღვრულობით,—არსების ძირითადი განსაზღვრულობის უმარტივესი ფორმით. ამიტომ დასაწყისი არის აბსტრაქტული, მარტივი, ანუ აბსტრაქტული ზოგადი, იმ აზრით აბსტრაქტული, რომ ის კონკრეტულის დასაწყისია. ეს არის ისეთი აბსტრაქტული, „მარტივი", რომელიც მიდის რთულამდე,—რომლიდანაც ანალიზ-სინთეზით, პრედიკაციით, „გამოიყვანება" რთული; ეს „გამოყვანა" კი, როგორც ზემოთ გაირკვა, განვითარებას, დასაბუთებას, როგორც განვითარებას, წარმოადგენს.

თუ დასაწყისი საწყისის-არსების დასაწყისია (ეს კი ასეა, როგორც ზემოთ დასაბუთდა), მაშინ საწყისი ბოლოს უნდა იყოს. დასაწყისი უნდა იყოს იმის „მარტივი" განსაზღვრება, რაც სრულად—ყოველმხრივ ბოლოს წარმოსდგება. დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, მიღებულ უნდა იქნეს ბოლოს. სწორედ ბოლოს გაირკვევა ის, თუ რა არის დასაბუთება. დასაბუთების არსება-საწყისი მიღებული იქნება ლოგიკური სისტემის, როგორც დასაბუთების, ბოლოს—დასასრულში. დასაბუთების დასასრულში სრულად იქნება წარმოდგენილი დასაბუთების საწყისი—არსება, თვითონ დასაბუთება როგორც ასეთი.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დასაბუთების არსება არც თავში უნდა იყოს და არც ბოლოში დასაბუთებისა, ის, როგორც მართლაც არსება, უნდა იყოს, ასე ვთქვათ, „შუაში"; არსება „შუაშია". დასაბუთების არსება დასაბუთების „შიგნითაა"; ის დასაბუთების შინაგან ბუნებას წარმოადგენს.

გამოდის, რომ დასაბუთების საწყისი დასაბუთების არც დასაწყისშია, არც შუაში, არც ბოლოში და ამავე დროს თავშიც—დასა-

წყისშიც უნდა იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, არც მხოლოდ თავშია, არც მხოლოდ შუაში და არც მხოლოდ ბოლოში, არამედ ყველგანაა—თავიდან ბოლომდეა, მაგრამ ისე, რომ თავში დასაწყისის ფორმითაა, ბოლოს კი სრული სახით. მთელი დასაბუთება, როგორც განვითარება, ერთი და იგივეს განვითარებაა.

დასაბუთების თვალსაზრისით, დასაბუთებაში ყველაფერი არსებითად ერთი და იგივეა; სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაბუთებაში ყოველთვის არ გვექნებოდა დასაბუთება. დასაბუთების დასაწყისში მოცემული არსება დასაბუთებას თავიდან ბოლომდე გასდევს და ბოლოს სრულად წარმოსდგება. დასაბუთების საწყისი, ეს არის დასაბუთების პრინციპი, რომელიც თავში უდრის დასაწყისს; გარკვეული აზრით, ეს დასაწყისი ბოლოს დასაწყისია. ბოლო კი დასაწყისის ბოლოა.

ლოგიკური დალაგება-გადმოცემის დასაწყისი და დასაბუთების არსება არსებითად ერთი და იგივეა, მაგრამ ერთიმეორეს სრულიად არ ემთხვევიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ერთიმეორისაგან ვერ განვასხვავებდით, არ გვექნებოდა არც დასაწყისი, არც შუა, არც ბოლო და, საერთოდ, დასაბუთების სისტემა. დასაბუთებაში ლოგიკური მომენტების, სხვადასხვა ფორმების თუ სახეების გამმართლებელი, ცხადია, მოქმედებს დასაბუთებაში თავიდან ბოლომდე; მაგრამ დასაბუთებაში, როგორც გარკვეულ სისტემაში (მხედველობაშია ლოგიკური სისტემა) ჯერ (ლოგიკურად ჯერ) ცალმხრიობები—სისტემის ერთმხრიობები უნდა გვქონდეს, ბოლოს კი მთელი, უკეთ: არსება ბოლოს სისრულით გამომჟღავნდება და დასრულდება მთელი დასაბუთება. ცალმხრიობები წინასწარ გულისხმობს მთელს და პირიქით. სისტემა დაწყებული მარტივით—დასაწყისით გაივლის ცალმხრიობებს და განვითარებაში, როგორც დასაბუთების სისტემაში, განხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა. ეს სისტემა ლოგიკურ ფორმათა სისტემაა, ლოგიკაა, როგორც მეცნიერება, როგორც დასაბუთება.

აქ უნდა შევნიშნოთ ის, რომ ლოგიკურ ფორმათა სისტემა საერთოდ ჩვენი ცოდნის ლოგიკურ ფორმათა სისტემაა, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს. ეს დასაბუთება, როგორც მეცნიერება, ფილოსოფიურია, ფილოსოფიური მეცნიერებაა. ლოგიკა, როგორც ასეთი მეცნიერება, თვითონ ლოგიკურ ფორმათა სისტემას წარმო-

ადგენს. ის რეფლექსური ხასიათისაა. ყოველი კერძო მეცნიერება თავის საგნად სხვას გულისხმობს. ეს საგანი კერძოა, რაიმე სფეროთი იფარგლება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ მათემატიკური ლოგიკა, როგორც კერძო მეცნიერება, არ შეიძლება ლოგიკას წარმოადგენდეს. კერძო, გამოსული ზოგადის როლში, ამახინჯებს ზოგადსაც და თავის თავსაც—კერძოსაც. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ დასაბუთება ნიშნავს ახსნას, თუ რატომ არის ეს ასე და არა სხვანაირად. ყოველი აღწერა, რომელსაც მათემატიკური ლოგიკა მიმართავს, არ არის ახსნა და ამიტომ არც დასაბუთებას წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მათემატიკური ლოგიკა ფილოსოფიას არ საჭიროებდეს. მათემატიკური ლოგიკა თვითონ ემყარება ფილოსოფიურ ლოგიკას, მოიხმარს მას, აგრეთვე—შემეცნების თეორიას და მეცნიერებათა მეთოდოლოგიას. ამას თვითონ მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლებიც აღიარებენ. მაგალითად, კ. აიდუკევიჩი თავის შრომაში „აქსიომატური სისტემები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით" აღნიშნავს, რომ აქსიომატური სისტემები არიან ობიექტები ორი მეცნიერებისა—მათემატიკისა და მეცნიერებათა ტრადიციული მეთოდოლოგიისა, ე. ი. ლოგიკის განსაკუთრებული თავისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილოსოფიურ შემეცნების თეორიასთან (აიდუკევიჩს მეცნიერებათა მეთოდოლოგია დაჰყავს პრაგმატიკაზე)[1].

როგორც ეს ახლახან აღინიშნა, დასაწყისი აბსებითად არის საწყისი, რომელიც, როგორც სწორედ დასაბუთების ლოგიკური საწყისი, სრული სახით წარმოსდგება ბოლოს, დასაბუთების დასასრულს, თუმცა ის არსებითად სათავეა ყოველგვარი ლოგიკური კავშირისა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების საწყისი ბოლოს კი არ უნდა მოთავსდეს, ბოლოს კი არ უნდა იქნეს მიღებული, არამედ მისგან, როგორც დასაწყისიდან უნდა გამოვიდეთ. ასეთი სისტემა შესაძლებელია (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი), მაგრამ ნამდვილად ეს სისტემა იძულებული იქნება დაემყაროს და ფარულად გაიმეოროს ის სისტემა, რომლის ბოლოშიც საწყისი იქნება წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ თუ ჩვენ საწყისით დავიწყებთ, ე. ი. თუ ლოგიკური დალაგება-გადმოცემის დასაწყისად ავი-

---

[1] K. Ajdukiewicz, The Axiomatic Systems from the Mehdological Point of view. Studia logica, T. IX. 1960. pp. 205—206.

ღებთ საწყისს, იმას, რაც ბოლოს უნდა იყოს, როგორც რთული და სრული, მაშინაც იძულებული ვიქნებით დავიწყოთ მარტივით, მართლაც დასაწყისით და ბოლოს მივიღოთ სრული საწყისი. ასე რომ, დალაგების სისტემა აუცილებლად უნდა დაწყებულ იქნეს დასაწყისით და დამთავრდეს საწყისით, თუმცა, როგორც ითქვა, დასაწყისი სწორედ საწყისის დასაწყისია და სხვას არაფერს არ წარმოადგენს.

როგორც ვიცით, დასაბუთების არსება—საწყისი არის უსასრულო დასკვნა, რომელშიაც ლოგიკურის უზოგადესი კანონი სწორედ დასკვნის სახით არსებობს. დასაბუთების არსება—უსასრულო დასკვნა მოქმედებს დასაბუთების დასაწყისიდან მის მთელ მანძილზე და ბოლოს წარმოსდგება სისრულით. თუ ლოგიკურ დალაგება-გადმოცემას უსასრულო დასკვნით დავიწყებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით, როგორც ახლახან აღინიშნა, დავიწყოთ მისი უმარტივესი მხრით, მისი დასაწყისით, მაგრამ სწორედ დასაწყისით, რაღაც მარტივით, რაღაც აბსტრაქტული ზოგადით. უსასრულო დასკვნა ლოგიკურ ფორმებში ყველაზე უფრო კონკრეტულია, რადგან ის არის ლოგიკურად სრულად წარმოდგენილი წინააღმდეგობის ერთიანობა. ეს უკანასკნელი უკონკრეტულესია, რადგან წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულს და წინააღმდეგობის ერთიანობა არის საწინააღმდეგო სასრულოთა ერთიანობა, რაც უსასრულოს (დაუბოლოებელს) წარმოადგენს. ეს არის სასრულის და უსასრულოს ერთიანობა, სადაც უსასრულო არის გარეგადამწვდომი მომენტი, ამიტომ იგი (ეს ერთიანობა) დაუბოლოებელია, რომელზე უკონკრეტულესი შეუძლებელია. ლოგიკური დალაგება-გადმოცემა იწყება აბსტრაქტულით და სრულდება იმით, რაც ყველაზე კონკრეტულია. ლოგიკური დალაგება—გადმოცემის, როგორც გარკვეული განვითარების—დასაბუთების, ბოლო არის უსასრულო დასკვნა, მისი დასაწყისი კი უნდა იყოს მსჯელობა, სახელდობრ, დადებითი სინთეზური მსჯელობა. ამ ორ რაიმეს შორის მოთავსდება ლოგიკურის ყოველი ფორმა და ამ ფორმათა სახეები, ე. ი. მთელი სისტემა ლოგიკისა, სახელდობრ, დიალექტიკური ლოგიკისა, რადგან ამ სისტემაში, როგორც გარკვეულ განვითარებაში, რაც დასაბუთებას წარმოადგენს, ბატონობს დიალექტიკის „ბირთვი"—დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი.

2. კაცობრიობის დიდი მოაზროვნეები ხშირად (მაგალითად, არისტოტელე, ჰეგელი, მარქსი) აღნიშნავდნენ, რომ დასაწყისი ძნელია. ჩვენც აქ გვინდა მივუთითოთ დასაბუთების დასაწყისის თუ საწყისის ერთ სიძნელეზე. ეს სიძნელე არის დასაბუთების საწყისის, როგორც ზოგადობის, „პარადოქსალობა", რომელსაც ჰქმნის რეფლექსურობა, რაც დასაბუთების საწყისისათვის არის დამახასიათებელი (და რის გამოც მისი ფორმალიზაცია არ შეიძლება; ფორმალიზაცია შეიძლება იმის, რაც ექვემდებარება პირობით დებულებას „თუ A, მაშინ B").

დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, არის ზოგადი დასაბუთებისათვის, ის არის ღერძი მთელი დასაბუთებისათვის დასაწყისიდან დამთავრებამდე. დასაბუთების არსება, როგორც ვიცით, არის გარკვეული რაშ და გამოითქმება გარკვეულ დებულებაში, რომელიც ლოგიკური—დასაბუთებითი ბუნებისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთება ამ დებულებაზეც ვრცელდება. მართლაც, როგორც ვნახეთ, დასაბუთების საწყისი თვითონ არის დასკვნა, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა. სხვანაირად—დასაბუთების არსება, რომელიც გამოთქმულია გარკვეულ დებულებაში, სახელდობრ, დასაბუთების არსების, როგორც საწყისის, განსაზღვრებაში,—აი, სწორედ ეს განსაზღვრება (ე. ი. ის, რასაც საწყისი წარმოადგენს), როგორც გარკვეული შინაარსის მქონე დებულება, თვითონ ექცევა და უნდა მოექცეს დასაბუთებაში. ასე ითქმის საერთოდ დასაბუთების საწყისის შესახებ, მაშასადამე, მისი დასაწყისის შესახებაც. დებულება ვრცელდება დასაბუთების საწყისზე და დასაწყისზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთება, გარკვეული აზრით, თავის თავზეც ვრცელდება (იხ. ამის შესახებ ზემოთ, სახელდობრ: 1) უსასრულო დასკვნის როგორც თვითდაფუძნების და ამიტომ გარკვეული „დასაბუთების დასაბუთების" შესახებ, და 2) ლოგიკაში რეფლექსურობის შესახებ).

დასაბუთების საწყისი, როგორც ითქვა, თვითდასაბუთების ბუნებისაა. დასაბუთების საწყისის დებულება არ შეიძლება წინ უსწრებდეს დასაბუთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა დასაბუთების საწყისის დებულება თუ დეფინიცია წინ უსწრებს დასაბუთებას, სწორედ მაშინ იქმნება სიძნელეები: 1) დაუსაბუთებლისა და დასაბუთების წინააღმდეგობისა, 2) მ. თ შორის მესამის (და ა. შ.) აუცილებლობისა, 3) ან დასაბუთებისაგან საწყისის მოწყვეტისა, 4) ან დასაბუთებულით საწყისის განსაზღვრებისა

და სხვ., რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სახელდობრ, მაშინ, როცა ლოგიკის აქსიომატიზაციის შეუძლებლობას ვასაბუთებდით.

დასაბუთების საწყისი მართლაც საწყისია დასაბუთებისა, მაგრამ იგი თავისი თავის საწყისიცაა, ისიც საბუთდება, რადგან ის თვითდასაბუთებაა (შინაგანი უარყოფის საშუალებით). დასაბუთების საწყისის ეს რეფლექსურობა არის ზოგადის რეფლექსურობა. ის, რაც ყველასათვის ზოგადია, უნდა ეხებოდეს თავის თავსაც, თვითონ მასში უნდა შედიოდეს. ზოგადის შესახებ თქმული თავის თავზე გავრცელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება კერძო და არა ზოგადი. ყველა ცნება არის ცნება, „ყველა აზრი არის მსჯელობა" თვითონ არის მსჯელობა. ყველა სიმრავლე არის სიმრავლე და სხვა. ყველაფერი, ცხადია, არ არის ასეთი, რადგან ყველაფერი არ არის ზოგადი. რაც არ არის ზოგადი, ის კერძოა: კერძო კი იქნება ის, რაც შეეხება იმას, სადაც ის თვითონ არ შედის. დებულება, რომ „დალაქი პარსავს იმას, ვინც თავის თავს არ იპარსავს" (ძველი ბერძნული პარადოქსი), არ ვრცელდება თვითონ დალაქზე. ამიტომ არ არის ზოგადი ხასიათის დებულება. დებულება, რომ „ყველა კრეტელი ცრუობს", არ ვრცელდება იმ კრეტელზე, რომელმაც ეს თქვა, ამიტომ მას ზოგადობის ხასიათი არა აქვს (ცნობილ პარადოქსში).

არისტოტელე ფიქრობდა, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე ითქვა, რომ დეფინაცია არ არის დასაბუთება, ის საწყისია დასაბუთებისა და არა დასაბუთება. ასე უნდა ითქვას დასაბუთების დეფინაციის შესახებ, მაგრამ როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ის, თუ რა არის დასაბუთება—დასაბუთების დეფინაცია თვითონ უნდა დასაბუთდეს,—რადგან იქაც მოქმედებს მტკიცება—უარყოფა, რაც დასაბუთებას შეადგენს. არისტოტელე იმასაც ამბობდა, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის აქსიომა, ისეთი დებულება, რომელიც არ საბუთდება, თუმცა დასაბუთების არსებას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, წინააღმდეგობის შეუძლებლობა, ეს არის ერთი და იმავეს ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა, რომელიც ექვემდებარება მტკიცება-უარყოფის განხორციელებას—სინამდვილეს დასაბუთებაში, ამიტომ აღნიშნული დებულება საბუთდება, ექვემდებარება და განისაზღვრება სხვით.

დასაბუთების საწყისი არის ის, სადაც სისრულით ჩანს და მოცემულია ლოგიკური აუცილებლობა. ამას ადგილი აქვს (როგორც ვიცით) უსასრულო დასკვნაში, რაიმეს უარყოფით მისსავე დასაბუთებაში. აქ ადგილი აქვს თვითდაფუძნება-დასაბუთებას, ამიტომ ის ექცევა დასაბუთებაში. დასაბუთების არსება თვითონ არის დასკვნა-დასაბუთება; იგი ვრცელდება ყველაფერზე დასაბუთებაში და თავის თავზეც. ამიტომ იგი ზოგადია და რეფლექსური.

აქ პარადოქსალობა, რომელიც მოსალოდნელი იყო, მოხსნილია, რადგან შესაძლებელი და განხორციელებულია ის, რასაც უსასრულო დასკვნას ვეძახით.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისის, როგორც ზოგადობის, პარადოქსალობა წყდება დიალექტიკაში, კერძოდ, უსასრულო დასკვნაში.

დასაბუთების საწყისის ზოგადობა და რეფლექსურობა, რომელიც თავისუფალია პარადოქსალობისაგან, უნდა გავრცელდეს დასაბუთების დასაწყისზეც, რადგან ეს უკანასკნელი არის სწორედ დასაბუთების საწყისის დასაწყისი.

რომელიმე დებულების პარადოქსალობა გაგებულია, როგორც ამ დებულების წინააღმდეგობრიობა, ამდენად—გარკვეული შეცდომის შინამქონე დებულება. ამ შემთხვევაში მიუთითებენ ისეთ დებულებაზე, რომლებიც თვითუარმყოფელ დებულებებად იწოდებიან. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია, კერძოდ, თანამედროვე პოზიტივიზმი ებრძვის დიალექტიკას, კერძოდ, დიალექტიკურ ლოგიკას. მაგალითისათვის ავიღოთ ვუდის თვალსაზრისი, რომელიც ეხება ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პრობლემას.

ვუდი თავის შრომაში „შემეცნების ანალიზი“ ამტკიცებს, რომ არ არსებობს თვითუარყოფის ლოგიკა, კერძოდ, არ არსებობენ „თვითუარმყოფელი დებულებები“. მართალია, თვითუარმყოფელი დებულებები შეუძლებელი დებულებებია, მაგრამ ვუდს მხედველობაში აქვს ისეთი დებულებები, რომლებიც არსებობენ, მაგრამ თითქოს წინააღმდეგობას შეიცავენ. ვუდი ებრძვის, პირველ რიგში, იმათ, ვინც ასეთი დებულებების, სახელდობრ, ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველი დებულებების არსებობას აღიარებს.

ვუდს მოჰყავს „თვითუარმყოფელი“ დებულებების სამი მაგალითი. 1) „არ არსებობენ წინადადებები“ (»There are no proposi-

tions), 2) „არ არსებობს“ ჭეშმარიტება („There is no truth“) და 3) „მე არ ვარსებობ“ („I do not exist“)[1]. ეს დებულებები, ამბობს ვუდი, ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავენ. ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველი დებულება არის აბსურდი. ზემოთ მოყვანილი დებულებები კი აბსურდს არ წარმოადგენენ, სწორედ იმიტომ რომ ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავენ; მაგალითად, წინადადება (დებულება), რომ „არ არსებობენ წინადადებები“ (დებულებები) არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას; რომ ის ასეთი წინააღმდეგობის შემცველი იყოს, მაშინ „არ არსებობენ წინადადებები“ უნდა შეიცავდეს წინადადებას—„არსებობს წინადადებები“; ამას კი არ აქვს ადგილი, ამიტომ აქ არ არის ლოგიკური წინააღმდეგობა.

ვუდის აზრით, თვითუარმყოფელი დებულებები შეიცავენ წინააღმდეგობას, მაგრამ არა ლოგიკურს. საქმე იმაშია, რომ, მაგალითად, „არ არსებობენ წინადადებები“ ეწინააღმდეგება ამ წინადადების არსებობის ფაქტს; ეს არის წინააღმდეგობა ფაქტთან და არა ლოგიკური წინააღმდეგობა.

ასეთია ვუდის თვალსაზრისი. რომ ვუდის აზრი მართებული იყოს, მაშინ ჩვენი დებულება, რომ უსასრულო დასკვნა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, არ იქნებოდა სწორი. სწორია ან ჩვენი დებულება უსასრულო დასკვნის შესახებ, ანდა ვუდის დებულებაა მართებული. ვფიქრობთ, ვუდის კრიტიკა (ისე როგორც საერთოდ პოზიტივიზმის) დიალექტიკის პოზიციებიდან არ არის რთული საქმე.

რასაკვირველია, ერთი დაწერილი წინადადება „არ არსებობენ წინადადებები“ არ შეიცავს მეორე დაწერილ წინადადებას „არსებობენ წინადადებები“. აქ მხედველობაში უნდა გვქონდეს არა წინადადება, არამედ წინადადებით გამოთქმული აზრი—მსჯელობა, რომელიც შეიძლება გამოითქვას მრავალი წინადადებით მრავალ ენაზე (ეს წინადადებები მსჯელობის მიმართ სრულიად გულგრილნი იქნებიან. რაიმე ხელოვნური, მაგ., მათემატიკური ენა ერთ-ერთი ენათაგანი იქნება). „არ არსებობენ წინადადებები“ თუ კაგებულ იქნა, როგორც „არ არსებობენ მსჯელობები“ (თუ „დებულებები“), ე. ი. როგორც გარკვეული აზრი, მაშინ უნდა ითქვას, რომ აქ ორი

---

[1] Ledger, Wood, The Aualysis of Knowledge, London, 1940, p. 195.

აზრი გვაქვს: 1) მსჯელობების უარყოფის აზრი და 2) გარკვეული მსჯელობა, როგორც აზრი. ეს ორი რამ, როგორც აზრები, ცხადია, ერთიმეორის საწინააღმდეგონი, ერთიმეორის უარმყოფელი აზრები არიან.

არ არის სწორი ვუდი, როცა ის ამბობს, რომ აღნიშნული დებულებები არ არის ლოგიკური წინააღმდეგობა, თუმცა წინააღმდეგობა (ფაქტიურის მხრივ) მაინც არის, რადგან კატეგორიული აზრით წინააღმდეგობა არის ერთი, რომელიც ან არსებობს აღნიშნულ დებულებებში ან არ არსებობს. თუ იქ რაიმე წინააღმდეგობას აქვს ადგილი, კატეგორიულ-ლოგიკურის აზრით, იქ იქნება ლოგიკური წინააღმდეგობაც.

სწორია ვუდის აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ წინააღმდეგობა, წმინდა წინააღმდეგობა აზრში არის აბსურდი, მაგრამ არ არის იგი მართალი მაშინ, როცა ლოგიკური წინააღმდეგობა ასეთ წინააღმდეგობაზე დაჰყავს და არ ესმის დიალექტიკურ-ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. დებულება, რომელიც თავის თავს აუქმებს, შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ისეთი აზრი, რომელშიც არის წინააღმდეგობა, მაგრამ არა მხოლოდ წინააღმდეგობა, არამედ ერთიანობაც, რომელიც წინააღმდეგობას კი არ აუქმებს, არამედ სწორედ აფუძნებს; წინააღმდეგობა ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი. მსჯელობაა ის. აზრიც, რომელიც უარყოფს მსჯელობას. აზრის უარყოფა ისევ აზრია, მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა. ჭეშმარიტების უარმყოფელი აზრი რომ არ იყოს ჭეშმარიტად მიჩნეული, მაშინ ასეთი აზრი არც იარსებებდა. „მე არ ვარსებობ" უპირობოდ ამტკიცებს იმას, რომ მე ვარსებობ, როგორც ეს დაკარტმა ცხადყო თავისი cogito, ergo sum-ით; ეჭვი უეჭვოდ ხდის ეჭვს—აზროვნებას.

ვუდის მიერ მოყვანილ მაგალითებში, რომ უარყოფა არსებობს, ამის უარყოფა, ცხადია, არც ვუდს შეუძლია. უარყოფა კი წინააღმდეგობას ჰქმნის, მით უმეტეს, თუ უარყოფა ეხება იმას, რაც ამ უარყოფის გამოთქმით არსებობს.

მსჯელობა, რომ „არ არსებობს მსჯელობები" მეტია, ვიდრე მხოლოდ წინააღმდეგობა, ის შეიცავს წინააღმდეგობას, რადგან უარყოფს მსჯელობას ის, რაც მსჯელობას წარმოადგენს; ასეთი მსჯელობა არსებობს, რადგან იგი მეტია შიშველ წინააღმდეგობაზე. ის არის რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება, მსჯელობის უარყო-

ფით მსჯელობის დადგენა, ე. ი. წინააღმდეგობის ერთიანობა.

გნოსეოლოგიურ თუ ლოგიკურ თეორიებში ხშირად ეძებდნენ პირველ საწყისებს (მსგავსად, მაგ., ჰ. კოჰენის[1] Ursprung -ისა), მაგრამ ვერ იქნა მონახული ნამდვილი ლოგიკური საწყისი, დასკვნის ფორმის მქონე საწყისი. ასეთი საწყისი, ჩვენი აზრით, არის უსასრულო დასკვნა, რომელიც დიალექტიკური ლოგიკის სისტემის, როგორც დასაბუთების, არსებას წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნა სინთეტურ-ლოგიკურის არსებაა, შუალობის და უშუალობის სრული ერთიანობაა ლოგიკურ სფეროში, იგი ანალიზურის და სინთეზურის ერთიანობის სისრულეს წარმოადგენს. სინთეზურობას იქ აქვს ადგილი, სადაც ხდება განსხვავებულის მიღება, გარკვეული გაშუალება. ანალიზური არის უშუალო, აქ არ არის გაშუალება, რადგან განსხვავებული არ მიიღება აუცილებლობით. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ანალიზური დასკვნა არ არის დასკვნა, რაც სწორედ გაშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

უსასრულო დასკვნა არის, როგორც ითქვა, ისეთი დასკვნა, სადაც განხორციელებულია რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა-დაფუძნება. აქედან უშულოდ გამომდინარეობს ის, რომ ასეთ დასკვნაში არის ერთი ცნება (და არა სამი, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგ., სილოგიზმში). მაგალითად, დეკარტის cogito -ში, როგორც აზრის უარყოფით აზრისავე დაფუძნებაში, არის მხოლოდ ერთი ცნება, სახელდობრ, აზრის (თუ აზროვნების) ცნება; ჭეშმარიტების უარყოფით ჭეშმარიტების დადგენაში არის ერთი, სახელდობრ, ჭეშმარიტების ცნება; ასევე—მსჯელობის უარყოფით მსჯელობისავე დადგენაში ერთი—მსჯელობის ცნება გვაქვს და სხვ. ამიტომ უსასრულო დასკვნაში სისრულით ჩანს ის, რომ ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი. დასკვნა ერთი აზრია, ამდენად აქ ერთი ცნება (მისი მომენტებით) უნდა მოქმედებდეს; სხვა დასკვნები, რომლებიც ერთზე მეტი ცნების შემცველად არიან მიჩნეულნი, რაღაც ნაკლს შეიცავენ, ლოგიკურად უფრო დაბალ საფეხურზე დგანან (უსასრულო დასკვნასთან შედარებით).

უსასრულო დასკვნა არის დასკვნის ერთი სახე. ის ლოგიკის სისტემის, როგორც განვითარება-დასაბუთების, ბოლოსაა. უნდა ითქვას ისიც, რომ კატეგორიათა სისტემის საფუძველზე შესაძლე-

---

[1] იხ. H. Cohen, Logik der reinen Erkenntnis, 1902, 1922².

ბელია და უნდა არსებობდეს უსასრულო დასკვნათა სისტემა, როგორც ერთი და იმავე ფორმის—უსასრულო დასკვნის ფორმის მქონე დასკვნების სისტემა, სადაც გადასვლები შესრულდება ისევ უსასრულო დასკვნის ფორმით. ამიტომ ვამბობთ, რომ ლოგიკის სისტემის ბოლო პუნქტი, ეს იქნება უსასრულო დასკვნა.

უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი, რომელიც დასაბუთების, სახელდობრ, ლოგიკური სისტემის როგორც დასაბუთების, ბოლოსაა, მაგრამ ის არის გარკვეული საფუძველი, საწყისი-საფუძველი. საიდანაც გამოდის სხვა. დასაბუთების დასაწყისიც, საფუძველია, საიდანაც ლოგიკური აუცილებლობით გამოდის სხვა. ეს ორი საფუძველი ერთიმეორისაგან განსხვავდება: დასაწყისი არის საფუძველი შინაარსეული კერძოს აზრით, როგორც თავისებური „ინდუქციური" დასაბუთების საფუძველი; საწყისი არის საფუძველი შინაარსეული ზოგადის აზრით, სახელდობრ, როგორც თავისებური დედუქციური დასაბუთების საფუძველი. ერთ შემთხვევაში გვაქვს სინთეზური პროცესი, რომლის გამოსავალი პუნქტიც არის ერთმხრივი მარტივი; მეორე შემთხვევაში კი ადგილი აქვს ანალიზურ პროცესს, რომლის დასაწყისიც სრული ლოგიკურია.

ლოგიკური განვითარება-დასაბუთების პროცესი, რომელიც იწყება ერთმხრივი მარტივიდან და მთავრდება სრული ლოგიკურით, როგორც ითქვა, ხორციელდება ანალიზ-სინთეზის ერთიანობით. ეს პროცესი არის სინამდვილის ცოდნის—ასახვის პროცესი, რომელში შემავალი ცნება-მსჯელობა-დასკვნები ლოგიკური აუცილებლობით არიან ერთიმეორესთან დაკავშირებულნი. დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია, მართლაც, ერთი და იგივეა, ერთი სისტემაა, რომლის ბოლო არის უსასრულო დასკვნა, დასაწყისი კი ისეთი რამ, საიდანაც ეს ბოლო იწყება.

3. როგორც გაირკვა, დასაბუთების საწყისი არის უსასრულო დასკვნა, რომელშიც სისრულით მჟღავნდება ლოგიკური აუცილებლობა. უსასრულო დასკვნა სრული ლოგიკურია. ამიტომ იგი, განვითარების—ლოგიკურის ნამდვილი გაგების თვალსაზრისით, უნდა იყოს ლოგიკის სისტემის ბოლოში. თუ ეს ასეა, მაშინ რა უნდა იყოს ლოგიკის სისტემის, როგორც გარკვეული დასაბუთების დასაწყისი?

რა სახით უნდა წარმოსდგეს უსასრულო დასკვნა დასაწყისში? აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნადა გაეცეს.

ჩვენ ზემოთ ვამტკიცებდით, რომ ასეთი დასაწყისი უნდა იყოს მსჯელობა, სახელდობრ, დადებითი მსჯელობა, რომ უსასრულო დასკვნა დასაწყისში—მარტივად დადებითი მსჯელობის სახის არსებობს. ეს მართლაც ასეა და აქ ზემოთ თქმულს კიდევ რამდენიმე დებულებას დავუმატებთ, რომ საკითხი უფრო გარკვეულად წარმოსდგეს.

დიალექტიკურ-ლოგიკური სისტემის, როგორც დასაბუთების, დასაწყისი უნდა იყოს დადებითი მსჯელობა, როგორც სინთეზური მსჯელობა. აქ ჩნდება სიძნელე: ყოველი სინთეზური არის ლოგიკურად რთული. დასაწყისი კი მარტივი უნდა იყოს. დასაწყისი უნდა იყოს მსჯელობის პირველი სუბიექტი პირველი პრედიკატით, მაგრამ თუ ეს პირველი პრედიკატი სუბიექტის იგივეობრივი არ იქნა; მაშინ მსჯელობა რთული იქნება და ამიტომ საწყისად სწორედ ეს იგივეობრივი უნდა აგვეღო; საწყისად უნდა მიგვეღო ტავტოლოგიური მსჯელობა, როგორც წმინდა იგივეობა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა არისტოტელესთან, დეკარტთან, კანტთან, ჰუსერლთან და სხვ)., მაგრამ უნდა იქვას, რომ ასეთი ტავტოლოგიური და იგივეობრივი შეუძლებელია, რადგან ის არაფერია, არარაა, ე. ი. თავის საწინააღმდეგოში გადადის. დასაწყისად არც ეს საწინააღმდეგო გამოდგება, რადგან არარადან არ შეიძლება არაფრის დაწყება. მაშასადამე, გამოსავალი ერთადერთია: დასაწყისი არის კავშირის, სინთეზურის დასაწყისი, პირველი განსხვავება თუ პირველი წინააღმდეგობა, რასაც ლოგიკაში უპირველოფის შემცველი დადებითი მსჯელობა წარმოადგენს. ამრიგად, დასაწყისი არის დადებითი სინთეზური მსჯელობა.

სხვანაირად შეუძლებელია; შეუძლებელია დასაწყისად ავიღოთ დასკვნა, რადგან იგი ლოგიკურად რთული ბუნებისაა. დასაწყისად არც ცნება გამოდგება. რადგან ცნება არის აზრი, რომელიც შინაარსად ნიშნებს შეიცავს; ეს ნიშნები კი გარკვეული სუბიექტის პრედიკატებია. ამიტომ ცნება მსჯელობისა და მსჯელობების (როგორც შემეცნებით, ისე ლოგიკურ) შედეგად მიიღება. ამდენად, ის არ შეიძლება იყოს დასაწყისი (ცნება მსჯელობის კი არა, დასაბუთების შედეგად მიიღება). მაშასადამე, ლოგიკის სისტემის, როგორც დასაბუთების, დასაწყისი უნდა იყოს დადებითი მსჯელობა.

ზემოთ იქნა გარკვეული ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ კ. მარქსისათვის „კაპიტალის“, როგორც დიალექტიკის კერძო შემთხვევის, დასაწყისი არის მარტივი, მაგრამ ძირითადი ურთიერთობა—საქონლის გაცვლა. როგორც „უჯრედი“, რომლის ანალიზიც ამჟღავნებს ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას, რომელთა „ჩანასახსაც“ ის წარმოადგენს. ამ დებულებების შემდეგ ვ. ი. ლენინი წერს, რომ: „ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდიც. უნდა დავიწყოთ უმარტივესით, ჩვეულებრივით, მასობრივით etc, რომელიც გინდა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგა ძაღლია და სხვ. აქ უკვე არის (როგორც ჰეგელმა გენიალურად შენიშნა) დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა: ცალკეული არის ზოგადი“... მაშასადამე, დაპირისპირებულნი (ცალკეული უპირისპირდება ზოგადს) იგივენი არიან...“[1].

აქ ლაპარაკია დიალექტიკის, როგორც დიალექტიკური ლოგიკის, შესახებ, რადგან დასაწყისად დასახელებულია მსჯელობა „წინადადების“ ქვეშ მსჯელობა იგულისხმება); მსჯელობა კი გაგებულია როგორც სინთეზური, სახელდობრ, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა. დასაწყისი არის მსჯელობა, როგორც ცალკეულის და ზოგადის (დაპირისპირებულთა) ერთიანობა; ანუ უკეთ: დასაწყისი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რამდენადაც ის შეიძლება არსებობდეს უმარტივესის, სახელდობრ, დადებითი მსჯელობის სახით.

დადებითი მსჯელობა მხოლოდ მაშინ იქნება ლოგიკური სისტემის, როგორც დასაბუთების, დასაწყისი, თუ ის გაგებულ იქნა დიალექტიკურად, სახელდობრ, ისე, რომ მისი კოპულა გამოთქვამს სუბიექტზე, ერთეულზე იმას, რომ ერთეული ამდენადვე არის არაერთეულიც, ზოგადი[2]. სწორედ ამიტომ არის დადებითი მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობა, ისეთი დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც მასში წარმოდგენილია მარტივად, „ჩანასახის“ სახით, როგორც „უჯრედი“ იმისა, რაც სისრულით არის განხორციელებული უსასრულო დასკვნაში, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, 1953, გვ. 364—365. Философские тетради, стр. 328—329.

[2] В. В. Л е н и н, Философские тетради, стр. 172.

ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა დასაწყისში მსჯელობის სახით არსებობს, სისტემის—დასაბუთების ბოლოს კი უსასრულო დასკვნის სახით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსჯელობის ფორმა ვერ გამოთქვამს დაპირისპირებულთა ერთიანობას სისრულით; მას მხოლოდ უსასრულო დასკვნა გამოთქვამს. მსჯელობა, რომ ერთეული არის ზოგადი, იმასაც გულისხმობს, რომ ერთეული არ არის ზოგადი. ამიტომ დადებითი მსჯელობა თავისი გამართლებისათვის უარყოფითს მოითხოვს და, პირიქით, უარყოფითი — დადებითს. მათი ერთიანობა კი იქნება გარკვეული დასკვნა, რომელშიც მსჯელობა გამართლდება, გადაიქცევა რა მის მომენტად. ამიტომაა, რომ მსჯელობა დასაბუთებას, გამართლებას საჭიროებს. ის მართლდება დასკვნაში. ყოველგვარი დასკვნები კი თავის გამართლებას უსასრულო დასკვნაში პოულობენ. ამიტომაა უსასრულო დასკვნა დასაბუთების არსება—საწყისი, დადებითი მსჯელობა კი დასაწყისს წარმოადგენს. მსჯელობა უსასრულო დასკვნის დასაწყისია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსჯელობის უარყოფა მასვე ასაბუთებს (მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა), არამედ სწორედ იმიტომ, რომ მსჯელობაში იწყება ის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ლოგიკურად სრული სახით უსასრულო დასკვნაში წარმოდგება.

მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა, უსასრულო დასკვნა კი რაიმეს უარყოფით მისივე მტკიცებაა. პირველი მეორეს დასაწყისია, მეორე კი საერთოდ მტკიცება-უარყოფით შესრულებული დასაბუთების სისტემის არსება-საწყისს წარმოადგენს. ამ გარემოების სრული დასაბუთება—გამართლება უნდა მოხდეს ლოგიკის, სახელდობრ, დიალექტიკური ლოგიკის სისტემაში, როგორც გარკვეულ ლოგიკურ განვითარება-დასაბუთებაში.

დ ა ს კ ვ ნ ა

რეზულტატი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, შეიძლება ზოგადად შემდეგი დებულებების სახით ჩამოყალიბდეს:

1. დასაბუთების ლოგიკური საწყისი, ცხადია, თვითონ უნდა იყოს ლოგიკური—დასაბუთების ბუნების მქონე პირველი; დასაბუთების რეალურ საწყისს კი შეადგენს ობიექტური სინამდვილე, მისი კანონზომიერება და ადამიანის რევოლუციურ-გარდამქმნელი მოქმედება—პრაქტიკა. ამ ორი საწყისის ერთიმეორესთან გაიგივება მათი ბუნების გაყალბება იქნებოდა.

2. დასაბუთების ლოგიკური საწყისი შეუძლებელია იყოს აქსიომა, რადგან დაუსაბუთებელი ვერ გაამართლებს დასაბუთებას; წინააღმდეგ შემთხვევაში დასაბუთება მოიხსნებოდა. აქსიომა თვითონ ჰქმნის უსასრულო რეგრესს; აქსიომების არჩევა მოითხოვს გარკვეულ საფუძველს, ე. ი. დასაბუთებას. აქსიომა თვითონ ჰქმნის დასაბუთების ლოგიკურ სიძნელეს; დასაბუთების შინაარსის აქსიომებში მოქცევა დასაბუთებისადმი გვერდის ავლას წარმოადგენს. ლოგიკის აქსიომატიზაციის ცდა აუქმებს ფილოსოფიურ ლოგიკას. ლოგიკის, როგორც ასეთის, აქსიომატიზაცია შეუძლებელია.

3. ლოგიკური საწყისი დასაბუთებისა, რომლის მომენტებსაც შეადგენს დედუქცია, ინდუქცია, რედუქცია და სხვა—ფორმალურ ლოგიკაში ცნობილი — მეთოდები, არის შინაარსეული ზოგადისა და კერძოს დიალექტიკური ერთიანობა. სწორედ შინაარსეული ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება უდევს საფუძვლად თავისებურ ინდუქციას, დედუქციასა და რედუქციას, რომლებიც დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, უშუალო მომენტებს წარმოადგენენ.

4. დასაბუთებისათვის აუცილებელია ლოგიკური საწყისი, რომელსაც შემდეგი ნიშნები ექნება: დადებითობა, შინაგანი უარყო-

ფა, ზოგადობა, შინაგანი შუალობითობა, უპირობობა; ეს უნდა იყოს ყოველგვარი ლოგიკური პირობითობის პირველი საფუძველი, რომელსაც არ ექნება სხვა საფუძველი, ე. ი. იქნება ლოგიკური cousa sui, გარკვეული თვითდაფუძნება.

5. დასაბუთების ლოგიკურ საწყისს წარმოადგენს უსასრულო დასკვნა—რაიმეს უარყოფით მისივე დაფუძნება, შინაგანი უარყოფით ლოგიკური თვითდადგენა; უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური პირველი ყოველგვარი დასკვნისა და დასაბუთების, რომელთა პრინციპსაც შეადგენს პირობითი დებულება „თუ არის A, მაშინ არის B". უსასრულო დასკვნა უპირობო ლოგიკურია, რომლის ბუნებაც დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს. უსასრულო დასკვნა დასაბუთების ერთადერთი უზოგადესი საწყისია, ამიტომ არსებობს ერთი—დიალექტიკური ლოგიკა, რომელშიც ყოველგვარი ლოგიკა გამართლებას ან უარყოფას პოულობს.

6. ლოგიკა, როგორც აზრის ფორმათა სისტემა, წარმოადგენს გარკვეული დასაბუთების, როგორც ლოგიკური განვითარების, სისტემას, რომლის საწყისი განსხვავდება მისივე დასაწყისიდან; დასაწყისი მარტივი და აბსტრაქტულია, ბოლო კი—კონკრეტული. მათ შორის გაშლილი ლოგიკური განვითარება, როგორც დასაბუთება, წყვეტს დედუქციის, ინდუქციის, რედუქციისა და დასაბუთების სხვა მეთოდების სიძნელეებს. დასაბუთების ერთადერთი სრული სისტემა განვითარებას წარმოადგენს.

7. ლოგიკა არის დასაბუთების სისტემა, რომელშიც, როგორც განვითარების სისტემაში, არსებითად გაიგვებულია ლოგიკური დალაგება-გადმოცემის და კვლევა-ძიების (შემეცნების) გზები. ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. ამ იგივეობის აუცილებლობას ჰქმნის: ლოგიკურის აუცილებელი სინთეზურობა, ლოგიკურის ობიექტურობა, ლოგიკური როგორც ისტორიულის ასახვა, ლოგიკურის ჰეშმარიტებაზე დამოკიდებულება, ლოგიკური ფორმების საკუთარი შინაარსის არსებობა, კერძოსა და ზოგადის შინაარსეულობა, ლოგიკურ კანონთა ურთიერთკავშირის ხასიათი, ლოგიკა როგორც კატეგორიების ლოგიკა, დიალექტიკის აბსოლუტურობა, უპირობო ლოგიკური, დიალექტიკა როგორც დასაბუთების მეთოდი და სხვ. ლოგიკის, როგორც დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის, სისტემა განსაზღვრავს მისი,

როგორც განვითარება-დასაბუთების, თავისებური დასაწყისისა და საწყისის ხასიათს.

8. დასაბუთების სისტემა არის ლოგიკური განვითარება, რომელიც პრედიკაციაში განხორციელებული ანალიზ-სინთეზის დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. ეს განვითარება არის დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის თავისებური ერთიანობა. მისი დასაწყისი არის „უჯრედი“ საწყისისა, რომელიც განვითარების ბოლოს წარმოადგენს. დასაწყისი არის საწყისის დასაწყისი.

9. ლოგიკის, როგორც დასაბუთების სისტემის, დასაწყისი არის დადებითი სინთეზური მსჯელობა, საწყისი, როგორც ბოლო, კი უსასრულო დასკვნას წარმოადგენს. დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური განვითარების არსება, იწყება დასაწყისით და სრული სახით წარმოსდგება მხოლოდ დასაბუთების ბოლოს, რომელშიც აისახება და მართლდება აზრის ყოველი ლოგიკური ფორმა და ამ ფორმათა ყოველი სახე. დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური განვითარების დასაწყისი, არის დადებითი სინთეზური მსჯელობა, რომელიც დიალექტიკური ბუნებისაა.

10. დასაბუთების ლოგიკური საწყისი, ეს არის ლოგიკურში განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობა,—კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, რომელიც უსასრულო დასკვნის სახით არსებობს.

11. არისტოტელეს ლოგიკის განვითარების ერთადერთი ჭეშმარიტი გზა არის დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბების გზა. დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

НАЧАЛО ДОКАЗАТЕЛЬСТВА

Резюме

Логическое начало доказательства само должно быть логически первым, первым для доказательства, имеющим логическую природу, природу доказательства; реальное же начало доказательства представляет объективная действительность, ее закономерность и революционно-преобразующая действительность деятельность человека — практика. Отождествление этих начал искажает природу обоих.

Логическим началом доказательства не может быть аксиома, так как доказательство нельзя оправдать недоказанным положением, в противном случае упразднилось бы само доказательство. Аксиома сама создает бесконечный регресс; для выбора аксиом требуется определенное основание, т. е. доказательство; аксиома сама создает логическую трудность доказательства доказательства; включение содержания доказательства в аксиомы означает обход доказательства. Попытка аксиматизации логики упраздняет философскую логику. Невозможна аксиоматизация логики именно как логики.

Логическое начало доказательства, моментами которого являются дедукция, индукция, редукция и другие, известные в формальной логике, методы, есть диалектическое единство частного и общего. Именно отношение содержательного частного и общего лежит в основе своеобразных метдов дедукции, индукции и редукции, которые являются непосредственными моментами диалектического метода как метода доказательства.

Для доказательства необходимо логическое начало, которое должно иметь следующие черты: положительность, внут-

реннее отрицание, общность, внутреннее опосредствование, логическую безусловность; начало должно быть первым основанием всякого условно-логического, оно не имеет другого основания, т. е. является логическим causa sui, определенным самооснованием.

Всеобщим логическим началом доказательства служит бесконечное умозаключение — обоснование чего-либо отрицанием его же, логическое самополагание посредством внутреннего отрицания; бесконечное умозаключение является логическим первым для всяких умозаключений и доказательств, принципом которых служит условное положение «если есть А, то есть В». Бесконечное умозаключение — это безусловное логическое, природа которого состоит в единстве противоположностей. Бесконечное умозаключение является единственным общим началом доказательства; поэтому существует одна — диалектическая логика, в которой оправдывается или отрицается всякая возможная теория логики.

Логика, как система форм мысли, представляет систему определенного доказательства как логического развития, начало которой отличается от исходного пункта ее же; исходное положение просто и абстрактно, конец, же является конкретным; развернутое между ними логическое развитие как доказательство разрешает все трудности дедукции, индукции, редукции и других методов доказательства. Единственно полной системой доказательства является логическое развитие.

Логика есть система доказательства, в которой, как в системе развития, в сущности отождествлены пути логического изложения и исследования (познания). Поэтому диалектика, логика и теория познания одно и тоже. Необходимость этого тождества создается следующими моментами: необходимая синтетичность логического, объективность логического, логическое как отражение исторического, зависимость логического от истины, наличие собственного содержания у логических форм, содержательность частного и общего, природа взаимосвязи логических законов, абсолютность диалектики, безусловное логическое, диалектика как метод доказательства и пр. Система логики, как тождества диалектики и теории познания, определяет характер своеобразного начала и исходного пункта (исходного положения) этой системы как логического развития — доказательства.

Система доказательства — это логическое развитие, которое представляет собой осуществленное в предикации диалектическое единство анализа и синтеза. Это развитие является своеобразным единством дедукции, индукции и редукции. Его исходное положение есть «клеточка» начала, которое выявляется в конце развития, исходный пункт — это исходное положение именно начала.

Исходным положением логики, как системы доказательства, служит суждение, начало же, выявляющееся в конце системы, представляет бесконечное умозаключение. Начало доказательства, как сущность логического развития, начинается исходным положением и во всей полноте будет представлено только в конце доказательства, в котором будут оправданы и объяснены все логические формы мысли и все виды этих форм. Начало доказательства как исходное положение логического развития — это имеющее диалектическую природу положительное синтетическое суждение.

Логическое начало доказательства — это есть осуществленное в логическом единство противоположностей, — единство частного и общего, которое существует в виде бесконечного умозаключения.

Единственно истинный путь развития аристотелевской логики — это путь формирования диалектической логики. Диалектическая логика является высшей ступенью развития логики.

შინაარსი

წინასიტყვაობა 1
შესავალი 3
დასაბუთების საწყისის პრობლემა 20
დასაბუთების საწყისის ზოგიერთი ნიშნის შესახებ 33
1. დასაბუთების საწყისის აუცილებლობა და მისი თავისებურება . 33
2. საწყისთა სიმრავლე და უზოგადესი საწყისი 41
3. დასაბუთების საწყისი როგორც უპირობო 47
4. დასაბუთების საწყისი როგორც თვითსაფუძველი 51
5. დასაბუთების დასაბუთების ლოგიკური სიძნელე 60
6. ინტუიციის, როგორც დასაბუთების და მეცნიერების საწყისის შესახებ 67
7. დასაბუთების საწყისის შინაგანი უარყოფის შესახებ 74
8. დასაბუთების საწყისის დადებითობა 82
9. დასაბუთების საწყისის ზოგადობის შესახებ 94
10. განსაზღვრების, როგორც დასაბუთების საწყისის, შესახებ . . 87
დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის ცდა 105
1. ლოგიკის აქსიომატიზაციის წინააღმდეგ 106
2. ზოგიერთ და კერძოს ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი 125
3. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთების საწყისი . . . 141
დასაბუთების ლოგიკური საწყისი და ლოგიკური დალაგების დასაწყისი 158
1. დასაბუთების საწყისი თუ დასაწყისი? 158
2. ლოგიკური საწყისის, როგორც ლოგიკურის საზღვრის, შესახებ . 171
3. დასაწყისის თუ საწყისის ტავტოლოგიურობის შესახებ . . . 195
4. ლოგიკური დალაგება, როგორც დასაბუთება, და მისი საწყისი .. 198
5. ლოგიკური დალაგება-გადმოცემის წესი და კვლევა-ძიების წესი . 218
6. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ 294
ა. პრობლემის დასმა 294
a) ვ. ი. ლენინის დებულება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ . . . 294
b) საკითხის ისტორიისათვის 298
c) აზრის განსაზღვრულობის ლოგიკური განხილვის წესი . 312
d) რეფლექსურობა ლოგიკაში 314
e) ლოგიკის მეცნიერების აბსოლუტურობა . . . 317
f) ლოგიკური დალაგებისა და შემეცნების წესთა იგივეობის შესახებ 319
ბ. ლოგიკურის ობიექტურობის შესახებ 320
გ. ისტორიულის ამსახველი ლოგიკური 330

დ. ჰეშმარიტება და ლოგიკური 333
ე. შინაარსი და ფორმა ლოგიკურში 338
ვ. კატეგორიების ლოგიკა 342
ზ. შინაარსეული კერძო და შინაარსეული ზოგადი 346
თ. დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება 349
ი. ლოგიკურის სინთეზურობა 353
კ. ლოგიკურის კანონი 359
ლ. დიალექტიკის აბსოლუტურობა და უპირობო ლოგიკური . 370
მ. დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, შესახებ 376
7. ანალიზ-სინთეზი და ლოგიკური განვითარება 381
8. დასაბუთების საწყისი როგორც ლოგიკური დალაგების დასაწყისი 456
დასკვნა 473
Резюме 476

Церетели Савле Бенедиктович

НАЧАЛО
ДОКАЗАТЕЛЬСТВА

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. კალანდარიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი შ. თოფურია
კორექტორი ლ. გაგოშიძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 9.3.1983; ანაწყობის ზომა $6 \times 9^1/_2$; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 5.8.1983; ქაღალდის ზომა $60 \times 84^1/_{16}$;
ქაღალდის ფურცელი 15,0; საბეჭდი ფურცელი 30,0; საავტორო
ფურცელი 24,73; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 25,10;
შეკვეთა 454; უე 03729; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 85 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5